963
1997

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# აფრა

სალიტერატურო,
რელიგიურ-ფილოსოფიური
და საზოგადოებრივი ჟურნალი

I 1997

ამიერიდან ჩემი გონის პატარა ნავი
ახალი წყლების დასალახად შემართავს აფრას,
რაკიღა უკან მოიტოვა ზღვა შემზარავი...

და მე ვიმღერებ იმ მეორე საუფლოს ამბავს,
განიწმინდება სადაც სული ადამიანის,
რათა, ღირსქმნილი, ზეცისაკენ შეუდგეს აღსვლას.*

„სალხინებელი“,
დანტე ალიგიერი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# სჯანი

სალიტერატურო,
რელიგიურ-ფილოსოფიური
და საზოგადოებრივი ჟურნალი

№ 1
(ოქტომბერი—ნოემბერი)

კავკასიური სახლი
თბილისი
1997

„აფრა“ საგანმანათლებლო ჟურნალია.

„აფრას“ სურს

შეძლებისდაგვარად შეავსოს წიგნის, თარგმანის, რელიგიურ-ფილოსოფიური და მეცნიერული ინფორმაციის ნაკლებობა საქართველოში და მკითხველს მიაწოდოს ძვირფასი თვლები ძველი და ახალი მსოფლიოს, დასავლეთისა და აღმოსავლეთის სულიერი საგანძურიდან;

იყოს ხიდი სიძველესა და თანამედროვეობას, დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის;

მოახდინოს როგორც მხატვრული და რელიგიურ-ფილოსოფიური თარგმანის, ასევე კრიტიკული აზრის სტიმულირება;

ხელი შეუწყოს თანამედროვე სინამდვილის მხატვრულ, ფილოსოფიურ და ჟურნალისტურ გააზრებას;

შეეწიოს საზოგადოებრივი ცნობიერების ჰუმანიზაციას და ადამიანის სიახლოვეს მარადიულ ღირებულებებთან.

მოგესალმებით და თანამშრომლობის იმედს გამოვთქვამთ
ჟურნალ „აფრას“ რედაქციის წევრები:


ნაირა გელაშვილი (რედაქტორი)
დავით აკრიანი (მხატვრული რედაქტორი)
ლია ჯაყელი
გიორგი მანელაშვილი
გურამ ლებანიძე

მრჩევლები:
გივი მარგველაშვილი (ბერლინი)
ვაცლავ ჩერნი (პრაღა)
ბადრი შარვაძე (თბილისი)

რედაქციის მისამართი: თბილისი, გალაკტიონის ქ. №20,
„კავკასიური სახლი“, ტელ.: 99-60-22, 93-23-46

# შინაარსი

## პოეზია


| | | |
|---|---|---|
| შარლ ბოდლერი | კედლის საათი | 7 |
| რაინერ მარია რილკე | ანგელოზს | 8 |
| | ,,ვამბობთ: ,,სიწმინდე...“ | 15 |
| | ,,შორეთთა ჩემო მეგობარო...“ | 17 |
| | მჭვრეტელი | 19 |
| პარუირ სევაკი | სადღეისო ლოცვა | 9 |
| გიორგი კორნაპელი | მაინც ლიცლიცებს ეგ წმინდა ცეცხლი | 10 |
| დავით აკრიანი | ოქროსთმიან დედოფალს | 11 |
| ნოვალისი | ,,არის ძრწოლათა ჟამი...“ | 12 |
| | ,,როს მწარედ ვწუხვართ...“ | 16 |
| | ,,გხედავ უამრავ სურათ-ფრესკებზე...“ | 16 |
| ანა კალანდაძე | ,,მადლი გადმოდის...“ | 13 |
| | ,,თქვენ ჩაგიხედავთ კლდეების გულში...“ | 13 |
| | ,,როდესაც კვნესის ბუკიოტი...“ | 14 |
| | ,,ვარ მარად ვარსკვლავთა მჭვრეტელი...“ | 14 |
| ჯალალ ედ-დინ რუმი | ,,წუხელ ვარსკვლავმა...“ | 18 |


## პოეზია დღეს


| | | |
|---|---|---|
| გიორგი მაისურაძე | ანიტა თუთხალია, ტროადული ოპტოგრამა | 22 |


## პოეზია და ცხოვრება


| | | |
|---|---|---|
| რაინერ მარია რილკე | წერილები ახალგაზრდა პოეტს | 36 |


## რელიგია


| | | |
|---|---|---|
| დედა ტერეზა | | 60 |
| მაისტერ ეკჰარტი | შეგონებანი განსხვავების შესახებ | 63 |
| ელიზაბეტ ვანდერშილი | მამა ალექსანდრე მენი | 77 |
| მამა ალექსანდრე მენი | უკანასკნელი ინტერვიუ და ლექცია | 79 |
| ვაშინგტონ ირვინგი | მუჰამადის ცხოვრება | 96 |
| რომენ როლანი | რამაკრიშნას ცხოვრება | 109 |
| შრი რამაკრიშნა | საუბრები მოწაფეებთან | 122 |



21028

საქართველოს
ეროვნული

რენე გენონი | აბელი და კაენი 131
დიდი კედლის ბზარები 135
გრაალის სიმბოლიზმი 137
ტრადიცია და არაცნობიერი 140

## საუკუნეთა მიჯნა
## სინამდვილე ფილოსოფოსის თვალით

გურამ ლებანიძე | მერაბ მამარდაშვილი 144
მერაბ მამარდაშვილი | გაბედო, იყო... (ინტერვიუ) 145

გიორგი მარგველაშვილი | შუალედური ყოფიერება და ერზაც-რეალობები 154

## კულტურა, ხალხი, ბედისწერა

თომას მანი | კულტურა და პოლიტიკა 162
გურამ ლებანიძე | რა შეუძლია კულტურას? 168
გიორგი მაისურაძე | „ქართლის დედა“ და დედის კომპლექსი 179
„მოწიწება სიცოცხლის წინაშე“ 186

## კ ა ვ კ ა ს ი ა

გიორგი კორნაზელი | ძმათა ომი 194
გაუცხოების დასაწყისი 197
ვიპოვოთ გამოსავალი! 210

დიტერ ბოდენი | კავკასიური მითოსის მსხვრევა რუსულ ცნობიერებაში 213

„კავკასიური სახლი“, როგორც ასეთი 216

ნუნუ მინდაძე, გიორგი ცოცანიძე
თავის ქრილობების მკურნალობა საქართველოში 224

ფრიდრიხ ნიცშე | **Vereinsamt** (საკონკურსო ლექსი) 229

ბიოგრაფიული ცნობარი 230

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პოეზია



„დიონისე ხომალდში“

ლარნაკის მოხატულობა. დაახლ. 540 წელი ძვ. წ.
მიუნხენი, ძველი სურათების გალერეა.

შარლ ბოდლერი

## კედლის საათი

კედლის საათი! კერპი ცივი, ბნელი, მზაფრავი!
"გახსოვდეს!", იგი ჩვენ თითს გვიქნევს ასეთ მუქარით:
"მალე ეგ გული დაგევსება დარდ-სიმწუხარით,
როგორც ივსება შორს სამიზნე ისარნაკრავი.

ფუყე განცხრომა მიეფარვის ჰორიზონტს მალე,
ასე სილფიდა კულისების სიღრმეში ქრება,
ყოველ წამს მიაქვს ნაჭერ-ნაჭერ ის სიტკბოება,
ამ ცხოვრებაში თვითეულ კაცს რაც მიუთვალეს.

სამ ათას ექვსას წამს საათში ხმა გასდის ჩუმი:
გახსოვდეს! ეხლამ, უსწრაფესმა, დაიწრიპინა:
მე უკვე ეხლა აღარა ვარ, გახლავარ წინათ,
შენი სიცოცხლის სრუტვით გაძღა ჩემი ხორთუმი.

**Remember! Esto memor!*** მფლანგველს – მუდამ გახსოვდეს!
(ამ რკინისხორხამ ყველა ხალხთა ენები იცის).
ლაღო მოკვდავო, თითო წუთი – განძია მიწის,
ხამს ამოიღო ოქრო მისგან, ჩაუვლი ოდეს!

გახსოვდეს, რომ დრო უხარბესი მოთამაშეა,
ის, როგორც წესი, არ ფლიდობს და ერთბაშად იგებს;
გახსოვდეს: ღამეს ემატება, დღის შუქი იკლებს,
ქვიშის საათი იცლება და უფსკრულს კვლავ შია.

მალე დრო დაჰკრავს, როს შემთხვევა – ცის საჩუქარი,
როცა სიქველე – ცოლი შენი, ქალწული ჯერაც,
როდესაც თავად სინანული – ეს ბოლო კერაც,
სუყველა გეტყვის: მოკვდი, მხდალო, აწ გვიან არი!"

ფრანგულიდან თარგმნა დავით აკრიანმა

* "გახსოვდეს" ინგლისურად და ესპანურად.

რაინერ მარია რილკე

## ანგელოზს

ზეცის კიდეზე აღმართულო დიდო ლამპარო,
– შენს ზემოთ უფრო იკვეთება ღამე დიადი,
ხოლო ჩვენ ვცოდავთ ბნელში ყოყმანით
შენს საძირკველთან, გვფარავს წყვდიადი.

ჩვენი ხვედრია: არ ვიცოდეთ გამოსასვლელი,
ვერ დავეღწიოთ ჩვენი სულის მრუმე ტალანებს,
ჩვენს დაბრკოლებებს მნათობივით თავზე დასცქერი
და, ვით მთაგრეხილს, აგიზგიზებ და ავარვარებ.

წადილი შენი ჩვენს საუფლოს არ ეკარება:
ზემოთკენ გვიხმობს, ჩვენ კი ვერც ვგრძნობთ, ძირს რომ ვეშვებით,
ვით გაზაფხულის ბუნიობის ღამე სპეტაკი –
დღეს მიჯნავ დღისგან, სამანს შუქად შემოეშლები.

ვით შეიძლებდა ჩვენთაგანი, შენთვის გაენდო
ეს აღრეული ჩვენი ყოფა, განაწყალები,
შენ ხარ დიდება დიდებათა, ჩვენ კი საერთოდ
რაღაც უმცირესს შევალიეთ ჩვენი ძალები.

ჩვენ დიდი-დიდი ფხიზლები ვართ, თუ ვაკვირდებით,
და გულის ამაჩუყებელნი – როდესაც ვტირით,
ვერვის აცდუნებს სამყაროში ღიმილი ჩვენი,
და თუ აცდუნებს, ვინ გაჰყვება ამნაირ ღიმილს?

ვიღაც, ო, ნუთუ, ანგელოზო, ვკვნესი და ვთხრავ,
რარიგ ვიკვნესებ ნეტავ ესოდენ?
მე ვყვირი, ვყვირი, ვუხათქუნებ ერთმანეთს ორ ხეს,
და არ მგონია, ქვეყანაზე ვინმეს ესმოდეს.

შენ რომ არ მგრძნობდე, არ მოგწვდება მანდ ჩემი ხმები,
რადგან ვარსებობ, ო, ანათე, ანათე აგრე.
გამომაჩინე ვარსკვლავებში, რადგანაც ვქრები,
რადგან სიკვდილით მევსება ბაგე.

თარგმნა თამაზ ბაძაღუამ*

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარუირ სევაკი

## სადღეისო ლოცვა

10, 110, 1010 წელიწადია,
რაც დამდევს უკან
საზარელი შიში ყოველგან —
აურაცხელი გონდახშული მორწმუნეების,
აურაცხელი მატყუარა მორწმუნეების,
თუ ღმერთები ხართ —
მოსპეთ ყველა სანთელი მათი!
დაშრიტეთ მათი დანთებული ყველა კანდელი!
ჩააქრეთ მათი ჭრელაჭრულა ჭაღები! — რათა
კვლავ დამკვიდროს... იქმენ ნათელი!
და არ მიიღოთ არც ერთ კარზე იმათი საღმრთო,
რომელიც მათი კი არ არის, მოპარულია!
მათი შეთქმული შესაწირიც კი უარჰყავით,
რამეთუ... თავად წმინდა რწმენა არ შეიწირონ, —
რწმენა მაღალი,
რწმენა — სუფთა,
რწმენა — მართალი,
თუ ღმერთები ხართ —
გევედრებით: დაიხშეთ ყურნი
იმათი ლირწი, შემპარავი ლოცვის წინაშე,
ზეპირ-აწონილ-აზომილი ლოცვის წინაშე,
რითაც თავს როდი იტყუებენ, — თქვენ გატყუებენ.
კმარა! — ერთხელ და სამუდამოდ შეიგნეთ,
ღმერთის მაგინებელიც კი ნაკლებად სალანძღავია,
რამეთუ იგი განარისხა თვით რწმენამ, ასე
სისხლიანმა და დაკოდილმა,
დაგულ-გვემულმა,
გულისმომწყვლელმა რწმენამ — ბავშმა, —
რომელიც იშვა მხოლოდ იმიტომ, მერე მამა რომ გამხდარიყო,
და თქვენც თუ მართლა მამები ხართ,
ის მოსაკლავად არ დაანებოთ,
არ დაუთმოთ ცრუმორწმუნეებს.
— ბავშვის დამარხვა რამდენადაც ძნელია, მისი
გაზრდა იმდენად და უმეტეს ძნელია, ძნელი...

სომხურიდან თარგმნა გივი შაჰნაზარმა

გიორგი კორნაპელი

## მაინც ლიცლიცებს ეგ წმინდა ცეცხლი

### I

შენ დაგივიწყეს,
მკრთომარეო სიმაღლისათვის,
აქ მხოლოდ
თვის მსხვერპლთ არ ივიწყებენ...
გაშმაგებული სფეროების
თეთრ რკალებიდან
ირწევა შენი ცეცხლი, ირწევა.
ამოვალ ზევით, სადაც ყვავილობ,
სადაც ნათელი გადასხდის ზენარს,
უფსკრულში მრჩება
ძვლები ცარციით
და ცოდნის ხიდან
მომწყდარი წყევლა.

### II

ტირილად დავჯექ მხოლოდ შენ გამო,
საღამოს თვალნი დაუელამდა,
ვითარ გვინათებ ასე უგრძნობელთ,
მარგალიტებში მიმავალ ბრმათა?..
აჰა, ამაღლდნენ წყნარი ღრუბლები,
საღამოს კვდომას იგალობებენ,
მაინც ლიცლიცებს ეგ წმინდა ცეცხლი
ძაღლურ ყეფაზე,
ფარულ ომებზე.

დავით აკრიანი

## ოქროსთმიან დედოფალს

### I

გოგონა ჩემო ოქროსთმება, სადა ხარ ახლა,
მე ხომ შენს მეტი ქვეყანაზე არვინ მყოლია,
გიპოვე თეთრი ცისარტყელა და მაგნოლია,
და იმ სიზმარშიც თეთრი ქულა დავიდგით სახლად.
ოქროსთმიანო დედოფალო, სად ხუნთქავ ახლა,
ჩვენება თეთრი – თეთრ მიწებზე თუ იარები,
გამახსენდები, გამეხსნება ნაიარევი,
ვერსად ვუპოვი მას მალამოს: იყო და გალხვა.
– ბედნიერებავ, ნუთუ გპოვე, – გეკითხებოდი,
როცა დაგთრთოდი, გეკარვოდი სანუკვარ საგანს
და არქვეყნიურ თრთოლა-ურვის მბოჭავდა ოხვრა...
– მოხველი, შვებავ?... – გულისხმით კი მასაც ვხვდებოდი,
ტრფობის ალმურის გადაღმა რომ ყოველ კაცთაგანს
გრძელი გზა უდევს შვების ბჭემდე... და ასეც მოხდა.

### II

ოქროსთმიანო ცვილო ჩემო, სად გაილვენთე...
გახსოვს, პირველად შემეშინდა შენთან დარჩენა,
ძრწოლით გავივლე: "არ მწამს ქვეყნად ქალის გაჩენა!
სადმე რომ გახხლტე, ვერცხლისწყალო, როცა მე გენდე?
ეს მე დამფერფლავს..." ოღონდ აბა საბრალო გული
რისი გულია, თუკი კვერთხი გონებას მისცა!
ჰოდა გესხურა, გადაგევლო, ხელმწიფედ იქცა,
ვარდისფურცლების ლაბირინთში გადაკარგული.
– ბედნიერებავ, ნუთუ უვვე აოკე სული,
შენმა ნათელმა შთანთქა ყოფნის ყველა ნაღველი?
ნუთუ ერთგულად დაიბუდე ამ ღია ქოხთან?...
– თაფლისფერ უძიროებებში ჩაშტერებული,
გკითხავდი...
                    ამინ! რომ ყოფილა რგოლიც მაშველი!
თუ დამტოვებდი ამ მორევში... და ასეც მოხდა.

## ნოვალისი

* * *

არის ძრწოლათა ჟამი,
არის კაეშნის მოსვლა,
როს ყოველივე ლამის
მოჩვენებებად მოსჩანს.

რა შემზარავად ჩუმად
მოდის შიშების ჯარი,
სულს ცივ სიღრმეში მარხავს
ღამე და ღამის ქარი.

ირყევა საყრდენები
თავშესაფარი ქრება,
ფიქრების კორიანტელს
ველარ განაგებს ნება.

სიგიჟე-მოდის, მოდის,
გიხმობს უძლეველ ძალით.
ქრება სიცოცხლის ფეთქვა,
წყდება გრძნობათა რკალი.

ვინ, ვინ აზიდა ჯვარი,
გადასარჩენად გულთა?
ვინ გადმოხრილა ციდან
საშველად გატანჯულთა?

წადი სასწაულ ძელთან,
მიეც შენს ლტოლვას სივრცე,
იმ ძელს რომ ცეცხლი ასდის,
ის სწვავს ჩვენს შავბნელ სიზმრებს.

წაგიყვანს ანგელოზი
ხსნილს ნაპირისკენ მალე,
გადაგეშლება მზირალს
თვალწინ აღთქმული მხარე.

გერმანულიდან თარგმნა ნაირა გელაშვილმა

ანა კალანდაძე

* * *

მადლი გადმოდის ცისფერ მთებზე უხილავ გზებით
და ლურჯი ტბების, ლურჯი ტბების თვალებში კრთება...
ეს არის მიწის, დედამიწის მარადი ვნება
იმ გრძნეულებით, რაც მის სულში არასდროს ქრება...
ო, უხილავნო, კვლავ დიდება თქვენს მეუფებას!

* * *

თქვენ ჩაგიხედავთ კლდეების გულში?
აქ წმიდათაწმიდა სანთელი კრთება...
შერწყმია ერთურთს ძალა, სიმშვიდე,
წარმავალობა და უკვდავება...
ჩაგუბებულა აქ დიდი სული,
თვისი სიმშვიდით რომ ჰგავს სერაფიმს.
და საკმაოა, ცას შეუერთდეს,
რომ ნაცარტუტად აქცევს ყველაფერს!
არ ჩაგიხედავთ კლდეების გულში,
რა საიდუმლოს მალავს ფრიალო?
აქ ხუნთქავს მიწა ვეება მკერდით,
არვის უჩვენებს თავის იარებს...

* * *

როდესაც კვნესის ბუკიოტი შორეულ მთებში,
მთვარე მიწაზე გადმოაფრენს მილეულ სხივსა,
აქ სალამურით ატირდება პატარა მწყემსი,
რა აღონებს პაწია ბიჭსა?
ბრწყინავს ვარსკვლავი: ცას იმისი გულისთქმა ესმის,
ცას უშორეს, შეუცნობელს, გრძნეულს და შისანს...
სადღაცა კვნესის ბუკიოტი – მიუვალს მთებში
და დაბურული ბნელი სიღრმე გუგუნებს ტყისა...

* * *

ვარ მარად ვარსკვლავთა მჭვრეტელი
და ცეცხლით ვივსები იმათებრ...
"ო, ღმერთო, ო, ღმერთო საბაოთ,
სინათლე, სინათლე, სინათლე!"
თუ ხშირად სულს მიმღვრევს ეშმაკი,
იმალვის, იკარგვის ხშირადვე...
"ო, ღმერთო, ო, ღმერთო საბაოთ,
სინათლე, სინათლე, სინათლე!"
და შენი მართალი მახვილი
მტრისაკენ, ბნელისკენ მიმართე...
"ო, ღმერთო, ო, ღმერთო საბაოთ,
სინათლე, სინათლე, სინათლე!"

რაინერ მარია რილკე

* * *

ვამბობთ: "სიწმინდე", ვამბობთ: "ვარდი" – სულ ვასახელებთ
ყველაფერს, რაც კი ირგვლივ ხდება, გვაკრთობს, გვახარებს,
მაგრამ ყველაფრის მიღმა წყნარად დგას უსახელო,
სწორედ ის არის ჭეშმარიტი სახე და მხარე.

მიწა – მდედრია, მთვარე – მამრი, ჩვენ ასე გვჯერა,
მდელო – დამყოლი და მივაწერთ ტყეს სიდიადეს,
მაგრამ ყველაფრის ზემოთ რიალებს
სახება – განუმარტავი ჯერაც.

ეს ჩვენ ვიზრდებით. სამყარო კი სულ რჩება ბავშვად.
და სდუმს ყვავილი და ვარსკვლავი წყნარ საღამოთა,
რათა გვიმზირონ. ჩვენ კი იმათ გამოცდად ვჩანვართ
და ვგრძნობთ დრო და დრო, რომ გვიძლებენ ჩვენ – მათ გამოცდას.

თარგმნა თამაზ ბაძაღუამ*

## ნოვალისი

* * *

როს მწარედ ვწუხვართ, ისე ეულად;
გულმა ფარსმალი ლამის დაყაროს,
და სნეულების ძალით ძლეული
შიში გვიმუსრავს შიდა სამყაროს.

როცა ვისხენებთ, არხებებს ძვირფასს
როგორ ხრით წელში დარდი და ბედი, –
ჩვენს მზერას ბნელი ღრუბელი ნისლავს
და მას ველარ ჰკვეთს სხივი იმედის.

ო, მაშინ ჩვენსკენ ისრება ღმერთი
და სიყვარული მისი ფარული.
და თუკი ამ დროს ცას მართლა ელტვი,
იხილავ შენს წინ ანგელოზს უფლის.

სიცოცხლით სავსეს გვიწვდის ფიალას
და გულს ნუგეშს და ხალისს მიაგებს
და ჩვენი ლოცვაც ნაზად იფარავს
ჩვენს უსაყვარლეს ადამიანებს.

* * *

გხედავ უამრავ სურათ-ფრესკებზე,
მარიამ, ნაზად შენ გამოსახულს,
მაგრამ ვერ გხედავ ისეთს ვერცერთზე,
როგორც ოდესღაც ეჩვენე ამ სულს.

ერთი ეს ვიცი; რომ ქარიშხალი
ამქვეყნიური მას შემდეგ ჩადგა –
და უსახელოდ ტკბილი და წყნარი
ცა – სამუდამოდ სულს ჩამისახლდა.

გერმანულიდან თარგმნა ნაირა გელაშვილმა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

21028

რაინერ მარია რილკე

* * *

შორეთთა ჩუმო მეგობარო, იგრძენი, სივრცეს
როგორ ეღება შენი სუნთქვით ახალი ბჭენი.
ბნელი სამრეკლოს ძელთა გუგუნს, დე, ბანი მისცეს
შენმა რეკვამაც. და რაც არის მშთანმთქმელი შენი,

გახდება მაშინ ამ საზრდოზე უფრო ძლიერი:
უნდა გარდიქმნა მუდამ, წამიც არ მოაცდინო,
რა განსაცდელი უფრო გტანჯავს ბედისმიერი?
სმა გემწარება? მაშინ თავად გარდიქეც ღვინოდ.

ამ ჭარბ ღამეში შენს გრძნობებს კი ნუ გაეყრები,
თვით იყავ მათი ჯადოსნური ძალით შემკრები
და აზრად ექმენ მათ საოცარ შერწყმას, ავსებას.

მიწიერება თუ გივიწყებს, მიდი, მინებდი..
მშვიდ დედამიწას ჩასჩურჩულე: მივქდინები..
მარად მიმდინარ წყლის ნაკადს კი უთხარ: ვარსებობ.

თარგმნა ვახუშტი კოტეტიშვილმა

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯალალ ედ-დინ რუმი

* * *

წუხელ ვარსკვლავმა საყვედური მითხრა ამაყად:
"რარიგ ანათებს მიწას შენი კვარი ამალამ",
მივუგე ვარსკვლავს: "ეს ნათელი მთვარის შუქია,
გამთენიამდე მკლავზე მიწევს მთვარე ამალამ."
ბანზე აცურდი, სატრფოვ ჩემო, უჩვენე ზეცას,
ჩვენაც დილამდე ვღვაროთ ღვინის ღვარი ამალამ;
ბოლოს მომილებს შენი ეშხის ორომტრიალი,
შენი ნათებით შევიქნები მკვდარი ამალამ.
მტერი ვერაგი ეხეთქება გალავნის ჭიშკარს,
მაგრამ სიჩუმეს არღვევს მხოლოდ თარი ამალამ.
ამალამ შევსვამთ უფლის მადლით თითო ფიალას
და სოსანს ვარდზე მიანარცხებს ქარი ამალამ.
მე სანატრელთან შერწყმის გემოს ვაგემებ მიჯნურს,
რომლის მთვარესაც ვერ დაუდგა დარი ამალამ.
ამალამ შენს გულს გადაკარგულს ხევდის დილეგში,
გაუხსენ კარი და დაირას ჰკარი ამალამ.
იმ უგუნურთა, ვინც გზას გვიკრავს მეცნიერებით,
ღვთიური ცოდნით დავულეწოთ კარი ამალამ;
მივდგეთ, ვამტვრიოთ უმეცართა ჩაჩქან-ჯავშანი
და მათ ციხეებს დავამჩნიოთ ბზარი ამალამ.
ოღონდ ვიყუჩოთ, რადგან ოქროდ ფასობს დუმილი,
რადგან ბრძენია, ვინც მდუმარე არის ამალამ.

სპარსულიდან თარგმნა დავით ახალაძემ

რაინერ მარია რილკე

## მჭვრეტელი

ხეებში ხშირად ქარიშხლების ვხედავ ხარებს,
რომელთაც ცივად მონაბერი დღეები სველი
ჩემს დამფრთხალ სარკმლებს ახეთქებენ და მესმის ძველი
ნაშორეთალი საგნების ხმა, თუმც აღარ ველი,
მათი გაძლება უმეგობროდ იქნება ძნელი
და მე ისინი, დის გარეშეც, ვერ მეყვარება.

მოქრის გრიგალი, გარდამქმნელი, არა ძაბუნი,
წიაღგამჭოლი, მან არ უწყის გზები წრიული.
უასაკოა ყოველივე, არ სურს სტლბუნი,
ბუნება არის განწმენდილი, როგორც ფსალმუნი,
დინჯი და მშვიდი, ძლიერი და მარადიული.

რასაც ჩვენ ვებრძვით, რა მცირეა, და რარიგ დიდი
ის, რაც ჩვენ გვებრძვის უნებლივდ, სახელდახელოდ.
საგანთა მსგავსად რომ გვქონოდა ბუნება მშვიდი,
დავნებებოდით გრიგალს ასე, და თუკი ვცდიდით,
ჩვენც გავხდებოდით უფრო ვრცელი და უსახელო.

რასაც ვამარცხებთ, პატარაა, მცირეოდენი,
თვით გამარჯვებაც ჩვენ გვაკნინებს ყოველთვის, ყველგან.
მარადიულს და უჩვეულოს, ჩვენთან მოძენილს,
არა და არ ს უ რ ს, დათრგუნული რომ იყოს ჩვენგან.
ეს არის იგივ ანგელოსი, ძელვარებით
რომ მოევლინა ძველი აღთქმის მებრძოლთ ანაზდად:
მის მეტოქეთა დაძაგრული მშვილდის ლარები,
რომელთაც ბრძოლამ თვით ლითონის სიმტკიცე მისცა,
იმ ანგელოსის თითებს შორის ისე განაზდა,
რომ ულრმეს ჰანგთა გამომცემელ სიმებად იქცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ანგელოსი ვისაც დაძლევს ძალისძალობით,
თუმც მას არ უყვარს შებრძოლება და ერიდება,
იგი აღდგება ვით უბიწო და მას დიდება
მიენიჭება იმ მძლეთამძლე ხელის წყალობით,
რომელიც ჰქონდა ყალიბივით შემოჭდეული.
გამარჯვებები იმ კაცს უკვე არ ენატრება.
და მას ეს გაზრდის: შინაგანად იყოს ძლეული
იმ ძალის მიერ, მას რომ მარად აღემატება.

თარგმნა ვახუშტი კოტეტიშვილმა*

* თ. ბაძაღუას და ვ. კოტეტიშვილის თარგმანები შესრულებულია ორიგინალის პწკარედული თარგმანიდან.

# პოეზია დღეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ანიტა თუთხალია
## (ბიოგრაფიული მონაცემები)

ანიტა თუთხალიას სახელი 1992 წელს გერმანიის ჩრდილოეთში მოგზაურობისას გავიგე. ერთ დღეს ჰალედან ბერლინისკენ მივემგზავრებოდი. მატარებელი პატარა ქალაქ კაიზერსაშერნში გაჩერდა. ბერლინის მატარებელში გადასაჯდომად თითქმის ნახევარი საათი მქონდა. სადგურში დგომის ნაცვლად, გადავწყვიტე ქალაქში გამესეირნა. ვაგზლიდან გამოსვლისთანავე მეგონა, რომ უეცრად შუა საუკუნეებში აღმოვჩნდი. ქალაქის ცენტრში თითქმის არც ერთი თანამედროვე ნაგებობა არ მინახავს. მერე ერთ დიდ ეკლესიას მივუახლოვდი, საიდანაც ორღანის ხმა მოისმოდა. შიგნით რომ შევედი, მესა უკვე მთავრდებოდა. ცოტა ხანს ვათვალიერებდი ტაძარს. მერე ერთ მოხუცს ვკითხე, ხომ შეიძლებოდა ამ ეკლესიის შესახებ მოკლე ცნობარის შეძენა. აღმოჩნდა, რომ მათ ასეთი ცნობარი აღარ ჰქონდათ. მოხუცმა კი ექსკურსიამძღოლობა შემომთავაზა. მან ორიოდე სიტყვით მომითხრო ტაძრის ისტორია და მაჩვენა ის ადგილი, სადაც გადმოცემის თანახმად, საღვთო რომის იმპერატორი ოტონ III უნდა ყოფილიყო დაკრძალული. მერე მოხუცმა ჩემი სადაურობა იკითხა. როდესაც გაიგო, რომ საქართველოდან ვარ, მოხუცს სახე შეეცვალა, თითქოს ხმაც აუკანკალდა. მერე ენის ბორძიკით მკითხა, ხომ არ გაგიგიათ ასეთი სახელი – ანიტა თუთხალია – ქართველი მწერალი ან ფილოსოფოსიო. მე ვუპასუხე, რომ ასეთი გვარი საერთოდ პირველად მესმოდა. მოხუცი მაშინვე გამეცნო, მითხრა, რომ მუსიკოსი იყო და უკვე 70 წელია, ამ ეკლესიაში ორღანზე უკრავდა. მერე მთხოვა, რომ სახლში გავყოლოდი. მოხუცი იქვე, ეკლესიის მახლობლად მდებარე "ცაიტბლომერ–აფოთეკეს" თავზე მდებარე ერთ ძველ ბინაში ცხოვრობდა. და აქვე, მის სახლში აღმოვაჩინე ანიტა თუთხალიას რამდენიმე ხელნაწერი.

როგორც მოხუცმა მიამბო, ანიტა თუთხალია 1938–1939 წლებში 16 თვის განმავლობაში ოთახს ქირაობდა მის სახლში: გარეგნულად იგი საკმაოდ ახალგაზრდულად გამოიყურებოდაო, თუმცა არც მე მეკითხავს და არც მას არასდროს უთქვამს თავისი წლოვანებაო: დაახლოებით 23–25 წლის ბიჭი, ხვეული, მუქი წაბლისფერი თმებით. სწავლობდა ჰალეს უნივერსიტეტში – თეოლოგიას და ფილოსოფიას. მერე, როდესაც ერთერთი მისი პროფესორი ნაციონალ-სოციალისტებმა უნივერსიტეტიდან გააძევეს, ჰალესკენ საერთოდ აღარ გაუხედავსო. გვიან ღამემდე მის ოთახში შუქი არ ქრებოდაო. ხშირად დადიოდა ეკლესიაში კონცერტებსა თუ მუსიკალურ საღამოებზე, სადაც მე მაშინ საჯარო სემინარებს ვატარებდი მუსიკის ისტორიაშიო. კამათში ანიტაც ხშირად მონაწილეობდა. მოხუცის თქმით, მას საინტერესო დაკვირვებები ჰქონია ბეთჰოვენის 32-ე საფორტეპიანო სონატის (დო მინორი, ოპუსი N 111) შესახებ. ვეხვეწებოდი, დაეწერა და გამოექვეყნებინა, მაგრამ ვერაფრით დავითანხმე, ამბობდა, მუსიკათმცოდნე არა ვარო. მოგვიანებით შევიტყვე, რომ ანიტას ეს ხელნაწერი ერთი თავისი ლიუბეკელი მეგობრისთვის გაუგზავნია, რომელიც ამ დროს აშშ-ში ცხოვრობდა როგორც ემიგრანტი. ანიტა თუთხალიას გერმანულ ენაზე რამდენიმე ფილოსოფიური და ლიტერატურული ნაშრომი ჰქონია. ლექსებს მხოლოდ ქართულად წერდა და მერე მე და ჩემს მეუღლეს ზეპირად გვითარგმნიდაო.

ანიტა ხშირად ავადმყოფობდა. ბოლო ხამი თვის განმავლობაში მაინც საშინელი თავის ტკივილები ჰქონია. როგორც ჩანს, რაღაც მძიმე სენით ყოფილა დაავადებული. მაგრამ ფიზიკურ ტკივილებზე მეტად რაღაც სულიერი ტკივილები აწუხებდაო. მერე ერთ დღეს ყველა თავისი ხელნაწერი ბუხარში შეუყრია. ეს რომ დავინახე, შეშინებული მივვარდი, ამას რატომ სჩადი-მეთქი. ანიტამ ღიმილით მიპასუხა: "Ad majorem Dei gloriam!" "ღმერთის უფრო განსადიდებლად"(ლათ.). მერე აუჩემებია, კაიზერსაშერნიდან უნდა წავიდეო. მე და ჩემი მეუღლე დიდხანს ვეხვეწებოდით, შეეცვალა თავისი გადაწყვეტილება, მაგრამ ვერაფერს გავხდით. ამის შემდეგ მოხუცმა ანიტა თუთხალიას რამდენიმე ხელნაწერი გადმომცა, რომელიც შემთხვევით გადარჩა განადგურებას (ალბათ, ვერ იპოვაო) და მთხოვა მათი საქართველოში ჩამოტანა, და თუ საჭიროდ ჩავთვლიდი, გამოქვეყნებაც. აგრეთვე მთხოვა ხელნაწერები გერმანულადაც მეთარგმნა.

იმ ღამეს მოხუცთან დავრჩი და ხელნაწერების მხოლოდ გაშიფვრა და გადაწერა მოვასწარი. მეორე დღეს ბერლინის ნაცვლად პირდაპირ ზაარბრუკენისაკენ გავემგზავრე, სადაც გერმანიაში ყოფნის დროს ვსწავლობდი. ათიოდ დღეში ხელნაწერები გერმანულად ვთარგმნე და მოხუცს გავუგზავნე. ორი დღის შემდეგ კაიზერსაშერნიდან პატარა წერილი ჩამომივიდა, სადაც ეწერა, რომ 94 წლის ვენდელ კრეჩმარი (ასე ერქვა მოხუცს) ერთი კვირის წინ გარდაცვლილიყო.

სხვა, ანიტა თუთხალიას შესახებ ვერც გერმანიაში და ვერც დასავლეთ ევროპის სხვა რომელიმე ქვეყანაში ვერაფერი გავიგე. არც თბილისის ცენტრალურ არქივში აღმოჩნდა რაიმე დოკუმენტი, სადაც ამ სახელისა და გვარის ადამიანი იქნებოდა მოხსენიებული. რაც შეეხება თუთხალიების გვარს, ორი ოჯახი ცხოვრობს ხობის რაიონ სოფ. ხეთაში და ათი ოჯახი მარტვილის რაიონის სოფ. ნესაში. მათთან დაკავშირება მხოლოდ წელს მოვახერხე, მაგრამ, სამწუხაროდ, სრულიად უშედეგოდ. ყველას უცნაურად ეჩვენებოდა მისი სახელი ანიტა, რომელიც საქართველოში მამაკაცის სახელად საერთოდ არ გვხვდება.

იქნებ მისი ნაწერების გამოქვეყნებამ მაინც მოჰფინოს ნათელი ამ იდუმალებით მოცულ პიროვნებას.

გიორგი მაისურაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ანიტა თუთხალია

## ტროადული ოპტოგრამა

### მიძღვნა

### ჰიმნი აპოლონს

შენს საკურთხეველს,
თეთრით მოსილი ქურუმები რომ ამკობენ დაფნის ფოთლებით
და შენი შუქით
უსინათლონი გახსნიან ბაგეს,
შენს ხმას,
შენს სიტყვას
რომ  ამცნობენ
გადაქანცულებს გრძელი დუმილით,
თუკი მისწვდება ჩემი სუნთქვა  და ჩემი ფიქრი,
მეც დამანახე,
მეც გამიმხილე იდუმალება,
მიუწვდომელი მოკვდავთათვის
და მხოლოდ შენთვის აღვლენილი ხმა ქურუმების,
ოქროს ქნარებით მოფენილი შენი ძისაგან,
ო, მეც გამიღე თუნდ ერთი წამით უკვდავების შენი ჭიშკარი,
რომ განსხივოსნდეს ჩემთვის შენი გულის ხმაური
და მეც ვიხილო ბედისწერა გარდაუვალი
და არ შევძრწუნდე,
როგორც შენი გმირი რჩეული,
შენი ქალაქის,
        შენი კედლის
                მკერდით დამცველი
და განწირული სიკვდილისთვის,
                        სიყვარულისთვის,
ვინც ბედისწერას შეეგება შენი ქნარით,
                                შენი ისარით
და არ დამარცხდა,
განწირული,
როგორც ყოველი არაუკვდავი...

ო, მეც მითხარი ჩემი ბედი,
წინასწართქმული,
არ შემაშინოს ალმოდებულ ტაძრების ხილვამ,
სადაც არასდროს
ჩემთვის არავის არ ულოცია,
არც სიყვარული მიმიღია ქალწულ ღმერთისგან

ეროვნული ბიბლიოთეკა

და არც ცრემლები,
დაღუპულ გმირებს რომ ეღვრებიან...

მოდი, გამიღე იდუმალი შენი ბაგენი,
რათა ავმაღლდე
შენი ძის ქნარით
და სიყვარულით.

## ორაკულების სიმღერა

ღამეა,
დათოვლილ ქალაქის ხეებზე
გალობენ სისხლიან თვალებით ყორნები,
ო, ნუ აღელდებით,
იძინეთ ღამეში,
სიცოცხლე ყორნების ქონგურზე ჰკიდია.
წამოთოვს ცრემლები დაბინდულ მთვარიდან,
დღესაც ავდარია და მკვდარი ხელებით
ჩაებნენ განწირულ თამაშში ღმერთები.
ნუ გლოვობთ ღამეში დაკარგულ პატარებს,
მათ უკვე მობეზრდათ უსრული თამაში,
თქვენ არ დაბერდებით
და გრძელი სამარე
ყვავილთა დაწნული ფუნჯებით დაბარეს.

დამძიმდა ლოდინი,
დასრულდნენ ოდები
და დიდი სამშობლო გაგვწირავს პატარებს,
ჩვენ ვეღარ მიგვეგნო დაკარგულ სახლისთვის
და უსახლკარობა
აღარ გვიხაროდა.

## დასაწყისი

(ილიონის დილა)

ალბათ, პირს იბანს გაღვიძებულ ბალახში ნამი,
პირველი სხივი შეეჯახა მძინარეს ჩუმად,
მზემ გამოგზავნა
მახარობლად,
რომ დაბადება ემცნო ყველასთვის:
მე დავიბადე,
კვლავ თქვენთან გავჩნდი ამ ახალ დილას,
რათა სიცოცხლე მეშვა თავიდან

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და ჩემთან ერთად
საფლავებიდან აღმდგარიყვნენ მკვდარი გმირები.
გაქრება ღამე
და ძლიერ მალე
ვარდების სურნელს მიმოაბნევს დილის ნიავი.

მაგრამ იძინეთ
და ნუ გაკრთობთ წითელი დილა,
შეხედეთ ფერმკრთალ ვარსკვლავებში ჩაძირულ მთვარეს,
და დაახურეთ
მზის სხივებისგან მოქსოვილი საბანი ფრთხილად.
ნუ დაბრუნდებით სიზმრულ გზებიდან,
საგულდაგულოდ გადარაზეთ რკინის ჭიშკარი,
ციდან ეშვება დღეს ყველა ღმერთი
და ცეცხლოვანი ცხენების ფლოქვებს
გადაუღებავთ სისხლისფერად დღეს დედამიწა,
განწირულია ვინც შეხვდება ღმერთებს მიწაზე.
სისხლიან თასით ჩაიქროლებს მკაცრი თემიდა
და ალვის ხეზე დაეშვება მძიმე სასწორი.

* * *

იჩქაროს ყველამ,
დაიბინდა დილით ცისკარი,
შავად შეღებეს მზის სხივებმა ვარდის რიყრაჟი
და ბედისწერა შემოერტყა თეთრი ნავებით
უკანასკნელად გაღვიძებულ ქვიან ნაპირებს.
საკურთხეველზე ანთებულან უკვე ალები
და სახაკლაოდ გადაქცეულ ქალაქის ქუჩებს
გადაევლება ოქროსფერი თმების სინათლე.
ის გამოჩნდება
და უკანასკნელ სხივებს იხილავს
ქვებად ქცეული
მოხუცებულ ბრძენთა თვალები...

### ჰიმნი ელენეს

დღეს უკვე დროა,
რადგან ჩემს ფიქრებს სასიკვდილო ხელი ახელი
და ალბათ ტროას
კვლავ დაანგრევს შენი სახელი,
თუ შენ თვალიდან ჩაძირული მთვარე ამოვა.

ბიბლიოთეკა

რისთვის გეძებდი,
რად მოგართვი სამსხვერპლოდ თავი,
რატომ გაფანტა ქარიშხალმა ფოთლების თოვა,
არ იყო გლოვა,
როცა დალუპულ ღმერთების გვერდით
ჩემს გარდაუცვლელ მოჩვენების სუნთქვა იყავი.
ბოლოს გამოჩნდი,
ვინ მოგიხმო,
რისთვის მოხვედი?..
ოქროს საყვირით შეზანზარდა მკვდარი ქალაქი
და ფერდაკარგულ დედოფლებს შორის
მე ერთადერთი ნიაღვარი შენ შეგიცანი.
მაშინ დასრულდა
უსასრულო წუთების გროვა,
დაე დაეცეს
არა ერთი –
ათასი ტროა,
თუ ჩემთან მოვა
დაუსიზმრელ ხმაურში გლოვა
და შენ ერთადერთს
მე მოგიტაცებ
და მთელ სამყაროს გადაფარავს შურის ხანძარი,
ისევ აღსდგება საფლავიდან ყველა ბერძენი
და სასაფლაოდ გადაიქცევა კვლავ დედამიწა.
წავიდეთ ჩქარა,

რადგან დღეს მე ერთს არა მაქვს ბინა,
                    აღარც სამშობლო,
ჩემს სარეცელშიც მკვდარ ღმერთებს ძინავთ
და არც გაქცეულთ არ მიგვიღებს უცხო ტაძარი.
მაგრამ კი დროა,
რადგანაც უნდა დაეცეს ტროა
და შენს სიყვარულს ბრძოლის ველად გავუშლი მკლავებს.
იქნება გლოვა
და დაღუპულს შენს ტკბილ ბაგეში
გამახსენდება ბედისწერა – მკვდრეთით აღდგომის
და როგორც არესს,
არდაქანცულს ომის თარეშში
შენი თვალების ელვარება მე შემიყვარებს.

* * *

ო, გმირო ჰექტორ,
შენთვის გაიღო ალმოდებულ ტაძრის კარები,

შენთვის შეკაზმეს საომარი ეტლის ცხენები,
შენთვის მოფრინდნენ ქალღმერთები ცეცხლის ფარებით
და დღეს ამ ფარზე სამუდამოდ დაესვენები.
ო, გაიღვიძე,
ადექი, ჰექტორ!
დღეს უკვე დროა,
უნდა დაეცეს,
წაიშალოს მიწიდან ტროა.
შენ ხარ ქურუმი
და საკუთარ სულს შემოსწირავ მრისხანე ღმერთებს,
რადგან მოკვდავი
სამეფოს ღმერთთას დღეს შეუერთდეს
და დაიბადოს სიკვდილისგან ღმერთი ახალი
და როგორც მსხვერპლი,
განწირული,
ის ჩვენთვის მოკვდეს.

* * *

იქნებ ადრეა ყველაფერი,
იქნებ არცა ღირს,
ნუთუ აქ არის დასასრული,
ბოლო წერტილი
და აქ იწყება შორი ნაპირი
არარაფერის...
ვხედავ
გაშალეს ნავსადგურზე შავი აფრები
და მეზღვაურიც მოჩანს უკვე –
კვერთხით ჰერმესი.
აღვაპყრობ ხელებს
და შევავედრებ ბოლოჯერ სიტყვას:
„იქნებ ადრეა ყველაფერი,
იქნებ არცა ღირს...“
და კვლავ დუმილით საბოლოო პასუხი ითქვას.
და ქარიშხლები გაფანტავენ მზის სხივებს ცაზე
და თვით სამყაროც დუმდება სიკვდილის ხმაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჰიმნი არესს

მოჰქრიან მხედრები,
კვდებიან ღმერთები
და ცეცხლში იწვება ღმერთების ტაძარი,
მე დედამიწა ზეციდან დავძარი
და გადალესილ მახვილს ვევედრები:
ჩააქრეთ სხივები მზისაგან შობილი,
ბოლოჯერ გიბრძანებთ
მე,
ღმერთი ყოფილი,
დაიმსხვრას სამყარო უსასრულ ლოდინის,
დასისხლულ თვალებში
მფრინავი რაშებით,
მე ღმერთებს მოვტაცე საბრძოლო ეტლები
და უკანასკნელ ბრძოლაში ვებმები.
დრო არის
მოსულან
განკითხვად მხედრები
და მე დღეს მარტო ვარ სიკვდილის წინაშე...
დაბნელდა სამყარო,
დაბნელდნენ სულები
და მზეც გარდაცვლილი სისხლისგან დაცალეს.
აღარ ჩანს ღრუბლები დაღარულ მკერდიდან,
საფლავებს აპობენ მოკლული ღმერთები
და მწყემსი ჰერმესი მომყვება გუგუნით.

მე კვლავ დავბრუნდები დანგრეულ მთებიდან
და ღამენათევი დამხვდება თემიდა...
დასრულდა სამყარო,
დასრულდნენ სიზმრები,
დრო არის,
მოვსულვარ სიკვდილის ფერებით,
დრო არის, დრო არის, დრო არის!

## ჰექტორი

როგორ დაბნელდა,
სისხლიანი დაფრინავენ ანგელოზები
და მე მარტო ვარ
და არ მაშინებს დილის ნიავი,
ცივმა სიზმრებმა მომიხურეს რკინის კარები
და ხელგაშლილი ვეგებები უტკბილეს წამებს
ჩემი დაღუპვის.

ვხედავ მოჰქრიან
ცეცხლიანი ეტლით ღმერთები
და ამომავალ მზის სიწითლეს
აერევა დღეს ჩემი სისხლი.
ვხედავ ჩემს სიკვდილს,
შავ აფრებად გადაჭიმულს ჩემს ხის ხომალდზე,
ნუ მგლოვობს ტროა,
ნუ დამტირის თეთრი ღრუბელი,
თვით მეხთამტყორცნელს გადაუწყვიტავს დღეს ჩემი ბედი
და მარტოდმარტო
საბოლოო ომში ვებმები.
ძრწოდეთ, ღმერთებო,
დღეს მარტო ვარ მე თქვენს წინაშე
და ვერ შემაკრთობს
აღმართული ვერცხლის ისარი.
მე ერთს მხვდა წილად
სიკვდილი მთაზე,
მე ვიღუპები
დაქცეული სამყაროს ხმაზე
და ნუ ზეიმობთ,
ჩემი სიკვდილით იღუპება მთელი სამყარო
და განწირული ღმერთები ცაზე.

როგორ დაბნელდა,
სისხლიანი დაფრინავენ ანგელოზები,
კმარა, ღმერთებო,
და ჩააქრეთ ბოლო სანთელი.

* * *

მზე ჩაესვენა
და ვარსკვლავებიც არ ჩანდნენ ცაზე
ღამის სიბნელემ მოიტაცა
ვერცხლისფერი მთვარის პერანგი,
ღრუბლებს და მიწას
დადებოდათ წითელი ფერი
და მკვდარ სამყაროს აცილებდნენ ყმუილით მგლები.

* * *

მე გავუყვები
ვიწრო დერეფნებს და უცნობ მიწას,
ირგვლივ სიჩუმე და უსინათლო ღრუბლების ხმები

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამაცილებენ შემომინულ უცხო მხარეში.
არავინ არ ჩანს,
ყველას ძინავს უსრულ ღამეში,
ყველა დადუმდა გასაოცარ იდუმალ ძილით,
არც წვიმის წვეთებს უხარიათ
სახურავებზე საქორწილოდ უგზოდ თარეში,
ან კიდევ ცვარად მიმობნევა ბალახში დილით,
აღარც ქარი ჩანს
სასაფლაოს კედლების მკვიდრი,
თვითონ გმირებიც,
ღმერთთა შვილებიც, მორჩნენ სიარულს,
აქ ვერ ვიხილავ სიცოცხლიან თვალებს მხიარულს
ყველა დადუმდა,
ყველა გაქრა,
ეწია სასრულს
და შავი აფრა,
აფარებული მკვდართა მიწაზე,
მოეფინება
ცივი გალავნის ეულ ტუსაღებს.

## ჰიმნი აფროდიტეს

ო, აფროდიტე,
შენს მოლოდინში აშრიალდა სუნთქვა ზამთარის,
ცივმა ქარებმა გადათელეს თეთრი ბაღები
და ოცნებებმა მიატოვეს დღეს ტუსაღები.

იქნებ გამოჩნდი, ვარსკვლავიდან შეავლე მზერა
ლურჯ მოსასხამში ჩაძინებულ უსულო ფუნჯებს,
მალე ჩამოთოვს და ჭაღარა ქალაქის ქუჩებს
დალექავს შენი ძოწისფერი ცრემლების ძგერა.

ო, აფროდიტე,
დღესაც გიცდიან მეოცნებე შენ ტუსაღები,
ვინც სიყვარულით ელოდება კვლავაც აღდგომას,
მოდი, დალეწე რკინის კარი და ქვის თაღები
და აღდგომისთვის იასამნით მორთე ბაღები.

შენ კვლავ არ ჩანხარ, ჩამოიქცა უკვე ზამთარი,
ცივ მოედნებზე მოცეკვავენ სიმწრით ალები,
ვიცი, იქნება ჩვენს ქალაქში მუდამ ავდარი
და შენს სამხვერპლოდ დააქცევენ ცხელ სისხლს ხარები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გესმის,
რეკავენ სამრეკლოზე რკინის ზარები
და განსვენებულთ,
შეუფოთლავ ჭადრების ხმაზე
არ მიღებენ საიქიოს შენი თვალები.

## დაბრუნება

მე დავბრუნდები მიტოვებულ შორეულ მხარეს,
როცა საუბრად მომიხმობენ შენი ფიქრები,
მე არც ოქროსფერ შემოდგომის მწყემსი ვიქნები
და არც შენს თვალებს შემოვწირავ სისხლიან ხარებს.

ვიცი, დღეს უფრო ძნელი არის შინ დაბრუნება,
იქ კვლავ მელიან სიმარტოვის ძველი მდგმურები
და შენს ლოდინში დაჭკნებიან გაზაფხულებად
ღამით შობილი ყვავილების თაიგულები.

მერე იქნება გაშიშვლებულ ქალაქში ზარი
და ჩემს სარკმლიდან გაფრენილი მოხვალ ცრემლებად,
თოვლის ფანტელებს ბეჭდის თვლები ამოევლება
და უსახლკაროდ დარჩენილებს იშვილებს ქარი.

ასე გარეკავს ცრემლმორეულ ძველ ზღაპარს მწყემსი
და უშენობა სველ ქუჩებში დაისადგურებს
და თუ ჩაუვლი მონატრებულ სახლის აგურებს,
ალბათ ჭადრებთან შემოგხვდება შენ ჩემი სახე,
მე დავბრუნდები ვარდგაცვენილ ხიდან ეკლებით
და შენს თვალებში სამუდამოდ ავირეკლები.

## შეხვედრა
(ილიონის ღამე)

აღარც ჰექტორი
და აღარც ტროა,
არც შენი სახე
და აღარც სევდა,
მხოლოდ წარსული
და უსახური
დრო გაყვითლებულ ბარათებს ხევდა.
აღარ ანათებს
მზე ძველ ქალაქებს
და არ აანთებ
სანთლის საათებს
შენ გრძელი ღამის გამოდარებად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მხოლოდ კედლები,
მკვდარი მხედრები,
ვის ვევედრებით?! –
ისიც მკვდარია...
ო, სად არიან
თეთრი ფიფქები,
დღეს ავდარია
და გვიხარია,
რომ ანგელოზი ვერცხლის ისრებით
ღმერთებს უჩუმრად გამოპარვია.
ბოლოს გაათევს
ღამე საათებს
და ქუჩის ბოლოს შეგხვდები ისევ,
აღარც სამშობლოს
და არც ჩვენს სახლებს
დღეს მოგონება ხელს აღარ ახლებს.
ის გაგვახსენებს
ჩვენს გამქრალ ქალაქს,
სადაც მზე ეტლებს
ზღვის ფსკერზე ჩააქვთ,
მაგრამ დახედავს ისიც საათებს
და დაიწყებას მიგვაბარათებს.

## გამოთხოვება

სახურავები დახცქერიან ქვიან ნაპირებს,
სანაპიროზე სიცივეა
და თეთრი ნისლი ეფინება შენს ზღვისფერ თვალებს.
შენ ისევ შორს ხარ
და ისევ უცდი გაზაფხულს და
თეთრი ფიფქების აყვავებულ ნუშისგან ცვენას.
მე შენ მიყვარდი
და შენთვის მქონდა თეთრი ნუში გადანახული,
მაგრამ დამთავრდა მოგზაურობა ჩვენი ეტლებით,
როცა ჭლექიან ფოთოლცვენის გამხმარ ყვავილებს
გადაავიწყდათ გაპარული ცხელი ზაფხული.

დიახ, ეს მე ვარ,
შენი სუნთქვა ცვრიან ღამეში,
შენი ცრემლები, შენი ხმა და ჩუმი სიტყვები,
მუქი ფარდებით დაფარული ჩვენი ოთახი
და უძილობით დაწერილი ტკბილი ზღაპრები.

მაგრამ დამთავრდა,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დავასრულეთ მგზავრობა ბოლოს
და ჩვენ მარტო ვართ
და ერთმანეთს დავეძებთ მხოლოდ.
დიახ, დამთავრდა
ხევდიანი აპრილის წვიმა
და ხველი გზიდან
აღარა ჩანს ძველი სახლები
და დღეს ჩვენს ნაცვლად
ნაწვიმარი გუბურის ფსკერზე
მთვარეს ეძებენ დამშეული ქუჩის ძაღლები.

არა, მე მოვალ, დავბრუნდები მე ჩემს მხარეში,
ქვიან ნაპირებს მოვადგები თეთრი ნავებით,
მაგრამ ვერ მნახავ, გაცილებულს ცრემლთა ღვარებში
და მხოლოდ ნისლი,
არეული შენს  ლურჯ თვალებში
მე გამაცილებს სამუდამოდ ცივ სამარეში...

მე შენ მიყვარდი,
მაგრამ მივყავდი ბედისწერის თოვლიან ნავებს,
რატომ, არ ვიცი,
რატომ გაქრნენ, რად დასრულდნენ ის ტკბილი დღენი,
გაქრა ოცნება, მარტოობა და შენზე ფიქრი
და განშორება გარდაუვალ სისწრაფით მიჰქრის.

მე შენ მიყვარდი
და მიყვარხარ
და გეუბნები,
რომ მეყვარები სამუდამოდ შენ ერთადერთი,
მაგრამ წასულა, შორს წასულა ნავი ხოფებით
და სამუდამოდ, სამუდამოდ გემშვიდობები.

## დასასრული

არც ჰექტორია
და აღარც ტროა,
აღარც შენ ჩანხარ
და ალბათ დროა
დაბრუნებოდი მონატრებულ მშობლიურ კერას
და შენს  თბილ აკვანს,
სადაც შენს ნაცვლად
შენს ახალშობილ პატარა ბავშვს ჩასძინებია...

ასე მთავრდება უსასრულო ეს ისტორია

და მე დავრჩები ისევ მარტო,
მე შენს წინაშე
და აღარასდროს გამოჩნდება მთვარის სინათლე,
შენი თვალების ელვარება რომ დამანახოს.

რა სიბნელეა,
მთელი სამყარო დაფარულა წყვდიად ღამეში,
და სიმარტოვის სიმწუხარეში
მე შენთან ერთად გავუყვები უსასრულო გზებს და ნაპირებს
და არ შევხვდებით აღარასდროს ჩვენ კვლავ ერთმანეთს,
მაგრამ ჩვენ მუდამ ერთად ვივლით,
ვივლით მანამდე,
სანამ აწ უკვე მხოლოდ ჩვენთვის გაზაფხულდება
და მთებზე ასულთ ნაწვიმარზე გვნახავს ნიავი
და მხოლოდ ჩვენთვის დაეშვება ფერი ქლიავის.

* * *

ამბობენ, ლელვის ფოთლებს შეხვდა ხავერდის წვიმა
და მოწყენილი შეეგება დილას ნიავი,
ალბათ ვარსკვლავებს გაზაფხულის ცრემლები სცვივათ
და ციდან მთებზე გადმოეშვა ფერი ქლიავის.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# პოეზია

# და

# ცხოვრება

## რაინერ მარია რილკე



# წერილები ახალგაზრდა პოეტს

რილკეს ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში ამ წერილებს უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს. ისინი ახალგაზრდა პოეტებისათვის ერთგვარ ბიბლიადაცაა მიჩნეული. სამწუხაროდ, უცნობი დარჩა თავად ადრესატის, ახალგაზრდა პოეტის, ფრანც ქსავერ კაპუსის წერილები რილკესადმი. მიმოწერა 1903-იდან 1908 წლამდე გრძელდებოდა.

განუზრელი და უმკაცრესი შინაგანი შრომის შედეგად, გამუდმებით "აზრის ცენტრში" ყოფნიდან იქმნება რილკეს შემოქმედება და მით უფრო საყურადღებოა, თუ რამდენ დროს უთმობს იგი უცნობ ახალგაზრდას, რაოდენი სერიოზულობით, პასუხისმგებლობის განცდითა და, ამავე დროს, გულისხმიერი ხიმკაცრით პასუხობს იგი მის წერილებს.

წერილების წარმოშობის თაობაზე ცნობას თავად კაპუსი გვაწვდის წინასიტყვაობაში, რომელიც მან რილკეს 10 წერილის პირველ გამოცემას დაურთო (გამომცემლობა "ინზელ-ფერლაგი", "წერილები ახალგაზრდა პოეტს", 1929) და რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ.

მთარგმნელი

"1902 წლის შემოდგომა იწურებოდა. ვენის ახალ გარეუბანში, სამხედრო აკადემიის წინ, ბებერი წაბლის ხეების ქვეშ ვიჯექი და წიგნს ვკითხულობდი. კითხვამ ისე გამიტაცა, ვერც შევნიშნე, როგორ მომიახლოვდა ჩვენი სასწავლებლის ფრიად განსწავლული და კეთილი მოძღვარი — ჰორაჩეკი. აკადემიაში სხვა მოძღვარი არც გვყოლია. მან წიგნი გამომართვა, თავფურცელს დახედა და გაოცებულმა წამოიძახა: "რაინერ მარია რილკეს ლექსები!". შემდეგ გადაფურცლა, ერთ-ორ ლექსს თვალი გადაავლო და ჩაფიქრებულმა მითხრა: "მაშასადამე, რენე რილკე ლექსებს წერს?"

და აი, მაშინ მოვისმინე სუსტი, ფერმკრთალი ბიჭის ამბავი. 15 წლის არც ყოფილა, მშობლებს სანკტ-პოლტენის დაწყებით სამხედრო-რეალურ სკოლაში რომ მიუბარებიათ — ძალიან სურდათ მათი შვილი ოფიცერი გამხდარიყო. სასწავლებლის მოძღვარი მაშინაც ჰორაჩეკი ყოფილა და აღსაზრდელიც კარგად ახსოვდა. რილკე ჩუმი, სერიოზული და ძალზე ნიჭიერი ყმაწვილი გახლდათო, მითხრა, მარტოობას ეტანებოდა, ინტერნატის ყაზარმულ წესებს კი მოთმინებით ემორჩილებოდაო. ოთხი წლის შემდეგ, სხვებთან ერთად მორავიის ვაისკირხენის უმაღლეს სამხედრო-რეალურ სკოლაში გადასულა; იქ კი, დიდი დატვირთვისაგან ბავშვი ფიზიკურად დაძაბუნებულა. მშობლებს სასწავლებლიდან გამოუყვანიათ და რილკეს, ოჯახთან ახლოს, პრაღაში გაუგრძელებია სწავლა.

რა ბედი ეწია მას შემდეგ რენე რილკეს, ჰორაჩეკმაც არ იცოდა.

ვფიქრობ, მიმიხვდებით, რატომაც მივმართე რაინერ მარია რილკეს; რატომ გავუგზავნე მას ჩემი პირველი პოეტური ნაცოდვილარი და ვთხოვე, პირუთვნელად მოეხსენებინა თავისი აზრი.

მალე ოცი წელი შემისრულდებოდა და პროფესია უნდა ამომერჩია. სამხედრო სამსახური კი, სიმართლე გითხრათ, გულზე არ მეხატებოდა. წერილის მიწერა არც მიფიქრია, მაგრამ ჩემდა უნებურად ბარათიც დავწერე; მჯეროდა, რომ კრებულის — "ზეიმად ჩემდა" — ავტორი გულისნადებს მიმიხვდებოდა, კიდეც თანამიგრძნობდა და აუცილებელ რჩევასაც მომცემდა. მეტისმეტი მორიდებისა და თავმდაბლობის გარეშე გადავუხსენი გული პოეტს, უნდა გამოგიტყდეთ, ახეთი გულახდილი არავისთან ვყოფილვარ, არც მანამდე, არც მას შემდეგ.

პასუხი მოგვიანებით მივიღე. წერილი პარიზიდან იყო გამოგზავნილი და ხელში ალებისას მძიმე მეჩვენა; ხელნაწერი კი, ვით შინაარსი, ავტორის მტკიცე ხასიათზე მიმანიშნებდა.

ასე დაიწყო რეგულარული მიმოწერა ჩემსა და რაინერ მარია რილკეს შორის და 1908 წლამდე გასტანა. შემდეგ კი შეწყდა. შეწყდა, რადგან ჩემი ცხოვრება სწორედ იმ გზით წარიმართა, რომლისგან ჩემი დაცვაც, გულითადი რჩევითა თუ თანადგომით, ძლიერ ეწადა პოეტს.

თუმცა მთავარი ეს არ არის. მთავარი აქ წარმოდგენილი ათი წერილია. თქვენ ეზიარებით სამყაროს, რომელშიც რაინერ მარია რილკე ცხოვრობდა და ქმნიდა; ეს წერილები, ალბათ, მეგზურობასაც გაუწევენ ყველას, ვინც კი ძიების, განვითარებისა და თვითდადგენის ძნელ გზას მიჰყვება; მეგზურებივით გაჰყვებიან მარად მძიებელი სულის ადამიანებს, იქნებიან ისინი ჩვენი თანამედროვენი თუ შორეული შთამომავალნი. ამასღა დავძენ: როცა დიდი ადამიანი ლაპარაკობს, პატარებს დუმილი გვმართებს.

ბერლინი, ივნისის თვე, 1929 წ.
ფრანც ქსავერ კაპუსი"

პარიზი, 17 თებერვალი, 1903

ღირსეულო ბატონო, ამ რამდენიმე დღის წინ მივიღე თქვენი წერილი. მინდა მადლობა მოგახსენოთ იმ დიდი ნდობისათვის, ჩემდამი რომ გამოიჩინეთ, რადგან კარგად ვიცი მისი ფასი. ამაზე მეტს ვერაფერს გეტყვით: ვერას გეტყვით თქვენი ლექსების აგკარგიანობაზე, ვინაიდან ხელოვნების ნაწარმოებისადმი ყოველგვარი კრიტიკული მიმართება უაღრესად უცხოა ჩემთვის. ხელოვნების ქმნილებას ყველაზე ნაკლებად კრიტიკული განსჯით ჩასწვდება კაცი, რადგან კრიტიკა ყოველთვის ხელოვნების ნაწარმოების მეტნაკლებ ვერგაგებაზეა დაფუძნებული. საგნების ჩაწვდომა და გამოთქმა არც ისე ადვილია, როგორც უმეტესად გვარწმუნებენ. მოვლენათა უმრავლესობა უსახელოა და ისეთ სივრცეში მიედინება, სადაც ჯერ არცერთ სიტყვას არ შეუღწევია; ყველაზე უფრო გამოუცნობი კი ხელოვნების ნაწარმოებებია, – იდუმალებით მოცული არსნი, ჩვენს მახლობლად რომ დამკვიდრებულან და ადამიანთა სწრაფწარმავალ სიცოცხლეზე ხანგრძლივი ყოფიერება აქვთ მომადლებული.

ვინაიდან ჩემი აზრი წინდაწინ უკვე მოგახსენეთ, იმასაც დავძენ, რომ თქვენს ლექსებს საკუთარი სახე არ გააჩნია, თუმცა მათში მაინც იჩენს თავს ინდივიდუალური, თვითმყოფადი საწყისის ფარული მარცვალი. ყველაზე მეტად ეს მარცვალი თქვენს ბოლო ლექსში ("სული ჩემი") იგრძნობა. აქ რაღაც თქვენეულს სურს გადაიქცეს სიტყვად. ხოლო მშვენიერ ლექსში "ლეოპარდისადმი"[1] თავისებური სიახლოვე და ნათესაობაც კი მჟღავნდება ამ დიდ და მარტოსულ ადამიანთან. თუმცა, ვიმეორებ, თქვენს ლექსებს ჯერჯერობით თვითმყოფადი სახე არ გააჩნიათ და საერთოდ, არც დიდ ღირებულებას წარმოადგენენ; თვით ეს ბოლო ლექსიცა და ლეოპარდისადმი მიძღვნილიც. თქვენმა ბარათმა, ამ ლექსებს რომ ახლდა, უფრო თვალნათლივ დამანახა თქვენი პოეზიის ნაკლოვანება, რასაც კითხვისას კი ვგრძნობდი, მაგრამ სახელს ვერ ვარქმევდი.

მეკითხებით, მომწონს თუ არა თქვენი ლექსები. ამჯერად მე მეკითხებით, ისევე როგორც სხვებს ეკითხებოდით ჩემამდე. ლექსებს უგზავნით გამომცემლობებს, ადარებთ სხვათა ნაწერებს და ძალზე განიცდით, ზოგიერთი რედაქცია უარს რომ გითვლით მათ გამოქვეყნებაზე.

მე კი გირჩევთ, რაკი რჩევა მთხოვეთ, თავი დაანებოთ ამ ყველაფერს. თქვენ მთლიანად გარეთ იხედებით, და აი, სწორედ ამას არ უნდა სჩადიოდეთ ახლა. ყველაზე ნაკლებად ამის უფლება გაქვთ. დამერწმუნეთ, სასიკეთოს ვერავინ გირჩევთ და ვერავინ დაგეხმარებათ. გამოსავალი მხოლოდ ერთია: ჩაღრმავდეთ თქვენსავე თავში და მოიძიოთ ის ძირისძირი, წერისაკენ რომ მოგიწოდებთ. შეამოწმეთ: აღწევენ თუ არა მისი ფესვები თქვენი გულის ულრმეს კუნჭულში: თავს გამოუტყდით, მოკვდებოდით თუ არა, თქვენთვის წერა რომ აეკრძალათ. ყველაზე უწინ კი: ღამეული განმარტოების ჟამს ჰკითხეთ საკუთარ თავს: უნდა ვწერო? თქვენივე სულის სიღრმეში ეძიეთ განაჩენი და თუ დადებით პასუხს მიიღებთ, თუკი ამ ყველაზე არსებით კითხვას მთელი თქვენი არსება ურყევ და უბრალო პასუხს მიაგებს – "მე უნდა ვწერო" – მაშინ ააგეთ ცხოვრება ამ აუცილებლობის მიხედვით. თქვენი სიცოცხლის ყოველი უფერული თუ მოსაწყენი წუთიც კი ამ შემოქმედებითი სწრაფვის ნიშანი და დასაბუთება უნდა იყოს. შემდეგ ბუნებას მიუახლოვდით. მერე კი სცადეთ და პირველი ადამიანივით გამოთქვით, რასაც ხედავთ, განიცდით, გიყვართ და ჰკარგავთ. ნუ დაწერთ სამიჯნურო ლექსებს; ერიდეთ გაცვეთილ და გავრცელებულ თემებს, რადგან ძალიან რთულია ახალი თქვა იქ, სადაც კარგი და არცთუ იშვიათად – ბრწყინვალე ტრადიციაც არსებობს; ამისათვის აუცილებელია დიდი და მომწიფებული ძალა. გირჩევთ, დაეხსნათ ზოგად მოტივებს და ყურადღება თქვენს ყოველდღიურ ცხოვრებაზე გაამახვილოთ: აღწერეთ თქვენი სულის ყოველი თრთოლვა, თქვენი ნაღველი და სურვილები, სწრაფწარმავალი ფიქრები და ის, რაც

რაიმე მშვენიერების რწმენას გიღვიძებთ. ახსენით ყოველივე ჩუმი, შინაგანი თვინიერებითა და გულწრფელობით; საკუთარი თვითგამოხატვისათვის მოიშველიეთ გარემომცველი საგნები, სიზმარეულ-ოცნებისეული სურათ-ხატები, მოგონებას შემორჩენილი ნივთები თუ ადამიანები. თუკი თქვენი ყოველდღიურობა უფერულად და უშინაარსოდ გეჩვენებათ, მიზეზს სხვაგან ნუ მოიძიებთ, იგი თქვენშია, თქვენი ბრალია და უნდა აღიაროთ, რომ ჯერ კიდევ არა ხართ მზად, ჯერ კიდევ არა ხართ პოეტი და თქვენი ცხოვრების საგანძურზეც ხელი არ მიგიწვდებათ; რადგან შემოქმედისათვის არ არსებობს სიღატაკე და მწირი, უმნიშვნელო, არაფრისმთქმელი გარემო. საპყრობილეშიც რომ ყოფილიყავით, რომლის კედლებშიც უბრალო ჩქამიც კი ვერ შემოაღწევდა, განა იქ კი ცარიელი და უბადრუკი იქნებოდა თქვენი ყოფა? განა თქვენთან არ იქნებოდა თქვენი ბავშვობა, ეს ფასდაუდებელი, მეფური საუნჯე, მოგონებათა ეს განძთსაცავი? ყური მიუგდეთ მას და ამოტივტივდებიან შორეულ წარსულში ჩამირული ამბები, თქვენი პიროვნება ძალითა და სიმტკიცით აღივსება, თქვენი მარტოობაც განივრცობა, გაფართოვდება და მწუხრით შენაბინდარ სახლად გექცევათ, სადაც ველარ შემოაღწევს სხვათა ხმაური. თუ საკუთარი თავისაკენ ასეთი მიქცევის შედეგი, საკუთარ არსში წიაღსვლის შედეგი ლექსები იქნება, მაშინ აზრადაც არ მოგივათ, ვინმეს ჰკითხოთ: კარგია ეს ლექსები თუ არა: რედაქციების დაინტერესებასაც აღარ ეცდებით: რადგან თქვენს ლექსებში თქვენთვის ბუნებრივ, საყვარელ საუფლოს დაინახავთ, თქვენი ცხოვრების სისხლხორცეულ ნაწილსა და ხმას. ხელოვნების ქმნილება კარგია, უკეთუ მას შინაგანი აუცილებლობა წარმოშობს; ხელოვნების ნაწარმოების ამგვარი წარმომავლობა მისი შეფასების საზომიცაა და მისი ღირსების განმსაზღვრელიც: სხვა კრიტერიუმი არ არსებობს. ამიტომ, ღრმად პატივცემულო ბატონო, ჩემი რჩევა იქნება: დაადექით თქვენსავ სიღრმეში მიმავალ გზას და მოჩხრიკეთ, სად იღებს სათავეს თქვენი ცხოვრება: ამ სათავესთან იპოვნით პასუხს კითხვაზე, უნდა ქმნიდეთ, თუ არა. ნუ შეგაშფოთებთ პასუხი, როგორიც არ უნდა იყოს იგი, და ნუღარ ეცდებით მის განსჯას; თუ თქვენი მოწოდება ხელოვნებაა, მაშინ მიიღეთ და ატარეთ ეს მძიმე და დიადი ხვედრი და საზღაურს ნუ მოჰკითხავთ გარე ქვეყნიერებას; რადგან შემოქმედი თვითონ უნდა იქცეს თავისთავად სამყაროდ და ყოველივე საკუთარ თავსა და ბუნების წიაღში ჰპოვოს, ბუნებაში, რომელიც მისი სისხლხორცეული ნაწილია და დიადი თანამზრახველი.

თუმცა მოსალოდნელია, რომ საკუთარ არსებასა და მარტოობაში ამგვარი წიაღსვლის შემდეგ პოეტობა აღარც ისურვოთ (როგორც უკვე ვთქვით, საკმარისია იგრძნოთ, რომ წერის გარეშეც ძალგიძთ სიცოცხლე, აღარ გექნებათ წერის უფლება). მაგრამ ამაოდ არ ჩაგივლით, ის, რაც მე გთხოვეთ: თქვენსავე თავთან დაბრუნება. თქვენი ცხოვრება ყველა შემთხვევაში აუცილებლად იპოვის საკუთარ გზას. ძლიერ მსურს, ეს გზა სასიკეთო და ნაყოფიერი იყოს თქვენთვის; ჩემი სურვილი კიდევ უფრო მეტს გულისხმობს, ვიდრე ამას სიტყვებით გამოვხატავ. კიდევ რა უნდა მეთქვა? მთავარი სათქმელი, ვგონებ, უკვე მოგახსენეთ: თუმცა ერთსაც გირჩევთ: მუდამ იზარდეთ შინაგანად, იზარდეთ ჩუმი და სერიოზული თვითგანვითარების გზით. ამ ზრდას ყოვლად უხეშად თვითვე შეუშლით ხელს, თუკი გარეთ დაიწყებთ ძებნას და გარე სამყაროდან დაელოდებით პასუხს იმ კითხვებზე, რაზეც მხოლოდ თქვენი უშინაგანესი გრძნობა გიპასუხებდათ თქვენი არსების უჩუმარეს წუთს. ძალზე გამახარეთ, პროფესორ ჰორაჩეკზე[2] რომ მომწერეთ. გადაეცით, რომ დიდ მოწიწებას განვიცდი ამ განსწავლული კაცისადმი და რა ხანია მისდამი დაუვიწყარი მადლიერების გრძნობას ვინახავ. ამაღელვებელია, რომ ვახსოვარ; კარგად მესმის ამ ხსოვნის მნიშვნელობა. ლექსებს, მეგობარივით რომ გამანდეთ, უკან გიბრუნებთ. კიდევ ერთხელ მოგახსენებთ მადლობას დიდი და გულწრფელი

ნდობისათვის; მე ვეცადე, ოდნავ მაინც გამემართლებინა თქვენი ნდობა და ასევე გულწრფელი, მართლაცდა საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილებით მოპოვებული პასუხი გამეცა თქვენთვის, რადგან მანამდე, ჯერაც უცხო, შესაძლოა არც ვიყავი ამ ნდობის ღირსი.

თანაგრძნობათა და
კეთილი სურვილებით,
რაინერ მარია რილკე

ვიარეჯიო პიზასთან, იტალია,
5 აპრილი, 1903

გომიტევეთ, ძვირფასო ბატონო, 24 თებერვლის წერილზე პასუხი რომ დაგიგვიანეთ და მადლობასაც მხოლოდ დღეს გიხდით. მთელი ეს ხანი ისეთმა უცნაურმა მოთენთილობამ შემიპყრო, გაციებისას რომ იცის ხოლმე; ავად არ გავმხდარვარ, მაგრამ ყოველგვარი საქმიანობის სურვილიც და ძალაც წამერთვა. ბოლოს და ბოლოს, რაკი ვერ იქნა და ვერ მოვიკეთე, მივაშურე სამხრეთის ზღვას, რომლის კეთილმოქმედი ძალაც ერთხელ უკვე გამოვცადე. ჯერ კიდევ არ მოვმჯობინებულვარ, წერა ძალიან მიჭირს და ეს ორიოდე სტრიქონიც უფრო მრავლისმთქმელი იქნება ალბათ.

თქვენი ყოველი წერილი, სასიხარულოა ჩემთვის და ამაში ეჭვი არ უნდა გეპარებოდეთ. ოღონდ ლმობიერიც იყავით ჩემი პასუხის მიმართ, უკეთუ იმედს გაგიცრუებთ; ჩვენ ხომ სულის სიღრმეში, ჩვენი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს და გადამწყვეტ წუთებში, ენით აუწერლად მარტონი ვართ. ამ დროს ერთმანეთის დახმარება რომ შევძლოთ, ანდა ვინმეს რაიმე ვურჩიოთ, ბევრი რამ უნდა მოხდეს, შინაგანად ბევრი რამ უნდა შეიძლოს კაცმა, საგანთა მთელი კონსტელაცია უნდა ჩაერთოს, რომ ბედმა ერთხელ მაინც გაგვიღიმოს და სწორი რჩევა მივცეთ ერთმანეთს, ან დავეხმაროთ.

დღეს კი მხოლოდ ორ საკითხზე გავამახვილებ თქვენს ყურადღებას:

ი რ ო ნ ი ა :

ერიდეთ მას, განსაკუთრებით არაშემოქმედებით წუთებში. ქმნის პროცესში კი გამოიყენეთ, როგორც ცხოვრების შეცნობის კიდევ ერთი საშუალება. სამართლიანი ირონია საჭიროა და არც უნდა მოერიდოთ, თუმცა ზედმეტადაც ნუ მიენდობით, სცადეთ, და თქვენი მზერა და გულისყური დიადი, უფრო მნიშვნელოვანი საგნებისაკენ მიმართეთ, რომელთა წინაშეც ირონია უმწეოა და ძალას დაკარგავს. ეძიეთ საგანთა არსი, სიღრმე; იქ ირონია ვერ აღწევს: – და თუ არსს შეიმეცნებთ, ეგებ ისიც გამოიკვლიოთ, ირონია შინაგანი აუცილებლობით გამოწვეული თქვენეული ხედვაა, თუ არა; რადგან ამაღლებული და დიადი საგნების წინაშე უბრალო ირონიის სურვილი საერთოდ დაგეკარგებათ, ხოლო თუ იგი თქვენი ბუნების არსებითი და განუყოფელი ნაწილია, დიდად დაგეხმარებათ საკუთარი, თვითმყოფადი ხელოვნების შექმნაში.

და კიდევ რა მინდოდა მეთქვა: ჩემს ბიბლიოთეკაში რამდენიმე აუცილებელი წიგნი მეგულება. მათ შორის ორი, სადაც არ უნდა ვიყო, განუყრელად თან დამაქვს. და აი, ახლაც თან წამოვიღე: ბიბლია, და დანიელი პოეტის იენს პეტერ იაკობსენის[3] თხზულებები, იქნებ თქვენც წაგიკითხავთ მისი ნაწერები. იაკობსენის წიგნების შეძენა ძალზე იოლია, თხზულებათა ერთი ნაწილის მშვენიერი თარგმანი გამოვიდა "რეკლამის" უნივერსალურ ბიბლიოთეკაში. შეიძინეთ ი. პ. იაკობსენის "ექვსი ნოველა" და რომანი "ნილს ლიუნე". კითხვა დაიწყეთ პირველი ტომის პირველივე ნოველიდან, რომელსაც "მოგენსი" ეწოდება, და მყისვე თვალწინ გადაგეშლებათ უკიდეგანო ქვეყნიერება, თქვენ შეიცნობთ ბედნიერებას, შეაღებთ უმდიდრესი განძთსაცავის იდუმალ კარს და თვალს გაუსწორებთ წარმოუდგენლად დიადსა და ღრმა სამყაროს. იცხოვრეთ ერთხანს ამ თხზულებათა გარემოცვაში. მათგან შეითვისეთ ის, რასაც შესწავლის ღირსად სცნობთ, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, შეიყვარეთ ისინი და სიყვარულიც ათასწილად

აგინაზღაურდებათ. მერე კი თუნდაც შეიცვალოთ ან სხვა გზას დაადგეთ, ეს სიყვარული, დამერწმუნეთ, დიდხანს გაგყვებათ და სიცოცხლეს გააგრძელებს თქვენი მრავალსახოვანი გამოცდილების, იმედგაცრუებისა თუ სიხარულის გვირისტებს შორის.

თუკი ოდესმე ვინმე დაინტერესდება და მკითხავს, თუ ვისგან შევისისხლხორცე შემოქმედების არსი, მისი სიღრმისა და მარადიულობის ცოდნა, მაშინ ორ პიროვნებას დავასახელებდი.

იაკობსენს, ამ დიდ, დიდებულ პოეტს და როდენს, უბადლო მოქანდაკეს თანამედროვე ხელოვანთა შორის.

გისურვებთ შეუძლებელი და მიუღწეველი არაფერი ყოფილიყოს თქვენთვის ძიების რთულ გზაზე.

რაინერ მარია რილკე

ვიარეჯიო პიზასთან, იტალია,
23 აპრილი, 1903

ძვირფასო ბატონო, ძალზე გამახარეთ სააღდგომო ბარათით, რადგან იგი კარგის მაუწყებელი აღმოჩნდა: რაკი იაკობსენის დიდმა ხელოვნებამ ასე ღრმა ზემოქმედება იქონია თქვენზე, ვფიქრობ, რომ სწორად მოვიქეცი, როცა თქვენი ცხოვრების უამრავი შეკითხვა სწორედ ამ სავსე საწყაულისკენ მივმართე.

ახლა კი თქვენს წინაშე გადაიშლება "ნილს ლიუნეს" დიდებული და ღრმა სამყარო: რაც დრო გადის, მით უფრო მეტად აღიქვამ ამ ნაწარმოების მთელ სიდიადეს, მით უფრო მრავლისმეტყველი და ცხოვრებისეული სიბრძნით სავსე გეჩვენება: მართლაცდა ყოველივეს მოიცავს იგი: უჩუმეს და უფაქიზეს სურნელსა თუ მძიმე ნაყოფთა უმძაფრეს გემოს; აქ ყოველი მოვლენა და საგანი ბოლომდეა შეცნობილი, განცდილი, გამოცდილი და მოგონებათა მთრთოლვარე ექოში ხელახლა მოძიებული. ამ შემოქმედისთვის ყოველი განცდა ერთნაირად მნიშვნელოვანი და ყურადსაღები იყო; თვით უმნიშვნელოესი შემთხვევაც კი ბედისწერის ნიშანს ატარებს, ხოლო თავად ბედისწერა საკვირველ, ვრცელ ქსოვილს ჰგავს, სადაც ყოველი გვირისტი უსაზღვროდ ნაზი ხელით არის ჩაქსოვილი სხვა გვირისტებში, მათთან ერთად ქმნის მთლიანობას, რომლის აუცილებელ და განუყოფელ ერთეულს თავადაც წარმოადგენს. თქვენ ამ რომანის პირველად წაკითხვის ბედნიერება გელით წინ. უეცრად უცხო სამყაროში გადაინაცვლებთ, გამოუცნობი სიზმარივით გაგაოგნებთ მისი მოულოდნელობით აღსავსე გარემო. თუმცა, შემიძლია გითხრათ: რამდენჯერაც არ უნდა წაიკითხოთ ეს რომანი, მისი ზემოქმედების ძალა ოდნავადაც არ განელდება: იაკობსენის ნაწარმოებები არც მათთვის ჩვეულ ჯადო-ძალას კარგავენ და არც მომნუსხველ ზღაპრულობას, რითაც პირველი წაკითხვისთანავე ხიბლავენ ადამიანს. დრო ღირსებას ჰმატებს და არას აკლებს ამ ნაწარმოებს, და მადლიერების გრძნობით ივსები, რადგანაც სიბრძნეს ეზიარე, სამყაროს უბრალო და უშუალო აღქმის სიბრძნეს და თავადაც უფრო ღრმა რწმენით განიმსჭვალე სიცოცხლისა და საკუთარი თავის მიმართაც, რადგან შეიცანი საკუთარი, თავისუფალი და ძლიერი ბუნება.

თქვენი აზრი რომანის – "აქ ვარდნი უნდა ხარობდნენ", – ფორმის სრულყოფილებისა და დახვეწილობის თაობაზე სრულ ჭეშმარიტებას წარმოადგენს; მართალს ბრძანებთ წიგნის წინასიტყვაობის ავტორზეც. თუმცა ჩემი თხოვნა იქნებოდა, რაც შეიძლება ნაკლებად იკითხოთ ესთეტიკურ-კრიტიკული ხასიათის ლიტერატურა: კრიტიკული ნაწერები ძირითადად ამა თუ იმ პარტია-დაჯგუფების აზრდაკარგული, უსიცოცხლო შეხედულებებია, ანდა მოხერხებული სიტყვათთამაში, სადაც დღეს ერთი თვალსაზრისი ბატონობს და ხვალ მეორე – მისი საწინააღმდეგო: ხელოვნების ქმნილებანი უსასრულო მარტოობითაა აღბეჭდილი და მათი წვდომა ყველაზე ნაკლებ სწორედ კრიტიკას ხელეწიფება. მხოლოდ სიყვარულს ძალუძს სამართლიანი იყოს მათ მიმართ, შეიცნოს და შეინარჩუნოს ისინი. საკუთარ თავ-

სა და შინაგან ალღოს უნდა ენდო კაცი და არა რომელიმე ნაწარმოების წინასიტყვაობა-განხილვას ანდა ლიტერატურულ კრიტიკას; დაეუშვათ, ცდებით, მაშინ იცოდეთ, რომ თქვენივე შინაგანი ცხოვრების ბუნებრივი ზრდა თანდათან ოდესმე მაინც მიგიყვანთ უფრო სწორ და მართებულ თვალსაზრისთან. ადროვეთ წყნარი მწიფობა თქვენს აზრებსა და შეხედულებებს, ხელს ნუ შეუშლით თქვენი ჩარევითა და ძალდატანებით. ყოველგვარი წინსვლა ღრმა შინაგანობიდან უნდა მომდინარეობდეს, გამორიცხულია ამ პროცესის დაჩქარება და წაბიძგება. ყველაფერი ნამდვილი ისახება, მწიფდება და მერე იბადება. თქვენი ყოველი შთაბეჭდილება, განცდის სულ პატარა ჩანასახიც კი საკუთარ წიაღში, სიბნელეში, გამოუთქმელში, არაცნობიერში, თქვენივე გონებისთვისაც მიუღწეველ სიღრმეში უნდა ატაროთ, რათა იქ სრულიქმნას იგი. შემდეგ კი ღრმა მორჩილებითა და მოთმინებით უნდა დაელოდოთ ახალი ჭეშმარიტების დაბადების საათს: აი, მხოლოდ ამას ჰქვია ხელოვანის ცხოვრება, როგორც აზროვნება ისე შემოქმედება.

აქ დროის საზომი აღარ არსებობს; წელიწადი არაფერია, და ათწლეულებიც წამის უსწრაფეს განილევიან. იყო ხელოვანი, ნიშნავს: არა თვალო და იანგარიშო, არამედ ნელა მწიფდე ხესავით, ფესვებში ახმაურებულ წვენებს ძალას რომ არ ატანს; იგი იმედიანად დგას გაზაფხულის ქარიშხლებში და არ ეშინია, ვაითუ გაზაფხულს ზაფხული არ მოჰყვესო. ზაფხული კი მოდის; მაგრამ ის მხოლოდ მათთან მოდის, ვინც მოთმინებით ელოდა, ვინც ისე უზრუნველად, მშვიდად და ფართოდ ცხოვრობს, თითქოს მარადისობა ჰქონდეს წინ გადაშლილი. მე ვსწავლობ ამას ყოველდღიურად, ვსწავლობ ტკივილებით, რომელთა მადლობელიც ვარ:

მოთმინება ყველაფერია!

რიჰარდ დემელი:[4] როცა მის წიგნებში კარგ პასაჟს წავაწყდები, მომდევნო გვერდის გადაფურცვლის მეშინია ხოლმე; მეშინია, არ დაამახინჯოს და გააუბრალოოს ყოველივე ის, რაც მშვენიერია და სწორედაც რომ სიყვარულის ღირსია. საცსებით სამართლიანად შენიშნავთ, როცა ამბობთ: "ეს არის ვნებით სავსე ცხოვრება და შემოქმედებაო" – და მართლაც შემოქმედებითი წვა ძალზე ენათესავება სხეულებრივ, სქესობრივ განცდას და მათი ტკივილი თუ სიტკბო სინამდვილეში ერთი და იმავე ლტოლვისა და ნეტარების სხვადასხვა გამოვლინებას, სხვადასხვა ფორმას წარმოადგენს. ხოლო თუ ვნების, ჟინის ნაცვლად – სიტყვა სქესს იტყვის კაცი, სქესს მისი ფართო, წმინდა მნიშვნელობით და არა ეკლესიურ დოგმათა აზრით, მაშინ დემელის ხელოვნების მნიშვნელობაც ძალზე დიდია. მისი პოეტური ძალა პირველყოფილი ინსტინქტივით ძლიერია და დაუოკებელი; ეს ძალა საკუთარ, დაუოკებელ, გაბედულ რიტმებს მოიცავს და ამ ინსტინქტიდან, ისე ვით კლდიდან, თავის ნებაზე ამოხეთქს და ამოიფრქვევა ხოლმე.

თუმცა, როგორც ჩანს, მისი ეს ძალა ყოველთვის გულწრფელი და პოზას მოკლებული არ უნდა იყოს; ესეც ხომ ერთ-ერთი მძიმე გამოცდაა ხელოვანის შემოქმედებით გზაზე. მას არც კი უნდა ახსოვდეს თავისი თვისებები, რათა მათ უშუალობა, სიწრფელე და სიწმინდე შეინარჩუნონ. მაგრამ ხშირად ხელოვანის არსებაში ახმაურებული სხეულებრივი ძალა აუცილებელ სიწმინდეს ვეღარ ეზიარება ხოლმე, ვეღარ იქცევა დადუღებულ და დაწმენდილ, სპეტაკ ეროტიულ განცდად; რადგან ის ძალა ადამიანური კი არა, მხოლოდ მამაკაცურია, ვნებაა, ჟინია და ფორიაქი; ამასთან დრომოჭმულ, ცრუ შეხედულებებსა და ქედმაღლობას დაუმძიმებია, რითაც მამაკაცმა სიყვარული დაამახინჯა და შებღალა; ამ მწერლის სქესობრივი განცდაც შეზღუდულია და ველური, რადგან მას უყვარს მხოლოდ როგორც მამაკაცს და არა როგორც ადამიანს. ასეთი ამაზრზენი, წარმავალი ქვენა ზრახვა კი აკნინებს დემელის ხელოვნებას, ორაზროვანსა და საეჭვოს ხდის მას. ეს გაცვეთილი ფორმებითა და ყალბი ვნებებით თავმომწონე შემოქმედება მოკლებული არ არის ბიწიერებას, აუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასურებს ყოველგვარ ღირებულებას და სიცოცხლე არ უწერია (ხელოვნების ბევრი ნიმუშის დარად). ამისდა მიუხედავად, დემელის შემოქმედების დადებითი მხარეებიც არ უნდა დავივიწყოთ, თუმცა შეუძლებელია მიგვიზიდოს და მოგვხიბლოს იმ მხდალმა სამყარომ, სადაც სიყვარულისა და ერთგულების ნაცვლად ღალატი და ქაოსი სუფევს; დემელისათვის ჭეშმარიტი, ნამდვილი ბედისწერა უცხოა და მიუწვდომელი; მისი ხელოვნების წარმავალ, დროებით ვნებათაგან განსხვავებით ჭეშმარიტი ბედისწერა ბევრად უფრო რთულია და ტრაგიკული; იგი უზენაესი რაობის, მარადიულ ღირებულებათა ძიებისაკენ უბიძგებს ადამიანს და საამისოდ ძალასა და რწმენასაც ჰმატებს.

რაც შეეხება ჩემს წიგნებს: სიამოვნებით გიძღვნიდით ყველა თქვენთვის სასურველ ნაწარმოებს, მაგრამ მე ძალზე ღარიბი ვარ; ჩემი წიგნები, მათი გამოქვეყნების დღიდან, მე აღარ მეკუთვნის, შეძენა კი ძალიან მიჭირს; ამიტომ აუხდენელ ოცნებად მექცა, ჩემი ნაწარმოებები იმ ადამიანებს ვუძღვნა, რომლებიც გულით შეიყვარებენ მათ.

აი, ფურცელზე ჩამოგიწერეთ ყველა ჩემი ადრე გამოცემული წიგნის (და გამომცემლობის) სახელწოდება, მათ შორის უახლეს პუბლიკაციებსაც ნახავთ (თორმეტი თუ ცამეტი წიგნი გამოვაქვეყნე), ხოლო მათი შეძენა შეძლებისდაგვარად თქვენზეა დამოკიდებული.

ძალზე გამიხარდება, თუ ამ წიგნებს თქვენთან დავიგულებ.

ბედნიერებას გისურვებთ
თქვენი რაინერ მარია რილკე

ვორპსვედე, ბრემენის მხარე,
16 ივლისი, 1903

ათი დღის წინ დასნეულებულმა და დაქანცულმა დავტოვე პარიზი და მივაშურე ჩრდილოეთის ვრცელ დაბლობს, რომლის სივრცემ, სიწყნარემ და ზეცამ, წესით, უნდა გამომაკეთონ. მაგრამ პირდაპირ გადაუღებელი წვიმის ბურუსში ამოვყავი თავი. მხოლოდ დღეს ინება და ოდნავ განათდა ზეცა წვიმით აფორიაქებული ქვეყნის თავზე, მეც ვსარგებლობ ამ პირველი ნათელი წუთით, რათა ჩემი ხმა მოგაწვდინოთ. ძვირფასო ბატონო, წერილზე პასუხი ძალიან დაგიგვიანეთ, თუმცა არ იფიქროთ, რომ დამავიწყდა – პირიქით: ეს ისეთი წერილია, სხვა წერილებს შორის ხელახლა რომ გადაიკითხავენ ხოლმე; მან უფრო ახლოს გამაცნო თქვენი თავი. ალბათ გახსოვთ: წერილი პირველ მაისს დაგიწერიათ და როცა მას ამ ჩუმ სივრცეში ვკითხულობ, მაღელვებს თქვენი გასაოცარი წუხილი და ზრუნვა სიცოცხლეზე; აქ უფრო მეტად ვგრძნობ ამას, ვიდრე პარიზში, სადაც ყველაფერი სხვაგვარად ხმიანობს და ყუჩდება იმ უდიდესი ხმაურის გამო, რომლის წინაშეც საგნები შიშისგან თრთიან; აქ კი, სადაც მძლეთამძლე ქვეყანაა ჩემს ირგვლივ, სადაც ზღვებიდან მონაბერი ქარები ქრიან, სწორედ აქ ვგრძნობ, რომ ვერვინ გიპასუხებთ კითხვებზე, ვერვინ აგიხსნით განცდებს, თქვენს წიაღში საკუთარი ცხოვრებით რომ ცხოვრობენ. ვერავინ შეძლებს ამას, რადგან რჩეულნიც ცდებიან, როცა უჩუმარესისა და გამოუთქმელის სიტყვებით ახსნას ცდილობენ. მიუხედავად ამისა, მჯერა: პასუხს მიიღებთ, თუკი ბუნებასა და იმ უბრალო, შეუმჩნეველ საგნებს ჩაუღრმავდებით, რომლებზეც ჩემი მზერაც ისვენებს ახლა: უბრალო, პატარა, სხვებისათვის შეუმჩნეველ საგნებს, რომელნიც, შესაძლოა, მოულოდნელად დიადნი და უსაზღვროდ მნიშვნელოვანნი გახდნენ. თუკი თქვენ ამ მოჩვენებითად ღარიბ, პატარა საგნებს შეიყვარებთ, და უბრალო მსახურივით მოიპოვებთ მათ ნდობას, მაშინ ყველაფერს უფრო ადვილად აღიქვამთ ერთმანეთთან შერიგებულ-შეკავშირებულ ერთიანობად. შეიძლება ეს გონებით ვერ მოახერხოთ, რომელიც მუდამ გაკვირვებულია და ვერ მოგყვებათ, მაგრამ თქვენი უშინაგანესი ცნობიერებით, სიფხიზლითა და ცოდნით ჩასწვდებით ამ ერთიანობას. თქვენ ჯერ ახალგაზრდა ხართ, ყველაფერში ახალბედა და დამწყე-

ბი. ამიტომ გირჩევთ და გთხოვთ, მოთმინებით აიტანოთ და ატაროთ ყოველივე აუხსნელი, რაც კი გულს გიფორიაქებთ. შეიყვარეთ თავად კითხვები. შეიყვარეთ ისინი დალუქული ოთახებივით და უცნობ, იდუმალ ენაზე დაწერილი წიგნებივით. ახლა ნუ ეძებთ პასუხებს, რომლებსაც ვერ იპოვით, რადგან თქვენი ცხოვრებით არ მისულხართ ამ პასუხებთან. საქმე ის გახლავთ, ვიცხოვროთ, გამოვცადოთ ყველაფერი, საკუთარი ცხოვრებით გავცეთ პასუხები საკუთარ კითხვებს. ამჟამად კი იცხოვრეთ საკუთარი კითხვებით და იქნებ ერთ შორეულ დღეს, თქვენმა ცხოვრებამ შეუმჩნევლად შეგიყვანოთ პასუხის სიღრმეში. და ეგებ იმის უნარსაც ატარებთ, რომ ამ თქვენს შინაგან მონაპოვარს სახე და ფორმა მისცეთ, ანუ ყველაზე წმინდა და ნეტარი ცხოვრებით, ხელოვანის ცხოვრებით იცხოვროთ. ხოლო ამჟამად ნდობით მოეკიდეთ ყველაფერს, რაც გეწვევათ, და თუ ეს თქვენი ნებიდან ან რაღაც შინაგანი საჭიროებიდან მომდინარეობს, აიღეთ თქვენს თავზე და ნურაფერს შეიძულებთ: დიახ, სქესი ძნელი რამ გახლავთ, ძალიან ძნელი. მაგრამ ყველაფერი ძნელია, რაც ჩვენ დაგვეკისრა. ყველაფერი სერიოზული, – ძნელი და რთულია. და ყველაფერი სერიოზულია და მნიშვნელოვანი. თუკი მიხვდებით ამას და საკუთარ ზნესა და ბუნებაზე, საკუთარ გამოცდილებაზე, ბავშვობასა და ძალაზე დაყრდნობით მოიპოვებთ საკუთარ (ტრადიციისაგან და ზნე-ჩვეულებებისგან თავისუფალ) მიმართებას სქესთან, მაშინ აღარც შეგეშინდებათ, რომ ვაითუ, მან საკუთარი თავი დაგაკარგვინოთ და ყველაზე წმინდა, ღირსეული განცდა შეგიბღალოთ.

სხეულებრივი სიხარული – გრძნობიერი განცდაა. ის არ განსხვავდება წმინდა ჭვრეტისაგან ან დავუშვათ, იმ შეგრძნებისაგან, ტკბილი ნაყოფი რომ ანიჭებს ენას. სხეულებრივი სიხარული, ყველა სხვა შეგრძნების მსგავსად, იმიტომ მოგვენიჭა, რომ შევიძინოთ უსასრულო გამოცდილება: ის არის ჩვენს მიერ სამყაროს შეცნობა, სიცოცხლის ცოდნა, ყოველგვარი ცოდნის ბრწყინვალება და სავსეობა. ცუდი ის კი არ არის, რომ ჩვენ ამ გამოცდილებას ვეზიარებით. ცუდი და სავალალო ის გახლავთ, რომ თითქმის ყველა უდიერად ეკიდება მას. ადამიანები ტლანქად ფლანგავენ სხეულებრივ ძალას. სქესით ერთობიან, თავს იღიზიანებენ მოწყენილობისა და სულიერი გამოფიტვის ჟამს, ნაცვლად იმისა, რომ ეს ძალა ცხოვრების უზენაესი წუთებისთვის გადაინახონ. და ადამიანებმა ხომ კვებასაც ასევე დაუკარგეს სახე და აზრი. ერთის მხრივ, გაჭირვებამ, მეორეს მხრივ კი ფუფუნებამ მთლიანად აამღვრია ამ პირველადი მოთხოვნილების სიანკარე. ასევე აიმღვრა და გადაგვარდა ყველა სხვა უუბრალოესი მოთხოვნილებაც, რომელთა წყალობითაც ხდება სიცოცხლის უსასრულო განახლება. მაგრამ მავან ცალკეულ ინდივიდს შეუძლია ისევ გაიცხადოს მათი აზრი და ამ ნათელი აზრით იცხოვროს (და თუ ცალკეული ადამიანი, მაინც სხვებზე რომ არის მიჯაჭვული, ვერ შეძლებს ამას, – გამორჩეულად მარტოსული ნამდვილად მოახერხებს). აი, ამ კაცს შეუძლია გაიხსენოს, რომ მცენარეთა მთელი სილამაზე სამყაროში გაბატონებული სიყვარულისა და ურთიერთლტოლვის უენო, ჩუმი, მარადიული სახეობაა. და მას შეუძლია ცხოველს ისე შეხედოს როგორც მცენარეს: მცენარეზე ხომ ვერ ვიტყვით, რომ იგი ხორციელი ჟინით თუ ვნებითაა ატანილი. მცენარე შეჯვარდება, განაყოფიერდება, იზრდება და მრავლდება იმ აუცილებლობას დამორჩილებული, იმ კანონის ძალით, რომელიც უფრო დიდია, ვიდრე ჟინი და ვნება, და უფრო ძლევამოსილი, ვიდრე ნებისყოფა და წინააღდგომა. ო, ნეტავ ადამიანმაც უფრო თვინიერად და სერიოზულად ატაროს ეს საიდუმლო, რითაც გაჟღენთილია მთელი დედამიწა თვით უმცირესი საგნების ჩათვლით. ო, ნეტავ ატაროს, აიტანოს და იგრძნოს: რა საშინლად მძიმეა ეს საიდუმლო, ნაცვლად იმისა, რომ აგრე მსუბუქად და ზედაპირულად მოეკიდოს მას. ო, ნეტავ ადამიანი მოწიწებით აღივსოს თავისი ნაყოფიერების წინაშე, რომელიც ერთია, სულიერი იქნება იგი თუ ხორციელი, რადგან სულიერი ქმნა ფიზიკუ-

რიდან მოედინება, მათი არსი ერთი და იგივეა, ოღონდ სულიერი ქმნადობა სხეულებრივი ტკბობის უფრო ჩუმი, უფრო ამაღლებული, უფრო მარადიული გამეორებაა.

"აზრი: იყო შემოქმედი, ჩასახო, გამოსახო სიცოცხლე"[5] – ცარიელი სიტყვები იქნებოდა, სამყაროში რომ არ დასტურდებოდეს და არ ხორციელდებოდეს; ლიტონი რამ იქნებოდა, ათასგზის რომ არ ადასტურებდნენ საგნები და ცხოველები. შემოქმედების სიტკბოებაც იმიტომ არის ესოდენ მშვენიერი და ამოუწურავი, რომ იგი სავსეა მილიონობით საგან-არსების ჩასახვა-დაბადებიდან მომდინარე ნამემკვიდრევი მოგონებებით.

შემოქმედის ერთ აზრში ცოცხლდება ათასობით მივიწყებული სიყვარულის ღამე, რაც მას სიდიადესა და ამაღლებულობას ანიჭებს. ხოლო ღამღამობით ერთმანეთს შერთული, ერთმანეთს ჩაწნული წყვილები, მონანავე, რწევად ვნებას რომ ემლევიან – დიად საქმეს აღასრულებენ: ისინი აგროვებენ ნექტარს, სიღრმესა და ძალას რომელიმე მომავალი პოეტის სიმღერისათვის, რომელიც ოდესმე წამოიმართება, რათა გამოთქვას გამოუთქმელი ნეტარებანი. შეყვარებულნი მომავალს გამოიხმობენ და თუნდაც მცდარი იყოს ეს სიყვარული, თუნდაც ბრმად ეხვეოდნენ ისინი ერთმანეთს, მომავალი მაინც მოდის: აღიმართება ახალი ადამიანი და იმ შემთხვევის ფსკერზე (ჩვენ რომ შემთხვევად ვთვლიდით) იღვიძებს კანონი, რომლის ძალითაც გამძლე თესლი გზას მიიკვლევს კვერცხუჯრედისკენ, განხმული რომ ეგებება მას. არ შეგაცდინოთ მოვლენათა ზედაპირმა. სიღრმეში ყველაფერი – კანონია. ხოლო ვინც მცდარად და ცუდად ცხოვრობს ამ საიდუმლოთი (ასეთნი კი ბევრნი არიან), თავადვე კარგავს ამ საიდუმლოს, სხვას კი, თვითონაც არ იცის, ისე გადასცემს მას დალუქული წერილივით. არ დაგაბნიოთ სახელთა სიმრავლემ, შემთხვევათა სირთულემ; შესაძლოა ყველაფერზე მაღლა დგას და ძლიერია დიადი დედობა – ეს საერთო ურთიერთლტოლვა. ქალწულის სილამაზე, იმ არსების სილამაზე (როგორც თქვენ მშვენივრად ბრძანეთ), რომელსაც ჯერ არაფერი მოუმოქმედებია – მომავალი დედობაა, მის წიაღში რომ მწიფს, ემზადება, შიშობს, წინასწარგრძნობს და ესწრაფვის თავის მომავალს; დედის სილამაზე კი მსახურება, მზრუნველი დედობაა. ხოლო მოხუც ქალში – ეს სილამაზე დიდ მოგონებად ქცეულა. და მე მგონია, რომ ფიზიკურ-სულიერი დედობა მამაკაცშიც არის; ჩასახვა – ეს ერთგვარი სახეა შობისა, ხოლო როცა მამაკაცი თავისი შინაგანი სისავსიდან ქმნის და წარმოშობს, ესეც ერთგვარი შობაა და დაბადება. და შესაძლოა, ეს ორი სქესი უფრო ახლოსაა ერთმანეთთან, ვიდრე ჰგონიათ. სამყაროს დიდი განახლების საწინდარი იქნებ ხწორედ ის გახდეს, რომ მამაკაცი და ქალიშვილი, ყოველგვარი მცდარი მორიდებისა და ქვენა ზრახვათაგან თავისუფალნი, მოძებნიან ერთმანეთს არა როგორც საპირისპირო არსებანი, არამედ როგორც და და ძმა, როგორც მეზობლები; მოძებნიან და შეაერთებენ თავიანთ ძალისხმევას როგორც ადამიანები, რათა ერთად, უბრალოდ, მკაცრად და მოთმინებით ატარონ სქესის სიმძიმე, საერთო უღელი, მათ რომ დაეკისრათ.

მაგრამ ეს, რასაც შეიძლება მრავალმა მიაღწიოს ოდესმე, ახლა მხოლოდ მარტოსულის ხვედრია; მარტოსულმა უნდა მოამზადოს ეს საფეხური დაააშენოს საკუთარი, შედარებით შეუმცდარი ხელებით. ამიტომ, ძვირფასო ბატონო, გიყვარდეთ თქვენი მარტოობა და მშვენიერხმიერი მოთქმით ატარეთ მის მიერ მოგვრილი ტკივილი. ახლობელი ადამიანები, როგორც ამბობთ, შორეულნი არიან თქვენთვის; ეს კი იმას მოასწავებს, რომ თქვენი სივრცე ფართოვდება; და თუ თქვენი სიახლოვე შორია, მაშინ თქვენი შორეთი უზარმაზარი უნდა იყოს, ვარსკვლავეთს უნდა ემიჯნებოდეს; გიხაროდეთ თქვენი სამყაროს ზრდა. სამყაროსი, სადაც ვერავის გააყოლებთ. იყავით კეთილი უკანმავალთა მიმართ, იყავით მხნე და მშვიდი მათ წინაშე, ნურც თქვენი ეჭვებით დასტანჯავთ და ნურც თქვენეული, მათთვის გაუგებარი ნუგეშ-სიხარულით შეაშფოთებთ. გამოძებ-

ნეთ მათთან ურთიერთობის უბრალო და საიმედო ფორმა, რომლის შეცვლაც აუცილებელი არ იქნება მაშინაც კი, როცა თავად შეიცვლებით.

გიყვარდეთ სხვა ადამიანებში უცხო, განსხვავებული სახის სიცოცხლე, გაუგეთ სიბერეში შესულ ადამიანებს, თქვენგან განსხვავებით მარტოობის რომ ეშინიათ და გაურბიან. ნუ გააღვივებთ იმ ტრადიციულ დრამას, რაც მშობლებსა და შვილებს შორის გამართულა. შვილებს ეს დიდ ძალას აკარგვინებს და მეორეს მხრივ, ანავლებს მშობლიურ სიყვარულს, რომელიც მაშინაც კი ათბობს და იფარავს შვილებს, როცა მათი ვერა გაუგია რა. ნუ მოსთხოვთ მშობლებს გაგებასა და სასურველ რჩევას, მაგრამ გწამდეთ იმ სიყვარულისა, მემკვიდრეობასავით რომ დაგახვედრეს. გჯეროდეთ: ამ სიყვარულში დიდი ძალა; მადლი და ლოცვა — კურთხევაა და არ გმართებთ მისი მიტოვება, რაც არ უნდა შორს წახვიდეთ თქვენს გზაზე.

მიხარია, ბოლოს და ბოლოს, თქვენი ინტერესების ფარდი პროფესია რომ აირჩიეთ, რაც დამოუკიდებლობასა და საკუთარ თავში დაფუძნების საშუალებას განიჭებთ. მოითმინეთ და დაუკვირდით, ხომ არ შეზღუდავს და დათრგუნავს თქვენს შინაგან ცხოვრებას ეს რთული პროფესია. მე თუ მკითხავთ, ეს არჩევანი მძიმეა და დამძაბველი, გახევებული ტრადიციებით არის დამძიმებული და ამოცანათა პიროვნული გააზრების საშუალებას არ იძლევა. მარტოობა კი ამ მეტად უცხო ვითარებაშიც თქვენი საიმედო თავშესაფარი და ნავსაყუდელი იქნება; მისი მეშვეობით აუცილებლად იპოვით საკუთარ გზას.

ჩემი კეთილგანწყობა და ნდობა
გფარავდეთ ამ გზაზე.
თქვენი რაინერ მარია რილკე

რომი, 29 ოქტომბერი, 1903

ძვირფასო და ღირსეულო ბატონო, თქვენი 29 აგვისტოს წერილი ფლორენციაში მივიღე და აი, ორი თვის დაგვიანებით გიბრუნებთ პასუხს; გთხოვთ მომიტევოთ, არ მიყვარს წერილების წერა გზაში, მოგზაურობის ჟამს, რადგანაც კალამსა და ქაღალდის ფურცლებზე მეტად განმარტოების ჩუმი საათები და შესაბამისი განწყობა მჭირდება.

რომში დაახლოებით ექვსი კვირის წინ ჩამოვედით; — ამ დროს რომი უკაცრიელი და უდაბური ქალაქია, აუტანელი სიცხის გამო; თანაც ხმები დადიოდა, ეპიდემია მძვინვარებსო და დაბინავება გაგვიძნელდა; ამან კი მოუსვენრობისა და დაძაბულობის ატმოსფერო შექმნა ჩვენს ირგვლივ; უცხოობისა და უსამშობლოობის განცდაც კიდევ უფრო გაგვიმძაფრდა. ამასთან რომი (თუკი აქ პირველად ხარ) თავიდან მძიმედ მოქმედებს; მწუხარე და მგლოვიარე შთაბეჭდილებას ტოვებს ადამიანზე თავისი უსიცოცხლო და ბნელი მუზეუმებით; ეს ქალაქი თითქოსდა მწუხარედ ოხრავს, მწუხარებენ მიწისქვეშეთიდან სამზეოზე გამოტანილი, წვალებით აღდგენილი წარსულის ნაშთებიც, იმ წარსულისა, რომლითაც უბადრუკი აწმყო საზრდოობს; გლოვობენ სულ სხვა დროისა და სხვა ეპოქის შემთხვევითი ნარჩენები, სხვა ხალხის, სხვა ცხოვრების სახეცვლილი და უღონო საგნები, რომლებიც ჩვენ აღარ გვეკუთვნის და არც უნდა გვეკუთვნოდეს; ბოლოს და ბოლოს ამ უამრავი არასახიამოვნო შთაბეჭდილებით დაღლილი როგორღაც გონს მოდიხარ: თუმცა ჯერ ისევ დაბნეული ფიქრობ, რომ განსაკუთრებული აქ არაფერია და ამქვეყნად სხვა რომელიმე ქალაქი შესაძლოა არანაკლებ მშვენიერი იყოს. ეს ძველისძველი, აქაური ხელოსნების მიერ რუდუნებით აღდგენილი ძეგლები, თაობები რომ ეთაყვანებოდნენ, — სრულებით დაცლილან უწინდელი შინაარსისგან. მათ დაუკარგავთ აზრი და გულითადობა. მაგრამ ამ ქალაქში მაინც ბევრი სილამაზეა, რადგან სი-

ლამაზე ყველგანაა ამქვეყნად. ცხოველმყოფელი წყლები ძველთაძველი აკვედუკებით მოედინებიან და მოედნებზე, ქვის თეთრი ფიალების თავზე თავბრუდამხვევად ცეკვავენ, მერე ფართო აუზებში იშლებიან და ლიცლიცებენ. მათი ჩუხჩუხი დღისითაც ისმის, და ღამით კიდევ უფრო ძლიერდება, ღამეები კი აქ ვეებაა, ვარსკვლავებით მოჩითული და ნიავქარებით გალბილებული. და ბაღებია ქალაქში მრავლად, ხეივნები და კიბეები, მიქელანჯელოს მიერ გამოგონებული კიბეები, ფერდობზე დაქანებული ნაკადულების ნიმუშით ნაგები, დაქანებაზე საფეხური რომ საფეხურს ბადებს, ვით ტალღა – ტალღას. ამდენ შთაბეჭდილებებში, პრეტენზიულად ახმაურებულ აქაურობაში ნელ-ნელა გულისყურს იკრებ და საკუთარ თავს უბრუნდები, თანდათან იმ თითო-ოროლა საგანსაც ამჩნევ, რომლებშიც მარადისობა დამკვიდრებულა, გამარტოებულ საგნებს, რომელთაც შეიყვარებ და რომელთა მარტოობასაც გაიზიარებ.

ჯერჯერობით ისევ ქალაქში, კაპიტოლიუმის მახლობლად ვცხოვრობ. აქედან შორს არ არის რომაული ხელოვნების შესანიშნავი ძეგლი – ამხედრებული მარკუს ავრელიუსის ქანდაკება. მალე ერთ მყუდრო, უბრალო ოთახში გადავინაცვლებ. მას პატარა, ძველებური აივანი აკრავს და ღრმად არის დიდ პარკში შეფარულ-შეყუჟული, ასე რომ, საიმედოდაა დაცული ქალაქის აურზაურისა და გამუდმებული ფორიაქისაგან. მთელ ზამთარს იქ გავატარებ და ვეცდები ბოლომდე განვიცადო დიდი სიჩუმე, რომლისგანაც სიმშვიდესა და მრავალ შემოქმედებით, ნაყოფიერ საათს მოველი.

ახალ სახლში უფრო შინაურულად ვიგრძნობ თავს, ვიდრე აქ, ქალაქის ცენტრში, იქიდან მოგწერთ დაწვრილებით პასუხსაც. ახლა კი ისღა დამრჩენია გამოგიტყდეთ (შესაძლოა თავიდანვე უნდა გამემხილა თქვენთვის), რომ წიგნი, რომელშიც თქვენი ნაშრომი დაიბეჭდა და რომელზეც მწერდით, არ მიმიღია. იქნებ უკან დაგიბრუნდათ ვორპსვედედან?[6] (რადგან ვიცი, რომ ძველი მისამართით მიღებულ გზავნილებათა საზღვარგარეთ გადაგზავნა არ შეიძლება). ეს ვარაუდი ყველაზე დასაშვებია, ვიმედოვნებ, წიგნი არ დაიკარგება (სამწუხაროდ, იტალიის ფოსტისათვის ამანათების დაკარგვა იშვიათობას არ წარმოადგენს).

ამ წიგნსაც, ისევე როგორც ყოველგვარ ცნობას თქვენს შესახებ, სიხარულით მოველი; ასევე ლექსებსაც, ამასობაში რომ დაგიწერიათ, სიამოვნებით წავიკითხავ, როცა კი მათი წაკითხვის შესაძლებლობას მომცემთ; ისევ და ისევ გადავიკითხავ და ვეცდები, განვიცადო ისინი მთელი ჩემი არსებით.

კეთილი სურვილებით,
თქვენი რაინერ მარია რილკე

რომი, 23 დეკემბერი, 1903

შობას მოგილოცავთ; ბატონო კაპუს. მსურს, ხმა მოგაწვდინოთ სწორედ ახლა, რადგან შობის დღეებში, დღესასწაულზე უფრო გაგიძნელდებათ მარტოობის ატანა. თუმცა უნდა გიხაროდეთ, თუ დიდია თქვენი მარტოობა, რადგან (აბა, დაფიქრდით) ექნებოდა რაიმე აზრი მარტოობას, უსაზღვრო რომ არ იყოს? ჭეშმარიტი მარტოობა ეს უსაზღვრო მარტოობაა. მსუბუქი როდია მისი ტვირთი. ყველა ადამიანის წინაშე დგება ასეთი წუთები, როცა ხიმარტოვეს სიამოვნებით გაცვლიდნენ ბანალურსა და იაფფასიან თავყრილობაზე პირველსავე შემხვედრთან, თუნდაც სულდარიბ ადამიანთან წამიერ ურთიერთობასა და მოჩვენებითს გაგებაზე, მაგრამ ეგებ სწორედ ასეთ წუთებში იზრდება მარტოობა, რადგან მისი ზრდაც ბიჭების ზრდასავით მტკივნეულია, და ნაღვლიანი – გაზაფხულის დასაწყისივით. ამან არ უნდა დაგაბნიოთ. ჩვენთვის საჭირო და აუცილებელი სწორედ მარტოობაა – ღრმა, შინაგანი მარტოობა. თვითჩაღრმავება და საათობით მარტო ყოფნა, არავისთან შეხვედრა, – აი, ეს უნდა შეიძლოს კაცმა. უნდა გან-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვმარტოვდეთ, ისე როგორც ბავშვობაში განვმარტოვდებოდით ხოლმე, როცა ჩვენს ირგვლივ გაუთავებლად დაფუსფუსებდნენ დიდები, და ჩვენ ძალზე მნიშვნელოვანი გვეგონა მათი საქმიანობა; რადგან მისი არაფერი გვგვეგებოდა.

ხოლო როცა მოგვიანებით მივხვდებით, რა უბადრუკი, მშრალი და სიცოცხლეს მოწყვეტილი ყოფილა მთელი მათი საქმიანობა, რატომ ისევ არ უნდა შევხედოთ მას ბავშვის თვალებით, როგორც რაღაც ჩვენთვის უცხოსა და გაუგებარს; რად არ უნდა ვუმზიროთ მას ჩვენი საკუთარი სამყაროს სიღრმიდან, საკუთარი მარტოობის სივრცეებიდან, მარტოობისა, რომელიც თავად არის საქმე, წოდება, ხელობაც და დანიშნულებაც! რატომ უნდა გავცვალოთ ბავშვის ეს ბრძნული ვერგაგება ათვალწუნებასა და მოგერიებაზე? ვერგაგება ხომ მარტოობაა, ათვალწუნება და ამხედრება კი – მონაწილეობის მიღება იმაში, რასაც გავურბივართ.

ძვირფასო ბატონო, იფიქრეთ იმ სამყაროზე; რასაც შინაგანად ატარებთ და რაც გნებავთ, ის უწოდეთ ამ ფიქრს: ბავშვობის მოგონება თუ მომავალზე ოცნება. მთავარია, არ გამოგეპაროთ ის, რაც თქვენს სულში იბადება, აღიმართება; აი, ეს დააყენეთ იმ ყველაფერზე მაღლა, რაც თქვენს ირგვლივ ხდება და ტრიალებს. თქვენი შინაგანი ცხოვრება თქვენი სიყვარულის ღირსია, მთელი თქვენი ძალები მისკენ უნდა მიმართოთ; დროს ნუ დაკარგავთ იმის გასარკვევად, თუ რა ადგილი გიჭირავთ ადამიანთა შორის, რა პოზიცია გაქვთ მათ მიმართ. აბა ვინ გეტყვით ამქვეყნად, რომ ეს ადგილი საერთოდ გაგაჩნიათ? ვიცი, რა მკაცრია თქვენი პროფესია და როგორ ეწინააღმდეგება იგი თქვენს ბუნებას; ვიცოდი, რომ შემომჩივლებდით და გამართლდა კიდეც ჩემი წინათგრძნობა; მე კი ვერც დაგამშვიდებთ და ვერც განუგეშებთ; შემიძლია მხოლოდ გირჩიოთ: დაფიქრდით, რითი განსხვავდება თქვენი პროფესია სხვა პროფესიებისაგან, განა ყოველი პროფესია ასევე მკაცრი, მომთხოვნი, მტრული და თითქმის სიძულვილით გაჟღენთილი არ არის მრავალთა მიმართ? თითქოსდა ამ პროფესიას მთლიანად შეეწოვოს უხმოდ მობუზღუნე, მუნჯ, უგმურ მომსახურეთა გულში დაგროვილი მთელი სიძულვილი. თქვენი ამჟამინდელი სამსახური სხვა სამსახურზე მეტად როდია დამძიმებული დრომოჭმული, ტრადიციული შეხედულებებითა და მცდარი წარმოდგენებით; დავუშვათ, არსებობს სამსახური, რომელიც მზერისა და ჭვრეტისათვის საჭირო თავისუფლებას მაინც ანიჭებს ადამიანს, ისეთი სამსახური ხომ მაინც არსადაა, რომელიც ფართოდ დაუკავშირდებოდა იმ დიად საგნებს, ნამდვილ ცხოვრებას რომ ქმნიან. მხოლოდ მარტოსული ემორჩილება, საგანთა მსგავსად, ღრმა კანონებს და როცა იგი ცისკარს ანდა იდუმალი ქმედებით აღსავსე მწუხრს ეგებება, და შეიგრძნობს, რა ხდება ამ დროს, მაშინ მასაც, მიცვალებულთა მსგავსად, ჩამოსცილდება ყოველგვარი წოდება და მოვალეობა, თუმცა ჯერაც სიცოცხლის შუაგულში დგას. ბატონო კაპუს, რასაც თქვენ ამჟამად განიცდით როგორც ოფიცერი, იმასვე განიცდიდით ნებისმიერი სხვა მოვალეობის შესრულების ჟამსაც; საზოგადოებაში ყოველგვარ ადგილსა და მდგომარეობაზე უარიც რომ თქვათ და სრულიად უბრალო, მსუბუქი ურთიერთობა დაამყაროთ მის წევრებთან, მაშინაც კი ვერ გაექცევით ამ შემბოჭველ გრძნობას.

ასეა ყველგან; თუმცა ეს შიშის, ანდა სასოწარკვეთის უფლებას არ გაძლევთ; თუ ადამიანებთან საერთოს ვერ პოულობთ, მაშინ საგნებს დაუახლოვდით, ისინი არ მიგატოვებენ; ჯერ ხომ ისევ აქ არიან ღამეები და ხეებში მონავარდე ქარები, უცხო და უკიდეგანო ქვეყნების თავზე რომ მიმოქრიან; საგანთა და ცხოველთა სამყაროც უწინდელივით ფარული და იდუმალი ქმედებითაა სავსე. და თქვენც უფლება გაქვთ შეუერთდეთ მას. ბავშვებიც ხომ ისეთივე ნაღვლიანები და ბედნიერები არიან, როგორიც თქვენ იყავით ოდესღაც; – და როცა გაიხსენებთ ბავშვობას, მაშინ ხელახლა დაიწყებთ მათ შორის, იმ მარტოსულ ბავშვებს შორის ცხოვრებას

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და მიხვდებით, რომ დიდები და მათი საქმიანობა არც ისე მნიშვნელოვანი ყოფილა, როგორც გეჩვენებოდათ.

და თუ ფიქრი ბავშვობაზე, მასთან დაკავშირებულ სიჩუმესა და უბრალოებაზე გაშინებთ და გტანჯავთ, რადგან აღარ ძალგიძთ იწამოთ ღმერთი, რომლითაც სავსე იყო თქვენი ბავშვობა, მაშინ ჩაეკითხეთ საკუთარ თავს, ბატონო კაპუს: მართლა დაკარგეთ ღმერთის რწმენა?! ხომ არ აჯობებდა გეთქვათ, რომ ღმერთი ჯერ კიდევ არ გიწამიათ? რადგან როდის უნდა გერწმუნათ იგი? ხომ არ გგონიათ, რომ ბავშვს შეუძლია ხელპყრობა მისი, ვისი ტარება ძლიერ მამაკაცთაც კი უჭირთ და ვისი სიმძიმეც წელში ხრის მოხუცებს?! ნუთუ გჯერათ, რომ ადამიანს, ვისაც ნამდვილად ჰყავს ღმერთი, შეუძლია უბრალო კენჭივით დაკარგოს იგი?! ან ეგებ ფიქრობთ, რომ კაცი, რომელსაც ღმერთი ჰყავს, შეიძლება ღმერთს დაეკარგოს? მაგრამ თუ აღიარებთ, რომ იგი არ ყოფილა თქვენს ბავშვობაში და არც მანამდე, და რომ ქრისტეს ტანჯვისათვის საზღაური არ მიეგო, ხოლო მუჰამადი საკუთარმა სიამაყემ იმსხვერპლა, – და თუ შიშით გააცნობიერებთ, რომ ღმერთი ახლაც, აი, ამწუთას, როცა მასზე ვსაუბრობთ, არ არის თქვენთან – მაშინ რა უფლებით ლაპარაკობთ მასზე, როგორც გარდასულზე, და რაღად ეძებთ როგორც დაკარგულს?!

ნუთუ ვერ ხვდებით, რომ ის ახლა მოდის, ის, ვინც უხსოვარი დროიდან აღგვითქვეს და გვიწინასწარმეტყველეს; ის მომავალია, საბოლოო ნაყოფიჲ ხისა, რომლის ფოთლებიც ჩვენ ვართ?! რა გიშლით ხელს, რომ მომავალში დაიგულოთ მისი დაბადება და ისე იცხოვროთ თქვენი ცხოვრება, თითქოსდა ის ერთი მტკივნეული და მშვენიერი დღე იყოს ამ ხანგრძლივი ფეხმძიმობის ისტორიაში. ნუთუ ვერ ხედავთ, რომ ყოველივე, რაც კი ხდება, ჯერ მხოლოდ და მხოლოდ დასაწყისია; და განა ყველა ეს დასაწყისი არ შეიძლება მისი დასაწყისი იყოს, როცა დაწყება თავისთავად ყოველთვის ასე მშვენიერია?! და თუ ღმერთი თავადაა სრულყოფილება, მაშინ ხომ *წინ* უნდა უძღოდეს რაღაც, შედარებით მცირე და ნაკლულოვანი, რათა *მას* შეეძლოს ამორჩევა ამ სიმრავლესა და მრავალსახეობაში. განა ის უკანასკნელი არ უნდა იყოს, რათა ყოველივე დაიტიოს და მოიცვას? რადგან რა აზრი ექნებოდა ჩვენს არსებობას, თუკი *ის*, ვისკენაც მივისწრაფვით, მხოლოდ წარსულში არსებობდა?

როგორც ფუტკრები ისე ვაგროვებთ ყველაფრიდან უტკბილეს ნექტარს და ღმერთს ვაშენებთ: ვიწყებთ შენებას სულ უმცირესით ან უხილავით (თუკი სიყვარული გვამოძრავებს), ვქმნით მას მაშინ, როდესაც ვშრომობთ და მაშინაც, როცა ვისვენებთ: ვქმნით ჩვენი დუმილით თუ სულ პატარა, მარტოხელა სიხარულითაც, – ვქმნით ყველა საქმით, რასაც მარტოდმარტო, თანამონაწილეებისა და მიმდევრების გარეშე ვაკეთებთ: ჩვენ ვიწყებთ მის შექმნას, ვისაც ისევე ვერ მოვესწრებით, როგორც ჩვენ ვერ მოგვესწრნენ ჩვენი წინაპრები. მაგრამ ისინი, ის დიდი ხნის წინათ გარდასულნი, ხომ ჩვენში არიან: აქ დალექილან: ტვირთად დასდებიან ჩვენს ბედისწერას და ჩვენს სისხლში მიშრიალებენ; წარმოქმნიან რომელიღაც ჟესტს, დროის სიღრმეებიდან რომ აღსდგება ხოლმე.

არსებობს ძალა, რასაც შეუძლია წაგართვათ იმედი, რომ თქვენც *მასში* – უშორეს-უსასრულოში იქნებით ოდესმე?!

შეეგებეთ შობას *ასეთი* ღვთისმოსაობით, იფიქრეთ, რომ შესაძლოა, ღმერთს სწორედ ეს თქვენი სიცოცხლისეული შიში სჭირდება, რათა დაიწყოს თქვენში ქმედება. იქნებ თქვენი გარდატეხის დღეები სწორედ ის დღეებია, როცა თქვენში ყველაფერი *მისთვის* იღვწის და ემზადება, ისევე, როგორც ოდესღაც ბავშვობაში, თავდავიწყებით რომ იღვწოდით *მისთვის*. აღივსეთ მოთმინებით, ხალისით, და გახსოვდეთ, ყველაზე მცირე, რაც ჩვენ შეგვიძლია გავაკეთოთ, ეს არის: იმაზე მეტად არ გავუძნელოთ ღმერთს ქმნადობა, ვიდრე დედამიწა უძნელებს გაზაფხულს, როცა გაზაფხულს მოსვლა სწადია.

გისურვებთ სიხარულსა და ნუგეშს
თქვენი რაინერ მარია რილკე

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომი, 14 მაისი, 1904

ძვირფასო ბატონო კაპუს!

რა ხანია, რაც თქვენი ბოლო წერილი მივიღე.

ნუ გამიწყრებით, პასუხის დაგვიანებისთვის, მთელი ეს ხანი თავაუღებლად ვმუშაობდი, მერე სხვა საქმეებით ვიყავი დაკავებული და ბოლოს ავადაც გავხდით. ხელისშემშლელი მიზეზი, როგორც ხედავთ, ბევრი მქონდა, მე კი მსურდა ჩემი პასუხი მხოლოდ და მხოლოდ მშვიდი და ნათელი დღეების მაცნე ყოფილიყო. ახლა უკვე მოვიკეთე (ადრეული გაზაფხული თავისი ავი, ჟინიანი ცვალებადობით აქაც მძიმედ გადავიტანე), შემიძლია უკვე მოგესალმოთ და ცოტა რამ გითხრათ თქვენი წერილის პასუხად (რასაც საერთოდაც დიდი სიხარულით ვაკეთებ).

ხომ ხედავთ: მე გადავწერე თქვენი სონეტი, რადგან ის მშვენიერია და უბრალო, ამასთან ჩუმი, თავდაჭერილი ფორმითაა შესრულებული. იგი ყველაზე უკეთესია თქვენს ლექსებს შორის, რომელთა წაკითხვის საშუალებაც კი მქონია. და აი, გიგზავნით ჩემს ნაწერს, რადგან ვიცი, რას ნიშნავს საკუთარი ნამუშევრის უცხო ხელნაწერში წაკითხვა; წაიკითხეთ ისე, თითქოს სხვის ლექსს კითხულობდეთ და მაშინ იგრძნობთ, რამდენად თქვენეულია იგი. თქვენი სონეტი და წერილი სიამოვნებით გადავიკითხე რამდენჯერმე, გმადლობთ სიხარულის მონიჭებისათვის.

დე, ნუ აამღვრევს თქვენს მარტოობას ის ფაქტი, რომ თქვენი არსების რაღაც ნაწილი გაურბის ამ მარტოობას და გარეთ მიილტვის. სწორედ ეს ლტოლვა – თუკი მშვიდად და აუღელვებლად, ხელსაწყოსავით მოიმარჯვებთ მას – დაგეხმარებათ, განავრცოთ თქვენი მარტოობა და მთელ ვრცელ ქვეყანას გადააწვდინოთ. ადამიანები (პირობითობების წყალობით) მუდამ ადვილად წყვეტენ ყველაფერს, ყველაზე იოლ და მსუბუქ გზას ირჩევენ ხოლმე, ჩვენ კი, ცხადია, უმძიმესს უნდა ჩავეჭიდოთ. ყოველ სულდგმულს სიძნელესთანა აქვს საქმე, ბუნებაში ყოველივე თავისი ზნის შესაბამისად იზრდება, თავს იცავს და ცდილობს, ყოველგვარ დაბრკოლებათა მიუხედავად, საკუთარი არსებობა მოიპოვოს. ძალზე მცირეა ჩვენი ცოდნა, მაგრამ ის მაინც ვიცით, რომ ჩვენც ძნელი გზა უნდა ავირჩიოთ. მარტოობა კარგია, რადგან ძნელია, და თუკი რაიმე ძნელია, მაშასადამე, ამან კიდევ ერთხელ უნდა გვიბიძგოს ამ საქმის განხორციელებისაკენ.

სიყვარული კარგია: რადგან სიყვარულიც ძნელია. ადამიანის ადამიანისადმი სიყვარული: ეს ალბათ ყველაზე ძნელი ამოცანაა, რაც კი ჩვენთვის დაუწესებია განგებას; სიყვარული განსაცდელი და გამოცდაა, უდიდესი საქმე, რისთვისაც ყველა სხვა საქმიანობით მხოლოდ ვემზადებით: ამიტომაც, ახალგაზრდებს, ყველაფერში ახალბედანი და დამწყებნი რომ არიან, ჯერ არ ძალუძთ სიყვარული; მათ ჯერ უნდა ისწავლონ იგი, ისწავლონ მთელი არსებით, მთელი ძალისხმევით, საკუთარ ეულ, შიშნეულ გულისძგერას მიყურადებულებმა. სწავლის ჟამი კი ძალზე გრძელია და ფარული; ამიტომ სიყვარული დიდი ხნის და მთელი სიცოცხლის მანძილზე არის მარტოობა: ულრმესი, უმძაფრესი მარტოობა იმ ადამიანისა, რომელსაც უყვარს. სიყვარული აზრს დაკარგავდა, მარტოოდენ თავდავიწყებას, მეორე ადამიანთან შერწყმას და შეერთებას რომ გულისხმობდეს (რადგან რა ერთიანობაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა ორი უმწიფარი და ჩამოუყალიბებელი ადამიანი შეერწყმის ერთმანეთს!) სიყვარული ამაღლებული მიზეზია ერთეულთათვის, რათა მომწიფდნენ, დასრულდნენ და სამყაროდ იქცნენ; სამყაროდ იქცნენ მეორე ადამიანისათვის; სიყვარული ეს თამამი მოთხოვნაა იმ ადამიანის მიმართ, რომელსაც თავად სიყვარული აირჩევს და შორეთში მიუხმობს. სიყვარულის განხორციელების ნება მხოლოდ მაშინ უნდა ჰქონდეთ ახალგაზრდებს, თუკი აცნობიერებენ მას როგორც დავალე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბას, რომელიც საკუთარ თავზე მუშაობისაკენ ("ნიადაგ ყურისგდებისა და ქმნისაკენ") უბიძგებს. თავდავიწყება, საყვარელ ადამიანთან შერწყმა – ჯერ კიდევ არ ნიშნავს სიყვარულს; ნამდვილი სიყვარული ჯერ შორსაა (მათ კიდევ დიდხანს უნდა მოიკრიბონ ძალები), ეს არის საბოლოო მიზანი, შესაძლოა საბოლოო მისიაც, რომლის აღსრულებასაც ადამიანთა სიცოცხლე ჯერჯერობით არ ჰყოფნის.

ახალგაზრდები ხშირად და მწარედ ცდებიან. ფიცხი და დაუთმენელი ბუნებისანი, მყისვე ერთმანეთს მიაწყდებიან ხოლმე, როგორც კი სიყვარული ეწვევათ: იფლანგებიან და იფანტებიან, რაც საერთოდაც სჩვევიათ თავიანთ აღგზნებულ თუ აპათიურ, უწესრიგო და ქაოტურ ცხოვრებაში... და მერე, რა უნდა მოჰყვეს ამას? რაღა უნდა მოუხერხოს ცხოვრებამ ნახევრად დამსხვრეულ ადამიანთა ამ ზედახორას, რასაც თავად ერთადყოფნას უწოდებენ და ბედნიერებას, მომავალსაც კი დაარქმევდნენ, რომ შეეძლოთ. ასე იკარგება თითოეული მეორის გულისთვის და იმ მეორესაც კარგავს, კარგავს მრავალს და ყველას, ვინც ჯერ კიდევ უნდა შეხვედროდა. ასე კარგავენ სივრცეებსა და შესაძლებლობებს; ჩუმ და მგრძნობიარე საგნებთან ახლობლობა-სიშორეს უნაყოფო დაბნეულობაში ცვლიან, საიდანაც არაფერი აღარ წარმოიშობა, არაფერი ზიზღის, იმედგაცრუებისა და სიცარიელის გარდა: შემდეგ კი ხსნას ეძებენ ერთ-ერთ რომელიმე პირობითობაში, ერთ-ერთ იმ მრავალთაგანში, რითაც ოდითგან აღუჭურვიათ ადამიანის ეს ყველაზე საშიში გზა. ადამიანური განცდის არცერთი სფერო არ არის პირობითობა-შეთანხმებებით ისე მომარაგებული, როგორც სიყვარული... აქ უამრავი მაშველი საშუალება გამოუგონიათ: მაშველი რგოლები, ნავები, საცურაო ბუშტები... ათასგვარი თავშესაფარი ააგო საზოგადოებრივმა აზრმა, რომელმაც, რაკი სიყვარული სიამოვნებასთან გააიგივა, მისი მსუბუქად მოწყობაც ითავა: საჯარო დროსტარებასავით იაფ და უვნებელ სიამედ აქცია იგი. თუმცა მრავალი ახალგაზრდა, რომელთაც მცდარად უყვართ, ანუ ისე ეძლევიან ერთურთს, რომ ერთმანეთს ვერ პოულობენ (უმრავლესობა ხომ ამ გზას ადგას), – ითრგუნება შეცდომის შეგრძნებით და სურს ეს შეცდომა საკუთარი, ინდივიდუალური ძალისხმევით გამოასწოროს: უფრო სიცოცხლისუნარიანი და ნაყოფიერი გახადოს სიყვარული. რადგან საკუთარივე ბუნება ჰკარნახობს მათ, რომ სხვა მნიშვნელოვან საკითხთაგან ყველაზე ნაკლებად სიყვარულის საკითხის გადაწყვეტა შეიძლება საჯაროდ დადგენილი ტრადიციული კანონ-წესების მიხედვით, რომ ეს მათი ცხოვრების არსებითი კითხვებია, მხოლოდ ორ ადამიანს რომ ეხება, და ყოველი ახალი ურთიერთობისას ახალ, განსაკუთრებულ და მხოლოდ ინდივიდუალურ პასუხს მოითხოვს. მაგრამ როგორღა უნდა იპოვნონ საშველი საკუთარ თავში, საკუთარი მარტოობის სიღრმეებში, როცა თავიც გაუფანტავთ და მარტოობაც? როცა ორი ადამიანი ისე ათქვეფილა ერთმანეთში, რომ საკუთარი აღარაფერი გააჩნიათ და ერთმანეთისგან აღარაფრით განსხვავდებიან?

უმწეოა მათი ურთიერთობა და ყოველი ნაბიჯი, და როცა მთელი ძალით ცდილობენ თავი აარიდონ ტრადიციულ პირობითობას (როგორიც, დავუშვათ ქორწინებაა), მართალია ნაკლებ აშკარა, მაგრამ მაინც არანაკლებ დამღუპველ პირობითი გამოსავლის მარწუხებში ექცევიან, რადგან მათ ირგვლივ ყველგან პირობითობა და ჩვეულება გამეფებულა; რადგან ორი ადამიანის ნაადრევი და უსიხარულო შეხვედრისას ყველა საქციელი უკვე პირობითი იქნება. ამგვარი ცდომილების შედეგად წარმოშობილ ყოველ ურთიერთობასაც ჩვეულებრივ-პირობითი დასასრული ექნება, თუნდაც ეს ურთიერთობა ჯერ აუთვისებელი, ანუ, ტრადიციული აზრით, – ამორალური იყოს; განშორებაც პირობითი ნაბიჯი იქნება, შემთხვევითი, არაინდივიდუალური გადაწყვეტილება, უღონო და უნაყოფო.

თუკი სერიოზულად ჩაფიქრდება ადამიანი, იმასაც მიხვდება, რომ სიკვდილის

მსგავსად (რომელიც ასევე მძიმეა და ძნელი), სიყვარულის საიდუმლოს ამოხსნა და მისი ქარაგმების გამოცნობაც დღემდე თითქმის ვერავინ შეძლო; და სწორედ ამ ორი გამოცანის (ფარულად რომ ვატარებთ ჩვენში და ამოუხსნელადვე გადავცემთ სხვებს) გამოცნობაა შეუძლებელი საყოველთაოდ მიღებული წესებით. თუმცა ეს ორი დიდი საიდუმლო მით უფრო გვიახლოვდება, რაც უფრო მეტად ვიწყებთ ცხოვრების შემეცნებას: ჩვენ, ცალკეულნი, უმკაცრესი მოთხოვნები, რომელთაც სიყვარულის უმძიმესი საქმე ჩვენი განვითარების გზაზე გვიყენებს, აღემატება ჩვენს შესაძლებლობებს; ჩვენ, ახალბედები, ჯერ კიდევ არა ვართ მზად მათ აღსასრულებლად; თუმცა თუ გავუძლებთ, და სიყვარულს, მის ტვირთსა და მისი შესწავლის ხანას მოთმინებით ავიტანთ, თუ არ ჩავიკარგებით მარტივ და ზედაპირულ გართობა-თამაშობებში (ადამიანებმა ყოფიერების უდიდესი სერიოზულობისგან თავის დასაძვრენად რომ მოიგონეს), მაშინ იქნებ შევძლოთ და ოდნავ მაინც გავკვალოთ ეს გზა – შევუმსუბუქოთ იგი ჩვენს შემდგომ მავალთ: ეს პატარა მცდელობაც მნიშვნელოვანი იქნება, რადგან ჩვენ ხომ მხოლოდ ახლა ვსწავლობთ ერთი ცალკეული ადამიანის მეორე ადამიანთან ურთიერთობის დანახვას, დანახვას მართლად, ფხიზლად, მცდარი განსჯის გარეშე. ჩვენ პირველნი ვართ, ვინც ისეთი ურთიერთობებით ცდილობენ ცხოვრებას, რომელთა მსგავსიც წარსულში არ გვეგულება; თუმცა ჟამთა სვლაში უკვე შეიმჩნევა რაღაც ისეთი, რაც ჩვენს გაუბედავ თათოსნობას თანაუგრძნობს და ესალმება.

ქალი და ქალიშვილი თავიანთი ახალი, დამოუკიდებელი განვითარების გზაზე მხოლოდ დროებით გახდებიან მამაკაცური ზნისა თუ უზნეობის, მათ მოწოდებათა მიმბაძველ-გამმეორებელნი. ეს დროებითი ნიღაბი გახლავთ. მაგრამ ჩაივლის ეს გარდამავალი პერიოდი და მივხვდებით: ხშირი და მეტწილად სასაცილო ცვალებადობა ქალს ნიღაბივით იმისთვის დასჭირდა, რომ მეორე სქესის დამამახინჯებელი გავლენისაგან განეწმინდა თავისი ჭეშმარიტი არსი. ქალი, ვის არსებაშიც სიცოცხლე უფრო უშუალოდ, უფრო ნაყოფიერად, უფრო ნდობით მკვიდრობს და ყოვნდება – ცხადია, უფრო დასრულებული, უფრო ადამიანური ადამიანია, ვიდრე მამაკაცი – რომელიც, რაკი სხეულებრივ ნაყოფს არასდროს დაუმძიმებია, აგრე მჩატედ გაჩენილა სიცოცხლის ზედაპირს ქვემოთ, და კიდევ ქალის მნიშვნელობას ამცირებს ქედმაღლურად და დაუფიქრებლად, იმ ქალისას, რომელიც ვითომცდა უყვარს. დადგება დრო და ამომზევდება ამ ტკივილებითა და დამცირებებით ნაშობი ადამიანობა ქალისა, – თუკი ქალი თავისი გარეგანი ცხოვრების გარდაქმნისას მხოლოდქალური ჩვევებისგან გათავისუფლდება, ამომზევდება და მამაკაცი, დღეს რომ ვერცა გრძნობს ქალის მომავალს, ამ უცაბედი გარდასახვით გაოგნებული, თავს დაიდრეკს მის წინაშე. ოდესმე (ჩრდილოეთის ქვეყნებში უკვე იგრძნობა ამის ნიშნები) მდედრობითობა მხოლოდ მამრობითობითის საპირისპირო გამოვლინება კი აღარ იქნება, არამედ ქალი და ქალიშვილი თავისთავადი არსებანი გახდებიან, რომელთაც არც შევსება დასჭირდებათ და არც გამიჯვნა, – არამედ მხოლოდ სიცოცხლე და ყოფიერება. დაიბადება დამოუკიდებელი მდედრობითი ადამიანი: დედა-კაცი. საკუთარი არსების ამგვარი გარდაქმნისას (მამაკაცთა ნებისა და ქედმაღლურ, ჟამგადასულ მოსაზრებათა საპირისპიროდ) ქალი სიყვარულსაც გარდაქმნის; ეს განცდა ჯერ კიდევ ცდომილებაა და დაბნეულობა, შემდგომ კი ქალი მას ისეთ ურთიერთობად აქცევს, რომელიც ქალისა და მამაკაცის გაერთიანება კი აღარ იქნება, არამედ ერთი ადამიანის მეორესთან დაახლოება; ეს უფრო ადამიანური სიყვარული (რომელიც განშორების ჟამსაც ისევე გულისხმიერი, სათუთი და ნათელია, როგორიც დაახლოებისას იყო) იმ განცდის მსგავსი იქნება, დღესდღეობით სიძნელეებთან ჭიდილში და ტანჯვით რომ ვძერწავთ: მსგავსი იქნება იმ სიყვარულის, რომლის არსი ის გახლავთ, რომ ორმა მარტოსულმა ადამიანმა უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიფაროს, დაიცვას და აღიაროს ერთმანეთის მარტოობა.

და კიდევ: დაკარგულად ნუ ჩათვლით იმ დიდ სიყვარულს, რომელიც ბავშვობაში გარგუნათ ბედმა; ეგება სწორედ მაშინ მწიფდებოდა თქვენში ის დიდი, კეთილი აზრები და სურვილები, დღეს რომ გასულდგმულებენ. ვფიქრობ, თქვენს მოგონებაში ეს სიყვარული იმის გამოც ჩაიბეჭდა ასე ღრმად და უფლებამოსილად, რომ ის თქვენი პირველი დიდი სულიერი მარტოობა იყო, თქვენს ცხოვრებაში აღსრულებული პირველი სულიერი საქმე.

კეთილი სურვილებით,
თქვენი რაინერ მარია რილკე

ბორგები-გორი, ფლედი, შვეცია,
12 აგვისტო, 1904

მინდა კვლავ შეგეხმიანოთ, ძვირფასო ბატონო; თუმცა ამჯერად საგულისხმოს ვერაფერს გეტყვით. ბევრი მწუხარება გამოგიცდიათ: ყველაფერს უკვე ჩაუვლია. და თურმე ეს ჩავლაც მტკივნეული და დამაღონებელი ყოფილა თქვენთვის. მაგრამ დაფიქრდით, გეთაყვა, ეგებ კი არ ჩაიარა, არამედ პირდაპირ გულის-გულში გაგიარათ! და ეგებ ამ სატანჯველმა ბევრი რამ შეცვალა თქვენში, ერთიანად შეგცვალათ თქვენი არსების რომელიღაც კუნჭულში? ცუდი და საშიში მხოლოდ ის მწუხარებაა, ყველას დასანახად საჯეზე რომ მოირგებენ ხოლმე, რათა ამ უპირატესობით სხვები დაჩრდილონ. ზერელე და უგუნური მკურნალობის წყალობით მოურჩენელი სნებისა არ იყოს, მწუხარებაც მხოლოდ დროებით იხევს უკან და სულ ცოტა ხანში ახალი, უარესი ძალით იფეთქებს ხოლმე და ასე გროვდება და გუბდება ჩვენში ამგვარი ნაღველი და იქცევა ცხოვრებად, იმ ცხოვრებად, რომლითაც ჩვენ არ ვცხოვრობთ, უარვყავით და დავკარგეთ. ასეთმა ცხოვრებამ კი შეიძლება სიცოცხლეც მოუსწრაფოს ადამიანს. ჩვენი ცოდნის საზღვრებს მიღმა რომ შეგვეძლებოდა გახედვა და ცოტა კიდევ იქით, ჩვენი გუმანის წინასაზსაც რომ გადავცილებოდით, მაშინ იქნებ ჩვენს მწუხარებას უფრო მეტი ნდობით მოვკიდებოდით, ვიდრე სიხარულს; რადგან სწორედ მაშინ, როცა ვმწუხარებთ, რაღაც ახალი, რაღაც უცნობი რომ შემოდის ჩვენში, ყველა გრძნობა შიშით მუნჯდება მის წინაშე, უკან იხევს და წარმოიქმნება: სიჩუმეის ახალი და ყველასათვის უცნობი კი დგას იმ სიჩუმის შუაგულში და დუმს. დარწმუნებული ვარ, ყველა ჩვენი წუხილი იმ სულიერი დაძაბულობის წუთებია, რომელიც ჩვენ დამბლა გვგონია ხოლმე, რადგან აღარ გვესმის ჩვენი გაუცხოებული განცდების ხმა; რადგან უცებ წაგვართვეს ყოველივე შეჩვეული და ახლობელი; რადგან იმ გადასასვლელზე ვდგავართ, სადაც გაჩერება არ შეიძლება. ამიტომ მიდის ხოლმე მწუხარება, სიახლე კი, რომელიც მან მოიყოლა — ჩვენი გულის ულრმეს საკანში შედის და იქ უჩინარდება: — სისხლში გადადის. და ვეღარც ვიგებთ, რა იყო ეს: იქნება ვინმე შეეცადოს ჩვენს დარწმუნებას: არაფერიც არ მომხდარა; მაგრამ ჩვენ ხომ შევიცვალეთ: სახე ვიცვალეთ იმ სახლივით, რომლის კარიც სტუმარმა შეაღო. ვერც კი ვიტყვით, თუ ვინ გვეწვია და ეგებ ვერც ვერასოდეს გავიგოთ, მაგრამ ბევრი რამ მიგვანიშნებს, რომ ეს — მომავალი შემოვიდა ჩვენში, რათა ჩვენს წიაღში გარდაისახოს, გარდაიქმნას დიდი ხნით ადრე იქამდე, ვიდრე აღსრულდება. ამიტომ არის მნიშვნელოვანი: მარტოდმარტო და ყურადღებით განვიცადოთ მწუხარება; რადგანაც ჩვენში მომავლის შემოჭრის წამი, ერთი შეხედვით, ასე დაშრეტილი და უმოქმედო რომ გვეგონა, სინამდვილეში ბევრად უფრო სავსეა სიცოცხლით, ვიდრე ის შემთხვევითი და ხმაურიანი წუთები, როცა მომავალი ჩვენს შიგნით კი არ იბადება, არამედ გარედან გვეხლება. რაც უფრო ჩუმად, მოთმინებით და ღია არსებით ვმწუხარებთ, მით უფრო ღრმად და შეუმცდარად იჭრება ჩვენში რაღაც ახალი; მით უფრო ადვილად ვითვისებთ მას, მით უფრო ჩვენს ბედისწერად

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვექცევა იგი და მოგვიანებით, როცა ეს ბედისწერა "აღსრულდება" (ანუ ჩვენგან ამოვა და სხვებს მიეახლება) – ის ახლობელი იქნება ჩვენთვის. ეს კი აუცილებლად საჭიროა – და ჩვენი განვითარებაც თანდათან იქით მიღებს გეზს, რომ აღარაფერი შეგვემთხვეს უცხო, არამედ მხოლოდ ის გადაგვხდეს, რაც დიდი ხანია უკვე ჩვენია. ვინ იცის, ადამიანმა მოძრაობის არსის გამომხატველი რამდენი ცნება მოიფიქრა და გადაიფიქრა, და აი, თანდათან იმის აღიარებამდეც მივა, რომ ის, რასაც ჩვენ ბედისწერას ვუწოდებთ – გარედან კი არ შეიჭრება ადამიანში, არამედ პირიქით, თავად ადამიანის წიაღიდან ამოიმართება. რადგანაც ამდენი ბედისწერა, – ვიდრე ისინი ადამიანში ცოცხლობდნენ, – ადამიანმა ვერ შეიწოვა და საკუთარ წიაღში ვერ გარდასახა, – ამიტომაც ვეღარ სცნობს მათ, როცა ისინი მისი სიღრმიდან ზემოთ ამოდიან. ბედისწერა იმდენად უცხოა კაცისთვის, აგრე ჰგონია: სწორედ ამ წუთს დამატყდა თავსო, იფიცება: აქამდე მსგავსი არაფერი შემხვედრიაო. ისევე როგორც კარგა ხანს მცდარად ჰქონდათ წარმოდგენილი მზის მოძრაობა, ჩვენც ასევე არასწორად გვესმის მომავლის დინების გზა და კვალი. მომავალი, ძვირფასო ბატონო კაპუს, მყარად დგას; ეს ჩვენ ვტრიალებთ უსაზღვრო სივრცეში.

და რა გასაკვირია, თუ ასე გვიმძიმს იგი და გვიძნელდება?

ხოლო თუ კვლავ მარტოობაზე ვისაუბრებთ, მაშინ დავეთანხმებით, რომ არჩევანი არ გაგვაჩნია; ჩვენ მაშინ ვართ, როცა მარტონი ვართ. დიდი-დიდი თავი მოვიტყუოთ და ისე მოვიქცეთ, თითქოს ასე არ იყოს. მაგრამ არა სჯობს, ვაღიაროთ: რომ ჩვენ სწორედ მარტოსული არსებები ვართ? ამ გულახდილი აღიარების შემდეგ იქნებ თავგზაც დავკარგოთ, რადგან ყველაფერი გამოგვეცლება, რაზედაც ჩვენს მზერას შესვენება უყვარდა, ახლობელი საგანი აღარ შეგვრჩება, ხოლო შორეული საგნები უსასრულოდ დაგვშორდებიან. მყუდრო ოთახიდან წინასწარი შემზადებისა და გაფრთხილების გარეშე კაცმა ციცაბო კლდეზე რომ ამოყოს თავი, მაშინ თუ დაეუფლება მსგავსი განცდა; გაუგონარი უნუგეშობა შეგიპყრობს, სასოწარკვეთა, რომ განწირულია, რომ რაღაც უხილავისა და უსახელოს ხელში ჩავარდა, შიშიც შეგიპყრობს, შიში, რომელმაც ლამის ადგილზევე გაგანადგუროს. ხან მოგეჩვენება, ვეცემი და სივრცეში მივექანებიო, ხანაც ათას ნაწილად დაშლილსა და დამსხვრეულს წარმოიდგენ თავს. (რა უზარმაზარი ტყუილი უნდა მოეგონებინა ამ ადამიანის გონებას, რომ განცდები დაემორჩილებინა და დაემშვიდებინა?! აი, ასევე იცვლება მარტოსულისთვის მანძილები და საზომები; ამგვარი ცვლილებანი მრავალ რასმე იწვევენ, თუნდაც იმგვარ შეგრძნება-წარმოდგენებს, კლდის ქიმზე გარჩენილ ადამიანს რომ დაეუფლებოდა, და შიშებს, რომელთა ატანაც შეუძლებელი ჩანს. მაგრამ აუცილებელია ესეც გადავიტანოთ. ჩვენ რაც შეიძლება უნდა გავაფართოვოთ ჩვენი წარმოდგენა ჩვენს ყოფიერებაზე, მან ისიც კი უნდა მოიცვას, რაც გაუგონარია. ეს კი სიმამაცეს გულისხმობს და ჩვენც, არსებითად, სწორედ ასეთი სიმამაცე მოგვეთხოვება: წარბი არ შევიხაროთ იმ ყოვლად წარმოუდგენლის, გამაოგნებლისა და ჯერარყოფილის წინაშე, რაც მომავალში შეიძლება შეგვემთხვეს. სიცოცხლე დიდად დააზარალა ადამიანთა სიმხდალემ, სიმხდალემ სწორედ ამ თვალსაზრისით: "ხილვა", "გამოცხადება", "სულთა სამყარო", სიკვდილი – ყველა ეს ჩვენთვის ესოდენ ახლობელი მოვლენა – მშიშარა ადამიანმა ყოველდღიური უარყოფით ისე შორს განდევნა სიცოცხლიდან, რომ განცდები, რომელთა მეოხებითაც ისინი უნდა შეგვეცნო, უკვე დაგვიჩლუნგდა და დაგველია. ღმერთზე აღარაფერს ვამბობ. მაგრამ აუხსნელის წინაშე შიშმა მხოლოდ ცალკეული ადამიანის ყოფიერება კი არ გააღარიბა, არამედ ადამიანის ადამიანთან ურთიერთობაც დაავიწროვა, თითქოსდა ეს ურთიერთობა უზღვავი შესაძლებლობით აღსავსე კალაპოტიდან სადღაც ხრიოკ ნაპირზე გადააგდეს, ხრიოკზე, სადაც არაფერი ხდე-

ბა. რადგან მხოლოდ სიზანტისა და სიზარმაცის ბრალი როდია, ადამიანური ურთიერთობები ასე აუწერლად ერთფეროვანი რომ გახდა. მუდამ, ყველასთან ერთსა და იმავე სახეს რომ იღებს და მეორდება, – დამნაშავეა ჩვენი შიშიც იმ სრულიად ახალი, გაუთვალისწინებელი განცდის წინაშე, რომლისთვისაც თავს მოუმზადებლად ვთვლით. მაგრამ მხოლოდ ის ადამიანი, რომელიც მთელ სიცოცხლეს მოიცავს შინაგანად, ყველაზე უფრო აუხსნელის ჩათვლით, შეძლებს მეორე ადამიანთან ურთიერთობა მუდამ ცოცხალ სინამდვილედ განიცადოს და ბოლომდე ისაზრდოოს თავისი ყოფიერების წყაროსთვალით. ადამიანის ყოფიერებაზე რომ ვფიქრობთ, თვალწინ შედარებით დიდ ანდა პატარა სივრცეს წარმოვიდგენთ ხოლმე, მაგრამ ადამიანთა უმრავლესობა თურმე თავისი ოთახის ერთ კუნჭულს იცნობს, ფანჯრის ნიშს, ან იატაკის იმ ზოლს, რაზედაც დადის. ასე უფრო უხიფათოდ და მყარად გრძნობენ თავს. და მაინც გაცილებით უფრო ადამიანურია ის ხიფათით სავსე მოუსვენრობა, რომელიც უბიძგებს ედგარ პოს ტუსაღებს, ხელის ცეცებით იკვლიონ შემზარავი საკნის ფორმები და თვალებში შეხედონ თავიანთი მდგომარეობის გამოუთქმელ საშინელებას. ჩვენ კი ტუსაღნი არა ვართ. არც მახესა და ხაფანგში მოხვედრის საფრთხე გვემუქრება და საერთოდ არც არაფერს სურს ჩვენი დაშინება და წამება. ჩვენ სიცოცხლეში ვართ ჩადგმულ-ჩანერგილნი, ანუ ისეთ სტიქიაში, ყველაზე მეტად რომ შეგვესაბამება და სიცოცხლესთან საუკუნოვანი შეგუების შედეგად ისე დავემსგავსეთ მას, რომ, როდესაც ჩუმად ვართ, იღბლიანი მიმიკრიის წყალობით, ლამის არც განვსხვავდებით იმ არსებათაგან, გარს რომ გვახვევია. არავითარი საფუძველი არა გვაქვს, უნდობლად განვეწყოთ სამყაროს მიმართ. რადგან ის ხომ სულაც არ გვმტრობს! თუკი შიში მოდის მისგან, ეს ჩვენი შიშია, თუ უფსკრულები აქვს, ესეც ჩვენი უფსკრულებია, და თუ სადმე განსაცდელია, უნდა ვცადოთ და შევიყვაროთ იგი. და თუ დავყვებით იმ შეგონებას, რომ სიმძიმისაკენ წარვმართოთ ჩვენი გზა, ძნელს ჩავეჭიდოთ, მაშინ ის, რაც ახლა ყველაზე უცხოდ გვეჩვენება, ყველაზე ახლობელ-ერთგული გახდება ჩვენთვის. როგორ უნდა დავივიწყოთ მსოფლიოს თითქმის ყველა ხალხის ის უძველესი მითი (ლამის ამ ხალხების გაჩენის დღიდან რომ არსებობს), სადაც ურჩხული უმძაფრეს წუთს მეფის ასულად გადაიქცევა ხოლმე. ვინ იცის, ეგებ ჩვენი ცხოვრების ყველა ურჩხული მეფის ასულია, ჩვენს სიმამაცესა და სიკეთეს რომ ელის. ეგებ ყველაფერი საშინელი და შემზარავი – თავის სიღრმეში მხოლოდ უმწეო და საწყალი რამ არის, შველა რომ სწყურია ჩვენგან.

ამიტომ, ჩემო ბატონო, ნუ შეშინდებით, როცა თქვენს წინაშე ისეთი უზარმაზარი მწუხარება აზვირთდება, რომლის მსგავსიც ჯერ არ გინახავთ; ნუ შეშინდებით, თუ მოუსვენრობა ღრუბლიანი ცის შუქ-ჩრდილებივით გადაუვლის თქვენს ხელებსა და საქმიანობას. თუ დაფიქრდებით, მიხვდებით კიდეც, რაც ხდება თქვენში; მიხვდებით, რომ სიცოცხლეს არ დავიწყებიხართ, ხელში უპყრიხართ და არც დასაცემად გაგიმეტებთ. რატომ გინდათ თქვენი ცხოვრებიდან განდევნოთ მოუსვენრობა, ტანჯვა თუ სულიერი ტკივილი?! განდევნოთ ისე, რომ ვერც გაიგოთ, რად იღვწოდნენ, ანდა რა საქმეს აღასრულებდნენ ისინი თქვენში?! რად ჩასციებიხართ საკუთარ თავს: ნეტავ საიდან მოვიდა ეს მწუხარება ან საით მიდისო? არადა, კარგად მოგეხსენებათ, რომ გარდატეხის ხანაში ბრძანდებით, გარდამავალ საფეხურზე, და აკი არც არაფერს ნატრობთ, თქვენი გარდაქმნის გარდა. თუ თქვენი რომელიმე განცდის ავადმყოფურობა გაკრთობთ, მაშინ გაიხსენეთ, რომ ავადმყოფობა ორგანიზმის უცხო სხეულებისგან განთავისუფლების საშუალებაა, და ორგანიზმს მხოლოდ ვეხმარებით იმით, რომ ავადა ვართ, ბოლომდე უნდა მოვიცვათ ეს ავადმყოფობა, რათა მერე ერთიანად გადმოვანთხიოთ, რადგან ეს არის ორგანიზმის წინსვლა. ამჟამად, ბატონო კაპუს, იმდენი რამ ხდება

თქვენს სულში! თქვენც მოთმინებით უნდა აღივსოთ როგორც სნეული და თან გამოკეთებისკენ პირქმნილი. იქნებ მართლაც ორივე ხართ. უფრო მეტიც: თქვენ მკურნალიც ხართ, საკუთარი თავის მკურნალი. მაგრამ ავადმყოფობისას ხშირია ისეთი წუთები, როცა ექიმს ლოდინის გარდა სხვა არაფერი მართებს. აი, რა უნდა შეიძლოთ თქვენც, საკუთარი თავის მკურნალმა. მეტისმეტად ნუ იჩხრიკებით თქვენს განცდებში, თქვენი ამჟამინდელი მდგომარეობის ნაუცბათევ შეფასებასაც ერიდეთ: მიუშვით სული თავის ნებაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ადვილად დაადანაშაულებთ თქვენს წარსულს (იგულისხმება: მორალური თვალსაზრისით) თქვენი ახლანდელი მდგომარეობის შექმნაში. მაგრამ რაც ბავშვობისდროინდელი შეცდომებიდან, სურვილებიდან და ოცნებებიდან დღესდღეობით მოქმედებს თქვენს არსებაში, ეს ის არ გახლავთ, რაც თქვენ გახსოვთ და რასაც ბრალსა სდებთ. გარდასული და უმწეო ბავშვობის ხანა იმდენად რთული და მძიმეა, იმდენი გავლენის ქვეშ ექცევა და თან ისეა ამოვარდნილი რეალურ-ცხოვრებისეულ ურთიერთობათა სფეროდან, რომ ბავშვობაში ჩადენილ ცოდვას ცოდვასაც ვერ დაარქმევ; საერთოდ კი მოვლენათა სახელდებისას დიდი სიფრთხილე გვმართებს, ხშირად სწორედ სიტყვა "დანაშაული" არღვევს სიცოცხლეს და არა უსახელო და უაღრესად პიროვნული საქციელი, რომელიც, შეიძლება, ადამიანის სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენდა და მისი ცხოვრება ძალზე უმტკივნეულოდ მიიღებდა კიდეც მას. თქვენ თვლით, რომ ყოველივე ძალზე ბევრ ძალებს გართმევთ, ასე იმიტომ ფიქრობთ, რომ გამარჯვების ფასს აზვიადებთ: გამარჯვება ის "დიდი საქმე" კი არ არის, რომელიც, გგონიათ, რომ აღასრულეთ, არამედ დიდია ის, რამაც შეამზადა თქვენი გამარჯვება, რითაც შეგეძლოთ თავიდან აგერიდებინათ ცთომილებანი: დიდია ის, რაც მართალია და ჭეშმარიტი. ის რომ არ დაგხმარებოდათ, თქვენი გამარჯვება მხოლოდ მორალური რეაქცია იქნებოდა და სხვა არაფერი, ახლა კი თქვენი ცხოვრების არსებითი ნაწილი გახდა, ნაწილი იმ ცხოვრებისა, ბატონო კაპუს, რომელსაც სიკეთეს ვუსურვებ. გახსოვთ, ალბათ, ყრმობის ასაკში როგორ ისწრაფვოდით რაღაც "დიდისკენ", ახლა კი ვხედავ, როგორ ელტვის თქვენს არსებაში ეს "დიდი" "დიადს", ამიტომაა ჩვენი ცხოვრება მუდამჟამს ძნელი, მაგრამ სწორედ იმიტომ გვზრდის შინაგანად, რომ ძნელია.

ჩემი წერილის დასასრულს კი ამასღა დავძენ: ნუ იფიქრებთ, რომ ის ადამიანი, ვინც ასე ცდილობს განუგეშოთ, უდარდელად ცხოვრობს ამ უბრალო და ჩუმი სიტყვების მიღმა, რომელთაც ხანდისხან სიმშვიდე მოაქვთ თქვენთვის. იცოდეთ, ამ ადამიანის ცხოვრებაშიც მრავალი ტანჯვა და მწუხარებაა, რაც სიტყვებს მიღმა იმალება. ასე რომ არ იყოს, იგი ვერასოდეს იპოვიდა სიტყვებს, რომელთაც ძალუძთ ნუგეში სცენ სხვას.

თქვენი რაინერ მარია რილკე

ფურებორგი, იონსერედი, შვეცია, 4
ნოემბერი, 1904

ძვირფასო ბატონო კაპუს!

წერილი დაგიგვიანეთ, რადგან მთელი ეს ხანი ვმოგზაურობდი, ანდა მოუცლელობის გამო ვერ გწერდით პასუხს. დღესაც ძალიან მიჭირს წერა. უამრავი კორესპონდენცია გავამზადე და ხელი გადამეღალა. რომ შეიძლებოდეს ვინმეს ვუკარნახო, მაშინ ბევრ რამეს გეტყოდით; ამჯერად კი ორიოდე სიტყვით მოგახსენებთ ჩემს სათქმელს.

ძვირფასო ბატონო, ისე ხშირად გიხსენებთ და ისეთ ძლიერ სურვილებს გიგზავნით, რომ ვფიქრობ, რაღაცნაირად უნდა გიშველოთ ჩემმა ძალისხმევამ. მაგრამ გეხმარებათ თუ არა რაიმეში ჩემი წერილები – ამას კი ხშირად ვეჭვობ. ნუ მიპასუხებთ: დიახ, მეხმარებაო. მშვიდად მიიღეთ ჩემი ყოველი წერილი და მადლობასაც ასე ხშირად

ნუ გადამისხდით. მოითმინეთ და ვნახოთ, რა მოხდება.

იქნებ თქვენი წერილის ყოველ სიტყვას ასე არც უნდა გამოვედევნო, რადგან ყველაფერი, რაც შეიძლებოდა მეთქვა თქვენი ეჭვების თაობაზე, თქვენს ყოველ სხვა სატკივარზე, ანდა იმის შესახებ, რომ ვერ შეგითანხმებიათ გარეგანი და შინაგანი ცხოვრება, – დიდი ხანია უკვე გითხარით. ჩემი რჩევა უწინდებურად ასეთია: აღივსეთ მოთმინებით, რათა გაუძლოთ ყოველივეს, და იმ უბრალოებით, რაც რწმენას სჭირდება, უფრო მეტად უნდა მიენდოთ სიძნელეებს და თქვენს მარტოობას ამ ხალხმრავლობაში, საერთოდ კი აცალეთ ცხოვრებას საკუთარი გზით იდინოს. შერწმუნეთ: ცხოვრება მუდამ მართალია.

რაც შეეხება განცდებს: სუფთაა ყოველი განცდა, თქვენში ძალებს რომ აღვიძებს, წელში რომ გმართავთ და აგამაღლებთ. უწმინდურია გრძნობა, თქვენი არსების მხოლოდ ერთ მხარეს რომ ეხება და ამიტომაც ამახინჯებს მას. ყველაფერი მართებულია, რასაც თქვენს ბავშვობაზე ფიქრობთ. ყოველგვარი ზრდა კარგია, თუკი იმაზე უკეთეს არსებად გაქცევთ, ვიდრე აქამდე იყავით; ყოველგვარი ზრდა კარგია, თუკი იგი სისხლში გაქვთ გამჯდარი, უკეთუ იგი კი არ გბანგავთ, გამღვრევთ და გაწუხებთ, არამედ ისეთ კამკამა სიხარულად გადაგექცევათ, რომლის ფსკერსაც კი ხედავთ; ხომ ხვდებით, რასაც ვგულისხმობ?

თქვენი დაეჭვება, შესაძლოა, კარგ თვისებადაც კი გარდაგექმნათ, თუკი მას გაწრთვნით. იგი უნდა გააცნობიეროთ და შეგნებულ კრიტიკად გადააქციოთ. ამიტომ, როგორც კი ცუდი მხრიდან დაგანახებთ რაიმეს, მაშინვე ჩაჰკითხეთ, თუ რატომ არის ეს ცუდი და საზიზღარი. დე, დაგიმტკიცოთ და დაგისაბუთოთ. აი, მაშინ კი მიხვდებით, რა უსუსური და უმწეო ყოფილა თქვენი ეჭვი. თუმცა ამაზე ნუ შეჩერდებით: არგუმენტები მოსთხოვეთ! და ყოველთვის ასე თანმიმდევრულად და ყურადღებით მოექეცით და იქნებ ერთ მშვენიერ დღეს ეს მოწინააღმდეგე ერთ-ერთ უერთგულეს თანამშრომელად და ყველაზე გონიერ ხელოსან-თანაშემწედაც კი გადაგექცეთ, ყველა იმ ძალას შორის, რაც ქმნის და აყალიბებს თქვენს ცხოვრებას.

აი, ყველაფერი, რაც დღეს თქვენთვის მინდოდა და შემეძლო მეთქვა. წერილთან ერთად პატარა პოემის ამონაბეჭდსაც გიგზავნით, პრაღის გამომცემლობამ რომ გამოაქვეყნა კრებულში "Deutsche Arbeit". ამ პოემით ვაგრძელებ თქვენთან საუბარს სიცოცხლეზე და სიკვდილზე, და კიდევ იმაზე, თუ რა დიდი და მშვენიერია ორივე.

თქვენი რაინერ მარია რილკე

პარიზი, შობის მეორე დღე, 1908

ვერც კი წარმოიდგენთ, ძვირფასო ბატონო, როგორ გამახარეთ თქვენი საუცხოო წერილით, რომელმაც ამჯერად კარგი, გულწრფელი და ნათელი ამბები მომიტანა; თანდათან უფრო ვრწმუნდები, რომ ყველაფერი ეს ნამდვილად სახიხარულოა; საშობაოდაც სწორედ ეს მინდოდა თქვენთვის მეთქვა და მომეწერა. მთელი ზამთარი საწერ მაგიდასთან გავატარე, თუმცა არც დაღლილობა მიგრძვნია და არც მოწყენილობა. ჩვენი ძველთაძველი დღესასწაულიც ისე უცბად შემომეპარა, დრო ძლივს მეყო საშობაო სამზადისისთვის და წერილისთვისაც ვერ მოვიცალე.

შობის დღეებში ხშირად ვფიქრობდი თქვენზე და ვცდილობდი წარმომედგინა, თუ რა სიმყუდროვე და სიმშვიდე სუფევს შიშველი მთებით გარშემორტყმულ თქვენს განმარტოებულ ციხესიმაგრეში; წარმოვიდგენ ხოლმე, როგორ ერკინებიან ამ კლდეებს სამხრეთული ქარები, თითქოს ლოდებად დაშლასა და შთანთქმას რომ უპირებენ მათ.

რაოდენ უსაზღვრო უნდა იყოს ამ დიადი მოძრაობებითა და ხმებით აღსავსე სიჩუმე: და თუკი მთელ ამ მოძრაობაში შორეული ზღვის შრიალსაც შეიგრძნობ კაცი, შრი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალს, რომელიც ამ პირველყოფილ ჰარმონიაში შესაძლოა ყველაზე შინაგან ბგერას წარმოადგენს, მაშინ მხოლოდ ერთი რამ უნდა გისურვოთ ადამიანმა: ენდეთ და მოთმინებით განიცადეთ ამ განსაცვიფრებელი მარტოობის ზემოქმედება, რომელსაც მოგვიანებით ვეღარც კი ამოშლით თქვენი ცხოვრებიდან, მუდამ იგრძნობთ მის ფარულ გავლენას, რადგან ის ყოველ თქვენს მერმინდელ განცდასა თუ საქმეში გააგრძელებს სიცოცხლესა და იდუმალ ქმედებას; როგორც წინაპართა სისხლი ერთვის ჩვენს სისხლს, ჩვენს ძარღვებში მიედინება და დასაბამს აძლევს იმ ერთადერთს, განუმეორებელსა და თავისებურს, რაც ჩვენ ვართ, მაშინაც კი როცა ვიცვლებით.

რა თქმა უნდა, მიხარია, რომ დაიმკვიდრეთ თქვენი ადგილი ცხოვრებაში; თქვენი სამხედრო სამსახური, წოდება და ფორმა ერთის შეხედვით შეიძლება ადვილი ეგონოს ადამიანს, თუმცა ეს ხელშესახები და ვიწრო ყოფიერება უკაცურ გარემოში; ადამიანთა მხოლოდ მცირერიცხოვან ჯგუფთან ერთად მყისვე სიმკაცრითა და სხვა, უჩვეულო მნიშვნელობით აღიბეჭდება; ჩვეულებრივი სამხედრო სამსახურისგან განსხვავებით იგი, დროსტარებას, დროის ფუჭად ფლანგვას არ გაცლით, დამოუკიდებელი მოქმედების უნარს აძლიერებს თქვენში და დროის ფხიზლად გამოყენების შესაძლებლობასაც გაძლევთ; და რომ ჩვენი ცხოვრების პირობებმა გარდაგვქმნან და ხანგამოშვებით ბუნების დიადი და მნიშვნელოვანი მოვლენების პირისპირ დაგვაყენონ – სწორედაც რომ აუცილებელია ჩვენთვის.

თავად ხელოვნება – ერთ-ერთი სახეობაა ცხოვრებისა; სავსებით შესაძლებელია, სადმე უბრალოდ, შენთვის ცხოვრობდე და შეუცნობლად სწორედ ხელოვნებისთვის ემზადებოდე; ყოველგვარი ნამდვილი საქმიანობა, უფრო ახლოსაა ხელოვნებასთან, უფრო ენათესავება მას, ვიდრე რომელიმე ნახევრად არტისტული, ფარისევლური პროფესია, ხელოვნებასთან სიახლოვეზე რომ დებს თავს და სინამდვილეში ამახინჯებს და უარყოფს ჭეშმარიტი ხელოვნების არსს; აი, ამას სჩადის მთელი ჟურნალიზმი და თითქმის ყველანაირი კრიტიკა და კიდევ დიდი ნაწილი იმისა, რასაც ლიტერატურას ეძახიან და რასაც აუჩემებია, ლიტერატურად იწოდებოდეს. მოკლედ რომ გითხრათ, ძალზე მიხარია, რომ თავი დააღწიეთ ამ მცდარ და პრეტენზიულ გზაზე მოხვედრის საფრთხეს, უარყავით ის, რაც არ იყო თქვენი მოწოდება და გაბედულად არჩიეთ მკაცრი სინამდვილის პირისპირ მარტო დგომა. დაე, ამ წერილმა განგამტკიცოთ და დაგიფაროთ ამ გზაზე.

თქვენი რაინერ მარია რილკე

[1] ჯაკომო ლეოპარდი — იტალიელი პოეტი და ფილოლოგი (1798 – 1837). ლეოპარდის შემოქმედებაში ცენტრალური ადგილი უკავია ლექსების კრებულს "სიმღერები" (1831), რაც იტალიური ლირიკის შედევრად ითვლება.

[2] ჰორაჩეკი — მოძღვარი სანკტ-პოლტენის სამხედრო სასწავლებლისა, სადაც თავის დროზე სწავლობდა რილკე და შემდეგ კაპუსიც

[3] იენს პეტერ იაკობსენი — დანიელი მწერალი (1847 – 1885), ჩარლზ დიკენსის უმთავრესი ნაწარმოებების დანიურ ენაზე მთარგმნელი. მისი მნიშვნელოვანი პოეტური კრებულია "არაბესკა მიქელანჯელოს ესკიზისათვის". ეს ლექსები გერმანულ ენაზე ითარგმნა შტეფან გეორგესა და რილკეს მიერ.

[4] რიჰარდ დემელი — გერმანელი პოეტი (1863 – 1920). მის ნაწარმოებში "რომანი რომანსებში" ასახულია წინააღმდეგობა ეროტიულ ლტოლვასა და გონიერებას შორის.

[5] სავარაუდოა, რომ ეს სიტყვები კაპუსის წერილიდანაა მოხმობილი.

[6] ვორპსვედე – გერმანელ მხატვართა დასახლება, სადაც რილკეც იმყოფებოდა მეგობრებთან ერთად.

გერმანულიდან თარგმნა და შენიშვნები
დაურთო ასმათ ფიცხელაურმა

წიგნიდან:
**Rainer Maria Rilke, Briefe, 1950**



# რელიგია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დედა ტერეზა

1997 წლის 5 სექტემბერს დედამიწა დატოვა დიადმა, ნათელმა სულმა. მისი მხურვალე სიყვარული ჩვენი პლანეტის ათასობით ტანჯულს ეფინებოდა.

„დედა ტერეზას საქველმოქმედო მისია, მცირე ხანში მთელ მსოფლიოს რომ მოედო, ალბათ ყველაზე ძლიერი დასაბუთებაა ქრისტიანობის ცხოველმყოფელობისა XX საუკუნეში“ – ელიზაბეტ ვანდერპილი.

,,უფალო ღმერთო, აღგვავსე ღირსებით, ვემსახუროთ ჩვენს ძმებს, მთელი მსოფლიოს ადამიანებს, რომლებიც ცხოვრობენ და კვდებიან შიმშილსა და სიღატაკეში.

ღმერთო, მიეც მათ პური არსობისა ჩვენი ხელიდან და შენი სიყვარული – ჩვენი სულებიდან, მიეც მათ სიხარული და მშვიდობა.

უფალო ღმერთო, დე ვიყო მე კალაპოტი შენი მადლისა, რათა მივუტანო სიყვარული მძულვარეთ, გზასაცდენილთ – მიტევება, აღრეულთ – ჰარმონია, დაბნეულთ – ჭეშმარიტება, დაეჭვებულთ – რწმენა, სასოწარკვეთილთ – იმედი, ბნელით მოცულთ – სინათლე, მჭვუნვარეთ – სიხარული.

უფალო ღმერთო, შემეწიე, რათა ჩემი მოყვასის კეთილდღეობა ვარჩიო ჩემსას; რათა ვიშრომო მისი გაგებისათვის; რათა ვიშრომო მისი შეყვარებისათვის, და არ ვეძებო მისი სიყვარული. რადგან მხოლოდ თავდავიწყებულნი მოიპოვებენ ნეტარებას, მხოლოდ მიმტევებელნი იქნებიან მიტევებულნი, მხოლოდ ისინი, ვინც მოკვდნენ, აღსდგებიან მარადიული ცხოვრებისათვის. ამინ“.

ეს იყო დედა ტერეზას ლოცვა, ასე ლოცულობენ ყოველ დილით „მოწყალების მისიის დები“, რომლებიც მიმოფანტულნი არიან დედამიწის იმ კუთხეებში, სადაც ყველაზე დიდი სიდუხჭირე და სივალალეა.

ასე ლოცულობენ მისიის დები აქაც, ჩვენთან, თბილისში: 1989 წლიდან მოკიდებული დღემდე.

(წერილს დედა ტერეზას შესახებ წაიკითხავთ ჟურნალის შემდეგ ნომერში).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მაისტერ ეკჰარტი

„ადამიანი ცისკრის ვარსკვლავივით უნდა იყოს: მუდამ ღმერთის აწმყოში.“

მაისტერ ეკჰარტის – დიდი რელიგიური მოაზროვნის და სულიერი მოძღვრის –მოღვაწეობა XIII-XIV საუკუნეთა მიჯნაზე წარიმართა. ეს იყო ეპოქა რელიგიური აზრის, სპირიტუალური ცოდნის, ქრისტიანული იდეალების ღრმა კრიზისისა; განხეთქილებათა და ბრძოლათა ჟამი: ახალი ჩათავებული იყო XI საუკუნეში წამოწყებული, გამაპარტახებელი ჯვაროსნული ომები, თითქმის სამი საუკუნე რომ გაგრძელდა: 1234 წელს პაპის გრეგორ IX-ის მიერ გამოქვეყნებული დეკრეტების კრებულით ოფიციალურად დაფუძნდა ინკვიზიცია, როგორც აზროვნების მაკონტროლებელი, ბრალმდებელი და დამსჯელი ინსტიტუტი; სრულიად დაეცა ეკლესიის ცენტრალური ხელისუფლების ავტორიტეტი; დაეცა სიწმინდე თვით ოდესღაც უანგარო სულიერი ენთუზიაზმისა და ქრისტესმიერი სიყვარულის ტალღაზე აღმოცენებულ რელიგიურ ორდენებში, როგორიც იყო მაგ., ბენედიქტელთა თუ იოანიცთა ორდენი. ზნეობრივი ბზარები გაუჩნდათ დომინიკელთა და ფრანცისკელთა ორდენებსაც – რელიგიური განათლების, ასკეტური და სპირიტუალური ცხოვრების უმძლავრეს კერებს. აპოგეას მიაღწია ბრძოლამ ძალაუფლებისათვის ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის. ბოლოს გაძლიერებული საფრანგეთის მეფემ ფილიპ IV ლამაზმა არაფრად ჩააგდო პაპის ბონიფაციუს VIII-ის მძვინვარე ანათემები და ბულები და იგი საპყრობილეში გამოამწყვდევინა, რის შემდეგაც მსოფლიო ეკლესიის თავი მალე გარდაიცვალა, ხოლო პაპის რეზიდენცია პროვანსში, ქ. ავინიონში გადავიდა. ასე დაიწყო სამოცდაათწლიანი „ავინიონის ხანა“, „პაპობის ბაბილონური ტყვეობა“ რომ ეწოდა“. ასე დაემხო „პაპობის მსოფლიო ბატონობა და ოცნება: დასავლეთის უნივერსალური ეკლესია გადაექციათ უნივერსალურ თეოკრატიულ სახელმწიფოდ.

რელიგიური აზრისა და საეკლესიო ხელისუფლების დაცემის მკვეთრ ილუსტრაციას წარმოადგენდა ე.წ. სპირიტუალებსა და პაპებს შორის ლამის მთელი XIV საუკუნის განმავლობაში მიმდინარე კამათი: სერიოზული დავის საგნად გამხდარიყო ქრისტეს ნივთიერი სიღარიბის საკითხი. სიმდიდრისა და ძალაუფლებისთვის გამეცადინებულ პაპობას კარგა ხანია ხელსა და ნერვებს უშლიდა მაცხოვრისა და მოციქულების სიღატაკე. და აი, ბონიფაციუს VIII-ის მომდევნო პაპა იოანე XXII-ს სულაც არ გასჭირვებია გამოეცხადებინა: სიცრუეა, თითქოს ქრისტე და მოციქულები ღარიბები იყვნენ და იმ მწირ ქონებას, რაც გააჩნდათ, ერთმანეთში იყოფდნენო. შესაბამისად, მან ინკვიზიციური კომისია დაატეხა თავს ფრანცისკელთა ორდენს და ერესად გამოაცხადა ამ ორდენის ზნეობრივი ღერძი და პრინციპი: სიღარიბე, არასქონება; და ამ ვითარებაში როგორ უნდა გაეგო – ვისთვის დაეჯერებინა ისედაც საეკლესიო გადასახადებით წელში გაწყვეტილ უბრალო ქრისტიანს? და სულ უფრო ღრმავდებოდა მორწმუნეთა სულიერი დაბნეულობა...

ხოლო ანათემები – ეკლესიის ეს საყვარელი გამოგონება – საუკუნეთა მანძილზე შიშის ზარს რომ სცემდა ადამიანებს და გვარიანად ეხმარებოდა ეკლესიას ძალაუფლების შენარჩუნებაში – სულ უფრო ენერგიულად დაქროდნენ აქეთ-იქით.

მაგალითად, გერმანიის დიდი ქალაქები: შტრასბურგი, ერფურტი, ულმი, ფრანკფურტი ათწლეულების განმავლობაში ანათემას იყვნენ გადაცემულნი. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მორწმუნე ქრისტიანს იქ ზიარების მიღების შესაძლებლობა არ ჰქონდა. ადვილი წარმოსადგენია, რას ნიშნავდა ეს შუასაუკუნეების ადამიანისათვის... და ეპოქის ქაოსში გზააბნეული, სულიერ სინათლესა და ხსნას დანატრებული მორწმუნეები ეკლესიის გარეშე და მის საპირისპიროდ ეძიებდნენ ღმერთისკენ მიმავალ გზას. ერთიანად დაქუცმაცებულ გერმანიაში, სადაც განსაკუთრებით ძლიერ მოქმედებდა საეკლესიო წნეხი, სულ უფრო ძლიერდებოდა თავისუფალი, მისტიური ღვთისმოსაობა, ნამდვილი „ხალხური მისტიკა“ და ათასგვარი რელიგიური მიმდინარეობის სახით ვრცელდებოდა.

ჯერ კიდევ XII საუკუნეში, რაინის პირას, ბენედიქტელთა ორდენში იღვწოდა ყოვლად განსაცვიფრებელი სული: დიდი ნათელმხილველი და მისტიკური მოაზროვნე, არაჩვეულებრივად დამოუკიდებელი პიროვნება, მონასტრის იღუმენია და ხალხის მიერ წმინდად შერაცხული – ჰილდეგარდ ფონ ბინგენი, რომლის ლათინურ ენაზე შექმნილი უზარმაზარი მემკვიდრეობა მთელი მომდევნო საუკუნეებისთვის აუთვისებელი დარჩა. XIII საუკუნეში ცისტერციანზერთა ორდენში გერმანულ ენაზე წარმოიქმნა გერმანული მისტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძეგლი; მეხტილდ ფონ მაგდენბურგის „ღვთაების დენადი ნათელი“, მაგრამ გერმანულმა ქრისტიანულმა მისტიკამ თავის მწვერვალს სწორედ მაისტერ ეკჰარტის შემოქმედებაში მიაღწია.

ცხადია, მ. ეკჰარტს – „წმინდა თეოლოგიის მაგისტრსა“ და „წმინდა წერილის პროფესორს“ არასოდეს მოსვლია აზრად დოგმატიკის წინააღმდეგ გალაშქრება, მაგრამ მისი საკუთარი სპირიტუალური გამოცდილება: ღმერთის ცოცხალი განცდა, რაც მის ქადაგებას დიდ დამაჯერებლობასა და გადამდებ ცეცხლოვანებას ანიჭებდა, – აპირობებდა მის აზროვნებას, დაუსაზღვრელად თავისუფალს ხდიდა.

და ეს ჩირაღდანივით დანთებული, სიყვარულითა და ზეციური ხალისით აღვსილი სული უზუსტესი ენით მეტყველი უძლიერესი გონება ერთნაირად იზიდავდა გლეხებსა და წარჩინებულთ, ბერ-მონაზვნებს, თეოლოგიის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფაკულტეტის სტუდენტებსა თუ ეკლესიის დაპირისპირებულ, მეამბოხე მორწმუნეებს: სხვადასხვა სექტების წევრებს: ბეგარდებს* ბეგინებს**.... ხოლო ინკვიზიციის მიერ გაჩაღებული, დამსჯელი კოცონების წრე სულ უფრო ვიწროვდებოდა... და იმ კოცონებზე დაფერფლილთა მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ მაისტერ ეკჰარტის მიმდევრები, მისი სამწყსოს წევრები იყვნენ... არ არის ძნელი წარმოსადგენი თუ რა ხდებოდა მოძღვარის გულში...

მაისტერ ეკჰარტის რელიგიური მოძღვრების ქვაკუთხედია ღმერთისა და ადამიანის შეხვედრა ადამიანის სულში და ამ შეხვედრისკენ მიმავალი გზის კანონების გადმოცემა. კერძოდ, როგორც წყალში ჩაძირული ცარიელი ჭურჭელი გარდაუვალად აივსება წყლით და აივსება იმდენად, რამდენადაც ცარიელია, — ასევე საკუთარი ეგოსგან, მიწიერი გრძნობებისა და სურათ-ხატებისაგან დაცლილი სულიც ურყევი კანონის ძალით აივსება ღმერთით („რამდენადაც გასვალ შენი თავიდან, იმდენად შემოვა შენში ღმერთი"). ცხადია, თავად ეს აზრი კი არ არის ამ ახალი, ამ უძველეს აზრს, ახალ სიცოცხლეს ანიჭებს მაისტერ ეკჰარტის საკუთარი გამოცდილება, საკუთარი სულიერი შრომით მოპოვებული ღმერთის ცოცხალი განცდა; ეკჰარტის მთავარი ნიშანია გაშინაგნება. და რაც მას განასხვავებს შუა საუკუნეების სხვა გერმანელი მისტიკოსებისაგან, მათ შორის თავისი დიდი მოწაფეების: ტაულერის, ზოიზეს, რუისბრუკისაგან, ეს არის სწორედ — სპირიტუალური ექსტატიურობის, გულითადობისა და გონებისმიერი სიმკაცრის არაჩვეულებრივად ჰარმონიული შერწყმა, რაც აპირობებდა შინაგანი, საიდუმლო და მოუხელთებელი პროცესებისათვის მაქსიმალურად ზუსტი და გასაგები ენობრივი ადექვატების დაძებნას. მ. ეკჰარტის გერმანული ნაწერებით, შეგონებებით, ქადაგებებით ეყრება საფუძველი იმ ზუსტ და სულიერ ენას, რომელზეც მთელი შემდგომი საუკუნეების მანძილზე დაშენდა გერმანული სპირიტუალური აზროვნება, პოეზია და პროზა.

„მაისტერ ეკჰარტის გავლენას განიცდიდა მისტიკოსთა და რელიგიურ მოაზროვნეთა ყველა მომდევნო თაობა.. მათთვის ყველასთვის უმნიშვნელოვანესი იყო ეკჰარტისაგან მისტიურ მემკვიდრეობად მიღებული აქცენტირება „შინაგანობისა". გარდა ამისა, ეკჰარტისაგან მოედინება ფილოსოფიური ზემოქმედების ხაზიც, რომელიც ნიკოლაუს კუზანელის, ვაიგელისა და ბიომეს გავლით კანტამდე, კანტის შემდგომ დროინდელ იდეალიზმამდე, განსაკუთრებით, ჰეგელამდე აღწევს და შოპენჰაურს და ნიცშესაც სწვდება" (კარლ ჰოისი).

მოძღვარი ეკჰარტი, რომლის სახელიც უკვე შორს გასცდენოდა გერმანიის საზღვრებს, — ყალბი ნუგეშით როდი კვებავდა ნუგეშის მაძიებელ მრევლს: პირიქით, იგი ენერგიულად ფანტავდა მათ ცრურწმენას და შთააგონებდა რომ, დიდი შინაგანი შრომის: თვითგანწმენდისა და აზრის კონცენტრაციის გარეშე ვერავინ შეაბიჯებდა ნათელში, და აქ არც ეკლესია და არც რიტუალი თავისთავად არაფრის გარანტია არ იყო. იგი უძნელესი ანუ ნამდვილი გზისაკენ მოუწოდებდა მორწმუნე ქალებსა და კაცებს: მოუწოდებდა შინაგანი ძალების მაქსიმალური კონცენტრაციისაკენ, მუდამ სულის შუაგულში ყოფნისაკენ, რადგან არც ერთი მათგანი არ ემეტებოდა იმისთვის, რაც მისთვის ნამდვილი სიდუხჭირესა და უბედურებას წარმოადგენდა: ისე გაელია ადამიანს დედამიწაზე თავისი სიცოცხლე, რომ ვერ ეცნო და ვერ ეგრძნო თავისი ნამდვილი მშობელი: ზეციერი მამა, რომელიც „უფრო ახლოს არის ჩვენთან, ვიდრე ჩვენ ვართ საკუთარ თავთან". მამის ცოცხალი განცდა ხომ იმ სიხარულის საწინდარი იყო, რომლის წინაშეც ნებისმიერი მიწიერი სიმძიმე უკან იხევდა... მოძღვარს სწყუროდა ყველასთვის გაენაწილებინა ეს სიხარული, რომელიც უშრეტ წყაროდ ამოსჩქეფდა მის სულში. იგი ეხვეწებოდა, მოუწოდებდა, არწმუნებდა მორწმუნეთ შედგომოდნენ მამისაკენ მიმავალ გზას და... თავდებად უდგებოდა, რომ ამ ძნელი აღმართის თავში მათ გაცისკროვნებული სახლი ელოდათ...

და რა თქმა უნდა იგი, ამ უქრობი შუქით აღვსილი, მშვიდად შეეგება საკუთარ ბედისწერას: როდესაც ინკვიზაციის ზარმა მის თავზეც დარეკა... როდესაც მას ბრალი დასდეს ერესში; როდესაც თვით მისი დიდი მოწაფე როისბრუკი აიძულეს ერესად გამოეცხადებინა მასწავლებლის რამდენიმე გამონათქვამი; როდესაც იგი უკვე 70 წელს მიტანებული, უშიშრად დადგა ავინიონის გზას კომისიის წინაშე თავის გასამართლებლად და ამ გზაზე გაუჩინარდა....

დღესაც ასევე — და შეიძლება უფრო სასოწარკვეთითაც — ეძებს ადამიანი სულის ხსნას, ცოდნას, იმ უშრეტი სიხარულის სათავეს, რომელიც მას მიწიერების სიმძიმეს მსუბუქად და ლაღად ატარებინებს. ასეთმა ადამიანმა არ შეიძლება არ იგრძნოს, რომ დროითი სიშორე ოდნავაც ვერ ამცირებს შინაგან სიახლოვეს მაისტერ ეკჰარტთან...

*ბეგარდები — სხვადასხვა არაორთოდოქსულ რელიგიურ მიმდინარეობათა წარმომადგენელი კაცები.

**ბეგინები — ასეთივე ქალები.

მთარგმნელი

## შეგონებანი განსხვავების შესახებ

ეს არის სიტყვები, რომელთაც ვიკარი თიურინგიისა, პრიორი ერფურტისა, ძმა ეკჰარტი ქადაგთა ორდენიდან თავის სულიერ შვილებს ეუბნებოდა, რომელნიც მას მრავალგვარ შეკითხვას უსვამდნენ, საღამოობით ერთად რომ უსხდნენ მაგიდას სასაუბროდ.

### ჭეშმარიტი თვინიერების შესახებ

ჭეშმარიტი და სრულყოფილი თვინიერება ყველა სიქველეს აღმატებული სიქველეა, და მის გარეშე ვერ მოხდება თუ ვერ გაკეთდება ვერანაირი დიდი საქმე. რა მცირე და უმნიშვნელოც არ უნდა იყოს რაიმე საქმე, ნამდვილი თვინიერებით შესრულებული ხომ ბევრად უფრო კეთილ ნაყოფს გამოიღებს, სულ ერთია, რა იქნება: წირვის კითხვა ან მოსმენა, ლოცვა, ჭვრეტა და სხვა რამ, რაც შეიძლება გაგახსენდეთ. აიღე რაიმე საქმე, გინდაც ძალიან უმნიშვნელო: ნამდვილი თვინიერება მას გაგიკეთილშობილებს და გაგიუკეთესებს. იგი ყველგან და ყოველთვის საუკეთესოს აპირობებს საგნებში. ჭეშმარიტი თვინიერება არასდროსაა ხელისშემშლელი და დამაბრკოლებელი, რადგან რასაც არ უნდა აკეთებდეს კაცი, თუკი მისი ქმედება ნამდვილი თვინიერებიდან მოედინება, ის არც ერთ სიკეთეს არ ასცდება. თვინიერებას არასოდეს სჭირდება თავისთვის ზრუნვა, ისედაც არანაირი სიკეთე არ აკლია.

როდესაც კაცი თვინიერებით გადის თავისი თავიდან, სწორედ იმავე ადგილას შედის ღმერთი მასში, სხვაგვარად არ შეიძლება იყოს. რადგან თუკი კაცს არაფერი სურს თავისი თავისთვის, მაშინ ღმერთმა უნდა ისურვოს მისთვის, როგორც საკუთარი თავისთვის. თუკი მე ჩემი ნება პრელატის ხელს ჩავაბარე, და ჩემი თავისთვის აღარაფერი მწადია, მაშინ ღმერთს უნდა ეწადოს ჩემთვის, და თუკი აქ რაიმე გამორჩება ჩემი, ამით თავის თავში გამორჩება თავისი. ასევეა ყველა საგანში: თუ მე ჩემთვის არაფერი მსურს, მაშინ ღმერთს სურს ჩემთვის.

ახლა კი ყურადღებით! კი მაგრამ, რა სურს ღმერთს ჩემთვის, თუ მე აღარაფერი მსურს საკუთარი თავისთვის? სადაც მე ჩემს თავს ღმერთს ვაბარებ, იქ მან აუცილებლად უნდა ისურვოს ჩემთვის ყველაფერი, როგორც ისურვებდა თავისთვის, არც მეტი, არც ნაკლები. თუკი ამას ღმერთი არ მოიმოქმედებდა, ჭეშმარიტად, – და ჭეშმარიტება თავად ღმერთია, – ის არ იქნებოდა მართალი, და სულაც აღარ იქნებოდა ღმერთი, რაც არის მისი ბუნებრივი ყოფიერება.

ნამდვილმა თვინიერებამ არ უნდა გაგვაგონოს: "მე მსურს ასე თუ ისე" ან "ეს თუ ის". ეს მხოლოდ თავშეუკავებელი მიშვებაა შენეულისა. ამიტომ, არ უნდა ითქვას: "მომეცი ეს სიქველე ან იმნაირობა", არც ეს: "ო, უფალო, მომეცი შენი თავი ან მარადიული სიცოცხლე", არამედ მხოლოდ ეს: "უფალო, ნურაფერს მომცემ იმის გარდა, რაც გსურს შენ, და იქმოდე, უფალო, იმას, რაც და როგორც გნებავს შენ". ეს ლოცვა ისევე აღემატება პირველს, როგორც ცა დედამიწას, და თუ ასეთ ლოცვას აღმოსთქვამ, მაშ კარგად გილოცია. რადგან ნამდვილ თვინიერებაში კაცი მთლიანად უარს 'ამბობს საკუთარ თავზე უფლის გულისთვის. და როგორც არ იცის ნამდვილმა თვინიერებამ: "მე მსურს ასე", ასევე არასოდეს უნდა გაისმას: "მე არ მსურს", რადგანაც "მე არ მსურს" ნამდვილი საწამლავია ყოველგვარი მორჩილებისათვის. ასე ამბობს წმინდა ავგუსტინე: "უფლის ერთგული მსახური არასოდეს ელტვის იმას, რომ ის მისცენ, ანდა ის უთხრან, რასაც ის სიამოვნებით იხილავდა ან მოისმენდა; მისი უპირველესი და უმაღლესი სწრაფვაა მოისმინოს, თუ რა ესათნოება თავად ღმერთს ყველაზე მეტად".

### უძლიერესი ლოცვისა და უმაღლეს საგანთა შესახებ

უძლიერესი ლოცვა, მინდა ვთქვა: უძლევამოსილესი, რითაც ყველაფერს მიაღწევ, და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ულირსეულესი საქმე ის არის, რომელიც სუფთა, თავისუფალი გულიდან მოდის. რაც უფრო თავისუფალი, სუფთაა ზნე, მით უფრო ძლიერი, ღირსეული, სასარგებლო. საქებარი და სრულყოფილია ლოცვა და საქმე. თავისუფალ გულს ყველაფერი შეუძლია.

და რა არის ეს თავისუფალი გული? თავისუფალია გული, რომელსაც ვერაფერი უბნევს თავგზას, რომელიც არაფერზეა მიჯაჭვული, რომლის საუკეთესო თვისებები არაფრისგან არ არის დავალებული, რომელიც არაფერში ხედავს სათავიბოს, ნაცვლად ამისა ღვთის უსაყვარლეს ნებაშია დანთქმული და საკუთარზე მთლიანად უარი აქვს ნათქვამი. კაცი ვერასოდეს შეიძლებს აღასრულოს თვით უმნიშვნელო საქმეც კი, თუკი ამ საქმეს მთელი თავისი ძალა და უნარი არ მოახმარა.

ლოცვით ისე ძლიერ უნდა ილოცოს კაცმა, რომ ყველა ნაწილი და ძალა ადამიანისა, თვალები, ყურები, პირი, გული და ყველა გრძნობა აქეთკენ უნდა მომართოს და ასე ისურვოს. და იქამდე არ უნდა შეწყვიტოს ლოცვა, ვიდრე არ იგრძნობს, რომ შეერთებას იწყებს იმასთან, ვინც იმ წუთში ჰყავს და ვის წინაშეც ლოცულობს, ანუ ღმერთთან.

### ფორიაქა ადამიანთა შესახებ, რომელნიც აღვსილნი არიან თავნებობით

მავანნი და მავანნი ამბობენ ხოლმე: "დიახ, მოძღვარო, მეც მინდა, ისევე ახლოს და კარგად ვიყო ღმერთთან და იმდენივე მოწიწება გამაჩნდეს და სიმშვიდე ღმერთით, რამდენიც სხვებს გააჩნიათ, და მინდა მათსავით ვცხოვრობდე ან მათსავით ღარიბი ვიყო"! ანდა ასეც იციან ხოლმე თქმა: "არასოდეს არაფერი გამომდის სწორად, სადაც არ უნდა ვიყო და რასაც არ უნდა ვაკეთებდე. ამიტომ უცხო ადგილას უნდა დავსახლდე, ან მონასტერს მივაშურო, ან განდეგილ ცხოვრებას შევუდგე"-ო.

ჭეშმარიტად, საკუთარი თავით გჭირთ, რაც გჭირთ, და სხვა არაფრით! შენი თავნებობა გმართებს მაგ ყველაფერს. გინდაც შენ თავად ეს არ იცოდე და ასე არ გეჩვენებოდეს.

არასოდეს წარმოიშობოდა შენში შფოთი, მას შენივე თავკერძობა რომ არ წარმოშობდეს, სულ ერთია, ხვდები ამას თუ ვერა. შეიძლება მოგვეჩვენოს – რომ კაცი ერთ რაღაც უნდა გაექცეს – ვთქვათ ამ ადგილებს, ან ამ ადამიანებს, ამ ვითარებას, ამ განზრახვასა თუ საქმეს, – და რაღაც სხვა ეძებოს, – მაგრამ საგნებსა და ვითარებაში როდი ძევს მიზეზი იმისა, რომ ისინი შენ ხელს გიშლიან. შენ თავადა ხარ ამ საგნებში ის, რაც შენ გაფერხებს, რადგან შენ არ იქცევი იმ წესრიგის შესაბამისად, ამ საგნებში რომ სუფევს.

ამიტომ, უპირველესად შენი თავით დაიწყე და დასტოვე იგი. მერწმუნე, თუკი, უწინარეს ყოვლისა, შენივე თავს არ გაექცევი, სადაც არ უნდა გაიქცე, ყველგან მხოლოდ დაბრკოლებებსა და შფოთს გადაეყრები, წადი, სადაც გინდა. ადამიანები, რომლებიც გარეშე საგნებში ეძებენ მშვიდობას, გარკვეულ ადგილებსა თუ წესებში, ადამიანებთან თუ საქმეებში, სიღატაკესა თუ თავის დამდაბლებაში – როგორ დიდებულადაც არ უნდა გამოიყურებოდეს ეს ყოველივე, ან იყოს კიდეც ასეთი, – მაინც არაფერს წარმოადგენს და არანაირ მშვიდობას არ იძლევა. ვინც ასე ეძებს, ეძებს სრულიად მცდარად.და რაც უფრო შორს წავა ამ გზაზე, მით უფრო ნაკლებად იპოვის იმას, რასაც ეძებს. ის იმ გზადაკარგული კაცივით მიდის, რომელიც რაც უფრო წინ მიიწევს, მით უფრო ებნევა გზა.

მაშ რა უნდა ქნას კაცმა? დასტოვოს საკუთარი თავი და ყველაფერი დატოვებული ექნება! ჭეშმარიტად, გინდაც კაცმა მთელი სამეფო დასთმოს და თუნდაც მთელი ქვეყნიერება, თავისი თავი კი შეინარჩუნოს – ეს იგივეა, რაც არაფერი დაეთმოს. და პირიქით: თუკი კაცი თავის თავს დასთმობს, შეუძლია სიმდიდრე, პატივი და სხვა ამდაგვარი შეინარჩუნოს, – მას ხომ ყველაფერი დათმობილი აქვს!

ერთი წმინდანი ასე ამბობს წმინდა პეტრეს ამ სიტყვებზე: "აჰა, ესერა ჩუენ ყოველი დაუტევეთ" – (მათე, 19,27) – და სინამდვილეში ხომ არაფერი დაუტოვებიათ, ცარიელი ბადისა და ნავის გარდა: მაგრამ ვინც თავისი ნებით ტოვებს მცირედს, ის მხოლოდ ამ მცი-

ქრისტიანული ბიბლიოთეკა

რედს კი არ სტოვებს, არამედ სტოვებს ყველაფერს, რაც კი შეიძლება მოიპოვონ სოფლიურმა ადამიანებმა, დიახ, რაც კი შეიძლება ისურვონ მათ. რადგან, ვინც თავის ნებას და საკუთარ თავს დაუტევებს, ეს ნიშნავს, რომ მან დაუტევა მთელი ქვეყნიერება, და ისე ნამდვილად, თითქოს ეს ქვეყნიერება მისი საკუთრება ყოფილიყოს და მას სრული უფლება ჰქონოდეს მისი განკარგვისა. რადგან ყველაფერი, რაც შენ არა გსურს გწადდეს, – დათმობილი გაქვს ღმერთის გულისთვის. ამიტომ ამბობს უფალი ჩვენი: "ნეტარ არიან გლახაკნი სულითა" (მათე. 16,24) და ეს ნიშნავს: გლახაკნი, რომელნიც ნებაყოფლობით არიან გლახაკნი. დაე, ამაში ნურავინ შეიტანს ეჭვს. სხვა რამ უკეთესი რომ არსებობდეს, უფალი ჩვენი გვეტყოდა იმას. მან ხომ ესეც სთქვა: "რომელსა ჰნებავს შემოდგომა ჩემდა, უარყავნ თავი თვისი". ეს არის თავი და თავი! ყურადღება გაამახვილე შენს თავზე, და სადაც იპოვი შენს თავს, – დასტოვე იგი. ყველაფერს ეს სჯობს.

### სასარგებლო დათმობის შესახებ, რაც კაცმა შინაგანად და გარეგანად უნდა განახორციელოს

უნდა იცოდე, რომ ამ ცხოვრებაში არავის დაუტოვებია საკუთარი თავი ისე სრულად და საკუთარ სიღრმეში ისე შორს წასვლით, რომ აღარაფერი ჰქონდეს თავის თავში დასატოვებელი. თითო-ოროლა ადამიანი თუ აქცევს ამას ნამდვილ ყურადღებას და მისდევს მტკიცედ. ეს თანაბარფასოვანი გაცვლა-გამოცვლა და მართალი ვაჭრობაა: რაც უფრო შორს გახვალ ყველა საგნიდან, ზუსტად ამ მანძილით, – არც მეტი, არც ნაკლები – შემოვა ღმერთი შენში ყველაფერ მისეულით, ოღონდ ერთი პირობით, რომ ყველა საგანში მართლა ზურგს უკან მოიტოვებ ყველაფერ შენეულს. ამით დაიწყე, და სინჯე ყველაფერი, რაც შეგიძლია. სხვაგვარად ვერსად მოიპოვებ ნამდვილ სიმშვიდეს.

ადამიანებს სულ არ სჭირდებათ ამდენი ფიქრი იმის თაობაზე, თუ რა უნდა გააკეთონ. უმჯობესია იმაზე იფიქრონ, თუ რანი უნდა იყვნენ. თუ თავად კაცი და მისი არსებობის წესი კარგია, მაშინ მისი საქმენიც გაბრწყინდებიან. თუ შენ მართალი ხარ, შენი საქმეც მართალი იქნება. ნუ იფიქრებ, საქმეზე დააფუძნო სიწმინდე: სიწმინდე ყოფიერებაზე უნდა დაფუძნდეს. რადგან საქმენი როდი გვწმენდენ ჩვენ, არამედ საქმენი უნდა განვწმინდოთ ჩვენ. რა წმინდაც არ უნდა იყვნენ საგნები, ისინი როგორც საგნები ვერც ერთ შემთხვევაში ვერ განგვწმენდენ, პირიქით: რამდენადაც ჩვენ ვართ წმინდები და ყოფიერება გვაქვს, იმდენად განვწმენდთ ყველა ჩვენს საქმეს, რაც უნდა იყოს ეს: ჭამა, ძილი, ღვიძილი თუ სხვა რამ. ვინც არ არის დიდი ყოფიერებაში, რაც უნდა მოიმოქმედოს, სულ ფუჭი იქნება ყოველივე.

აქედან ისწავლე: კაცმა მთელი თავისი გულმოდგინება იქითკენ უნდა მიმართოს, კარგი იყოს, და არა იმდენად იმაზე იზრუნოს, თუ რა გააკეთოს ან როგორი უნდა იყვნენ საქმენი და საგნები. მნიშვნელოვანია ის, რაც საქმეთა საფუძველს შეადგენს.

### შეიცან, რა ხდის კეთილად არსსა და საფუძველს

თუ ადამიანის გული განუხრელად, ყოველწამიერ ღმერთისკენაა მიმართული, ეს იმის ერთადერთი მიზეზია, რომ ადამიანური ყოფიერება და საფუძველი მისი არსისა, საიდანაც ადამიანურ საქმეთა სიქველე იღებს სათავეს, – სავსებით კეთილია. აქეთკენ მომართე მთელი შენი მეცადინეობა, რომ ღმერთი ყოვლისმომცველ სიდიდედ გექცეს და მთელი შენი სერიოზულობა და სიბეჯითე მისკენ იყოს მიქცეული შენს ყველა ქმედებასა და უარყოფაში. რაც უფრო მეტად შესძლებ ამას, მით უკეთესი იქნება ყველა შენი ნამოქმედარი, რა ხასიათისაც არ უნდა იყოს იგი. ჩაეჭიდე ღმერთს, და ღმერთი ყველა სიკეთით დაგხუნძლავს. ეძებე ღმერთი და შენ ჰპოვებ ღმერთს და ყველა სიკეთეს. მერწმუნე: ამგვარი განწყობით ქვას რომ ფეხი დაადგა, ის უფრო ღვთაებრივი საქმე იქნება, ვიდრე ის, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი უფლის სხეულს ეზიარო და ამ დროს შენეულზე იფიქრო და შენი აზრები ნაკლებად იყოს გამიჯნული მიწიერებისაგან. ვინც ეკვრის ღმერთს, მას ეკვრის ღმერთიცა და ყველა სიკეთეც. რასაც მანამდე შენ ეძებდი. ახლა ის გეძებს შენ; რასაც მანამდე შენ მისდევდი, ახლა ის მოგდევს შენ; და რასაც უწინ შენ გაურბოდი, ახლა ის გაგირბის შენ. ამიტომ: ვინც მთელი თავისი არსებით ჩაეკვრება ღმერთს, მას აეკვრება ყველაფერი, რაც ღვთაებრივია, და განერიდება ყოველივე, რაც შეუფერებელი და უცხოა ღმერთისთვის.

### დღესვე!

არავინ არის თქვენს შორის ისეთი მოუქნელი, უსუსური და უუნარო, რომ არ შეეძლოს თავისი ნება ღვთის წყალობით წმინდად და მთლიანად შეუერთოს ღვთის ნებას. ამ სურვილით ატანილმა ადამიანმა საჭიროა მხოლოდ წარმოსთქვას: "უფალო, მანიშნე შენი უსანუკვარესი ნება და მომეცი ძალა, აღვასრულო იგი." და ღმერთი იქმს ამას უთუოდ, როგორ უთუოც არის მისი სიცოცხლე. იგი ისევე მისცემს მას ყველანაირ და უხვ სისავსეს, როგორც მიაგო იმ ქალს (სამარიტელს ჭასთან. იოანე, 4).

შეხეთ, თქვენს შორის ყველაზე უმცირესსა და მოუხერხებელსაც კი შეუძლია შეეგებოს ღმერთს, ახლავე, ვიდრე ამ ეკლესიიდან გავა, დიახ, ვიდრე მე ამ ქადაგებას ჩავათავებ, ისევე უეჭველად, როგორც ღმერთი ცოცხლობს და მე კაცი ვარ. და ამიტომ გეუბნებით: ნუ გეშინიათ! ეს სიხარული არ არის თქვენგან შორს, თუკი იგი შეგნებულად გსურთ ეძიოთ.

### ღმერთს სურს შეცნობილ იქნას

ჩვენი ნეტარება იმაში მდგომარეობს, რომ შევიცნოთ და ვიცოდეთ უმაღლესი სიკეთე. რომელიც თავად ღმერთია. მე მაქვს ისეთი ძალა ჩემს სულში, რომელიც მთლიანად და სავსებით მგრძნობიარეა ღმერთის მიმართ. ეს ისევე ვიცი, როგორც ის, რომ მე ვცოცხლობ და რომ არაფერია ჩემთან ღმერთზე უფრო ახლოს. ღმერთი უფრო ახლოსაა ჩემთან, ვიდრე მე ვარ საკუთარ თავთან. ჩემი ყოფიერება მთლიანად იმაზე ჰკიდია, რომ ღმერთი ჩემთან ახლოსაა და აქ მყოფია. ის ასეთივეა ქვასა თუ ხეში, მაგრამ მათ არაფერი იციან ამის შესახებ. ხემ რომ იცოდეს ღმერთის შესახებ და შეიცნოს, თუ რა ახლოსაა ღმერთი მასთან, მაშინ ის ისეთივე ნეტარი იქნებოდა, როგორც უმაღლესი ანგელოზია. იმიტომ არის ადამიანი ქვასა და ხეზე უფრო ნეტარი, რომ ის ღმერთს შეიცნობს და იცის, თუ რა ახლოს არის ღმერთი მასთან. რაც უფრო მეტად აცნობიერებს ამას, მით უფრო ნეტარია იგი, და რაც უფრო ნაკლებად იცის ეს, მით უფრო მცირეა მისი ნეტარება. იგი ვერ იქნება ნეტარი მხოლოდ იმის გამო, რომ ღმერთია მასში, რომ ასე ახლოსაა მასთან და რომ მას ჰყავს ღმერთი, არამედ მხოლოდ იმის შეცნობა მიანიჭებს ნეტარებას, თუ რა ახლოსაა ღმერთი მასთან; ნეტარებას მიანიჭებს ის, რომ მან იცის ღმერთის შესახებ და უყვარს იგი. სწორედ ასეთი ადამიანი შეიცნობს, რომ ახლოსაა სასუფეველი ღვთისა.

### ღმერთის სიცილი

"გაიხარე ცაო, და ილხინე, მიწავ!" (ესაია, 49.13) ჭეშმარიტად! ჭეშმარიტად! ღმერთმანი! ღმერთმანი!

გჯეროდეთ, როგორც გჯერათ, რომ ღმერთი ცოცხლობს: უმცირესი კეთილი საქმე ან უმცირესი კეთილი ნება ან უმცირესი კეთილი სურვილები ,– ისეთი სიხარულით ახარებს ყველა წმინდანს ცაში და მიწაზე და ყველა ანგელოზს, რომ მთელ ქვეყნიერებას არ შეუძლია ასეთი სიხარული ამოაფრქვიოს! და რაც უფრო დიდია აქ წმინდანი, მით უფრო უსაზღვროა მისი სიხარული. და მაინც ყველა ეს სიხარული ერთად აღებული ისეთი მცირეა, როგორც ეს ოსპის მარცვალი იმ სიხარულთან შედარებით, რომელიც მსჭვალავს თავად ღმერთს ყველა იმ კეთილ საქმეთა გამო. რადგან ღმერთი ნამდვილ თამაშს და სიცილს იწყებს კეთილ საქმეთა შემხედვარე, ხო-

ლო ყველა სხვა საქმე, რაც არ იქმნება ღვთის განსადიდებლად, სხვა არაფერია უფლის წინაშე თუ არა ფერფლი და ნაცარი. ამიტომ ამბობს წინასწარმეტყველი: "გაიხარე, ცაო, და ილხინე, მიწავ, რადგან ანუგეშა უფალმა თავისი ხალხი".

### სული სულ უფრო ყმაწვილდება

სული ისეთივე ნორჩია როგორიც მაშინ იყო, როცა თავის თავში შეიქმნა, და სიბერე, რომელიც მას შეემთხვა, მხოლოდ სხეულისთვის მნიშვნელობს, რადგანაც სული თავის ქმედებაში გრძნობებს უკავშირდება. ერთი მოძღვარი ამბობს: "მოხუც კაცს ახალგაზრდის თვალები რომ ჰქონდეს, ზუსტად ახალგაზრდასავით დაინახავდაო". გუშინ ერთ ადგილას ვიყავი და სიტყვა რამ ვთქვი, რომელიც თითქმის დაუჯერებლად გაისმის. მე ვთქვი: იერუსალემი ისევე ახლოსაა ჩემს სულთან, როგორც ის ადგილი, სადაც ახლა ვდგავარ-მეთქი. დიახ, ჭეშმარიტად! ისიც, რაც ათასობით მილით იერუსალემს იქით და კიდევ უფრო შორს მდებარეობს, - ისეთივე ახლოსაა ჩემს სულთან, როგორც ჩემი საკუთარი სხეული და ამაში ისევე ვარ დარწმუნებული, როგორც იმაში, რომ ადამიანი ვარ. სწავლული მამები ამას ადვილად ჩაწვდებიან.

იცოდეთ, ჩემი სული ისეთივე ნორჩია, როგორიც შექმნისას იყო. დიახ, ბევრად უფრო ნორჩი! და, იცოდეთ, სულაც არ გამიკვირდება, თუკი ის ხვალ კიდევ უფრო გაახალგაზრდავდება დღევანდელთან შედარებით.

### მიეცი თავი ღმერთს

ზოგს ეს სიტყვა ძალიან ემძიმება. მაგრამ ამის გამო, დაე, ნურავინ წარიკვეთს სასოს. რაც უფრო მეტად მიეცემი ღმერთს, მით უფრო გაიზრდება შენი ნეტარება. ამას წინათ ჩემს მამაოჩვენოს რომ ვლოცულობდი, რომელიც თავად გვასწავლა უფალმა ღმერთმა, ასეთი აზრი მომივიდა: როდესაც ვამბობთ: "მოვიდეს ჩვენთან შენი სუფევა და იყოს ნება შენი" – ამით ჩვენ განუწყვეტლივ შევთხოვთ ღმერთს, რომ მან განგვარიდოს ჩვენივე თავი.

### ჭეშმარიტება შიგნითაა

წმინდა ავგუსტინე ამბობს: ბევრია ისეთი, ვინც ნათელი და ჭეშმარიტება ეძება, მაგრამ მუდამ მხოლოდ გარეთ, სადაც ის არ იყო. და ამ ძიებაში ბოლოს ისე შორს გავიდნენ გარეთ, რომ ვეღარასოდეს დაბრუნდნენ შინ და შიგნით ვეღარ შეაღწიეს და ამიტომ ვერ იპოვეს ჭეშმარიტება. რადგან ჭეშმარიტება შიგნით არის, საფუძველში და არა გარეთ.

### შემეცნება მიუძღვის სიყვარულს

"დადექი უფლის სახლის კარიბჭესთან" (იერემია, 7.2). ღმერთის სახლი არის ერთიანობა მისი ყოფიერებისა. ის, რაც ერთიანია, ყველაზე უკეთ თავისთავად და მხოლოდ თავის თავისთვის მყოფობს. ამიტომ არის ერთიანობა ღმერთთან და კრავს ღმერთს და არაფერს ურთავს. იქ ზის ღმერთი თავის უსაკუთრეს არსში, თავის esse-ში (ყოფიერებაში), მთლიანად თავის თავში და არსად თავის გარეთ, მაგრამ როდესაც ის ლღვება, გარეთ გამოჟონავს. მისი ეს გადმოლღობა არის მისი სიკეთე, როგორც ვთქვი ამასწინათ, როდესაც შემეცნებასა და სიყვარულზე ვლაპარაკობდი. შემეცნება ანსხვავებს და ჰყოფს და ამიტომ სიყვარულს სჯობს. მაგრამ ორივე ერთად უკეთესია, ვიდრე მხოლოდ ერთი, რადგან შემეცნება თავის თავში ატარებს სიყვარულს. სიყვარულს ცნობა ერთმევა და ღმრთეებას მიეჯაჭვება ხოლმე და ასე შეიძლება დავრჩე ჩემი სიყვარულით "კარიბჭეზე" წამოდებული. სიყვარული შემეცნების გარეშე ბრმაა. ქვასაც აქვს სიყვარული, მაგრამ, შეხედე, მისი სიყვარული მიწას მიელტვის. მე რომ სიკეთეზე დაკიდებული დავრჩე, ანუ პირველ გადმოლღობაში, და მივიღო ღმერთი როგორც მხოლოდ ასეთი, ამით "კარიბჭეს" მოვიპოვებ და არა ღმერთს. იმიტომ სჯობს შემეცნება სიყვარულს, რომ იგი სიყვარულის

წინამძღოლია. სიყვარული გულისხმობს სურვილსა და მოთხოვნილებას, შემეცნება კი არც ერთ აზრს არ ისაკუთრებს, პირიქით, იმანძილებს, გამოეყოფა და გარბის წინ და ეხება ღმერთს, როგორიც ის არის შეუბურავი და სწვდება მას მის ყოფიერებაში.

### გონება მიარღვევს საფუძვლამდე

სწორედ გამიგეთ! გონება შიგნით იხედება, ღმრთეების ყველა კუთხე-კუნჭულში შეაღწევს, მიიღებს ძეს მამის გულსა და საფუძველში და დაიდგენს მას საკუთარ ფუძეში. გონება შეიჭრება სულ უფრო ღრმად, შიგნით, მას არ აკმაყოფილებს არც სიკეთე, არც სიბრძნე, არც ჭეშმარიტება, თვით ღმერთიც კი აღარ! დიახ, სრული ჭეშმარიტებაა: მას ისევე აკმაყოფილებს ღმერთი როგორც ქვა რაიმე ან ხე. გონება არასდროს ისვენებს, ის შეიჭრება საფუძველში, სადაც სიკეთე და ჭეშმარიტება იღებენ სათავეს, და იღებს ღვთაებრივ ყოფიერებას in prinzipio, სათავეში, იქ, სადაც წყვეტენ არსებობას სიკეთე და ჭეშმარიტება, და, კერძოდ, მანამდე, ვიდრე ეს სათავე დაიწყებოდეს, გონება იღებს მას გაცილებით უფრო მაღალ საფეხურზე, ვიდრე სადაც სიკეთე და ჭეშმარიტებაა. მისი დაი ნება (ნების აღმნიშვნელი ლათინური სიტყვა არის femininum) კმარობს ღმერთს, რადგანაც ის კარგია, მაგრამ გონება ყველაფერს გამორთავს, გასცდება და შეაღწევს ფესვებთან, სადაც ამოსჩქეფს ძე და ამოყვავილდება სული წმინდა.

### ყოფიერებაში გეხება ღმერთი

ღმერთი ვერ შესძლებდა შეექმნა ისეთი საგანი, რომელიც შენ სრულ ნეტარებას მოგანიჭებდა, რადგან მაშინ ღმერთი აღარ იქნებოდა უმაღლესი ნეტარება და საბოლოო მიზანი. და ეს ხომ მისი ბუნებაა და სურვილი, რომ თავად იყოს ყველა საგნის დასაწყისი და დასასრული. არც ერთ ქმნილებას არ შეუძლია იყოს შენი ნეტარება. ამიტომ არ შეუძლია მას არც სრულყოფილების მონიჭება; რადგან ამქვეყნიურ სრულყოფილებას – და ეს არის ყველა სიქველე ერთად – მოსდევს იმქვეყნიური სრულყოფილება. ამიტომ აუცილებლად უნდა იყო ყოფიერებაში და მის საფუძველში და დაჰყო იქ. იქ უნდა შეგეხოს ღმერთი თავისი ერთიანი ყოფიერებით რაიმე შუამავალი ხატის გარეშე.

### გაზომე ღმერთი უსაზომოდ

ღმერთი უნდა განვიხილოთ როგორც სახე სახის გარეშე და ყოფიერება ყოფიერების გარეშე, ამიტომ ამბობს წმინდა ბერნარდი: "ვისაც შენ, ღმერთო, გსურს შეგიცნოს, მან უნდა გაგზომოს საზომის გარეშე".

### უფლის სიხარული

რა არის "სიხარული უფლისა"? [მათე.25.21]. უცნაური კითხვაა! როგორ უნდა ახსნა და გამოთქვა ის, რისი გაგება და შეცნობა არავის შეუძლია? "უფლის სიხარული", აი, ეს არის თავად უფალი და სხვა არაფერი. და "უფალი" არის ცოცხალი, არსობრივი, ყოფიერი გონება, რომელიც თავად შეიმეცნებს თავს, თავად მყოფობს თავის თავში, ცოცხლობს და იგივეა, რაც თვითონ. როდესაც ამას ვამბობ, მე მას არ ვაწერ არავითარ სახეს, არამედ ვაცლი ყოველგვარ სახეს, რადგან თვითონ არის სახე სახის გარეშე, ცოცხლობს და უხარია, რომ არის, ხედავთ, ეს არის "უფლის სიხარული", და სიხარული თავად არის უფალი.

### მე ვარ

ამასწინათ, არც ისე დიდი ხანია მას შემდეგ, გავიფიქრე: მე რომ ადამიანი ვარ, სხვა ადამიანს ხომ ეს აქვს საერთო ჩემთან. მე რომ ვხედავ და მესმის, ვჭამ და ვსვამ, – ამას ყველა პირუტყვიც აკეთებს, მაგრამ რომ მე ვარ, ეს არც ერთ ადამიანს არ ეკუთვნის ჩემს გარდა, არ ეკუთვნის არც ადამიანს, არც ანგელოზს, არც ღმერთს – თუმცა ერთიანი ვარ მათთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ღვთაებრივი სიმშვიდე

ჩემთვის რომ ეკითხათ, თუ რა იყო შემოქმედის განზრახვა ყველა ქმნილების შექმნის დროს და მოეთხოვათ მოკლედ და სრულად მეპასუხა, ასე ვეტყოდი: სიმშვიდე.

მეორედ რომ ეკითხათ, რას ეძებს ყველა ქმნილება მთელ თავის ბუნებრივ მოთხოვნილებაშიო, ვუპასუხებდი: სიმშვიდეს.

და თუ მესამედ შემეკითხებოდნენ, რას ეძებს სული ყველა თავის მოძრაობაშიო, – ისევ ამას მივუგებდი: სიმშვიდეს.

...შემოქმედი ესწრაფვის ყველა ქმნილება თავისთან ერთად დააბრუნოს მათ თავდაპირველ საწყისში – რომელიც არის სიმშვიდე.

... ყოველ ქმნილებაში არაფერი ედარება ღმერთს ისე ძლიერ, როგორც სიმშვიდე.

... ღმერთი არაფერს ითხოვს, გარდა იმისა, რომ მას მშვიდი გული აჩუქონ, მაშინ ის ისეთ ღვთაებრივ საქმეებს აღასრულებს სულში, რომ ვერც ერთი ქმნილება ვერ შესწვდება და ვერ იხილავს მათ.

## თავს გადაევლე ქმნილებებს

ვინმეს რომ თუნდაც შორიდან ეხილა ღმერთი, რაიმე გამაშუალებელი საგნის მიღმა, ან ღრუბლით შებურული, ის ღმერთს წამითაც ველარ მოშორდებოდა, გინდაც მთელი სამყარო შეეძლიათ სანაცვლოდ. და როგორ ფიქრობთ, რას უნდა ნიშნავდეს, ღმერთი მის წმინდა, შიშველ ყოფიერებაში რომ იხილო? ყველა ქმნილება, რომელიც კი ოდესმე შეუქმნია ღმერთს, ან შეეძლო შეექმნა, თუკი ისურვებდა, ყველა ისინი არიან რაღაც "ცოტა" ან რაღაც "პატარა" ღმერთის წინაშე. ზეცა ისეთი დიდი და შორია, რომ არ დაიჯერებთ, თუ გეტყვით... ნემსი რომ აიღო და მისი წვერით შეეხო ზეცას, აი, რასაც ის წვერი ცისგან აიკრავდა, ის უფრო დიდი იქნებოდა ამ ცასთან და სამყაროსთან შედარებით, ვიდრე ეს ცა და სამყაროა ღმერთის წინაშე. ამიტომაც ძალზე ზუსტად თქვა ჩვენმა უფალმა: "ცოტაც და ველარ მიხილავთ მე და კიდევ ცოტაც და მიხილავთ მე" (იოანე, 16.16). ვიდრე ჯერ კიდევ რაიმე საგანი ანათებს თქვენში, – ვერ იხილავ ღმერთს, თუნდაც ეს საგანი სულ მცირე რამ იყოს. ამიტომ თქვა სულმა სიყვარულის წიგნში: "ავდგები-მეთქი და მოვივლი ქალაქის ქუჩებსა და მოედნებს. მოვძებნი-მეთქი ჩემი სულის შეყვარებულს. ვეძებე იგი და ვერ ვიპოვე (ქებათა ქება 3,2). მან იპოვა ანგელოზები და ზოგიც სხვა, მაგრამ არა ის, ვინც უყვარდა მის სულს. შემდეგ მან თქვა: "შემდეგ, როდესაც გადავევლე ცოტას თუ მცირეს, იქ ვიპოვე ის, ვინც უყვარს ჩემს სულს" (იქვე, 4), თითქოსდა სურდა ეთქვა: "როდესაც ქმნილებებს — ეს არის სწორედ "ცოტა" თუ "მცირე" – თავს გადავევლე, იქ ვიპოვე ის, ვინც უყვარს ჩემს სულს". სული, რომელსაც სურს ღმერთი იპოვოს, – თავს უნდა გადაევლოს ყველა ქმნილებას.

## აგიზგიზება სიყვარულში

ჟამი-ჟამ სულში რაღაც სინათლე ცხადდება, და ადამიანს ჰგონია, რომ ეს არის ძე, მაგრამ ეს მხოლოდ სინათლეა. რადგან იქ, სადაც ძე ცხადდება სულში, იქ სული წმინდაც ცხადდება. ამიტომ ვამბობ: ეს მამის არსია: დაბადოს ძე, და ძის არსი: მე დავიბადო მასში, მის შემდეგ. სული წმიდის არსია, რომ მე ჩავიწვა მასში, სრულიად გავლღვე და მთლიანად სიყვარულად ვიქცე. ვინც სიყვარულში მთლიანად სიყვარულია, ის ფიქრობს, რომ ღმერთს მხოლოდ ის უყვარს და სხვა არავინ, და მას თავის გარდა არავინ ეგულება, ვისაც უყვარს ღმერთი, და ვინც უყვარს ღმერთს.

## რას ნიშნავს იყო ღვთის ძე?

ჩვენი უფალი ამბობს: "არავინ იცის მამა გარდა ძისა და ძე გარდა მამისა"(მათე II, 27). ჭეშმარიტად: თუ გვინდა ვიცოდეთ მამა, უნდა გავხდეთ ძე. ოდესღაც სამი პატარა სიტყვა ვთქვი, მიიღეთ ისინი როგორც სამი ცხარე მუსკატის კაკალი და შემდეგ წყალი დაა-

ყოლეთ. პირველ რიგში: თუ გვინდა ვიყოთ ძე, უნდა გვყავდეს მამა, რადგან არავის შეუძლია თქვას, რომ ის ძეა, თუ მამა არა ჰყავს, და არავინაა მამა, თუ მას ძე არა ჰყავს. თუ მამა მკვდარია, ასე ამბობენ ხოლმე: "ის მამა იყო ჩემი". თუ ძე მკვდარია, ამბობენ: "ის იყო ჩემი ძე". რადგან ძის სიცოცხლე ჰკიდია მამაში, მამისა — ძეში, ამიტომ არავის შეუძლია თქვას: "მე ვარ  ძე," თუკი მას მამა არა ჰყავს. ის ადამიანი კი ჭეშმარიტად ძეა, რომელიც ყველა თავის საქმეს სიყვარულით აღძრული იქმს. მეორე: რაც ადამიანს, როგორც წესი, ძედ აქცევს, არის შინაგანი გაწონასწორებულობა. თუ ის ავად არის, ისეთივე ხალისით არის ავად, როგორც ჯანმრთელად, და ჯანმრთელად – როგორც ავად. თუ მეგობარი უკვდება – ღმერთის სახელით! თუ თვალს ამოუგდებენ – ღმერთის სახელით! მესამე, რასაც უნდა ფლობდეს ძე, ის არის, რომ მან თავი არ მიიდრიკოს არაფრისკენ, გარდა მამისა! ო, კეთილშობილია ის ძალა, რომელიც დროის ზემოთ დგას და უადგილოა, რადგან იმით, რომ დროის ზემოთ დგას, მას ყველა დრო თავის თავში აქვს ჩაკეტილი და თავად არის ყველა დრო. და კაცი რა მცირე ნაწილსაც არ უნდა ფლობდეს ამ დროის ზემოთ მდგომისას, მაინც ძალიან სწრაფად გამდიდრდებოდა. რადგან ის, რაც ზღვის იქით მდებარეობს, ამ ძალისათვის ისეთივე ახლოსაა, როგორც ის, რაც ამ წუთას აქ იმყოფება. და ამიტომ წერია: "სწორედ ასეთებს ეძებს მამა" (იოანე, 4,23).

ხედავთ, როგორ გვეფერება ღმერთი, როგორ გვევედრება და ღმერთს საერთოდ არც შეუძლია დაიცადოს, სული როდის შეაქცევს ზურგს ქვეყნიერებას, ქმნილებებს და როგორ გაიცლის მათ კანივით. და ეს ისეთი ურყევი ჭეშმარიტებაა, რომ ღმერთს ისე სურს გვეძებოს ჩვენ, თითქოს მთელი მისი ღმრთეება ამაზე ეკიდოს — და აკი გვეძებს კიდეც მისი ღმრთეება. რადგან ღმერთს ისევე არ შეუძლია უჩვენობა, როგორც ჩვენ უმისობა. და კიდეც რომ შეგვძლებოდა, ზურგი გვექცია ღმერთისთვის, ღმერთი ვერასოდეს შესძლებდა პირი ებრუნა ჩვენგან. მე ვამბობ: მე არ მსურს შევთხოვო ღმერთს, რაიმე მომცეს, არც იმის გულისთვის განვადიდო, რომ რაღაც მომცა. უფრო მეტად მსურს ვთხოვო: ღირსი გამხადოს მიღებისა და მსურს განვადიდო, რადგან თავისი ბუნებითა და არსით ისეთია, რომ არ შეუძლია არ გაიღოს. ვინც მოინდომებდა, წაერთმია ეს ღმერთისთვის, იგი მას მის საკუთარ ყოფიერებას და სიცოცხლეს წაართმევდა.

## ღმერთს ვერ გაექცევი

იმ კაცის საქმე, ვისაც იმედი აქვს, ღმერთს გავექცევიო, ასეა: ის ვერსად გაექცევა ღმერთს: ყველა კუთხე-კუნჭული აცხადებს მას. კაცს ჰგონია, ღმერთს გავექეციო, და პირდაპირ მის წიაღში კი შერბის!

## ნაჭუჭი უნდა გატყდეს

ადრეც ხშირად მითქვამს: ნაჭუჭი უნდა გატყდეს და ის რაც შიგნითაა, გარეთ გამოვიდეს. თუ გსურს გული – ნაჭუჭი უნდა გატეხო. და ამის შესაბამისად: თუ გსურს ბუნება იპოვო შეუბურავი, ყველა შედარება უნდა დაამსხვრიო. და რაც უფრო ღრმად შეიჭრები შიგნით, მით უფრო ახლოს მისვალ ყოფიერებასთან, თუ სული იპოვის იმ ერთს, რომელშიც ყველაფერი ერთია.

## გონება და მადლი

დიადი და ამაღლებული უნდა იყოს, ვისაც სურს ღმერთი იხილოს. მზის სინათლე სუსტია გონების სინათლესთან შედარებით. თავის მხრივ, გონება მცირე რამ არის მადლის სინათლესთან შედარებით. მადლი არის სინათლე, რომელიც ყველაფერს, რისი შექმნაც კი შეეძლო ღმერთს, აღემატება, თავს გადაუვლის, თავს დალივლივებს. და მაინც, რა დიდიც არ უნდა იყოს მადლის სინათლე, ის ხომ სულ მცირეა იმ სინათლესთან შედარებით, რომელიც თავად ღმერთია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### გონების საქმე

ყველა ქმნილება უარყოფს თავის სიცოცხლეს თავისი ყოფიერების გულისთვის. ყველა ქმნილება შემოდის ჩემს გონებაში, რათა მოიპოვოს სულიერი ყოფიერება ჩემში. ასე ვამზადებ მე ჩემის მხრივ ყველა ქმნილებას ღმერთისთვის და მხოლოდ მისთვის. ხედავთ? რას იქმთ თქვენ ყველანი?

### მე ვეკვრი ჭეშმარიტებას

რა არის ჭეშმარიტება? ჭეშმარიტება ისეთი კეთილშობილი რამ არის, ღმერთს რომ შესძლებოდა ზურგი ექცია მისთვის, მე მოვინდებოდა ავკრობოდი ჭეშმარიტებას და მიმეტოვებინა ღმერთი, რადგან ღმერთი ჭეშმარიტებაა და ყველაფერი, რაც კი სულში არსებობს, ან ყველაფერი, რაც კი ოდესმე შექმნა ღმერთმა, — ეს არ არის ჭეშმარიტება.

### ღმერთი ერთიანია

სულს არაფერი უშლის ხელს ისე ძლიერ, შეიცნოს ღმერთი როგორც დრო და სივრცე. დრო და სივრცე ნაწილებია, ღმერთი კი – ერთი მთელი. ამდენად, თუკი სულს ღმერთის შეცნობა სურს, იგი დროისა და სივრცის გარეთ უნდა შეიცნოს. რადგან ღმერთი არც ეს არის და არც ის, განსხვავებით საგნებისაგან, მრავალფეროვანნი რომ არიან, ღმერთი ერთი და მთელია.

### უღრმესი საფუძველი

რა არის ღმერთის მეტყველება? ეს არის ქმნილება ღვთისა და ეს ქმნილება ისეთი კეთილშობილი და ამაღლებულია, რომ მას მხოლოდ ღმერთი აღასრულებს. იცოდეთ, მთელი ჩვენი სრულყოფილება და მთელი ჩვენი ნეტარება იმაზე ჰკიდია, რომ ადამიანმა გაიაროს, გადაიაროს ყველა ქმნილება და დროითობა და ყოველი მუნყოფიერება, გასცდეს მას და შევიდეს იმ ძირის-ძირში, რომელიც უძიროა.

### ჩემი უმაღლესი საკუთრება

წუხელ იმაზე ვფიქრობდი, რომ ყველა მსგავსება და შედარება მხოლოდ წინასაქმეა. ვერც ერთ საგანს ვერ დავინახავ, თუ ის ჩემი მსგავსი არ არის. და ასევე, ვერც ერთ საგანს ვერ შევიცნობ, თუ ის ჩემი მსგავსი არ არის. ღმერთი ყველა საგანს დაფარულად შეიცავს თავის თავში, მაგრამ არა ცალ-ცალკე: ამას და იმას, არა განსხვავებულად, არამედ როგორც ერთს თავისი ერთიანი ბუნების შესაბამისად. თვალი ფერს არ შეიცავს, მაგრამ სწორედ ის აღიქვამს ფერს და არა ყური. ყური ბგერას გრძნობს, ენა კი – გემოს. ყველაფერი, რასაც კი საჭიროებისამებრ ორგანო გააჩნია, ერთიანია ამ ორგანოსთან. სულისმიერ ხატსა და ღვთის ხატს ერთი ყოფიერება აქვთ, და სახელდობრ იქ, სადაც ჩვენ ძეები ვართ. მე რომ არც თვალები მქონდეს და არც ყურები, ყოფიერება ხომ მაინც მექნებოდა. ვინმემ რომ თვალი ამომაცალოს, ჩემს ყოფიერებასა და სიცოცხლეს ხომ ვერ წამართმევს, რადგანაც სიცოცხლის სამყოფელი გულშია. ვინმემ რომ მოინდომოს, თვალში ჩამარტყას, თვალებზე ხელს ავიფარებ და დარტყმას ავიცილებ. მაგრამ ვინმემ რომ ჩემი გულის გაგმირვა მოინდომოს, მთელ სხეულს მოვმართავ და მოვიშველიებ, რათა ჩემი სიცოცხლე დავიცვა; თუ ვინმე მოინდომებს თავი წარმკვეთოს, მთელ მკლავს ავიფარებ, რათა ჩემი სიცოცხლე და ყოფიერება შევინარჩუნო.

### ღმერთის მონათესავე

არსებობს რაღაც, რომელიც მაღლა დგას შექმნილ ყოფიერებაზე სულისა, და რომელსაც ვერანაირი შექმნილობა, რაც, როგორც ვიცით, არარაა, – ვერ ეკარება. თვით ანგელოზსაც არ გააჩნია ეს რაღაც, თუმცა იგი წმინდა და ვრცელ ყოფიერებას ფლობს. თვით ანგელოზის ყოფიერებაც ვერ ეკარება მას. ის ენათესავება ღვთაებრივ გვარს, თავისთავში ერთიანია და არაფერთან არა აქვს საერთო. ამ საკითხში ზოგი მღვდელი მოიკოჭლებს. ის

ერთიანი და მთლიანია და უფრო უსახელოა, ვიდრე სახელიანი; უფრო შეუცნობელია, ვიდრე შეცნობილი. საკუთარი თავის განადგურება რომ შეგეძლოს, თუნდაც ერთი წუთით, თუნდაც წუთზე ნაკლებითაც, – მაშინ ყველაფერი შენს საკუთრებად გადაიქცეოდა, რაც არის ის თავის თავში. ვიდრე შენ ჯერ კიდევ რაიმე სახით ყურადღებას აქცევ შენს საკუთარ თავს ან საგანს რაიმეს, – ისევე იცი რა არის ღმერთი, როგორც ჩემმა პირმა იცის, ფერი რა არის, ან როგორც ჩემმა თვალმა იცის, რა არის გემო. – აი, ასე ცოტა იცი შენ, ასე მცირედ არის შენთვის ცნობილი, რა არის ღმერთი.

### ყველა სიტყვას აღმატებული

წმინდა ავგუსტინე ამბობს: ულამაზესი, რაც კი ადამიანს ძალუძს თქვას ღმერთის შესახებ, არის დუმილი, რომლის ძალასაც მას ანიჭებს თავისი შინაგანი სიმდიდრის სიბრძნე. ამიტომ იმდუმარე, და ნუ იყბედებ ღმერთის შესახებ. რადგან როდესაც ყბედობ მასზე, ცრუობ და სცოდავ. და თუ გსურს იყო უცოდველი და სრული, ნუ იყბედებ ღმერთზე! არც ის უნდა გსურდეს, ღმერთისა შეიცნო რამე, რადგან ღმერთი ყოველგვარ შეცნობაზე მაღლა დგას. ერთი მოძღვარი ამბობს, მე რომ მყოლოდა ღმერთი, რომლის შეცნობასაც შევძლებდი, მე მას აღარ ჩავთვლიდი ღმერთადო! და თუ რაიმეს შეიცნობ მისას, – ეს არაფერი იქნება იმისი, და მაგ შეცნობით საერთოდ დაჰკარგავ შემეცნების უნარს და ამ დანაკარგით ცხოველამდე დაეცემი. რადგან ის, რაც ქმნილებებში მოკლებულია შემეცნების უნარს, ცხოველურია. თუ არა გსურს ცხოველური გახდე, ნუ შეეცდები, რაიმე შეიცნო ღმერთისა. "ოჰ, კი მაგრამ, როგორ უნდა ვქნა ეს?" შენ მთლიანად უნდა ჩამოსწყდე იმას, რაც არის შენი შენი და შედინდე იმაში, რაც არის მისი მის-ი. და შენი შენი მის მის-ში ჩემად უნდა იქცეს, ისე სრულად, რომ შენ მასთან ერთად მარადიულად შეიცნო არქმნილი მისობა და მისი სახელდაურქმეველი არაობა.

### ღმერთს ყველაფერი თავის თავში აქვს

ერთი მოძღვარი ამბობს: ყველა ქმნილება არსებობს ღმერთში როგორც არარა, რადგან ის საკუთარ თავში მოიცავს ყველა ქმნილების ყოფიერებას.

### ეკჰარტის ლეგენდებიდან
### დილის საუბარი

ერთხელ მაისტერ ეკჰარტი ერთ ღატაკ კაცს შეესიტყვა: "ღმერთმა კეთილი დილა მოგაგოს, ძმაო".

"ბატონო, გისურვებთ, თქვენ თავად გქონდეთ კეთილი დილა, – მე ჯერ არცერთი დილა არ მქონია უკეთური".

"ეგ როგორ, ძმაო?"

"როგორ და ყოველივე ასატან-გასაძლებს, რასაც კი ღმერთი მიგზავნიდა, სიხარულით ვიტანდი, და ჩემს თავს ამის ღირსადაც კი არ ვთვლიდი, ამიტომ არასდროს მეუფლებოდა სიმძიმილი და მწუხარება".

"და სად იპოვე ღმერთი, ძმაო ჩემო?"

"სადაც დავტოვე ყველა ქმნილება, იქ ვიპოვე ღმერთი".

" და სად დასტოვე ღმერთი, ძმაო?"

"ყველა ანკარა და წმინდა გულში".

ეკჰარტმა ჰკითხა:

"რა კაცი ხარ შენ, ძმაო?"

"მეფე ვარ".

"რაზედ მეფობ?"

"ჩემს სხეულზე; რადგან ყველაფერი რაც კი ჩემს სულს სწყუროდა ღმერთისგან, უფრო სწრაფად და მარჯვედ მოისხელთა და შეიტკბო სხეულმა ვიდრე ჩემი სული მოასწრებდა მის მიღებას".

"მეფე სამეფოს უნდა ფლობდეს. სად არის შენი სამეფო, ძმაო?"

"ჩემს გულში".

"ეგ როგორ, ძმაო ჩემო?"

"როდესაც ჩავრაზე ქიშკარი ჩემი ხუთი გრძნობისა და ახლა უკვე მთელი არსებით მწყურია ღმერთი, – მე მას ჩემივე სულში ვპოულობ ისეთივე გასხივოსნებულსა და სიხარუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიანს, როგორიც არის იგი მარადიულ სიცოცხლეში".

"წმინდა კაცი უნდა იყო. ვინ განგწმინდა, ძმაო?"

"ჩემმა გარინდებულმა ჯდომამ და ღმერთთან შერთვამ მოიმოქმედა ეს – ამან ამზიდა ცაში, რადგან ვერაფერში რაც ღმერთზე ნაკლებია, ვერ ვპოვე სიმშვიდე და, აი, ბოლოს ვიპოვე ღმერთი, და მასში ვიპოვე მარადიული სიმშვიდე და სიხარული, და ეს, – ვიდრე ამ მიწიერ ცხოვრებაში ვიმყოფებით, – ყველა სამეფოზე მეტად იხანგრძლივებს. არცერთი გარეგანი საგანი არ არის ისეთი სრულყოფილი, რომ იგი არ აფერხებდეს ჩვენს შინაგანობას".

### მაისტერ ეკჰარტის ქალიშვილი

ერთი ქალიშვილი ქადაგთა მონასტერს მიადგა და მაისტერ ეკჰარტი მოითხოვა. მეჭიშკრემ ჰკითხა: "რა მოვახსენო, ვინ კითხულობს?" "არ ვიცით". – უპასუხა ქალიშვილმა. "რატომ არ იცითო?" ქალიშვილმა მიუგო: "იმიტომ რომ, არც გოგონა ვარ, არც ქალი, არც კაცი, არც ქვრივი, არც ქალწული, არც ბატონი, არც მოახლე, არც მონაო".

მეჭიშკრე მივიდა მაისტერ ეკჰარტთან: "გარეთ გამობრძანდით. ერთ საკვირველ არსებასთან, რომლის მსგავსი არც მინახავს, არც გამიგონია და ნება მომეცით, მეც გეახლოთ, თავი გაჰყავით ჭიშკრიდან და ჰკითხეთ: "ვინ მკითხულობს?"-თქო.

მაისტერ ეკჰარტი ასეც მოიქცა. ქალიშვილმა მასაც ისევე უპასუხა რაც მეჭიშკრეს. მაისტერ ეკჰარტმა მიუგო:

"საყვარელო ბავშვო, შენი სიტყვები ჭეშმარიტია და სხარტი. მაგრამ ეგებ უფრო ზუსტად ამიხსნა, თუ რას გულისხმობ".

მან უპასუხა: "გოგონა რომ ვიყო, ჯერ კიდევ ჩემი თავდაპირველი უცოდველობის წიაღში ვიდგებოდი; ქალი რომ ვიყო, ყოველწამიერ დავბადებდი მარადიულ სიტყვას ჩემში; კაცი რომ ვიყო, ყველა უკეთურებას მედგრად აღვუდგებოდი წინ; ცოლი რომ ვიყო, ჩემს ერთადერთ და უსაყვარლეს მეუღლეს ვუერთგულებდი; ქვრივი რომ ვიყო, სავსე ვიქნებოდი ყოველწუთიერი მონატრებით ჩემი ერთადერთი, სანუკვარი არსების მიმართ; ქალწული რომ ვიყო – მოწიწებით აღვსილი ვიდგებოდი წმინდა სამსახურში; ბატონი რომ ვიყო, ძალმოხილება მექნებოდა ღვთაებრივ სიქველეთა ზედა; მოახლე გოგო რომ ვიყო, თვინიერად დავექვემდებარებოდი ღმერთსა და მის ქმნილებებს; მონა რომ ვიყო, მძიმე სამუშაოს ჭაპანს გავწევდი და მოვემსახურებოდი ჩემს ბატონს მთელი ჩემი ნებელობით და უდრტვინველად. მაგრამ ამასთან არცერთი არა ვარ და საგანი ვარ ერთი საგანთაგანი და აი, ასე მივრბი-მოვრბივარ ჩემთვის ჩემს გზაზე".

მოძღვარი გაბრუნდა და თავის მოწაფეს უთხრა:

"ასე მგონია, ამ წუთის ყველაზე უფრო წმინდა და ანკარა სულის ადამიანს ვუსმენდი, ვინც კი ოდესმე შემხვედრია".

გერმანულიდან თარგმნა
ნაირა გელაშვილმა

წიგნიდან:

**Meister Eckhart Der Morgenstern Ausgewählt, übersetzt und eingeleitet von Hans Giesecke, Union Verlag, Berlin 1964.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელიზაბეტ ვანდერჰილი

# მამა ალექსანდრ მენი



მართლმადიდებელი მღვდელი ალექსანდრ მენი თითქმის მთელი სიცოცხლის მანძილზე მოსკოვის მიმდებარე სოფლების ეკლესიებში მუშაობდა მეორეხარისხოვან თანამდებობებზე და მას არც არავინ იცნობდა თავისი მრევლის გარდა. მისი ნაშრომების უმრავლესობა ბრიუსელში იბეჭდებოდა „მ“-ის ფსევდონიმით. ფსევდონიმს ამოფარებას თავისი მიზეზები ჰქონდა: ერთი მხრივ, ნებისმიერი რელიგიური საქმიანობა, რომელიც სცილდებოდა ტრადიციულ რიტუალებს, უკანასკნელ ხანებამდე სასტიკად იდევნებოდა საბჭოთა მთავრობისაგან, მეორე მხრივ – მენის პოზიციას არ იწონებდა არც მართლმადიდებლური ეკლესიის ხელმძღვანელობა, რელიგიის საკითხებისადმი თავისი დოგმატური და კონსერვატიული მიდგომის გამო და არც დღეს იწონებს მას. მენის ტრაგიკული სიკვდილის შემდეგაც კი, მართლმადიდებლური ეკლესიის წინამძღვარმა თანაგრძნობის ეპისტოლეში მაინც აღნიშნა, რომ გარდაცვლილი „ზოგჯერ ისეთ მოსაზრებებს გამოხატავდა, რომლებიც საგანგებო მსჯელობის გარეშე შეუძლებელია მიღებულ იქნას ეკლესიის მიერ“.

მენის სახელი 80-იანი წლების ბოლოსთვის გახდა ცნობილი, სულ ცოტა ხნით ადრე, ვიდრე უცნობი მკვლელის ნაჯახი სიცოცხლეს გამოასალმებდა. ისინი, ვინც მას პირადად იცნობდნენ, ამტკიცებენ, რომ მენი თავისი შემოქმედებითი ძალის მწვერვალზე იმყოფებოდა. თომას მერტონის მსგავსად, მასაც სიცოცხლის შუა გზაზე მოუსწრო სიკვდილმა და მან ბოლომდე ვერ განახორციელა თავისი შემოქმედებითი შესაძლებლობები.

ალექსანდრ მენი განათლებულ ებრაულ ოჯახში დაიბადა და გაიზარდა. იგი ჯერ კიდევ ბავშვობაში მართლმადიდებლად მონათლა დედამ, რომელიც თავად იყო იატაკქვეშა ეკლესიის მრევლში. „საბედნიეროდ, ისე მოხდა, რომ ძიების პერიოდი არა მქონია, – იხსენებდა მენი მოგვიანებით, რადგან მართლმადიდებლობა არა მარტო ფორმალურად მივიღე, არამედ მასში დავიბადე. ჩვენი ოჯახი უკვე რა ხანია მამა იოანე კრონშტადტელის მადლსქვეშ ცხოვრობდა. დედის ბებია, მე რომ მზრდიდა, ნამყოფი იყო მამა იოანესთან, რომელმაც იგი მძიმე სენისაგან განკურნა. ამის გარდა, მამა იოანემ შენიშნა მისი ღრმა რწმენა, თუმცა კი იცოდა, რომ იგი ქრისტიანი არ იყო და იუდეველთა რელიგიას მისდევდა... დედაჩემი ადრეული ბავშვობიდან ქრისტეს რწმენით განიმსჭვალა და ეს რწმენა იმ დროს გადმომცა, როცა იგი ყველგან იდევნებოდა და ლამის გაქრობის პირას იყო მისული“.

12 წლის ასაკში მენმა განიცადა თავისი პირველი „განსაკუთრებული შეხვედრა ღმერთთან“ – ცოცხალი რელიგიური გამოცხადება, რაც, როგორც თვითონ მოგვიანებით ამტკიცებდა, უცილობლად უდევს ხოლმე საფუძვლად ყოველ ჭეშმარიტ რელიგიურობას. სწორედ ამ „შეხვედრამ“ აფიქრებინა, შეეხამებინა ერთმანეთისათვის სახარება და ისტორიული წყაროები – ეს სამუშაო დაედო შემდეგ საფუძვლად მის ცნობილ წიგნს „ძე კაცისა“, სადაც ქრისტეს ცხოვრებაა მოთხრობილი.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, არც ბავშვო-

ბაში და არც სიყმაწვილეში მენს არ უფიქრია, მღვდელი გამხდარიყო. მას ზოოლოგია იტაცებდა. სკოლის დამთავრების შემდეგ ნადირთმცოდნეობის ფაკულტეტზე ჩააბარა, მაგრამ გამოხაშვები გამოცდების წინ ინსტიტუტიდან გარიცხეს „ეკლესიის რწმენისათვის". ამგვარად, მენს ძალაუნებურად მოუწია სულიერი კარიერა აერჩია; ამ გზას მან თავისი სიცოცხლის ოცდაათი წელი შეალია. მღვდელთმსახურის ჩვეულებრივ საქმიანობას უთავსებდა უზარმაზარ სამეცნიერო-კვლევით მუშაობას.

მენის გამოკვლევების ძირითადი თემა სახარება იყო. სახარების ტექსტებზე მუშაობის დროს მენი თანდათანობით ბიბლიის ენისა და წმინდა ისტორიასთან დაკავშირებულ სხვა მასალების ერთ-ერთ უდიდეს სპეციალისტად იქცა. ბიბლიური ტექსტების წარმოშობა და ჩამოყალიბება, მათი მდიდარი შინაარსი, კულტურის, ხელოვნებისა და მეცნიერული აზროვნების განვითარებაზე მათი ზეგავლენა – აი, მხოლოდ ნაწილი თემებისა, რომლებსაც თავის მეცნიერულ გამოკვლევებში ეხებოდა ალექსანდრ მენი. ამ ნაშრომებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია უზარმაზარი, შვიდტომიანი ნაშრომი „ბიბლიოლოგიის ლექსიკონი", რომელმაც გააცოცხლა ბიბლიისა და ბიბლიური თემების შესწავლის ისტორია მსოფლიო ფილოსოფიაში.

მენის ინტერესები სხვა, ბიბლიის გარეთ მყოფი რელიგიური და კულტურული ტრადიციების მიღწევებზეც ვრცელდებოდა. ესენია: პირველყოფილი და არქაული კულტურები, ინდუიზმი, ბუდიზმი, ძველი აღმოსავლეთისა და ანტიკურობის რელიგიური და ესთეტიკური ტრადიციები, ახალი და უახლესი ხანის სამეცნიერო და მხატვრული მემკვიდრეობა, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების თანამედროვე პრობლემატიკა. ესოდენ მრავალფეროვანი თემატიკის გააზრება მართლმადიდებლური რწმენის თვალთახედვიდან საკმაოდ რთული და, ნაწილობრივ, სრულიად ახალი საქმე იყო: მართლმადიდებლობის ფილოსოფია ხომ მეტაფიზიკური და მორალურ-ზნეობრივი შეხედულებების საკმაოდ მკაცრ სისტემას წარმოადგენს, რომელიც პრაქტიკულად მე-18 საუკუნის შემდეგ აღარ შეცვლილა!.

ტეიარის[1] მსგავსად, მენი ქრისტეს მიიჩნევდა სამყაროს ენერგეტიკულ ცენტრად, სამყაროებს დამაკავშირებელ რგოლად და ცხადია, მთელი ისტორიული პროცესის საბოლოო მიზნად. მისი აზრით, ღვთიური სიყვარული მუდამ იზიდავს თავისკენ ცოდვილ და არასრულყოფილ ადამიანებს და სწორედ კონფლიქტი ამ მიზიდვასა და ყოველი ჩვენგანის საკუთარ არასრულყოფილებას შორის განაპირობებს მსოფლიო ისტორიის საერთო სვლას.

მენის მეტაფიზიკურ შეხედულებებზე უცილობლად დიდი გავლენა მოახდინეს გნოსტიციზმმა და კაბალამ. ის ამტკიცებდა, რომ არსებობს კაცობრიობის ერთიანი სული, წოდებული ადამად და ყველა ინდივი-დუალური ადამიანური სული ამ ერთიანი სულის ცალკეული გამოყოფილი ნაწილია. მიწიერი ცხოვრება წარმოადგენს ამ ინდივიდუალური სულის განვითარების ერთ-ერთ ეტაპს; სიკვდილის შემდეგ ადამიანის „პიროვნება არ ირღვევა, ინგრევა მასში მხოლოდ ბოროტება. მაგრამ რაც უფრო მეტი ბოროტებაა პიროვნებაში, მით უფრო ნაკლები რჩება მისგან... რამეთუ ფიზიკურ ცეცხლზე არ არის ლაპარაკი. როცა სული სხვა სამყაროების ატმოსფეროში შედის, მასში იწვება ყოველივე ბნელი, ბოროტი და, მეტაფიზიკურად რომ ვთქვათ, ადამიანის სიკვდილის შემდგომი ყოფის სისავსე იმაზეა დამოკიდებული, რა დარჩება მისგან ამ წვის შემდეგ.

ამგვარად, მენი ადამიანის პიროვნებას მატერიალურ და სულიერ სამყაროების შემაერთებელ რგოლად მიიჩნევდა. იმის მსგავსად, როგორც ჩვენი სხეული არის მატერიალური ყოფიერების ანარეკლი, ჩვენი სულიერი სამყარო, თავის მხრივ, გვაუწყებს სულიერი აზროვნების რეალურობას. ადამიანი თავის თავში ატარებს და თავის თავშივე აღმოაჩენს სხვა, ბუნებისაგან განსხვავებულ ყოფიერებას. და ჩვენი სულიერი „მე" შეიძლება გახდეს სამყაროს

სულის მისაღწევ სარკმელად.

ჩვენი სამყაროს ფიზიკური სახე არასრულყოფილია: უფრო დაჟინებული დაკვირვების ფასად აღმოვაჩენთ სულიერი საწყისის გამოვლინებას, რომელიც წინ აღუდგება ქაოსსა და ენტროპიას. ესენი არიან ღვთიური რეგულაციის ძალები, რომლებიც, ცალკეული პიროვნებების ეგოიზმისა და გაუცხოების დაძლევით, მისი შინაგანი სამყაროს გავლით ბრუნდებიან ყოფიერებაში. ადამიანური ურთიერთობების ქსოვილში შემოჭრისას ეს ძალები ხელახლა აღადგენენ დაქცევის პირას მისულ სამყაროს ადამიანთა ყოველ ახალ თაობაში. მენის აზრით, სწორედ ამაში მდგომარეობს ბიბლიის ძირითადი აზრი. სწორედ ამაში ხედავს ის მთელი კაცობრიობის ისტორიისა და ცალკეულ ადამიანთა ბედის ძირითად დადებით აზრს.

ამასთან, ბოროტებასა და ცოდვას მენი განიხილავდა, როგორც აბსოლუტურად რეალურ ძალებს, რომლებიც იყენებენ ღმერთისადმი ადამიანის დიად ლტოლვას. ის თვლიდა, რომ სწორედ ეს ძალები წარმოშობენ ადამიანში საყოველთაო ეგოცენტრიზმს, რაც ისტორიულ პროცესში გაუცხოებად, ზიზღად და დეპრესიად ვლინდება. მაგრამ ის გარემოება, რომ „სამყარო ბოროტებით არის გამსჭვალული...“ არ აძლევს ქრისტიანს თვითკმაყოფილებისა და ქედმაღლობის უფ-ლებას, ანდა განურჩეველი უარყოფისა და პესიმიზმის საფუძველს. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში დაწერილ სტატიაში „ქრისტიანული მსოფლმხედველობის საფუძვლები“ მენი ამტკიცებდა, რომ ქრისტიანი განიხილავს ყოველივე მშვენიერს, შემოქმედებითს, კეთილს, როგორც ღვთის საკუთრებას, როგორც ქრისტეს მადლის დაფარულ ქმედებას; ამა თუ იმ სფეროს ცოდვით დაავადება არ შეიძლება მისი უარყოფის მიზეზად იქცეს.პირიქით; ღვთის მეუფების განმტკიცებისათვის ბრძოლა შეუნელებლად უნდა მიმდინარეობდეს შუაგულში.

„შესაძლებელია თუ არა, თავისუფლად, ერთმანეთისათვის ხელის შეუშლელად განვითარდეს რელიგია და მეცნიერება? – სვამს კითხვას მენი ერთ-ერთ თავის ნაშრომში, – მეცნიერებამ რომ შესძლოს კიდეც სრულიად მოიცვას მთელი მატერიალური სამყარო, სულიერი სფერო მისთვის მაინც მიუწვდომელი დარჩება. მეცნიერების სფერო – უმეტესად ინტელექტის სფეროა. მაგრამ ადამიანს არ შეუძლია და არც უნდა „შემოიფარგლოს მხოლოდ ამ სფეროს საზღვრებით. ამგვარად, მეცნიერება და რელიგია – რეალობის შემეცნების ორი გზაა და მათი დამოუკიდებლობის მიუხედავად, ჰარმონიული შეხამებით უნდა შეუწყონ ხელი ადამიანის სწრაფვას ჭეშმარიტებისკენ“.

ერთ-ერთი თემა, რაც განსაკუთრებით იზიდავდა მენს, როგორც ფილოსოფოსს, იყო შემეცნება და მასთან დაკავშირებული საკითხები: შემეცნების სახეობები, ინტუიციის როლი შემეცნებაში, სამყაროს შემეცნება და ღმერთის იდეა, თუ რა არის კაცობრიობის რელიგიური გამოცდილება და, ბოლოს, უმთავრესი კითხვა – რა არის ღვთაებრივი გამოცხადება?

ამ კითხვებზე პასუხის გაცემისას, მენი გამოყოფს წვდომის სამ საფეხურს: რაციონალური აზროვნება (რომელიც დამყარებულია სად აზრზე), განყენებული (ფიზიკამათემატიკური და ფილოსოფიური) აზროვნება და უშუალო ინტუიტური აღქმა. ამასთან, ამ უკანასკნელ საფეხურს ის მიიჩნევდა რეალობის განსაკუთრებით სიღრმისეულ და სრულ აღქმად, რომელიც, აღემატება ყველა დანარჩენ საფეხურს, თუმცა არ გამორიცხავს მათ, რამეთუ შემეცნება ხასიათდება მთლიანობით, რომელშიც მჭიდროდ არის დაკავშირებული წვდომის სამივე საფეხური და „მხოლოდ უშუალო გამოცდილების, განყენებული აზროვნებისა და ინტუიციის ორგანული შერწყმა ბადებს შემეცნების უმაღლეს ინტეგრალურ ტიპს“. ის არ იზღუდება გონების ვიწრო ჩარჩოებით და უნარი შესწევს აიჭრას პარადოქსულის, ანტინომიურის სფეროში. ის შეიცავს მცირე გონის, როგორც მთლიანი ნაწილის, მთელ ძალას. სწორედ ეს აძლევს საშუალებას თვალი გააწვდინოს ბუნების მოვლენებიდან ყოფიერების უკიდურეს საზღვრამდე.

შემეცნების ნებისმიერ გამოყოფილ მარტივ ტიპში აქტიურია მხოლოდ ადამიანის ნება. მაგრამ როცა ადამიანი ერთვება ზემგრძნობიარე ყოფიერების შეცნობაში, მაშინ ერთმანეთს ეხება ორი აქტიური ნება – ასეთი პროცესი დიალოგს გულისხმობს. სწორედ ამით განსხვავდება ადამიანური აღმოჩენა ღვთაებრივი გამოცხადებისაგან. მაგალითად, ღვთაებრივ გამოცხადებას ისრაელისადმი (ძველი აღთქმა) მენი მიიჩნევს არა ქრისტიანობის წინამორბედი რელიგიების ევოლუციის კანონზომიერ შედეგად, არამედ „ტრანსცენდენტური ღმერთის ისტორიაში შეჭრად“, ე.ი. სასწაულად. მაგრამ მეორე მხრივ, ეს არ ნიშნავდა, რომ გამოცხადება ცალმხრივი ტირანია იყო ადამიანზე ხამოქმედოდ. გამოცხადებაში იხსნება ღმერთკაცობრიობის საიდუმლო, როგორც „ციური ნათლის გარდატეხვა მიწის ძეთა სულში...“

გამოცხადების უმნიშვნელოვანესი შედეგი ის არის, რომ ადამიანი ამ შეხვედრიდან სრულიად გადასხვაფერებული გამოდის. „გამოცხადება არის პროცესი, რომელიც მჭიდროდ აკავშირებს იმას, ვინც შეიცნობს, მასთან, ვინც გამოეცხადება“.

თუმცა მენი დარწმუნებულია, რომ ადამიანის ღმერთთან შეხვედრის სასწაული სულაც არ არის იშვიათი მოვლენა. ადრე თუ გვიან ეს ხდება ყოველი ადამიანის ცხოვრებაში და ამიტომაც ყოველი რელიგიური გამოცდილება უნივერსალური და ზოგადსაკაცობრიო ხასიათისაა., ის ამტკიცებს, რომ არა მარტო წმინდანებს, არამედ მილიონობით ხუფთა და ჭეშმარიტების გულწრფელად მოყვარულ ადამიანს აქვს უნარი განიცადოს ღვთიური გამოცხადება. მაგრამ ამ უკანასკნელთათვის ეს განცდა უმეტესად ელვის გაკრთომის სისწრაფით ხდება, რის შემდეგაც უკუნი ისადგურებს, მაშინ, როდესაც პირველნი მთელი თავისი არსებით ერწყმიან ღვთიურ ცხოვრებას და თვით ხდებიან მისი მატარებ-ლები.

ზოგადი თვისებებით რელიგიური გამოცდილება შეიძლება განისაზღვროს როგორც ჩვენს ცხოვრებასა და ყველა ადამიანის, მთელი სამყაროს ყოფიერებაში უმაღლესი საწყისის რეალური თანხლება, რომელიც წარმართავს და აზრს ანიჭებს, როგორც სამყაროს, ასევე ჩვენს საკუთარ არსებობასაც. ეს შეგრძნება მიეცემა ადამიანს უშუალო ხილვის დროს, რომელიც აღსავსეა ისეთივე შინაგანი ხიცხადით, როგორიც აქვს საკუთარი მეს ხილვას. თავისი არსით გამოუთქმელი ეს გამოცდილება მხოლოდ ინტელექტუალური გააზრების გავლით დაკრისტალდება ცნებებად და სიმბოლოებად.

მენი ამტკიცებდა, რომ ყოველ უძველეს რელიგიაში შეიძლება იპოვნო რაღაც მარადიული და ნებისმიერი ეპოქისათვის აქტუალური. რელიგიას, – ამბობდა ის, – მიწიერ ცხოვრებაში შემოაქვს უმაღლესი საზრისი და მას მარადიულს უკავშირებს. და თვით ბრძოლაც რელიგიის წინააღმდეგ, ირიბი დადასტურებაა მისი მნიშვნელობისა.

ნებისმიერი რელიგიური გამოცდი-ლების უნივერსალურ, წარუვალ ღირებულებად აღქმამ მენი მიიყვანა იმ მოსაზრებამდე, რომ სხვადასხვა რწმენის წარმომადგენელთა შორის არა მარტო შესაძლებელია, არამედ აუცილებელიცა სრულყოფილი დიალოგი. მან ღრმად შეისწავლა მსოფლიოს ყველა რელიგია, და აღმოაჩინა, რომ რელიგიათა ისტორიული მრავალფეროვნება ღვთის წვდომის სხვადასხვა ფაზებსა და დონეებს ასახავს, მათ შორის კი საერთო რგოლს ადამიანური ბუნების ერთიანობა და იმ განცდების ნათესაობა წარმოადგენს, რასაც იწვევს ადამიანში უმაღლესის გრძნობა და მის შესახებ აზრი. ის დარწმუნებული იყო, რომ იმათთვის, ვისაც ჭეშმარიტი დიალოგი აქვთ ცასთან, აუცილებლად აღმოჩნდება საერთო თემები მი-წაზეც, რადგან მადლი რელიგიის ჭეშმარიტი ბირთვია და ის ანათესავებს ერთმანეთთან წარმართსაც და უმაღლესი მსოფლიო რელიგიის მიმდევარსაც.

მთელი მსოფლიო რელიგიის ისტორია მენს ესმოდა არა როგორც შეცდომათა ნაკრები, არამედ, როგორც მდინარეებისა და ნაკადულების დინება, რომელნიც თავიანთ

ტალღებს ახალი აღთქმის ოკეანისაკენ მიაქანებენ, რამეთუ დარწმუნებული იყო, რომ ღვთიური რეალობის წვდომა თანდათანობით ხორციელდება ადამიანის მისტიკურ შეხვედრასთან მზადყოფნის შესაბამისად. მიუხედავად იმისა, რომ კაცობრიობის რელიგიური გზა რთული და კლაკნილი იყო, ბოლოს და ბოლოს, ის ყოველთვის მიემართებოდა ღმერთკაცისაკენ, და კაცობრიობის რელიგიური ძიების ხანგრძლივი ისტორიული პროცესი სწორედ ქრისტიანობაში გასრულდა.

ამ დებულების მტკიცებისას, მენი აღნიშნავდა, რომ ქრისტიანობამდელი რელიგიების უმეტესობა ადამიანს განიხილავდა, როგორც ღმერთის ნაწილს, რომელიც ვერ აცნობიერებს თავის ღვთიურ არსს. ქრისტიანობაში კი ადამიანი ღმერთის ნაწილი კი არაა, არამედ მისი ქმნილება. „ღმერთის მიერ შექმნილი ადამიანი ნაწილაკი კი არ არის, არამედ ახალი ნება, ამასთან, თავისუფალი ნება, რომელსაც იმის უნარიც კი შესწევს, წინ აღუდგეს და შეეწინააღმდეგოს თავის შემოქმედს, ხოლო თუ მივა მასთან, მივა თავისუფალი, რადგან ხსნა თავისუფლების გარეშე არ ხორციელდება“. შემოქმედის ხატად შექმნილი ადამიანი მისი სახეა თავის უმთავრეს ნიჭშიც – შემოქმედების ნიჭში.

მენის ნაშრომების სხვა უმთავრესი თემაა ევოლუციური განვითარების თემა. თანმიმდევრული ევოლუციონისტი მენი წინააღმდეგობას ვერ ხედავდა „დაბადების“ პირველ თავებში ასახულ ღვთიურ გამოცხადებასა და მეცნიერების მონაცემებს შორის. „გამოცხადება გვიხსნის პროცესის არსსა და მიმართულებას, მეცნიერება კი ცდილობს გაიაზროს მისი კონკრეტული შინაარსი“.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკითხშიც მენი ძალზე ახლოს იდგა ტეიარ დე შარდენის მოსაზრებებთან, თუმცა მისი საკუთარი მოსაზრებები სრულიად დამოუკიდებლად იყო ჩამოყალიბებული. მაგრამ შარდენისაგან განსხვავებით, მენი ყველგან თანმიმდევრულად იცავს ცოდვით დაცემისა და ხსნის საეკლესიო მოძღვრებას. ის წერდა, რომ „ტეიარ დე შარდენს არსით თუ არა, ფაქტობრივად მაინც როგორღაც ხელიდან უსხლტება ადამიანური ბუნების არასრულფასოვნება. ეს საკითხი გვერდზე რჩება, რაც ასუსტებს მის მოძღვრებას და აშორებს რეალურ სინამდვილეს“.

მენი თვლიდა, რომ ცოდვით დაცემა მდგომარეობს ადამიანის მიერ სამყაროს არასწორ აღქმაში, მის ლტოლვაში „იქცეს ღმერთად“, შეიძინოს და ღმერთის ძალა თავის სამსახურში მოაქციოს. ეს პირველი ცოდვა იქცა მაგიის წყაროდ, ღვთის წინააღმდეგ მაგიური აღდგომის საფუძვლად, რადგან მაგიის მთავარი მამოძრავებელი მეობაა სიყვარულის მარადიული ანტიპოდი.

მაგიზმზე, როგორც რელიგიური მსოფლმხედველობის ძირითად საწინააღმდეგო ძალის წარმოსახვაზე, ღირს უფრო დაწვრილებით შეჩერება. მენის თვალთახედვით, მაგიზმს საფუძვლად უდევს კოლექტიური, ტომობრივი ცნობიერება და იგი დაკავშირებულია კოლექტივის მიერ პიროვნების დათრგუნვასთან, რაც თავისთავად ეწინააღმდეგება ქრისტიანულ სწავლებას ადამიანის შესახებ. „მეფე-მაგის ნებას დამორჩილებული კოლექტივი აიძულებს პიროვნებას, განიბნეს ტომის მთლიანობაში, რადგან მბრძანებლებისათვის უფრო იოლია მართოს მასა, ვიდრე პიროვნება“. ამის შედეგი ტრაგიკულია: კოლექტიური მაგიური ცნობიერება ხალხს იმონებს, „სპობს შემოქმედებით აქტიურობას და რელიგიურ გენიას, აფერხებს კულტურის განვითარებას“.

მეორეს მხრივ, მენი ამტკიცებდა, რომ „ცოდვით დაცემამ ვერ შეძლო მოესპო ადამიანში ღმერთის ხატი“. დროთა განმავლობაში „ღმერთი კვლავ უბრუნდებოდა მის ცნობიერებას და, ბოლოს და ბოლოს, ერთიანის პირველსაწყისი ინტუიციის გამოძახილი და ახალი სულიერი ძიებები წინ აღუდგნენ მაგიზმის ტირანიას და მიიყვანეს ადამიანები დიად მსოფლიო რელიგიებამდე“. ყველა ეს რელიგია კი პრელუდია იყო ახალი აღთქმისა, რომელმაც არსის ძალისხმევა გახსნა ღმერთკაცის სახით.

მენი სრულიად ეთანხმება ქრისტიანული

ეკლესიის მამათა მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ყოველ ადამიანს ოდითგან აქვს „ღმერთის შეგრძნება“; იგი უახლესი ისტორიის მრავალ მახინჯ მოვლენას ამ წმინდა გრძნობის დამახინჯებად აღიქვამდა. რელიგიის ათეისტურ სუროგატებს უწოდებდა სტალინის, მაოსა და ჰიტლერის კულტს, ბოლშევიზმისა და ნაციზმის იდეოლოგიას და კომუნისტური საზოგადოების – დედამიწაზე უფლის მეუფების თავისებური ნაირსახეობის – შექმნის ცდას. თუმცა, თავისთავად მასიურ ათეიზმს, – ამტკიცებდა მენი, – არა აქვს ღრმა ისტორიული ფესვები და ამიტომაც არ შეიძლება ეკლესიისთვის სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენდეს.

მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მასიური ათეიზმის ეპოქაში ეკლესია ჭეშმარიტების საიდუმლო მცველად და რამდენიმე ხელდასხმულისათვის არსებულ, დახურულ ორგანიზაციად უნდა იქცეს. ეკლესია კი არ უნდა გაემიჯნოს ცოდვებში ჩაძირულ და განწირულ სამყაროს, უნდა მიაწოდოს ქრისტეს ქმედითი მოძღვრება. ასეთი იყო ალექსანდრ მენის ცხოვრებისეული კრედო, რომელმაც წარუშლელი ხსოვნა დატოვა თავის მრევლში. თანამედროვენი მას იხსენიებენ, როგორც ადამიანს, რომელსაც უნარი შესწევდა შეეხამებინა მართლმადიდებლობის კონსერვატიული პრინციპები დიდ სულიერ თავისუფლებასთან და თანამედროვე მეცნიერების უდიდეს მიღწევებთან. ამასთან ერთად, ის თავს მხოლოდ და მხოლოდ მღვდელს უწოდებდა და არა მეცნიერს, რადგან იცოდა, რომ მეცნიერის მსახურების არსი ახალი ზოგადსაკაცობრიო ცოდნის ძიება იყო, ხოლო მღვდლის მსახურების არსი კი ჭეშმარიტისკენ ადამიანთა სვლის იდუმალი გზების ძიებაა.

„რწმენა, – ამბობდა ის, – ყველაზე ნაკლებ არის ცხოვრებიდან გაქცევა და ოცნების სამყაროში ჩაძირვა. ეს არის ძალა, რომელიც აკავშირებს სამყაროებს, ეს არის ხიდი ღვთიურ და მის მიერ შექმნილ სულთა შორის. მხოლოდ ამ კავშირით გამაგრებულ ადამიანს შესწევს უნარი, მსოფლიო შემოქმედების აქტიური მონაწილე გახდეს“.

[1] ტეიარი – ტეიარ დე შარდენი (1881-1955), ფრანგი რელიგიური მოაზროვნე

თარგმნა მზია გელაშვილმა წიგნიდან **“Мистики XX века”**, Энциклопедия, Москва, 1996.

მამა ალექსანდრ მენი

## უკანასკნელი ინტერვიუ და უკანასკნელი ლექცია

მარკ მარკოვი: მამაო ალექსანდრ. ჩვენი რადიომსმენელთა სახელით მსურს ის კითხვა დაგისვათ, რომელზეც მეც ხშირად მიწევს ხოლმე პასუხის გაცემა, კერძოდ. საჭიროა თუ არა იყო ქრისტიანი და რატომ არის საჭირო?

მამა ალექსანდრ მენი: ამ შემთხვევაში ერთადერთი პასუხი არსებობს – ადამიანი მუდამ ილტვის ღმერთისაკენ: მისი ნორმალური მდგომარეობაა ამა თუ იმ ფორმით დაუკავშირდეს უმაღლესს და იდეალს.

თუმცა ეს იდეალი ადამიანის ცნობიერებაში შეიძლება დამახინჯებულად და გაღარიბებულად, რაღაც მიწიერ-ყოფიერითაც კი იყოს გამოვლენილი.

სტალინიზმის, მაოძედუნიზმის და ათასი „იზმის„ ეპოქამაც კი დაგვანახა, რომ ნაძალადევად ღმერთწართმეული, ადამიანი თავისდაუნებურად მაინც მიილტვის ცრუღმერთისაკენ. ამ შემთხვევაში მისი ჭეშმარიტი რწმენა კერპთაყვანისმცემლობით იცვლება. თუმცა ღმერთისადმი ლტოლვის ინსტინქტი მაინც

მძლავრობს და ცოცხლობს მასში.

მაგრამ სულ სხვაგვარად დგება საკითხი, როცა ისმება კითხვა: რატომ უნდა იყო მაინცადამაინც ქრისტიანი?

ცხადია, არა იმიტომ, რომ არსებობს წმინდა წიგნები. ყოველ რელიგიას თავისი წმინდა წიგნი გააჩნია და ეს წიგნები ზოგჯერ ძალზე მაღალი ხარისხის, მაღალი სულიერი აღმაფრენის, პოეტური აღმაფრენის ნაყოფიც კი გახლავთ. აღმოსავლეთის მრავალი წმინდა წიგნი, — თუნდაც მაჰაბჰარატა და მისი შემადგენელი ნაწილი, ბჰაგავატგიტა, ბუდისტური სუტრები - მდიდარი შინაარსისა და დიდებულად დაწერილი ნაწარმოებებია. აბა, რაღაა საჭირო?

ან იქნებ, შემოქმედება და ხელოვნება აისახა ქრისტიანულ წიგნებში ყველაზე სრულად?

ამჟამად ძველი რუსული ხელოვნებით დიდ აღტაცებას გამოთქვამენ. მეც ძალიან მიყვარს იგი. ჩემთვის ძველი რუსული ხელოვნება განუყოფელია მსოფლიო სულიერი კულტურისაგან, მაგრამ თუ ობიექტურად ვიმსჯელებთ და ჩემსავით მიკერძოებით არ შევხედავთ, არამედ განყენებულად მივუდგებით საკითხს, განა ნაკლებად დიდებულია ძველი საბერძნეთის ხელოვნება და მისი რელიგია? ინდოეთის სულიერი ხელოვნება, ყველა ტაძარი თუ მეჩეთი? ბუხარაში ყოფ-ნისას მეჩეთებს ვუცქერდი — და თქვენ წარმოიდგინეთ, მათშიც როგორღაც ისახება ღვთის ხმა. და თუკი რელიგიას ესთეტიკური კრიტერიუმებით მივუდგებით, ვინ იცის, იქნებ ზევსისა და ათენას რელიგია უკეთესადაც კი მოგვეჩვენოს. ყველა რელიგიას გააჩნია მრავალი უძველესი ან ახალი მშვენიერი საკულტო ნაგებობა, ამიტომ ქრისტიანობა ვერ დაიჩემებს, რომ მისი ტაძრები უკეთესთაგან უკეთესია. თუ ასეა, მაშინ რატომ ქრისტიანობა და არა რომელიმე სხვა?

ცხადია, არც იმიტომ, რომ დღესდღეობით ჩვენი საზოგადოება ცნობს ქრისტიანობის მაღალ ზნეობრივ ღირებულებებს. მაგრამ ხომ სრული სიცრუე და პროპაგანდა იქნებოდა გვემტკიცებინა, რომ ქრისტიანობის გარდა არც ერთ რელიგიას არ გააჩნია ზნეობრივი ღირებულებანი. ამას მხოლოდ უცოდინარნი და ბრმები ამტკიცებენ.

დღეს საშუალება არა მაქვს დაწვრილებით შევეხო ყველა რელიგიათა დოქტრინებს, მაგრამ უცილობელია, რომ სტოიკოსთა, ბუდისტთა და სხვათა წმინდა წიგნებიც უმაღლეს ეთიკურ იდეებს ემყარება. ცხადია, იგივე შეგვიძლია ვთქვათ ძველ აღთქმაზეც (რომელიც თუმცა დაკავშირებულია ქრისტიანობასთან, მაგრამ მაინც ქრისტიანობამდელი რელიგიაა). ისიც აღსანიშნავია, რომ ძველ აღთქმაში მართლაც არის გარკვეული სიმკაცრე, რაც თითქოსდა არ არსებობს ახალ აღთქმაში. მაგრამ ესეც ცნობიერების აბერაციაა, რამეთუ ღმერთი ჩვენი იესო არასოდეს ყოფილა სენტიმენტალური და სიმკაცრე არც მისთვის არის უცხო. ალბათ მხოლოდ ვარდისფერი სათვალით უნდა კითხულობდე სახარებას, რომ ვერ შეიგრძნო მრისხანე ხმა.

ცხადია, ქრისტიანულ ეთიკას საკუთარი თავისებურებები გააჩნია. და მიუხედავად ამისა, ვინმემ რომ შეადაროს ქრისტიანული, და თუნდაც სტოიციზმის ეთიკა (ეპიკურე, ეპიკტეტი, სენეკა, — თითქმის ქრისტიანულ ეპოქაში რომ ცხოვრობდნენ), სახარებასთან საკმაოდ ბევრ საერთოს იპოვნიდნენ, თუმცა ძველ ბერძენ ფილოსოფოსებს სახარება არც კი ჰქონდათ წაკითხული.

ამიტომ, კიდევ ვიმეორებ, რატომ მაინცადამაინც ქრისტიანობაა ჩვენთვის მნიშვნელოვანი და არა სხვა რომელიმე რელიგია? იქნებ სჯობს რელიგიის პლურალიზმის პოზიციაზე დარჩენა? იმ პოზიციაზე, რომლის მტკიცებითაც, რელიგიის ნებისმიერი ფორმით შეიცნობა და მიიღწევა ღმერთი? თუ ასეა, მაშინ გაქრება ქრისტიანობის აბსოლუტურობის იდეა და რწმენა.

მე მგონია, არაფერი ისე არ ამტკიცებს ქრისტიანობის აბსოლუტურობას, როგორც თვით იესო ქრისტე. კიდევ ვიმეორებ, მსოფლიო რელიგიის ყოველი დიდი მოძღვარი ჭეშმარიტებას ქადაგებდა.

ამიტომ, მოდით ყური მივუგდოთ ყოველ

მათგანს: ბუდა ამტკიცებს, რომ აბსოლუტურ განდგომას მხოლოდ ხანგრძლივი და დაჟინებული ვარჯიშით მიაღწია. შეგვიძლია თუ არა გვჯეროდეს მისი? რატომაც არა, იგი დიდებული პიროვნება იყო და მიაღწია კიდეც საწადელს.

ბერძენი ფილოსოფოსები გვიმოწმებენ, რა ძნელია ინტელექტით ღვთისა და ღვთიური სამყაროს მიღწევის გზა. ესეც ჭეშმარიტებაა.

მუჰამადი კი ამბობს, რომ უფლის წინაშე არარაობად მიაჩნდა თავი, რომ ღმერთმა თავად ინება ჩვენებოდა, თვითონ კი მტილი იყო მის წინაშე. შეგვიძლია ვერწმუნოთ? უცილობლად.

ამ დიად მოძღვართა შორის ერთადერთი, ვინც უფლის პირით გვესაუბრება: „მე გეტყვით თქვენ...“ ან როგორც იოანესთანაა: „მე და მამა ერთნი ვართ“ — გახლავთ იესო ქრისტე. მსოფლიო რელიგიურ აზროვნებაში, დიად მოძღვართაგან მსგავსი არავის არაფერი უთქვამს. ამგვარად, ესაა კაცობრიობის ისტორიის მანძილზე ერთადერთი შემთხვევა, როცა უფალი გვევლინება კონკრეტული ადამიანის სახით და აბსოლუტური სისავსით — ამას მხოლოდ სახარებაში ვხვდებით.

მორალის მქადაგებული იესო — ისტორიული მითია. ამის გამო ჯვარს არავინ უცვიათ.

შეიძლება მითხრათ: ჯვარს იმიტომ აცვეს, რომ თავს მესია უწოდა. ბარ-კოხბა რატომღა აღარ აცვეს ჯვარს, ისიც ხომ მესიას უწოდებდა საკუთარ თავს? ამქვეყნად ხომ მრავალი ყალბი მესია არსებობდა; რა იყო მიზეზი, რით გამოიწვია იესო ქრისტემ ესოდენი სიყვარული და ესოდენი ზიზღი? „მე ვარ კარიბჭე“ — თქვა მან. — „კარიბჭე მარადისობაში“. და მე მგონია, რომ ყველაფერი, რაც კი ღირებულია ქრისტიანობაში, სწორედ იმიტომ არის ღირებული, რომ ქრისტესმიერია. თუ ეს ქრისტესგან არ მომდინარეობს, ისევე წარმატებით შეიძლება მიეკუთვნოს ისლამს ან ბუდიზმს.

ყოველი რელიგია გზაა უფლისკენ, წვდომაა ღვთისა; ადამიანის მიახლოვება ღმერთთან. ეს არის ქვევიდან ზევით აღმართული ვექტორი. ქრისტე კი პასუხია. ქრისტე ვექტორია — ციდან მიწისკენ. ერთი მხრივ, ისტორიის ფარგლებში მოქცეული, მეორე მხრივ კი — განუმეორებელი.

ქრისტიანობა იმიტომ არის უნიკალური, რომ უნიკალურია თვით ქრისტე.

მარკ მაკაროვი: ახლა მოდით იმ მსმენელებზეც ვიფიქროთ, რომელნიც გზაჯვარედინზე დგანან და ვერ გაურკვევიათ, მართლა იყო თუ არა ქრისტე ის, რასაც თავს უწოდებდა? რა ვიცით, იქნებ სახარება ტყუის? როგორ გავერკვეთ სხვადასხვა რელიგიებში? რა ვუპასუხოთ ათეისტ მშობლებს ან კრიშნას მიმდევრებს, მოედანზე რომ ცეკვავენ? რატომ მაინცადამაინც ქრისტეს უნდა მივდიოთ? მხოლოდ იმიტომ, რომ ალექსანდრ მენი, მარკ მარკოვი და სხვები თვლიან, რომ ბიბლია სიმართლეს ქადაგებს? როგორ შევამოწმოთ მისი სიმართლე?

მამა ალექსანდრ მენი: უპირველესად, ადამიანისთვის, ვისაც ასე თუ ისე რაღაც წარმოდგენა გააჩნია რელიგიაზე, იგივე პასუხი არსებობს, რაც უკვე მოგახსენეთ: ყველას უნდა ერწმუნოთ. თუკი გჯერა, რომ მუჰამადს ღმერთი გამოეცხადა, რატომ არ უნდა ვერწმუნოთ ქრისტიანობის ფუძემდებლებს? თუკი გვჯერა, რომ ღმერთი საერთოდ ეცხადება ვინმეს, მაშინ ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ ყველას სხვადასხვაგვარად ეცხადება. მე დაუეჭვებლად მწამს, რომ ყოველ დიად მოძღვარში თავისებურად მყოფობს უფალი, ამიტომაც არავითარი საფუძველი არა გვაქვს ვთქვათ, „იესო ქრისტეს ღმერთი არ გამოცხადები...“ ჭეშმარიტებას ქადაგებს ყველა მოძღვარი, ჭეშმარიტებას ქადაგებდა იესო ქრისტეც, რომელმაც თქვა: „ერთნი ვართ მე და მამა...“.

მაგრამ თუკი არარელიგიურ ცნობიერებაზე ვიმსჯელებთ, ამ შემთხვევაშიც სახარების სიტყვების მოხმობა დამჭირდება. ალბათ კარგად გახსოვთ, რა უპასუხეს მოციქულებმა ნათანაილს:

„მიდი და იხილე“

ეს არის ის, რაც უნდა საკუთრივ დაინახო და შეიგრძნო. რაც უნდა განიცადო. შეუძლებელია მათემატიკურად დავამტკიცოთ, მეცხრე სიმფონიის ან რომელიმე დიდებული

ნახატის - თუნდაც რუბლიოვის „სამების“ მშვენიერება. ჯერ უნდა ნახო, ჯერ უნდა განხორციელდეს ეს შინაგანი შეხვედრა. ქრისტეც უნდა ეძიო, მასთან შეხვედრა სცადო. თუ ეს ვერ მოხერხდა, ვერავითარი ლოგიკური სისტემა ვერ დაგაჯერებთ და მტკიცება მტკიცებად დარჩება. ქრისტე იმიტომ კი არ უნდა გწამდეს, რომ ვიღაცამ რაღაც გითხრა მის შესახებ, არამედ იმიტომ, რომ ეს ნათქვამი მოგიწოდებს – შეიცნო.

რწმენა - სმენაა, როგორც მოციქულნი ამბობენ. გაიხსენეთ სამარიტელნი; როცა მათთან დედაკაცი მივიდა და უთხრა: „ამ კაცმა ყველაფერი მიწინასწარმეტყველა“, სამარიტელნი გაოცდნენ და როცა მივიდნენ და თვითონ მოუსმინეს იესოს, თქვეს: „ახლა უკვე ჩვენც გავიგეთ. გავიგეთ არა იმით, რაც გვითხარი, არამედ ჩვენი გამოცდილებით“.

ეს არის ღრმად მეცნიერული მიდგომა. საქმე ის გახლავთ, რომ მეცნიერება ცდის გარეშე წარმოუდგენელია. ცდას კი, მოცემულ შემთხვევაში, უდიდესი როლი ენიჭება. რწმენა ასეთივე შინაგანი, სულიერი ცდაა. ეს არის ის რეალობა, რაც ადამიანმა უნდა შეიგრძნოს და შეხვდეს. რწმენაზე გრძნობებისა და შეხების გარეშე ვერ ვიმსჯელებთ. ქრისტეს შეგრძნება მხოლოდ გულით შეიძლება. მეცნიერულად, ასე ვთქვათ, გარეგნული გზით, შეიძლება სხვა რამ დავამტკიცოთ: დავამტკიცოთ, რომ ის სინამდვილეში არსებობდა, როგორი იყო მისი გარემო, მაგრამ ეს რწმენისათვის არსებითად მეორეხარისხოვანია.

მარკ მარკოვი: როგორ უნდა მოიქცნენ ის ადამიანები, რომელთაც იმდენად ღრმად აქვთ გამჯდარი ათეისტური აღზრდა (ასეთი ადამიანი კი საკმაოდ ბევრია), რომ ახლა გისმენენ და ფიქრობენ: „კარგი იქნებოდა, ყველაფერი რომ ასე ყოფილიყო, როგორც ამბობთ, მაგრამ ხომ ცნობილია, რომ ღმერთი არ არსებობს?“

მამა ალექსანდრ მენი: მე მგონი პირიქითაა, ყველასთვის სწორედ საპირისპირო რამ არის ცნობილი. სწორედ ღმერთწართმეულ ადამიანთა კერპთაყვანისმცემლობა ამტკიცებს (ამას, სხვათა შორის, მათ ძედუნიც კი მიხვდა), რომ ადამიანს არ შეუძლია ღმერთის გარეშე არსებობა.

ღმერთია პირველსაწყისი ყოველის. ადამიანი ხომ ამქვეყნად იმისთვის ცოცხლობს, რომ სწამს სამყაროსეული აზრი. ჯერ კიდევ ალბერტ აინშტაინი ამბობდა: ადამიანი, რომელსაც არ სწამს ყოფიერების აზრი, საერთოდ გამოუსადეგარია ცხოვრებისთვისო. მაშასადამე, ნებისმიერი ადამიანს, რომელიც ამტკიცებს, რომ არ სწამს ყოფიერების აზრისა, სინამდვიდეში, გულის სიღრმეში, ქვეცნობიერად სწამს, უბრალოდ ამ რწმენას სხვადასხვაგვარი ეთიკით ცვლის.

ადამიანი წყლისკენ ილტვის, რადგან სჭირდება წყალი – ობიექტად სჭირდება საკვები – ობიექტად ყოფისთვის სჭირდება კიდევ უამრავი რამ. და ყოველივე ამასთან ერთად, თუკი ადამიანი მუდამ, წვრილმანებშიც კი ხედავდა ყოფიერების რაღაც უმაღლეს აზრს, ეთაყვანებოდა და ცდილობდა მისთვის შეეხამებინა თავისი ცხოვრება, ეს იმის მანიშნებელია, რომ ამგვარი მოთხოვნილება რაღაც ავადმყოფური მდგომარეობის შედეგი კი არ არის, არამედ ადამიანთა მოდგმის ნორმალურ მდგომარეობას წარმოადგენს.

თუკი ადამიანი უკან მიიხედავს და წარსულს გაიხსენებს, დაინახავს, რომ ყოველთვის, ყოველ საუკუნეში, ამა თუ იმ ფორმით მაინც, არსებობდა ღმერთი. ახლა გამახსენდა პოზიტივიზმის ფუძემდებელი ოგიუსტ კონტი. ეს იყო ადამიანი, რომელიც აგრესიის გარეშე, მაგრამ მაინც უარყოფდა უმაღლეს ღირებულებებს და უწოდებდა ღმერთს შეუცნობელს, რომლის შესახებ შეუძლებელია რაიმეს თქმა და, აი, ეს ფილოსოფოსი გარდაიცვალა სალოცავის წინაშე მუხლებზე დამხობილი, მაგრამ ამ სალოცავად მისთვის გამოდგა ის სავარძელი, რომელშიც მისი სათაყვანებელი ქალი მიიცვალა. მთელი თავისი სიცოცხლე ამ სავარძელს ეთაყვანებოდა. სწორედ მან ოკანტმა წამოაყენა პირველად კაცობრიობის ტაძრის – გრანდ ეტრის იდეა, იდეა ადამიანის დიადი არსის შესახებ, რომელსაც უნდა ეთაყვანო. თუკი ყველა ფსევდორელიგიის

ისტორიას თვალს მივადევნებთ, დავინახავთ, რაოდენ ამოუძირკვავია ამ უმაღლესის, სათაყვანებლის შეგრძნება და ადამიანთან მისი კავშირის აუცილებლობა.

უმაღლესის არსებობის დასამტკიცებლად, ამას გარდა, ირიბი მტკიცებებიც არსებობს. ამაზე ბევრი რამ თქმულა და დაწერილა; მე უბრალო მაგალითს მოვიყვან.

ჩვენი ქვეყნის დაქცეული მეურნეობა სტიქიური უბედურების შედეგი არ გახლავთ, ამის მიზეზია ის, რომ განგვეშორა მოაზროვნე, მმართველი ორგანო და სახელმწიფო სისტემა არასწორად იყო გამართული. როგორ გგონიათ, განა მთელი სამყარო უფრო რთულ სისტემას არ წარმოადგენს, ვიდრე საბჭოთა კავშირი? თუკი სამყარო კვლავ ვითარდება და არსებობს – მაშასადამე მისი მოაზროვნე საწყისის ბევრად უფრო ეფექტურად მუშაობს, ვიდრე ჩვენი ხელმძღვანელობა.

მარკ მარკოვი: შეგვიძლია თუ არა ამაში დავინახოთ ეგრეთწოდებული „ღვთის არსებობის დამამტკიცებელი საბუთი?“ თუ ეს უბრალოდ ერთ-ერთი არგუმენტია იმის სასარგებლოდ, რომ უმაღლესი გონი არსებობს?

მამა ალექსანდრ მენი: ეს მოწმობაა. „დამტკიცება„ – თავისთავად ძალზე ბუნდოვანი და არასწორი სიტყვაა. შეუძლებელია ადამიანმა რაღაც დაამტკიცოს აბსოლუტური სიზუსტით. ნამდვილმა მეცნიერებმა იციან, რომ ნებისმიერ სფეროში, განსაკუთრებით ზუსტ მეცნიერებებში, ბოლოს და ბოლოს ყველაფერი აქსიომამდე დადის. სადღაც იწყება აქსიომა, რომელიც არ მტკიცდება და მასზე იგება უკვე მთელი სისტემა.

მარკ მარკოვი: ამიტომაც, რადიოგადაცემაში ღვთის არსებობის ე.წ. კლასიკური დამამტკიცებელი საბუთების მოყვანისას ყოველთვის ვიმეორებ ხოლმე, რომ დასავლეთში ჩვენ ამას ვუწოდებთ ღვთის არსებობის არგუმენტებს და არა დამამტკიცებელ საბუთებს... შემდეგი საკითხი, რომელიც ხშირად უჩნდებათ ხოლმე მსმენელებს ასეთია: „როგორ თავსდება თქვენს ცნობიერებაში ღმერთისა და ბოროტების არსებობა? სხვაგვარად რომ ვთქვათ, რა პასუხს გასცემთ ე.წ. „ბოროტების არსებობას“?

ალექსანდრ მენი: საქმე ის გახლავთ, რომ არსებობს ზნეობრივი ბოროტება და არსებობს სამყაროს ფიზიკური არასრულყოფილება - ეს სხვადასხვა საკითხებია.

სამყაროს ფიზიკური არასრულყოფილება იმის მიზეზი გახლავთ, რომ სამყარო ვითარდება და მისი განვითარება ჯერ არ დასრულებულა. მე ძალიან მომწონს გერმანელი რომანტიკოსისა და მისტიკოსი პოეტის, ნოვალისის სიტყვები, რომ ადამიანი არის ბუნების მესია.

ადამიანს მართლაც განსაკუთრებული ადგილი უკავია ბუნებაში. და უნდა ვერწმუნოთ ბიბლიას, რომ ადამიანი მოწოდებული იყო ბუნების განსაკუთრებული სულიერი გარდასახვა განეხორციელებინა; როგორც მოციქული ამბობს, ყველა სულიერი კვნესის და იტანჯება ღვთის შვილთა მოლოდინში. ესე იგი, ჩვენი, ადამიანთა მოლოდინში. ჩვენ უნდა გვემოქმედა ბუნებაზე, მაგრამ, ამის ნაცვლად, ბუნება მოვსპეთ.

რატომ გაილაშქრა ადამიანმა ღვთიური ნების წინააღმდეგ და რატომ იქცა ბოროტების მატარებლად? რაციონალურად, ბოლომდე რომ ავხსნათ ეს მოვლენა, ეს ნიშნავს – ავხსნათ შავი სტიქია, რაციონალურად დავამტკიცოთ და გავამართლოთ იგი.

ბოროტისაკენ ლტოლვა - თავისუფლებით შეძენილი ირაციონალური ლტოლვაა. მე ცხადია აქ არ მოგიყვანთ დიდი რუსი ფილოსოფოსის, ნ. ბერდიაევის შეხედულებას იმის შესახებ, რომ თავისუფლება ღვთიურსაა დაპირისპირებული და ის მარადიულია. ეს ჩვენთვის მიუღებელი იდეაა, მაგრამ უცილობელი მაინც ერთია: თუკი ადამიანს ღვთისგან ნაბოძები აქვს თავისუფლება, მას ღვთის წინააღმდეგ აღდგომის შესაძლებლობაც უნდა ჰქონოდა ნაბოძები, ე.ი. უნდა ჰქონოდა შესაძლებლობა, სხვა გზით ევლო.

ადამიანს რომ საკუთარი გზის არჩევის უფლება ჰქონოდა წართმეული, მისი თავისუფლება საბჭოთა არჩევნებს დაემსგავსებოდა. (როცა გისახელებდნენ ერთ კანდიდატს და ამას არჩევნებს ეძახდნენ). ღმერთს რომ

ადამიანისთვის თავისუფლება მიეცა და ეთქვა, ამ გზით იარე და არსაით გადაუხვიოო, ეს თავისუფლება აღარ იქნებოდა, – ადამიანი მკაცრად დაპროგრამებულ ანდროიდს თუ რობოტს დაემსგავსებოდა და შემოქმედის სათამაშო თოჯინად იქცეოდა.

აქედან გამომდინარე, მოავლენს ღმერთი ამქვეყნად თავის ხატსა და მსგავსს, ყველა განსაცდელსა და ქარიშხალში გამოატარებს, რომ ადამიანს ყოფიერებაში ჩაწვდომის და საკუთარი ნიჭის გამოვლენის უნარი შესწევდეს. აქედან გამომდინარეობს კაცობრიობის ყველა მიღწევა. ადამიანი პასუხს აგებს თავის ხაქციელზე და ამიტომ არ უნდა ელოდეს, რომ ვიღაც მაღლიდან ყოველწუთს თოკით მოქაჩავს. მოსე ამბობს: „მე ვდებს შენს წინაშე სიკეთისა და ბოროტების, სიცოცხლისა და სიკვდილის გზას, ირჩიე სიცოცხლე, ე.ი. აირჩიე სიკეთე. თავისუფლება – ორი გზის ქონაა.

და როცა მეკითხებიან – სად იყო ღმერთი ომების დროს? იყო. მან ხომ უკვე დიდი ხნის წინ გაგვაფრთხილა, სადამდე მიგვიყვანდა ეს ყველაფერი. ადამიანები ხშირად რომ კითხულობდნენ სახარებას, დაინახავდნენ, რა მოაქვს ადამიანის დამცირებას, სულის დაკნინებას, მატერიალიზმს. ყველაფერი, რაც უკანასკნელი მსოფლიო ომის დროს მოხდა მოსკოვსა და ბერლინში – ყველაფერი წინასწარ განცხადებული იყო ღვთის მიერ. და როცა ყველაფერი ისე მოხდება, როგორც სახარება გვაფრთხილებდა, კითხვას სვამენ: სად იყო ღმერთი? იქვე, სადაც მარად მყოფობს – ის მუდამ აფრთხილებს ადამიანებს.

სულ სხვა საქმეა, როდესაც ადამიანი არ აგებს პასუხს თავის ქმედებაზე... მაგრამ ნუ დაავიწყდებათ, რომ მთელი კაცობრიობა ძალზე მჭიდროდ არის შეკავშირებული. სამყაროში მოქმედებს კანონი, რომელსაც ჩვენ „სოლიდარობის კანონს“ ვუწოდებთ.

როგორ გადავცემთ საკუთარ შვილებს ცოდნას, სახის ნაკვთებს, ხასიათს, რწმენას? მხოლოდ სოლიდარობის კანონის წყალობით. ადამიანები უხილავად არიან დაკავშირებულნი ერთმანეთთან და ამ თვისებების ერთმანეთისთვის გადაცემის უნარი შესწევთ. და რადგან ეს არხი არსებობს, მაშასადამე მას შესაბამისი პასუხისმგებლობით უნდა მოვეკიდოთ, რამეთუ ამ არხს ბოროტის გადაცემაც შეუძლია. ვთქვათ ადამიანი ლოთია და მან ამავე კანონის ძალით, სნეული გენეტიკური სტრუქტურა გადასცეს ყოვლად უცოდველ ბავშვს, ეს ყოველივე უდიდეს პასუხისმგებლობას აკისრებს ადამიანს.

ცხოვრება თამაში არ არის, ცხოვრება მკაცრი გამოცდაა... საშინელი მაგალითი მოჰყავს დოსტოევსკის თავის რომანში „ძმები კარამაზოვები“, როცა ბავშვს ძაღლები მიუქსიეს... ამ საკითხს მრავალი ჩემი მეგობარი შეხებია, წერილობით თუ ზეპირად დაუსვამთ ჩემთვის ეს კითხვა: სად იყო მაშინ ღმერთი? ღმერთი, ცხადია, იყო, როცა რამდენიმე მონათლულმა ადამიანმა, რომელთაც მკერდზე ჯვრები ეკიდათ და სახარება წაკითხული ჰქონდათ, არ დაიცვეს ბავშვი და ერთი ადამიანის ნებას და კაპრიზს დამორჩილებულებმა, ძაღლები მიუქსიეს ბავშვს. აი, აქ არის ადამიანის არჩევანი და არა უაზრო სტიქია.

მარკ მარკოვი: მამაო ალექსანდრ, მრავალი ადამიანი მოდის თქვენთან, თქვენი პიროვნების მომხიბლაობითა და განათლებით მოზიდული. თქვენ ბევრი წაგიკითხავთ, ბევრი რამ იცით. და, ამასთან კავშირში, მახსენდება, რომ ხშირად მეკითხებიან, როგორ უნდა მიიღოს ადამიანმა კარგი განათლება? რომელ დასავლურ ქვეყანაში უნდა გაემგზავროს და რომელი ენები უნდა შეისწავლოს? ასეთ შემთხვევაში მე მუდამ თქვენზე ვფიქრობ ხოლმე. აი, კაცი, ვინც არსად არ გამგზავრებულა და ერთ-ერთ ყველაზე განათლებულ ადამიანად ითვლება ჩვენს ქვეყანაში. რა შეგიძლიათ გვითხრათ, როგორ უნდა მიიღოს კარგი განათლება საბჭოთა კავშირში მცხოვრებმა მოქალაქემ?

მამა ალექსანდრ მენი: ჯერ ერთი, თავიდანვე უნდა უარვყო ეს ეპითეტი. მე სულაც არა ვარ ერთ-ერთი ყველაზე განათლებული. მე მხოლოდ წიგნიერი კაცი ვარ. ძველი აკადემიადამთავრებული ადამიანები ბევრად უფრო განათლებულები იყვნენ,

ვიდრე თეოლოგებისა და ფილოსოფოსების მთელი ჩვენი თაობა.

როგორ უნდა მიიღო განათლება? ღმერთო ჩემო, მთავარია გიყვარდეს საგანი, პრობლემა. სიყმაწვილეში წიგნებს სანთლით დავეძებდით, სკოლაში სწავლისას თან ვმუშაობდი, რომ ფული შემეგროვებინა და წიგნები მეყიდა. ვაგროვებდი წიგნებს, მეხუთე კლასიდან დავიწყე ჩემი ბიბლიოთეკის შეგროვება. თქვენ მართალი ბრძანეთ, მე არსად არ გავმგზავრებულვარ, სასულიერო სკოლაში კი უკვე მას შემდეგ დავიწყე სწავლა, როცა უკვე ჩემით მქონდა შესწავლილი მრავალი პრობლემა, ასე რომ, თვითგანათლება სრულიად რეალურია ადამიანისათვის.

მარკ მარკოვი: სხვაგვვარად რომ ვთქვათ, როცა გეკითხებიან, როგორ მივიღოთ განათლება, თქვენ უპასუხებთ: იკითხეთ წიგნები.

მამა ალექსანდრ მენი: ეს ყოველთვის ასე იყო, თვითგანათლება ყველაზე მნიშვნელოვანი და დიდებული რამაა, თავისუფალი, მშვენიერი, საინტერესო.

მარკ მარკოვი: ჩვენი საუბარი მეოცე საუკუნის უკანასკნელ ათწლეულში მიმდინარეობს, როცა თითქმის ყველაფერი ჩვენს თვალწინ იცვლება. როცა სიტყვა ,,რელიგია,, უკვე კი აღარ გვაშინებს, არამედ კეთილგანწყობით წარმოითქმება, ბევრს შეეცვალა წარმოდგენა რელიგიასა და მორწმუნეებზე, ქრისტეზე. როგორ უნდა შევხვდეთ ამ ცვლილებებს ჩვენ, მორწმუნენი? თქვენ როგორ ფიქრობთ, ეს მართლა გულწრფელი მასიური მონანიებაა თუ მხოლოდ მოდა?

მამა ალექსანდრ მენი: ალბათ მომავლის ისტორიკოსები უკეთ გაერკვევიან ამ საკითხებში. მე ეს არ მაინტერესებს, ისტორიკოსი არ გახლავართ. მე ვარ ადამიანი, რომელიც ცხოვრობს ისტორიაში და ჩემთვის ეს ცვლილებები (რასაც, ცხადია, უკვე კარგა ხანია ველოდი) მხოლოდ ჩვენი სამუშაოს შემსუბუქებას მოწმობს. თუმცა, ამასთან ერთად, ახალი პრობლემები და სირთულეები მოგვემატა.

ჯერ კიდევ აწ გარდაცვლილი მამა სერგეი ჟელუდკოვი ამბობდა: მოვა დრო, რადიოთი მოგვცემენ გამოსვლის საშუალებას, ჩვენ კი აღარ გვეცოდინება რა ვთქვათ. ასე რომ, დღესდღეობით პასუხისმგებლობა უფრო გაიზარდა.

ამას გარდა, მრავალი საცდური გაჩნდა — საოცრად პოლარული: უკიდურესი მოდერნიზმი, ან უკიდურესი კონსერვატიზმი. ეს ყოველივე ანაზდად მჟღავნდება ხოლმე კეთილისმყოფელ ვითარებაში პოლარიზაციით. ყველაზე მეტად ახლა იმ ადამიანებს უჭირთ, ვინც ცენტრში იმყოფება. მე ჩემს თავს ცენტრში მყოფად ვთვლი. აქაც იგივე ხდება, რაც საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

მარკ მარკოვი: რადგან ორივე მხრიდან გესხმიან თავს?

მამა ალექსანდრ მენი: მართალს ბრძანებთ, თუმცა ეს ჩემთვის ნორმალურია, ამას მე ნორმად აღვიქვამ.

მარკ მარკოვი: მე არაერთხელ მითქვამს ჩემი მსმენელებისათვის, რომ არ ვეთანხმები ევოლუციის თეორიას... და მომყავდა არგუმენტები, ძირითადად მეცნიერული კრეაციონიზმის თეზისები... თქვენ, როგორც ვიცი, ევოლუციის თეორიას არ უარყოფთ...

მამა ალექსანდრ მენი: რელიგიური თვალსაზრისით... ჩემთვის ეს უფრო რელიგიური საკითხია, თუმცა მეცნიერულიც... მაგრამ ჩემთვის რელიგიური მსოფლმხედველობა სხვაგვარად წარმოუდგენელია, თუ არა ევოლუციის გზით.

მარკ მარკოვი: დღეს ალბათ ამ საკითხს დაწვრილებით ვერ შევეხებით, მაგრამ ამჯერად მე მხოლოდ მსურს ხაზი გავუსვა, რომ განსხვავებანი — ძალზე მნიშვნელოვანი და მსოფლმხედველობითი — ალბათ, ხელს არ უნდა გვიშლიდეს და არც გვიშლის (კერძოდ, მე და თქვენ), როგორც ქრისტიანებს, გვიყვარდეს ერთმანეთი.

მამა ალექსანდრ მენი: ცხადია, თანაც რა დიდი განსხვავება ეს არის, ღმერთო ჩემო, ამას რა მნიშვნელობა აქვს. ბოლოს და ბოლოს ეს ყველაფერი ღვთის საქმეა, ადამიანს კი მხოლოდ ის შეუძლია, რომ ეძიოს. რა პრინციპითაც არ უნდა შექმნილიყო სამყარო, ქრისტეს რწმენა უცვლელია. და ეს რწმენა სულაც არ

არის დამოკიდებული იმაზე, რომელ კონცეფციას ვიზიარებთ: ევოლუციონიზმს, კრეაციონიზმს თუ საშუალოს - შემოქმედებით ევოლუციას, როგორც ამტკიცებს ამას ბერგსონი, რადგან თვითონ ჯაჭვის შუალედური რგოლია ევოლუციონიზმსა და კრეაციონიზმს შორის.

მარკ მარკოვი: მე მაგალითად, სულაც არ ვთვლი შუალედურად, ჩემთვის ბერგსონი ევოლუციურ ბანაკში იმყოფება.

მამა ალექსანდრ მენი: ალბათ, რადგან არსებობს პირდაპირი და შემოქმედებითი ევოლუციონიზმი, მაგრამ ეს ყველაფერი მეორადია. ჩემი რწმენისათვის, ჩემი დამოკიდებულებისათვის ღვთისა და ქრისტესადმი, ჩემი ამქვეყნად ყოფნისათვის — არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, როგორ ვითარდებოდა სამყარო. ჩემი გონებისათვის კი ეს საინტერესოა, ეს მიტაცებს და უკავშირდება ჩემს რელიგიურ თვალთახედვას.

და ხანდახან ჩემთვის ღრუბელი, ჩიტი, ხე უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს, ვიდრე რომელიმე რელიგიური ფერწერული ტილო. ბუნება ჩემთვის უმაღლესი რანგის ხატია.

მარკ მარკოვი: თქვენ ახლა ალბათ პავლეს მიერ რომაელებისადმი მიწერილ ფრაზას გულისხმობთ „შემოქმედების წვდომის გზით“ — ამბობს პავლე.

მამა ალექსანდრ მენი: დიახ, და ეს აზრები ბავშვობიდანვე მიტაცებდა, ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დროიდან.

მარკ მარკოვი: თუ შეიძლება მოკლედ ჩამოგვითვალეთ თქვენი შრომები, წიგნები, სტატიები, ნაშრომები,რომელსაც ამუშავებდით, როგორც ღვთისმეტყველი.

მამა ალექსანდრ მენი: უნდა აღვნიშნო, რომ ხალხთან მუშაობისას, როგორც მოძღვარი, მე თავს უფლებას არ ვაძლევდი ვიწრო, მეცნიერული ღვთისმეტყველებით შემოვფარგლულვიყავი, რადგან ვთვლიდი, რომ ასეთი ღვთისმეტყველება მხოლოდ იმ შემთხვევაშია დასაშვები, როდესაც მოიძებნებიან მკითხველები. ჩვენთან კი ადამიანებს უმეტესად პური სჭირდებათ, უბრალო ხაკვები და მე ამ „თონეში“ ვმუშაობ. ჩემს შემდეგ ალბათ მოვლენ ადამიანები, რომლებიც ნამცხვრებს გამოაცხობენ. ჩემი ამოცანაა - პური მივცე ხალხს, ეს არის და ეს.

მე მაქვს დაწერილი წიგნი ქრისტეს ცხოვრებაზე, ისტორიული თხზულება, რომელიც დამყარებულია ტექსტუალურ და არქეოლოგიურ მეცნიერულ კვლევებზე. ეს არის ცოცხალი მოთხრობა ქრისტეს ცხოვრებაზე, რომელიც სამჯერ გამოიცა უკვე დასავლეთში და ცალკეული თავები ჩვენთანაც დაიბეჭდა. ახლა აპირებენ მთლიანი წიგნის გამოცებას და წიგნს ერქმევა „ძე კაცისა“...

ასევე დაწერილი მაქვს წიგნი რელიგიის წარმოშობასა და არსზე (ესეც ორჯერ გამოიცა დასავლეთში). ბერძნული და ინდური ფილოსოფიის შესახებ „ახალი აღთქმის პარმაღთან“. სტატიები კი ბევრი მაქვს. დასავლეთში ჩემი ნაშრომებიდან დაახლოებით ორმოცდაათი დასახელებაა გამოცემული, ოცდაათი მათგანი ამ ბოლო ხანს რუსეთშიც გამოიცა.

მარკ მარკოვი: განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო „ბიბლიური ლექსიკონი“, რომელზე მუშაობაც სულ ახლახანს დაასრულეთ.

მამა ალექსანდრ მენი: დავასრულე, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. ეს ლექსიკონი დამწყებთათვის არის გათვალისწინებული, რადგან წმინდა წიგნების შესახებ უამრავი ლიტერატურა არსებობს და მასში გარკვევა საკმაოდ ძნელია. მეც ამ ლიტერატურაზე მუშაობისას თანდათან დავიწყე ლექსიკონის შედგენა.

მარკ მარკოვი: თქვენი ეკლესია პატარა სოფელში მდებარეობს, მაგრამ ცნობილია, რომ მთელი მოკოვის ინტელიგენცია თქვენთან ჩამოდის.

მამა ალექსანდრ მენი: მე სახელოვანი ადამიანებისაკენ არ ვილტვი, ჩემთვის ყველა სახელოვანია. ჩემი სოფლის ბებიებიც ისეთივე ადამიანები არიან, ზუსტად ისეთივე პრობლემები გააჩნიათ და ზუსტად ისეთივე ცოდვები, როგორც ინტელიგენტებს. ცხადია, ინტელიგენცია ჩემთან იმიტომ მოდის, რომ ჩემთვის უფრო იოლია მათთან ლაპარაკი. მაგრამ მოსკოვშიც არიან მოძღვრები, რომლებიც საკ-

მაოდ ინტელიგენტურ დონეზე იმყოფებიან, მე სულაც არა ვარ გამონაკლისი.

მარკ მარკოვი: და ბოლოს, რას ეტყოდით იმ მსმენელთ, რომელთაც, როგორც თვივონ ჰგონიათ, ახლა სრულიად შემთხვევით უსმენენ თქვენს გადაცემას?

მამა ალექსანდრ მენი: მე მინდა მათ ვუთხრა, რომ შემთხვევითობა არ არსებობს, თუკი უფლის ხმა ამ რადიოსადგურით მოგწვდათ, მაშასადამე, მოაწია ჟამმა და ის უკვე გისმობთ.

მარკ მარკოვი: ... რადიომსმენელთა სახელით მე მადლობა გადავუხადე მამა ალექსანდრს, მაგნიტოფონი გამოვრთე და სურათი გადავიღეთ...

მას ერთი თვის სიცოცხლეღა ჰქონდა დლარჩენილი – 1990 წლის 9 სექტემბერს მკვლელმა სიცოცხლეს გამოასალმა მამა ალებსანდრ მენი.

ეს ინტერვიუ ეთერში უფრო გვიან გავიდა. და აი, ახლა ინტერვიუ ქაღალდზეც გადავიტანე. ეს ცხოვრება არც ისე ხშირად გვახვედრებს ხოლმე გამოჩენილ ადამიანებს, მითუმეტეს იმ ადამიანებს, ვისაც პირველივე შეხვედრისთანავე შეიყვარებ. სწორედ ასეთი იყო ალექსანდრე მენი.

ცხადია, ჩვენს შეხვედრამდე დიდი ხნით ადრე ვიცნობდი მის წიგნებს, აღტაცებული ვიყავი მისი ცოდნითა და სიმამაცით, ვიცნებობდი, პირადად გავცნობოდი. მაგრამ ვერც კი წარმოვიდგენდი, თუ ასეთი უბრალო და მხიარული ადამიანი იქნებოდა. თან ისიც გამიკვირდა, რომ ესოდენ დაკავებული კაცი, ყველას თავისი ბინის ტელეფონს აძლევდა.

მე მადლიერი ვარ უფლისა იმ რამდენიმე საათისათვის, ერთად რომ გავატარეთ, და უფრო მეტად – იმ უდიდესი მემკვიდრეობისათვის, ადამიანებს რომ დაუტოვა მამა ალექსანდრმა - თავისი წიგნები, სტატიები, აზრები და, რაც მთავარია, თავისი სიყვარული - სიყვარული ქრისტიანობისადმი და მოყვასისადმი.

სიკვდილის წინა დღეს მოსკოვის ტექნიკის სახლში წაიკითხა უკანასკნელი ლექცია (ეს ტექსტი პირველად „ლიტერატურნაია გაზეტამ“ დაბეჭდა 1990 წ. 19 დეკემბერს). ამ ლექციის ნაწყვეტები მე რადიოთი გადავეცი, მინდა ამ ინტერვიუსთან ერთად ის ბოლო ლექციაც მოგაწოდოთ, სადაც მამა ალექსანდრ მენი იმ აზრებს აღრმავებს და ავითარებს, რასაც ინტერვიუს დროს ვეხებოდით.

## ქრისტიანობა

1990 წლის 8 სექტემბერს წაკითხული ლექცია

ამგვარად, ჩვენ ვუახლოვდებით ეპოქათა დასასრულს, სამყაროს შექმნის წრეში მოგზაურობის დასასრულს. და ჩვენ მივა-დექით მწვერვალს, იმ მოელვარე ყინულოვან მთას, სადაც აირეკლება მზე და რასაც ქრისტიანობა ეწოდება.

ცხადია, ქრისტიანობამ ბრძოლა გამოუცხადა მრავალ ფილოსოფიურ თუ რელიგიურ სისტემას. მაგრამ, იმავდროულად ამ ფილოსოფიურ და რელიგიურ სისტემათა უმთავრეს კითხვებზე გასცა პასუხი. და ქრისტიანულ სულიერებაში მნიშვნელოვანია არა უარყოფა, არამეტ მტკიცება, ყოვლისმომცველობა და სისავსე.

თუ ბუდიზმი ბოროტისაგან გათავისუფლების და მისგან ხსნის დიადი ლტოლვით იყო გამსჭვალული (ბუდა ამბობს, როგორც ზღვის წყალია მარილით გაჯერებული, ასევე მისი მოძღვრებაა გაჯერებული ხსნის იდეით), ხსნისადმი ეს ლტოლვა, ხსნის მიღწევა დამახასიათებელია ქრისტიანობისათვის, ახალი აღთქმისათვის.

ისლამში ადამიანის აბსოლუტური მორჩილებაა ღვთისადმი, რომელიც კოსმოსისა და ადამიანთა ბედის სუვერენული მპყრობელია - იგივეს ვხვდებით ქრისტიანობაში.

ჩინურ მსოფლმხედველობაში ცა-ძინი - ადამიანის წარმმართველია თვით უმნიშვნელო საკითხებშიც კი – იგივე გვხვდება ქრისტიანობაში.

ბრაჰმანიზმი (თანამედროვე ინდუიზმი)

ღვთის მრავალსახოვან გამოვლინებებს გვამცნობს - იგივეს გვამცნობს ქრისტიანობა.

და ბოლოს, პანთეიზმი ამტკიცებს, რომ ღმერთი ყველგან არის და რაღაც იდუმალი ძალით განმსჭვალავს სამყაროსეულ ყოველ წვეთსა და ყველა ატომს - ქრისტიანობა ამასაც ეთანხმება, თუმცა ღმერთის ზემოქმედებას არ შემოფარგლავს მხოლოდ ამ პანთეისტური ყოვლადმყოფობით.

მაგრამ დიდ შეცდომას დავუშვებდით, თუკი ჩავთვლიდით, რომ ქრისტიანობა ეკლექტიკის სახით მოგვევლინა, რომელმაც შეკრიბა ქრისტიანობამდელი რწმენის ყველა ელემენტი. სწორედ ქრისტიანობაში გამჟღავნდა რაღაც სრულიად ახლის კოლოსალური ძალა. და ეს ახალი არა იმდენად თვით მოძღვრებაში აისახა, რამდენადაც ჩვენს ყოველდღიურ ყოფაში, რადგან ქრისტიანობამ ადამიანებს მისცა სიცოცხლის სრულიად ახალი იმპულსი. კაცობრიობის დიადი მოძღვარნი - „უფანიშადების“ ავტორები, ლაოძი, კონფუცი, ბუდა, მუჰამადი, სოკრატე, პლატონი და სხვები - ჭეშმარიტებას მთის მწვერვალად აღიქვამდნენ, რომელსაც უდიდესი გაჭირვებით აღწევს ადამიანი.

და ეს მართალია. რადგან შეუძლებელია ჭეშმარიტებას იოლად მისწვდე, ის მართლაც ჰგავს უმაღლეს მთას, რომელზეც გაჭირვებით უნდა ახვიდე - ქშენა-ქშენით, ფხოჭნით, ყამიყამს უკან მიხედვით და იმის შეგრძნებით, რომ წინ ჯერ კიდევ ძალიან რთული გზაა სავალი.

მუდამ მახსოვს არაჩვეულებრივი სიტყვები, რაც უბრალო ჰიმალაელმა მთამსვლელმა თქვა, ეროვნებით შერპმა, სახელად თენსინგმა, რომელმაც ინგლისელ მთამსვლელ პილარისთან ერთად დალაშქრა ჰიმალაი. მან თქვა, რომ მთას მოწიწებით უნდა მიუახლოვდე. ასევე მოწიწებით უნდა მიუახლოვდე ღმერთს. მართლაც, განსაკუთრებული სულიერი განწყობაა საჭირო, რომ მთების სილამაზე და სიდიადე შეიგრძნო. ამ სილამაზესა და სიდიადეს ვერ აღიქვამენ ის ადამიანები, ვინც მოწიწების გარეშე აპირებენ ზეაღსვლას, ამ ურთულესი, საშიშროებით სავსე, უფსკრულებიანი და ნაპრალებიანი გზის გავლას.

ზეაღსვლა — აი, კაცობრიობის მთელი ისტორია.

თქვენ აქვე შეგიძლიათ შემეწინააღმდეგოთ და მკითხოთ — კაცობრიობის ისტორიის მანძილზე განა ცოტა იყო დაღმასვლა?

ცხადია, ბევრი. და ერთი შეხედვით, ეს დაღ-მასვლა უფრო მეტია. მეტია იმ ადამიანთა რიცხვი, ვინც ეცემოდა და იჩეხებოდა უფსკრულში. მაგრამ ჩვენთვის ის არის მთავარი, რომ ვიღაც მაინც აღწევდა ამ ცას მიბჯენილ მწვერვალებს. და სწორედ დიდი ის ადამიანია, ვინც ყველაფრის მიუხედავად, მაინც ადიოდა იქ, სადაც, როგორც პუშკინი ამბობს „უფლის მეზობლობაა“ — აღწევდა გონებრივი და სულიერი შეცნობის მწვერვალს.

ადამიანს ორი სამშობლო, ორი დედული ეთი გააჩნია.

ერთი სამშობლო ჩვენი მიწაა და დედამიწის ის წერტილი, სადაც დაიბადე და გაიზარდე.

მეორე სამშობლო — სულის ის დაფარული სამყაროა, თვალი რომ ვერ მისწვდება და სმენით რომ ვერ აღიქვამ, მაგრამ რომელსაც მივეკუთვნებით ჩვენი ბუნებით. ჩვენ მიწის შვილები ვართ და, იმავდროულად, ამ მიწის სტუმრებიც.

ადამიანი თავის რელიგიურ ძიებაში თავისი უმაღლესი ბუნების უფრო უსასრულოდ დიად ამოცანას ახორციელებს, ვიდრე მაშინ, როცა იბრძვის, თესავს, ხნავს, აშენებს. ტერმიტებიც აშენებენ, მაიმუნებიც იბრძვიან თავისებურად, (ცხადია, არა ისეთი გააფთრებით როგორც ადამიანები), ჭიანჭვე-ლებიც თესავენ — ასეთი ჯიშებიც არსებობენ, მაგრამ ადამიანის გარდა ცოცხალ არსებათაგან არავინ არ დაფიქრებულა ყოფიერების არსზე, არავინ არასოდეს არ ამაღლებულა ბუნებრივ, ფიზიკურ მოთხოვნილებებზე მაღლა. ადამიანის გარდა არც ერთ სულიერ არსებას არ ძალუძს თავი გასწიროს ჭეშმარიტებისათვის, თავი გასწიროს იმისათვის, რისი ხელით შეხებაც შეუძლებელია და ყველა საუკუნისა და დროის ათასობით მოწამე უნიკალურ

ფენომენს წარმოადგენს ჩვენი მზის სისტემის მთელ ისტორიაში.

მაგრამ როცა სახარებას ვკითხულობთ, სულ სხვა სამყაროში აღმოვჩნდებით ხოლმე. არა იმ სამყაროში, რომელიც მღელვარე ძიების და ცისადმი ლტოლვის სურათს გვიხატავს, – ჩვენ აღმოვჩნდებით პასუხის საიდუმლოების წინაშე.

უფლისწული გაუტამა, მომავალმა ტატაჰ-აგატა ბუდამ, ოცდახუთი წელი ატარა, ასკეტურ ყოფას აზიარა, რომ წვდომის უნარი შეეძინა. ასევე იღვწოდნენ - გონებრივად, სულიერად და ფსიქოფიზიკურად იოგები, ფილოსოფოსები, მოძღვრები.

იესო ქრისტე კი უბრალო სოფლიდან მოდის, სადაც მანამდე უბრალო ადამიანივით ცხოვრობდა, მასში ყველაფერი უკვე მზად იყო, მას ზეაღსვლა კი არა, პირიქით, დაღმასვლა სჭირდებოდა.

ყოველი დიადი ბრძენი აცნობიერებდა თავის უმეცრებას, სოკრატემ თქვა: „მე ვიცი, რომ არაფერი არ ვიცი" ყოველი დროისა და ყოველ ერთა დიადი წმინდანნი უფრო ცხადად შეიგრძნობდნენ თავიანთ ცოდვილობას, ვიდრე ჩვენ, რადგან ისინი უფრო ახლოს იყვნენ ნათელთან, უფრო ცხადად ხედავდნენ ყოველ ლაქას საკუთარ სიცოცხლესა და სინდისზე, ვიდრე ჩვენ ვხედავთ ჩვენს რუხ ყოფიერებაში.

ქრისტეს არა აქვს ცოდვილობის შეგრძნება და იმის შეგრძნება, რომ რაღაცას ვერ მიაღწია - ის მოდის ადამიანებთან და მოაქვს მათთვის, რაც თავიდანვე, ბუნებით ჰქონდა ნაბოძები.

მე აქედანვე მინდა თქვენი ყურადღება იმას მივაქციო, რომ ქრისტეს „ქრისტიანობა" გარკვეულ კონცეფციად არ უქადაგია. იმას, რაც მან ხალხს აუწყა, იესო ქრისტემ „ბესორა" უწოდა, რაც ნიშნავს „ხარებას", „სახარებელ ამბავს". რა იყო სახარებელი ამბავი?

ადამიანს აქვს უფლება არ ერწმუნოს სამყაროს, ამქვეყნად უცხო, მტრულად განწყობილ გარემოში იგრძნოს თავი. თანამედროვე მწერლები ალბერტ კამიუ, ჟან-პოლ სარტრი და მრავალი სხვანი მთელი თავისი შემოქმედებით ყოფიერების საშინელ აბსურდულობაზე ლაპარაკობდნენ. ჩვენს გარშემო რაღაც შემზარავი, არაადამიანური, უაზრო, აბსურდული გარემოა, და ერწმუნო მას, შეუძლებელია. ცივი მკვდარი ან მომაკვდინებელი სამყარო – ამბობდნენ ისინი. თუმცა აქვე მინდა აღვნიშნო: ეს მწერლები, რომანისტები, დრამატურგები, ფილოსოფოსები, მაგალითად სარტრი და კამიუ ათეისტური ეგზისტენციალიზმიდან მოვიდნენ.

თუმცა მათ ერთადერთი რამ გამოეპარათ მხედველობიდან.

როცა ისინი ამტკიცებენ, რომ სამყარო აბსურდულია, ე.ი. უაზრო, ეს მხოლოდ იმიტომ შეუძლიათ ამტკიცონ, რომ ადამიანში დევს საწინააღმდეგო ცნება - აზრისა. ის, ვინც არ იცის, რა არის აზრი, ვერ იგრძნობს და ვერც ვერასოდეს გაიგებს, რა არის უაზრობა, აბსურდი. ის არასოდეს არ აღშფოთდება აბსურდის წინააღმდეგ, არასოდყეს აღუდგება წინ და ისე იცხოვრებს ამ აფსურდში, როგორც თევზი წყალში. სწორედ ის, რომ ადამიანი ეწინააღმდეგება აბსურდს, ყოფიერების უაზრობას, ამტკიცებს, რომ აზრი ნამდვილად არსებობს.

ძველი ბიბლიური კანონი გვეუბნება, რომ ჩვენ შეგვიძლია შინაგანი გარდასახვის გზით მივენდოთ ყოფიერებას და ვუთხრათ დიახ, მაგრამ სწორედ ეს მინდობა ყოფიერებისადმი გვეჩვენება საშინლად და თავზარდამცემად. მაგრამ თუ მივენდობით, – ამ ქაოსიდან, აბსურდიდან, ყოფიერების შემზარაობიდან, როგორც მზე ღრუბლებში, ისე გამოანათებს ღვთის სხივი. ღვთისა, რომელსაც გააჩნია პიროვნულობა და ეს პიროვნულობა ასახულია ყოველი ადამიანის პიროვნებაში. კონტაქტი ღმერთთან შესაძლებელია, როგორც კავშირი მსგავსთა შორის. კაცობრიობის მთელი საიდუმლო ის არის, რომ თავად ადამიანი გასაოცარი ანალოგიაა იმისა, ვინც შექმნა ეს სამყარო.

ჩარლზ დარვინი ამბობდა, რომ თუმცა ის მექანიკურად აღიქვამდა სამყაროს, აღიქვამდა როგორც პროცესს - მაინც მის

სირთულეებზე ფიქრისას, ხშირად გასჩენია კითხვა — ნუთუ ბრმა შემთხვევითობას შეეძლო შეექმნა ეს ყოველივე და ხომ არ არსებობდა რაღაც გონი, ესოდენ რომ ჰგავდა ჩვენსას და (მისი) ანალოგიური იყო? (ამ კითხვას შეგვიძლია დავძინოთ: არა უბრალოდ ანალოგიური, არამედ ჩვენს გონზე უსაზღვროდ აღმატებული).

რწმენა-ნდობა ძველი აღთქმისეულ ბიბლიურ რელიგიაში გაჩნდა, რომლის შესახებაც უკვე ვისაუბრეთ. არა რაღაც თეორიულ-ფილოსოფიური ან რელიგიური რწმენა, არამედ მომაკვდინებელი, აბსურდული სინამდვილის გავლით მიღებული ლტოლვის აქტი, როცა ადამიანი ეუბნება ღმერთს: დიახ, მე ვიღებ და ვისმენ. ასე წარმოიშვა უძველესი აღთქმა ღმერთსა და ადამიანს შორის, უძველესი კავშირი.

მაგრამ ცხადია, პრიმიტიული, უძველესი ადამიანისა და ღვთის კავშირი არ შეიძლებოდა ყოფილიყო საბოლოო და სრულყოფილი. ეს იყო ადამიანთა მოდგმის აღზრდა, ერთგვარი ბავშვობის პერიოდი, შემდეგ სიყმაწვილე დადგა... და ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეშვიდე საუკუნეში წინასწარმეტყველმა იერემიამ თქვა - ასე ამბობს უფალი: მე მივცემ ხალხს ახალ კანონს „ბრიტ ჰა ჰადაშას", ახალ კავშირს, რომელიც ძველს არ ემსგავსება და გულში იქნება ამოკვეთილი.

და დადგა ღამე, როდესაც შეიწირა მსხვერპლი...

წინასწარმეტყველი იერემიადან შვიდასი წლის შემდეგ ერთ პატარა ოთახში თორმეტი ადამიანი იკრიბება და იწირება მსხვერპლი. ჩვეულებრივ მსხვერპლი სისხლით იწირებოდა. სისხლი იყო სიცოცხლის სიმბოლო. სიცოცხლე კი მხოლოდ ღმერთს ეკუთვნოდა. ამ თაყვრილობის წევრებსაც სამსხვერპლო ცხოველის სისხლი ეპკურათ. ასეთი წესი ჰქონდათ ოდითგან ყველა ხალხებს, ღრმად პირველყოფილ დროებამდე, პალეოლიტამდე. და მოსემაც, როცა ღვთის ხალხთან დებდა აღთქმას, სამსხვერპლო ბატკნის სისხლი აპკურა ყველას.

იმ ღამეს კი, რომლის შესახებაც გიყვებით, რომელიც ჩვენი წელთაღრიცხვის 30 წლის გაზაფხულს შედგა, თორმეტი თანამზრახველით გარშემორტყმული იესო ნაზარეველი აღასრულებს თავისუფლების გახსენების წესს, რასაც უფალი ყოველს უბოძებს. აქ სისხლი აღარ არის, არის თასი ღვინითა და პურით. მან დატეხა ეს პური, სათითაოდ ჩამოურიგა ყველას და თქვა: ეს არის ჩემი სხეული. როგორც სამსხვერპლო კრავი ადამიანთათვის. ის თასიდან ასმევს ყოველ მოწაფეს და ამბობს: ეს არის სისხლი ჩემი, რომელსაც ვღვრი მე თქვენთვის. ეს არის ახალი აღთქმა ჩემს სისხლში.

რაც შეეხება ლიტურგიას, ამგვარად ამ წმინდა სერობაში, ღმერთი და ადამიანი ერთდებიან უკვე არა რეალური, ფიზიკური სისხლით, არამედ მიწის სიმბოლური სისხლით, რადგან ვაზის წვენი, ღვინო არის მიწის სისხლი, პური კი — მიწის ნაყოფი, ბუნება, ჩვენ რომ გვკვებავს, ეს არის ღმერთი, რომელიც მსხვერპლად ეწირება ადამიანებს. იესო ნაზარეველი სწორედ ამ მსხვერპლს იღებს.

და იმ წამიდან, იმ წმინდა ღამიდან მოყოლებული თასი მარადიულად ზეაღმართულია და ევქარისტია სრულდება ქრისტიანობის ყველა განშტოებაში, ყველა ეკლესიასა და სექტებშიც კი, ყველგან არსებობს ეს სიმბოლო.

ხანდახან ამბობენ, რომ ქრისტემ ახალი მორალი მოიმტანა. დიახ, მან თქვა: ახალ აღთქმას გაძლევთ თქვენ, გიყვარდეთ ერთმანეთი, როგორც მე მიყვარხართ თქვენ.

მანამდეც არსებობდა სიყვარულის აღთქმა და სიტყვები „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი" მოსეს ეკუთვნის. ქრისტემ კი ამ სიტყვებს სრულიად ახალი მნიშვნელობა მიანიჭა — „როგორც მე მიყვარხართ თქვენ", რამეთუ კაცობრიობის სიყვარულის გამო დარჩა ის ჩვენთან ერთად ჭუჭყიან, სისხლიან და ცოდვილ მიწაზე — მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენს გვერდით ყოფილიყო, მაშასადამე მისი სიყვარული თავგანწირვის სიყვარულად იქცა და ამიტომ გვეუბნება: ის ვინც მე გამომყვება, უარყოს თავი. ესე იგი უარყოს საკუთარი მეობა, და არა პიროვნება.

პიროვნება წმინდაა, უარყოფილი უნდა იქნეს ყალბი თვითდამკვიდრება, მეობა. ის, ვინც უარყოფს მეობას, აღიღებს ჯვარს, ესე იგი, საკუთარ მსახურებას, ტანჯვითა და სიხარულით გაჰყვება მას.

ქრისტე ადამიანს ღვთიური იდეალის განხორციელებისაკენ იხმობს. მხოლოდ ძალიან ახლომხედველ ადამიანებს შეუძლიათ წარმოიდგინონ, რომ ქრისტიანობა უკვე იყო, უკვე შედგა, მეცამეტე საუკუნეში, მეოთხე საუკუნეში ან ოდესმე. ქრისტიანობამ ჯერ პირველი, მე ვიტყოდი, ფრთხილი ნაბიჯები გადადგა კაცობრიობის მოდგმის ისტორიაში. ქრისტეს მრავალი თეზა ჩვენთვის დღემდე მიუღწეველია, რადგან სულითა და ზნეობით ჩვენ ჯერ კიდევ ნეანდერტალელები ვართ, რადგან ახალი აღთქმისეული ისარი მარადისობისკენ არის მიმართული, რადგან ქრისტიანობის ისტორია ჯერ მხოლოდ იწყება და ის, რაც ადრე იყო, ის, რასაც ჩვენ ახლა ქრისტიანობის ისტორიას ვუწოდებთ, მხოლოდ ჩვენი უსუსური და უშედეგო ცდაა, განვასახიეროთ ქრისტიანობა.

ჩვენ ვიტყვით: როგორ, განა ჩვენ არ გვყავდა ისეთი დიდებული ოსტატები, როგორც უსახელო ხატმწერები, ანდრეი რუბლიოვი დს სხვები? დიახ, გვყავდა დიდებული წმინდანებიც. ისინი მართლა წმინდანები იყვნენ, წინასწარმეტყველნი, ვინც ჭუჭყის, სისხლისა და ცრემლების ზღვაში მოაბიჯებდა. ალბათ სწორედ ეს უნდოდა ეთქვა (ანდა არც უნდოდა, მაგრამ უნებურად გამოუვიდა) ტარკოვსკის თავის ფილმში „ანდრეი რუბლიოვი“. აბა, დაფიქრდით, რა ფონზე შეიქმნა ეს უნაზესი, ფეერიული, ღვთიური ხილვა სამებისა! ის, რაც ამ ფილმშია ასახული, სიმართლეს შეესაბამება. ომი, წამება, ღალატი, ძალადობა, ხანძრები, ველურობა. ღვთიური ხელდასმის გარეშე ამ ფონზე ადამიანი მხოლოდ ,,კაპრიჩიოსს,, თუ შექმნიდა, ,,გოიას“ მსგავსად. რუბლიოვმა კი ღვთიური ხილვა შექმნა. მაშასადამე, ყოველივე ამას მის გარშემო არსებული სინამდვილიდან კი არ იღებდა, არამედ სულიერი სამყაროდან.

ქრისტიანობა - ახალი ეთიკა კი არ არის, ახალი ცხოვრებაა, ახალი ცხოვრება, რომელსაც ადამიანი ღმერთთან უშუალო შეხებაში შეჰყავს. ეს არის ახალი კავშირი და ახალი აღთქმა.

რაში მდგომარეობს საიდუმლოება? რით ავხსნათ რატომ იზიდავს მაგნიტივით კაცობრიობას იესო ქრისტეს პიროვნება, თუმცა ის მიწაზე დამცირებული მოვიდა და არ იყო მასში არც ინდოელ ბრძენთა იდუმალება და არც აღმოსავლური ფილოსოფიის პოეტური ეგზოტიკა?

ყველაფერი, რასაც ის ამბობდა, უბრალო და ნათელი იყო, მაგალითებიც კი ყოფითი ცხოვრებიდან მოჰქონდა.

ეს ის საიდუმლოა, რომელსაც ქრისტე მოკლე ფრაზებით აცხადებს და ეს ფრაზები იოანეს სახარებაში გვესმის. ფილიპე ამბობს: გვიჩვენე ჩვენ მამა, მამა ყოველთა. ის, ვისაც ბერძნები უწოდებდნენ არქეს, პირველსაწყისს, სად არის ის? და იესო პასუხობს, ისე, როგორც არ უპასუხია არც ერთ ფილოსოფოსს ამქვეყნად — რა ხანია თქვენთან ვიმყოფები და კიდევ ვერ გამიცანი, ფილიპე. ის, ვინც მხედავს მე, ხედავს მამას. მსგავსი რამ არაერთხელ უთქვამს და მრავალ ადამიანს შეუქცევია მისთვის ზურგი, იმედგაცრუებულთ მიუტოვებიათ, რადგან ეს ყოველივე გამოწვევა იყო. აქ საიდუმლოს გაგება იყო საჭირო. ქრისტე კი ამ საიდუმლოს პირდაპირ არასოდეს არ აყალიბებდა. ის მხოლოდ ეკითხებოდა ხალხს: ვინ გგონივართ, წინასწარმეტყველი თუ იოანე ნათლისმცემელი? აქ უნდა გახსნილიყო რაღაც შინაგანი გამოცდილება, რადგან ამ კითხვას ღმერთი სვამდა ადამიანის პირით.

იესო ქრისტე უსასრულოს ადამიანური სახეა მიუწვდომელის, აუხსნელის, ამოუცნობის, უსახელოსი... და სრულიად მართალი იყო ლაოძი, როდესაც ამბობდა, რომ სახელი, რომელსაც ჩვენ არ წარმოვთქვამთ, არის მარადიული სახელი. დიახ, უსასრულოსი და მიუწვდომელის. აქ კი არა მარტო სახელი წარმოითქმება მისი, არამედ სახელიც ერქ-

მევა, ერქმევა ადამიანური სახელი. ის სახელი, რომელიც ჩვენთან ერთად ცხოვრებისეულ სიმძიმეს ინაწილებდა.

აი, ქრისტიანობის ღერძიამ ცენტრში გადის.

როცა სახარებიდან ეპისტოლეებზე გადავდივართ, ყურადღება უნდა მივაქციოთ ახალი აღთქმის მეორე პიროვნულ თვისებას. როგორც ერთი ფრანგი მეცნიერი ამბობდა, ახალ აღთქმაში ორი ბიოგრაფიაა: იესო ქრისტესი და მისი მიმდევრის სავლე ტერსიანელის — პავლე მოციქულის.

ცხადია, სახარების შემდეგ პავლეს ეპისტოლეების კითხვისას, თითქოს ციდან მიწაზე ეშვები. თუმცა პავლე მრავლის აღემატებოდა მახარობლებს. ეს იყო უზარმაზარი ნიჭის, სულიერი სიძლიერის და განათლების კაცი. ეს ადამიანი პიროვნულ ნაწარმოებებს ქმნიდა. მისი ეპისტოლეები გულიდან გამონაჟური სისხლით არის დაწერილი. მაგრამ მაინც ძალზე ძნელია მათი შედარება სახარებასთან, რადგან სახარებები ასახავენ არა იმდენად მოციქული მახარობლების ლიტერატურულ ნიჭს, არამედ იმას, რასაც თვალით ხედავდნენ. და თუკი მოციქული პავლე ჩვენს წინაშე მხოლოდ ადამიანია, ქრისტე ღვთის ნათელხილვაა.

მაგრამ რითაა ჩვენთვის საყურადღებო მოციქული პავლე? რატომ დააყენა ეკლესიამ იგი ქრისტეს გვერდით ახალ აღთქმაში? რატომ არის, რომ ეპისტოლეების დიდი უმეტესობა — თორმეტი — მის მიერ არის დაწერილი? და რატომ იკავებს იგი მოციქულთა შორის ყველაზე დიდ ადგილს?

საქმე ის გახლავთ, რომ მოციქულ პავლეს, როგორც ჩანს, არასოდეს ეხილა იესო მის მიწიერ ყოფაში. თუმცა ისტორიკოსები ფიქრობენ, რომ შესაძლებელია ისინი იერუსალიმში შეხვედროდნენ ერთმანეთს. (თვითონ პავლე ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ წლებში დაიბადა მცირე აზიაში, მაგრამ იერუსალიმში სწავლობდა და მაშინ შეეძლო ეხილა ქრისტე), მაგრამ მაინც დანამდვილებით უნდა მივიჩნიოთ, რომ მას იესო არასოდეს უხილავს.

მე მგონი, სწორედ ეს იზიდავს ეკლესიას მის პიროვნებაში, რადგან არც ჩვენ გვინახავს მისი სახე. მაგრამ ქრისტეს გამოცხადება პავლესათვის უფრო მნიშვნელოვანი იყო ნებისმიერ გარეგნულ შეხებაზე.

გარეგნულად ქრისტე მის მტრებსაც ჰყავდათ ნანახი, მწიგნობართაც, ფარისევლთაც, პილატესაც, მაგრამ ამან ვერ იხსნა ისინი.

პავლეც მისი მტერი იყო, მაგრამ ქრისტემ ის დამასკოსკენ მიმავალ გზაზე გააჩერა და მოციქულის წოდება უბოძა. ამ გარემოებამ სრულიად შეცვალა არა მარტო მისი ბედი, არამედ მთელი ადრეული ეკლესიის ბედიც, რადგან პავლე ერთ-ერთი იმათთაგანია, ვინც სახარებას სირიიდან და პალესტინიდან მთელ მსოფლიოს გააცნო. მას ხალხთა მოციქულს ან კერპთაყვანისმცემელთა მოციქულს უწოდებდნენ.

იუდაიზმში აღზრდილმა, მან დიდებულად იცოდა ის ჭეშმარიტება, რომ ღმერთთან შერწყმა შეუძლებელია. თავს იტყუებს აღმოსავლური რელიგიით აღზრდილი ადამიანი, რომელსაც ჰგონია, რომ ექსტაზის განცდით უკვე შეერწყა აბსოლუტს. ის მხოლოდ უახლოვდება აბსოლუტს, რადგან ღვთიურის წიაღში მარადიული ცეცხლი ანთია, რომელიც ყოველივეს შთანთქავს. შემოქმედსა და შექმნილს შორის უზარმაზარი უფსკრული ძევს, ისევე, როგორც აბსოლუტურსა და პირობითს შორის, და მისი გადალახვა შეუძლებელია, როგორც ლოგიკურად, ასევე ყოფითად.

თუმცა არსებობს ხიდი, გადებული ამ უფსკრულზე. და ეს ხიდი შეიგრძნო თვით პავლემ. რადგან იხილა მან ქრისტე და შინაგანად შეერწყა, უსაზღვრო სიყვარულით გადაეჯაჭვა მას, იმდენად, რომ ეჩვენებოდა, თითქოს სხეულით ატარებდა ქრისტეს ჭრილობებს, მასთან ერთად კვდებოდა ჯვარზე და მასთან ერთად აღდგა. ასეც ამბობს: უკვე მე კი არ ვცოცხლობ, არამედ ჩემში ცოცხლობს ქრისტე. მე მასთან ერთად მოვკვდი და მასთან ერთად აღვდექ. ღმერთთან შერწყმა შეუძლებელია, მაგრამ შესაძლებელია

შეერწყა ღმერთკაცს, რადგან ის ერთდროულად ორ სამყაროს ეკუთვნის – ჩვენსას და მიღმიერს.

პავლედან მოყოლებული, დღემდე ამაზეა აგებული ქრისტიან მისტიკოსთა გზა.

გზა მამისაკენ მხოლოდ და მხოლოდ შვილით მიიღწევა.

მე ვარ კარიბჭე – ამბობს ქრისტე – მე ვარ ჭიშკარი, კარიბჭე ცისა.

სხვადასხვა ლოცვათა გამეორებით ქრისტიანები შეიძლება ჰგავდნენ კიდეც აღმოსავლელ და ინდოელ მორწმუნეთ, სხვადასხვა მანტრებს რომ იმეორებენ. აქ მსგავსება და პარალელი არსებობს. მაგრამ ქრისტიანობის ერთ უმთავრეს ლოცვას „იესოს ლოცვა“ ეწოდება, სადაც ერთთავად მეორდება დაბადებულის, მიწაზე მცხოვრების, ჯვარზე გაკრულისა და აღმდგარის სახელი.

სწორედ ამ მთავარი ქრისტიანული ლოცვის ქრისტეცენტრულობა რადიკალურად განასხვავებს მას სხვა დანარჩენი მედიტაციებისა და მანტრებისაგან, რადგან აქ ხდება შეხვედრა, არა მარტო აზრის კონცენტრაცია, არა ფიქრი, არა უბრალოდ რაღაც ოკეანეში ან პიროვნების სიღრმეები ჩაძირვა, არამედ შეხვედრა იესო ქრისტეს სახებასთან, რომელიც მყოფობს სამყაროში.

მახსენდება პროზად დაწერილი ტურგენევის ერთი ლექსი – სოფლის ეკლესიაში ლოცვის დროს, ის ანაზდად იგრძნობს, რომ ქრისტე მის გვერდით დგას. გვერდზე გაიხედავს და ჩვეულებრივ ადამიანს დაინახავს, მაგრამ პირნაქცევს, ისევ იგივე შეგრძნება დაუბრუნდება: ქრისტე კვლავ მის გვერდით იდგა.

აი, ეს არის სიმართლე, და ქრისტეს ეკლესია იმიტომაც არსებობს და ვითარდება, რომ ქრისტე დგას მასში.

გაიხსენეთ, რომ მას ქრისტიანობისათვის ერთი დაწერილი ფრაზაც არ დაუტოვებია - მსგავსად პლატონისა დიალოგები რომ დაგვიტოვა.

არც მოსესავით ამოუტვიფრია კანონი.

არც მუჰამადივით უკარნახია ყურანი.

არ ჩამოუყალიბებია ორდენი, გაუტამა ბუდასავით.

მან მხოლოდ თქვა: თქვენთან ვიქნები უკუნითი უკუნისამდე.

და როცა მოციქულებმა იგრძნეს, რომ სამუდამოდ შორდებოდნენ, ქრისტემ მათ ერთი უმთავრესი ფრაზა უთხრა: ობლად არ დაგტოვებთ, მე მოვალ თქვენთან. ეს მოსვლა დღესაც გრძელდება, ის დღესაც მოდის ჩვენთან.

ქრისტიანობის უღრმესი ცოდნა სწორედ ამაზეა დამყარებული; სხვა დანარჩენი – ერთგვარად ზედაპირული ფენაა და ამ სხვა დანარჩენით ქრისტიანობა შეიძლება ემსგავსებოდეს კიდეც ჩვენს სამყაროში არსებულ რელიგიებს.

ეს რელიგიები ყველგან კულტურის ნაწილია და ამოიზრდება მარადისობისკენ ადამიანის სულის ლტოლვიდან, – მარადიულ ღირებულებებისკენ ლტოლვასთან ერთად. ქრისტიანობაში კი მაღლიდან, ზეციდან მოედინება ნაკადი და ამიტომაც შეეძლო ეთქვა ჩვენი საუკუნის ერთ-ერთ თეოლოგს: „ქრისტიანობა ერთ-ერთი რელიგია კი არაა, არამედ ყველა რელიგიათა კრიზისი. ის ყველა დანარჩენზე ამაღლებულია, რადგანაც, როგორც პავლე მოციქული ამბობს, ხსნა კანონის აღსრულებით კი არ ელის ადამიანს, არამედ - იესო ქრისტეს რწმენით.

დასასრულს მსურს ეს ძირითადი ფრაზა გაგიმარტოთ.

რა არის კანონის საქმე? ეს არის რელიგიური წესების და ადათების სისტემა.

საჭიროა თუ არა მათი დაცვა? საჭიროა, რადგან ესაა აღმზრდელობითი საშუალება. მათ ადამიანები ქმნიან, ხანდახან დიადი ნათელხილვის შედეგად, ხან – ტრადიციის ძალით, ხან კი... უმეცრებით.

კანონის საქმე... ხანდახან ეს კანონები ღვთის ნათელხილვიდან მოდის, როგორც ძველ აღთქმაში, მაგრამ გონებრივი და სულიერი განვითარების გარკვეულ ფაზამდე.

რას ნიშნავს ხსნა? ეს ნიშნავს საკუთარი, ეფემერული, დროებითი ცხოვრების შერწყმას

მარადისობასა და ღმერთთან. აი, ეს არის ხსნა. ღვთიურ ყოფასთან შერწყმის წყურვილი ცოცხლობს ჩვენში, ყოველ ადამიანში. ეს წყურვილი დამალულია, დაფარული, შეგვიძლია სადღაც ღრმადაც მივჩქმალოთ, მაგრამ ის მაინც არსებობს. ამიტომ ამბობს მოციქული, რომ კანონი წმინდაა. ძველი აღთქმის კანონი წმინდაა და ღმერთმა უბოძა ის ადამიანებს, მაგრამ ღვთიურ ყოფასთან შერწყმა მხოლოდ იესო ქრისტეს რწმენით არის შესაძლებელი.

ისიც უნდა გავარკვიოთ, რას ნიშნავს იესო ქრისტეს რწმენა? ჩვენ შეგვიძლის გვწამდეს, რომ ასეთი ადამიანი არსებობდა ამქვეყნად, მაგრამ ეს რწმენა კი არა, ცოდნაა. მის თანამედროვეთ ახსოვდათ, რომ ის ცხოვრობდა მიწაზე. მახარებლებმა ბევრი დამამტკიცებელი მოწმობებიც დაგვიტოვეს, თანამედროვე ისტორიკოსიც გვეტყვის, დიახ, ასეთი ადამიანი არსებობდა. სხვადასხვა პროპაგანდისტთა მცდელობა, დაამტკიცონ, რომ ქრისტე - მითია, დიდი ხანია გაქარწყლდა. მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში, როგორც ყოველგვარი სასწაულების ნაკრძალში, ჯერ კიდევ ბატონობს ეს კონცეფცია.

მაშასადამე, რას ნიშნავს - მისი რწმენა გვქონდეს? გწამდეს, რომ ის მიღმიერი სამყაროდან არის მოსული? ესეც სიმართლეა, მაგრამ ეს მაინც თეორიაა.

და სწორედ აქ უნდა გავიხსენოთ ის რწმენა, რომელიც ძველ აღთქმაშია ნაქადაგები: ნდობა ღმერთისა.

ჯერ კიდევ მაშინ, როცა აბრამმა ღმერთს უთხრა თანხმობა, უფრო სწორად, კი არ უთხრა, არამედ უხმოდ დაემორჩილა მის მოწოდებას, აი, მაშინ დაიბადა რწმენა. ძველებრაულ ენაზე სიტყვა „რწმენა“ ჟღერს როგორც „ემუნა“, და მომდინარეობს სიტყვიდან „ამან“ - ერთგულება. რწმენა - ამ სიტყვის გაგება ძალიან უახლოვდება ერთგულებას. ღმერთი ერთგულია თავისი დაპირებისა, ადამიანი ერთგულია ღმერთისა. სუსტი, ცოდვილი, ის მაინც ერთგულია მისი. მაგრამ რომელი ღმერთისა? მიუწვდომლის და მრისხანესი, რომელიც ხანდახან ოკეანესავით ისე შორს არის ხოლმე ადამიანისაგან?!

ქრისტეს ადამიანებისთვის ღმერთის ახალი სახე მოაქვს. მისი მეოხებით სხვაგვარად აღარც მოიხსენიება უფალი. იესო ქრისტეს თითქმის არასოდეს წარმოუთქვამს სიტყვა „ღმერთი“. ის ყოველთვის „მამას„ ამბობდა. და თავის მიწიერ ცხოვრებაში ის იმ ნაზ და ალერსიან სიტყვას იმეორებს, რომელსაც წარმოთქვამენ ხოლმე ბავშვები აღმოსავლეთში, მამას რომ მიმართავენ. ამის თარგმნა შეუძლებელია, — მაგრამ ეს ასეა. ქრისტე აღმოგვიჩენს ღმერთს, როგორც ჩვენს ზეციერ მამას - და ამით აყალიბებს და-ძმების ერთობას, რამეთუ და-ძმური სიყვარული მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ მათ ერთი მამა ჰყავთ.

და აი, საერთო სულიერი მამა-ღმერთი. ხოლო იესო ქრისტე - მოძღვრებისათვის გულის გადახსნა. ეს არის სახარების საიდუმლოება. რადგან ყოველმა ჩვენგანმა მშვენივრად იცის, რაოდენ შეშინებული, სუსტია ადამიანი, რაოდენ ჩაბუდებულია მასში ყოველგვარი კომპლექსები და ცოდვები.

და არსებობს ძალა, რომელიც ქრისტემ მიწაზე დატოვა და ჩვენ მას უანგაროდ ვიღებთ. ეს არის მადლი, უანგაროდ რომ გვინაწილებს.

დიახ, დიდი ძალისხმევა გვჭირდება, რათა წინ აღვუდგეთ ცოდვას; დიახ, უნდა ვისწრაფოთ სრულყოფილებისკენ, თან მუდამ გვახსოვდეს, რომ საკუთარ თავს წუმპედან თმებით ვერ ამოვათრევთ. ის, რასაც გავაკეთებთ, მხოლოდ მოსამზადებელი პერიოდია.

ძირითადად ამით განსხვავდება ქრისტიანობა იოგასაგან, რომელსაც ჰგონია, რომ ადამიანს, ასე ვთქვათ, საკუთარი ნებასურვილით, უნარი შესწევს მიაღწიოს ღმერთს, შეერწყას მას. ქრისტიანობა გვეუბნება: შენ ძალგიძს მხოლოდ საკუთარი სრულყოფილება, მაგრამ ღმერთთან მიღწევა შეუძლებელია, ვიდრე ის თავად არ მოვა შენთან.

და ამიტომაც, მადლი აღემატება კანონს. კანონი რელიგიის პირველი საფეხურია, პირველი ნაბიჯები, რომელსაც ბავშვი დგამს

და აღზრდის პერიოდში მას ეუბნებიან, რა შეიძლება და რა — არა. არსებობს წესები და ნორმები. გვჭირდება ეს წესები და ნორმები? ცხადია, გვჭირდება. შემდეგ კი მოდის მადლი. ღმერთთან შეხვედრა შინაგანი გამოცდილების გზით. ეს ჰგავს სიყვარულს, ან აღმაფრენას, აღტაცებას.

მადლი არის ახალი სიცოცხლე. ადამიანები ერთმანეთს ეკამათებიან, ერთნი ძველი ადათ-წესების დაცვის მომხრენი არიან, მეორენი — ეწინააღმდეგებიან, მაგრამ განა ამას რაიმე მნიშვნელობა აქვს? მნიშვნელოვანია — ახალი შემოქმედება და რწმენა, მოქმედი სიყვარული.

აი, ეს არის ჭეშმარიტი ქრისტიანობა. ყველაფერი დანარჩენი — ისტორიული გარეკანია, ჩარჩო, ის, რაც დაკავშირებულია კულტურასთან.

რაზეა დაფუძნებული ქრისტიანული სარწმუნოება?

ადამიანის პიროვნულობის უსაზღვრო ღირებულებაზე.

ნათლის ზეობაზე სიკვდილსა და ხრწნაზე.

ახალ აღთქმაზე, რომელიც გატოტილი ხესავის იზრდება პატარა ნერგიდან და, როგორც საფუარი ცომს, ისე განადიდებს ისტორიას.

და დღეს უკვე ციური მეუფება იდუმალად ვლინდება ყოველ ადამიანში: როცა თქვენ სიკეთეს სჩადით, როცა გიყვართ, როცა შემეცნებთ სილამაზეს, როცა შეიგრძნობთ ცხოვრების სისავსეს — თქვენ უკვე შეეხეთ ღვთის მეუფება.

ცის მეუფება არა მარტო შორეულ მომავალშია, არა მარტო ფუტუროლოგიურ შემეცნებაშია, — ის არსებობს აქ და ახლა. ამას გვასწავლის იესო ქრისტე. მეუფება მოაწევს, მაგრამ მან უკვე მოაწია. სამსჯავრო ადამიანთა ზედა იქნება, მაგრამ ის უკვე დაწყებულია. ის იმ წუთიდან დაიწყო, როცა მან პირველად იქადაგა ახალი აღთქმა.

სამსჯავრო უკვე დაწყებულია — ესაა მისი ქალაგებანი გალილეაში, იერუსალიმში, გოლგოთაზე, რომის იმპერიაში, შუა საუკუნეების ევროპასა და რუსეთში, დღეს, მეოცე საუკუნეში, და ოცდამეხუთეშიც... კაცობრიობის მთელი ისტორია! მანძილზე გაგრძელდება ეს სამსჯავრო, რადგან ესა ქრისტიანობის ისტორია, ეს არის ისტორია, თუ როგორ მიჰყვება კაცობრიობა ძე კაცისას.

და თუკი კიდევ ერთხელ დავსვამთ კითხვას, რაში მდგომარეობს ქრისტიანობის არსი, ჩვენ უნდა ვუპასუხოთ: ეს არის ღმერთკაცობა, შეზღუდული და დროებითი ადამიანური სულის შერწყმა უსასრულო ღვთიურ სულთან.

ეს არის სხეულის განათლება, რამეთუ იმ წუთიდან, როცა ძე კაცისამ ჩვენი სიხარული და სატანჯველი, ჩვენი შემოქმედება, სიყვარული და ჩვენი გარჯა მიიღო — ე.ი. ის ბუნება და ის სამყარო, სადაც მყოფობდა, სადაც დაიბადა, როგორც კაცი და ღმერთკაცი - კი არ უარყოფილა, კი არ დამცირებულა, პირიქით, ახალ საფეხურზე იქნა აყვანილი და განათლებული.

ქრისტიანობა სამყაროს გარათლება — ბოროტის, უკუნისა და ცოდვის ძლევა. მაგრამ ეს ღმერთის გამარჯვებაა. ის აღდგომის ღამეს დაიწყო და გაგრძელდება, ვიდრე იარსებებს ეს სამყარო.

რუსულიდან თარგმნა მზია გელაშვილმა

ვაშინგტონ ირვინგი

# ცხოვრება მუჰამადისა




## მუჰამადის დაბადება, ბავშვობა და ყრმობა

მუჰამადი[1], მუსლიმური სარწმუნოების ანუ ისლამის, დიადი დამფუძნებელი, დაიბადა მექაში, ქრისტეშობიდან 569 წელს. წარმომავლობით იგი მიეკუთვნებოდა ყურეიშიანთა ძლიერ, მებრძოლ თემს, რომლის ორ შტოს დასაბამი მისცეს ძმებმა — ჰაშემმა და აბდ–შიმმა.

ჰაშემმა, მუჰამადის მამის პაპამ, დიდი ღვაწლი დასდო მექას — ქალაქს, რომელიც აშენებული იყო ქვაღორღიან, მოუსავლიან ალაგას და ხშირად დიდ გასაჭირს განიცდიდა საკვებით მომარაგებაში. მეექვსე საუკუნის დასაწყისში ჰაშემმა დაადგინა ყოველწლიურად ორი ქარავნის გამგზავრება: ერთი ზამთრობით სამხრეთ არაბეთსა და იემენის მხარეს მიემართებოდა, მეორე სირიაში ჩადიოდა ზაფხულობით. მოგზაურობათა წყალობით მექაში მრავლად იყრიდა თავს სხვადასხვაგვარი საკვები და საქონელი: ქალაქი სავაჭრო ცენტრად იქცა, და ყურეიშიანთა თემი, რომელიც ცხოველ მონაწილეობას ღებულობდა ამ საქმიანობაში, გამდიდრდა და გაძლიერდა.

ჰაშემი ამ ხანებში ქაბას[2] მცველად გვევლინება: არაბები ქაბას სალოცავში დაცულ წმინდა შავ ქვას უდიდეს პატივს სცემდნენ და თაყვანსაცემად მრავლად იკრიბებოდნენ მის გარშემო. ქაბას დაცვის უფლება ენიჭებოდა მხოლოდ ყველაზე პატივცემულ თემებსა და ოჯახებს, — მსგავსად ვითარებისა იერუსალიმში, სადაც მხოლოდ ლევიანებს[3] ჰქონდათ იერუსალიმის ტაძრის დაცვის უფლება. ამრიგად, ქაბას დაცვის უზრუნველყოფა მჭიდროდ იყო დაკავშირებული სამოქალაქო თანამდებობის დაკავებასთან, წმინდა ქალაქის მართვის განსაკუთრებულ უფლებასთან.

ჰაშემის სიკვდილის შემდეგ მისმა შვილმა, აბდ-ალ-მუტალებმა მემკვიდრეობით არა მარტო მამის საპატიო თანამდებობანი მიიღო, არამედ მისი პატრიოტული გრძნობებიც შეისისხლხორცა. მან გაათავისუფლა წმინდა ქალაქი მექა აბისინიის ქრისტიანი მთავრების მიერ გამოგზავნილი ლაშქრისგან, რომლის შემადგენლობაში სპილოებიც შედიოდნენ (აბისინიელებს იმ დროისთვის იემენი ჰქონდათ დაპყრობილი). მამისა და შვილის ასეთმა განსაკუთრებულმა დამსახურებამ განუმტკიცეს ჰაშემის თემის წარმომადგენლებს უფლება, ქაბას მცველნი ყოფილიყვნენ, რაც აბდ-შიმის შთამომავალთა დიდ შურსა და გულისწყრომას იწვევდა.

აბდ-ალ-მუტალებს რამდენიმე ვაჟი და ქალიშვილი ჰყავდა. მისი ვაჟებიდან ისტორიაში მოხსენიებულნი არიან აბუ-ტალები, აბუ-ლაჰაბი, აბას ჰამზა და აბდალაჰი. ეს უკანასკნელი, ყველაზე უმცროსი ვაჟიშვილი, მამას განსაკუთრებით უყვარდა. აბდალაჰმა ცოლად შეირთო ამენა, ყურეიშიანთავე მოდგმის ასული, მონათესავე შორეული შტოდან. აბდალაჰი იმდენად ლამაზი იყო და ისე იზიდავდა ქალებს, რომ, მუსლიმური თქმულებების გადმოცემით, მისი და ამენას ქორწილის ღამეშ ორასი ასული შეიწირა — მათ მწუხარებისგან გული გაუსკდათ...

მუჰამადი ამ ავბედითად დაწყებული ქორწინების პირველი და ერთადერთი ნაყოფი იყო. იმავე თქმულებების მიხედვით, მისი დაბადება აღინიშნა უცნაური მოვლენებით, აშკარად რომ მიუთითებდნენ ახალშობილის არაჩვეულებრივ ბუნებას: დედამისს მშობიარობისას არავითარი ტკივილი არ უგრძვნია; მისი გაჩენისას მახლობელი ქვეყნების თავზე უჩვეულო ნათელი მოეფინა ზეცას და ახედა რა ცას, მუჰამადმა წამოიძახა: "დიდ არს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღმერთი! არა არს ღვთაება ღმერთის გარდა და მე მისი მოციქული ვარ!"

ზეცა და ხმელეთი იძრა მისი დაბადების ჟამს, ამბობს თქმულება. ტბა სავა ამოშრა და პირი იქცია თავისი ფარული სათავეებისკენ, ადიდებულმა ტიგროსმა კი მეზობელი ქვეყნები დატბორა. სპარსი მეფე ხოსროს სასახლე შეირყა, შეზანზარდა, მისი კოშკები ჩამოიშალა. იმ საგანგაშო ღამეს სპარსეთის ყადიმ (მოსამართლემ) ძილში აქლემზე ამხედრებული არაბი იხილა. დილით მან სპარსეთის მეფეს აუწყა სიზმარი და იგი ისე ახსნა, თითქოს სპარსეთს არაბეთიდან დიდი საფრთხე ემუქრებოდა.

იგივე თქმულებანი გადმოგვცემენ, რომ იმ მრავლისმეტყველ ღამეს უეცრად ჩაქრა მოგვების მიერ ათასი წლის განმავლობაში შენარჩუნებული ზოროასტრის ჩაუქრობელი ცეცხლი და მთელი დედამიწის ზურგზე კერპნი ძირს დაეცნენ. წმინდა ანგელოზებმა ჩამოყარეს ციდან დემონები და ავი სულები, ვარსკვლავებსა და ზოდიაქოს ნიშნებში რომ აფარებდნენ თავს და ბოროტებას უქადდნენ ბავშვებს. თავიანთ წინამძღოლთან, იბლისთან ერთად ისინი ზღვის წიაღში შთაინთქნენ...

უდიდესმა შიშმა და გაკვირვებამ მოიცვა ახალშობილის თავზარდაცემული ნათესავები. ამენას ძმამ, ვარსკვლავთმრიცხველმა, იწინასწარმეტყველა, რომ მუჰამადი დიდ ძალაუფლებას მიაღწევდა, დააარსებდა ხამეფოს და ახალ რწმენას მოუტანდა ადამიანებს. პაპამისმა, აბდ-ალ-მუტალებმა, მუჰამადის დაბადების მეშვიდე დღეს წვეულება გაუმართა ყურეიშიანთა უხუცესებსა და მთავრებს; მან წარუდგინა სტუმრებს ახალშობილი, ვითარცა აისი მათი ტომის სამომავლოდ ჩასახული დიდებისა და მისცა მას სახელი მუჰამადი.

ასეთია მუსლიმი მწერლების ზღაპრული მონათხრობი მუჰამადის დაბადების თაობაზე. ამგვარივე ამბებია შეთხზული მის ადრეულ ბავშვობაზეც: ორი თვე არ გასულა მუჰამადის დაბადებიდან, რომ მამამისი გარდაიცვალა და მემკვიდრეობად დაუტოვა ხუთი აქლემი, რამდენიმე ცხვარი და ეთიოპიელი მონა ქალი, სახელად ბარაქა. დედამისი, ამენა ჯერ ძუძუს აწოვებდა, მაგრამ მწუხარებამ და მუდმივმა საზრუნავმა რძე გაუშრო და, რაკი მექას ჰავა ბავშვებისთვის ხელსაყრელი არ იყო, მან შვილი მიაბარა ძიძას — ბედუინების ტომის ქალს. ეს უკანასკნელნი წელიწადში ორჯერ, გაზაფხულობითა და შემოდგომობით, ეწვეოდნენ ხოლმე მექას და უკან დაბრუნებულებს, თან ქალაქელთა ბავშვები მიჰყავდათ აღსაზრდელად. ჩამოსულები ძირითადად მდიდარი მშობლების შვილებს არჩევდნენ, რადგან მათგან დიდ გასამრჯელოს მოელოდნენ, და ქედმაღლურად ეპყრობოდნენ ღარიბებს. ერთი საადიელი მწყემსის ცოლს, სახელად ჰალიმას, შეეცოდა ამენას ბავშვი და დათანხმდა მის აყვანაზე. ჰალიმა ცხოვრობდა მთებს შორის გადაშლილ დაბლობში, რომელსაც მწყემსები საძოვრად იყენებდნენ.

ბევრ სასწაულს ყვებოდა ჰალიმა თავის აღსაზრდელზე: მექიდან მომავალ გზაზე ჯორმა, რომელსაც მუჰამადი მოჰყავდა, უეცრად ენა ამოიდგა და ხმამაღლა გამოაცხადა: მის ზურგზე მყოფი ბავშვი უდიდესი წინასწარმეტყველი, ცით მოვლენილთა შორის უპირველესი, ყოვლისმპყრობელის რჩეული იქნებოდა; გზად მიმავალ ჰალიმასა და მუჰამადს შემხვედრი ცხვრები მდაბლად უკრავდნენ თავს, და როდესაც აკვანში მწოლიარე ჩვილი მთვარეს უმზერდა, ეს უკანასკნელი მოწიწებით წყვეტდა ხვლას ცარგვალზე...

არაბი მწერლები ამტკიცებენ, რომ ჰალიმას მისი კეთილბუნებოვნებისათვის ზეციური მადლით მიეზღო სამაგიერო: ვიდრე ბავშვი ჰალიმას მფარველობაში, მის ქერქვეშ იმყოფებოდა, მთელი შემოგარენი ყვაოდა, წყარო არ დაბრმავებულა და ქა არ დაშრალა, ბიბინებდნენ ყანები და საძოვრები, მრავლდებოდა ჯოგები, ხაოცარი ნაყოფი მოჰქონდა ველ-მინდვრებს და მშვიდობა სუფევდა ჰალიმას საცხოვრისში...

არაბული ლეგენდები მოგვითხრობენ იმ ზებუნებრივ სულიერ და სხეულებრივ ძალაზე, რომელსაც ჩვილობიდან მოყოლებული ავლენდა ეს საკვირველი ბავშვი. სამი თვისა

იგი სხვის დაუხმარებლად იდგა ფეხზე, შვიდი თვისა უკვე დარბოდა, ათი თვის ასაკში სხვა ბავშვებსაც ეჯიბრებოდა, შეეძლო მოეზიდა მშვილდი და ეტყორცნა ისარი; რვა თვის მუჰამადი გასაგებად, ცხრა თვისა კი უკვე გამართულად საუბრობდა, ავლენდა სიბრძნეს და აოცებდა მსმენელს.

ერთხელ, როდესაც სამი წლის მუჰამადი თავის ძუძუმტე მაფუდთან თამაშობდა, მის წინ ვერცხლისსამოსიანი ორი ანგელოზი აღიმართა. ერთმა მათგანმა, გაბრიელმა, სათუთად აიყვანა ხელში ბავშვი, მიწაზე დააწვინა და უმტკივნეულოდ გაუპო გულმკერდი. ამოუღო გაბრიელმა მუჰამადს გული და განწმინდა იგი ყოველგვარი უწმინდურებისაგან, დასწურა მას შავი, მწარე წვეთები, რაც ადამიანებს მემკვიდრეობად ერგოთ მათი წინაპარი ადამისაგან, და რაც, ბუდობს რა მის საუკეთესო შთამომავალთა გულებშიც კი, ბოროტმოქმედებისკენ უბიძგებს მათ.

სრულიად რომ განწმინდა მუჰამადის გული, გაბრიელმა იგი რწმენით, ცოდნითა და წინასწარმეტყველური ნათელხილვით გაავსო და კვლავ ბავშვის მკერდში დააბრუნა. და მაშინ, იმავე მწერლების მტკიცებით, გარემოს მოეფინა ყრმისგან წამოსული საიდუმლო რამ ნათელი, ადამიდან მოყოლებული ვიდრე ისააკამდე და ისმაელამდე, თავს რომ ადგა ყველა წინასწარმეტყველს, შემდეგ კი ჩაქრა მათ შთამომავლებში, რათა უფრო ძლიერი ბრწყინვალებით კვლავ წარმოჩენილიყო მუჰამადში.

ამ ზებუნებრივი მოვლენის შემდეგ, დასძენენ არაბები, ბავშვს მხრებს შორის წინასწარმეტყველების ბეჭედი დარჩა, რაც მთელი მისი ცხოვრების მანძილზე იყო სიმბოლო და საბუთი მისი ღვთით მოვლინებისა, თუმცა ურწმუნონი მასში მხოლოდ ქათმის კვერცხის ზომის ხალს ხედავდნენ.

როდესაც ჰალიმამ და მისმა ქმარმა შეიტყვეს ანგელოზების ამ სასწაულებრივი სტუმრობის შესახებ, შეეშინდათ, ბავშვს რაიმე უბედურება არ შემთხვეოდა. მათი ვარაუდით ეს უჩვეულო სტუმრები ბოროტი სულები თუ ალები უნდა ყოფილიყვნენ, რომლებიც მიყრუებულ უდაბნოებს ეწვევიან და უბედურებას ატეხენ ხოლმე ბავშვებს. სწორედ ამის გამო მიძამ მუჰამადი მექაში დააბრუნა და ამენას გადასცა.

მუჰამადი ამენასთან ექვსი წლის ასაკამდე დარჩა. ერთხელ ამენამ იგი ადეის ტომის ნათესავების მოსანახულებლად წაიყვანა მედინაში. უკანა გზაზე ამენა მოულოდნელად გარდაიცვალა და დაკრძალულ იქნა მექასა და მედინას შორის, სოფელ ალ-აბვააში. მას შემდგომ მუჰამადისთვის დედის საფლავი მომლოცველობისა და ტკბილ მოგონებათა ადგილად იქცა.

ახლა უკვე ბარაქამ, ერთგულმა აბისინიელმა მონამ, იზრუნა დაობლებულ ბავშვზე და იგი პაპას, აბდ-ალ-მუტალებს მიუყვანა. პაპასთან მუჰამადმა ორი წელიწადი დაჰყო და მზრუნველობა და ალერსი არ მოჰკლებია. აბდ-ალ-მუტალები უკვე ღრმად მოხუცებული იყო. გრძნობდა რა სიკვდილის მოახლოებას, ბერიკაცმა თავისი უფროსი ვაჟი, აბუ-ტალები მოიხმო და მუჰამადზე ზრუნვა მას გადააბარა. კეთილმა აბუ-ტალებმა გულში ჩაიკრა ძმისწული და შემდგომშიც მუდამ ნათესაური კეთილგანწყობით ეკიდებოდა მას. მამის სიკვდილის შემდეგ აბუ-ტალებმა მემკვიდრეობით მიიღო ქააბას მცველის მოვალეობა, და რამდენიმე წლის განმავლობაში მუჰამადი უშუალო მომსწრე იყო იმისა, თუ როგორ მკაცრად სრულდებოდა წმინდა ადგილთან დაკავშირებული ყველა ადათ-წესი.

## თქმულება მექასა და ქააბას შესახებ

არაბულ თქმულებათა მიხედვით, ევას და ადამის სამოთხიდან გაძევების შემდეგ ისინი დედამიწის სხვადასხვა ადგილას აღმოჩნდნენ: ადამი კუნძულ სერენდინის (ანუ ცეილონის) მთაზე, ევა კი არაბეთში, წითელი ზღვის სანაპიროზე, ახლანდელი პორტ ჯიდას მახლობლად, ორასი წლის განმავლობაში ეს მარტოსულები მიუსაფრად დაეხეტე-

ბოდნენ დედამიწაზე, ვიდრე, მათი მწუხარებისა და მონანიების გამო, არ მიეცათ უფლება, მექას მახლობლად, არაფატის მთაზე შეხვედროდნენ ერთმანეთს. მწუხარებით აღვსილმა, მონანიე ადამმა ცად აღაპყრო ხელები და ღმერთს შესთხოვა, წყალობა ეყო, მიეცა მისთვის ისეთივე სამლოცველო, როგორიც სამოთხეში ჰქონდა, რომლის გარშემოც ანგელოზები დაფარფატებდნენ და უფალს ხოტბას ასხამდნენ.

ადამის თხოვნა შესმენილ იქნა. გასხივოსნებული ღრუბლიდან ანგელოზებმა ჩამოუშვეს დედამიწაზე სამლოცველო ზუსტად იმ ადგილას, სადაც სამოთხეში იყო მისი პირველსახე და ადამი ლოცვის დროს მას ყოველდღიურად შვიდჯერ შემოუვლიდა ხოლმე გარს, თითქოს ღვთის მეხოტბე ანგელოზების ქმედებას იმეორებდა.

იმავე თქმულებების თანახმად, ადამის სიკვდილის შემდეგ, სხივნათელი ნაგებობა უკანვე ზეცად იქნა ატანილი, მაგრამ მის ადგილას ადამის შვილმა, შეთმა ქვისგან და თიხისგან ააშენა ახალი, ისეთივე მოყვანილობის სამლოცველო. შემდგომში ისიც წყალმა გაანადგურა.

მრავალი წლის შემდეგ, უკვე პატრიარქების ხანაში, როდესაც აგარი და მისი შვილი, ისმაელი, უდაბნოში წყურვილით კვდებოდნენ, ანგელოზმა მათ დაფარულ, წყლით სავსე ჭაზე მიუთითა. ჭა სულ ახლოს იყო იმ ადგილთან, სადაც ოდესღაც ციით მოვლენილი სამლოცველო იდგა. ეს იყო ზამზამის წყარო, რომელსაც ისმაელის შთამომავლები დღესაც წმინდად მიიჩნევენ.

ამ შემთხვევიდან დიდი დრო არ გასულა, რომ დაკარგული აქლემის ძებნაში, ამ წყაროს ბუმბერაზ ამალექიანთა ტომის ორი კაცი წააწყდა. ამალექიანებმა წყურვილიც მოიკლეს და იმ ადგილას თავიანთი ამხანაგებიც მიიყვანეს. მათ დააარსეს იქ ქალაქი მექა და ისმაელი და დედამისი თავის მფარველობაში აიყვანეს. უცხოტომელები მალე გააძევეს ქვეყნის მკვიდრმა მაცხოვრებლებმა, ისმაელი კი მექაში დარჩა.

როდესაც ისმაელი წამოიზარდა, ცოლად მდიდარი მთავრის ქალიშვილი მოიყვანა და ეყოლა მრავალრიცხოვანი შთამომავლობა, რომელიც არაბი ხალხის წინაპრად ითვლება. მთელი ამ ხნის განმავლობაში იგი, თანახმად ღვთის განჩინებისა, ცდილობდა აღედგინა ქააბა ზუსტად იმ ადგილას, სადაც ზეციური სამლოცველო იდგა. ამ ღვთისნიერ საქმეში მას მამამისი, აბრამი ეხმარებოდა. აბრამს ხარაჩოს მაგივრობას ერთი არაჩვეულებრივი ქვა უწევდა; ის ზევით-ზევით ადიოდა აბრამთან ერთად, იმისდა შესაბამისად, თუ რამდენად აიწევდა სიმაღლეში აბრამის მიერ ამოყვანილი წმინდა ნაგებობის კედლები. ქვა ახლაც იქვეა შენახული, როგორც ფასდაუდებელი, წმინდა საუნჯე, და ყველა მართლმორწმუნეს შეუძლია მასზე პატრიარქის ტერფის გამოსახულება იხილოს.

როცა აბრამი და ისმაელი შენობას აგებდნენ, ანგელოზმა გაბრიელმა მათ ქვა მოუტანა, რომლის თაობაზეც უძველესი თქმულებები სხვადასხვაგვარად იუწყებიან. ზოგიერთი მათგანის მიხედვით, ეს იყო ერთ-ერთი იმ ძვირფას ქვათაგანი, სამოთხიდან ადამის გაძევებისას მასთან ერთად მიწას რომ დაეცა; მოგვიანებით მთავარანგელოზმა გაბრიელმა იგი წარღვნის შედეგად დაგროვილ ლამში აღმოაჩინა. მეორე, უფრო გავრცელებული გადმოცემის თანახმად, ეს ქვა თავდაპირველად იყო მფარველი ანგელოზი, რომელიც ადამს სამოთხეში ჰყავდა მიჩენილი. ადამის დაცემისას იგი ქვად გადაიქცა და ადამთან ერთად მიწაზე იქნა ჩამოგდებული: ეს იყო მისი სასჯელი სიფხიზლის მოდუნებისათვის.

აბრამი და ისმაელი ჯეროვანი მოწიწებით ეპყრობოდნენ ამ ქვას და იგი ქააბას გარე კედლის კუთხეში მოათავსეს. ქვა ახლაც იქაა და მართლმორწმუნე მომლოცველები ტაძრის ყოველი გარშემოვლისას ემთხვევიან ხოლმე მას. თავდაპირველად, როდესაც კედელში ჩასვეს, ქვა ჰიაცინტივით ელვარე და თეთრი იყო, მაგრამ ცოდვილ და მოკვდავ ადამიანთა ამბორმა ერთიანად გააშავა. აღდგომისას ეს ქვა კვლავ გადაიქცევა ანგელო-

ზად და უფლის წინაშე მოწმედ დაუდგება ყველას, ვინც ბოლომდე აღასრულა წმინდა ადგილთა მოხილვის ყველა წესი.

ამას ყვებიან არაბული თქმულებანი და სწორედ ამის გამოა ქააბა და ზამზამის წყარო ყველა აღმოსავლელი ხალხის განსაკუთრებული მოწიწების საგანი; ეს განსაკუთრებით ისმაელის შთამომავლებზე ითქმის.

მექა, რომლის კედლებშიცაა დაცული ეს სიწმინდეები, მუსლიმური სარწმუნოების გაჩენამდე დიდი ხნით ადრე ითვლებოდა წმინდა ქალაქად; აქ იკრიბებოდნენ არაბეთის ყოველი მხრიდან ჩამოსული მლოცველები. იმდენად ღრმა და საყოველთაო იყო პატივისცემა მასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებებისადმი, რომ ყოველწლიურად ქააბას თაყვანისცემას ოთხი თვე ეთმობოდა. ამ დროს ყოველგვარი ძალადობა, და მით უმეტეს ომი, დაუშვებელი, აკრძალული იყო. მოქიშპე ტომები ხმლებს ქარქაშში აბრუნებდნენ და ბასრ ბუნიკებს ახსნიდნენ შუბებს. მომლოცველები ყოვლად უსაფრთხოდ მიუყვებოდნენ უდაბნოთა ყველაზე სახიფათო ადგილებს და ჯგუფ-ჯგუფად აღწევდნენ მექას კარიბჭეს. აქ ისინი, ანგელოზების დარად, შვიდჯერ შემოუვლიდნენ ქააბას, ეხებოდნენ და კოცნიდნენ იდუმალ შავ ქვას, სვამდნენ ზამზამის წყაროს წყალს და პატივს მიაგებდნენ თავიანთ წინაპარს, ისმაელს; მომლოცველები ყველა დადგენილ წესს ასრულებდნენ და ისევ მშვიდობიანად ბრუნდებოდნენ შინ, რათა კვლავ იარაღი აესხათ და ომში ჩართულიყვნენ.

იმ შორეულ, "უმეცრების ხანაში", ანუ მუსლიმურ მოძღვრებათა გაცხადებამდე, ლოცვას და მარხვას უპირველესი ადგილი ეჭირა არაბთა რელიგიურ ცხოვრებაში. ისინი სამ მთავარ მარხვას იცავდნენ: ერთი გრძელდებოდა შვიდი, მეორე ცხრა და მესამე ოცდაათი დღის განმავლობაში. ლოცულობდნენ არაბები დღეში სამჯერ: მზის ამოსვლისას, შუადღეს და მზის ჩასვლისას. პირისახე ამ დროს მათი სათაყვანებელი ადგილისკენ, ქააბასკენ ჰქონდათ მიმართული.

არაბებს შორის რელიგიური ხასიათის ბევრი გადმოცემა იყო გავრცელებული. ზოგმა მათგანმა მათში ჯერ კიდევ უძველეს დროს შეაღწია ებრაელთაგან. არაბები თავიანთ რელიგიურ მოვალეობად მიიჩნევდნენ ფსალმუნებისა და იმ წიგნის კითხვას, რომლის შექმნაც შეთს მიეწერება და, რომელიც ზნეობრივი რჩევა-დარიგებებით იყო სავსე.

მექას წმინდა შენობებში შესრულებულ წეს-ჩვეულებებსა და სხვა რიტუალებს ქააბას მცველის ოჯახში აღზრდილ მუჰამადზე ადრეული ბავშვობიდანვე შეეძლოთ თავისი კვალი დაეჩნიათ და მისი ყურადღება მიეპყროთ რელიგიური საკითხებისადმი, რომლებსაც იგი დიდი გულისყურით დაეწაფა. თუმცა მისი მუსლიმი ბიოგრაფები ამტკიცებენ, რომ მუჰამადის დიადი მომავალი ნათლად იყო მინიშნებული სასწაულთა და სიმბოლოთა მთელი რიგით, მაგრამ ეტყობა, მისი აღზრდა, როგორც სხვა არაბი ბავშვებისა, მაინც უთავბოლოდ ხდებოდა: ჩვენ ვიცით, რომ მუჰამადს არც წერა უსწავლია და არც კითხვა.

ასეა თუ ისე, ეს იყო დიდი ნიჭით აღბეჭდილი, დაკვირვებული ბავშვი, რომელსაც უნარი შესწევდა, გაეაზრებინა ყველაფერი, რასაც ხედავდა; მას ჰქონდა მგზნებარე წარმოსახვა, იყო მამაცი და გულზიარი. მლოცველთა ყოველწლიური შეკრება აქცევდა მექას ყველა უკანასკნელი ამბისა და საყურადღებო ცნობათა თავმოყრის ადგილად; ბავშვიც ხარბად ეწაფებოდა მათ და თავის მდიდარ მეხსიერებაში უჩენდა სათანადო ადგილს; და ასაკის მატებასთან ერთად მის წინ შესაძლო დაკვირვებათა სულ უფრო ფართო თვალსაწიერი იშლებოდა.

## მუჰამადის პირველი მოგზაურობა სირიაში ქარავანთან ერთად

თორმეტი წლის მუჰამადი განვითარებით ძლიერ უსწრებდა თანატოლებს. მასში უკვე გაიღვიძა ცოდნის წყურვილმა, რასაც ხელს უწყობდა არაბეთის სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსულ ადამიანებთან შეხვედრები. ბიძამისი, აბუ-ტალები, გარდა იმისა, რომ ქა-

აბას მცველის წმინდა წოდებას ატარებდა, ამავე დროს, ვაჭარიც იყო, ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ყურეიშიანთა ტომში. მას საქმიანი კავშირი ჰქონდა ქარავნებთან, რომლებიც სირიასა და იემენში ჩადიოდნენ და იქ ვაჭრობდნენ. მექის კარიბჭეში ქარავნების საზეიმო შემოსვლა და მერე მათი უკანვე გამგზავრება მხიარულ ფაციფუცს იწვევდა ქალაქის ქუჩებში. რა თქმა უნდა, ეს ყოველივე ცნობისმოყვარეობას აღუძრავდა ყმაწვილს, რომელიც საკუთარ წარმოსახვაში უკვე შორეულ ქვეყნებს მოიხილავდა. მუჰამადიც აღარ ფარავდა ცნობისწადილს და ერთხელაც, როდესაც ბიძამისი ქარავანთან ერთად სირიაში მიემგზავრებოდა, და უკვე აქლემზეც უნდა ამხედრებულიყო, მუჰამადმა დაჟინებით მოსთხოვა, ისიც თან წაეყვანა: "ბიძაჩემო, რომ მიდიხარ, ვის ამარა მტოვებ?", – ჩაეკითხა იგი მას.

ამ თხოვნამ მგრძნობიარე გული მოულბო აბუ-ტალებს. მან გადაწყვიტა, ყმაწვილი უკვე საკმარისად დიდია საიმისოდ, რომ მონაწილეობა მიიღოს არაბების ამა თუ იმ საქმიანობაში და შეუძლია ღირსეული დახმარება გაუწიოს ქარავანსო. და აბუ-ტალებმა თან გაიყოლა მუჰამადი.

საქარავნო გზა, რომელსაც ისინი დაადგნენ, იმ მიდამოებსა და ქვეყნებში გადიოდა, რომლებიც მდიდარნი იყვნენ სხვადასხვაგვარი თქმულებებით, იგავებითა თუ ზღაპრებით. არაბები სიამოვნებით იგონებდნენ მათ, როდესაც, საღამოობით, ქარავანი დასასვენებლად ჩერდებოდა ხოლმე. უსასრულო სიმარტოვე, რომელიც თან ახლავს ამ მომთაბარე ხალხის ცხოვრებას, ხელს უწყობდა მათში სხვადასხვაგვარ წარმოდგენათა განვითარებას: არაბთა წარმოსახვის ძალამ აქცია უდაბნო მრავალრიცხოვან კეთილ და ბოროტ სულთა სამყოფელად, ხოლო არაბული თქმულებანი სავსე იყო საარაკო, სასწაულებრივი ამბების აღწერით, რომლებიც, უძველესი დროიდან მოყოლებული, მრავლად მომხდარიყო ამ მიდამოებში.

უეჭველია, საქარავნო შესვენებათა ჟამს ყრმა მუჰამადი მძაფრად აღიქვამდა უდაბნოსთან დაკავშირებულ ყველა არაკსა თუ მონათხრობს; მისმა მეხსიერებამ კარგად შემოინახა ისინი, რაც მომავალში გავლენას ახდენდა მუჰამადის წარმოდგენებზე.

ჩვენ აღვნიშნავთ ორ ლეგენდას, რომლებიც იმხანად უნდა მოესმინა მუჰამადს და, რომლებსაც შემდგომში ყურანის ფურცლებზე ვხვდებით. ერთი მათგანი მთაგორიან ადგილ მუჯართანაა დაკავშირებული: როდესაც ქარავანი იქაურ პირქუშ და უკაცრიელ დაბლობებს გადიოდა, მექარავნეები გარემომცველი მთების ფერდობებზე გამოქვაბულებს ხედავდნენ, რომლებშიც ოდესღაც ბენი-თამუდის (ანუ თამუდის შვილების) აწ გადაშენებულ ტომს უცხოვრია.

აი, რას მოგვითხრობს თქმულება მათ შესახებ: ბუმბერაზების ეს ამპარტავანი ტომი მამა აბრამის დროს ცხოვრობდა. რადგან ბენი-თამუდები კერპთაყვანისმცემლობის ტყვეობაში აღმოჩნდნენ, ჭეშმარიტების გზაზე დასაბრუნებლად უფალმა მათ წინასწარმეტყველი, სახელად სალეხი გაუგზავნა. თამუდიანებმა ყური არ ათხოვეს წინასწარმეტყველს; ისინი უარს ამბობდნენ ღვთის მორჩილებაზე, ვიდრე სალეხი ღვთით მოვლენილობას სასწაულით არ დაამტკიცებდა: სალეხს მთის გულიდან დამაკებული ჯამა აქლემი უნდა გამოეყვანა.

სალეხი ლოცვად შედგა, უფალს სასწაულის მოხდენას შესთხოვდა. უეცრად მთა გაიპო და მთის გულიდან გამოვიდა ჯამა აქლემი, რომელმაც კოზაკი მოიგო.

ამ სასწაულის შემდეგ ზოგი თამუდიანი განუდგა კერპთაყვანისმცემლობას და ჭეშმარიტების გზას დაუბრუნდა, მაგრამ უმრავლესობა ურწმუნო დარჩა.

წასვლისას სალეხმა თან გაიყოლა ის თამუდიანნი, რომლებმაც მისი მოტანილი რწმენა აღიარეს, ხოლო ურწმუნო ტომს დაუტოვა აქლემი და გააფრთხილა, რომ თუკი რამ ბოროტს შეამთხვევდნენ ამ ცხოველს, ღვთის რისხვას ვერ ასცდებოდნენ.

ერთხანს აქლემი მშვიდად ცხოვრობდა მათთან: დილაობით საძოვარზე დადიოდა .

საღამოხანს კი ასევე მშვიდად უკან ბრუნდებოდა. მართალია, როცა წყურვილის მოსაკლავად წყაროს ან ნაკადულს დაეწაფებოდა, თავს მანამდე არ ასწევდა, ვიდრე უკანასკნელ წვეთამდე არ დალევდა, მაგრამ, სამაგიეროდ, შინ დაბრუნებულს იმდენი რძე მოჰქონდა, მთელ ტომს ჰყოფნიდა. ერთი კია, რომ საძოვარზე გასული ჯამა სხვა აქლემებს აშინებდა, რის გამოც მეზობელმა ტომებმა თამუდიანების შეურაცხყოფა და შევიწროვება იწყეს და ეს უკანასკნელნი იქამდე მიიყვანეს, რომ მოაკვლევინეს სალეხის დატოვებული აქლემი.

აქლემის მოკვლა იყო და ციდან შემაძრწუნებელი ძახილი გაისმა, ატყდა საშინელი ჭექა-ქუხილი და გამთენიას ამ ცოდვის ყველა მონაწილე უკვე პირაღმა, უსულოდ ეგდო მიწაზე. ასე გადაშენდა თამუდიანთა ტომი და დარჩა მხოლოდ მათი შიში, აღბეჭდილი ციური წყევლით.

ეტყობა, ამ მონათხრობმა ისე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა მუჰამადზე, რომ შემდგომში არასოდეს აძლევდა თავის ხალხს ნებას, ამ ავადსახსენებელ ადგილზე შეესვენათ. უფრო მეტიც, ყოველთვის აჩქარებდა, მათ, რათა სწრაფად გასცლოდნენ წყეულ მიდამოს.

მეორე თქმულება, ამ მოგზაურობისას რომ მოისმინა მუჰამადმა, შეეხებოდა ქალაქ ეილას, რომელიც წითელ ზღვასთან მდებარეობდა. ამ ადგილას, როგორც ყვებოდნენ, უძველესი დროიდან სახლობდა ერთი ებრაული ტომი, რომელმაც კერპთაყვანისმცემლობა მიიღო და წმინდა შაბათს შეურაცხყოფდა იმით, რომ ამ დღეს თევზს იჭერდა. ამ მკრეხელობისთვის ტომის ყველა მოხუცი ღორად, ახალგაზრდა კი მაიმუნად გადაიქცა.

ეს ორი თქმულება ძირითადად იმ მიზეზით გავიხსენეთ, რომ ისინი თვით მუჰამადს მოჰყავდა ხოლმე იმის ნიმუშად, თუ როგორ სჯის ღმერთი კერპთაყვანისმცემლებს. აქედან ჩანს, როგორ ცხოველ ინტერესს იწვევდა და რა ადგილი ეჭირა ყმაწვილის გონებაში ამ საკითხს.

მუსლიმი მწერლები, ჩვეულებისამებრ, გვიამბობენ სასწაულებრივ მოვლენებზე, რომლებიც მოგზაურობისას თან სდევდა ნორჩ მუჰამადს, როგორც აშკარა საბუთზე იმისა, რომ იგი განუწყვეტლივ ციური მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა. ერთხელ, როდესაც მუჰამადი გავარვარებულ უდაბნოს გადიოდა, თავს უხილავად ანგელოზი დასტრიალებდა და ფრთებით იცავდა მზისგან; სხვა შემთხვევაში მას იფარავდა ღრუბელი, რომელიც შუადღის ხვატში მუჰამადის თავზე ეკიდა. სხვაგვარადაც მომხდარა: როდესაც მუჰამადმა გამხმარი ხის ჩრდილში დასვენება მოიწადინა, ხე გაცოცხლდა და უმალ ფოთოლ-ყვავილით შეიმოსა...

გაირა რა წმინდა წერილში ხშირად მოხსენიებულ მოაბელთა და ყომანიანთა ძველთაძველ სამფლობელოთა საზღვარზე, ქარავანი ჩავიდა ბორსუში (ბოსრაში), რომელიც მდინარე იორდანეს გაღმა, სირიის მომიჯნავე მხარეში მდებარეობდა; აქ მენაშეს ტომი ბინადრობდა. ბიბლიურ ხანაში ეს ლევიანების ქალაქი იყო, ახლა კი ის სავაჭრო ქალაქს წარმოადგენდა, სადაც ყოველწლიურად ქარავნები ჩამოდიოდნენ და ნესტორიანი ქრისტიანები ცხოვრობდნენ. სწორედ აქ, ნესტორიანთა მონასტრის შორიახლოს დაბანაკდნენ ჩვენი მგზავრები.

ნესტორიან ბერთა საძმო გულითადად შეხვდა აბუ-ტალებსა და მის ძმისწულს. ერთ-ერთი ბერი, რომელიც ხან სერგით მოიხსენიება და ხან ბაზარად (თუ ბაგირად), გააოცა მუჰამადთან საუბარმა — ყმაწვილი თავის ასაკთან შედარებით დიდ გონიერებასა და ცოდნის გაღრმავების წყურვილს ავლენდა. ისინი უმთავრესად რწმენაზე საუბრობდნენ და ამ დროს ბერის მთელი ძალისხმევა კერპთაყვანისმცემლობის წინააღმდეგ იყო მიმართული, რადგან ნესტორიანები თაყგამოდებით გმობდნენ არა მარტო თაყვანისცემას ხატებისადმი, არამედ მათ უბრალო გამოყენებასაც კი; მათი ეს თაყგამოდება ისე შორს მიდიოდა, რომ აკრძალვა, რომელიც ყველა თაყვანსაცემ ხილულ ნიშანს ეხებოდა, ნაწილობრივ ვრცელდებოდა ჯვარზეც — ქრისტიანობის სიმბოლოზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგნი ამტკიცებენ, რომ სწორედ ამ ბერთან საუბრების წყალობით გაეცნო მუჰამადი ქრისტიანული რწმენის პრინციპებსა და ლეგენდებს, რომელთა ცოდნაც შემდგომში აღმოაჩნდა; საფიქრებელია, რომ იგი სირიაში შემდგომი მგზავრობების დროსაც ხვდებოდა მასთან დამეგობრებულ ბერს.

მუსლიმი მწერლები ამტკიცებენ, რომ ქრისტიანმა ბერმა ახალგაზრდა უცხოტომელს ყურადღება იმიტომ მიაქცია, რომ მის მხრებს შორის წინასწარმეტყველების ბეჭედი შენიშნა; რასაკვირველია, არც სასწაულებრივი მინიშნების გარეშე იქნებოდა გასაკვირი, თუ სექტანტი ბერი ყურადღებას მიაქცევდა ჭკვიან და ცნობისმოყვარე ყმაწვილს, თანაც ქააბას მცველის ძმისშვილს, ვისაც შეეძლო მექაში ქრისტიანული სწავლების იმ ჩანასახის ჩატანა, ყმაწვილის მგრძნობიარე სულში რომ ჩათესა. ცხადია, ბერი სერგი აპირებდა, თავის სარწმუნოებაზე მოექცია მუჰამადი, რომლის რელიგიური წარმოდგენებიც ჯერ არ იყო ჩამოყალიბებული.

მექაში დაბრუნებული მუჰამადის მეხსიერებამ კარგად შემოინახა უდაბნოში მოსმენილი არაკები და ლეგენდები; მის გონებაში თავისი ადგილი დაიმკვიდრა ნესტორიანთა მონასტერში მოსმენილმა სწავლებამაც. ეტყობა, მას სამომავლოდაც შემორჩა თავისებური, იდუმალი კრძალვა სირიის მიმართ იქ მიღებულ რელიგიურ შთაბეჭდილებათა გამო; სწორედ ამ ქვეყანაში მოვიდა ოდესღაც პატრიარქი აბრამი და სწორედ აქ მოიტანა მან ერთიანი ღმერთის ჭეშმარიტი რწმენა.

## მუჰამადის სავაჭრო საქმიანობა და ხადიჯაზე დაქორწინება

სირიაში მოგზაურობის შემდეგ ჭაბუკი მუჰამადი საბოლოოდ ჩაერთო უფროსთა საქმიანობაში. იგი ხშირად ახლდა ბიძებს მრავალრიცხოვან მოგზაურობებში. თექვსმეტი წლისა, მუჰამადი ბიძამის ზობეირთან ერთად გაჰყვა იემენში მიმავალ ქარავანს; აქედან მოყოლებული, იგი ზობეირის საჭურველთმტვირთველის მოვალეობას ასრულებდა და მონაწილეობდა ჰავაზენიანთა ტომის წინააღმდეგ გამართულ ომშიც, რომელშიც ყურეიშიანნი ქენათიანებს ეხმარებოდნენ.

გადმოცემით, მუჰამადი პირველად მონაწილეობდა ბრძოლაში, თუმცა მთელი მისი საომარი დამსახურება იმით ამოიწურებოდა, რომ ბიძამისს ისრებით ამარაგებდა და მტრის დარტყმებისგან იფარავდა. ამ ომს არაბი მემატიანეები სამარცხვინო სახელით, "ალ ფოჯარად" ანუ "უკეთურ ომად" იხსენიებენ, რადგან იგი საღვთო ლოცვისთვის განკუთვნილ წმინდა თვეებში მომხდარა.

რაც უფრო ვაჟკაცდებოდა მუჰამადი, მით უფრო მეტი ადამიანი სარგებლობდა მისი, როგორც სავაჭრო საქმიანობაში გამოცდილი კაცის, დახმარებით. ყოველივე ეს აფართოებდა მის წარმოდგენას სამყაროზე და ამდიდრებდა ცოდნით ადამიანთა ხასიათებისა და მათი საქმიანობის შესახებ.

მუჰამადი ხშირად სწვევია ბაზრობებს, რომლებიც არაბეთში არა მხოლოდ ვაჭრობის ადგილი იყო, არამედ ასპარეზიც სხვადასხვა ტომის წარმომადგენელთა პოეტური პაექრობისთვის. აქაურ შეჯიბრში გამარჯვებულები ჯილდოს იღებდნენ, და მათი პოემები არაბ მთავართა არქივებში გადადიოდა შესანახად. ყველაზე ხშირად ასეთი შეჯიბრები ოქაზის ბაზრობაზე იმართებოდა; იქ გამარჯვებული შვიდი პოემა ქააბაში ნადავლივით იყო გამოფენილი. ამ ბაზრობაზე ყვებოდნენ ნაირ-ნაირ არაბულ თქმულებებს და ზღაპრებს, ეცნობოდნენ იმდროინდელ არაბეთში გაბატონებულ სარწმუნოებებს. ზეპირი გადმოცემის ამ ულევი წყაროდანაც იძენდა მუჰამადი ცოდნას სხვადასხვა რელიგიურ სწავლებათა შესახებ, რასაც შემდგომში ხშირად ავლენდა.

ცხოვრობდა იმხანად მექაში ერთი ქვრივი ქალი ყურეიშიანთა ტომიდან, სახელად ხადიჯა; ის ორჯერ ყოფილიყო გათხოვილი. მეორე ქმარი, მდიდარი ვაჭარი, არცთუ დიდი ხნის წინ მოკვდომოდა და მისი სავაჭრო სახ-

ლი უხელმძღვანელოდ დარჩენილიყო. ქვრივის ნათესავი ჰეზამი სავაჭრო მოგზაურობაში ყოფილა მუჰამადთან ერთად და შეუმჩნევია, თუ როგორ კეთილსინდისიერად და მარჯვედ ასრულებდა იგი თავის მოვალეობებს. ამიტომაც წარუდგინა მან დეიდამისს მუჰამადი, როგორც პიროვნება, ვინც სავსებით გაართმევდა თავს ხადიჯას ყველა საზრუნავს.

მუჰამადის გარეგნობამ დიდად შეუწყო ხელი ამ რჩევის მიღებას. იმ დროისათვის იგი უკვე ოცდახუთი წლისა იყო და არაბი მწერლები აღტაცებით აღნიშნავენ მის სილამაზეს და ნირ-საქციელს.

ხადიჯამ ისე მოიწადინა, დახმარებოდა მუჰამადი, რომ ორმაგი ანაზღაურება შესთავაზა სირიაში გასამგზავრებლად მზადყოფი ქარავნის გაძღოლაში. მუჰამადმა რჩევა სთხოვა აბუ-ტალებს და მისი თანხმობის შემდეგ მიიღო ქვრივის წინადადება. ამ მგზავრობაში მისი დამხმარენი უნდა ყოფილიყვნენ ჰეზამი და ხადიჯას ერთგული მონა მაისარა.

ქარავნის დაბრუნების შემდეგ ხადიჯამ იმდენად მოუწონა მუჰამადს დაკისრებული მოვალეობის შესრულება, რომ თავდაპირველად დანიშნულ გასამრჯელოზე ორჯერ მეტი გადაუხადა. მას შემდეგ ქვრივი ხშირად გზავნიდა მუჰამადს არაბეთის სამხრეთში და ყოველთვის მისი კმაყოფილი რჩებოდა.

ორმოცი წლის ხადიჯა გამოცდილი და თავდაჭერილი ქალი იყო. იგი სულ უფრო დიდ პატივს სცემდა მუჰამადს გონიერებისათვის, მისი გული კი ახალგაზრდა, ლამაზ მამაკაცს დაეტყვევებინა. არაბული ლეგენდის თანახმად, ქალის ეს ლტოლვა კვლავ სასწაულმა გამოააშკარავა და განამტკიცა...

შუადღე იყო. ხადიჯა, მსახურ ქალებთან ერთად, თავისი სახლის ბანზე ელოდებოდა მუჰამადის ქარავნის დაბრუნებას. გამოჩნდა ქარავანიც, და მისი მოახლოებისას ქვრივი განცვიფრდა: მან დაინახა, რომ ორი ანგელოზი ფრთებით იცავდა მზისგან მუჰამადს. აღელვებულმა ხადიჯამ მოახლეებიც გაახედა ქარავნისკენ, რომ მათაც ეხილათ სასწაული: "შეხედეთ, აი, ღმერთის რჩეული, რომელსაც მისი გამოგზავნილი ორი ანგელოზი იცავს!"

ქვრივმა უმალ ირწმუნა თავისი ახალგაზრდა მოურავის ზეადამიანური ბუნება და თავის ერთგულ მონას, მაისარას დაავალა, მუჰამადისთვის ხადიჯასთან ქორწინება შეეთავაზებინა. ლეგენდა მოკლედ და სადად იტყობინება, თუ როგორ შეასრულა მაისარამ ეს დავალება:

– რატომ ცოლს არ ირთავ, მუჰამად? – ჰკითხა მაისარამ.

– უსახსრობის გამო, – უპასუხა მუჰამადმა.

– მდიდარ, თანაც ლამაზ და კეთილშობილ ქალს რომ სურდეს შენი ცოლობა?

– ვინაა ეს ქალი?

– ხადიჯა.

– შეუძლებელია!

– ამ საქმეს მე მოვაგვარებ, – მიუგო მაისარამ.

მაისარა დაბრუნდა ქალბატონთან და მოახსენა გამართული საუბრის შესახებ. დათქმულ იქნა ხადიჯას და მუჰამადის პაემანის საათი და საქმე გაეწყო იმ სისწრაფითა და გონივრულობით, რითაც ჩვეულებრივ გამოირჩეოდა მუჰამადი.

მართალია, ხადიჯას მამა არ იწონებდა ამ ქორწინებას მუჰამადის ხელმოკლეობის გამო (ის იზიარებდა საყოველთაო აზრს, რომ სიმდიდრე სიმდიდრეს უნდა მიმატებოდა), მაგრამ ქვრივი სიმდიდრეს მხოლოდ გულისწადილის ასრულების საშუალებად მიიჩნევდა.

ხადიჯამ დიდი წვეულება გამართა, რომელზეც დაპატიჟა მამამისი და თავისი ნათესავები, აგრეთვე მუჰამადის ბიძა აბუ-ტალები, ჰამზა და სხვა ყურეიშიანები. ნადიმზე დიდძალი ღვინო შეისვა და მალე სტუმარმასპინძელი საყოველთაო მხიარულებამ მოიცვა. აღარავის ახსოვდა მუჰამადის სიღარიბე. მომავალ ქორწინებაზე სიტყვა წარმოთქვეს, ერთი მხრიდან, აბუ-ტალებმა, მეორე მხრიდან – ხადიჯას ნათესავმა, ვარაყამ. მზითვის საკითხიც მოგვარდა და ქორწინებაც დამტკიცდა.

ამის შემდეგ მუჰამადმა განკარგულება

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გასცა, სახლის წინ აქლემი დაეკლათ და ხორცი ღარიბებისთვის დაერიგებინათ. მუჰამადის სახლის კარი ყველასთვის ღია იყო, სახლში დაფდაფების ხმაზე ხადიჯას მონა ქალები ცეკვავდნენ, ყველგან ჟივილხივილი და მხიარულება სუფევდა. აბუ-ტალებმა თავისი ასაკი და მისთვის ჩვეული უხასიათობა დაივიწყა და მხიარულებას შეუერთდა; ქისაც ამოიღო და, ახლადდაქორწინებულთა სახელზე, როგორც ჰაშემიანთა სახლის თავკაცმა, ოცნახევარი ოყა ნაღდი ოქროს ფული (ოცი ახალგაზრდა აქლემის საფასური) დადო. მუჰამადის ძიძა ჰალიმამ საჩუქრად ორმოცი ცხვარი მიიღო და, მათთან ერთად, გამდიდრებული და ბედნიერი, მშობლიურ ველს დაუბრუნდა.

*მუჰამადი ქორწინების შემდეგ. მისი* სწრაფვა რელიგიური რეფორმებისადმი. ხილვა გამოქვაბულში. მუჰამადი თავს წინასწარმეტყველად აცხადებს.

ხადიჯასთან ქორწინებამ მუჰამადი თავისი ქალაქის ერთ-ერთ ყველაზე მდიდარ კაცად აქცია. მას საზოგადოებაზე დიდი გავლენა ჰქონდა თავისი კეთილი ზნის წყალობითაც. ისტორიკოსი აბულფედა ამბობს, რომ ღმერთმა იგი დააჯილდოვა ყველა იმ თვისებით, რაც ამშვენებს და სრულყოფილებას სძენს პატიოსან ადამიანს; სუფთა და გულწრფელი მუჰამადისგან იმდენად შორს იყო ყოველგვარი უკეთური აზრი, რომ მას უფრო ხშირად ალ-ამინად იხსენიებდნენ, რაც ერთგულს, სანდოს, საიმედოს ნიშნავს.

მუჰამადს თანაქალაქელები იმდენად ენდობოდნენ, რომ პატიოსნებისა და განსჯის უნარის გამო ხშირად შუამავლობას სთხოვდნენ, თუკი რამ დავა შეიქნებოდა ან შუღლი ჩამოვარდებოდა, ერთ-ერთი გადმოცემა მოგვითხრობს, თუ რა ბრძნულად მოქმედებდა მუჰამადი ამგვარ შემთხვევებში.

ერთხელ, ხანძრის შედეგად დაზიანებული ქააბა შეკეთებას საჭიროებდა, რის გამოც აუცილებელი გახდა წმინდა შავი ქვის სხვა ადგილზე გადატანა. არაბთა სხვადასხვა ტომის წინამძღოლებს შორის დიდი კამათი წარმოიშვა იმის თაობაზე, თუ რომელ მათგანს ეკუთვნოდა ამ წმინდა მოვალეობის შესრულების უფლება. ბოლოს მოქიშპეებმა დაადგინეს, გადაწყვეტილება იმ კაცისთვის მიენდოთ, ვინც პირველი შევიდოდა ალ-ჰარამ-აშ-შარიფის კარიბჭეში. ისე მოხდა, რომ პირველმა სწორედ მუჰამადმა გაიარა კარიბჭე. მოისმინა რა წინამძღოლთა ჩივილი, მან დიდი ნოხი მოატანინა და მიწაზე დააგებინა. ამის შემდეგ წმინდა ქვა ნოხზე დაადებინა და ყოველი ტომის თითო-თითო წარმომადგენელს ჩაავლებინა ხელი ნოხის კიდეს; ამგვარად, წმინდა ქვა ყველას მიერ ერთდროულად იქნა აწეული მისთვის შერჩეულ ადგილამდე, *სადაც ის თავად მუჰამადმა მოათავსა.*

*მუჰამადსა და ხადიჯას ოთხი ქალიშვი*ლი და ერთი ვაჟი ეყოლათ[4]. ვაჟს ყასემი დაარქვეს და ამიტომ მუჰამადიც, არაბული ტრადიციის თანახმად, აბუ-ყასემად (ე. ი. ყასემის მამად) იწოდებოდა, თუმცა ყასემი ადრეულ ბავშვობაშივე გარდაიცვალა.

მუჰამადს ქორწინებიდან მრავალი წლის შემდეგაც არ დაუნებებია თავი ვაჭრობისთვის. იგი ეწვეოდა ხოლმე არაბების მიერ გამართულ დიდ ბაზრობებს და მონაწილეობდა შორეულ მოგზაურობებში ქარავნებთან ერთად, თუმცა ეს მოგზაურობები აღარ იყო ისეთი სარფიანი, როგორც ადრე; ასე რომ, ცოლის მზითვად მიღებული ქონება არათუ არ იზრდებოდა, მცირდებოდა კიდეც. სამაგიეროდ ამ სიმდიდრემ გაათავისუფლა იგი საჭიროებისგან, ეშრომა თავის სარჩენად: მან მოუტანა მოცალეობა და ამით მისცა საშუალება, დაეკმაყოფილებინა ბუნებრივი სწრაფვა ოცნებისა და რელიგიური განსჯისათვის, რასაც ბავშვობიდან ავლენდა.

ქორწინების შემდეგ მუჰამადის რელიგიურ შეხედულებებზე გავლენას ახდენდა ხადიჯას ნათესავი ვარაყაც; ეს გამჭრიახი გონების კაცი უმეტეს დროს ხადიჯას სახლში

ატარებდა, როგორც ერთგვარი შინაურ მისანი. სარწმუნოებით ის ჯერ ებრაელი იყო, მაგრამ შემდეგ გაქრისტიანდა. თან ვარსკვლავთმრიცხველობას ეწაფებოდა. ეს პიროვნება თუნდაც იმიტომაა ყურადღების ღირსი, რომ პირველი იყო, ვინც ძველი და ახალი აღთქმის წიგნები თარგმნა არაბულად. ვარაუდობენ, რომ მუჰამადი სარგებლობდა მისი ცნობებით ამ წმინდა წიგნების შესახებ, ისევე როგორც, გადმოცემებით მიშნასა და თალმუდზე[5].

ის მრავალმხრივი ცოდნა, მუჰამადს რომ დაუგროვდა, აშკარად ეწინააღმდეგებოდა მექასა და მთელ არაბეთში გავრცელებულ კერპთაყვანისმცემლობას. ქააბას წმინდა შენობა გაივსო კერპებით, რომელთა რაოდენობამ სამას სამოცს მიაღწია, ასე რომ, არაბული წლის თითო დღეზე თითო კერპი მოდიოდა. აქ ჩამოჰქონდათ სხვა ხალხების ღვთაებათა კერპებიც, მათი გამოსახულებანი; მათგან მთავარი იყო სირიიდან ჩამოტანილი ხუბალი — როგორც ამბობდნენ, მას წვიმის მოყვანა ძალუძდა. კერპებს შორის იყვნენ აბრამი და ისმაელი, არაბთა დიდი წინაპარნი და წინასწარმეტყველნი, რომლებიც ამჟამად გამოსახულნი იყვნენ ჯადოსნური ისრებით ხელში: ეს მათი მაგიური ძალის სიმბოლო იყო.

რაც უფრო ადარებდა მუჰამადი ამგვარ კერპთაყვანისმცემლობას იმ რელიგიათა სულიერ წიაღებს, რომლებიც თვითონ შეესწავლა, მით უფრო ხედავდა მის ტლანქ, უგვან ხასიათს. ყურანის სხვადასხვა ადგილას აშკარად ამოიკითხება ერთი გაბატონებული აზრი, სულ უფრო ნათლად რომ იკვეთებოდა მის გონებაში, ვიდრე მან მუჰამადის მთელი ძალისხმევა არ დაიქვემდებარა: ეს იყო რელიგიური რეფორმის გატარების აუცილებლობა. მთელი მისი ცოდნა და ნააზრევი ეჭვმიუტანლად არწმუნებდა მუჰამადს, რომ ერთადერთი ჭეშმარიტი სარწმუნოება ადამს მიეცა, ანუ პირველცოდვამდე იქნა შეცნობილი და აღიარებული. ეს სარწმუნოება გულისხმობდა ცისა და მიწის ერთი ჭეშმარიტი ღმერთის თაყვანისცემას.

მუჰამადი ფიქრობდა, რომ ეს უბრალო და ამაღლებული რწმენა ხშირად მახინჯდებოდა და მდაბლდებოდა ადამიანთა მიერ და, უმთავრესად, ეს კერპთაყვანისმცემლობაში ხდებოდა.

დრო და დრო, ხანი რომ გამოხდებოდა, სამყაროს უზენაესის მიერ ზეშთაგონებული წინასწარმეტყველნი მოევლინებოდნენ ხოლმე, რათა პირველსაწყისი სარწმუნოება აღედგინათ. ასეთი წინასწარმეტყველნი იყვნენ ნოე, აბრამი, მოსე: ასეთი იყო იესო ქრისტე. ყოველმა მათგანმა აღადგინა დედამიწაზე ჭეშმარიტი აღმსარებლობა, მაგრამ ის მაინც მახინჯდებოდა. ეტყობა, მუჰამადისთვის სანიმუშოდ რჩებოდა ქალდეადან ჩამოსული აბრამის რწმენა — იგი დიდ პატივს სცემდა ამ პატრიარქს, როგორც არაბთა მოდგმის ფუძემდებლის, ისმაელის მშობელს.

მუჰამადის აზრით, ახალი რეფორმის დრო დადგა: მსოფლიო კიდევ ერთხელ დაჰყვა ბრმა კერპთაყვანისმცემლობას. უსათუოდ საჭირო იყო ახალი წინასწარმეტყველი, ვინც ადამის ძეთა ზნედაცემულ მოდგმას ჭეშმარიტ გზაზე დააბრუნებდა, ვინც აღადგენდა აბრამისა და სხვა მამამთავართა დროინდელ მოწიწებას ქაბასადმი.

ფიქრი ასეთი წინასწარმეტყველის მოვლინებასა და იმ ცვლილებებზე, რასაც ეს მოასწავებდა, არ ასვენებდა მუჰამადს. იგი სულ უფრო ხშირად იყო ჩაფიქრებული, სულ უფრო მეტ დროს უთმობდა ჭვრეტას, რაც ერთობ შეუთავსებელი იყო ჩვეულებრივ საყოფაცხოვრებო საზრუნავთან, მთელ ამქვეყნიურ ამაოებასთან.

დრო გადიოდა და მუჰამადიც თანდათან სცილდებოდა საზოგადოებას, თავს არიდებ-

და მას: იგი განმარტოებას ესწრაფვოდა. მხოლოდ მექადან მოშორებით, ჰირას მთის გამოქვაბულში პოულობდა იგი სულის სარგებელ სიმყუდროვეს და, ქრისტიან მეუდაბნოეთა მსგავსად, ათენებდა და აღამებდა იქ ლოცვასა და ჭვრეტა-განსჯაში.

ერთსა და იმავე საკითხებზე დაძაბულმა ფიქრმა შეძრა, სულიერად ააფორიაქა მუჰამადი. მას დაეწყო ხილვები, მოლანდებები, ის ხან გონებას კარგავდა, ხან სიშმაგე აიტანდა. ზოგჯერ მიწაზე უგრძნობლად გართხმული, სულ მთლად კარგავდა გარემოსთან კავშირს. ერთი ისტორიკოსის ცნობით, მუჰამადი ნახევარი წლის განმავლობაში მუდმივად ხედავდა სიზმრებს იმაზე, რაც მას დღისით აწუხებდა.

განდეგილს ხანდახან მისი ერთგული მეუღლე ხადიჯა მოინახულებდა და მასთან რჩებოდა ხოლმე. იგი დიდი წუხილითა და მზრუნველობით ეკიდებოდა ქმრის ამგვარ მდგომარეობას და ემუდარებოდა, მოეთხრო ყოველივე ამის მიზეზი, მაგრამ მუჰამადი ან პასუხს თავს არიდებდა, ან ეს პასუხი საიდუმლო მინიშნებებით იყო სავსე.

თუ მუჰამადის მოწინააღმდეგენი ამ შეტევებს ბნედით ხსნიდნენ, მართლმორწმუნე მუსლიმები ამაში წინასწარმეტყველური ძალის გამოვლინებას ხედავდნენ — უზენაესის მითითებანი, თუმცა ჯერ ბუნდოვნად, მაგრამ უკვე ისახებოდა მუჰამადის სულში: მას ხომ იმგვარ იდეათა შეთვისება უწევდა, ადამიანის გონების შესაძლებლობებს რომ სცილდებოდა.

მაგრამ ერთ დღეს ყველაფერი გასრულდა: მას შემდეგ, რაც მუჰამადს ანგელოზი გამოეცხადა და ღვთის სიტყვა ამცნო, ყოველივე, რაც მანამდე ბუნდოვნად ეზმანებოდა, სრულიად ნათელი და აშკარა შეიქნა.

ეს შემთხვევა ყურანშიცაა ასახული. იმ დროისათვის მუჰამადი უკვე ორმოცი წლისა იყო...

... რამადანის თვე იდგა. ჩვეულებისამებრ, მუჰამადი მას ჰირას გამოქვაბულში ატარებდა. განმარტოებული, იგი ეცადა მარხვით, ლოცვითა და ფიქრით განწმენდილიყო ღვთაებრივი ჭეშმარიტების შესაცნობად.

მოსაღამოვდა, შემდეგ დადგა ღამე, რომელსაც არაბები ალ-ყადერის, ანუ ღვთაებრივი განჩინების ღამეს უწოდებდნენ: ყურანის მიხედვით, ამ ღამეს დედამიწაზე ჩამოდიან ანგელოზები და გაბრიელი ღვთის ნებას იუწყება. მზის ამოსვლამდე ყველგან მშვიდობა სუფევს: სიწმინდეში განისვენებს ბუნება და მყუდროება ისადგურებს დედამიწაზე.

მოსასხამში გახვეული მუჰამადი ღამის სიჩუმეს აყურადებდა. მოულოდნელად ძახილი მოესმა, მას უხმობდნენ. მუჰამადმა მიიხედა და უეცრად აუტანლად ბრწყინვალე სინათლის ნაკადში მოექცა. ადამიანის იერის ანგელოზი მიუახლოვდა და აბრეშუმის გრაგნილი გადაუშალა.

"იკითხე", — უთხრა ანგელოზმა.

"კითხვა არ ვიცი", — თქვა მუჰამადმა.

"იკითხე", — გაუმეორა ანგელოზმა — "იკითხე სამყაროს შემოქმედი ღმერთის სახელით, რომელმაც ადამიანი სისხლის წვეთისგან შექმნა. იკითხე უზენაესის სახელით, რომელმაც კალმით წერა ასწავლა ადამიანებს, ცოდნის სხივით გაუნათა სული და იმას აუწყებს, რაც არასდროს სცოდნიათ".

მუჰამადმა უმალ შეიგრძნო, რომ მისი გონება ღვთაებრივი სინათლით აივსო. მან ამოიკითხა გრაგნილზე ღვთიური ნება — ის, რაც შემდგომში ყველას საცნობად ყურანში შეიტანა. როდესაც მუჰამადი კითხვას მორჩა, ციურმა მაცნემ წარმოთქვა: "მუჰამად, ჭეშმარიტად ღვთის წინასწარმეტყველი ხარ, მე კი ანგელოზი მისი, გაბრიელი!"

იმავე დილით განცვიფრებული, აკანკალებული მუჰამადი ხადიჯასთან დაბრუნდა. მას ვერ დაეჯერებინა, რომ მართლა წინას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმეტყველი იყო — ის, ვისაც დიადი გარდაქმნა უნდა მოეხდინა; იქნებ ეს ოდენ გრძნობააშლილი კაცის ზმანება იყო, ან სულაც ბოროტი სული აცდუნებდა?!

მორწმუნე და მეუღლის მოსიყვარულე ხადიჯა ნდობით შეხვდა მუჰამადს. მომხდარში ის ქმრის მისწრაფებათა ასრულებას ხედავდა და იმედოვნებდა, რომ მუჰამადის ტანჯვაწამებას ბოლო მეღებოდა.

"რა სასიხარულო ამბავი მომიტანე", — გაუხარდა ხადიჯას — "ვფიცავ იმას, ვის ხელთაცაა ხადიჯას სული, რომ ამიერიდან ჩვენი ხალხის წინასწარმეტყველად მიგიჩნევ". "გაიხარე", — დასძინა მან, — "ღმერთი არ დაუშვებს, რომ ყოველივე ეს შენი მარცხით დასრულდეს. გაიხსენე, განა არ გიყვარდა შენი ახლობლები და კეთილი არ იყავი მეზობლების მიმართ! განა გულმოწყალე არ იყავი გლახაკთადმი და სტუმართმოყვარე — ლტოლვილთა მიმართ! განა მუდამ არ ასრულებდი შენს სიტყვას და არ იცავდი ჭეშმარიტებას?!"

მომხდარის შესახებ ხადიჯამ უმალ თავის ნათესავს, ვარაყას შეატყობინა. წმინდა წერილის მთარგმნელმა, ვარაყამ მისთვის ჩვეული გზნებით აღიქვა ეს საოცარი ამბავი. "ვფიცავ მის სახელს, ვის ხელთაცაა ვარაყას სული, რომ სიმართლეს ამბობ, ო, ხადიჯა! ანგელოზი, რომელიც შენს ქმარს მოევლინა, სწორედ ისაა, ვინც ოდესღაც გამოეცხადა მოსეს, აბრამის შთამომავალს. ჭეშმარიტია ეს ცნობა: შენი ქმარი მართლაც წინასწარმეტყველია!"

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

შენიშვნები:

1 არაბული სიტყვებისა და სახელების ჩვენეული ტრანსკრიფციისთვის ამოსავალი ძირითადი პრინციპებია:

ა. თანამედროვე ქართული ენის ორთოგრაფიული წესების დაცვა;

ბ. კლასიკურ (და არა დიალექტურ) არაბულ ენაში თანხმოვნების წარმოთქმა და მათი რაც შეიძლება ადექვატური რეპროდუქცია ქართული ენის ბგერწერით;

გ. არაბული ენის სამხმოვნიანი სისტემის გადმოცემა ქართული ასოებით შემდეგნაირად: გრძელი ა, ი, უ იწერება: ა, ი, უ; მოკლე ა, ი, უ. იწერება: ა, ე, ო.

2 ქააბა – კუბის ფორმის წმინდა ტაძარი მექაში (არაბულად "ქა'ბა" ანუ კუბი, კუბის ფორმის შენობა), იმყოფება წმინდა კომპლექს ჰარამის იგივე ბაითულ-ლაჰის, კოლონებით გარშემორტყმული დიდი მართკუთხა ეზოს შუაგულში. აშენებულია 608 წელს, უკანასკნელად აღდგენილია 1684 წელს.

3 ლევიანები — ძველებრაული სასულიერო კასტა, მისი წარმომადგენლები 12 ებრაულ თემთაგან არც ერთში არ შედიოდნენ და ებრაული ერთობისთვის იღვწოდნენ.

4 გადმოცემათა თანახმად მუჰამადს ყასემის გარდა კიდევ ორი ვაჟი ეყოლა, აბდალაჰი და ატტაჰირი, რომლებიც ასევე მცირეწლოვანნი გარდაიცვალნენ.

5 მიშნა და თალმუდი — თალმუდი რელიგიურ, სამართლებრივ და ეთიკურ დებულებათა კრებულია იუდაიზმში. შეიცავს სამოქალაქო და საოჯახო ცხოვრების რეგლამენტაციას, დიდაქტიკური ლიტერატურის ძეგლებს, ლოცვებს, მითებს, ლეგენდებს: მიშნა თალმუდის უძველესი ნაწილია და წარმოადგენს ძველი აღთქმის წიგნების ვრცელ კომენტარს (63 ტრაქტატი), რომელსაც თან ახლავს თვით მიშნას განმარტებანი, ანუ გემარა.

6 მუჰამადის პასუხი ანგელოზისადმი, მ. პიოტროვსკის აზრით ("Коранические сказания", М. Наука, 1991 г. გვ. 169), შეიძლება თარგმნილ იქნას სხვაგვარადაც, ანუ: "რა წავიკითხო?" პირველი შეხედულების გაბატონება კი დაკავშირებულია წინასწარმეტყველების მუსლიმური თეორიის საერთო კონცეფციასთან, რომლის თანახმად მუჰამადმა წერა-კითხვა არ იცოდა და სწორედ ამიტომ იყო განსაკუთრებით სუფთა და ღია ღვთიური ზეშთაგონების მისაღებად. ამრიგად, გამორიცხული არაა, რომ მუჰამადს წერა-კითხვა სცოდნოდა.

თარგმნა გიორგი მანელაშვილმა

წიგნიდან: В.Ирвинг, "Жизнь Магомета", Махачкала: Дагкнигоиздат,1991

(იბეჭდება შემოკლებით)

## რომენ როლანი



### რამაკრიშნას ცხოვრება

"... უნდა ისუნთქო, სული მოითქვა, ძალა ამოხაპო სიცოცხლის დიდი, მარადცინცხალი წყაროებიდან. და სად მიაგნებ მას, თუ არა კაცთა მოდგმის აკვანში, იმ წმინდა მწვერვალებზე, საიდანაც რბიან ინდი და განგი, სპარსეთის ჩქერალები და სამოთხის მდინარეები? ვიწროა დასავლეთი: სული მეხუთება პაწია საბერძნეთში, გული მიმდის მშრალ იუდეაში. მიმიშვით ერთი, აზიის მაღლობიდან გადავხედო ღრმა აღმოსავლეთს — აი, ხად ყვავის ჩემი პოემა, ვრცელი, ვით ზღვა ინდოეთისა, კურთხეული, მზით დაქარგული, წიგნი ღვთაებრივი ჰარმონიისა, რომელიც არ იცნობს დისონანსს. იქ შუბლგახსნილი მშვიდობა სუფევს, თვით ცხარე ბრძოლაშიც უსასრულო ხიბლია, უსაზღვრო ძმობა, ყოველ სულიერზე რომ ვრცელდება; სიყვარულის, თანალმობის, გულმოწყალების უფსკერო — უჰორიზონტო ოკეანე. მე ვიპოვე, რასაც ვეძებდი: ბიბლია სიკეთისა!"

მიშლე

"კაცობრიობის ბიბლია", 1864

მე მუდმივი ურთიერთობა მქონდა რამაკრიშნას მისიის საბჭოსთან, რომლის წყალობითაც ჩემთვის მისაწვდომი გახდა ყველა საჭირო დოკუმენტი, გამორჩეულად ვემადლიერები ბელურ მათის (მონასტრის) დღევანდელ საპატიო პრეზიდენტსა და მმართველს, სვამი შივანანდას, რომელმაც დამდო პატივი, მოეთხრო ჩემთვის პირადი მოგონებები თავის მასწავლებელზე; ასევე, სვამის ღვთისნიერ მოწაფესა და ევანგელისტს, მაჰენდრა ნათ გუპტას, ვისი სახელიც მოკრძალებულად დგას უბრალო ინიციალის უკან, ახალგაზრდა მეცნიერს, ბოში სენს, ერთდროულად ჯ. ს. ბოსესა და ვივეკანანდას მოწაფეს, რომელმაც, და ქრისტინის მიერუფლებამოსილმა, გამიზიარა ამ უკანასკნელის გამოუქვეყნებელი მოგონებები (და ქრისტინი, და ნივედიტასთან ერთად, იყო ვივეკანანდას უახლოესი დასავლელი მოწაფე); მის ჟოზეფინა მაკ ლეოდს, დიდი სვამის ერთგულ და აქტიურ მეგობარს; განსაკუთრებით "პრაბუდა ბჰარატას" გამომცემელს, სვამი აშოკანანდას, რომელიც არასოდეს დაუღლია ჩემს დაუღალავ კითხვებს და მუდამ მცემდა პასუხს თავისი უღრმესი ერუდიციის წყალობით. სწორედ მას ვუმადლი რამაკრიშნას მისიის თაობაზე მოწვდილ ყველაზე სრულ ცნობებს.

მადლობას ვწირავ, აგრეთვე, ბატონ დჰან გოპალ მუკერჯის, რომელმაც პირველმა გამანდო რამაკრიშნას არსებობის ფაქტი. დაბოლოს, ჩემს ერთგულ მეგობარს, დოქტორ კალიდას ნაგს, ვისმა რჩევებმაც არაერთხელ დამაყენა სწორ გზაზე.

ნაყოფიერად მესარგებლოს ამდენი შესანიშნავი მეგზურის დახმარებით, რათა ღირსი სამსახური გავუწიო ჩვენთვის ესოდენ ძვირფას ინდოეთს და სულს ადამიანისას!

### დასავლელ მკითხველს

მე ჩემი ცხოვრება მივუძღვენი ადამიანთა ერთმანეთთან დაახლოებას. ვცადე დამეახლოვებინა ევროპის ხალხები და, განსაკუთრებით, ორი დიდი მოქიშპე ძმა. ამასვე ვცდილობ, აგერ უკვე ათი წელია, დასავლეთისა და აღმოსავლეთის მიმართ. მსურს ვცადო დაახლოება ადამიანური გონის იმ განსხვავებულ ფორმებისაც, რომელთაც, როგორც ითვლება, — და მცდარად! — განასახიერებს დასავლეთი და აღმოსავლეთი: რაციონალური აზ-

როვნება და რწმენა, უფრო ზუსტად კი – აზროვნებისა და რწმენის სხვადასხვაგვარი ფორმები, რადგან ერთიცა და მეორეც დასავლეთში და აღმოსავლეთში მოცემულია თითქმის ერთნაირად, მაგრამ ამას ვერავინ ამჩნევს...

ჩვენს დროში სულის ეს ორი ნახევარი აბსურდულად არის განცალკევებული. მავანნი დარწმუნებულნი არიან, რომ ამ ფორმების ურთიერთშეთავსება წარმოუდგენელია. თუმცა წარმოუდგენელი მხოლოდ მათი ხაყალალო სწორხაზოვნებაა, ვისაც ამ ფორმათაგან რომელიმეს წარმომადგენლად მოაქვს თავი.

ერთ მხარეს დგანან ისინი, რელიგიურებად რომ იწოდებიან, ჩაკეტილან თავიანთი კათედრალის კედლებში და არათუ არ სურთ იქიდან გამოსვლა (ეს მათი ნებაა!), არამედ რომ შეეძლოთ, ყოველივე გარეთ დარჩენილს არსებობასაც კი აუკრძალავდნენ. მეორე მხარეს მათ უპირისპირდებიან "თავისუფალი გონების" მქადაგებელნი, რომლებიც, უმეტესწილად, სრულებით განძარცულან რელიგიური გრძნობისგან (ეს მათი ნებაა!) და თავის დანიშნულებას ძალზე ხშირად რელიგიურ სულებთან ბრძოლასა და მათ უარყოფაში ხედავენ. ზოგს ლამის უკვე ცნებად ექცა სისტემატური და ამაო თავდასხმები რელიგიაზე, და აზრადაც არ მოსდის, რომ უარყოფს იმას, რისიც არაფერი გაეგება. აბა, რა აზრი აქვს მსჯელობას რელიგიაზე ისტორიული თუ ფსევდო-ისტორიული ტექსტების ჩხრეკით, რომლებიც დრომ თავისი ფერფლით დაფარა ან ასე გააფხვიერა? ეს იგივეა, რომ ახსნა ფსიქოლოგიური მოვლენა ფიზიკური ორგანოების გაკვეთით, რომლებიც მუდამ მხოლოდ იარაღებს წარმოადგენენ. ჩვენი "რაციონალისტების" მიერ გამოხატვის ნიშნებისა და აზრის ენერგიის ეს აღრევა ისევე მცდარად მესახება, როგორც გარდასულ ყამთა რელიგიების ცდომილება, მაგიურ ძალებს რომ აიგივებდა სიტყვებთან, მარცვლებთან თუ ასოებთან, რომლებიც მხოლოდ ასახავდნენ ამ ძალებს.

უპირველესი პირობა იმისა, რომ გაუგო, განსაჯო და, თუ გნებავთ, ებრძოლო რელიგიას თუ რელიგიებს, რელიგიური ცნობიერების, როგორც ასეთის, საკუთარი გამოცდილების ქონაა. ისინიც კი, ვინც რელიგიური არიან მხოლოდ თავისი პროფესიით, არ არიან უფლებამოსილნი, ილაპარაკონ რელიგიის სახელით. ისინი რომ გულწრფელნი ყოფილიყვნენ, აღიარებდნენ: რელიგიური ცნობიერება და რელიგია, როგორც პროფესია, სხვადასხვა რამაა. თვით ღრმად პატივცემული მღვდლები მორჩილებით ან აზრისმიერ–მოცალე განსჯით არიან მორწმუნეები. მათ არასოდეს უგრძვნიათ რელიგიური გამოცდილების საჭიროება, ან კიდევ, უძლურებისა გამო, უარი თქვეს მიეღოთ იგი. მეორე მხარე კი, რომელიც არის ან თავი ჰგონია რელიგიისგან თავისუფალი, ცხოვრობს ზერაციონალური შეგნებით, რასაც იგი უწოდებს სოციალიზმს, კომუნიზმს, ჰუმანიტარიზმს, ნაციონალიზმს, ასე განსაჯეთ – რაციონალიზმსაც კი. აზრის ობიექტი სულაც არ არის ის, რაც განსაზღვრავს ამ აზრის წარმოშობას ან იმას, მიეკუთვნება თუ არა ეს უკანასკნელი რელიგიას. ამას განსაზღვრავს თვით ამ აზრის ხარისხი. თუკი ის გაბედულად, სრული სიწრფელითა და ყოველგვარი მსხვერპლისათვის მზადყოფნით წარიმართება ჭეშმარიტების საძიებლად, რაფასადაც არ უნდა დაუჯდეს ეს ძიება, – მე მას ვუწოდებ რელიგიურს. რადგან იგი რწმენას აცხადებს ადამიანური ძალისხმევის იმ საბოლოო მიზნად, რომელიც ინდივიდუალურ ცხოვრებაზე, ზოგჯერ საზოგადოების საერთო ინტერესებზე და თვით მთელ კაცობრიობაზეც მაღლა დგას. სკეპტიციზმიც კი, როცა ის ხდება ძლიერ და გულმართალ პიროვნებათა იარაღი, როცა ის არის ძალის და არა უძლურების გამოხატულება, უერთდება რელიგიურ სულთა დიდ ლეგიონს.

და, პირიქით, არავითარი უფლება არა აქვს, იწოდებოდეს რელიგიურად ეკლესიებში მოხიარულე ათასობით მხდალი, – კლერიკალი თუ ერისკაცი, – რომელთა "რწმენა" სათავეს იღებს არა მათსავე წიაღიდან და რომლებიც მიწოლილან საერთო გომურში, ოდესღაც იქვე დამაკვებულნი, ფრიად მოსახერხებელი სარწმუნოებებით სავსე ბაგა-საკ-

ვებურის წინ; და სხვა აღარაფერი დარჩენიათ, გარდა თავის ცოხნისა...

ცნობილია ტრაგიკული სიტყვა ნათქვამი ქრისტეზე, რომელიც "აგონიაში იქნება ქვეყნის აღსასრულამდე"... პირადად მე არ მწამს ერთადერთი პიროვნული ღმერთის და, განსაკუთრებით, მხოლოდ მწუხარების ღმერთის, არამედ მწამს, რომ – სიცოცხლის ყველა ფორმასთან თანხლებული ტკივილ-სიხარულით – არ არსებობს სხვა ღმერთი გარდა იმისა, რომელიც არის მარადიული დაბადება ადამიანში, ადამიანებში და სამყაროში. შესაქმე ყოველწამიერად მიმდინარეობს. რელიგია არ არის ერთხელ და სამუდამოდ დასრულებული რამ. ის – შეუსვენებელი მოძრაობის აქტი და ნებაა. ის არის წყაროსთვალის მუდმივი ჩქეფა და არა დატბორვა-დაგუბება.

მე მდინარეების ქვეყნიდან ვარ. ისინი ცოცხალი არსებებივით მიყვარს და მესმის ჩემი წინაპრებისა, რომლებიც ამ მდინარეებში ღვინოს და რძეს ღვრიდნენ. მაგრამ ყველა მდინარეთაგან უწმინდესი ის არის, რომელიც ყოველ წამს მოედინება სულის სიღრმიდან, მისი კლდეებიდან, ქვიშიდან, ყინულებიდან. იქ ბუდობს პირველძალა, რომელსაც მე რელიგიურს ვუწოდებ. ის საერთოა ხელოვნებისა თუ მოქმედებისთვის, მეცნიერებისა და რელიგიისთვის, სულის მთელი იმ მდინარისთვის, რომელიც ბნელი და უძირო რეზერვუარიდან წინაღუდგომელ ნაკადად ეშვება თვითცნობიერი, განხორციელებული, მეუფე ოკეანისკენ. და ისევე როგორც ზღვის წყალი იქცევა ღრუბლებად, რომლებიც კვლავ ავსებენ წყარო-მდინარეთა მარაგს, შესაქმის ციკლებიც განუწყვეტლად ენაცვლებიან ერთმანეთს: სათავიდან ზღვისკენ, ზღვიდან – სათავისკენ, ყველაფერი ერთი ენერგიაა, ერთი უდასაწყისო და უდასასრულო არსება. და ჩემთვის სულერთია, ღმერთს უწოდებენ მას (რომელ ღმერთს?), თუ ძალას (რომელ ძალას?), თუნდაც მატერია ეწოდოს, თუკი არსებობს მატერია, რომელიც ამავე დროს აღნიშნავს სულის ენერგიებს. სიტყვები, სიტყვები! არსი – ერთიანობაა, არა აბსტრაქტული, არამედ ცოცხალი. და ეს სწორედ ისაა, რომელსაც მე ვაღმერთებ, ისევე როგორც დიდი მორწმუნენი და დიდი ურწმუნონი აღმერთებდნენ მას, რომელსაც, ცნობიერად თუ არაცნობიერად, თავისთავშივე ატარებდნენ.

• • •

ჩემს ახალ ნაშრომს ვუძღვნი მას, დიდ ქალღმერთს, უხილავს, იმანენტურს, ვინც თავისი ოქროს მკლავებით კრავს პოლიფონიის ათასფერ კონას: ერთიანობას.

უკვე საუკუნეა, რაც ახალ ინდოეთში ეს ერთიანობა არის ის სამიზნე, რისკენაც იტყორცნება ყველა მშვილდოსნის ისარი; ამ წმინდა მიწიდან, ხალხთა და აზრთა ამ განგიდან, იბადებიან ჩვენი საუკუნის პიროვნება-ნიაგარები. როგორიც არ უნდა იყოს მათ შორის განსხვავება, გეზი ერთია: ადამიანთა ერთიანობა ღვთაებრივი არსის მეშვეობით. მაგრამ მუშაკთა ყოველი ახალი წყებისთვის ამ ერთიანობის საზღვრები ფართოვდება და უფრო და უფრო გამოიკვეთება.

ამ დიდი მოძრაობის დაწყებიდან მის განსრულებამდე ყოველთვის იქნება დღის წესრიგში თანასწორობაზე დამყარებული თანამშრომლობა აღმოსავლეთისა დასავლეთთან, გონების ძალებისა – ცოცხლად მჭვრეტელი ინტუიციის ძალებთან (და არა "რწმენასთან", ბრმად მიღება-მინდობის აზრით, როგორითაც ეს ცნება შეიმოსა დამონებულ ეპოქებსა და გამოფიტულ ხალხებში): ციკლოპის შუბლისთვალთან, რომელიც კი არ აუქმებს, არამედ ავსებს დანარჩენ ორ თვალს.

სულის რაინდთა ამ დიდებულ პროსპექტზე, რომელსაც ჩვენ უფრო შორსაც გადავხედავთ[1], მე ამოვარჩიე ორი მათგანი, რომელთაც ღრმად დამატყვევეს. მათ შეუდარებელი ხიბლითა და ძალმოსილებით შეასხეს ხორცი სამყაროული სულის ბრწყინვალე სიმფონიას. ამ სიმფონიისთვის ისინი, შეიძლება ითქვას, არიან ვით მოცარტი და ბეთჰოვენი: პატერ სერაფიკუსი და მქუხარე იუპიტერი –

რამაკრიშნა და ვივეკანანდა.

ჩემი წიგნის[2] სიუჟეტი არის სამმაგი და, იმავე დროს, ერთი. ის მოიცავს ორ არაჩვეულებრივ ცხოვრებას, რომელთაგან ერთი თითქმის ჯადოსნურია, მეორე კი ჭეშმარიტად ეპიური. მათ სულ ახლახან ჩაიქროლეს ჩვენს თვალწინ. იქვე გადმოცემულია ის მაღალი რელიგიური, ფილოსოფიური, მორალური და სოციალური აზრი, რომელიც ინდოეთის მრავალსაუკუნოვანი სიღრმიდან დღევანდელ კაცობრიობას მიმართავს.

მიუხედავად იმისა, რომ (თქვენ ნახავთ ამას) ამ ორი ადამიანის ცხოვრების პათეტიური ინტერესი, მომაჯადოებელი პოეზია, მადლი და ჰომეროსული სიდიადე სავსებით ცხადს ხდის, თუ რატომ დავხარჯე ჩემი სიცოცხლის ორი წელიწადი მათ მდინარებათა სათავისაკენ სვლაში და მათი ნაპირების კვლევაში, რათა, საბოლოოდ, თქვენი მზერაც იქით მიმემართა, — მე იქ მოგზაურობის უბრალო ცნობისწადილს არ მივუხმივარ.

მე აღარა ვარ დილეტანტი. და იმის საბაბს კი არ ვაძლევ დაქანცულ მკითხველს, რომ თავისთავს გაექცეს, არამედ — რომ იპოვოს იგი. იპოვოს ღრმა, შიშველი, უნიღბო, უტყუარი "მე". მე შევქმენი იმათი საძმო, ჯერაც ცოცხალთა თუ უკვე გარდაცვლილთა, ვისაც ეს სიღრმე უძებნია. და აღარ მაღელვებს საუკუნეთა და ეროვნებათა საზღვრები. შიშველი სულისთვის არ არსებობს დასავლეთი და აღმოსავლეთი: ისინი მისი სხვადასხვა სამოსელია მხოლოდ, მსოფლიო კი — მისი სახლი. და ყველასგან შემდგარი ეს სახლი დგას ყველასათვის.

დე, მომეტევოს, თუკი ამ წიგნის წარმომშობი ინტიმური აზრის ნათელსაყოფად ცოტა ხნით სცენაზე გამოვდივარ. ეს მხოლოდ ერთი რიგითი მაგალითის დემონსტრირებაა: მე ერთი ფრანგთაგანი ვარ და ვიცი, რომ წარმოვადგენ ათასობით დასავლელ ადამიანს, ვისაც თავისთავად არა აქვს საშუალება თუ დრო თვითგამოსახატავად. ყოველ ჯერზე, როდესაც ერთი ჩვენთაგანი მეტყველებს გულის სიღრმიდან, რათა საბოლოოდ გათავისუფლდეს, იმავდროულად მისი ხმა ბაგეს უხსნის ათასობით სიჩუმეს. მაშ, მოუსმინეთ არა ჩემს ხმას, არამედ ექოს!

მე დავიბადე და პირველი თოთხმეტი წელი გავატარე საფრანგეთის ერთ-ერთ ცენტრალურ რეგიონში, სადაც ჩემი ოჯახი საუკუნეების წინ დაფუძნებულა. ჩემი მოდგმა პირწმინდად ფრანგული და კათოლიკურია, ყოველგვარი შერევა-აღრევის გარეშე. და ის გარემო, სადაც ჩემმა ბავშვობამ განვლო პარიზში გადმოსვლამდე (1880 წელს), წარმოადგენდა ძველ პროვინციას, რომელშიც სხივიც ვერ აღწევდა გარედან. თუმცა, გოლების თიხით მოზელილ ამ თავდახურულ ქოთანში, თავისი ლაჟვარდოვანი ცითა და მწვანეში ჩაფლული მდინარეებით, მე ბავშვობიდანვე ვპოვე სამყაროს ყველა ანაბეჭდი. მოგვიანებით კი, როდესაც ჯოხით ხელში შემოვიარე აზრის გზა-ბილიკები, არცერთ ქვეყანაში არ აღმომიჩენია რაღაც სრულებით უცხო. სულის ყველა ეს განსხვავებული ფორმა იმთავითვე ნაცნობი ან წინათნაგრძნობი – ჩემიანი – აღმოჩნდა: გარე გამოცდილებას მოჰქონდა ჩემთვის მხოლოდ შინაგან მდგომარეობათა რეალიზება, რაც მე დავაფიქსირე, თუმცა ხშირად გასაღებს ვერ ვარგებდი მათ. შექსპირს, ბეთჰოვენს, ტოლსტოის თუ რომს – ჩემს სულისმკვებავ მოძღვრებს – არაფერი უთქვამთ ჩემთვის გარდა ქვადქცეული ლავის ქვეშ ჩაძინებული ჩემი მიწისქვეშა ქალაქისადმი, ჩემი ჰერკულანუმისადმი მიმართული: "სეზამ, გაიღე!" და დავრწმუნდი, რომ ამ ქალაქს ეძინა ბევრი იმათგანის წიაღში, ვინც მე გარს მერტყა. მაგრამ ისინი ვერ ამჩნევენ თავის სიღრმისეულ ქანებს, ისევე როგორც მე ვერ ვამჩნევდი. და ძალზე ცოტას თუ ჩაუგდია საფრთხეში თავი, ჩასცილებოდა ამ სარდაფების პირველ სართულს, რომელიც – მკაცრი ყოველდღიური მოხმარებისთვის – თავიანთი საჭიროებების მომჭირნედ დამსაზღვრელ ადამიანებს მათსავე პრაქტიკულმა სიბრძნემ და იმ ბატონების მმართველობის სურვილმა მოაწყობინა, რომელთაც ერთ მთელად შეადუღაბეს სამეფო და იაკობინური საფრანგეთი. მე აღფრთოვანებული ვარ ამ ნაგებობით. ხელობით ისტორიკოსი, მე მასში

ვხედავ ადამიანური ენერგიით შექმნილ და გონებით გაცისკროვნებულ ერთ-ერთ უდიადეს ქმნილებას... Aere perennius... მაგრამ, ისევე როგორც ანტიკურ ლეგენდაში, ტაძრის სიცოცხლის გასახანგრძლივებლად მის კედლებში ცოცხლად ატანენ ადამიანს, ჩვენს ბატონ ხუროთმოძღვრებს თავის დუღაბში ჩაუძირავთ ათასობით თბილ-თბილი სული, რომლებიც აღარსად ჩანან მარმარილოსა და რომაული ცემენტის სამოსელში. მაგრამ მე მესმის მათი ხმა! და ვინც მიაყურადებს, ჩემსავით მოუსმენს მათ. ამ დროს კი ტაძარში სადღესასწაულოდ იფურჩქნება "კლასიკური" აზრის კეთილშობილი ლიტურგია. საეკლესიო მსახურებას, ზარ-ზეიმით რომ მიმდინარეობს მთავარ საკურთხეველზე, თითქოს არც ეყურება დუღაბში ჩატანებულთა ხმობა, ამ ყურმოჭრილებს კი, ასე გულმოდგინედ რომ მიჰყვებიან მითითებულ ნიშნებს, ამ მორჩილ, გონდაფანტულ, მუდმივ აღგომა-ჩამუხლვაში მყოფ ბრბოს, სულ სხვა რამ უქრის თავში. საფრანგეთი მდიდარია სულებით, მაგრამ ის მალავს მათ, როგორც ბებერი გლეხი – თავის ეკიუებს.

მე მოვდივარ, რათა კვლავ ვიპოვო დაკარგული გასაღები კიბისა, რომელიც მიემართება ამ ჩაკეტილ სულთაგან ზოგიერთისკენ. კედელში დატანებული, გველივით დაგრეხილი ეს კიბე ჩვეულ-შვეულად ადის მე-ს მიწისქვეშეთიდან მაღალ ტერასებამდე, რომელთა შუბლსაც ვარსკვლავთა კულული აგვირგვინებს. არაფერი, რაც მე იქ ვნახე, არ წარმოადგენდა ჩემთვის უცნობ პეიზაჟს. ეს ყველაფერი უკვე ნანახი მქონდა და კარგად ვიცნობდი, მაგრამ ის არ მახსოვდა, თუ სად ვნახე. მე არაერთხელ ზეპირად მითქვამს – თუმცა არა უშეცდომოდ – აზრის გაკვეთილი, ოდესღაც რომ მისწავლია (ვისგან? – ერთ-ერთი ჩემი უძველესი მე-სგან...). დღეის სრულ და ნათელ დღეს, მე მას ხელახლა ვკითხულობ ცხოვრების წიგნში, რომელსაც მიწვდის ამ წიგნის ყველა გვერდის მცოდნე გენიალური უწიგნურის, რამაკრიშნას, ხელი.

მე კი, ჩემის მხრივ, წარმოგიდგენთ მას, არა როგორც ახალ წიგნს, არამედ როგორც ძველისძველს, რომელიც თქვენ ყველას ასოასო წაგიკითხავთ (თუმცა, ბევრი ვერ გასცილდა ანსა და ბანს...). სიღრმეში ყოველთვის ერთსა და იმავე წიგნს კითხულობენ, მხოლოდ დამწერლობა იცვლება, და მზერა, როგორც წესი, რჩება ნაყოფის კანზე ისე, რომ რბილობამდე ვერც აღწევს.

ეს მუდამ ერთი და იგივე წიგნია, მუდამ ერთი და იგივე კაცი, მარადიული მე კაცისა, ჩვენი ძე, ჩვენი ხორცშესხმული ღმერთი. ყოველი ახალი მობრუნებისას, ის ავლენს თავის კიდევ უფრო უხვ წიაღს.

ქვეყნებისა და ეპოქების განსხვავებათა მიღმა, რამაკრიშნა ჩვენი იესოს უმცროსი ძმაა.

თუკი მოვინდომებთ, დღეისდღის თავისუფალი აზროვნების კვალდაკვალ, შესაძლებელია იმის წარმოჩენა, რომ ქრისტეს მთელი მოძღვრება მიმობნეულია აღმოსავლეთში, დაითესა რა მის დაბადებამდე დიდი ხნით ადრე ქალდეველ, ეგვიპტელ, ათენელ და იონიელ მოაზროვნეთა მიერ, ისე არასოდეს მოხდება, რომ ადამიანის ისტორიაში ქრისტეს პიროვნება, რეალური თუ ლეგენდარული (და ეს ერთი და იმავე რეალობის ორი მხარეა[3]), სრული უფლებით არ აღემატებოდეს პლატონის პიროვნებას. ის არის კაცობრიობის სულის უდიადესი და გარდაუვალი ხორცშესხმა. ის არის ამ სულის საუკეთესო ნაყოფი მისი ერთ-ერთი მწიფობის ჟამს. და ერთი და იგივე ხე ბუნების ერთი და იმავე კანონით წარმოშობს ცხოვრებასა და ლეგენდას; ორივე – მისი მზერის, სუნთქვისა და ოხშივრის ცოცხალი სხეული და შარავანდია.

მის ჯერაც არმცოდნე ევროპაში, მე მომაქვს ახალი შემოდგომის ნაყოფი, სულის ახალი წერილი, ინდოეთში აჟღერებული სიმფონია, რომელსაც ჰქვია რამაკრიშნა. მომავალი გვიჩვენებს (და ჩვენ უცილობლად განიშნებთ ამას), რომ ეს სიმფონია, ჩვენს კლასიკოსთა სიმფონიების მსგავსად, შედგება წარსულის მრავალი მუსიკალური ელემენტისგან. მაგრამ თვითმყოფადი პიროვნება, ვისშიც კონცენტრირდება განსხვავებულ ელემენტთა სიმრავლე და ვინც მათგან ააწყობს ერთ დი-

ად ჰარმონიას, არის სწორედ ის, ვინც თავის სახელს აძლევს ქმნილებას, რომელზეც უმუშავიათ თაობებს. სწორედ მისი ტრიუმფალური ნიშნით აღიბეჭდება ეპოქაც.

კაცმა, რომლის სახესაც აქ გამოვიხმობ, დაგვირგვინა სამასმილიონიანი ხალხის ორიათასწლოვანი შინაგანი ცხოვრება. ორმოცი წლის წინათ[4] გარდაცვლილი, ის მართავს ჩვენი დროის ინდოეთს. ის არ ყოფილა მოქმედების გმირი, მსგავსად განდისა, არც ხელოვნებისა და აზრის გენიოსი, როგორც გოეთე ან თაგორი. ის იყო ერთი პატარა ბრაჰმანი გლეხი ბენგალიიდან, რომლის გარეგანი ცხოვრება წარიმართა დასაზღვრულ ჩარჩოში, განსაკუთრებული თავგადასავლების გარეშე, იმ დროის პოლიტიკური და სოციალური აქტივობის მიღმა[5]. მაგრამ შინაგანი ცხოვრებით მან მოიცვა ადამიანები და ღმერთები. ის ეზიარა თვით წყაროს ენერგიისას, ღვთაებრივ შაკტის, ასე რომ, უგალობს მითილას ძველი პოეტი, ვიდიაპატი[6].

მცირედნი აღწევენ სათავემდე. პატარა ბენგალიელმა გლეხმა, საკუთარი გულის მიყურადებით, მიაგნო შინაგანი ზღვისკენ მიმავალ გზებს და შეეულლა მას, შეასხა რა ხორცი უპანიშადების სტრიქონს[7]:

"მე უფრო ადრინდელი ვარ, ვიდრე შუქთამფენი ღმერთები. მე ვარ უმაღლესი არსების პირველშობილი. მე ვარ არტერია უკვდავებისა."

მსურს, ამ უძინარი არტერიის ფეთქვა ჩაესმას ციებცხელებიანი ევროპის ყურებს. მსურს უკვდავების სისხლით დავზილო მისი ბაგეები.

 რ. რ.
შობა, 1928

აღმოსავლელ მკითხველს[8]

"სალამი ჯნანინის ფერხთ!
სალამი ფერხთ ბჰაკტასი!
სალამი ღვთისმოსავთ,
რომელთაც სწამთ სახიერის!
სალამი ღვთისმოსავთ,
რომელთაც სწამთ უსახოსი!
სალამი ბრაჰმანის ძველ შემმეცნებელთ!
სალამი დღევანდელ შემცნობთ
ჭეშმარიტების!.."

რამაკრიშნა, 28 ოქტომბერი, 1882

უმორჩილესად ვთხოვ ჩემს ინდოელ მეგობრებსა და მკითხველებს, არ განმირისხდნენ შეცდომებისთვის, მიუხედავად მთელი მგზნებარებისა, რაც ამ სამუშაოში შთავღვარე, ალბათ, გარდაუვალია, რომ აღმოსავლელი ადამიანების და მათი ათასწლოვანი გამოცდილების ინტერპრეტაცია დასავლელი კაცის გონებაში ხშირ შემთხვევაში იყოს მცდარი. ერთადერთი, რისი თავდებიც მე ვარ, ეს არის ჩემი სიწრფელე და მოკრძალებული ძალისხმევა, რითაც ვცადე შემეღწია სიცოცხლის ყველა ფორმაში.

ამავე დროს, სულაც არ ვმალავ, რომ არასოდეს ვამბობ უარს, თავისუფლად განვსაჯო დასავლეთის ადამიანი. მე პატივს ვცემ ნებისმიერ რწმენას და ხშირად მიყვარს კიდეც ის, მაგრამ ვერც ვერავინ გადამიბირებს. თუ რამაკრიშნა ახლობელია ჩემთვის, ეს იმიტომ, რომ, მისი მოწაფეებისაგან განსხვავებით, მე ვხედავ მასში ადამიანს და არა — "ინკარნაციას". ვედანტისტების კვალდაკვალ, ვისთვისაც ღვთაებრივი სულშია, სული – ყველაფერში, და ატმანი ბრაჰმანშია, მე ვერ ვხედავ აუცილებლობას მოვაქციო ღმერთი ერთ რომელიმე პრივილეგირებულ ადამიანში. ეს, ჩემს თვალში, სულის "ნაციონალიზმის" კიდევ ერთი ფორმაა (გაუცნობიერებელი). მე ვხედავ "ღმერთს" ყოველივე არსებულში. მე ვხედავ მას უმცირეს ნაწილაკში, ისევე როგორც მთელ კოსმოსში, რაიმე არსებითი სხვაობის გარეშე. რაც შეეხება ძალმოსილებას,

ის უსაზღვროა ყველგან: მტვრის ნამცეცში მიმალული ძალით მცოდნე კაცი მსოფლიოს ააფეთქებს. ერთადერთი განსხვავება არის ამ ენერგიის მეტნაკლები კონცენტრაცია ცნობიერებაში, მე-ში თუ ატომის ბირთვში. უდიდესი ადამიანი სხვა არაფერია, თუ არა უმქვირვალესი სარკე მზისა, ასე რომ, ბრწყინავს ცვრის თითოეულ წვეთში.

ამიტომ არის, რომ მე არასოდეს გამყავს რელიგიურ თუ საერო ღვთისმოსავთათვის ეგზომ საამო საკრალური არხები, სულის გმირებს მილიონობით მათ გარდასულ თუ დღევანდელ ბნელ მიმდევართან რომ აკავშირებს. და ისევე, როგორც ქრისტესა და ბუდას, არ ვაცალკევებ რამაკრიშნასა და ვივეკანანდას მათ ეპოქაში მოღვაწე სულის მსახურთა დიდი ლაშქრისაგან. ამ წიგნის ფურცლებზე მე ვცდილობ მივაგო მისაგებელი იმ გენიალურ პიროვნებებს, ბოლო საუკუნის მანძილზე რომ გამოჩნდნენ განახლებულ ინდოეთში, გამოაღვიძეს მშობელი მიწის ძველი ენერგიები და აზრის გაზაფხული ამოამწვევს მასზე. თითოეულმა მათგანმა თავისი მოიტანა და თვითეულს ჰყავს თავისი მომხრეები, რომლებმაც თავისი კერპი სამლოცველოში მოათავსეს და ქვეშეცნეულად უწყეს ყურება მას, როგორც ერთადერთი ან სხვაზე აღმატებული ღმერთის სამლოცველოს.

მათი პარტიებისგან შორსმყოფი, მე უარს ვამბობ იმის დანახვაზე, რაც მათ უპირისპირებს ერთმანეთს: ამ მანძილზე, სადაც მე ვარ, ყველა მათი ბარიერი ერთ უზარმაზარ სივრცედ გადამდნარა. მე ვხედავ მუდამ ერთსა და იმავე მდინარეს, ერთ დიად "გზას, რომელიც მიდის", როგორც ამბობს ჩვენი პასკალი. და სწორედ იმიტომ, რომ არავის ისე არ შეუცვნია და თავისთავში არ განუხორციელებია ყველა მდინარისა და რუსათვის ღიადმყოფი ღვთიური ნაკადის ტოტალური ერთიანობა, როგორც ეს გააკეთა რამაკრიშნამ, – მე ჩემს სიყვარულს მას ვუძღვნი. და მისგანვე ამოვხაპე ცოტაოდენი წმინდა წყალი, რათა მსოფლიოს დიდი წყურვილი დავაოკო.

მაგრამ მე არ ვრჩები ნაპირზე, მდინარეზე გადაყუდებული. ჩემს სვლას, მდინარესთან ერთად, ზღვამდე მივყვები. დინების ყველა მოსახვევში, სადაც ჩვენს მეგზურთაგან ერთ-ერთს სიკვდილი ეტყვის: "შეჩერდი!", მე ვტოვებ მისთვის ჩაჩოქილ მისსავე მიმდევრებს და კვლავ მდინარეს მივყვები. მე მას მივაგებ მისაგებელს სათავიდან შესართავამდე. წმინდაა სათავე, წმინდაა მდინარება, წმინდაა შესართავი, და მდინარესთან ერთად, ჩვენ შემოვევლებით დიდ-პატარა შენაკადებსა და ოკეანეს: – ცოცხალი ღმერთის მთელ მოძრავ მასას.

რ. რ.

შობა, 1928

## შესავალი

მე გიამბობთ ამ ამბავს, როგორც ჯადოსნურ ზღაპარს. ყველაზე საუცხოო ის არის, რომ ეს ძველი ლეგენდა, რომელიც ასე ჰგავს მითოლოგიიდან ამოღებულ ფურცელს, წარმოადგენს ჯერ კიდევ გუშინ, ჩვენს "მეზობელ" საუკუნეში მცხოვრებ ადამიანთა ისტორიას, ადამიანთა, საკუთარი თვალით რომ უნახავთ ჩვენს თანამედროვეთ[2].

უშუალოდ ამ უკანასკნელთაგან ჯერაც ცინცხალი ცნობები მაქვს მიღებული. მე მისაუბრია იმათთან, ვინც ამ მითიური არსების, ამ კაც-ღმერთის, თანამოღვაწე იყო. ეს თვითმხილველნი სახარების მიამიტი მეთევზეები არ გეგონოთ. მათ შორის გვხვდებიან ევროპული აზრისა და მისი პედანტური დისციპლინის მცოდნე ღრმა მოაზროვნენი. და, ამავე დროს, ისინი მეტყველებენ სამი ათასი წლის წინათ მცხოვრებ ადამიანთა ენით.

ის, რომ დღეს, მეოცე საუკუნეში, ერთისა და იმავე ადამიანთა გონებაში შესაძლებელია შეთავსდეს მეცნიერული აზრი და ძველი საბერძნეთის დროის ნათელხილვა, სადაც ღმერთები და ქალღმერთები მოკვდავებთან იყოფდნენ ტრაპეზსა თუ სარეცელს, ან კიდევ გალილეის ეპოქის ხილვა, როცა ადამიანები ცხადლივ ხედავდნენ მოკრიალებულ ცაზე მიმფრინავ ვეება ფრინველს, კეთილი ამ-

ბის მაუწყებელს უმანკო ქალწულისათვის, ლამის წელში რომ წყვეტდა ამგვარი ძლვენის სიმძიმე, – ამაზე წარმოდგენაც კი არ აქვთ ჩვენს ბრძენებს, ჯერ საკმარისად რომ არ შეშლილან. ჩვენს მოაზროვნეთ ჯერაც არ ძალუძთ გამოიყენონ ეს ჭეშმარიტი საგანძური, სიცოცხლის ეს მრავალსახოვნება. ევროპულ გონებათა დიდი უმრავლესობა საიმედოდ ჩაკეტილა ადამიანური საცხოვრისის მიწიერ სართულზე. და თუმცა ეს სართული სავსეა წიგნებით, რომლებიც ვრცლად მოგვითხრობენ წარსულის სართულების შესახებ, – სახლის დანარჩენი ნაწილი სრულებით უკაცრიელი ჩანს. მათ არც კი ესმით, ქვემოდან თუ ზემოდან, ნაბიჯები ახლო საუკუნეთა მეზობლებისა, შეუპოვრად რომ განაგრძობენ ცხოვრებას. ყველა საუკუნე, გარდასული და დღევანდელი, ქმნის ერთიან ორკესტრს და ერთდროულად უკრავს საკაცობრიო კონცერტს, ოღონდ თითოეული თავის პიუპიტრს და დირიჟორის ჯოხს მისჩერებია და მხოლოდ თავისი საკრავის ხმა ესმის.

ჩვენ კი მივაპყროთ ყური მთელ ანსამბლს – შესანიშნავ აკორდს, სადაც შეერთებულია გუშინდელ და ხვალინდელ დღეთა ყველა ოცნება და სწრაფვა, ყველა რასა და ყველა დროება. იმათთვის, ვისაც სმენის უნარი შესწევს, თითოეული წამი შედგება ყველა არსების ხმისაგან: ახალშობილიდან ახლადგარდაცვლილამდე. და ეს ხმები ფასმინივით შემოხვევიან ბორბალს დროისას. სულაც არ არის საჭირო გავყვეთ ადამიანური აზრის განვითარების გზას, გავარჩიოთ პაპირუსები... ისინი, სამიათასწლოვანი აზრები, აქვე არიან, ჩვენს გარშემო. არაფერი არ იკარგება. უსმინეთ ყურადღებით, ოღონდ უსმინეთ ყურებით. წიგნებმა იყუჩონ. ისინი მეტისმეტად ბევრს ლაპარაკობენ...

თუკი არსებობს ამ დედამიწაზე ქვეყანა, სადაც მოიყარა თავი ყველა ადამიანურმა ოცნებამ მას შემდეგ, რაც პირველი კაცი შეუყვა ცხოვრების სიზმარს, ეს არის ინდოეთი. მისი ერთადერთი პრივილეგია, როგორც მართებულად შენიშნავს ბართი[10], არის პრივილეგია გვარში უმსხემესის. მისი სულიერი განვითარება, ხანგრძლივი და თვითკმარი, არ შეწყვეტილა ამ ხალხი-მათუსალას მთელი მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე. უკვე ოცდაათი საუკუნეა, რაც ამ გვალვიანი მიწიდან, ღმერთებისმშობი ამ გავარვარებული საშოდან, აღმოცენდა და იზრდება ათასტოტიანი ხე ოცნებისა, რომელიც, უშქარ განტოტებასთან ერთად, მარადუჭკნობი და მარადაღორძინებადი. ყველა ტოტზე ერთდროულად ისხამს ყველანაირ ნაყოფს. გვერდიგვერდ იშლება მასზე ყველა სახეობის ღმერთი: დაწყებული ყველაზე უხეშიდან – თვით უსხეულო, უსახელო, უსამანო უფლით დამთავრებული. და ყველა მათგანი ამ ერთ ხეზეა.

და ეს გადახლართული, ერთი და იმავე წვენით აღვსილი ტოტები ისე შერწყმულან თავისი სხეულითა და აზრით, რომ მთელი ნიადაგი, მთელი ხე, ფესვებიდან კენწერომდე, ვეებერთელა ხომალდის ანძასავით მთრთოლავი, ჟღერს ათასი ხმისგან, ათასი ადამიანური მრწამსისგან შემდგარ ერთ სიმფონიად. ეს პოლიფონია, რომელიც გამოუცდელ ყურს თავდაპირველად ხმაშეუწყობლად და უთავბოლოდ ეჩვენება, მცოდნე კაცს უხსნის თავის სიმწყობრესა და ფარულ იერარქიას.

და ვერც ერთი ჩვენთაგანი, ვინც მოისმინა იგი, ვეღარ კმაყოფილდება უხეში და ხელოვნური წესრიგით, რომელსაც ნანგრევებით მოფენილ ველზე თავს გვახვევს დასავლეთის გონება და მისი რწმენა თუ რწმენები, – ყველა ერთნაირად დესპოტური და ერთმანეთის უარმყოფელი. რა აზრი აქვს სამ მეოთხედზე დამონებულ, დამცირებულ, დაქცეულ სამყაროზე მეუფებას. უნდა დაეუფლო სიცოცხლეს მთლიანად, თაყვანი სცე, სრულად გარემოიცვა და შეერწყა მას, და იცოდე თუ როგორ მოიყვანო მისი წინააღმდეგობრივი ძალები მწყობრ წონასწორობაში.

ეს უმაღლესი სიბრძნე ძალუძთ გვასწავლონ სულ-სამყაროებმა, რომელთაგანაც ორის თქვენთვის წარდგენას აქ შევეცდები. მათი ძალისა და სიწმინდის საიდუმლო არ არის ისეთი, როგორც "მინდვრის შროშანის,

რომელიც, დიდებით შემოსილი, არც მუშაობს და არც ართავს". ამ სულებშა მოქსოვეს სამოსელი მათთვის, ვინც შიშვლად დადის. მათ დართეს არიადნეს ძაფი, რომელიც გზას გვაგნებინებს ლაბირინთში. საჭიროა მხოლოდ არ გაუშვათ ხელიდან ძაფის გორგალი, რათა ხელახლა ჰპოვოთ გზა თქვენი სულის ბარდნარში, სადაც ღმუიან პირველყოფილი, ჯერ კიდევ ყლარტით გაგლესილი ღმერთები, და მიჰყვეთ ამ გზას "მოუხელთებელი სულის" გაშლილი ფრთებით დაგვირგვინებულ მწვერვალამდე.

ეს არის იაკობის კიბე, რომელსაც ზეცისკენ ახდევს და ისევ მიწაზე ეშვება შეუჩერებელი ორმაგი ნაკადი ღვთაებრივისა ადამიანში; ეს არის სწორედ ის ცხოვრება, რომელზეც მსურს გიამბოთ, ცხოვრება კაც-ღმერთისა, რამაკრიშნასი.

I

## ბავშვობის სახარება"

ბენგალიაში, კამარპუკურში, პალმებით, ტბებითა და ბრინჯის ყანებით გარემოცულ, კონუსისებრ სახლებიან ერთ სოფელში, ცხოვრობდა მართლმორწმუნე ბრაჰმანთა, ჩატოპადაიას გვარის მოხუცი წყვილი. უკიდურესად ღარიბმა და დიდად ღვთისმოსავმა ცოლ-ქმარმა ადრიდანვე მიუძღვნა თავი რამას სათნო და გმირულ კულტს. მამამ, იშვიათი პატიოსნების კაცმა, ხახელად კუდირამამ, უკიდურეს გაჭირვებაში ჩაიგდო თავი, როცა უარი თქვა, ყალბი ჩვენება მიეცა მსხვილი მემამულის სასარგებლოდ, ვისთანაც ის მსახურობდა. მას ღმერთები სტუმრობდნენ. უკვე სამოცი წლისამ, მან განახორციელა მომლოცველობა გაიაში, ღმერთ ვიშნუს ტერფის ნაკვალევით აღბეჭდილ წმინდა მიწაზე. "დიადი მხსნელი" მოევლინა მას ღამით და უთხრა: "მე კვლავ შთვიქცევი სიცოცხლედ, რათა ვიხსნა კაცობრიობა."

იმავე წამს, კამარპუკურში, თავის სარეცელზე ეულად მძინარე მისმა მეუღლემ, ჩანდრამანიმ, ღვთის მოხვევნა იგრძნო. მათი ქოხის პირდაპირ, შივას ტაძარში, მის თვალწინ გაცოცხლდა ღმერთის გამოსახულება. სინათლის სხივმა განწონა ქალი. მძლავრად მოვარდნილი ტალღისგან წაქცეულმა ჩანდრამანიმ ცნობა დაჰკარგა. ღვთით მონადირებულმა, როდესაც თვალი გაახილა, უკვე ფეხმძიმედ იყო. დაბრუნებულ ქმარს იგი ფერნაცვალი დაუხვდა, მას ხმები ესმოდა. მის წიაღში ღმერთი ჩასახულიყო[12].

ყრმა დაიბადა 1836 წლის 18 თებერვალს. ეს იყო იგი, ვინც მოგვიანებით ცნობილი გახდა რამაკრიშნას სახელით, მაგრამ ზანზალაკივით მოწკრიალე მისი ბავშვობის სახელი იყო გადადჰარ.

ეს იყო სიცოცხლით სავსე, მშვენიერი დაანცი ბიჭუნა, აღსავსე ქალური გრაციით, რაც მან მთელი სიცოცხლის მანძილზე შეინარჩუნა. და არავინ ეჭვობდა მაშინ – თვითონ კი ყველაზე ნაკლებად – უსამანო სივრცეების და უძირო უფსკრულების არსებობას, ონავარი ბიჭუნას პაწია სხეულში რომ მიმალულიყვნენ. პირველად ისინი გამოვლინდნენ, როცა მას ექვსი წელი შეუსრულდა. ერთხელ, 1842 წლის ივნისში თუ ივლისში, ის ნელა მისეირნობდა, თან საუზმე მიჰქონდა: ტანსაცმლის კალთაში გამოხვეული ერთი მუჭა მოხარშული ბრინჯი. ის მიდიოდა მინდვრისკენ, სადაც მამამისი მუშაობდა...

"მე მივყვებოდი ბრინჯის ყანის ხნულებს შორის მიმავალ ვიწრო ბილიკს. ბრინჯის ღეჭვისას შემთხვევით ავხედე ცას და დავინახე საუცხოო მოყვანილობის საავდრო ღრუბელი, რომელიც სწრაფად იზრდებოდა. მალე მან მოიცვა მთელი თვალსაწიერი. უცებ ჩემს თავს ზემოთ დავლანდე თოვლივით თეთრი წეროების გუნდი, თითქოს არშიად რომ ევლებოდა ჩამუქებულ ღრუბელს. იხეთი დიდებული კონტრასტი იყო, რომ ჩემი სული ღრუბელსგადალმა სივრცეებისკენ გაქანდა. გრძნობა დავკარგე და დავეცი, ბრინჯი დაიბნა. ვიღაცამ ხელში ამიყვანა და სახლში წამიღო. მოზღვავებული სიხარული და მღელვარება მთანგავდა. მე პირველად განვიცადე ექსტაზი..."

ამ მდგომარეობაში უნდა გაეტარებინა

რამაკრიშნას ცხოვრების ნახევარზე მეტი.

უკვე ეს პირველი ექსტაზი ავლენს თავისებურ ხასიათს ღვთის მეუფებისა ამ ბავშვის სულზე. არტისტული მღელვარება, მშვენიერების მძაფრი შეგრძნება, – აი, ღმერთთან მისი მიახლოების თავდაპირველი გზა. არსებობს, როგორც დავინახავთ, გამოცხადების მრავალი სხვა გზაც: მოყვასის სიყვარული და სიყვარული იდეის; თვითდაუფლების გზა და გზა პატიოსანი, უანგარო შრომისა; თანალმობის და მედიტაციის გზები... ყველა გზას გაივლის რამაკრიშნა. მაგრამ ყველაზე უშუალო, ყველაზე ბუნებრივი მისთვის, ეს არის ალტაცება ღვთის მშვენიერი ხატით, რომელსაც ის ხედავს ყველაფერში, რასაც კი ხედავს. ის ჭეშმარიტი მხატვარია: ო, როგორ განსხვავდება იგი მეორე "დიდი სულის" – ინდოეთის მაჰატმასგან – განდისგან, ვის მოციქულადაც მე ოდესღაც მოევლინე ევროპას, – უხელოვნებო, უხილვო ადამიანისგან, რომელსაც არ სურდა ისინი და ალბათ არც ირწმუნებდა მათ, ცხოვრობდა ღმერთში თავისი გააზრებული ქმედებით. მისი გზა არის ყველაზე საიმედო და უტყუარი, როგორიც უნდა იყოს გზა ხალხთა ბელადისა. რამაკრიშნას გზა გაცილებით უფრო სახიფათოა, მაგრამ უფრო შორს მიდის. უფსკრულთა კიდეზე გამავალი ეს გზა ხსნის უკიდეგანო ჰორიზონტებს. ეს არის გზა სიყვარულისა.

ასეთია მისი მშობელი ხალხის, ბენგალიის მკვიდრთა, მხატვართა და პოეტ-მიჯნურთა გზაც. მან თავისი შთაგონებული მეგზური ჰპოვა კრიშნას ექსტატიურ მიჯნურ ჩაიტანიაში, თავისი საუკეთესო მუსიკა კი – ჩანდიდასისა და ვიდიაპატის მომაჯადოებელ ჰანგებში[13]. ამ ანგელოზურმა მასწავლებლებმა – თავიანთი მიწის კეთილსურნელოვანმა ყვავილებმა – ნეტარი სუნთქვით გაჟღინთეს რამაკრიშნა. ამ სუნთქვით თვრებოდა ბენგალია საუკუნეების მანძილზე. პატარა რამაკრიშნას სული მოქსოვილ იქნა მათმიერი ძაფით. ის მათი ქურქელი იყო. მას მაშინვე სცნობ მათში: ის ჩაიტანიას ხის აყვავებული რტოა[14].

ღვთაებრივ სილამაზეში გამიჯნურებული გენიალური მხატვარი, საკუთარი თავის ჯერაც ვერმცნობი, კვლავ იხსნება თავის მეორე ექსტაზში. შივას დღესასწაულის ღამეს, ეს რვა წლის ბავშვი, ასე მხურვალედ რომ უყვარს პოეზია და მუსიკა, ძერწავს ფიგურებს და ხელმძღვანელობს თავისი ასაკის ბავშვებისაგან შემდგარ პატარა დრამატულ ჯგუფს, რომელიც მონაწილეობას იღებდა საკრალურ წარმოდგენაში. ის თამაშობდა შივას როლს და უეცრად იგრძნო, როგორ იკარგებოდა მის მიერვე განსახიერებულ გმირში. ბედნიერების ცრემლმა იხუვლა მის ღაწვებზე. იგი ღვთის დიდებაში დაინთქა. განიმედის მსგავსად, იგი ელვისმპყრობელმა არწივმა აიტაცა... ყველას ეგონა, რომ მოკვდა...

აქედან მოყოლებული, ექსტაზის მდგომარეობა სულ უფრო ხშირდება. ევროპაში საქმე ადვილად მოგვარდებოდა: ბავშვს დააწვენდნენ საავადმყოფოში, ყოველდღე ჩაუტარებდნენ ფსიქოთერაპიის პროცედურებს და შეგნებულად, დღითი დღე, ჩაუქრობდნენ შინაგან ცეცხლს... აღარ არის ჯადოსნური ფარანი, ჩაქრა სანთელი, ზოგჯერ ბავშვიც ჩაქრება ხოლმე... მაგრამ თვით ინდოეთშიც კი, სადაც საუკუნეთა წიაღში აციმციმებულა ათასობით ასეთი ფარანი, ბავშვის მდგომარეობამ გარშემომყოფნი შეაშფოთა. ღმერთების სტუმრობას მიჩვეული თვით მისი მშობლებიც კი შიშით ადევნებდნენ თვალყურს მის ალტყინებებს. საერთოდ, პატარა რამაკრიშნა გამოირჩეოდა ძლიერი ჯანმრთელობით და არ იყო მიდრეკილი ეკზალტაციისკენ. ის მრავალ ნიჭს ფლობდა: მისი მარჯვე თითები თიხისაგან ღმერთებს ძერწავდნენ; გმირებზე ლეგენდები იფურჩქნებოდნენ მის ფიქრში; ის საუცხოოდ ასრულებდა შრი კრიშნას პასტორალურ სიმღერებს; ზოგჯერ კი, თავის ასაკთან შეუფარდებლად განვითარებული ბავშვი მონაწილეობას იღებდა სწავლულთა კამათებში და აოგნებდა მათ, როგორც ოდესღაც იესო აოცებდა მწიგნობრებს. მაგრამ, ყრმა მოცარტის დარად, მას შეეძლო დარჩენილიყო ბავშვად და ბავშვადვე დარჩა სიმწიფის ასაკშიც. ეს სახენათელი და ტკბილხმიანი, თმამოფრიალე და მომხიბლავღიმილიანი ბიჭუ-

ნა, ეს თავისუფალი ყრმა, სკოლიდან რომ გარბოდა ქარივით მოუთოკველი, – ცამეტი წლის ასაკამდე ქალებისა და გოგონების რჩეულნებიერა გახლდათ. ისინი მასში თავისთავს პოულობდნენ, ის კი იმდენად ალივსო მათი განცდებით, რომ ერთ-ერთი მისი ბავშვური ნატვრა, ნაკარნახევი კრიშნასა და მშვენიერი მწყემსი გოგონების ლეგენდით, იყო კრიშნაში შეყვარებულ კვლავ იმ ნორჩ ქვრივად დაბადება, რომელსაც კრიშნა ხახლში აკითხავდა ხოლმე. მაგრამ ეს იყო მის მრავალ წარმოსახვისმიერ მეტამორფოზათაგან მხოლოდ ერთ-ერთი. სული-პროტევსის ეს მეტამორფოზები ინსტინქტურად ცვლიდნენ ერთიმეორეს და აიძულებდნენ მას, შეუწყვეტლად მიეღო ყველა იმ არსების სახე, რომელიც კი ცხოვრებაში ან ოცნებაში ენახა. არც ერთი ჩვენთაგანი არ არის მთლიანად მოკლებული ამ საოცარ პლასტიურობას. უმდაბლეს ფორმებში მას ახორციელებს მიმიკოსი, რომელიც ბაძავს ადამიანის პოზას და მისი სახის გამომეტყველებას. მისი უმაღლესი გამოვლინება კი, მე ვიტყოდი, არის ღმერთი, დაუსრულებლად რომ დგამს და მართავს სამყაროს სახიობა-კომედიას. ეს პლასტიურობა არის ისევ და ისევ ხელოვნებისა და სიყვარულის ნიშანი. სწორედ მისი მეშვეობით გვემცნო ის განსაცვიფრებელი უნარი, რომლითაც მოგვიანებით უნდა მორჭმულიყო რამაკრიშნა: გენია ყველა ამსოფლიურ სულთან შერწყმისა.

მამა გარდაიცვალა, როცა ბიჭუნა შვიდი წლის იყო. უსახსროდ დარჩენილმა ოჯახმა უმძიმესი წლები გადაიტანა. უფროსი ვაჟი[15], რამკუმარი, კალკუტაში დასახლდა და გახსნა იქ სკოლა. მან გამოიხმო თავისთან უკვე შეღერებული უმცროსი ძმა (1852), მაგრამ შინაგანი ცხოვრების ტალღებს აყოლილ ბიჭს სწავლა არ სურდა.

იმავე წლებში, დაკშინესვარში, განგის მარცხენა ნაპირზე, კალკუტიდან ექვს კილომეტრზე, დაბალი კასტიდან წარმომდგარმა ქალმა, რანი რასმანიმ, დააარსა დიდი ქალღმერთის, ღვთაებრივი დედა კალის, ტაძარი. მას ძალზე გაუჭირდა ისეთი ბრაჰმანის მოძებნა, ვინც შეასრულებდა ტაძრის ქურუმის მოვალეობას, რა უცნაურადაც არ უნდა გვეჩვენოს, რელიგიურ ინდოეთში, სადაც დიდ პატივს მიაგებენ ბერებს, სადჰუებს, თავისუფალ ნათელმხილველებს, ქურუმის (ტაძრის ხელფასიანი მოსამსახურის) მდგომარეობა არცთუ სახარბიელოდ ითვლება. ინდური ტაძრები სულ არ ჰგვანან ჩვენს ეკლესიებს, ღვთის გულისა და სხეულის სამყოფელებს, ყოველდღე მისთვის ზვარაკის მისატან ადგილებს. ეს ტაძრები წარმოადგენენ მდიდართა სანაქებო დაწესებულებებს, რომლებიც ასე ათავსებენ თავიანთ სახელ-ტიტულებს ღვთაების სიახლოვეს. ჭეშმარიტი რელიგია კი ინდოელთათვის ყოველი ცალკეული სულის პირადი საქმეა. გარდა ამისა, დაკშინესვარის ტაძრის დამაარსებელი იყო სუდრა[16], ბრაჰმანისათვის მსგავსი თანამდებობის მიღება ღირსების დაკარგვას უდრიდა. რამკუმარი მაინც წავიდა ამაზე 1855 წელს, თუმცა მისი ძმა, რომელიც იმხანად საკმაოდ პედანტურად ეკიდებოდა კასტების საკითხს, ძნელად ურიგდებოდა ამ მდგომარეობას. მაგრამ დროთა განმავლობაში მისი ზიზღი შესუსტდა და როცა მომდევნო წელს რამკუმარი გარდაიცვალა, რამაკრიშნა დათანხმდა განეგრძო ძმის საქმე.

### შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

1. იხ. ამ წიგნის მეექვსე თავი: "ერთიანობის მშენებლები" (რამ მოჰუმ როი, დევენდრანათ თაგორი, ქეშაბ ჩუნდერ სენ, დაიანანდა); აგრეთვე, "ინდოეთი მოქმედებაში" (ჟურნალი "ევროპა", 15 დეკემბერი, 1928), სადაც მე ადგილს ვუთმობ აურობინდო გჰოზს, ჩვენს დიდ თანამედროვეს.
2. იგი შეადგენს ორ ტომს.
3. დიდ ინდოელთა დამოკიდებულება ლეგენდასთან ხასიათდება საგულისხმო კრიტიკულობით, რომელიც უკავშირდება რწმენას. აღსანიშნავია, რომ მათ მიერ ღმერთების დარად თაყვანცემულ პიროვნებათა ისტორიული არსებობა მათთვის თითქმის არაფრისმთქმელია. თუკი ეს არსებობა სულიერად ნამდვილი, ლოგიკური და ცოცხალია, მისი ობიექტური რეალობა ბევრს აღარაფერს ნიშნავს. ადამიანთა შორის ყველაზე დიდი მორწმუნე, რამაკრიშნა, ამბობდა: "ისინი, ვინც შეძლო შეეცნო ასეთი იდეები, თვითმათ საგნად უნდა ქცეულიყო კიდეც." ვივეკანანდა კი, რომელსაც ეჭვი ეპარებოდა კრიშნას ობიექტურ

არსებობაში, ისევე როგორც ქრისტეს პიროვნების ნამდვილობაში. (ამ პირველში – კიდევ უფრო მეტად). ამტკიცებდა: "მაგრამ დღესდღეობით კრიშნა ავატარათაგან უსრულქმნილესია." და იგი მას ეთაყვანებოდა (იხ. და ნივედიტა, "სვამი ვივეკანანდასთან ერთად ხეტიალის ჩანაწერები.")

ჭეშმარიტად რელიგიური სულები ისევე სცნობენ ცოცხალ ღმერთს ამა თუ იმ ხალხის ტვინზე დამჩნეულ ნაკვალევში, როგორც შეიცნობენ მას ამა თუ იმ ინკარნაციაში. ბოდი მორწმუნისთვის, ვისთვისაც მთელი სინამდვილე არის ღმერთი, ეს – ორი თანაბარი სინამდვილეა. და თვით ისიც კი ყოყმანობს: რომელია ამ რეალობათაგან უფრო შთამაგონებელი.

4. რამაკრიშნა გარდაიცვალა 1886 წელს, ორმოცდაათი წლის ასაკში. მისი დიდი მოწაფე, ვივეკანანდა, გარდაიცვალა 1902 წელს, 39 წლის: არ დაგვავიწყდეს ამ თარიღების სიახლოვე ჩვენთან! ჩვენ ერთი და იგივე მზე გვიხილავს, ერთი და იმავე დროის ტივს ვუტარებივართ.

5. სულ სხვაა ვივეკანანდას ცხოვრება, რომელმაც მოიარა ძველი და ახალი კონტინენტები.

6. "გამოვლინდი, ო, ხშირთმიანო ქალღმერთო! შენ ხარ ერთი და მრავალი, შენ მოიცავ ათასებს, შენ ავსებ ბრძოლის ველს მომხდურით!.." (ჰიმნი ენერგიის ქალღმერთს, შაკტის).

7. უპანიშადთა ტაიიტირიიი. ვედანტას მიხედვით, როცა აბსოლუტური ბრაჰმანი იძენს თვისებებს და იწყებს განვითარებას ცოცხალ სამყაროში, ის თავად ხდება პირველშობილი არსებისა, რომელიც არის არსი ხილულთა და უხილავთა. ის, ვინც მეტყველებს ამ სტრიქონში, მით ამჟღავნებს თავის იდენტურობას ღმერთთან.

8. ეს წიგნი ერთდროულად გავრცელდა ინდოეთსა და ევროპაში.

9. ამ დროისთვის, როცა მე ვამთავრებ ამ წიგნის რედაქტირებას (1928 წლის შემოდგომა), ჯერ კიდევ ცოცხლები არიან რამაკრიშნას უშუალო მოწაფეები და თვითმხილველნი, რომელთა სახელებია: სვამი შივანანდა, კალკუტასთან ახლოს მდებარე ბელურის ცენტრალური მათის (მონასტრის) აბატი და რამაკრიშნას მათისა და მისიის დირექტორი; სვამი აბჰედანანდა; სვამი ახანდანანდა; სვამი ნირმალანანდა; სვამი ვიინანანანდა; სვამი სუბჰოდანანდა; მაჰენდრანათ გუპტა, კალკუტაში დაფუძნებული საგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორი, რომელმაც ჩაიწერა და გამოსცა საუბრები მოძღვართან სათაურით: "რამაკრიშნას სახარება"; რამლალ ჩატერჯი, რამაკრიშნას ძმისშვილი. არაფერს ვამბობთ მის ხაერო მოწაფეებზე, რომელთა კვალი ძნელი მისადევნია.

10. ა. ბართი, "ინდოეთის რელიგიები", 1879.

11. ვაფრთხილებ ევროპელ მკითხველს, რომ ბავშვობის ამ ამბავში მე განზრახ ვამბობ უარს ჩემს კრიტიკულ აზროვნებაზე. (თუმცა ის გამუდმებით ფხიზლობს გონების საგუშაგოზე). ამდენად მე ვიქცევ ლეგენდის ხმად, კრიშნას თითებში მოქცეულ ფლეიტად. ამ შემთხვევაში, ჩვენთვის საინტერესოა არა ობიექტური სინამდვილე, არამედ მოხდენილ შთაბეჭდილებათა სუბიექტური სიმართლე. სწორედ ეს შთაბეჭდილებები შეადგენს ამ თხრობის ჭეშმარიტ ქსოვილს. ვისაც მოესურვილება პენელოპას ხართავის დაშლა, ცარიელი დაზგა შერჩება ხელთ. მე მაინტერესებს მუყაითი მრთველის თითებქვეშ აქ ვავებული ოცნება. ჩვენ ამის მაგალითს გვაძლევს მეცნიერების დიდი წარმომადგენელი, მაქს მიულერი. რჩებოდა რა დასავლეთის კრიტიკული მეთოდების ერთგული და, იმავე დროს, აღიარებდა აზროვნების სხვა ფორმებსაც, მან სთხოვა ვივეკანანდას მოეთხრო მისთვის პარამაჰამსას* ცხოვრების შესახებ და შემდეგ პედანტური სიზუსტით გადმოსცა ეს ამბავი თავის მშვენიერ წიგნში**. ის ფიქრობს, რომ დიალოგის ანუ, როგორც თავად ამბობს, "დიალექტიკის" მეთოდი, გამოყენებული თანამედროვეთა მიერ ნანახ და განცდილ მოვლენათა მიმართ, ცოცხალ და ნამდვილ თვითმხილველთა შეგნებაში მომხდარი ამგვარი გარდატეხა სინამდვილისა, არის ისტორიის აუცილებელი ელემენტი. სინამდვილის ყოველი შემეცნება არის მისი გარდატეხა ადამიანის შეგნებასა და შეგრძნებებში. ასე რომ, ყოველი კეთილსინდისიერი გადახვევა – სინამდვილეა. კრიტიკული გონების მიზანია განსაზღვროს თვითმხილველის გადახრის ხარისხი და ხედვის კუთხე. ოლონდ ამ გონებამ მუდამ უნდა გაუწიოს ანგარიში სინამდვილის არეკვლას ადამიანური აღქმის გამამრუდებელ სარკეში.

*პარამაჰამსა – მაღლად მფრენი დიდი ფრინველი (სიტყვასიტყვით – ინდური ბატი. მაგრამ ბატის ეს ინდური სახეობა არ შეესატყვისება ევროპულ ბატს). ეს სახელი, რომელიც ნიშნავს ბრძენსა და წმინდანს, ჩვეულებრივ თან ახლავს შრი რამაკრიშნას სახელს.

**მაქს მიულერი, "რამაკრიშნა, მისი ცხოვრება და გამონათქვამები", 1898.

12. ინდური ლეგენდები განადიდებენ არაერთ უმანკო ჩასახვას.

13. ჩაიტანია (1485-1553), ბენგალიელ ბრაჰმანთა შთამომავალი, რომელმაც, მოიხვეჭა რა სწავლულ ღვთისმეტყველისა და სანსკრიტოლოგის სახელი, ჩამოიფერთხა ფორმალიზმით შებოჭილი მოძველებული რელიგიის მტვერი და იწყო ხეტიალი ღმერთთან მისტიურ შერწყმაზე დამყარებული სიყვარულის ახალი რწმენის საქადაგებლად. ეს რწმენა ძმურად მიმართავდა ყველას: ნებისმიერი რელიგიის წარმომადგენელ კაცსა თუ ქალს, კასტების წევრებსა თუ მათ გარეშე მდგართ, მაჰმადიანებს, ინდოელებს, განკვეთილ პარიებს, ქარდებს, დაცემულ ქალებს, რომელთაც მისი ცეცხლოვანი სიტყვა აერთიანებდა, განწმენდდა, განაახლებდა.

ეს იყო ნამდვილი გამოღვიძება, რომელსაც უკვე

წარმომადგენელ კაცსა თუ ქალს, კასტების წევრებსა თუ მათ გარეშე მდგართ, მაჰმადიანებს, ინდოელებს, განკვეთილ პარიებს, ქარდებს, დაცემულ ქალებს, რომელთაც მისი ცეცხლოვანი სიტყვა აერთიანებდა, განწმენდდა, განაახლებდა.

ეს იყო ნამდვილი გამოღვიძება, რომელსაც უკვე მთელი საუკუნით ადრე წინასწარმეტყველებდნენ მომღერალი პოეტების გასაოცარი სიმღერები. ყველაზე წრფელი და დახვეწილი მათ შორის იყო ჩანდიდასი, ბენგალიის ერთ-ერთი ნახევრადდაქცეული ტაძრის უპოვარი ქურუმი, შეყვარებული ნორჩ გლეხ ქალწულში, რომელსაც მან მისტიური ხოტბა შეასხა მთელ რიგ პატარა უკვდავ პოემებში. ევროპული "Lieder"-ის მთელ საგანძურში ვერაფერს ნახავთ გულისშემძვრელი სილამაზით ამ ღვთაებრივი ელეგიების სადარს. არისტოკრატმა ვიდიაპატიმ, რომლის მთამაგონებელი იყო დედოფალი, თავის დახვეწილ ხელოვნებაში ისეთივე სრულყოფილებას მიაღწია, როგორსაც გენიალურად უბრალო ჩანდიდასმა, მაგრამ მის ჰანგებში უფრო მეტი სიხარულია (გამოვხატავ სურვილს, რომ დასავლეთის რომელიმე ჭეშმარიტმა პოეტმა გადმორგოს ეს პოემები ჩვენს ყვავილნარში. არ არსებობს მოსიყვარულე გული, რომელშიც ისინი კვლავ არ გაიხარებენ).

ჩაიტანიას მოწაფეები ავრცელებდნენ ამ პოემებს მთელ ბენგალიაში, ისინი დადიოდნენ დაბიდან დაბაში, ცეკვავდნენ, მღეროდნენ – "კირტანად" წოდებულ ახალ სტილში – სიმღერებს მოხეტიალე მიჯნურზე, ღვთაებრივი სიყვარულის მაძიებელზე. განგის მენავეები, გლეხები, იმეორებდნენ მელექსებ სიტყვებს გამოღვიძებულ სულზე. ამის მელოდიური ექო ჯერ კიდევ ჟღერს თაგორის პოეზიაში (განსაკუთრებით კრებულებში "მებაღე" და "გიტანჯალი").

რამაკრიშნას ბავშვური ოცნებები გაიტაცა ამ "კირტანებმა". ის ეწაფებოდა ვაიშნავების მუსიკის რძეს და შეიძლება ითქვას, რომ თვითონვე, მთელი თავისი ცხოვრებით, გახდა საუკეთესო და უმდიდრესი ამ პოემათაგან.

თაგორის დამოკიდებულებაზე ბენგალიის ძველ პოეტებთან იხ. მანჟულალ დავეს წიგნი "რაბინდრანათ თაგორის პოეზია", 1927: "თაგორი მუდამ აღტაცებული იყო ვაიშნავას პოეტებით და თავის მასწავლებლებად თვლიდა მათ, განსაკუთრებით ჩანდიდასს, ვიდიაპატის და, მოგვიანებით, ჩაიტანიას."

14. რამაკრიშნას შიმდევრის, მისი სახარების გამომცემლის, სწავლულის, მაჰენდრანათ გუპტას წერილი აშუქებს ზოგიერთ მომენტს.

რამაკრიშნა იცნობდა დიდ პოეტ-ვაიშნავიტებს, მაგრამ, უმეტესწილად, პოპულარულად გადმოღებულთ "იატრად" წოდებული ხალხური წარმოდგენებისთვის (რომლის მსგავსშიც იგი თამაშობდა შივას როლს). ის აღტაცებული იყო ჩაიტანიათი, განსაკუთრებით 1858 წლის შემდგომ პერიოდში: ბოლოს მან თავი გაუიგივა მას. ერთ-ერთ პირველ საუბარში ახალგაზრდა ნარენთან (ვივეკანანდასთან), მან ამ უკანასკნელის განსაცვიფრებლად განაცხადა, რომ თავის ერთ-ერთ წინა განსხეულებაში ის იყო ჩაიტანია; მან დიდად შეუწყო ხელი ჩაიტანიას აწ დავიწყებული მისტიური განცდის გაღვიძებას ბენგალიაში.

15. რამაკრიშნა იყო რიგით მეოთხე ხუთი შვილიდან.

16. სუდრა – ოთხ მთავარ კასტათაგან მეოთხე, რომელიც თავდაპირველად შედგებოდა მონებისაგან.

თარგმნა დავით აკრიანმა წიგნიდან
**"La vie de Ramakrishna", Paris, 1993**

## შრი რამაკრიშნას საუბრები მოწაფეებთან ღმერთის მრავალფეროვნების შესახებ



შრი რამაკრიშნა (გოსვამს): მას, ვინც სრული შინაგანი კონცენტრაციით ცხოვრობს, შეუძლია ყველა რელიგიის (დჰარმა) შიგნით მიაღწიოს ღმერთს. ვიშნუიტებიც მიაღწევენ ღმერთს, სექტებიც, ვედანტისტებიც, ბრაჰმოჯნანებიც; მაჰმადიანები და ქრისტიანები, ისინი ყველანი მიაღწევენ ღმერთს. ყველა, ვინც მთელი არსების ჩართვით ცხოვრობს, მიაღწევს მას. მათ კი, ერთსა თუ მეორეს, მხოლოდ კინკლაობა აქვთ თავში. ისინი ამბობენ: "ვინც თაყვანს არ სცემს ჩვენს შრი კრიშნას[1], ვერაფერს მიაღწევს", ან "ვინც ჩვენს დედა-კალის[2] არ ეთაყვანება, ვერაფერს მიაღწევს". "ვინც ჩვენს ქრისტიანულ რწმენას არ მიიღებს, ვერაფერს მიაღწევს".

ვინც ასე ფიქრობს, ის თავკერძაა. ეს ნიშნავს: ჩემი რელიგია ჭეშმარიტია, ყველა დანარჩენი – ყალბი. ცუდია ასეთი თვალთახედვა. ღმერთს შეიძლება სხვადასხვა გზებით მიაღწიო.

შემდეგ ერთ-ერთი ამბობს: "ღმერთს აქვს ფორმა, ის არ არსებობს ფორმის გარეშე". და ისევ აყალმაყალი. ვიშნუიტები[3] ეჩხუბებიან ვედანტისტებს[4].

თუ ვინმე სხეულებრივად ხედავს ღმერთს, მას შეუძლია ზუსტი ცნობის გაცემა. ვისაც ხილვა ჰქონია, მან იცის ზუსტად: ღმერთს ფორმა აქვს. მაგრამ ის ფორმის გარეშეც არსებობს. და საერთოდ, როგორ ყველაფერია იგი, ამას ვერავინ გამოთქვამს.

ბრმების ჯგუფი ერთ სპილოს მიადგა. ვიღაცამ მათ უთხრა: "ამ ცხოველს ჰქვია სპილო". შემდეგ ბრმებმა იკითხეს: "ნეტავ როგორია სპილო?" ისინი შეუდგნენ სპილოს სხეულზე ხელის ცეცებას. ერთმა თქვა: "სპილო სვეტივით ყოფილა". – იგი სპილოს მხოლოდ ერთ ფეხს შეეხო. მეორემ თქვა: "სპილო ხახორბლე ლასტივითაა". ის სპილოს მხოლოდ ცალ ყურს შეეხო. ასევე, სულ სხვადასხვა რამ სთქვეს დანარჩენებმა, რომელთაგან ზოგმა ხორთუმს მოჰკიდა ხელი, ზოგმა მუცელს მოუსვა. ასევე ხდება ღმერთთან მიმართებაში. ვინც ის ცოტათი იხილა, დარწმუნებულია, ასეთია ღმერთი და სხვა არანაირიო.

ერთი კაცი სხეულებრივი შეჭირვებისაგან რომ განთავისუფლდა, შინ შემოვიდა და თქვა: "ხის ქვეშ ლამაზი, წითელი ქამელეონი ვნახე". მეორე შეეპასუხა: "მე შენზე ადრე ჩავიარე იქ. როგორ თუ წითელი? ის მწვანეა. საკუთარი თვალიţ ვიხილე". სხვამ თქვა: "ზუსტად ვიცი. თქვენამდე მე ვიყავი იქ. ის ქამელეონი მეც ვნახე: ის არც მწვანეა, არც წითელი, საკუთარი თვალებით ვიხილე: ის ლურჯია". კიდევ ორი სხვა იყო იქ. მათ თქვეს: "ყვითელი", "ნაცრისფერი" – და სხვა ფერები. ბოლოს ყველა ერთმანეთს წაეჩხუბა. თითოეული ფიქრობდა, რაც მე ვნახე, სწორი ის არისო. ერთი კაცი ამათ ჩხუბს აკვირდებოდა და ჰკითხა: "რა მოხდა?" როცა ყველას მონათხრობი მოისმინა, თქვა: "მე იმ ხის ძირში ვცხოვრობ და ვიცნობ იმ ცხოველს. თითოეული თქვენგანი მართალია. ეს ქამელეონია. ზოგჯერ მწვანეა, ზოგჯერ ლურჯი, სხვადასხვა ფერს იღებს; ზოგჯერ იმასაც ვხედავ, რომ საერთოდ არანაირი ფერი აღარა აქვს. მაშინ ის უთვისებოა (ნირგუნა).

(გოსვამს): მაშ საკმარისია როცა ამბობენ, ღმერთს მუდამ ფორმა აქვსო? შრი კრიშნას სახით ღმერთი ადამიანის სხეულს იღებს – ეს მართალია. ბჰაკტას[5] ის სხვადასხვა ფორმით ეჩვენება – ესეც მართალია. მაგრამ ღმერთი ფორმის გარეშეც არსებობს: განუყოფელი სატ-შიტ-ანანდა. – ესეც მართალია. ვედებში ის აღწერილია როგორც საგუნა და ნირგუნა.

იცი როგორ? სატ-შიტ-ანანდა უსასრულო ზღვასავითაა. სიცივე ზღვის წყალს ყინულად აქცევს, ყინული სხვადასხვანაირ ფორმებს იღებს და ზღვის წყალზე ზემოდან დაცურავს. ასევე შეიძლება, ბჰაკტის სიყვარულის წყალობით, სატ-შიტ-ანანდას ზღვაში ღმერთის ხილული სახე იხილოს კაცმა. ბჰაკტისთვის მას ფორმა აქვს. მაგრამ როდესაც ჯნანა[6] – მზე, – ამოდის, ყინული დნება, წყალი ისეთივეა, როგორც მანამდე იყო. ქვემოთ და ზემოთ – სისავსე. ყველგან წყალი. ამიტომ ლოცულობდნენ შრიმად ბჰაგავატაში[7] ყველანი: "უფალო, შენ ხარ ფორმის მქონე, შენ ხარ უფორმო! ჩვენს თვალთა წინაშე შენ მოქცევი ადამიანად, თუმცა ვედებში წერია, რომ შენ ხარ ენისა და აზრების მიღმა".

და მაინც შეიძლება ითქვას – ზოგი ბჰაკტასათვის ღმერთი მარადიულად ფორმის მქონეა. არსებობს ისეთი ადგილები, სადაც ყინული არასოდეს დნება, იგი კრისტალდება.

კედარი: შრიმად ბჰაგავატაში ვიასა[8] პატიებას სთხოვს ღმერთს სამი შეცოდების გამო; ერთგან ის ამბობს: "ჰე, უფალო ღმერთო! შენ ხარ ენისა და აზრების მიღმა, მაგრამ მე მუდამჟამს აღვწერდი შენს ლილას – შენს ხილულ სახეს. შემინდე შეცოდება ჩემი".

შრი რამაკრიშნა: დიახ, ღმერთს აქვს ფორმა და, მეორე მხრივ, არა აქვს ფორმა. სხვა მხრივ კი ის ფორმისა და არა-ფორმის მიღმა დგას. მასთან ბოლოს ვერ იხილავ.

## პატარა ბავშვის რწმენა

შრი რამაკრიშნა: – ერთ კაცს ჰყავდა გოგონა. ჯერ კიდევ სრულიად პატარა, იგი დაქვრივდა[9]. თავისი ქმრის სახე არც კი ენახა, სულ სხვა ქალების ქმრებს ხედავდა. ერთ დღეს თქვა: "მამავ! სად არის ჩემი ქმარი?" მამამ უთხრა: "გოვინდა არის შენი ქმარი, თუ დაუძახებ, გეჩვენებაო". ეს რომ გაიგონა, გოგონა ოთახში ჩაიკეტა, უძახდა და ტიროდა: გოვინდა! მოდი, დამენახვე, რატომ არ მოდიხარ?" როდესაც პატარა გოგოს ტირილი შემოესმა, ღმერთს არ შეეძლო შორს დარჩენილიყო, იგი ეჩვენა მას.

პატარა ბავშვის რწმენა! გენატრებოდეს, – როგორც პატარა ბიჭს ენატრება დედა, – ეს მონატრება! თუ ეს მონატრება არსებობს – დილა თენდება. რიჟრაჟის კვალდაკვალ მზე უნდა ამოვიდეს. ასევე მოჰყვება ამგვარ მონატრებას ღმერთის ხილვა.

არსებობს ამბავი ერთი ბიჭისა, რომელსაც ჯატილი ერქვა. ის სკოლაში დადიოდა. გზად ტყე უნდა გაევლო ხოლმე და ხშირად ეშინოდა. დედას უამბო და მან ასე უპასუხა: "რატომ გეშინია? ადექი და უბრალოდ დაუძახე მადჰუსუდანს."[10] ბავშვმა ჰკითხა: "ვინ არის მადჰუსუდანი?" დედამ უთხრა: "მადჰუსუდანი შენი უფროსი ძმააო." როცა ამის შემდეგ მარტო მიდიოდა [ტყეში], ბიჭს კიდევ შეეშინდა, მაშინვე დაიძახა: "ძმაო მადჰუსუდან!" არავინ ჩანდა. ბიჭმა ხმამაღლა ტირილი დაიწყო: "სადა ხარ, მადჰუსუდან, ძმაო, მოდი ჩემთან, ძალიან მეშინია." და ღმერთს აღარ შეეძლო შორს დარჩენილიყო. იგი გამოჩნდა და უთხრა: "მე ხომ აქა ვარ, რატომ გეშინია." და მან მიაცილა იგი ქუჩამდე, რომელიც სკოლისკენ მიდიოდა. და მან უთხრა: "თუ დამიძახებ, მოვალ. ნუ გეშინია!" ეს რწმენა პატარა ბიჭისა! ეს მონატრება!

ერთი ბრაჰმანის სახლში წესისამებრ ღვთისმსახურება იმართებოდა. ერთ დღეს ეს ბრაჰმანი სადღაც უნდა წასულიყო რაღაც საქმის მოსაგვარებლად. მან თავის პატარა ბიჭს უთხრა: "დღეს შენ იდღესასწაულე ქამადის წირვა. მიეცი ღმერთს საჭმელი."[11] ბიჭმა შესაწირი ჭამადი ღმერთს წინ დაუდგა. ღმერთი მუნჯად იჯდა. არც ლაპარაკობდა, არც ჭამდა. ბიჭი დიდხანს იჯდა და აკვირდებოდა, ადგებოდა თუ არა ღმერთი. ის ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ღმერთი მისთვის მომზადებულ ადგილზე დაბრძანდებოდა და ჭამას შეუდგებოდა. რომ აღარ იქნა, ბიჭმა ხვეწნა დაუწყო: "უფალო, მოდი და ჭამე. დრო გადის, აღარ შემიძლია დიდხანს ლოდინი." ღმერთი ხმას არ იღებდა. ბიჭმა ტირილი დაიწყო და ასე უთხრა: "უფალო, მამაჩემმა დამავალა, გაჭამო. რატომ არ მოდიხარ? რატომ არ გინდა საჭმელი მიიღო ჩემ-

გან?" როცა ასეთი მონატრებით აღვსილი ტიროდა, ღმერთი მოვიდა, მოცინარი, დაჯდა თავის ადგილას და ჭამა დაიწყო. ღმერთი რომ დააპურა და ღვთისმსახურების ოთახი დასტოვა, ბიჭს ნათესავები შეეკითხნენ: "ჩაათავე ჭამადის წირვა? მოიტანე ყველაფერი." ბიჭმა უთხრა მათ: "ღმერთმა ყველაფერი შეჭამა." "ეს რას ნიშნავს?" – იკითხეს ნათესავებმა. ბიჭმა გულუბრყვილოდ უპასუხა: "როგორ თუ რას? კი მაგრამ, ღმერთმა ხომ ყველაფერი შეჭამა?" ნათესავები ღვთისმსახურების ოთახში შევიდნენ და ყველაფერი რომ იხილეს, ენა ჩაუვარდათ.

### განსწავლულობა განდგომის გარეშე უაზრობაა

შრი რამაკრიშნა: – რას აძლევთ განსწავლულობა და მოხსენებები, თუკი მათთვის უცხოა განსხვავების ნიჭი (ბიბეკა) და განდგომა (ბაირაგია). ღმერთი ჭეშმარიტებაა, სხვა დანარჩენი – არამარადიული (ანიტია); ღმერთი არსებითია; ყველაფერი დანარჩენი არაარსებითი. ეს არის განსხვავება.

ჯერ შენი გულის ტაძარში აღმართე იგი. შემდეგ წაიკითხე მოხსენებები, სიტყვები, თუ გსურს. რას აძლევთ, მხოლოდ "ბრაჰმა, ბრაჰმა"[12]-ო რომ გაიძახიან, თუკი განსხვავების ნიჭი და განდგომა აკლიათ? ეს ხომ ოდენ შანკჰას[13] ცარიელი ხმაურია?

ერთ სოფელში ცხოვრობდა ერთი ყმაწვილი, სახელად პადმალოჩანი. ხალხი მას ჩვეულებრივ "პოდო, პოდოს"-ს ეძახდა. სოფელში ერთი დაქცეული ტაძარი იდგა. შიგნით არ იყო ღმერთის გამოსახულება. ტაძრის გვერდით კი ახვატას ხეები და ზოგიც სხვა რამ ხარობდა, ტაძარში ღამურებს დაედოთ ბინა, იატაკი მტვერსა და ღამურების სკორეს დაეფარა. აღარავინ აკითხავდა ტაძარს.

ერთ დღეს, როცა შებინდდა, სოფლის ხალხს შანკჰას ხმა შემოესმათ: "ბბო-ბბოო" – მოისმოდა ტაძრის მხრიდან. ხალხმა იფიქრა, ალბათ ვინმემ ღმერთის გამოსახულება აღმართა და მწუხრზე არატი-ს[14] ზეიმობსო. ბერი და ახალგაზრდა, ქალი და კაცი ტაძრისკენ გაიქცა, უნდოდათ ღმერთის გამოსახულება ენახათ და არატიც ეზეიმათ. ერთმა ფრთხილად შეაღო კარი და დაინახა, როგორ იდგა ერთ მხარეს პადმალოჩანი და "ბბო-ბბოო" – უბერავდა შანკჰას. არც ღმერთის გამოსახულება იყო სადმე აღმართული, არც ტაძარი – დაგვილი. ღამურების სკორე მოფენილიყო ირგვლივ, და ამ კაცმა შესძახა პადმალოჩანს:

"ტაძარში კრიშნა არ აღგიმართავს,
მაგ შენი ხმაურით იწვევ აურზაურს,
დღედაღამ თერთმეტი ღამურა გდარაჯობს."

თუკი გულის ტაძარში კრიშნა გსურს აღმართო, თუ გსურს ღმერთს მისწვდე, რა ხეირს მოგიტანს ბბო-ბბო რომ ჩაჰბერო შანკჰას. ჯერ ანკარა აზრები და გრძნობები! თუ სული (მანა) განიწმინდება, მოვა უფალი ღმერთი და დაეშვება წმინდა ალაგას. იქ კი, სადაც ღამურების სკლინტი ჰფარავს ირგვლივ ყველაფერს, – კრიშნას ვერ შეიყვან. თერთმეტი ღამურა თერთმეტი გრძნობის ორგანოა: ხუთი აღქმის ორგანო, ხუთი მოქმედების ორგანო და აზროვნება. ჯერ კრიშნა აღმართე და შემდეგ წაიკითხე მოხსენებები, თუ გსურს. ჯერ ღრმად ჩაიძირე და მოიპოვე ძვირფასი ქვა! სხვა რამ სამუშაო – ამის შემდეგ!

არავის სურს ღრმად ჩაძირვა: არავითარი სულიერი ვარჯიში (სადჰანა) და რელიგიური სიმღერები, არავითარი ნიჭი განსხვავებისა და უარისთქმა! ორ-სამ სიტყვას ისწავლიან და უკვე მოხსენებები!

ადამიანთა დამოძღვრა ძნელია. თუკი ღმერთის ხილვის შემდეგ (დარსანა) მიიღებ ღმერთისგან საამისო ბრძანებას, მხოლოდ მაშინ გაქვს უფლება ჭკუა ასწავლო ადამიანებს,

### ღმერთის ხილვის შემდეგ

შრი რამაკრიშნა (ვიდიასაგარს): ბრაჰმანის ხილვის შემდეგ ადამიანი დუმილს იწყებს. ვიდრე ხილვა არა აქვს, ის აზროვნებს

და კამათობს. ვიდრე გჰი[15] ჯერ კიდევ ცივია, ის შიშინებს. ცხელი გჰი აღარ ხმაურობს. მაგრამ, როდესაც ლუცის[16] ჩადებენ ცხელ გჰიში, ის ერთხელ კიდევ აშიშინდება და ათუხთუხდება. როდესაც ლუცი-ს შეწვავს, ისევ მშვიდდება. ასევე კაცი, რომელმაც სამადჰი გამოსცადა სამადჰიდან, ბრუნდება რათა ადამიანებს ასწავლოს და ისევ ლაპარაკობს.

ვიდრე ფუტკარი ყვავილზე არ დაჯდება, ის ბზუის და ზუზუნებს. როგორც კი ყვავილზე დაჯდება და ნექტარის სმას იწყებს, – ჩუმდება. შემდეგ ის თვრება და შიგადაშიგ ისევ იწყებს ზუზუნსა და ბზუილს.

როცა დოქს ტბაში ჩააპირქვავებენ და წყლით ავსებენ, ის ბუყ-ბუყ-ო იძახის. თუ ის სავსეა, აღარ ხმაურობს (ყველა იცინის). მაგრამ როცა წყალი სხვა დოქში ისხმება, ისევ ისმის ხმაური (იცინიან).

## ღმერთი პატარა ბიჭივითაა

შრი რამაკრიშნა: იცი იმ ადამიანს რა ნიშნები აქვს, ვისაც ღმერთი გამოეცხადა? ის პატარა ბიჭივით ხდება. რატომ ხდება პატარა ბიჭივით? ღმერთი თავად არის პატარა ბიჭივით! ამიტომ ისიც, ვინც ღმერთს ხედავს, პატარა ბიჭად იქცევა.

## სამნაირი რეაქცია ერთსა და იმავე სიტუაციაზე

შრი რამაკრიშნა: სამი მეგობარი მიდიოდა ტყეში. ვეფხვი გამოჩნდა. ერთმა თქვა: "ძმებო! დავიღუპეთ!" მეორემ: "რატომ? რატომ უნდა დავიღუპოთ! მოდი ღმერთს მოვუხმოთ საშველად!" მესამემ თქვა: "ნუ! რისთვის უნდა შევაწუხოთ ღმერთი? მოდი, აი, ამ ხეზე ავძვრეთ." იმან, ვინც თქვა, დავიღუპეთო, არ იცის, რომ ღმერთი ჩვენი მხსნელია. ვინც თქვა: "მოდი ღმერთს ვუხმოთ საშველად" – არის ჯნანი, მან იცის, რომ სამყარო ღმერთმა შექმნა, იგი ანარჩუნებს და იხსნის მას. და მასში, ვინც თქვა: "რისთვის უნდა შევაწუხოთ ღმერთი, მოდი ხეზე ავძვრეთო" – პრემა ანუ სიყვარულია გაღვიძებული. ეს არის პრემის ბუნება. [ვისაც ის აქვს] ის ფიქრობს, რომ თვითონ დიდია, მისი შეყვარებული კი – პატარა, იმის შიშით, – ვაითუ ჩემს შეყვარებულს რაიმე შეემთხვესო. აი, მხოლოდ ეს სურვილი: შეყვარებულს ეკალიც კი არ შეეხოს ტერფზე!

## მხოლოდ ღმერთი აკეთებს ყველაფერს

შრი რამაკრიშნა: გისაუბრია ბჰასკარანანდასთან?

მანილალი: დიახ. ხშირად. ცოდვისა და რელიგიური დამსახურების საკითხებზეც ვისაუბრეთ. მან თქვა: "ნუ გაჰყვები ცოდვათა გზას. ღმერთს არ სურს ეს. ისეთ მოქმედებებს მისდიე, რომელნიც რელიგიურ დამსახურებასთან მიგიყვანენ."

შრი რამაკრიშნა: დიახ, ასეთ რასმე საერო ადამიანებს ეუბნებიან. იმათ კი, ვისაც გასხივოსნება განუცდია და დარწმუნებულია, რომ ჭეშმარიტი მხოლოდ ღმერთია და სხვა ყველაფერი არაჭეშმარიტი და წარმავალია, სხვაგვარი თვალთახედვაც აქვთ. მათ იციან, რომ ერთადერთი მოქმედი ღმერთია. მის გარდა სხვა არავინ მოქმედებს. ისინი ვინც ეზიარნენ გასხივოსნებას, არ ბორძიკობენ. მათ არ სჭირდებათ საგანგებოდ, წინასწარგანზრახულად თქვან უარი ცოდვაზე. მათ ისე უყვართ ღმერთი, რომ რასაც კი აკეთებენ, ყველაფერი კარგია. მაგრამ მათ იციან: მე არა ვარ ქმედებათა ქმედი, მე ღვთისმსახური ვარ. მე ვარ ხელსაწყო, ის ოსტატია. რასაც ის მეუბნება, გააკეთეო, იმას ვაკეთებ. რის თქმასაც მიბრძანებს, იმას ვამბობ, როგორც მმართავს, ისე ვმოძრაობ.

ვინც ეზიარა გასხივოსნებას, ისინი დამსახურებისა და ცოდვათა მიღმა დგანან. ისინი ხედავენ, რომ ღმერთი აკეთებს ყველაფერს.

ერთგან ერთი მონასტერი იდგა. მონასტრის ბერები ყოველდღიურად მიდიოდნენ მოწყალების სათხოვნელად. ერთ დღეს ერთმა ბერმა, რომელიც მოწყალებას ითხოვდა, დაინახა, ერთი დიდი მემამულე როგორ გა-

აფთრებით სცემდა ვიღაცას. ბერი ძალიან გულმოწყალე იყო. მათ შორის ჩადგა და მემამულეს ცემა აუკრძალა. მემამულე ძალიან განრისხდა და მთელი თავისი მძვინვარება ბერზე გადაანთხია. ისე ძლიერ სცემა იგი, რომ ბერი უგონოდ დაეცა მიწაზე. ვიღაცამ მონასტერს შეატყობინა, რომ დიდმა მემამულემ უწყალოდ სცემა ბერს. მონასტრის ბერები გაიქცნენ და იხილეს ბერი, მიწაზე უსულოდ დაგდებული. ხუთმა მათგანმა აიყვანა და მონასტერში მიასვენა. რაკი უსულოდ იდვა, მონასტრის ბერები დამწუხრებულნი შემოსხდომოდნენ. ზოგი ჰაერს უნიავებდა. ერთმა თქვა: "ცოტა რძე ჩააწვეთე პირში, ეგებ უშველოს." ვიდრე რძეს აწვეთებდნენ პირში, ბერი გონს მოვიდა, თვალები გაახილა და მიმოიხედა. ერთმა თქვა: "ო-ჰეე, ვნახოთ, გონზეა თუ არა, ადამიანებს თუ სცნობს." შემდეგ ხმამაღლა ჰკითხა: "მახარია! ვინ გასმევს რძეს?" ბერმა ნელა უპასუხა: "ძმაო, ვინც მცემა, რძესაც ის მაწვდის."

ვინც არ იცის ღმერთი, მას არა აქვს უნარი, მისწვდეს ასეთ ცნობიერებას.

### ჯნანას ცნობიერება

შრი რამაკრიშნა (ჰაცრას): მთელი გაურკვევლობა ირკვევა. ღმერთი სარწმუნოა, ღმერთი არ არის სარწმუნო; ის კარგია, ის ცუდია; ის ნამდვილია, ის არანამდვილია. ღვიძილი და ძილი მისი მდგომარეობანია, მაგრამ ის არის ყველა მდგომარეობის მიღმაც.

ერთ შუა ხნის გლეხს ვაჟი შეეძინა. ის ზედ დაჰკანკალებდა თავის შვილს. ბავშვი ნელნელა იზრდებოდა. ერთ დღეს გლეხი მინდორში მუშაობდა და ვიღაცამ ამბავი მოუტანა, შენი შვილი მძიმედ არის ავად, ძლივსღა სუნთქავსო. შინ მისულ გლეხს შვილი მკვდარი დაუხვდა. ცოლი მწარედ ტიროდა, გლეხს კი ცრემლიც არ გადმოვარდნია. გულმოკლულმა ქალმა მეზობლებს მიმართა: "ამისთანა ვაჟი ხელიდან გამოგვეცალა, ეს კი ცრემლსაც არ აგდებსო".

ცოტა ხნის შემდეგ გლეხმა უთხრა ცოლს: "იცი, რატომ არ ვტირი? წუხელ მესიზმრა, რომ მეფე გავხდი და შვიდი ვაჟის მამა. სიზმრად ვხედავდი, რომ ვაჟები კარგი აღნაგობა და ზნეკეთილები იყვნენ. თანდათან გაიზარდნენ და ცოდნა და სიქველე გაიმრავლეს. და გამომეღვიძა კიდეც. ახლა აღარ ვიცი: ჩვენი ერთი ვაჟი ვიტირო თუ ჩემი შვიდი ვაჟიო".

ჯნანებისთვის სიფხიზლის მდგომარეობა ისეთივე ნამდვილია როგორც სიზმრისა.

### ღმერთის მჭვრეტელი ღმერთს ყველგან ხედავს

შრი რამაკრიშნა: მას შემდეგ, რაც ღმერთს მისწვდები, ის ყველგან ხილული ხდება. ადამიანებში ის განსაკუთრებით აშკარად ცხადდება. ადამიანთა შორის კი კიდევ უფრო აშკარად ცხადდება სატვას ბჰაქტებში, რომელთაც საერთოდ არა აქვთ სურვილი, მგრძნობელური სიხარული და ფლობის სიამე იგემონ (ყველაფერი დუმან). როდესაც კაცი სამადჰის[17] მდგომარეობას დასტოვებს, საით უნდა წარმართოს თავისი აზრები და გრძნობები? ამიტომ სჭირდება მას საზოგადოება წმინდა ბჰაქტებისა, რომელთაც დასტოვეს მგრძნობელური სიხარული და ფლობის სიამე და სატვას თვისებებს ფლობენ. აბა, სხვაგვარად როგორ უნდა იცოცხლოს ადამიანმა, რომელმაც სამადჰი-ს მიაღწია?

### მოვალეობანი ადამიანთა წინაშე და წინაშე ღვთისა

რამაკრიშნა: კაცმა იმდენი ვალი უნდა გადაიხადოს! ღმერთების ვალი, წმინდა წერილის მაუწყებელთა ვალი (რსი), დედის ვალი, მამის ვალი, ცოლის ვალი. ვინც დედის და მამის ვალს არ იხდის, ვერაფერს მიაღწევს. კაცს ცოლის ვალიც აქვს. ჰარიშმა თავისი ცოლი მიატოვა და აქ ცხოვრობს. მის ცოლს რომ საკმაო საკვები არ ჰქონდეს, მაშინ ჰარიშს თავაშვებულს ვუწოდებდი.

ვინც ჯნანას აღწევს, თავის საკუთარ ცოლს დედა-ღვთაების განსხეულებად ჩათ-

ვლის. "ხანდი"[18]-ში წერია: რომაელი ქალი-ღვთაებაც ყველა მდედრ არსებაში დედის სახით ცხოვრობს". ღმერთი იქცა დედად.

რამდენ ქალსაც ხედავ, ყველა მათგანი ღმერთია. ამიტომ ბრინდესაც[19] კი სიტყვას ვერ ვკადრებ. ზოგი ლექს-შეგონებებს აფრქვევს, ზოგი – მაღალფარდოვან სიტყვებს, მათი საქციელი კი სხვაგვარია. რამპრასანნა აქეთ-იქით დაჰქრის მარტო ერთი საწუხარით: როგორ იშოვოს ოპიუმი და რძე ჰათჰა იოგასთვის. ამბობს კიდეც: "მანუსთან წერია, რომ კაცი სადჰუ-ებს[20] უნდა ემსახუროსო" და აქ კი მის მოხუც დედას საჭმელი არა აქვს. იძულებულია თვითონ წავიდეს ბაზარში. ძალიან ვბრაზდები! მაგრამ ერთს გეტყვით: ის ვინც რეტდასხმულია ღვთის სიყვარულით, იმას აღარ გაეგება, ვინ მამაა, ვინ – დედა, ვინ – ცოლი. ისეთ სიყვარულს განიცდის ღმერთისადმი, რომ შეშლილს ემსგავსება. იმას მოვალეობა აღარ გააჩნია. ყველა ვალისაგან თავისუფალია. რას ნიშნავს ღვთის სიყვარულით გაბრუება? ვინც ამ მდგომარეობაში მოდის, ის ივიწყებს სამყაროს, საკუთარი სხეულიც. კაცისთვის ასეთი ძვირფასი რამ, – ავიწყდება. ჩაიტანიას[21] დაემართა ასე. ზღვაში გადახტა და არც იცოდა, რომ ის ზღვა იყო. მიწაზე ეცემოდა და ეცემოდა. არც შიმშილი, არც წყურვილი, არც ძილი! ის საერთოდ ვეღარ აცნობიერებდა საკუთარ სხეულს.

## ღმერთის ჭვრეტა ოთხი ნიშნით ვლინდება

შრი რამაკრიშნა: მაგრამ მავანი თუ ღმერთს ჭვრეტს, გარკვეული ნიშნით იცნობა. ზოგჯერ ეს კაცი გიჟივითაა: იცინის, ტირის, ცეკვავს, მღერის. ზოგჯერ პატარა ბიჭს ემსგავსება: ხუთი წლის ბავშვივით იქცევა. უბრალოდ, დიდსულოვნად, ეგოიზმისა და სიხარბის გარეშე. მასზე არავითარი გუნა[22] არ ბატონობს, მუდამ სიხარულითაა სავსე. ზოგჯერ უკეთური ხდება: ვეღარ ხედავს განსხვავებას წმინდასა და უწმინდურს შორის; მისთვის სულ ერთია ყველაფერი, რასაც წმინდა წერილები ითხოვენ და კრძალავენ. ზოგჯერ ის სრულიად უსიცოცხლოა, ჩლუნგი მზერა უხდება, ამიტომ ვერანაირ სამუშაოს ვერ ასრულებს, ვერაფერს ართმევს თავს.

გერმანულიდან თარგმნა
ნაირა გელაშვილმა

ბენგალიურიდან გერმანულად თარგმნილია მარტინ კემპხენის მიერ (**"Schri Ramakrischna – Ein Werkzeug Gottes sein" . 1988. Zurich)**

[1] კრიშნა – ღმერთ ვიშნუს განსხეულება, სამყაროში "ჩამოსვლა"– ავატარა.

[2] კალი – დედა-ღვთაება, ტრადიციულად გამოისახება როგორც ოთხი ხელისა და მუქი კანის მქონე; აქვს როგორც კეთილი, წყალობაუხვი, ასევე საშინელი, შიშისმომგვრელი ასპექტი.

[3] ვიშნუიტები – ღმერთ ვიშნუს მსახურნი, მიმდევარნი.

[4] ვედანტისტები – სიტყვიდან: ვედა: ინდუსების უძველესი რელიგიური ტექსტები; ვედანტა – ("ვედას დასასრული") – ფილოსოფია, რომელიც ეფუძნება ვედას მომდევნო "უპანიშადებს". ვედანტისტი – ამ ფილოსოფიის მიმდევარი.

[5] ბჰაკტა: სიტყვიდან ბჰაკტი – სიყვარული რომელიმე (პიროვნული) ღმერთისადმი; ღმერთის გრძნობიერი თაყვანისცემა, გამოხატული გალობით, ცეკვით, დრამატული და მხატვრული ელემენტებით; ბჰაკტი-იოგა – სისტემური, ასკეტური გზა ბჰაკტის მისაღწევად. ბჰაკტა: ვინც აღვსილია ბჰაკტით (სიყვარულით); ვინც მისდევს ბჰაკტი-იოგას. ამ ტექსტში კი იგულისხმებიან რამაკრიშნას მოწაფეები.

[6] ჯნანა – ტრანსცენდენტური (რელიგიური) ცოდნა; ღმერთის ცნობიერება; ღმერთის უშუალო განცდა როგორც ასკეზის, მედიტაციისა და წყალობის შედეგი; იგივე რაც "ღმერთის ჭვრეტა"– სამადჰი; დანთქმულობა უთვისებო ღმერთის არსში.

[7] შრიმად ბჰაგავატა – მითოლოგიური ისტორიების კრებული. მის ერთ ნაწილში აღწერილია კრიშნას ცხოვრება.

[8] ვიასა (დევა) – ძველი ინდოელი ბრძენი, "მაჰაბჰარატასა"და სხვა ტექსტების ავტორი.

[9] ჯერ კიდევ სრულიად პატარა დაქვრივდა – იგულისხმება ბავშვობაშივე დაწინდვის ინდური ტრადიცია.

[10] მადჰუსუდანი – კრიშნას სახელი.

11 მიეცი ღმერთს საჭმელი – იგულისხმება: რიტუალურად შესწირე ღმერთის გამოსახულებას საჭმელი.

12 ბრაჰმა – აბსოლუტი. აბსოლუტური ტრანსცენდენტური ღვთაებრიობა, განსხვავებით პიროვნული ღმერთისაგან, როგორიცაა კრიშნა, კალი და სხვა.

13 შანკჰა – რიტუალური ჩასაბერი საკრავი, მას ჩაჰბერენ ხოლმე რიტუალის დაწყებისას და მისი კულმინაციის დროს.

14 არატი – წმინდა სიმბოლოების (მაგ.: ცეცხლის, ყვავილების, საკრავის...) ცერემონიალური ქნევა ღმერთის გამოსახულების წინაშე; რიტუალური ღვთისმსახურების შემადგენელი ნაწილი.

15 გჰი – კარაქი

16 ლუცი – თევზის სახეობა

17 სამადჰი – სპირიტუალური სრულყოფილებისაკენ მიმავალი რვასაფეხურიანი იოგა-გზის ბოლო საფეხური; შერწყმა ანდა აბსორბცია (შთანთქმა, შერუტვა) ღმერთში. მედიტაციური ღმერთში – განსვენება ან თავისთავში განსვენება.

18 ხანდი – დედა ღვთაების განმადიდებელი წმინდა წერილი, პოპულარული ბენგალიაში.

19 ბრინდე – ტაძრის მსახური ქალი.

20 სადჰუ – წმინდანი, ასკეტი, ბერი.

21 ჩაიტანია – (1486-1533); – ბენგალიელი წმინდანი, თაყვანს სცემენ როგორც ვიშნუიტურ ავატარას.

22 გუნა – თვისება, ფასეულობა, ქცევის ფორმა.



# რენე გენონი



## ვინ იყო რენე გენონი

„ის არ ყოფილა ორიენტალისტი, თუმცა (შესაძლოა — იმიტომაც, რომ) აღმოსავლეთს მასზე უკეთ არავინ იცნობდა; ის არ ყოფილა რელიგიის ისტორიკოსი, თუმცა მასზე უკეთ არავის გამოუაშკარავებია რელიგიის საერთო არსი და მისი განსხვავებული ასპექტები; ის არ ყოფილა სოციოლოგი, თუმცა მასზე ღრმად არავის გაუანალიზებია თანამედროვეობის სატკივართო მიზეზები... ის არ ყოფილა პოეტი, თუმცა მისმა მოწინააღმდეგემაც კი აღიარა, რომ მისი შემოქმედება შელოცვასავით მოქმედებს და ყველაზე მომთხოვნ წარმოსახვას აკმაყოფილებს; ის არ ყოფილა ოკულტისტი, თუმცა ისეთ თემებს შეეხო, რომლებიც მანამდე ოკულტიზმის სახელით იყო ცნობილი; ყველაზე ნაკლებად ის ფილოსოფოსი იყო, თუმცა ფილოსოფიის ასწავლიდა და, გზად რომელი ფილოსოფიური სისტემაც არ უნდა შეხვედროდა, ააშკარავებდა მის უსაფუძვლობას; შეიძლება ითქვას, რომ ის მეტაფიზიკოსი იყო, მაგრამ მისეული მეტაფიზიკა ისეა დაშორებული ფილოსოფიის სახელმძღვანელოთა მეტაფიზიკას, რომ, ვშიშობ, მისთვის ამ ტიტულის მიკუთვნებამ სავალალო გაუგებრობა არ წარმოშვას... ის შეირაცხა ყველაზე დიდ სულიერ მოძღვრად, რომელიც კი პყოლია დასავლეთს შუასაუკუნეების მიწურულიდან მოყოლებული.“

პოლ შაკორნაკ

აქ წარმოდგენილი სტატიები ამოკრეფილია რ. გენონის თხზულებებიდან. მათში გამოყენებულია ისეთი ტერმინები და ცნებები, რომლებსაც ავტორი მთელი თავისი შემოქმედების მანძილზე მრავალმხრივ განმარტავს და აზუსტებს. ამდენად, აუცილებელი გვეჩვენება ქართველ მკითხველს, რომელიც რ. გენონს მხოლოდ თითო-ოროლა ადრეული პუბლიკაციით იცნობს, შევთავაზოთ მოკლე და სქემატური კომენტარები, რათა წინამდებარე სტატიებში გადმოცემული მოსაზრებები არ დარჩეს ბუნდოვანი და გაუგებარი.

მანიფესტაცია, ტრადიციულ მეტაფიზიკურ მოძღვრებათა მიხედვით, არის არსებობა. უზენაესი საწყისი, რომელიც არსებობის და არსების მიღმაა, მოიცავს გამოუვლენად და გამოვლენად შესაძლებლობებს. არსება მოიცავს ყველა გამოვლენად შესაძლებლობას, ოღონდ გამოუვლენელი მოდუსით ანუ საწყისისეულად. არსებობა კი არის გამოვლენილ შესაძლებლობათა ერთიანობა. არსება არსებობის, ანუ მანიფესტაციის, საწყისია. ამრიგად, უნივერსალური მანიფესტაცია არის ყველა იმ შესაძლებლობათა რეალიზება გამოვლენილი მოდუსით, რომელთაც გამოუვლენელი მოდუსით, ანუ საწყისისეულად, მოიცავს არსება. უნივერსალური მანიფესტაცია, ანუ არსებობა (Existence), მრავალ საფეხურს მოიცავს: თითოეული საფეხური, ანუ არსებობის თითოეული მდგომარეობა, ქმნის ერთ სამყაროს.

„გამკვრივება“ (Solidification): ყოველი მანიფესტაცია, ანუ სამყარო, სვლას იწყებს უმაღლესი წერტილიდან — არსობრივი საწყისიდან. იგი გაშლა-განვითარებისას სულ უფრო მეტად შორდება თავის არსობრივ პოლუსს და იმ თავდაპირველ სულიერებას, რომელიც არსობრივ პოლუსს ახასიათებს. არსობრივი საწყისიდან თანდათანობითი დაშორებისას რეალობის დაბალი სფეროები სულ უფრო მეტად ეთიშება რეალობის მაღალ სფეროებს. სწორედ დაღმასვლის ანუ სულიერი დეგრადაციის ამ პროცესს უწოდებს რ. გენონი „მატერიალიზებას“ და „გამკვრივებას“. რაც უფრო შორდება და ემიჯნება შეგრძნებადი მანიფესტაციის სფერო ზეშეგრძნებად სფეროებს, იგი მით უფრო „მკვრივდება“ და, ამასთანავე, მით უფრო კარგავს სიმტკიცეს და მყიფე ხდება, რადგანაც ყველაზე დაბალი რეალობა ყველაზე არამდგრადია. კოსმიურ გარემოში მიმდინარე პროცესებმა ცვლილებები გამოიწვიეს ადამიანის ფსიქო-ფიზიოლოგიურ წყობაში. მატერიალიზების თუ გამკვრივების გამო სულიერი რეალობები ძნელი მისაწვდომი გახდა. ადამიანთა უმრავლესობამ მთელი ყურადღება გრძნობად საგნებზე გადაიტანა; ადამიანის იმ უნარებმა კი, რომლებიც, ჩვეულებრივ, შეგრძნებადი სამყაროს ზღურბლის გადალახვის საშუალებას იძლევიან, თანდათანობით ატროფია განიცადა. ასე გამოიკეტა ადამიანის უსაზღვრო არსება სხეულებრივ სამყაროში. „ამგვარი სამყაროს შიგნით — წერს გენონი სტატიაში „გამკვრივება“ — თითქოს შესაძლებელია, რომ „ყოველდღიური ცხოვრება“ უშფოთველად და გაუთვალისწინებელი შემთხვევების გარეშე წარიმართოს კარგად აწყობილი მექანიზმივით.“ მაგრამ სამყაროს გამკვრივებამ ზღვარს მიაღწია და ახლა „ვერაფერი წინ ვერ დაუდგება „ბზარების“ გაჩენას ვერეთწოდებულ „ჩაკეტილ სისტემაში“.

რ. გენონის შემოქმედების გასაგებად არსებითი მნიშვნელობა აქვს „ტრადიციის“ ცნების დაზუსტებას. ძალიან ზოგადად რომ ითქვას, ტრადიცია, გენონის გაგებით, ის ჭურჭელია, რომელიც ინახავს ჭეშმარიტებას კაცობრიობისათვის გამოცხადებულს მიწიერ სამოთხეში. ტრადიცია ღვთის სიტყვის (ლოგოსის) გამოცხადებაა, განსხეულებული სიმბოლოებში. დასაბამს კაცობრიობას ერთი ტრადიცია უნდა ჰქონოდა და ამ ტრადიციას რ. გენონი უწოდებს თავდაპირველ, დასაბამიერ ტრადიციას. როგორც ადამის შთამომავლები დაიქსაქსნენ და სხვადასხვა ხალხებად ჩამოყალიბდნენ, ასე ქმნადობაში მოქცეული თავდაპირველი ტრადიციაც განსხვავებულ ტრადიციულ ფორმებად ჩამოყალიბდა, რათა თავისი არსი დროის, სივრცის თუ მენტალობის ცვალებად

გარემოებებზე მისადაგებით უვნებლად გამოეტარებინა.

ამრიგად, ყველა ტრადიციული ფორმა ერთი წყაროდან მომდინარეობს და ეს წყარო ღვთის სიტყვაა. დასაბამიერი გამოცხადების სიმბოლურ განსხვავებაში რ. გენონი სიტყვის (ლოგოსის) განხორციელების ერთგვარ წინასახეს ხედავს. ამით აიხსნება, ერთის მხრივ, ის არსობრივი ერთიანობა, რომელსაც გენონი ჭვრეტს ყველა ტრადიციულ ფორმათა შორის, და, მეორეს მხრივ, ის შესაბამისობა, რომელიც ქრისტიანობასა და სხვა ტრადიციებს შორის დასტურდება.

ტრადიციის ღერძი, მისი შუაგული – მეტაფიზიკური მოძღვრებაა, რომელიც უნივერსალური, ტრანსცენდენტული საწყისების ცოდნას ინახავს. ტრადიციულ საზოგადოებაში ამ ცოდნას სულიერ-ინტელექტუალური ელიტა ფლობს და ასეთი ელიტა ტრადიციული ცივილიზაციის სულიერ შუაგულს ქმნის; იგი, მარადიული საწყისების გათვალისწინებით, მათი სხვადასხვაგვარი გამოყენებით საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს განაგებს. ამრიგად, სულიერი შუაგულია იქ, სადაც ტრადიცია ცოცხლად და სრულად ინახება.

იმ ცოდნის მოპოვება, რომელიც ტრადიციაშია დაუნჯებული, ადამიანს ღვთაებრივი უნარით ხელეწიფება. ამ უნარს რ. გენონი „ინტელექტუალურ ინტუიციას" უწოდებს, რამდენადაც იგი უშუალოდ მოქმედებს, პირდაპირ წვდება „ობიექტს". იგი ცოდნის მოხვეჭის საშუალებაცაა და, იმავდროულად, თვით ცოდნაც. მასში სუბიექტი და ობიექტი ისე ერთვის ერთმანეთს, რომ მათ შორის სხვაობა ქრება. აი, რას წერს მჭვრეტელობითი ცხოვრების მიმდევარი: „ეს უნარი მთლიანად ნათელი ხდება, ერწყმის, შეურევლად შეერთვის მას, რასაც ხედავს. როცა თავისთავს ჭვრეტს, ნათელს ხედავს; როცა ჭვრეტს ხილვის ობიექტს, ისევ ნათელს ხედავს; როცა ჭვრეტს საშუალებას, რომლითაც შეიცნობს, ისევ და ისევ ნათელს ხედავს. ეს არის ერთობა." (გრიგოლ პალამა).

სიტყვა გაგვიგრძელდა, მაგრამ საჭიროდ ვცანით წარმოგვედგინა თუ რა სახის ცოდნას გულისხმობს გენონი, როცა იგი ტრადიციაში დავანებულ ცოდნაზე საუბრობს. ეს არის არა პროფანული, ასე ვთქვათ, „მკვდარი", არამედ ქმედითი, ცხოველმყოფელი ცოდნა, რომელიც ადამიანურ ბუნებას განაღმრთობს. ისიც დავაზუსტოთ, რომ გენონი ინტელექტუალურ ელიტაში სწორედ ასეთ ცოდნას ზიარებულ მოღვაწეებს გულისხმობს. მათ პავლე მოციქული „სრულებს" უწოდებს (ებრ. 5, 14), ზოგიერთი ეკლესიის მამა კი – „მცოდნეებს" (კლიმენტი ალექსანდრიელი, მაქსიმე აღმსარებელი).

სტატიაში „ტრადიცია და არაცნობიერი", რ. გენონი საუბრობს ანტიტრადიციული მოქმედების ორ ფაზაზე. პირველი ფაზაა თანამედროვე გადაცდენა (deviation) ანუ ადამიანის ჩამოშორება ტრადიციიდან. გადაცდენა შესაძლებელი გახდა ინდივიდუალისტური მენტალიტეტის ჩამოყალიბებით. ინდივიდუალისტი ინდივიდუალობას, ანუ „ეგოს", აღმსარებლობს და უარყოფს მასზე აღმატებულ საწყისს, უარყოფს ადამიანურ უნარებზე აღმატებულ უნარს. ინდივიდუალისტური მენტალობის მქონე ადამიანისთვის უსარგებლო ხდება ტრადიცია – განღმრთობისკენ მიმავალი გზა.

ანტიტრადიციული მოქმედების მეორე ფაზა არის სულიერი გაუკუღმართების, „გადმოტრიალების" (subversion) ფაზა, როცა სულიერების ნაცვლად ყალბი სულიერება ვრცელდება, რასაც ნეოსპირიტუალიზმის ყველანაირი სახეობა ემსახურება. ცრუ სულიერებას თან სდევს „ამოყირავებული სულიერება", რომელიც მატერიალიზმის, „გამკვრივების" ეპოქაში სულიერებას მოწყურებულ ადამიანებს სულიერი სფეროების ნაცვლად სუბტილური ანუ მშვინვიერი, ფსიქიური სამყაროს ბნელი შრეებისაკენ წარმართავს, ზეცნობიერის ნაცვლად – ქვეცნობიერისაკენ, ზეადამიანურის ნაცვლად – ქვეადამიანურისაკენ. ასეთ ადამიანთა რიცხვი დღითიდღე შემაშფოთებლად იზრდება.

გენონის აზრით, თანამედროვე ანტიტრადიციული დასავლური ცივილიზაციის თანდათანობითი გაფენა მთელს მსოფლიოზე აღსასრულის მაუწყებელი ნიშანია და ახლა, როგორც არასოდეს, საჭიროა მოღვაწეობა, რომ მაქსიმალურად შევამსუბუქოთ ის უმძიმესი „მშობიარობა", რომელიც უნდა გადაიტანოს მიწიერმა კაცობრიობამ მოახლოებული აღსასრულის ჟამს (იხ. მთ. 24,8).

ქრისტიანული ეკლესია (გენონი რომის კათოლიკურ ეკლესიას გულისხმობს) უძლური აღმოჩნდა თანამედროვეობის მოძალების წინაშე. ამის მიზეზი, გენონის თქმით, მისი ინტელექტუალური ელიტის ანუ „მცოდნეთა", „სრულთა" გადაშენებაა. ეკლესიის დღევანდელი მესვეურნი სულიერ უმწიფრობას და ინტელექტუალურ შეზღუდულობას იჩენენ. მათ ხელში ქრისტიანული ტრადიცია შეიბოჭა, თავის არსობრივ სიღრმეს გამოეთიშა. დროა, ამბობს გენონი, ეკლესიის წარმომადგენლებმა გაიხსენონ, რომ ქრისტიანობა გულჩვილი ღვთისმოსაობისა და ზნეობრივი მოთხოვნების გარდა სხვა რამეც არის. ეს სხვა რამ „მაგარი საკვებია", რაზედაც პავლე მოციქული საუბრობს, ეს არის სულიერ-ინტელექტუალური ცოდნა, რომელსაც ადამიანი ჭეშმარიტების საგანძურში შეჰყავს. მაგრამ ნამდვილ ცოდნას ეკლესიის მსახურნი უნდობლობით უყურებენ, რადგანაც მას, როგორც გენონი შენიშნავს, თანამედროვე მენტალიტეტის ზეგავლენით, პროფანული თუ რაციონალისტური ცოდნისგან ვეღარ არჩევენ.

რ. გენონის აზრით, თანამედროვე დასავლურ ცივილიზაციაში ნამდვილი სულიერების აღსადორძინებლად საჭიროა ქრისტიანული ეკლესიის წიაღში ისევ წარმოიშვას ინტელექტუალური ელიტა, რომელიც შეძლებს მისი დამარხული შესაძლებლობების ამოქმედებას და ნამდვილი, ცხოველმყოფელი ცოდნისკენ მიმავალი გზების გახსნას.

დაბოლოს, ჩვენი აზრით, კითხვას თუ ვინ იყო რ. გენონი, ამომწურავად პასუხობს ქრისტიან მისტიკოსთა ტერმინი – „მცოდნე".

თ. ჯაყელი

# აბელი და კაენი

სამყაროს გამკვრივებას ადამიანურ და სოციალურ რანგში კიდევ აქვს სხვა შედეგები, რაზედაც აქამდე არაფერი გვითქვამს. იგი წარმოშობს ისეთ ვითარებას, სადაც ყველაფერი დათვლილი, აღრიცხული და აღნუსხულია; ეს კი სხვა არაფერია, თუ არა მექანიზაციის ერთ-ერთი სახე. ჩვენს ეპოქაში ყველგან თვალნათლივ შეიმჩნევა ისეთი სიმპტომატური ფაქტები, როგორიც არის, მაგალითად, აღწერებით გატაცება (რაც უშუალოდ მიანიშნებს იმაზე, თუ რა მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო სტატისტიკას)[1] და საერთოდ, ადმინისტრაციულ ჩარევათა გახშირება ნებისმიერ ყოფაცხოვრებისეულ ვითარებაში. ამგვარ შეჭრათა მიზანია ინდივიდებს შორის ერთფეროვნების დამკვიდრება რაც შეიძლება მეტი სრულყოფით; მით უფრო, რომ თანამედროვე ადმინისტრაცია ინდივიდებს პრინციპულად ეპყრობა, როგორც ერთმანეთის მსგავს დანომრილ მარტივ ერთეულებს. იგი ისე მოქმედებს, თითქოს ჰიპოთეტურად "იდეალური" ერთფეროვნება უკვე მიღწეული იყოს და, ამგვარად, ყოველ ადამიანს აიძულებს ერთსა და იმავე საშუალო ზომას მოერგოს. მეორეს მხრივ, უფრო და უფრო გაძლიერებულ რეგლამენტირებას ერთი მეტად პარადოქსული შედეგი მოჰყვა: მაშინ, როცა თავი მოაქვთ ყველაზე დაშორებულ ქვეყნებს შორის დამყარებულ კომუნიკაციათა მზარდი სისწრაფითა და სიადვილით, რაც თანამედროვე ინდუსტრიის მიღწევათა წყალობაა, ათასგვარი დაბრკოლებებით შეფერხდა ამ ურთიერთობათა თავისუფლება, ისე რომ, ხშირად პრაქტიკულად შეუძლებელია ერთი ქვეყნიდან მეორეში გადასვლა. ყოველ შემთხვევაში, ეს მიმოსვლა ახლა გაცილებით უფრო გაძნელებულია, ვიდრე იმ ხანაში, როცა გადანაცვლების მექანიკური საშუალებები არ არსებობდა. აი, აქ ვლინდება გამკვრივების კიდევ ერთი ასპექტი. ასეთ მსოფლიოში ადგილი აღარ რჩება მომთაბარე ტომებისათვის, რომლებიც აქამდე, პირობების მიუხედავად, მაინც ინარჩუნებდნენ არსებობას – მათ წინაშე აღარ იშლება თავისუფალი სივრცე და ყოველმხრივ ცდილობენ კიდეც მათ გადაყვანას ბინადარ ცხოვრების წესზე[2]. ამ თვალსაზრისითაც ჩანს, რომ შორს აღარ არის ის ჟამი, როცა "ბორბალი შეწყვეტს ბრუნვას". ამას გარდა, ბინადარი ცხოვრების ამ ეტაპზე ქალაქს, რომელიც ერთგვარად წარმოადგენს ფიქსაციის უმაღლეს ხარისხს, უპირატესობა მიენიჭება. იგი ისწრაფვის, რომ თანდათანობით ყველაფერი შთანთქას[3]. ამგვარად, ციკლის დასასრულს კაენი საბოლოოდ მოკლავს აბელს.

მართლაც, ბიბლიურ სიმბოლიზმში კაენი მიწათმოქმედია, აბელი – მწყემსი. ისინი განასახიერებენ ორი ტიპის ხალხს, რომლებიც არსებობდნენ ახლანდელი კაცობრიობის დასაბამიდან ან, ყოველ შემთხვევაში, იმ დროიდან მოყოლებული, როცა მოხდა პირველი დიფერენციაცია. ესენია ბინადარი ხალხები, მიწათმოქმედების მიმდევარნი, და მომთაბარენი, რომლებიც მწყემსობას მისდევენ[4]. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ მიწათმოქმედება და მწყემსობა კაცობრიობის ამ ორი ტიპის არსებითი და თავდაპირველი საქმიანობებია. დანარჩენი საქმიანობანი შემთხვევითი ხასიათისაა, ან წარმოებული, ან დამატებული, და მონადირე ან მეთევზე ხალხებზე ლაპარაკი, როგორც ამას სჩადიან თანამედროვე ეთნოლოგები, ნიშნავს ან შემთხვევის არსებითად მიჩნევას, ან მხოლოდ და მხოლოდ გვიანდელ ანომალურ და დეგრადირებულ შემთხვევათა გათვალისწინებას, როგორსაც შეიძლება მართლაც წავაწყდეთ ზოგიერთ ველურ ტომში (არანაკლებ ანომალურია, თუმცა სხვა აზრით, თანამედროვე დასავლეთის, უმთავრესად ვაჭრობასა და ინდუსტრიას მიმდევარი ხალხი)[5]. თითოეულ ამ კატეგორიას, ბუნებრივია, ჰქონდა ერთმანეთისაგან განსხვავებული თავ-თავისი ტრადიციული კანონი, ცხოვრების წესსა და საქმიანობას მისადაგებული. ეს განსხვავება ვლინდებოდა, კერძოდ, მსხვერპლშეწირვის რიტუალებში და სწორედ ამიტომ ექცევა განსაკუთრებული ყურადღება "დაბადების" წიგნში კა-

ენის მცენარეულ და აბელის ცხოველურ შესაწირავებს. რაკი ჩვენ აქ ძირითადად ბიბლიურ სიმბოლიზმს მოვიხმობთ, კარგი იქნება, თუ ამასთან დაკავშირებით შევნიშნავთ, რომ ებრაული თორა, საკუთრივ, მომთაბარე ტომების ტიპს არის მისადაგებული. ამან განაპირობა ის სახე, რომლითაც არის კაენისა და აბელის ამბავი წარმოდგენილი. ბინადარი ხალხის თვალსაწიერიდან იგი სხვანაირად იქნებოდა წარმოდგენილი და სხვაგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას მოგვცემდა. მაგრამ თავისთავად ცხადია, რომ ორივე თვალთახედვის შესატყვისი ასპექტები ჩადებულია ამ ამბის სიღრმეში. აქ საქმე გვაქვს სიმბოლოთა ორმაგი მნიშვნელობის გამოყენებასთან, რასაც ნაწილობრივ შევეხეთ "გამკერივებასთან" დაკავშირებით. ეს საკითხი კი, როგორც ამას უკეთ დავინახავთ ცოტა ქვემოთ, უშუალოდ ეხება კაენის მიერ აბელის მოკვლის სიმბოლიკას. ბიბლიური ტრადიციის განსაკუთრებული ხასიათიდან მომდინარეობს ისეთ ხელოვნებათა თუ ხელობათა აკრძალვა, რომლებიც ბინადარი ხალხისთვის არის შესაფერისი, კერძოდ აკრძალვა ყველაფრის, რაც მუდმივი საცხოვრებლების მშენებლობასთან არის დაკავშირებული. ყოველ შემთხვევაში, ამ აკრძალვამ რამდენიმე საუკუნეს გასტანა. იგი იმ ეპოქამდე გაგრძელდა, როცა ისრაელმა შეწყვიტა ნომადობა, ანუ დავითისა და სოლომონის ხანამდე. მაგრამ მაშინაც კი, როგორც ცნობილია, იერუსალიმის ტაძრის ასაგებად უცხოელები იყვნენ მოწვეულნი[6].

ქალაქების შენება, ბუნებრივია, ბინადარი ცხოვრების მიმდევარმა ხალხებმა წამოიწყეს. მართლაც, ნათქვამია, რომ პირველი ქალაქი კაენის მიერ იქნა დაფუძნებული. სხვათა შორის, ამ დაფუძნების ამბავი კარგა ხნის მერე მოსდევს მისი სამეურნეო საქმიანობის ხსენებას, რაც თითქოს აჩვენებს, რომ აქ "სედენტარიზმის" ორ ფაზასთან გვაქვს საქმე, რომელთაგან მეორე პირველთან შედარებით წარმოადგენს ფიქსაციისა და სივრცული შემჭიდროების უფრო მეტად გაძლიერებულ ხარისხს. საერთოდ კი, შეიძლება ითქვას, რომ ბინადარი ხალხის შემოქმედება დროჟამისეულია: ისინი სივრცის ერთ, მკაცრად შემოსაზღვრულ არეს მიჯაჭვულნი, თავიანთ მოღვაწეობას განავითარებენ დროჟამულ უწყვეტობაში, რომელიც განუსაზღვრელად ეჩვენებათ. სამაგიეროდ, მომთაბარე და მწყემსი ხალხი ხანიერს არაფერს აშენებს და არ შრომობს მომავლისათვის, რომელიც მათი თვალსაწიერის მიღმა რჩება. მათ თვალწინ შეუზღუდველი სივრცეა, რომელიც სულ ახალ და ახალ შესაძლებლობებს უხსნის. ამგვარად, კვლავ ვაწყდებით იმ კოსმიურ საწყისთა (პრინციპთა) ურთიერთშესაბამისობას, რომელსაც შეესატყვისება, ოღონდ სხვა რანგში, კაენისა და აბელის სიმბოლიკა. ეს არის დროჟამით წარმოდგენილი შეკუმშვის საწყისი, და სივრცით წარმოდგენილი განფენის საწყისი. სიმართლე რომ ვთქვათ, ორივე საწყისი ერთდროულად ვლინდება დროშიც და სივრცეშიც ისევე, როგორც ყველაფერში. ამის შენიშვნა აუცილებელია იდენტიფიკაციებისა თუ ძალზე "გამარტივებული" ასიმილაციების თავიდან ასაცილებლად, ასევე ზოგიერთი მოჩვენებითი წინააღმდეგობის მოსახსნელად. თუმცა ცხადია, რომ დროჟამულ მდინარებაში პირველის ქმედება უპირატესობს, ხოლო სივრცულ განფენილობაში – მეორის. დრო კი, თუ შეიძლება ითქვას, ცვეთს სივრცეს და თავის თავს ადასტურებს, როგორც მშთანთქმელს. ასევე დრო-ჟამის მსვლელობისას ბინადარნი თანდათან შთანთქავენ მომთაბარეთ. ეს არის სწორედ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კაენის მიერ აბელის მკვლელობის სოციალურ-ისტორიული ასპექტი. მომთაბარეთა საქმიანობის სფეროა ცხოველთა სამყარო, რომელიც მათსავით მოძრავია, ხოლო ბინადართა საქმიანობის უშუალო ობიექტია ორი უძრავი სამყარო – მცენარეული და მინერალური[7]. მეორე მხრივ, ბინადარნი გარდუვალობით ხილვად სიმბოლოებს ქმნიან, ამა თუ იმ სუბსტანციისაგან შედგენილ ხატებს, ხოლო ეს უკანასკნელნი, მათ არსებით მნიშვნელობას თუ გავითვალისწინებთ, მეტ-ნაკლები უშუალობით ყოველთვის უკავშირდება გეომეტრიულ სქემატიზმს, ყოველგვარი

სივრცული წარმონაქმნის საწყისსა და საფუძველს რომ წარმოადგენს. ნომადები კი, პირიქით, რაკი მათთვის გამოსახულებები იკრძალება, როგორც ნებისმიერი რამ, რასაც მათი ადგილზე მიჯაჭვის ტენდენცია აქვს, ქმნიან ხმიერ სიმბოლოებს, ერთადერთ შესაფერისს მათი მუდმივი მიგრაციის მდგომარეობისათვის. აღსანიშნავია, რომ შეგრძნების უნარებს შორის ხედვას პირდაპირი კავშირი აქვს სივრცესთან, ხოლო სმენას – დროსთან. ხედვითი სიმბოლოები გამოიხატება ერთდროულობაში, ხოლო ხმიერი სიმბოლოები – თანამიმდევრობაში. ამრიგად, ამ სფეროში ურთიერთობათა ერთგვარი ამოტრიალება ხდება, რაც, სხვათა შორის, აუცილებელია ორ დაპირისპირებულ საწყისს შორის წონასწორობის დასამყარებლად და მათ ურთიერთქმედებათა შესანარჩუნებლად ნორმალური ადამიანური არსებობის შესაფერის საზღვრებში. ამრიგად, ბინადარნი ქმნიან სახვით (არქიტექტურა, ქანდაკება, ფერწერა) ანუ ფორმათა ხელოვნებას, რომელიც სივრცეში გაიშლება. ნომადები კი ქმნიან ფონურ (ხმიერ) ხელოვნებას (მუსიკა, პოეზია) ანუ ისეთი სახის ხელოვნებას, რომელიც დროში მიედინება. ერთხელ კიდევ უნდა ითქვას ამ ვითარებასთან დაკავშირებით, რომ ყოველი ხელოვნება თავის დასაბამში არსებითად სიმბოლურია და რიტუალური, და მხოლოდ გვიანდელი გადაგვარების შედეგია, რომ მან დაკარგა საკრალური ხასიათი, რათა საბოლოოდ ჩვენს თანამედროვეთა ხელში სავსებით პროფანულ თამაშად გადაქცეულიყო.

აი, სად ცხადდება არსებობის პირობების ურთიერთშემავსებლობა. ის, ვინც დრო-ჟამისთვის მუშაობს, მყარად არის სივრცეში; ხოლო ვინც სივრცეში ხეტიალობს, განუწყვეტლივ იზრდება დრო-ჟამთან ერთად. და აი, სად ჩანს "საპირისპირო მნიშვნელობის" ანტინომია: ის, ვინც ცხოვრობს ცვალებადი და დამანგრეველი ელემენტის – დრო-ჟამის მიხედვით, ფიქსირებულია და შენახული; ხოლო ის, ვინც ფიქსირებული და მუდმივი ელემენტის – სივრცის მიხედვით ცხოვრობს, იფანტება და განუწყვეტლივ იცვლება. ასეც უნდა იყოს, რათა შესაძლებელი გახდეს ორივეს თანაარსებობა იმ შეფარდებითი წონასწორობის წყალობით მაინც, რომელიც მყარდება ორ უკიდურესად დაპირისპირებულ ტენდენციას შორის. შემკუმშველი და ექსპანსიური ტენდენციიდან მხოლოდ ერთ-ერთი რომ მოქმედებდეს, მაშინ მალე დადგებოდა აღსასრული ან "დაკრისტალების", ან "აორთქლების" სახით, თუკი დასაშვებია ამ თვალსაზრისისათვის ისეთ სიმბოლურ გამოთქმათა გამოყენება, რომლებიც ალქიმიურ "შედედებას" და "გახსნას" მოგვაგონებენ. ეს უკანასკნელნი, სხვათა შორის, აქტუალურ სამყაროში ქმედითად შეესაბამებიან ორ ფაზას, რომელთა მნიშვნელობის განსაზღვრა კიდევ მოგვიწევს[8]. მართლაც, ჩვენ ვიმყოფებით ისეთ არეში, სადაც განსაკუთრებული სიმკვეთრით დასტურდება კოსმიურ დუალობათა შედეგები. ისინი წარმოადგენენ მეტ-ნაკლებად შორეულ ხატსა თუ ანარეკლს პირველადი დუალობისა – არსისა და სუბსტანციისა, ცისა და მიწისა, პურუშასი და პრაკრიტისა, რაც წარმოქმნის და განაგებს ყოველგვარ მანიფესტაციას.

მაგრამ დავუბრუნდეთ ბიბლიურ სიმბოლიზმს: ცხოველური მსხვერპლი საბედისწერო აბელისათვის[9], კაენის მცენარეული შესაწირავი არ არის მოწონებული[10]. ის, ვინც კურთხეულია, მოკლულია; ის, ვინც ცოცხლობს, დაწყევლილია. წონასწორობა ორივე მხრიდან დარღვეულია და როგორ უნდა აღდგეს იგი, თუ არა იმგვარი გაცვლებით, რომ თითოეულს წილი ედოს მეორის პროდუქტში. ამგვარად ხდება, რომ მოძრაობა დროს და სივრცეს ერთმანეთთან აერთიანებს. იგი წარმოადგენს, გარკვეულწილად, მათი კომბინაციის შედეგს, და შეარიგებს მათში ზემოხსენებულ ორ დაპირისპირებულ ტენდენციას[11]. მოძრაობა, თავისთავად, ჯერ კიდევ გაუწონასწორებლობათა წყებაა. მაგრამ მათი ერთობლიობა ქმნის ფარდობით წონასწორობას, რომელიც ესადაგება მანიფესტაციის ანუ ქმნადობის კანონს, ანუ აქციდენციურ არსებობას. ყოველი გაცვლა დროჟამულ და სივრცულ პირობებს დაქვემდებარებულ არსება-

თა შორის, საერთო ჯამში, არის მოძრაობა, ან, უფრო სწორად, საპირისპირო და ორმხრივ მოძრაობათა მთლიანობა, რომლებიც შეეწყობიან და ავსებენ ერთმანეთს. ამრიგად, წონასწორობა უშუალოდ ამ ურთიერთშემავსებლობის ძალით ხორციელდება. გაცვლათა ალტერნატიული მოძრაობა შეიძლება ვრცელდებოდეს "სამი სამყაროს" შესაბამის სამ დონეზე – სულიერზე (წმინდა ინტელექტუალურზე), ფსიქიკურზე და სხეულებრივზე: ეს გულისხმობს გაცვლას პრინციპებისა, სიმბოლოთა და შესაწირავთა. ასეთია მიწიერი კაცობრიობის ნამდვილ ტრადიციულ ისტორიაში ის სამმაგი საფუძველი, რომელსაც ეყრდნობა ფაქტების, ალიანსებისა და კურთხევათა საიდუმლო ანუ ჩვენს სამყაროში მოქმედი სულიერი ძალების განაწილება. აქ ვეღარ განვავრცობთ ამ საკითხებს, რადგან მათი გაგება მხოლოდ ნორმალური მდგომარეობის თვალსაწიერიდან არის შესაძლებელი, რისგანაც ამჟამად მეტისმეტად დაშორებულნი ვართ: თანამედროვე მსოფლიო, როგორც ასეთი, ამ მდგომარეობის პირწმინდა უარყოფას წარმოადგენს.

1. ბევრის თქმა შეიძლება იმ აკრძალვებზე, რომელთაც სხვადასხვა ტრადიციები გამოთქვამენ აღწერების თაობაზე, იქნებ არავინ დაგვიჯეროს, თუ ვიტყვით, რომ ამგვარ ქმედებებს თან სდევს ბევრი არასასურველი შედეგი, მათ შორის, ადამიანური ცხოვრების ხანგრძლივობის შემცირება. ზოგიერთ ქვეყანაში ყველაზე უბირმა გლეხებმა გამოცდილების საფუძველზე კარგად იციან, რომ საქონელი გაცილებით მეტი იხოცება, როცა მას ხშირად ითვლიან. მაგრამ ცხადია, რომ ე. წ. "განათლებულ" თანამედროვეთა თვალში ეს მხოლოდ ცრურწმენებია.
2. ნიშანდობლივ მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ებრაელებთან დაკავშირებით "სიონისტური" გეგმები, ასევე აღმოსავლეთ ევროპაში უკანასკნელ ხანს ბოშათა დამკვიდრების მცდელობანი.
3. ამასთან დაკავშირებით, გავიხსენოთ, რომ "ზეციური იერუსალიმი" სიმბოლურად ქალაქს წარმოადგენს. აქაც, ცხადია, მხედველობაში უნდა გვქონდეს გამკვრივების ორმაგი მნიშვნელობა.
4. დამატების სახით შევნიშნავთ, რომ კაენის უფროსობა შეიძლება მიანიშნებდეს მიწათმოქმედების პირველადობას. მართლაც, ადამს დაცემამდე ედემის ბაღის მოვლა ევალებოდა, რაც ადასტურებს იმ უპირატესობას, რომელიც ციკლის დასაბამის აღწერილობაში მცენარეულ სიმბოლიკას მიეწერება (აქედან მომდინარეობს სიმბოლური და ინიციაციური მიწათმოქმედება, რაც სატურნმა, ლათინთა ტრადიციით, ოქროს ხანაში ასწავლა ადამიანებს). ასეა თუ ისე, ჩვენ აქ მხედველობაში გვაქვს ის მდგომარეობა, რომელსაც სიმბოლურად გამოხატავს კაენისა და აბელის დაპირისპირება (იგი, ამავე დროს ურთიერთშემავსებელიც არის).
5. ირანისა და თურანის სახელწოდებანი, ვითომცდა რასების აღმნიშვნელი, სინამდვილეში აღნიშნავს ბინადარ და მომთაბარე ხალხს. Iran ან Arvana მომდინარეობს სიტყვიდან arya, რაც მიწათმოქმედებას ნიშნავს (ar ძირი გვხვდება ლათინურ სიტყვებში arare, arator (ასევე, arvum "მინდორი").
6. ებრაელი ხალხის დამკვიდრება არსებითად იერუსალიმის არსებობაზე იყო დამოკიდებული, ტაძრის განადგურებისთანავე კვლავ დაიწყო მომთაბარე ცხოვრება განფანტვის თავისებური სახით.
7. მინერალურ ელემენტთა გამოყენება მშენებლობას და მეტალურგიას გულისხმობს. მეტალურგიის წარმოშობა, ბიბლიური სიმბოლიკით, კაენის პირდაპირ შთამომავალს, თუბალ-კაენს, უკავშირდება.
8. ამიტომაც არის, რომ მომთაბარეობა ნორმალური გზიდან გადახრისას ავბედით ასპექტს იძენს და დამშლელად მოქმედებს ყველაფერზე, რასაც კი შეეხება. ასევე მოსდის სედენტარიზმსაც, რომელსაც საბოლოოდ ყველაფერი გამოუვალი მატერიალიზმის ყველაზე უხეშ ფორმებამდე მიჰყავს.
9. რაკი აბელმა ცხოველის სისხლი დაღვარა, მისი სისხლიც დაღვრილ იქნა კაენის მიერ. აქ თითქოს ვლინდება კომპენსაციის კანონი, რომლის ძალითაც წონასწორობათა ნაწილობრივი დარღვევები, რაშიც მდგომარეობს ყოველგვარი მანიფესტაცია, საყოველთაო წონასწორობაში მთლიანდება.
10. თუმცა უნდა შეინიშნოს, რომ ებრაული ბიბლია უშვებს უსისხლო შესაწირავის კანონიერებას. ასეთია მელქისედეკის ძღვენი, რომელიც არსებითად მცენარეული შესაწირავია (პური და ღვინო). აქაც ვლინდება მცენარეული სიმბოლიზმის კავშირი მიწიერ სამოთხესთან ანუ ჩვენი კაცობრიობის თავდაპირველ მდგომარეობასთან. აბელის შესაწირავის მიღება და კაენის შესაწირავის უკუგდება ზოგან უცნაური სიმბოლიკით არის გამოხატული. პირველის კვამლი ვერტიკალურად ადის ცისკენ, ხოლო მეორისა ჰორიზონტალურად ეფინება მიწის ზედაპირს. ამგვარად, ისინი გამოხატავენ სამკუთხედის სიმაღლესა და ფუძეს. სამკუთხედი კი წარმოადგენს კაცობრიული მანიფესტაციის არეს.
11. ეს ორი ტენდენცია ვლინდება ცენტრისკენული და ცენტრიდანული მოძრაობების სახითაც.

XXI თავი წიგნიდან "Le regne de la quantite et les signes des temps", Gallimard, 1970

ფრანგულიდან თარგმნა თამარ ჯაყელმა

# დიდი კედლის ბზარები

გამკვრივება, რა შორსაც არ უნდა წავიდეს იგი, შეგრძნებად სამყაროს "ჩაკეტილ სისტემად" ვერასოდეს აქცევს, როგორც ეს მატერიალისტებს წარმოუდგენიათ. მას თავად საგანთა ბუნება უდებს ზღვარს და, რაც უფრო უახლოვდება ამ ზღვარს, მით უფრო არამდგრადი ხდება მისი მდგომარეობა. მართლაც, უკვე დავინახეთ, რომ გამკვრივება ზღვრულ წერტილს გადასცდა და ახლა "ჩაკეტილი სისტემის" სახე სულ უფრო მეტად ავლენს თავის მოჩვენებითობას და სინამდვილესთან შეუსაბამობას. ჩვენ ვისაუბრეთ აგრეთვე იმ "ბზარებზე", საიდანაც უკვე შემოაღწიეს და უფრო მეტად შემოაღწევენ დესტრუქციული ძალები. ტრადიციული სიმბოლიზმის მიხედვით, ეს "ბზარები" გაჩნდა იმ "დიდ კედელში", რომელიც ჩვენს სამყაროს აკრავს და ქვენა სუბტილური სფეროს ბნელ ძალთა შემოტევისაგან იფარავს მას. ეს სიმბოლიზმი რომ კარგად გავიგოთ მისი ყველა ასპექტის გათვალისწინებით, უნდა გავიაზროთ კედლის ორმაგი ფუნქცია: კედელი იცავს და ზღუდავს კიდეც. ასე რომ, მას უპირატესობებიც აქვს და ნაკლოვანებებიც. თუმცა მისი უპირატესობანი შეუდარებლად სჭარბობენ, როცა იგი არსებითად ქვემოდან მოსულ იერიშთა შესაკავებლადაა განკუთვნილი. მართლაც, კედელში მოქცეულთათვის უმჯობესია ქვედა მხრიდან იყვნენ შემოზღუდულნი, ვიდრე მტრის მიერ მიწყივ აკლებულნი ან, უარესი: განადგურებულნი აღმოჩნდნენ. ამას გარდა, კედელს სახურავი არა აქვს და, ამდენად, იგი ზედა სფეროებთან ურთიერთობას არ აბრკოლებს, რაც მოვლენათა ნორმალურ მდგომარეობას შეესატყვისება. მაგრამ თანამედროვე ეპოქაში მატერიალიზმმა ააგო დახშული "ნიჟარა", რომელმაც ზედა სფეროებთან კავშირი მოსპო. ეს "ნიჟარა" კი დაღმასვლის დასრულებამდე ხელუხლებელი დარჩება ზემოდან, ანუ იმ მხრიდან, საიდანაც სამყარო დაცვას კი არ საჭიროებს, პირიქით, მხოლოდ კეთილმყოფელ ზემოქმედებებს უნდა მოელოდეს. "ბზარები" წარმოიქმნება მხოლოდ ქვემოდან ე. ი. დამცველ კედელში. იქიდან შემოღწეული ქვენა ძალები სულ უფრო ნაკლებ წინააღმდეგობას წააწყდებიან, რადგან არსებულ პირობებში მაღალი რანგის ძალებს აღარა აქვთ ჩარევის და მათი შეფერხების საშუალება. ამრიგად, მსოფლიო დაუცველი აღმოჩნდა მტრულ ძალთა თავდასხმებისაგან. მის მდგომარეობას ისიც ამძაფრებს, რომ, მას თანამედროვე მენტალობის წყალობით, წარმოდგენაც არა აქვს, თუ რა საშიშროება ემუქრება. ისლამური ტრადიციით, სწორედ ამ "ბზარებიდან" შემოიჭრებიან წუთისოფლის დასასრულს გოგისა და მაგოგის[1] გამანადგურებელი ურდოები, გამუდმებით რომ ცდილობენ ჩვენი სამყაროს დაპყრობას. ეს არსებები, ქვენა ძალებს რომ განასახიერებენ, წარმოდგენილნი არიან დევებად ან ჯუჯებად, რომლებიც ამჟამად მიწისქვეშ ცხოვრობენ. ისინი, გარკვეული აზრით, შეიძლება გაიგივდნენ "იდუმალი განძის" მცველებთან და "მიწისქვეშა ცეცხლის" მჭედლებთან, რომელთაც ავისმოქმედი ასპექტიც აქვთ[2]. ყველა შემთხვევაში ერთი და იმავე რანგის "ქვესხეულებრივი" სუბტილური ძალები იგულისხმება. უნდა ითქვას, რომ ამ არსებათა ცდა, როგორმე შემოაღწიონ სხეულებრივ და ადამიანურ სამყაროში, არ არის ახალი მოვლენა. ეს დაკავშირებულია კალი-იუგას პირველ ხანასთან, ე.ი. გაცილებით ადრეულ ეპოქასთან, ვიდრე "კლასიკური" ანტიკური ეპოქაა, რომლითაც შემოიფარგლება თანამედროვე ისტორიკოსთა თვალსაწიერი. ამის თაობაზე ჩინური ტრადიცია სიმბოლური ენით გადმოსცემს, რომ "ნიუ-კუამ (ფო-ჰის დამ და მეუღლემ, რომელიც მასთან ერთად განაგებდა ქვეყანას) ხუთი ფერის[3] ქვა ჩამოადნო იმ ნარღვევის გასამთელებლად, რომელიც დევმა გააკეთა ცაში" (უნდა ვიგულისხმოთ მიწიერი ჰორიზონტი). ეს მომხდარა კალი-იუგას დაწყებიდან რამდენიმე საუკუნის შემდეგ.

მართალია, მთლიანად კალი-იუგა დაბნელების ხანას წარმოადგენს, რაც იმთავითვე შესამლებელს ხდის "ბზარების" გაჩენას,

მაგრამ დაბნელება დასაწყისში ვერ მიაღწევდა იმ ხარისხს, რომელიც მის ბოლო ფაზებში დასტურდება. პირველ ხანებში ჯერ კიდევ იოლად შეიძლებოდა "ბზარების" შეკეთება, თუმცა ამისთვის მუდმივი სიფხიზლე იყო საჭირო, რაც, ბუნებრივია, ყველა ტრადიციის სულიერ ცენტრთა უფლება-მოვალეობას შეადგენდა. შემდგომ, სამყაროს უკიდურესი გამკვრივების წყალობით დადგა დრო, როცა ეს "ბზარები", თუნდაც დროებით, საშიშროებას აღარ ქმნიდნენ. ეს დრო შეესაბამება თანამედროვე ეპოქის პირველ ნაწილს, რომელიც შეიძლება დავახასიათოთ როგორც მექანისტური და მატერიალისტური პერიოდი. ამ დროს "ჩაკეტილი სისტემა" განხორციელების ზღვარს იმდენად უახლოვდება, რამდენადაც კი ეს შესაძლებელია. მაგრამ ამჟამად, როცა დაწყებულია პერიოდი, რომელიც თანამედროვე ეპოქის მეორე ნაწილს წარმოადგენს, გარემო პირობები წინა ეპოქებთან შედარებით საგრძნობლადაა შეცვლილი. ერთის მხრივ, სულ უფრო ფართო "ბზარების" წარმოქმნაა მოსალოდნელი, რომელთაც, მატერიალისტურ ეპოქაში განვლილი დაღმასვლის გამო, გაცილებით მეტი ვნების მოტანა შეუძლიათ, ვიდრე ოდესმე. ამას გარდა, მდგომარეობის გამოსწორების შესაძლებლობები ისეთი აღარ არის, როგორიც ადრე იყო. მართლაც, სულიერ ცენტრთა მოქმედების არე სულ უფრო და უფრო ვიწროვდება, რადგან სულიერ გავლენებს, რომლებსაც ისინი ჩვეულებრივ ჩვენს სამყაროში ანაწილებენ, აღარ აქვთ გარეთ გამოვლენის საშუალება. მათ აბრკოლებს ის დახშული ნიჟარა, რომელზეც უკვე გვქონდა საუბარი. ადამიანური და კოსმიური მთლიანობის ამგვარ მდგომარეობაში რა ძალამ შეიძლება მოიგერიოს "გოგისა და მაგოგის ურდოები"?

მაგრამ ყველაფერი ამით არ მთავრდება. აქამდე აღვნიშნეთ მხოლოდ ის სიძნელეები, რომლებიც გარემოებებმა წარმოშვეს და რომლებიც მავნე გავლენათა შემოჭრის შემაფერხებელ ძალებს სულ უფრო და უფრო აბრკოლებენ. ამ დამაბრკოლებელ სიძნელეებს უნდა მივაკუთვნოთ ერთგვარი უმოქმედობა, რომელსაც ორი მიზეზი განაპირობებს: ერთის მხრივ, ამ მოვლენათა საყოველთაო უცოდინარობა, მეორეს მხრივ კი, მატერიალისტური მენტალობის "გადმონაშთები" და მისი შესატყვისი განწყობილება, რომელიც ისე შეესისხლხორცა თანამედროვეთა ბუნებას, რომ ინსტინქტად იქცა. ასე რომ, იგი კიდევ დიდხანს იარსებებს. ამ თვალსაზრისით, "სპირიტუალისტებიც" და "ტრადიციონალისტებიც" მატერიალისტები არიან, და მდგომარეობა იმითაც უარესდება, რომ ისინი, ვისაც ყველაზე გულწრფელად სურთ შეებრძოლონ თანამედროვე სულს, უნებლიეთ თავადვე იმყოფებიან მის ტყვეობაში. ამდენად, მათი ყოველგვარი ძალისხმევა სრულიად უშედეგო რჩება. მართლაც, ასეთ მოვლენებთან მხოლოდ გულწრფელი მონდომება ვერაფერს გახდება. პირველ ყოვლისა, საჭიროა ქმედითი ცოდნა. მაგრამ ამ ცოდნის მოხვეჭას შეუძლებელს ხდის სწორედ თანამედროვე სულის ზეგავლენა და მისი შეზღუდულობა იმათთვისაც კი, ვინც ნორმალურ პირობებში საჭირო სულიერ-ინტელექტუალურ უნარებს გამოავლენდნენ.

გარდა ზემოთ ნახსენები ხელისშემშლელი პირობებისა, სხვა სახის სიძნელეებიც არსებობს. ქვენა სუბტილურ ძალებს აქტიური თანაშემწეები ჰყავთ, რომლებიც ნებსით თუ უნებლიეთ მოქმედებენ. ამ საქმეში ერთგვარი "გადამწყვეტი" როლი უნდა მიეკუთვნოს მათ, ვინც თანამედროვეობა გზას გადააცდინეს. ბნელ ძალთა ინტერვენცია გადაცდენის მომდევნო ფაზაა. იგი გაგრძელებაა იმ "გეგმისა", რომლის მიხედვითაც თანამედროვეობის გადაცდენა განხორციელდა. ცხადია, რომ ამ თანაშემწეთა შორის არიან საძებარი ავისმოქმედ ძალთა შეგნებული შემწენი, თუმცა ამ შეგნებაშიც სხვადასხვა ხარისხებია გასათვალისწინებელი. რაც შეეხება სხვა უნებლიე შემწეებს, რომელთაც წრფელი განზრახვა ამოძრავებთ, მაგრამ გაბრიყვებულნი არიან, მათი რიცხვი უთვალავია, ისინი არ იცნობენ იმ ძალთა ნამდვილ ბუნებას, რომლის სამსახურშიც დგანან და მით უფრო მეტ აქტიურობას იჩენენ, რაც უფ-

რო გულწრფელნი და დაბრმავებულნი არიან. მათი დაყოფა მრავალ კატეგორიად შეიძლება – ყველა სახის "ნეოსპირიტუალისტურ" საზოგადოებათა გულუბრყვილო წევრებიდან დაწყებული "ინტუიციონისტ" ფილოსოფოსებით დამთავრებული, "მეტაფსიქისტებისა" და უახლესი სკოლის ფსიქოლოგთა ჩათვლით.

[1] ინდუისტური ტრადიციით, ესენი არიან დემონები კოკა და ვიკოკა, რომლებიც სახელებითაც ემთხვევიან მათ.

[2] მიწისქვეშეთის სიმბოლიზმიც ორმაგი ასპექტის მქონეა. მას მაღალი გაგებაც აქვს, მაგრამ აქ მის მხოლოდ დაბალ, ასე ვთქვათ, "ინფერნალურ" მნიშვნელობაზეა საუბარი.

[3] ეს ხუთი ფერია: თეთრი, შავი, ლურჯი, წითელი და ყვითელი, რომლებიც შორეულაღმოსავლური ტრადიციით შეესატყვისება ხუთ სტიქიონს და ასევე ქვეყნის ოთხ მხარესა და ცენტრს.

XXV თავი წიგნიდან "Le regne de la quantite et les signes des temps", Gallimard, 1970

ფრანგულიდან თარგმნა თამარ ჯაყელმა

## ტრადიცია და არაცნობიერი

აფის დროზე ცხადვყავით ფსიქოანალიზის როლი სულიერ გაუკუღმართებაში, რომელიც მოჰყვა სამყაროს მატერიალისტურ "სოლიდიფიკაციას" ("გამკვრივებას") და შეადგენს მთელი თანამედროვე ეპოქისთვის ნიშანდობლივი ანტიტრადიციული მოქმედების მეორე ფაზას. კვლავ უნდა დავუბრუნდეთ ამ თემას, რადგან ბოლო ხანებში ფსიქოანალიზის შემოტევა უფრო და უფრო შორს მიდის – იგი მიადგა ტრადიციას მისი ახსნის საბაბით და გამოავლინა აშკარა ტენდენცია თვით მისი ცნების დამახინჯებისა ყველაზე სახიფათო მიმართულებით. აქ უნდა გაარჩეს ერთმანეთისგან არათანაბრად "განვითარებული" განშტოებანი; იმ სახის ფსიქოანალიზი, რომელიც ფროიდმა ჩამოაყალიბა, ჯერ კიდევ გარკვეულ საზღვრებში იყო მოქცეული იმ მიზეზით, რომ ავტორი თანმიმდევრულად ინარჩუნებდა მატერიალისტურ პოზიციას. რა თქმა უნდა, ამ სახის ფსიქოანალიზს უკვე ჰქონდა მკვეთრად გამოხატული "სატანური" ხასიათი, მაგრამ მატერიალისტური პოზიცია მას უკრძალავდა გარკვეულ სფეროებში შეჭრას. თუმცაღა, კიდეც რომ შეჭრილიყო, იმზომად უხეშ სიყალბეებს ჩაადენდა, რომ მათ შედეგად წარმოშობილი ა ღრევები შედარებით ადვილი გაფითარება განსაკუთრებით იმან დაამძიმა, საფანტავი იქნებოდა. როცა ფროიდი "სიმბოლიზმზე" ლაპარაკობდა, ამ ცნებით ის უმართებულოდ აღნიშნავდა ადამიანური წარმოსახვის უბრალო პროდუქტს, რომელიც ცვალებადობს ინდივიდიდან ინდივიდამდე და საერთო არაფერი აქვს ჭეშმარიტ ტრადიციულ სიმბოლიზმთან. მაგრამ ეს იყო მხოლოდ და მხოლოდ პირველი ეტაპი. ჯერი სხვა ფსიქოანალიტიკოსებზე მიდგა, რომელნიც თავიანთი "მოძღვრის" თეორიას მისი გადასხვაფერებით ცრუსულიერობაში გადაზრდიდნენ, რომ რაც შეიძლება უფრო დახვეწილი და მოხერხებული აღრევით ეს "მოძღვრება" ტრადიციული სიმბოლიზმის ინტერპრეტაციისთვის გამოეყენებინათ. ასე მოხდა კ. გ. იუნგთან, რომლის პირველ ცდებს ამ სფეროში კარგა ხნის ისტორია აქვს. აღსანიშნავია და ფრიად ნიშანდობლივიც, რომ ამ ახლებური ინტერპრეტაციისთვის ის დაემყარა იმ მსგავსებას, რომელიც, მისი რწმენით, შეიძლება დადგენილიყო გარკვეულ სიმბოლოებსა და სულით ავადმყოფთა ნახატებს შორის. უნდა ვაღიაროთ, რომ ეს ნახატები ზოგჯერ მართლაც იჩენენ ერთგვარ მსგავსებას ნამდვილ სიმბოლიზმთან, მაგრამ ეს მსგავსება პაროდიულია და მისი შთაგონების წყარო ერთობ დამაფიქრებელია.

რომ გარკვეული რიგის მოვლენათა ასახსნელად, რომლებიც პირწმინდად ინდივიდუალური ფაქტორებით ვერ აიხსნებოდა, იუნგმა წამოაყენა ჰიპოთეზა "კოლექტიური არაცნობიერისა", რომელიც თითქოს რაღაც სახით არსებობს ყოველი კერძო ადამიანის ფსიქიკაში ან ფსიქიკის ქვეშ, და შესაძლებლად ჩათვალა მასთან დაეკავშირებინა როგორც თავად სიმბოლოთა, ისე მათი პათოლოგიური კარიკატურების წარმომავლობა. თავისთავად ცხადია, რომ "არაცნობიერი" სრულიად შეუფერებელი ტერმინია და ის რეალობა (რამდენადაც ის შეიძლება რეალობად ჩაითვალოს), რის აღსანიშნავადაც ეს ტერმინი გამოიყენება, ეკუთვნის იმ სფეროს, რომელსაც ფსიქოლოგები ჩვეულებრივ "ქვეცნობიერს", ე.ი. ცნობიერების ქვემო გაგრძელებათა ერთობლიობას უწოდებენ. აქ იჩენს თავს სისტემატური აღრევა "ქვეცნობიერსა" და "ზეცნობიერს" შორის. რაკი ეს უკანასკნელი თავისი ბუნებით მთლიანად მიუწვდომელია იმ სფეროსათვის, რომელსაც ფსიქოლოგია იკვლევს, ფსიქოლოგები, როცა კი აწყდებიან ზეცნობიერის გამოვლინებებს, არ ტოვებენ შემთხვევას, რომ ისინი ქვეცნობიერს მიაწერონ. სწორედ ასეთ აღრევას ვადასტურებთ აქაც, სულით ავადმყოფთა ნახატების ანალიზის შემთხვევაშიც: ფსიქოლოგთა ყურადღების არეში მოქცეული ნამუშევრები რომ ქვეცნობიერიდან მომდინარეობს, ეს უეჭველია, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ყველაფერი, რაც ტრადიციულს მიეკუთვნება და, კერძოდ, სიმბოლიზმი, მხოლოდ და მხოლოდ "ზეცნობიერის" კუთვნილებაა, ანუ იმ სფეროსი, რომლის საშუალებითაც მყარდება კომუნიკაცია ზეადამიანურთან, მაშინ როცა "ქვეცნობიერი", პირიქით, ქვეადამიანურისკენ იხრება. აქ თავს იჩენს ნამდვილი ინვერსია, იმგვარი ინტერპრეტაციისთვის დამახასიათებელი, რაზედაც ლაპარაკი გვაქვს ამჟამად; ამ მოვლენას მოჩვენებით გამართლებას ის ანიჭებს, რომ "ქვეცნობიერი" ეფექტურად "ბაძავს" ზეცნობიერს უფრო დაბალი რანგის ფსიქიურ ზეგავლენებთან კონტაქტის მეოხებით, სწორედ ეს ქმნის ილუზიას იმათთვის, ვისაც ვერ გაურჩევია მისი ნამდვილი ბუნება, ამ ილუზიას იქამდე მივყავართ, რასაც ჩვენ "გადმოყირავებულ სულიერებას" ვუწოდებთ.

"კოლექტიური არაცნობიერის" გამოგონილი თეორიის საშუალებით ფიქრობენ იმ ფაქტის ახსნას, რომ სიმბოლო "წინ უსწრებს ინდივიდუალურ აზროვნებას". საკითხის არსი კი იმაში მდგომარეობს, რომ ვიცოდეთ, თუ რა მიმართულებით უსწრებს წინ - ქვემო მიმართულებით, როგორც "არაცნობიერის" ცნება გულისხმობს, თუ ზემო მიმართულებით, როგორც გარკვევით აცხადებს ყოველი ტრადიციული მოძღვრება. ჩვენ მოყვანილი გვქონდა ერთი ფრაზა, სადაც ეს აღრევა ცხადად ჩანს: "სიმბოლოთა ინტერპრეტაცია... არის ღია ჭიშკარი, დიდი საყოველთაობა, ე. ი. გზა, რომელსაც მივყავართ საყოველთაო ნათელთან ჩვენი ინდივიდუალობის ბნელ შრეთა ლაბირინთების გავლით". საუბედუროდ, დიდი შანსია იმისა, რომ ის ვინც ამ "ბნელ შრეებში" მოხვდება "საყოველთაო ნათელის" ნაცვლად სულ სხვაგან ამოყოფს თავს. შევნიშნავთ აგრეთვე სახიფათო ორაზროვნებას "დიდი საყოველთაობისა", რომელიც, მსგავსად "კოსმიური ცნობიერებისა", რაში ჩაძირვასაც ზოგიერთნი ესწრაფვიან, სხვა არაფერია, თუ არა სუბტილური სამყაროს უმდაბლეს შრეებში გაბნეული ფსიქიკა. ასე რომ, სიმბოლოთა ფსიქოანალიზურ ინტერპრეტაციას და მათ ტრადიციულ განმარტებებს სინამდვილეში დიამეტრულად საწინააღმდეგო შედეგებამდე მივყავართ.

საჭიროა აღინიშნოს ერთი ნიშანდობლივი გარემოებაც: იმ ერთობ განსხვავებულ მოვლენათა შორის, რომელთა ახსნასაც "კოლექტიური არაცნობიერის" თეორია ცდილობს, ჩვეულებრივ ითვლება ფოლკლორიც. ეს ის შემთხვევაა, როცა ამ თეორიას შეუძლია ჭეშმარიტებად მოაჩვენოს თავი, სინამდვილეში აქ საუბარი უნდა იყოს "კოლექტიური მეხსიერების" რაღაც სახეობასთან, რომელიც ადამიანურ სამყაროში იმ "კოსმიური მეხსიერების" ხატს ან ანარეკლს წარმოადგენს, რაც მთვარის სიმბოლიზმის ერთ-ერთ ასპექტს შეესაბამება. ფოლკლორის ბუნების დაკავშირება ტრადიციის წყაროსთან ისეთივე შეცდო-

მაა, როგორც ჩვენს დროში გავრცელებული შეხედულება, რომლის მიხედვითაც ყველაფერი, რაც მხოლოდ და მხოლოდ დეგრადაციის შედეგია, პრიმიტიულად არის გამოცხადებული. აშკარაა, რომ ფოლკლორი არსებითად მოიცავს ჩამქრალი ტრადიციებიდან მომდინარე ელემენტებს და, ის ამ ტრადიციების გადაგვარებული მდგომარეობის ამსახველია. მაგრამ, ამასთანავე, ეს არის ერთადერთი საშუალება, რომლის წყალობითაც შესაძლებელი ხდება რაიმეს გადარჩენა. თავად ცნება ფოლკლორისა (folk-lore), როგორც ეს ჩვეულებრივ ესმით, დამყარებულია საფუძვლებშივე მცდარ წარმოდგენაზე, თითქოს არსებობდეს "ხალხური ქმნილებანი", ხალხის მასების სპონტანური ნაწარმოებნი. ადვილი შესამჩნევია მჭიდრო კავშირი ამგვარი თვალსაზრისისა "დემოკრატიულ" შეხედულებებთან. ნამდვილად კი, როგორც სწორად არის ერთგან აღნიშნული, "ღრმა ინტერესი ხალხურად წოდებულ ყველა ტრადიციისადმი გამოწვეულია სწორედ იმ ფაქტით, რომ ეს ტრადიციები ხალხური არ არის თავისი წარმოშობით". ჩვენი მხრივ, ამ ნათქვამს დავუმატებთ, რომ ტრადიციული ელემენტები ამ სიტყვის ჭეშმარიტი აზრით, თუნდაც დამახინჯებულად, დაკნინებულად და დაქუცმაცებულად მოღწეულნი, და ყველაფერი, რასაც რეალური სიმბოლური ღირებულება აქვს, საკმაოდ შორს არის არათუ ხალხური წარმოშობისგან, არამედ ადამიანური წარმოშობისაც კი არ არის. ხალხური შეიძლება იყოს მხოლოდ და მხოლოდ ფაქტი შემონახვისა, როცა ლაპარაკია გამქრალი ტრადიციული ფორმების ელემენტებზე. ამ თვალსაზრისით ტერმინი "ფოლკლორი" ძალიან ახლოს დგას "პაგანიზმთან", თუ ამ ტერმინს მხოლოდ თავისი ეტიმოლოგიური მნიშვნელობით ვიხმართ და მასში პოლემიკურ და შეურაცხმყოფელ აზრს არ ჩავდებთ. ხალხი ინახავს თავისდა უნებურად ძველი ტრადიციების ნამსხვრევებს, რომლებიც ხშირად ისეთი შორეული წარსულიდან მომდინარეობენ, რომლის განსაზღვრაც კი შეუძლებელია; ისღა გვრჩება, რომ დავკმაყოფილდეთ მათი მიკუთვნებით "პრეისტორიის" ბნელით მოცული სფეროსადმი. ფოლკლორი ამ საქმეში ასრულებს გარკვეული კოლექტიური მეხსიერების ფუნქციას, რომლის შინაარსი აშკარად სხვა მხრიდან არის მოსული. შეიძლება კაცი გააკვირვოს ერთმა ფაქტმა: ბოლომდე ჩაძიებისას დგინდება, რომ ის, რაც ამგვარი საშუალებით არის შენახული, შეიცავს უმთავრესად, მეტნაკლებად შეფარული ფორმით, ეზოთერული რანგის მონაცემთა მნიშვნელოვან ერთობლიობას, ე.ი. ყველაფერს იმას, რაც ყველაზე ნაკლებად არის ხალხური თავისი არსით. ეს ფაქტი ბუნებრივად ჩაგვაგონებს ფოლკლორის ერთგვარ ახსნას, რომელზეც სულ რამდენიმე სიტყვით მივანიშნებთ: როდესაც რომელიმე ტრადიციული ფორმა გაქრობამდეა მისული, ამ ტრადიციის უკანასკნელი წარმომადგენლები ნებაყოფლობით მიანდობენ კოლექტიურ მეხსიერებას იმას, რაც სხვაგვარად უკვალოდ გაქრებოდა. ეს არის ერთადერთი საშუალებაა იმის გადასარჩენად, რასაც რადაც სახით მაინც შეუძლია არსებობის განგრძობა. ამასთანავე, ხალხის ბუნებრივი მიუმხვდარობა საკმარისი გარანტიაა იმისა, რომ მინაბარები ეზოთერული შინაარსისაგან არ გაიძარცვოს და დარჩეს წარსულის ერთგვარ მოწმობად იმათთვის, ვისაც სხვა ხანაში შეეძლება მისი გაგება.

სრულიად აშკარაა, რომ კოლექტიური აზროვნება – თუკი შეიძლება არსებობდეს ამგვარად წოდებული მოვლენა – დაიყვანება საკუთრივ მეხსიერებამდე და გამოიხატება ასტროლოგიური სიმბოლიზმის ტერმინით, როცა მასზე ლაპარაკია როგორც მთვარული ბუნების მოვლენაზე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ხალხის მეხსიერებას შეუძლია შეასრულოს გარკვეული ფუნქცია შენახვისა, რაც ფაქტიურად ფოლკლორის არსს შეადგენს. მაგრამ ის სრულიად უძლურია შექმნას ან გამოიმუშაოს რაიმე, განსაკუთრებით კი ტრანსცენდენტული რანგის მოვლენები, ხოლო ყველა ტრადიციული მონაცემი ასეთია თავისი ბუნებით. ფსიქოანალიზურ ინტერპრეტაციას კი მიზნად სწორედ ამ ტრანსცენდენტურობის უარყოფა აქვს დასახული. მაგრამ ამ უარყოფას ის ცდილობს ახალი,

შეიძლება ითქვას, იმისგან განსხვავებული ხერხებით, რომლებიც აქამდე იყო გამოყენებული: ის სხვადასხვა ჯურის რაციონალიზმივით არ მიმართავს ყველა "არაადამიანური" ელემენტის არსებობის უხეშ უარყოფას ან პირწმინდა და ლიტონ უგულებელყოფას. თითქოს იგი აღიარებს ტრადიციის ნამდვილად არაადამიანურ ხასიათს, მაგრამ ამ ტერმინში სრულიად საპირისპირო მნიშვნელობას სდებს. მაგალითად, იმ სტატიის ბოლოს, ზემოთ რომ დავიმოწმეთ, ვკითხულობთ: "ჩვენ ალბათ დავუბრუნდებით ფსიქოანალიზურ ინტერპრეტაციებს ჩვენი სულიერი განძისა, რომლის "მუდმივა" დროისა და განსხვავებულ ცივილიზაციათა წიაღ ადასტურებს ტრადიციულ ხასიათს, ხასიათს არაადამიანურს, თუ "ადამიანურში" კერძოულს, ინდივიდუალურს ვიგულისხმებთ". ალბათ აქ ყველაზე კარგად ჩანს, თუ რა არის ამგვარი ინტერპრეტაციების ნამდვილი მიზანი, რომელიც, სხვათა შორის, არ უნდა იყოს გაცნობიერებული მათ მიერ, ვინც ამგვარ რამეებს წერენ. ამ შემთხვევაში გასაგები უნდა იყოს, რომ მთავარია არა ესა თუ ის ინდივიდუალობა, თუნდაც ის "სკოლის მოძღვარი" იყოს, როგორც კ. იუნგია, არამედ უაღრესად საეჭვო "შთაგონება", საიდანაც ეს ინტერპრეტაციები იღებენ დასაბამს. არ არის აუცილებელი ტრადიციულ მოძღვრებებში ღრმად შეჭრა იმის მისახვედრად, რომ ნებისმიერ "არაადამიანურ" ელემენტს და ყველაფერს, რაც კი არსების ზეინდივიდუალურ მდგომარეობებს განეკუთვნება, არავითარი საერთო არა აქვს "კოლექტიურ" ფაქტორთან, რომელიც სინამდვილეში მხოლოდ ინდივიდუალურ ადამიანურ სფეროს განეკუთვნება. "კოლექტიური" ქვეცნობიერი ხასიათისაა და ამის გამო მას არსების სხვა მდგომარეობებთან კავშირის დამყარება მხოლოდ ქვეადამიანური მიმართულებით შეუძლია. აქ უშუალოდ ვაწყდებით "გადმოტრიალების" მეთოდს, რომელიც "ზეცნობიერს" "ქვეცნობიერით" ცვლის და ამის საშუალებით მითვისებულ ტრადიციულ ცნებებს აუკუღმართებს. "ზეცნობიერს" "ქვეცნობიერი" ენაცვლება, ხოლო ზეადამიანურს – ქვეადამიანური. განა ამგვარი გადმოტრიალება უფრო საშიში არ არის, ვიდრე ლიტონი უარყოფა? და განა გადაჭარბება იქნება იმის თქმა, რომ ეს გზას უხსნის ნამდვილ "კონტრ-ტრადიციას", გამიზნულს იმ "გადმოყირავებული სულიერობის" გასატარებლად, რომლის მოჩვენებითი და წარმავალი გამარჯვება უნდა აღბეჭდოს აქტუალური ციკლის დასასრულს "ანტიქრისტეს მეუფებამ "?

V თავი სტატიათა კრებულიდან "Symboles fondamentaux de la Science sacree"
Gallimard, 1982

ფრანგულიდან თარგმნა
ზურაბ კიკნაძემ

## გრაალის სიმბოლიზმი

გრაალის ძიება კელტური წარმოშობის ლეგენდებში რაინდთა ძირითადი ფუნქციაა. ყველა ტრადიცია ასახელებს გარკვეული ეპოქიდან დაკარგულ ან დაფარულ საგანს. ასეთია, მაგალითად, უკვდავების სასმელი სომა, ინდური ტრადიციით, და ჰაომა, ირანული ტრადიციით, რომელიც უშუალოდ ეპასუხება გრაალს, რაკი გრაალი, როგორც ლეგენდა ამბობს, ქრისტეს სისხლის, ანუ უკვდავების სასმელის შემცველი წმინდა თასია. სიმბოლური სახეები შეიძლება განსხვავებული იყოს: ებრაული ტრადიციით, დაკარგულია დიდი ღვთაებრივი სახელის გამოთქმა. თუმცა ძირითადი აზრი ყველა შემთხვევაში იგივე რჩება და შემდგომ დაზუსტებით ვნახავთ, თუ რას შეესაბამება იგი.

წმინდა გრაალი ის თასია, რომელიც საიდუმლო სერობას მოხმარდა და რომლითაც შემდგომ იოსებ არიმათიელმა აიღო ქრის-

ტეს ფერდში ასისთავ ლონგინუსის შუბით გახსნილი ჭრილობიდან გადმომსკდარი სისხლი და წყალი. ლეგენდის მიხედვით, ეს თასი ბრიტანეთში წაიღეს თვით იოსებ არიმათიელმა და ნიკოდემოსმა. აქ უნდა დავინახოთ მინიშნება იმაზე, რომ გაიბა რაღაც კავშირი კელტურ და ქრისტიანულ ტრადიციებს შორის. თასი ხომ უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს უმრავლეს ანტიკურ ტრადიციაში და, უეჭველია, ასე იქნებოდა კელტებთანაც. ისიც საყურადღებოა, რომ თასი ძალიან ხშირად შუბთან ერთად არის წარმოდგენილი. ასეთ შემთხვევაში ეს ორი სიმბოლო ერთმანეთს ავსებს, მაგრამ ახლა ამის განხილვა ძალზე დაგვაშორებს თემას.

გრაალის არსებით ფუნქციას ყველაზე მკაფიოდ ცხადყოფს ის, რაც მის წარმომავლობაზეა ნათქვამი: ეს თასი ანგელოზებს გამოუთლიათ იმ ზურმუხტისგან, რომელიც ლუციფერს გადმოუვარდა შუბლიდან მისი დაცემისას. ეს ზურმუხტი გვაგონებს "ურნას", შუბლის მარგალიტს, რომელიც ინდურ ტრადიციაში (საიდანაც ბუდიზმში მოხვდა) ძალიან ხშირად შივას მესამე თვალის ადგილს იკავებს. ეს თვალი კი განასახიერებს იმას, რასაც შეიძლება მარადისობის განცდა ვუწოდოთ. შემდეგ უკვე ნათქვამია, რომ გრაალი ადამს ჩაბარდა მიწიერ სამოთხეში, მაგრამ დაცემისას ადამმა დაკარგა იგი და სამოთხიდან განდევნილმა თან ვერ წამოიღო - თუ რატომ, ამას ცხადყოფს ზემოთ აღნიშნული მნიშვნელობა: დასაბამიერ შუაგულს განშორებული ადამიანი გამოემწყვდა დროჟამულ არეში. მან ვეღარ შეძლო მისწვდომოდა იმ ერთადერთ წერტილს, საიდანაც ყველაფერი მარადისობის თვალსაწიერით იხილვება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მარადისობის განცდის ფლობა უკავშირდება იმას, რასაც ყველა ტრადიცია უწოდებს "დასაბამიერ მდგომარეობას". დასაბამიერი ანუ სამოთხისეული მდგომარეობის აღდგენა ჭეშმარიტი ინიციაციის პირველ სტადიას შეადგენს. ეს არის აუცილებელი წინაპირობა შემდგომი ზეადამიანური მდგომარეობების მოსაპოვებლად. უნდა ითქვას, რომ სამყაროს ცენტრს სწორედ მიწიერი სამოთხე წარმოადგენს. ეს უფრო გასაგები გახდება, როცა ამ სიტყვის (paradis) წარმომავლობაზე ვისაუბრებთ.

ლეგენდის მომდევნო ნაწილი თითქოს უფრო ბუნდოვანია: შეთმა (შეთი, ადამისა და ევას ძე კაენისა და აბელის შემდეგ. - მთარგ.) უფლება მიიღო სამოთხეში შესვლისა, რითაც ,მან დაიბრუნა ძვირფასი თასი. ნიშანდობლივია, რომ სახელი შეთი დაფუძნებისა და მდგრადობის იდეას გამოხატავს და ერთგვარად მიანიშნებს ადამიანის დაცემის შედეგად დარღვეული დასაბამიერი წესრიგის აღდგენაზე. უნდა ვიგულისხმოთ, რომ შეთი და გრაალის მომდევნო მფლობელნი სწორედ ამ მფლობელობის ძალით შეძლებდნენ სულიერი ცენტრის დაარსებას, რომელიც დაკარგული სამოთხის ხატი და შემცვლელი იქნებოდა. ასე რომ, გრაალის ფლობა აღნიშნავს დასაბამიერი ტრადიციის სრულად დაცვას ასეთ სულიერ ცენტრში. ლეგენდა არ ამბობს, სად ან ვინ შემოინახა გრაალი ქრისტეს ეპოქამდე. მაგრამ მისი კელტური წარმომავლობა თავისთავად მეტყველებს, რომ ამაში დრუიდებმაც მიიღეს მონაწილეობა და რომ ისინიც ირიცხებოდნენ დასაბამიერი ტრადიციის მცველთა შორის.

გრაალის ან რომელიმე მისი სიმბოლური ეკვივალენტის დაკარგვა ნიშნავს ტრადიციისა და ყველაფრის იმის დაკარგვას, რასაც ტრადიცია მოიცავს. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ტრადიცია კი არ იკარგება, არამედ იფარება. თუმცა იგი დაკარგულად შეიძლება ჩაითვალოს ისეთი მეორადი ცენტრებისათვის, რომლებიც უშუალო კავშირს გაწყვეტენ უზენაეს ცენტრთან. ამ უკანასკნელს რაც შეეხება, იგი ყოველთვის უვნებლად ინახავს ტრადიციის მინაბარებს. მასზე გავლენას ვერ ახდენს გარესამყაროში წარმოშობილი ცვლილებები. ეკლესიის მამების, კერძოდ, ავგუსტინეს მიხედვით, წარღვნა ვერ მისწვდა მიწიერ სამოთხეს, რომელიც არის "ენოქის სამკვიდრებელი და წმინდანთა მიწა". მისი თხემი "მთვარის სფეროს ეხება", ე.ი. ცვალებადობის მიღმაა, ცისა და მიწის გადაკვეთის წერტილში. მაგრამ ისევე, როგორც მიუწვდომელი გახდა მიწიერი სამოთხე, ასევე

უზენაესი ცენტრიც, რაც არსებითად იგივეა, შეიძლება გარკვეული ხნით გარეგნულად აღარ გამოვლინდეს, დაიფაროს. მაშინ კი ითქმის, რომ ტრადიცია დაკარგულია მთელი კაცობრიობისათვის, რადგან ასეთ შემთხვევაში იგი მხოლოდ დახურულ ცენტრებში შეინახება და ადამიანთა უმრავლესობა აღარ იქნება მასთან წილნაყარი ქმედითი და ცნობიერი სახით, როგორც ეს თავდაპირველად იყო. სწორედ ეს პირობა ახასიათებს მიმდინარე ეპოქას, რომლის სათავე ბევრად სცილდება რიგითი და პროფანული ისტორიისათვის მისაწვდომ ფარგლებს. ამრიგად, ტრადიციის დაკარგვა, ერთი მხრივ, შეიძლება ზოგადი აზრით გავიგოთ და, მეორე მხრივ, იგი შეიძლება დავუკავშიროთ მეორადი სულიერი ცენტრის დაბნელებას, რომელიც მეტნაკლებად უხილავად განაგებდა ერთი ერის ან ერთი განსაზღვრული ცივილიზაციის ბედს. ამიტომ, როცა წავაწყდებით ამასთან დაკავშირებულ სიმბოლიზმს, ყოველთვის უნდა მივაქციოთ ყურადღება იმას, თუ რომელი მნიშვნელობის მატარებელია იგი.

ზემოთ თქმულის მიხედვით, გრაალი ერთდროულად წარმოადგენს ორ, ერთმანეთზე გადაჯაჭვულ მოვლენას: ვინც მთლიანად დაეუფლება დასაბამიერ ტრადიციას, ვინც მიაღწევს ცოდნის იმ საფეხურს, რომელსაც ეს მფლობელობა ითხოვს, ის აღდგება დასაბამიერი მდგომარეობის სისავსეში. ამ ორ მოვლენას - დასაბამიერ მდგომარეობას და დასბამიერ ტრადიციას უკავშირდება სიტყვა გრაალის ორმაგი მნიშვნელობა. სიტყვიერი ასიმილაციის ძალით, რაც ხშირად არცთუ უმნიშვნელო როლს ასრულებს სიმბოლიზმში და რასაც გაცილებით უფრო ღრმა მიზეზები აქვს, ვიდრე შეიძლება ეს ერთი შეხედვით მოგვეჩვენოს, გრაალი თასიც არის (grasale) და წიგნიც (gradale ან graduale). ეს უკანასკნელი ასპექტი ცხადლივ აღნიშნავს ტრადიციას, ხოლო პირველი უფრო მდგომარეობის გამომხატველია.

ჩვენ აქ არ გაპირებთ არც მეორადი დეტალების განხილვას, თუმცა ყოველ მათგანს სიმბოლური ღირებულება აქვს, არც მრგვალი მაგიდის რაინდების ამბავთა და საქმეთა საგმიროთა მიდევნებას. გაგახსენებთ მხოლოდ, რომ მრგვალი მაგიდა, რომელიც არტურ მეფემ მერლინის გეგმით ააგო, გრაალის მისაღებად იყო განკუთვნილი; თუკი რომელიმე რაინდი შეძლებდა მის მოპოვებას და ბრიტანეთიდან არმორიკაში წამოღებას. მაგიდა ძველთაძველი სიმბოლოა, ერთ-ერთი იმ სიმბოლოთაგანი, რომელიც იმთავითვე შეერწყა ტრადიციის დამცველ სულიერ ცენტრთა იდეას. მაგიდის წრიული ფორმა ზოდიაქურ ციკლს უკავშირდება მის ირგვლივ შემოკრებილი 12 პირით - ეს თავისებურება თავს იჩენს ყველა ხსენებული ცენტრის წყობაში.

არის კიდევ ერთი სიმბოლო, გრაალის ლეგენდის სხვა ასპექტთან დაკავშირებული, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. ეს არის მონსალვატის (სიტყვ. "მთა ხსნისა") სიმბოლო, მწვერვალისა, რომელიც მდებარეობს "შორეულ ნაპირზე, მოკვდავთაგან რომ ვერავინ მიუახლოვდება". ლეგენდის თანახმად, იგი "მიუწვდომელ მხარეში", შუაგულ ზღვაშია აღმართული, რომლის უკან მზე ამოდის. ეს წმინდა კუნძულიც არის და, იმავდროულად, "პოლარული მთაც" – ორი ეკვივალენტური სიმბოლო, რომელთა შესახებაც კიდევ გვექნება საუბარი. ეს არის უკვდავების მიწა, რომელიც მიწიერ სამოთხესთან უნდა გავაიგივოთ.

რაც შეეხება გრაალს, ადვილი შესამჩნევია, რომ მისი უპირველესი მნიშვნელობა არსებითად ემთხვევა საკრალური თასის ზოგად მნიშვნელობას, რომლითაც გვხვდება იგი ყველგან. ამის მაგალითია აღმოსავლეთში სამსხვერპლო თასი, რომელიც თავდაპირველად შეიცავდა უკვდავების სასმელს: ვედური ტრადიციით – სომას, ხოლო მაზდეანურით – ჰაომას. ეს სასმელი სათანადოდ შემზადებულთ ანიჭებდა ან აღუდგენდა მარადისობის განცდას.

ფრანგულიდან თარგმნა თამარ ჯაყელმა

V თავი წიგნიდან "Le Roi du Monde"
Gallimard, 1985

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საუკუნეთა მიჯნა

# სინამდვილე ფილოსოფოსის თვალით

# მერაბ მამარდაშვილი



არ არის ძნელი, მიყვე ცდუნებას და შეუერთო საკუთარი ხმაც ხოტბის იმ აზვირთებულ ტალღას, რომელსაც ბადებს მერაბ მამარდაშვილის ფილოსოფიური შემოქმედება. დღეს ამ ტალღამ თავის პიკს მიაღწია: იგი უკვე ოფიციალურად (მისი ახლახან გამოქვეყნებული ერთ-ერთი ნაშრომის ანოტაციაში) იწოდება "გენიალურ ფილოსოფოსად". ვერ ვიტყვით, რომ ამგვარ შეფასებას მუდამ მოყვება სოლიდური და თანმიმდევრული არგუმენტაცია; მაგრამ მისი გამართლებულობა მაინც არ იწვევს ეჭვს ფილოსოფოსის ნააზრევის იმ არნახული დიაპაზონისა და თუნდაც იმ სტილისტური თვითმყოფადობის გამო, რომელიც უცილობლად თან სდევს ამ ნააზრევს (ეს დიაპაზონი მოიცავს ანტიკურობას და თანამედროვეობას, პლატონსა და დეკარტს; პრუსტსა და კაფკას...); და არც ისაა ძნელი, რომ ვაღიაროთ: "დღეს ჩვენ ჯერ კიდევ არა ვართ მზად იმისთვის, რომ სერიოზულად დავიწყოთ ლაპარაკი მის მემკვიდრეობაზე" (ბ. ა. გრუშინი).

გაცილებით უფრო ძნელია, არ დავიბნეთ ხსენებული ორი მომენტით განპირობებულ სიტუაციაში (ძნელია თვალი გაუსწორო გენიოსის ნააზრევს – მით უმეტეს, როცა მისი აღქმის მხოლოდ საწყის ეტაპზე იმყოფები) და დავუსვათ საკუთარ თავს ჩვენთვის უაღრესად საჭირო (და ვინ იცის – იქნებ სასიცოცხლო მნიშვნელობის) კითხვა: რატომ და რითი არის საჭირო მერაბ მამარდაშვილი ჩვენთვის – საუკუნის დასასრულის და ათასწლეულთა მიჯნაზე მყოფი ადამიანებისთვის? ნუ დაგვავიწყდება: ჩვენი ეპოქა (რომელიც ოფიციალურად "პოსტმოდერნის" ეპოქადაა წოდებული) მ. მამარდაშვილისთვის არის "ბარბაროსობისა და გაველურების", "ანთროპოლოგიური კატასტროფის" (ანუ ადამიანში ადამიანის ქრობის) ეპოქა; და რას ეუბნება მ. მამარდაშვილის როგორც მოაზროვნის არსებობის თუნდაც ფაქტი დღევანდელ საქართველოს – ქვეყანას, რომელიც ეძებს (უნდა ეძებდეს!) თავის ადგილს და როლს ამგვარ ეპოქაში და შესაძლო, ჯერაც კიდევ ბინდით მოცულ მომავალში?

რა თქმა უნდა, ამ კითხვებზე სრული პასუხის გაცემა მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, თუ ჩვენ მოვინდომებთ და შევძლებთ მამარდაშვილის ფილოსოფიური მემკვიდრეობის სერიოზულ შესწავლას. მაგრამ დრო არ ითმენს და იქნებ მოვხაზოთ დასმულ კითხვებზე შესაძლო პასუხის თუნდაც კონტურები?

ა) მ. მამარდაშვილის ნააზრევში განხორციელებულია წარსულის "დიდი სინთეზი": მისი უწყვეტად ცოცხალი, უწყვეტი განახლების პროცესში მყოფი აზრი ერთდროულად სათავეს იღებს პლატონთან და კანტთან, დეკარტთან და მარქსთან. მასთან, როგორც არავისთან, რეალიზებულია მარადიული ფილოსოფიის იდეა, მაგრამ ამ იდეის რეალიზაცია ნიშნავს მის შენარჩუნებასაც "ანთროპოლოგიური კატასტროფის" მომენტში და ამდენად, თვით ამ კატასტროფის დაძლევასაც;

ბ) მ. მამარდაშვილი თანამედროვეა – თანამედროვეობის უაღრესად არატრივიალური გაგებით – იმ გაგებით, რომელსაც ვერ აღწევს ჩვენი დროის ვერცერთი სხვა მოაზროვნე. საკმარისია ითქვას, რომ იგი არ ეკუთვნის არცერთ თანამედროვე ფილოსოფიურ მიმდინარეობას, არცერთ "-იზმს": ეს ის ჭეშმარიტი, სიღრმისეული თანამედროვეობაა, რომელიც ამავე დროს ცოცხლობს და სუნთქავს მარადიულობით! მასთან რეალიზებულია ეს მოულოდნელი სასწაული: თანამედროვე ფილოსოფია ერთდროულად (და არსებითად) არის მარადიული ფილოსოფიაც.

გ) ცნობიერების პრობლემის მამარდაშვილისეულ აღქმას და კვლევას აქვს ეპოქალური მნიშვნელობა თუნდაც იმიტომ, რომ ამ აღქმით და კვლევით ხდება ტოტალიტარიზმის დაძლევა არა ამ ფენომენის რომელიმე ცალკეულ ასპექტში (პოლიტიკაში, ეკონომიკაში და ა.შ.), არამედ იქ, სადაც ეს ფენომენი სათავეს იღებს – თანამედროვე ცნობიერების არსში და სტრუქტურაში. განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ის უეჭველი ფაქტი (თუმც თვით ფილოსოფოსი ამას ხაზგასმით არ ამბობს), რომ ტოტალიტარიზმი მასთან აღქმულია არა უბრალოდ საბჭოურ (ან პოსტსაბჭოურ), არამედ პლანეტარულ მოვლენად: დასავლური (ე.წ. "მოხმარების") საზოგადოება ისევე ტოტალიტარულია ადამიანური ცნობიერების მიმართ, როგორც საბჭოური სახელმწიფო;

დ) მ. მამარდაშვილი იყო "ყველაფერში ქართველი და ამავე დროს აბსოლუტური კოსმოპოლიტი ამ სიტყვის ანტიკური მნიშვნელობით" ("ჩემი ქალაქი თვით სამყაროა", ჟ. კატალა, ფრანგი ჟურნალისტი). სხვანაირად რომ ვთქვათ: მის პიროვნებაში უკვე განხორციელდა ის იდეალი, რომლისკენაც მიისწრაფის (უნდა მიისწრაფოდეს!) ქართველობა ამ ცნების სიღრმისეული და მაქსიმალისტური გაგებით.

ის, რაც აქ ითქვა, ფრიად ცოტაა – თუ, რა თქმა უნდა, არ დაგვავიწყდება, ვისზე ვლაპარაკობთ. მაგრამ უფრო მეტი და უფრო მნიშვნელოვანი ითქმის, ალბათ, მაშინ, როცა დავადგებით ჩვენი დიდი თანამემამულის ნააზრევის მართლაც სერიოზული ათვისების გზას...

გურამ ლებანიძე

# გაბედო, იყო...

(ინტერვიუ მერაბ მამარდაშვილთან)

როგორ ფიქრობთ, ბატონო მერაბ, რა გვემართება, რა სჭირს ჩვენს საზოგადოებას? რატომ არის, რომ ჩვენ, გამარჯვებულებს ისეთ ომში, როგორიც დიდი სამამულო, დღეს საკუთარი მშვიდობიანი პრობლემების დასაძლევად უდიდესი ძალისხმევა გვჭირდება? ამის მიზეზი ისიც ხომ არ არის, რომ ომისშემდგომ პერიოდში კულტურის დონე გარკვეულწილად დაქვეითდა?

– გარკვეული აზრით უეჭველად ასეა. ოღონდ მგონია, რომ აქ კულტურა პირდაპირ კი არ უკავშირდება ომს, არამედ პიროვნების ფენომენის საშუალებით. თავად განსაჯეთ. კულტურა უშუალოდ ომის შემდეგ უფრო საინტერესო ადამიანებით ივსებოდა, ვიდრე ახლა. რატომ? იმიტომ, რომ ესენი იყვნენ ომის ქარცეცხლგამოვლილი ადამიანები, რომლებმაც დამოუკიდებლად, საკუთარი თავის ამარა, განადგურებისა და დამონების პირისპირ გაბედეს ყოფნა. ცეცხლს ორი ურჩხული აფრქვევდა, ერთი – სახეში, მეორე – ზურგში. და აი, ასე ქარცეცხლგამოვლილებმა, ადამიანებმა შეიძინეს ერთი მათთვის დამახასიათებელი ნიშანი – ეს იყო სრულიად მკაფიოდ გამოხატული პიროვნული ხერხემალი. შემდგომი თაობები, ახალგაზრდობა კი... მე ვერ ვხედავ მათში სწორედ იმ პიროვნულ ხერხემალს, სულისა და ხასიათის იმ მაგრად დაჭიმულ ხიმს, რომელიც ომის თაობას ჰქონდა. შესაძლოა, ისინი უფრო ჭკვიანებიც არიან, უფრო მეტად ნაკითხნი, უფრო თავისუფალნი, ლაღნი და, ყოველ შემთხვევაში, უფრო მობილურნი, ჩვენ თავის დროზე ოცნებაც არ შეგვეძლო ასეთი რაოდენობის წიგნზე, ინფორმაციაზე, სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის იმ მიღწევებზე, რაც დღეს მისაწვდომია, თუნდაც, ნებისმიერი სტუდენტისათვის. კონტაქტებიც მრავალფეროვანი აქვთ. აქვთ გემოვნებაც. ერთი სიტყვით, მათ შეხვდებით ყველგან, სადაც ინტელექტუალური თუ ზნეობრივი მუხტის მიღება შეიძლება. მაგრამ უბედურება ისაა, რომ ყოველივე ამას, ძირითადად მომხმარებლური ხასიათი აქვს: ახალგაზრდობა არ მუშაობს. მუშაობა კი რა არის? ნებისმიერი ჩვეულებრივი შრომა? ეს არის დამოუკიდებლობა, პასუხისმგებლობა, რისკი და ყველაფერზე პასუხგებისათვის მზადყოფნა. მუშაობა საერთოდ სრულწლოვანთა საქმეა. ამ გაგებით, ის, ვინც არ მუშაობს, ინფანტილურია, ბავშვია.

მაგრამ საქმე ისაა – და საუბარიც იქით მიმყავს, – რომ ეს "ახალგაზრდობის პრობლემა" სინამდვილეში პრობლემაა საზოგადოებისა, რა სახითაც იგი ომისშემდგომ პერიოდში ჩამოყალიბდა, ანუ უფროსების პრობლემა – მათი ინფანტილურობის პრობლემა. როგორ უნდა იყვნენ ახალგაზრდები პიროვნებები და საიდან უნდა იცოდნენ მუშაობა, თუკი უფროსებმა (შეგნებულად თუ შეუგნებლად) წაართვეს ინტენსიური და სავსე ცხოვრება? ჩვენ ასეთი სამსახური ომმა გაგვიწია. დღევანდელმა ახალგაზრდებმა როგორღა გამოავლინონ საკუთარი თავი და საკუთარი ბედი? ეს ხომ შეუძლებელია ღია და მოქალაქეობრივად დაცული თავისუფალი მოქმედების ველის გარეშე, რომლის შესახებაც (რისთვისაა ან რა საჭიროა იგი), წინასწარ და გარედან არავის ეცოდინება. მე ვიტყოდი, რომ პიროვნება – ეს არის "ბუნების დიდი ნააზრევი", მისი გამოვლინების თვითთვანწყობადობა არ არის დამოკიდებული ყოვლისმცოდნეობასა და რომელიღაც უმაღლეს ორიენტირებზე. აქ იყრის ყველაფერი თავს – კულტურის განსაზღვრაში. აკი თქვა ერთმა ჭკვიანმა ადამიანმა, რომ კულტურა ისაა, რაც მას შემდეგ რჩება, როცა ყველაფერს ვივიწყებთ. ესე იგი, სწორედ იგია ცოცხალი! პიროვნების ფენომენი არანაკლებ იდუმალია, ვიდრე, მაგალითად, ევოლუციის ისეთი მონაპოვრები, როგორიცაა მცენარის ფოთოლი, ღამურას ლოკატორული მოწყობილობა, ადამიანის თვალი, ცხენის ქაჩაჩი, ან ტექნიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ასეთი

ფორმები – ბორბალი, არქიტექტურული გუმბათოვანი კამარა, ერი და ეროვნული ენა, სამართლებრივი საზოგადოებრივი მდგომარეობა, გლეხის ოჯახი და ა. შ.

მე ვფიქრობ, ამ აზრით ერთნაირად შეიძლება ვილაპარაკოთ როგორც პიროვნულ კულტურაზე, ისე მიწათმოქმედების კულტურაზე, კულტურაზე გენეტიკური ფორმებისა და საერთოდ ყოველივე ცოცხალისა და მოწიწების გრძნობით შემონახულისა, რაღაც ისეთისა, რასაც თაყვანს სცემენ ისე, როგორც ამას სიტყვა "კულტი" გულისხმობს, საიდანაც, სხვათაშორის, წარმოსდგება სიტყვა "კულტურა".

ამგვარად, კულტურაში ვგულისხმობ ფორმის განსაზღვრულობას, რომლის ფარგლებშიც ადამიანებს შეუძლიათ (და მზად არიან), პრაქტიკულად განახორციელონ სირთულე.

ჩემთვის კულტურა არის რაღაც შეუქცევადი, რისი შეცვლა ან ანაზღაურება, – თუკი იგი არ არის, – არ შეიძლება არაფრით, მათ შორის, არც ცოდნით, ჭკუით ან ლოგიკით, მაგრამ მისი მოსპობა კი ადვილად შეიძლება.

სათქმელს მივუბრუნდები: ახალგაზრდები პასუხისმგებლობის ისტორიული ტრადიციის გრძნობას მოკლებულნი არიან იმ მიზეზითაც, რომ მათ გადაწყვეტილების არჩევანის საშუალებაც კი არ გააჩნიათ, რადგან არჩევანი უმეტესწილად საქციელთა წინამორბედი მაგალითების წიაღში ხდება, – შენს გარშემო თუ, უბრალოდ შენი თანდასწრებით კი საქციელი არავის გამოუვლენია. ბუნებრივია, რომ რთული XX საუკუნე ინფანტილიზმის დრო არ არის – ეს საუკუნე თავისი ბუნებით ვერ ჰგუობს ინფანტილიზმს, იგი პრინციპულად უცხოა მისთვის. ის შეიძლება მხოლოდ ბეცი ხელისუფლების მიმდინარე ამოცანებისთვის იყოს ხელსაყრელი, თუ მხედველობაში არ მიიღება კულტურის, ეროვნული ისტორიის და სახელმწიფოებრიობის შორეული მიზნები და თუ არ დავფიქრდებით რა საფრთხეს წარმოადგენს იგი. მართლაც, დროა, ახლებურად ვიაზროვნოთ, რაც, იქნებ, იმის ტოლფასია, რომ უბრალოდ ვიაზროვნოთ? ვიაზროვნოთ თანამედროვე ტექნიკის, გენეტიკური ბიოლოგიისა და მედიცინის სფეროში. ამის დამატებით საბუთად გამოდგება სხვადასხვა ტექნიკური სიახლეების ერთი ქვეყნიდან მეორეში მექანიკური გადატანის ხშირი წარუმატებლობა. ჩვენ, მაიმუნებივით, ხშირად გადმოვიღებთ ხოლმე რაღაცას, და მერე ჩვენს პირობებში უცებ ფუჭდება, მწყობრიდან გამოდის ან ცდება, ანდა საერთოდ უძრავი, მიღმური რამ აღმოჩნდება, როგორც, ვთქვათ, კომპიუტერი, და, ეს კანონზომიერია, რადგან ჩვენ ვიღებთ მხოლოდ საგნებს, მაგრამ იმას არა, რაც მათ უკან დგას. ვწყვეტთ მათ მათსავე წარმომშობ სულიერი მარცვლისგან, თავად ჩვენ კი მასსა და მის ადამიანურ პირობებს მიღმა ვრჩებით. შეიძლება, გადმოვიღოთ ყველა ტექნიკური მიღწევა, მაგრამ აქედან არაფერი გამოვა.

– მაგრამ, ალბათ, არსებობს უფრო ფართო პროცესებიც, რომლებიც ხელს უწყობს კულტურისა და შემოქმედების ამა თუ იმ დონის მიღწევას?

– ჩემის აზრით, ასეცაა. რა თქმა უნდა, სიცოცხლე ლაღი და სპონტანურია, სული, სადაც უნდა, იქ დაჰქრის; სიცოცხლის ყვავილიც თუნდაც ასფალტიდან ამოხეთქავს, მაგრამ ეს არ შეიძლება იყოს ცხოვრების ორგანიზების პრინციპი. შეუძლებელია არსებობდეს სკოლა, სადაც ასწავლიდნენ იმას, თუ რა არის წმინდა სიმშვენიერის იდეა და რაში მდგომარეობს თავისუფლების სიმშვენიერე. სკოლის როლი შეიძლება შეასრულოს მხოლოდ ისტორიული არსებობის ღია სკოლამ. და თუ ქვეყანაში ლამის ჩვეულებად იქცა კულტურის (მათ შორის ეკონომიკურის) კონტრაბანდული, იძულებითი იატაკქვეშა ფორმის დამკვიდრება, მაშინ ეს უკვე თავისთავადაა კულტურის დაქვეითებისა და დაცემის, მისი ნაკლებპროდუქტიულობის უეჭველი ნიშანი. და ეს იმიტომ, რომ კულტურა ყოველთვის საჯაროა, მისი ყოველსივრცულობა და ყოველდროულობა მუდამ ღიადაა წარმოდგენილი იქ, რასაც ბერძნები "აგორას" უწოდებდნენ. ნიშებში და სარდაფებში ვერაფერი შეიქმნება, გარდა მეორადისა (ცხადია, პრინციპზე ვლაპარაკობ და არა გამონაკლისებზე) ან მხოლოდ სამომავლოდ ნავარაუდევი მოჩვენებითისა.

კულტურა კი ღია სივრცეს საჭიროებს. ეს, როგორც ჩანს, კულტურის თანდაყოლილი თვისებაა: მას არ შეუძლიია ორგანულად და სიცოცხლისუნარიაობის თვალსაზრისით სრულფასოვნად იზრდებოდეს იატქვეშეთში, ყრუ, სიტყვით (ან, თუ გნებავთ, "ყველასიტყვით") დაფუძნებულ შინაგან პასუხისმგებლობას მოკლებულ ცხოვრებაში. კომუნიკაციის ცოცხალი ნაკადები აუცილებელია!

და, ნახეთ, რამდენად აისახება ამ დამატებითი კულტურული პროდუქტიულობის უქონლობა ჩვენი საზოგადოებრივი თვითშეგნების თავად შესაძლებლობებზე და უბრალოდ სიტყვების, ტერმინების გააზრებაზეც კი. მაგალითად, ვლაპარაკობთ ახალგაზრდობაზე და ვიყენებთ სიტყვებს: "თაობა", "ტრადიცია", მაგრამ ეს ხომ, არსებითად, უკანონოა, იმისათვის, რომ ამ ტერმინებს აზრი ჰქონდეს, საკმარისი არაა, ფიზიკურად არსებობდნენ ახალგაზრდა ადამიანები და მათი პრობლემები. საჭიროა, რომ კავშირთა ძაფები თავს იყრიდნენ რომელიღაც სივრცეში, სადაც ადამიანებს შეეძლებოდათ ღიად გამოეხატათ საკუთარი თავი და საკუთარი პრობლემები; სადაც შეეძლებოდათ, შ ე ე ც ნ ო თ თავი როგორც "თაობა". თავად ახალგაზრდებს დღეს უმეტესად ნახავთ, მაგალითად, დისკოთეკებზე (განსაკუთრებით პროვინციაში), თავისებურ კოლექტიურ რიტუალებზე. მე არავითარი პრეტენზია არ გამაჩნია არც დისკოტეკებისა და არც იმის მიმართ, რას იცვამენ, რას მღერიან, როგორ ურთიერთობენ. მე სხვა რამეზე ვლაპარაკობ, ვლაპარაკობ განვითარების ორგანოზე, რომლის არსებობაც, ერთის მხრივ, გააზრებულს გახდიდა ტერმინებს: "თაობა", "ტრადიცია", მეორეს მხრივ კი — იმის ამოძრავებისაც გაუწევდა სამსახურს, რაც სინამდვილეში არსებობს. სხვაგვარად — ცხოვრება უბრალოდ ყრუა, რაგინდ ხმამაღლაც არ უნდა ყღეროდეს როკი.

ის, რაზედაც მე ვლაპარაკობ, რა თქმა უნდა, თავს იჩენს "მოწაფე-მასწავლებლის" ტრადიციულ ურთიერთმიმართებაშიც, რადგან გაურკვეველია, საერთოდ რა შეუძლია ასეთ პირობებში უთხრას, ვთქვათ, მეცნიერმა, ფილოსოფოსმა ახალგაზრდა კოლეგებს, სტუდენტებს, მსმენელებს, ან საერთოდ იმათ, ვინც ძიების პროცესში იმყოფება. რა თქმა უნდა, დღეს ისევე, როგორც წარსულში, არ შეიძლება ვინმეს საგანგებოდ გამოზრდა. საუკეთესო პედაგოგიკასთან მაშინ გვაქვს საქმე, როცა მასწავლებელი პედაგოგიკას არ მიმართავს, არაფერს საგანგებოდ არ ასწავლის, და თავად უსიტყვო მაგალითს წარმოადგენს. მაგრამ სწორედ აქ იჩენს თავს სიძნელე. მე მესმის, რატომ არ ჰყავდა მოწაფეები, მაგალითად, ბახტინს. და საქმე ისიც კი არ არის, რომ მას როგორც მეცნიერს ისეთ საგნებთან ჰქონდა საქმე, რომელთა სხვებისთვის გადაცემა უბრალოდ ძალიან ძნელია. საქმე ისაა, რომ ყოველი ჩვენთაგანი შეიძლება აღმოჩნდეს სიტუაციაში, როცა საჭიროა, რაიმე ურჩიო ახალგაზრდა კაცს და უცებ დაინახო, რომ ასეთი რჩევის მიცემა შეუძლებელია, ვერაფერს ურჩევ. მიზეზი კი შემდეგია: ის, რაც ჩემთვის შეიძლება, არ შეიძლება მისთვის. და, აქედან გამომდინარე, არა გვაქვს ამის მორალური უფლება. ჩემის აზრით, ბახტინს კარგად ესმოდა ეს სიტუაცია. ის არ ერიდებოდა, რომ მთელი ცხოვრება "უჯრისთვის ემუშავა", მან იცოდა, რომ "არის რჩეულთათვის წლები დუმილისა..." მაგრამ როგორ გავიგოთ ეს? როგორც მდუმარე მაგალითი, რომ "ხარდაფის" კულტურის ტალანტები მაინც ამოიფრქვევიან ხოლმე, რომ "ხელნაწერები არ იწვის"?.. ეს ხომ წმინდა წყლის თვალთმაქცობა იქნებოდა! ბახტინმა დუმილის, განდეგნილობისა და ოსტატობის იდეალის რეალიზება შეძლო. მაგრამ იგი ამისკენ ვერ მოუწოდებდა თავის თაყვანისმცემლებსა და შესაძლო მოწაფეებს. არა მხოლოდ იმიტომ, რომ "უჯრისთვის მუშაობა" განსაკუთრებულ მორალურ წრთობას, სიმამაცესა და მოთმინებას მოითხოვს, არამედ იმიტომაც, რომ ამისათვის საჭიროა საკუთარი მდგომარეობის, ტანჯვით მოპოვებული, განსაკუთრებული ექსტერიტორიულობა. ახალგაზრდებს მათი "უჯრები" შეიძლება უბრალოდ დაუმსხვრიონ. ავგუსტინე მახსენდება, რომელიც შეძრწუნების გარეშე ვერ ფიქრობდა შესაძლებ-

ლობაზე, კვლავ ახალგაზრდად ქცეულიყო. და იცით, არც მე მინდა, ისევ ჩვიდმეტი წლის ვიყო;

– თქვენ არ გეშინოდათ, "უჯრისთვის" გემუშავათ?

– მე უჯრისთვის არ ვწერ. ჩემი ცხოვრება სხვაგვარად წარიმართა. მე სავსებით მოკლებული ვარ "უჯრისთვის წერის" გაცნობიერებულ განცდას. ხელნაწერები თუ დამიგროვდა, მაშინ მგონია, რომ უბრალოდ ცუდად ვწერ ან უძლური ვარ; აზრი ბოლომდე გამოვხატო. გარდა ამისა, ყოველთვის ვესწრაფოდი, საკუთარი აზრები ლექციებითა და მოხსენებებით გადმომეცა. და თუკი რაიმე მსმენელამდე ვერ აღწევს, მაშინ, ალბათ, იმის გამო, რომ არ შემწევს უნარი, მისაწვდომად და ნათლად ვილაპარაკო. მაგრამ, მიუხედავად ამისა, საქმე მაინც აქტს, საქციელს, აზრს ეხება. თუმცა ეს შეიძლება არც არასოდეს გამოქვეყნდეს. ყოველი საქმე თავად სრულდება და თავადვე ამოიწურება იმ აქტში, რომელსაც ახორციელებ. ერთხელ აინშტაინს ჰკითხეს, თუ როგორ მოსდიოდა იდეები. მას გაეცინა და თქვა: ნეტავ, მთელი სიცოცხლის მანძილზე ერთნახევარი იდეა მაინც მომსვლოდაო. ხოლო თუკი ეს მოხდა, თუ ადამიანმა სიმწრით მაინც მოიპოვა ერთნახევარი იდეა – მაშინ იგი თვითხორციელდება.

– კეთილი, მაგრამ რაღა ქნას ავტორმა, თუ მისი მართლა ტალანტით აღბეჭდილი წიგნი რაიმე მიზეზით არ იბეჭდება? ყველა ღონე იხმაროს მის "გასატანად", თუ უმჯობესია, თავის დროს დაელოდოს იმ იმედით, რომ კაცობრიობა გონს მოეგება და წიგნი, თუ ის მართლაც ხეროვზული ნაშრომია, თავად გაიკვლევს გზას?

– ახალგაზრდას ნამდვილად არ ვურჩევდი, ამგვარად "გაეტანა" საკუთარი ნაწარმოები, რადგან ეს, ამავე დროს, საკუთარი თავის "გატანასაც" ნიშნავს. არ შეიძლება, რომ ყოველივე ეს ახალგაზრდა კაცში მოდავეობად, დავაქრობად არ გადაგვარდეს. აზრის აქტი, წიგნის დაწერის აქტი მე უმანკოების განსახიერება მგონია. შემოქმედ ადამიანში ყოველთვის არის რაღაც განსაკუთრებული თავშეკავებულობა უეცრად "გამოსული" აზრის, ხატის, მთლიანისა და ა. შ. მიმართ. შეიძლება, რა თქმა უნდა, შესძახო, როგორც პუშკინმა შესძახა ერთხელ: "Ай да, Пушкин! Ай да, сукин сын!". ეს სხვა რამაა, ეს შემოქმედებითი აქტის თითქმის ფიზიოლოგიური, ჯანსაღი გამოხატულებაა – გათავისუფლდა და ნეტარი სიცარიელის შეგრძნება დაეუფლა. მაგრამ ეს არ არის პოზიცია, რომლის საფუძველზეც პუშკინს შეეძლო, ვთქვათ, იმპერატორთან აუდიენცია ეთხოვა და რაღაც "თავისი" "გაეტანა" დასაბეჭდად. XIX საუკუნეში ამგვარი აზრიც ვერ გაუჩნდებოდა ვერავის – ვერც პუშკინს, ვერც ლერმონტოვს. ბულგარინს თუ მოუვიდოდა ასეთი რამ თავში. ახლა კი ამგვარი "ზემოთ სიარული" ლამის საყოველთაოდ მიღებულ წესად იქცა. ზემოთ მეფესა და ქვემოთ ბულგარინის თავკაცობით ცალკეულ ადამიანთა პირის შეკვრის შედეგად ორმაგ წნეხში მოხვედრილ პუშკინს კი, მაგალითად, უფრო მოქალაქეობრივი საზრუნავი აწუხებდა: ნუთუ ჩვენ, არისტოკრატებს, არ შეგვიძლია გვქონდეს ჩვენი ჟურნალი?!

აი, ასეთი განსხვავებაა...

– თუკი წიგნი მხოლოდ იმ მიზეზით არ იბეჭდება, რომ ავტორის თვალსაზრისი მიუღებელია ან უბრალოდ არ სჭირდებათ გამომცემლობის მესვეურებს, რომლებიც ბიუროკრატიულად იცავენ საკუთარ ანგარებიან ინტერესებს ლიტერატურაში? თუკი, ასე ვთქვათ, წინასწარ გადაწყვეტილია, რომ მათ წიგნი არ სჭირდებათ, და მისი გამოცემის გზაზე წარმოქმნილი ბარიერები სხვა არაფერია, თუ არა ძველი ლიტერატურული ანგარიშების სწორება...

– ამაზე პასუხის გაცემა ძნელია. საამისოდ არანაირი რეცეპტი არ არსებობს. თქვენ ფაქტობრივად მარტოსულ და ვიღაცისთვის შემაწუხებელ ტალანტზე ლაპარაკობთ. მე კი საერთოდ არ მჯერა მარტოობისა იმ აზრით, რომ სოლიდარობა და თანამშრომლობა თითქოს მხოლოდ საკუთარ თავში უფსკრულის პირისპირ მდგომ მარტოსულ ადამიანებს შეეძლოთ... "უფსკრული უფსკრულს ეხმიანება", მარტოსულ ადამიანს არ შეიძლება, მეგობრები არ ჰყავდეს. პრაქტიკულად, ეს პრობლემა მაგალითად, ასე წყდება: ჩნდებიან არაოფიციალური მეგობრები სხვადასხვა

ადგილზე (მათ შორის საპასუხისმგებლოზეც), რომლებიც არ აყოვნებენ, დახმარების ხელი გამოგიწოდონ. ერთმანეთისთვის ხელი-ხელ ჩაჭიდება მხოლოდ სიმღერაში ხომ არ ხდება.

ჩვენ ვიცით, რა არის ერთთა მოლოქისეული სისასტიკე და მეორეთა სიმხდალე და გამცემლობა. ვისაც იმ ყრუ წლებში არ უცხოვრია, როცა "ყველაფერი ყველა ენაზე დუმდა" და სამს გარდა სხვა არავინ იკრიბებოდა, და, დავძენ მე, ვინც შიგნიდან არ იცნობს ჰაერში წვეთებივით გამოკიდულ თითქმის ფიზიკურ შიშს, სულის ყველა კუნჭულში, მთელ ადამიანურ გარემოცვაში რომ ატანს, მას არ შეუძლია, ღირსეულად განსაჯოს იმ წლების ადამიანთა მდგომარეობა და საქციელი. მაგრამ თანაგრძნობას იწვევენ შინაგანი მსხვერპლნიც, ანუ ადამიანები, რომლებმაც თავადვე შეიჭამეს თავი შიგნიდან, რაკი აღიარეს – თუმცა უარყოფითი ნიშნით – წარმატებისა და გავლენის იგივე გარეგნული კერპები. სინამდვილეში მათ აქვთ კონფლიქტი არა ძალაუფლებასთან, არამედ ძალაუფლებისა, რომელიც უნდათ "სულელების", "უმსგავსების", "უღირსების" ადგილზე ჰქონდეთ – ან, როგორც ვიღაცამ მოსწრებულად აღნიშნა, სხვების მიერ დაკავებულ თანამდებობასთან შესაბამისობის ავადმყოფური კომპლექსი. მართლაც, როგორ არ ეცემა მათ ფერხთით აღტაცებისგან გულწასული ქვეყნიერება?! ხომ შეიძლება, რომ ახეთ სულიერ სიკვდილამდე, ზნეობრივ დალტონიზმამდე მიიყვანოს კაცი საკუთარი ლიტერატურული ქმნილების თუ კონცეფციის "გატანის" დაუოკებელმა ჟინმაც, აუღიარებლობის საბედისწერო განცდამაც. თანაგრძნობა, თანაგანცდა – ეს თითქოს საკმარისი უნდა იყოს, მაგრამ არა, მაინც სულ გღრღნის რაღაც...

ახლა თითქოს ჩვეულებად იქცევა ყველაფრისათვის თავისი სახელის დარქმევა. არ ვიცრუოთ. ან სინამდვილე არაბუნებრივი როყიო პარაფრაზებით არ შევცვალოთ. ამასაც ნიშნავს საჯაროობა – არა მხოლოდ რომელიღაც საიდუმლოთა გახსნას... A,B,C მხოლოდ მაშინ ურთიერთმოქმედებენ, მათში მომხდარი (თითოეულში ცალკე და ერთად) მხოლოდ მაშინაა პროდუქტიული და იძენს ქმედითუნარიან ისტორიულ არსებობას, როცა ისინი ცნობილია (ჩვენთვისაც და თავის თავისთვისაც) როგორც სწორედ A,B,C. და თუ ჩვენ მათი არსებობის შესახებ არაფერი ვიცით, ხოლო თვით მათ მათი დაუსახელებლობის შემთხვევაში არც კი ძალუძთ იყვნენ არტიკულირებულნი და რეალიზებულნი – მაშინ ეს თვით მათი არარსებობის ტოლფასია. ჰოდა, ამ შემთხვევაში, ისინიც "ჩრდილების დარბაზს" თუ ისტორია-მდე არსებობის სფეროს დაუბრუნდებიან.

არის, მაგალითად, სიკვდილი. და არის მკვდარი სიკვდილი. მათ შორის დიდი განსხვავებაა. სიცოცხლიდან ნებისმიერი წასვლა საჯარო, ცნობილი უნდა იყოს. მაშინ ეს სიცოცხლის მოზიარე სიკვდილია. უარყოფითიდანაც ხომ შეიძლება მიიღო რაღაც – მარცვალი სულისა და აზრისათვის. სახელდაურქმევლისაგან კი ამის მიღება არ შეიძლება. ეს უფრო მეტად ანგრევს ცნობიერებასა და სულებს, ვიდრე თვით ომი, თუ მისი მსხვერპლნი ომში დაღუპულთა სიებში არ ფიგურირებენ, ხოლო მათი ნათესავების გლოვის რიტუალი, სამოქალაქო ხსოვნისა და ტკივილის რიტუალი, *მთლიანად*, *სრულად* არ სრულდება. აი, რატომ ვამბობ, რომ საგნებისა და მოვლენების *სახელდება* ერთ-ერთი პირველი აქტია კულტურული მშენებლობისა და ერის სულიერი სიჯანსაღისაც, რაზედაც გამუდმებით ვლაპარაკობ.

...ადამიანები ზუსტად იმდენად თავისუფლდებიან, რამდენადაც თვითონ "შიგნიდან" გაიარეს განთავისულების საკუთარი გზა. რადგან ყოველნაირი მონობა თვითდამონებაა. "შინაგანი თავისუფლება" – ეს სულაც არაა იატაკქვეშა თავისუფლება არც სოციალური და არც სულიერი იატაკქვეშეთის აზრით. აქ სიტყვა "შინაგანი" ხელისშემშლელია, დამაბნეველი. ეს სულაც არაა დაფარული რაღაც. ეს რეალური თავისუფლებაა საკუთარ თავში საკუთარივე წარმოდგენებისა და სახეების დიქტატისაგან განთავისუფლებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობის, ადამიანური თვითყოფნის აზრით. ჩვეულებრივ, ადამიანი შინაგანადაა შებოჭილი გარეგანი წესებითა და მიზანშეწონილობებით, ნებადართულობითა და ნებადაურთველობით, ბობოქარი და არცთუ იოლი ცხოვრების ყოველი მხრიდან რომ უტევენ. მით უფრო შესამჩნევი და მასშტაბურია ხოლმე ამ სიტუაციიდან ნებისმიერი გამონაკლისი. აი, რატომ ვამბობ, რომ დღეს განსაკუთრებით საჭირონი არიან ადამიანები, რომლებიც პრაქტიკაში ღიად განახორციელებენ თავიანთი ცხოვრებისა და აზრის წესს, რომელთა წყალობითაც შესაძლებელი გახდებოდა მომავალში ადამიანისა და საზოგადოების განვითარებისათვის რამენაირი ახალი შესაძლებლობების გაჩენა.

— როგორ აფასებთ, უფრო ზუსტად, როგორ გესმით თქვენ, ფილოსოფოსს, თანამედროვე ადამიანი? როგორია იგი ფილოსოფოსის თვალთახედვით?

— "თანამედროვე" ადამიანი არ არსებობს. "თანამედროვედ" შეიძლება აღიქმებოდეს მხოლოდ ესა თუ ის აზრი მის შესახებ. თავად იგი კი ყოველთვის მხოლოდ მცდელობაა, გახდეს ადამიანი, შესაძლებელი ადამიანი. ეს კი ყველაზე ძნელია, ისევე, როგორც აწმყოში ცხოვრება, და იგი ყოველთვის ახალია ისევე, როგორც ყოველთვის ახალია აზროვნება — თუკი საერთოდ ვაზროვნებთ. ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ ისტორიულ ადამიანზე, ანუ არსებაზე, რომლის სასიცოცხლო ორგანოც არის ისტორია, გზა. ამ გზის ათვლა კი შეიძლება ბერძნულ-რომაული სამყაროდან და სახარებიდან; შეუქცევადად — აღორძინების ეპოქიდან მოყოლებული. ჩვენ XX საუკუნის ადამიანები ვართ და პრობლემების გლობალურობას ვერ გავექცევით. ეს კი, უპირველეს ყოვლისა, თანამედროვე ბარბაროსობის, გაველურების პრობლემაა. ეს არის "ხამუდამო სიმშვიდის" საშიშროება, ანუ — არც სიკეთის, არც ბოროტების, არც ყოფნისა და არც არყოფნის უწყვეტი მდგომარეობის შესაძლებლობა — უბრალოდ არაფრის შესაძლებლობა. კულტურის საუნჯენი აქ გარანტია არაა. და კატასტროფაც შეიძლება ატომურ კატასტროფამდე მოხდეს, რადგან კულტურა, როგორც უკვე ვთქვი, მხოლოდ მოხმარებისა ან შეცნობის მომლოდინე მზა ფასეულობებისა და პროდუქტების ერთობლიობა არაა. ეს არის ადამიანის უნარი და ძალისხმევა, იყოს, ფლობდეს "ცოცხალ" სხვაობათა რიგს და განუწყვეტლივ იმყოფებოდეს მათი განახლების პროცესში. წინააღმდეგ შემთხვევაში ნებისმიერი სიმაღლიდან შეიძლება ჩამოვარდე.

მე ყოველთვის მსურდა, თვითონ გავრკვეულიყავი და სხვებსაც დავხმარებოდი ამის გაგებაში: რატომ ხდება ხოლმე, რომ ადამიანები რომელიმე აშკარა ჭეშმარიტებების პირისპირ დგანან და მაინც ვერ ხედავენ, ვერ შეიცნობენ მათ. თუკი ერთი ადამიანი ხედავს, მეორე კი — ვერა, საამისოდ რაიმე შინაგანი კანონები ხომ უნდა არსებობდეს. ფორმულა — მავანი ჭკვიანია, მავანი კი ბრიყვი — აქ არაფერს გვეუბნება. ეს ფსიქოლოგიური, ბუნებრივი მონაცემებისა და ნიჭიერების პრობლემა არაა. როდის, სად და როგორ შეგვიძლია — ან არ შეგვიძლია — საკუთარი ვნებებისა და აბეზარი შთაბეჭდილებების შიგნით ჩავიხედოთ? როგორია პირობები "ჩახედვისა" ერთთან და "არჩახედვისა" მეორესთან? ამგვარი კითხვების ანალიზისათვის პირადად მე უმდიდრესი მასალა მომცეს ფოლკნერმა და პრუსტმა. საერთოდ კი საამისოდ გვიწევს, მივმართოთ კაცობრიობის მხატვრულ და ზნეობრივ გამოცდილებას, და, სხვათაშორის, ეს ასე იყო უკვე დიდი პლატონისთვის, რომელიც განუყოფელია ფილოსოფიისა და რაციონალური აზროვნებისგან. ხოლო ახალი დროის ევროპული კულტურის გარიჟრაჟზე უკვე დანტემ მოგვცა სულის მოგზაურობის, "გრძნობათა აღზრდის" რომანის ნიმუში. მას შემდეგ იგი მეორდება, ტრადიციად იქცა, ჩვენს დროში ეს არის ფოლკნერი, ჯოისი, პრუსტი, მუზილი, პლატონოვი, ისეთი პოეტები, როგორიც არიან მანდელშტამი, ელიოტი, რილკე. კერძოდ, ნიმუშები, ფოლკნერთან და პრუსტთან რომ შეგვხვდება, თითქმის ქრესტომატიულ სიცხადეს შეიცავენ. ფოლკნერი გვიჩვენებდა, რომ ადამიანისთვის არ არსებობს უფრო დიდი ტრაგედია, ვიდრე ის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა იგი საკუთარ მდგომარეობაში ვერ ერკვევა! ასეთი საკითხებით რომ ვიმტვრევდი თავს, ვფიქრე: იქნებ გაგება იმ მომენტიდან იწყება, როცა რაღაც შ ე უ ძ ლ ე ბ ლ ი ს შ ე ს ა ძ ლ ე ბ ლ ო ბ ი ს ცხადად შეცნობას იწყებ, ესე იგი, როცა შეიცნობ "აუცილებელს", ადამიანისთვის "შესაფერისს" – და სწორედ ამ შესაძლებლის შეუძლებლობას! როცა შეუძლებლის გაბედვა მოგეთხოვება.

ერთხელ ასე მოხდა: რამდენიმე დღეში მას შემდეგ, რაც თბილისის უნივერსიტეტის ახალგაზრდა მსმენელებთან ერთად ვცდილობდი, გამეანალიზებინა სიტუაცია, რომელსაც მე "შეუძლებლის გაბედვას" ვუწოდებ, და როგორმე გამოგვეთქვა და გამოგვერკვია იგი, შემთხვევით ვნახე ფილმი, რომელშიც მსგავსი სიტუაცია თამაშდებოდა. მხედველობაში მაქვს აბდრაშიტოვისა და მინდაძის ფილმი "მატარებელი გაჩერდა". ჩემი ლექციის უკეთეს ილუსტრაციას ვერც ვინატრებდი. ფილმის სიუჟეტს არ გიამბობთ; აქ საქმე გვაქვს ყალბი მდგომარეობის ტრაგიკომედიასთან. ადამიანებს თავს ატყდებათ ასობით სრულიად განსხვავებული, გარეგნულად ერთმანეთთან დაუკავშირებელი, მაგრამ ცალ-ცალკე სავსებით გააზრებული მოქმედებების ტალღა, და ეს ტალღა ამ ადამიანებს აყენებს სიტუაციაში, როცა მათ წინასწარ მოცემული ნიღბები (მათ შორის "გმირის" ნიღაბიც) უნდა მოირგონ და ამ ნიღბების შესაბამისად იმოქმედონ. ისინი არ არღვევენ ამა თუ იმ ნიღაბსა თუ სახეს, რადგან ადამიანურად შეუძლიათ "გაუგონ" ერთმანეთს. მათ, ასე ვთქვათ, "ადამიანურობის" გზით გააქვთ თავი. ვინმე–ანონიმი კი, რომლისთვისაც საქმის არსი სულერთია, ახდენს იმ ძაფებით მანიპულირებას, ამ ადამიანურ გუნდას რომ შემოხლართვია. ამის შედეგად კი არავინ არანაირად არ იქცევა – საქციელი ხომ, რეაქციის, ნიღბის მიხედვით მოქმედებისგან განსხვავებით, ყოველთვის პირისპირ ყოფნის სიტუაციაში არსებობს. ჩვენს წინაშეა კანონის არაბუნებრივი მექანიკისა და ბუნდოვანი შინაგანი სიმართლის წებოვანი ნარევი, სადაც ერთმანეთში გადახლართულა სიკეთე და ბოროტება, აუცილებელი და თვითნებური, ფანტაზია და რეალურის ჯანსაღი აზრი, საქმე და შინაგანი ზრუნვა-წუხილი საქმეზე.

როცა ფორმის შემოქმედი (და ადამიანის ზნეობრივი არსის დამცველი) ძალის მაგალითის მოყვანა მიხდებოდა, ნათან ეიდელმანის შესანიშნავ წიგნ "ლუნინს" ვიშველიებდი. მასში აღწერილია ადამიანის საქციელის განსაცვიფრებელი ტიპი, რომელსაც საფუძვლად მხოლოდ ერთი, მაგრამ ურყევი ცნება ედო – ღირსება. ღხრსება ღირსებაა. იგი მიზნებისა და იდეალების ვერანაირი შინაარსით ვერ დაფუძნდება. ღირსება უცვლელი ცნებაა, იგი გარკვეულწილად აბსოლუტურად ფორმალური ქცევის შემთხვევაა, ანუ ქცევისა, რომელიც სრულიად არ არის დამოკიდებული ნებისმიერი ხასიათის გარეგან გარემოებებზე, ან საქმიან, შინაარსიან მიზანშეწონილობებზე. მათ ხომ ადამიანის ერთობ ფარდობითი, "ევკლიდეს" გონება ადგენს თავის მიმდინარე სიცოცხლის სიბრტყეში. ამ სიბრტყეში მაღალიდეურ მიზანს ნებისმიერი ხაშუალების გამართლება შეუძლია (და ჩვენ ეს ვიცით), თუნდაც იგი ღირსების ცნების სიცხადეს ეწინააღმდეგებოდეს. ღირსების (მხოლოდ ღირსების) ადამიანი კი, პირიქით, ამ ვითარებაში სწორედ უკანასკნელს ირჩევს... და მართალიც აღმოჩნდება. ამ ცნების განუხრელად მიმდევარ ლუნინს ესმოდა ის, რაც არ ესმოდათ სხვებს (მაგალითად, დეკაბრიზმის იდეოლოგებს) და აგნებდა ისეთ ადამიანურ შესაძლებლობებს, რომელთა მოაზრება სხვაგვარად შეუძლებელი იქნებოდა. მაგრამ, ცხადია, ამისათვის საჭიროა, დაიცვა საკუთარი უფლება, იცხოვრო ისე, როგორც შენი სინდისი და მოვალეობა გკარნახობს. ეს ხომ ყველაზე ბუნებრივი და აბსოლუტური, უპირობოდ ადამიანური მდგომარეობაა!

აკი არსებობს ჰიპნოზის ასეთი ცნობილი მეთოდი: საკმარისია თვალმოუშორებლად უყურო მბრუნავ ბრჭყვიალა ბურთულას – დაგეძინება. და ხშირად ასეთ ბურთულებად – აზრის ჰიპნოზურ ძილში, ღრმა ინტელექტუალურ უგონობაში რომ გვაგდებს – გვევლინება ღრუბელთმიღმიერი იდეალების იდუ-

მალი და შორეული ცოდნის ბრჭყვიალი. იგი თრგუნავს, იმორჩილებს ჩვენს აზრებს, პიროვნებას, რომელსაც შორეული სიმაღლეებისთვის მიუჩერებია მზერა, ხძინავს. ყველაზე პარადოქსული ისაა, რომ ზოგჯერ სწორედ აქედან იწყება პიროვნების ნგრევა.

პროგრესის შესაძლებლობას განაპირობებენ მხოლოდ ავტონომიური, დამოუკიდებელი ადამიანები, რომელთაც შესძლეს, თავისთვის და თავისი საქმისთვის განსაკუთრებული სულიერი ექსტერიტორიულობა მოეპოვებინათ. ეს მათი ტალანტისა და ჭკუის წყალობით გახდა შესაძლებელი – ამასთან, რაგინდ კოოპერირებულიც არ უნდა იყვნენ ისინი! კოოპერირება ხომ მხოლოდ დამოუკიდებელ ადამიანებს შეუძლიათ. რაც შეეხება "კოლექტიურ კოოპერაციას", იგი, ყველაზე ცუდი აზრითაც, რეალური ძალის სახით არსებობს. როგორც ცნობილია, უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში ადამიანთა საკმაოდ დიდი – ქვეყნის მასშტაბში – რაოდენობა ჩამოყალიბდა, რომლებიც სისხლხორცეულად და მძვინვარედ არიან დაინტერესებულნი იმაში, რომ ყველაფერი იყოს და გაგრძელდეს ისე, როგორც იყო და არის. და ისინი ერთობ ერთსულოვანნი არიან თავიანთ ინტერესებსა და მათ დაცვაში. აი, ვინაა ურთიერთდამოკიდებულებებით შედუღაბებული და თუკი ასეთი ადამიანები ლაპარაკობენ გარდაქმნაზე, საჯაროობასა და დემოკრატიის განვითარებაზე, მაშინ ეს ლიტონი სიტყვებია. რადგან სინამდვილეში მათ სულაც არ სჭირდებათ, რომ ადამიანს ჰქონდეს ხმა. ადამიანს თუ ხმა ექნება, უდიერად ხომ ველარ მოექცევი.

ჩვენს წინაშე ფაქტობრივად ისტორიული შემოქმედების ამოცანა დგას. ჩვენ ჯერ ჩვენი უპასუხისმგებლო სამყარო პასუხისმგებლობის სამყაროდ უნდა ვაქციოთ, სადაც სიკეთისა და ბოროტების დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა შ ე ი ძ ლ უ ბ ა და სადაც "სასჯელისა" და "მონანიების", "ცოდვისა" და "ღირსების" ცნებებს აზრი ექნებათ, იარსებებენ და ჩრდილების დარბაზში არ დაბრუნდებიან, როგორც ფილმის – "მატარებელი გაჩერდა" – სიტუაციაშია აღწერილი. საჭიროა შექმნა სიტუაციისა, რომელშიც ეს ყველაფერი გარჩევადი, აღწერადი და განსაზღვრებადი იქნება.

სხვათაშორის, თენგიზ აბულაძის "მონანიებას", რომელსაც დღეს ფართო მაყურებელი ჰყავს, მე, მაგალითად, მხატვრული კრიტერიუმებით არ ვუდგები; ფილმის ჩემეულ აღქმაში სრულიად არ არსებობს ეს კრიტერიუმები, და ახლაც არ შემიძლია მათზე ფიქრი – ეს ხელოვნური იქნებოდა. რადგან ფილმის ყურების დროს მთლიანად ვიყავი და ვრჩები ამ დასრულებულ და ნათელ მოქალაქეობრივ აქტთან ერთად და სხვა არაფერი მახსოვს. მაგრამ მისი ეკრანზე გამოსვლის გარემოებები იმაზე მეტყველებს, რომ ეს ხელისუფლების მხრიდანაც საქციელი და აქტია.

სამოქალაქო ცხოვრების არტიკულაცია, საჯაროობა, მართლწესრიგი, იდეოლოგიის გამოყოფა სამოქალაქო სტრუქტურების ფუნქციონირებისგან (მათ შორის ინფორმაციისა და განათლების მექანიზმებისგან) – ყოველივე ეს აუცილებელი პირობებია იმისა, რომ ადამიანმა ირწმუნოს საკუთარი თავისა, საკუთარი ძალებისა, ენდობოდეს ცხოვრებას, იმ ცხოვრებას, რომელიც მ ა ს ე ნ დ ო ბ ა, უხსნის რა გზას ნებისმიერ ახალი და დამოუკიდებელი ძალის ბიძგებსა და მშობიარობის ტკივილებს. ადამიანში თავისუფალი შინაგანი სიტყვის, ან, თუ გნებავთ, დამოუკიდებელი აზრის ინსტანციის აღორძინება დროის ახირება და სიტუაციასთან ვისიმე თამაში კი არა, საზოგადოების, მისი ეკონომიკის, კულტურის, მრავალრიცხოვანი ეროვნული შედგენილობის, ყველა მისი ორიგინალური ძალის განვითარების რეალური მოთხოვნილებაა.

– საამისოდ ხომ კულტურის, განათლების გარკვეული დონეა საჭირო. ამის თაობაზე რას იტყვით?

– საიდან გაჩნდებოდა სასურველი დონე, თუკი სკოლებში წლითიწლობით ინგრეოდა ადამიანში სულიერი საწყისი, არ ხდებოდა დამოუკიდებელი ძალისხმევისათვის საჭირო ნებისა და უნარის აღზრდა, ანუ ჰუმანიტარული განათლება, თუკი საშინლად ასწავ-

ლიდნენ ლიტერატურასა და ისტორიას. ამ საგნების სწავლებაში განსაკუთრებით იყო მოზღვავებული სხვადასხვა ჯურის იდეოლოგიური და "დამცველი" შტამპები, როცა მოსწავლეებს თავად მოვლენების ნაცვლად რომელიღაც პარალელური რეალობის გამოსახულება მიეწოდებოდათ. შემთხვევითი არაა, რომ დღეს ისევ ცოცხლდება უმარტივესი ადამიანური კავშირები. ვთქვათ, გულმოწყალება, თანალმობა. ეს კი მთელი კულტურაა, "ბუნების დიდი ნააზრევი", რადგან მოქმედებს დამოუკიდებლად იმისაგან, დამნაშავეა ესა თუ ის ადამიანი, რომლის მიმართაც იჩენენ გულმოწყალებას, თუ არა.

– თქვენ, პირადად თქვენ არასოდეს გდომებიათ, სკოლაში გესწავლებინათ?

– ეს ჩემი დიდი ხნის სურვილია. მაგრამ, რა თქმა უნდა, მსურდა მესწავლებინა არა ლიტერატურა ან ისტორია, არამედ – ფილოსოფია. არის ქვეყნები, სადაც სკოლაში ასწავლიან ფილოსოფიას, მაგალითად, საფრანგეთი.

საერთოდ, ხშირად დავრწმუნებულვარ, რომ ფილოსოფია უკეთესად ესმით ადამიანებს, რომლებიც პირველად ხვდებიან მას და ადვილად აღიქვამენ, თუკი იგი პიროვნულად მათდამია მიმართული, ყოველ შემთხვევაში, გაცილებით უკეთესად, ვიდრე ადამიანები, ვისაც გარკვეული აკადემიური ფილოსოფიური ცოდნა აქვთ. უფროსკლასელები იდეალური აუდიტორიაა ფილოსოფიის სასწავლებლად. სკოლისადმი ჩემი სწრაფვა კი ნაწილობრივ იმით რეალიზდება, რომ მეტწილად ახალგაზრდებთან მაქვს კონტაქტი. ის ყმაწვილები, რომლებსაც ლექციებზე ვხედავ, დიდად არ განსხვავდებიან სკოლის მოწაფეებისგან.

– რა ხდება დღეს ფილოსოფიაში?

– მგონი, საქმე არც ისე კარგადაა. ფილოსოფოსთა თაობების შეცვლასა და არევდარევასთან ერთად როგორღაც გაქრა სულიერების ელემენტი, რომელმაც, სიმართლე რომ ითქვას, განაპირობა თვით მათი გამოჩენა 60-იანი წლების დასაწყისში. მათაც სპეციალურ საქმიანობათა კულტურულ ნიშებს მიაშურეს – ლოგიკასა და მეცნიერების ლოგიკას, ფილოსოფიის ისტორიას, სემიოტიკასა და სტრუქტურალისტიზმს, ესთეტიკას, ეთიკას. ტემპერამენტით ფილოსოფოსები კი... მაგრამ სულიერი შინაარსის გარეშე ნებისმიერი საქმე მხოლოდ სანახევროდაა საქმე. ფილოსოფია ღირსების რაინდთა გარეშე, ადამიანური ღირსების გარეშე ვერ წარმომიდგენია; დანარჩენი ყველაფერი – სიტყვებია.

თარგმნა ლია ჯაყელმა

ინტერვიუ ჟურნალიდან
"Наше Наследие", №3, 1988
(იბეჭდება შემოკლებით)

გიორგი მარგველაშვილი

# შუალედური ყოფიერება და ერზაც[1]-რეალობანი

თანამედროვეობის კრიტიკული ანალიზის ჩატარება ჩვენი კულტურის ერთ-ერთი წარმმართველი ტენდენციაა. შეიძლება ითქვას, რომ არც ერთი კულტურა არ ყოფილა ჩვენსავით დაკავებული და გატაცებული თვითანალიზით. ამდენად, თანამედროვე აზროვნებაში არსებობს ანალიზისა და კრიტიკის მდიდარი ტრადიცია, განსხვავებული სკოლები და მიდგომები. ერთ-ერთი ასეთი მიდგომა თანამედროვე კულტურასა და აზროვნებას სხვა კულტურულ ტრადიციებთან მიმართებაში იხილავს.

საკითხის ასეთ დაყენებას თავისი ლოგიკა და პრიორიტეტები აქვს. საქმე ისაა, რომ ფონური გააზრებისას დაკვირვების ობიექტი (ჩვენ შემთხვევაში თანამედროვე კულტურა) მოიაზრება განსხვავებული კულტურის ფონზე. ასეთი მიდგომა მკვლევარს აძლევს შესაძლებლობას, უფრო გამოკვეთოს ის ფენომენი, რომელიც ჩვენთვის, როგორც ამ დროსა და სივრცეში მყოფ დამკვირვებელთათვის, შესაძლოა ნაკლებად დასანახი და შესამჩნევია. მაგრამ, დაკვირვებისას ყოველთვის არსებობს შეცდომის საშიშროება, თუმცა, ეს კი არ გვაჩერებს, არამედ, პირიქით, გვიბიძგებს მომავალი კვლევისა და მომავალი შეცდომებისკენ. და ჩვენც, ყოველივე ამის გათვალისწინებით, შევეცდებით სწორედ ამ მეთოდით მივუდგეთ თანამედროვეობის ანალიზს.

დავიწყოთ გავრცელებული კულტუროლოგიური ტერმინების - „პროფანულისა" და „საკრალურის" — მოაზრებით. ეს ტერმინები აქტიურად გამოიყენება სამყაროში ადამიანის ყოფიერების მოდუსის, კულტურულ ძეგლთა თუ ტრადიციათა, საზოგადო ყოფიერების ამა თუ იმ ინტენსივობის დახასიათებისათვის. კულტუროლოგიის კონტექსტში, ესაა ორი აქტიურად მომუშავე ტერმინი, რომელთა მომარჯვება ჩვენი ყოფის მიმართ, ვფიქრობ, საინტერესო შედეგებამდე მიგვიყვანს.

მაშ ასე, პროფანული შრე ასახავს ყოველდღიურ ყოფას. ამ სიბრტყეში ადამიანი მოძრაობს და იკმაყოფილებს თავის ვიტალურ მოთხოვნილებებს. იგი მოიპოვებს საკვებს, უვლის სახლს, ამყარებს ურთიერთობებს და ქმნის თავისი არსებობის განუწყვეტელ ყოველდღიურ რიტმს. ყოფიერების ეს ყოველდღიური პროფანულობა თავისი უმნიშვნელო მნიშვნელოვნებით შეიძლება სუნთქვის პროცესს შევადაროთ — ისევე როგორც სუნთქვა თავისი განუწყვეტლობით ქმნის ჩვენი ყოფის შესაძლებლობას, ასევე პროფანული ყოფიერებაც პირობა და გარანტია ადამიანის რეალური არსებობისა.

ამავე დროს, „პროფანულში" ჩართულია საკრალური ყოფიერება. „საკრალური" თავისი არსით ზე-ტრანსცენდენტული, წმინდა ბუნების არსებობის მოდუსია. „საკრალური" უკავშირდება ქმნადობას, ღმერთებს, დაწესებას, დასაზღვრას, კოსმოსს, შესაქმეს, ბუნების რიტმებსა და ლოგიკას. საკრალური დრო — ეს საკრალურ წარსულში გათამაშებულ, განვრცობილ ხდომილებათა თანმიმდევრობაა. იგი პროფანულს დღესასწაულებისა და რიტუალების სახით უბრუნდება და მასში კოსმიურ გარღვევებს იწვევს. საკრალური სივრცე სიწმინდეებს, ტაძრებსა და განმტკიცებულ ადგილებში იკვეთება ყოველდღიური არსებობის ტერიტორიაზე მსოფლიო ხის, სამყაროს გოდოლის, ციდან ჩამოშვებული ჯაჭვის, მიწისქვეშა წყლებისა და ღმერთთა საგმირო ნაკვალევის სახით.

არქაულ და ტრადიციულ საზოგადოებებში საკრალური რეალობა ჩაქსოვილია პროფანულ სივრცესა და დროში, იგი განსაკუთრებული ხარისხისა და მნიშვნელობის ნაქარგია ყოველდღიურ პროფანულ მდინარებაში — ნაქარგი, რომელიც ორნამენტად ექსოვება არსებობას როგორც განუყოფელ მთლიანს, მაგრამ, რომელიც თავისი განსაკუთრებულობითა

და სიმდიდრით ნათლად შეიძლება გამოიყოს და დახასიათდეს, როგორც ცალკე მდგარი ფენომენი. ეს ურთიერთდამოკიდებულება ერთგვარი გადაჯაჭვულობის, ურთიერთჩაქსოვის აგვარი ფენომენია, სადაც პროფანული და საკრალური ყოფნის ერთ უწყვეტ ერთიანობას ქმნიან. ისინი გადადიან ურთიერთში და მონაცვლეობის ამ რიტმით დაძაბულობა-სიმშვიდის დინამიკას ადგენენ. თანაც, ამ ურთიერთგადაბმისა და თანაარსებობის მიუხედავად, „პროფანული” „პროფანულად” რჩება და საკრალური საკრალურად. ისინი თავის არსს, თავის ნაკვთებსა და შტრიხებს ინარჩუნებენ და იცავენ. სწორედ ისე, როგორც სადა ნაჭრის ფონზე ოქროს ძაფით ნაქარგი — ისინი ერთ მთლიან მატერიას ქმნიან, მაგრამ ფონი ფონად რჩება, ნაქარგის ფორმები კი ხილვადია და მკვეთრად განსაზღვრული.

ამგვარ დინამიკაში არსებობდა კლასიკური კულტურა, მაგრამ თუ შევეცდებით, ამ საზომით მივუდგეთ ჩვენს თანამედროვე ყოფას, და ამ რაკურსში განვიხილავთ, ანუ, გავიაზრებთ იმას, თუ რანაირად აისახება თანამედროვე რეალობაში „საკრალურ-პროფანულის” ბალანსი, თავიდანვე წინააღმდეგობის წინაშე აღმოვჩნდებით. თავიდანვე გამოჩნდება, რომ თანამედროვე ადამიანის ყოფა არანაირად არ ექვემდებარება ამ წესს, რომელიც ცხოვრების რიტმს ორ რეჟიმად — საკრალურად და პროფანულად ყოფს. და გაჩნდება აუცილებლობა ახალი, მესამე, შეიძლება ითქვას, არსებობის დღემდე არარსებული მოდუსის გაჩენისა. ანუ, ჩვენს მიერ აღიარებული ფონური მეთოდი, როდესაც წარსულის კულტურულ კლიშეს ვადებთ ცხოვრების თანამედროვე ფორმას და ვეძიებთ „ამოვარდნილ” უბნებს საკრალურისა და პროფანულის კონტექსტში, მიგვითითებს ახალ სივრცეზე, სადაც ხორციელდება კიდეც ჩვენი არსებობის ძირითადი ხდომილებანი.

რა არის ეს მესამე პლასტი, მესამე სივრცე, რომელიც არც პროფანულია და არც საკრალური? დასაწყისისათვის ვუწოდოთ ამ ფენომენს “შუალედური სივრცის” სახელი იმდენად, რამდენადაც თავისი ადგილმდებარეობით, და სავარაუდოა, არსითაც, შუალედური სივრცე ზუსტად პასუხობს იმ სივრცობრივ განსაზღვრულობას, რომელშიც ჩვენ იგი მოვათავსეთ, ანუ იგი პროფანულსა და საკრალურს შორის მოთავსებული ფენომენია, შუალედურია — არც პროფანულია და არც საკრალური.

პროფანული იგი არაა იმდენად, რამდენადაც არავიტალურია, ანუ შუალედური სივრცის ღირებულებანი და მოთხოვნილებანი არანაირად არაა დაკავშირებული ყოველდღიური, ფონური არსებობის მოთხოვნილებებთან. შუალედური არ ეხება იმ უმარტივესსა და პირველადს, რომელსაც აგვარებს პროფანული ფუნქციონირების სფერო. სპონტანურობა და ვიტალური აუცილებლობა კი „პროფანულის” განმანსხვავებელი ნიშნებია, მაშინ როდესაც, ის, რაშიც მიმდინარეობს მეოცე საუკუნის რიგითი ინტელექტუალის ყოველდღიური ყოფა, უფრო დახვეწილი, მენტალური, ინტელექტუალური და აზროვნების შედეგად ჩამოყალიბებულ ღირებულებათა და კრიტერიუმთა გააზრების სფეროა. ასე, შუალედურ ინტერესთა (მოთხოვნილებათა) კლასიკურ მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ესთეტიკურ ან ეთიკურ პრობლემათა რიგი, ან მეოცე საუკუნეში ასე გავრცელებული კომუნიკაციის, ენობრივი ბარიერებისა და კლიშეების პრობლემა; ასევე, სქესისა და სქესობრივი უმცირესობების, მათი როლის, ფუნქციისა და უფლებების გააზრების საკითხი, დღეს რომ ასეთი ხმაურითა და ემოციებითაა გარემოცული. ხშირად ეს არის ფენომენის წვდომისა და სამყაროსთან უშუალო შეხების, ასევე პიროვნების სხვადასხვა უნარის, ტალანტისა და მოთხოვნების რეალიზაციის პრობლემა და სხვა მრავალი ასეთი რამ... მოკლედ, მთელი ის სფერო, რომლითაც დღეს რეალურად ცხოვრობს და რომელშიც მოქმედებს თანამედროვე ინტელექტუალი. მისი ემოციები და აქტივობა მოწყვეტილია იმ გარემოს, რომელსაც ჩვენ კლასიკური კულტურის ფარგლებში მკვეთრად განსაზღვრული პროფანულის სახელი მივანიჭეთ. თუმცა ეს მისი ყოველდღიური ყოფის ნაწილია, ის არაა პროფანული.

იგი არაა „პროფანული”, რადგანაც, მის აქტიურ ინტერესთა სფეროში არასგზით არ შედის ვიტალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, რაკილა ეს მოთხოვნილებანი თანამედროვე ყოფაში უკვე დაკმაყოფილებულია და ასე, მზა სახითაა ჩართული ყოველდღიურ საარსებო რიტმში. და იმ იშვიათ შემთხვევებშიც კი, როდესაც იგი ემოციური ინტერესით უდგება სპონტანური და პირველადი ინტერესის საგანს, დიდი წილი მისი მოქმედებისა ინტელექტისა და რთული ემოციურ-რაციონალური კონცეფტების გარსში ექცევა და ისევ ამ რთულ სამოსში გამოწყობილი მიეწოდება. თანამედროვე ადამიანმა დაკარგა მარტივი ინტერესებისა და მარტივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების უნარი, და მაშინაც კი, როდესაც იგი უმარტივეს ფენომენებს ეხება, მათი წაკითხვის, გაგებისა და აღქმისათვის მას ესაჭიროება შიშველი ფენომენების გახვევა რთული კონცეფტების საფარველში. ანუ, პროფანულ აქტივობასთან, როგორც ასეთთან, თანამედროვე ადამიანს ნაკლები რამ, შესაძლოა ითქვას — არც არაფერი არ აკავშირებს.

ასე რომ, მისი აქტივობა, როგორც ემოციური, ისე ინტელექტუალური, ზეპროფანული ბუნებისაა. მაგრამ თუ ზეპროფანული ტრადიციული კულტურის ასპექტში ნიშნავს საკრალურს, ეს სქემა სრულიადაც არ მუშაობს თანამედროვე კულტურის კონტექსტში; და სწორედ ესაა ჩვენი ყოფის განმასხვავებელი ნიშანი. შუალედური ყოფნა თავისი არსით ზეპროფანულია, მაგრამ არა საკრალური. შუალედური მენტალიტეტი რთულია, დახვეწილი, ინტელექტუალური, ყოველდღიურობისაგან განსხვავებული, მაგრამ იგი არაა საკრალური.

გავიხსენოთ „საკრალურის” არსი — იგი უზენაესი, აბსოლუტური და უნივერსალურია. „საკრალური” აწესებს და აკანონებს, მასშია ძალა და სიმტკიცე. საკრალური — სამყაროს დამსაზღვრელია და იღებს პასუხისმგებლობას ამ დასაზღვრაზე. მის მიერ დადგენილი ჭეშმარიტებანი დაფუძნებულია კანონის სიმტკიცით — და, ალბათ, სისხლითაც. საკრალური განმტკიცებულია, გაძლიერებულია მაგიური ძალით, მის უკან დგას რაღაც უფრო მეტი, უფრო მეტი ვიდრე განსჯა, ემოცია თუ აზროვნება, მის უკან დგას პირველშესაქმის, დაკანონებისა და დადგენისთვის მიღებული სისხლი, — და სწორედ ამ სისხლიდან იღებს იგი ძალასა და ენერგიას.

და, როგორც აღვნიშნეთ, მიუხედავად იმისა, რომ შუალედური ყოფნა ზევიტალურია, იგი საკრალურისაგან განსხვავებული ლოგიკითაა აგებული. შუალედური თავისი არსით არაფერს არ განაპირობებს. იგი თვითაა მოცული და შემოფარგლული საკუთარი თავით. შუალედური მსოფლმხედველობა არ იღებს არავითარ პასუხისმგებლობას, იგი არ აკანონებს, არ ადგენს, არ იძლევა ორიენტირს; სწორი, მცდარი, ბოროტი, კეთილი, მართებული, მანკიერი — ეს ის ტერმინებია, რომლებითაც საკრალური კანონი საზღვრავს და ძერწავს სამყაროს და რომელთაც პირველ რიგში გაურბის შუალედური. მისი ფერები არაა მჭახე, ფორმები ბლანტია, აქცენტები მდორე და წინადადებები — ალბათობითი. იგი იძლევა იარლიყებს, რომელთაგანაც არც ერთს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. იგი ამტკიცებს ტერმინებს, რომლებიც მხოლოდ ტერმინებია და რეალური ადექვატი არ გააჩნიათ. შუალედური აზროვნების თემებია: გაუცხოება, სისუსტე, მიუსაფრობა, ფსიქოლოგიური პრობლემები, ინტელექტუალურ-ემოციური სიბრმავე. მაგრამ ამ თემათა დადგენის იქით შუალედური არ მიდის, ან ვერ მიდის. ამიტომაც და ამითი განსხვავდება იგი საკრალურისგან.

ამდენად, „შუალედური” წარმოადგენს არსებობის მოდუსს, რომელშიც, ერთის მხრივ, არაა რეალური ვიტალური მოთხოვნილებების ადექვატური სისტემა, და, მეორეს მხრივ, არაა არც საკრალური სიბრტყე და კანონი. მაგრამ ეს ნიშნავს, რომ აქ გარკვეულ ენერგეტიკულ კურიოზთან, ან ახალ ენერგეტიკულ წყაროსთან გვაქვს საქმე, რადგანაც ამ გადასახედიდან ჩვენთვის ძნელი წარმოსადგენია, თუ საიდან მოიძიებს შუალედური ყოფნა არსებობისათვის აუცილებელ ენერგეტიკას.

ჩვენ ვიცით, რომ „პროფანულის” მასაზრდოებელია ის ბუნებრივი მექანიზმი და რიტ-

მი, რომელიც სამყაროში ცოცხალი ორგანიზმის თვითგადარჩენას ემსახურება, — „პროფანულს" სიცოცხლის ინსტინქტი კვებავს. ასევე, საკრალურიც, სიცოცხლის ინსტინქტით, ან, შეიძლება ითქვას, მისი განვითარებული სახეცვლილებითაა განპირობებული — კოსმიურ სიბრტყეში ორიენტირთა დადგენა და განსაზღვრაც ხომ საბოლოო ჯამში სიცოცხლის გაგრძელებისა და დადგენის იდენტურია. მაგრამ შუალედურ მოთხოვნილებათა უკან არაა რეალური მოთხოვნილებითი მექანიზმი. არაა საჭიროებათა ადექვატური თანშობილი სისტემა, რომელიც მისცემდა მას ენერგეტიკულ მუხტს. შესაბამისად, მან ასეთი უნდა მოიძიოს. საიდან?

პასუხი ჩვენი ყოფის მიერ აგებულ ერთობ საინტერესო მექანიზმშია. კერძოდ კი, „შუალედური" კვებავს თავის არსებობას საკუთარი თავისათვის მნიშვნელობის მუდმივი მინიჭებით, ამ მნიშვნელობის მუდმივი დეკლარაციითა და ხაზგასმით.

„საკრალურ-პროფანულის" კონტექსტში ჩვენ მნიშვნელობის ორი მოდუსი გვეძლეოდა: ერთის მხრივ, როდესაც გწყურია — მნიშვნელოვანია წყალი, როდესაც გშია — მნიშვნელოვანია საჭმელი, როდესაც იხუთები - მნიშვნელოვანია ჰაერი; და ეს ბუნებრივად მნიშვნელოვანია. მნიშვნელოვანია ის, რაც გინდა და ის, რაც გაკლია. მეორეს მხრივ, მნიშვნელოვანია სამყაროში საკუთარი დანიშნულების ცოდნა, მნიშვნელოვანია იცოდე, საით წახვიდე და რა არის სწორი ან მცდარი. ორსავე ამ სურვილს უკან ჩვენ იოლ არგუმენტაციას აღმოვაჩენთ: „მშია, იმიტომ რომ მშია"... „მეშინია სიკვდილის, იმიტომ, რომ მეშინია"...

მაგრამ, თანამედროვე ინტელექტუალს არც შია, არც სწყურია და, ამავე დროს, მისი ნააზრევი არაა მიმართული გზის განსაზღვრისაკენ; მას საერთოდ ნაბიჯის გადადგმის შიში აქვს, ანუ, ეს არც ერთია და არც მეორე. და სწორედ ამიტომ, მისთვის მნიშვნელოვანი ხდება საკუთარი მნიშვნელოვნების შექმნა.

მაგრამ მნიშვნელოვნების შექმნა რეალური ქმედების გარეშე ძნელია. ძნელია უდაბნოში მოწყურებულ კაცს არც წყალი მისცე, არც გზა ასწავლო და თანაც დაარწმუნო საკუთარ მნიშვნელოვნებაში. ძნელია, მაგრამ შესაძლებელი. უცნაურია, მაგრამ ერზაც-რეალობა, ერზაც-დაოკება ხშირად მომაჯადოებელი ძალით მოქმედებს. იქმნება ერზაც-შუალედური რეალობა, რომელშიც ფაქტები და მოვლენები უცნაური ენერგეტიკით არსებობენ. ამ არსებობის წინაპირობა თანამედროვე ადამიანის ცხოვრების სრულიად სპეციფიკური წესითაა გაპირობებული. ამ ცხოვრების წესს აბალანსებს ეგრეთწოდებული, „ავადმყოფობაში შესვლა" და ამ ავადმყოფობით ტკბობა. ამ ორიენტირისკენაა მიმართული მთელი ჩვენი კულტურა, განსაკუთრებით კი მისი ყველაზე დახვეწილი და ინტელექტუალური ნაწილი — თანამედროვე ხელოვნება ან ფილოსოფია, რომელიც ქადაგებს ან აღწერს თანამედროვე ეგზისტენციის სისაწყლესა და კრიზისს. აქ იოლი გამოსაცნობია ნარცისიზმის დიდი დოზა, რომელიც „ავადმყოფობაში შესვლის" კომპენსატორულ ნარცისულ მექანიზმზე მიუთითებს. დახასიათება და საკუთარი თავის აღწერა ან, თუ შეიძლება ასე ითქვას, თვითკრიტიკა ამ შემთხვევაში ხომ სწორედ ტკბობის, შესაძლოა, თვით მაზოხისტური თვითგვემის გარკვეულ ესთეტიზირებულ ფორმას იღებს. ანუ ენერგეტიკული მექანიზმი აქ ნევროტული, მანკიერი წრის სახით იკვრება. ერთი შეხედვით იგი თვითგადარჩენაზეა ორიენტირებული, მაგრამ, რეალურად აქ ავადმყოფობის მიერ თვითგადარჩენის ენერგეტიკის ექსპლუატაცია ხდება, ისევ და ისევ "ავადმყოფობაში შესული" ციკლის საკვებად ირეალური იძენს რეალობის ვიზუალობასა და სტატუსს საკუთარი თავის მუდმივი დეკლარაციის საშუალებით.

წარმოვიდგინოთ ასეთი მექანიზმი ისევ და ისევ იმ ჩვენი, უდაბნოში მოწყურებული ადამიანის მაგალითზე. აი, დაახლოებით რას შესთავაზებდა მას „შუალედურის" სპეციალისტი: „რა თქმა უნდა, შენ გწყურია, წყურვილი საშინელი გრძნობაა, იგი ეფუძნება შენი ორგანიზმის გაუცხოებას ბუნებისაგან. შენ საცოდავი ხარ და უცოდინარი, ამის გამოა, რომ შენი სხეული ვერ თანხვდება უწყლობის ბუნებრივ რიტმს. გაიხსენე შენი ბავშვობა, როცა

გწყუროდა, მშობლები მაშინვე გასმევდნენ წყალს და ამით მათ შენსა და სამყაროს შორის ბარიერი ააგეს. და აი, ახლა შენს თავში ებრძვი მამის კომპლექსს, რომელიც ერთდროულად წყურვილის მომკვლელიცაა და ამავე დროს გიშლის წყურვილის მოკვლას, რადგანაც გიზღუდავს ამის პირობას — წყლის დალევას. შენი საცოდაობა კიდევ უფრო ვლინდება შენს მიერ საზოგადოდ წყლის ფენომენთან გაუცხოებაში, რადგანაც თანამედროვე სამყარომ შენ წყალი ონკანიდან და ბოთლიდან მოგაწოდა, რითიც სამუდამოდ დაგამახინჯა და მოგწყვიტა ჩვენი ყოფის საწყისს — წყალს. შენ იღუპები და შენ საშინელი კოსმიური ტრაგედიის მსხვერპლი ხარ, რომელზეც პასუხს პიროვნულად არავინ არ აგებს — ეს ჩვენი ცხოვრების მანკიერი სტილის ბრალია..."

გავიხსენოთ კიდევ უფრო პოეტური ანალოგია ამ მოვლენისა, ჩვენი ყოფის ყველაზე თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალება — ინტერნეტი. ინტერნეტში არსებული ინფორმაცია ვირტუალურია, იგი არსად არ არსებობს, არსად არაა დაწერილი, ამოტვიფრული ან შენახული, იგი კომპიუტერული ქსელის მახსოვრობის ნაწილია, ანუ მისი არსებობა დამყარებულია ჩართული კომპიუტერების მეხსიერებაზე, ზუსტად ისევე, როგორც შუალედური პრობლემატიკის აქტუალობა — მისით დაკავებულ ადამიანთა გონების სრულიად სპეციფიურ აგზნებულობაზე. ხვალ რომ გამოირთოს ყველა კომპიუტერი, აღარ იარსებებს ინტერნერტში არსებული ინფორმაცია — იგი გაქრება. ხვალ დილას, ჩვენმა თანამედროვეებმა ნაწილობრივი ამნეზიით რომ გამოიღვიძონ — არ იარსებებს თანამედროვე სამყაროს ინტელექტუალური პრობლემატიკაც.

ისინი ადგებიან, დაიბანენ პირს, მოშივდებათ, მოწყინდებათ, მოუნდებათ მეგობრობა, სიყვარული, გაზიარება; დაფიქრდებიან, თუ რა უნდა გააკეთონ და რისი გაკეთება არ ღირს, და ღამე, ალბათ, შეეშინდებათ და მოგროვდებიან ერთმანეთის გასამხნევებლად. მაგრამ არავინ, დამიჯერეთ, არავინ არ დაფიქრდება გაუცხოების პრობლემაზე. არავინ არ ააგებს მარგინალურ ტექსტს და არ დეკლარირდება თავზეხელაღებულ დეკონსტრუქციაში, არავინ დააყენებს სქესობრივი იდენტიფიკაციისა და სოციალური სექსიზმის პრობლემებს და არავის, დამერწმუნეთ, არავის არ მოუვა თავში მეზობლების კვების რაციონის ანალიზის მეშვეობით კულტურული კატასტროფის აღწერა.

შუალედური ყოფა გაქრება უკვალოდ, დარჩება მარტო ვიტალური მოთხოვნილებები და ის ემოციები, რომელიც ზოგადად არსებობის მოდუსთანაა დაკავშირებული. შუალედური გაქრება, რადგანაც არ იარსებებს ის რეალური მიზეზი ან მიზანი, რომელიც ასაზრდოებს მას. არ იარსებებს გაუცხოება, კომუნიკაციის ნაკლებობა, უიმედობა, გამოუსავლობა, დაკარგულობა; არ იარსებებს, რადგანაც მიზეზი და საწყისი ამ ფენომენთა შემოქმედებისა არის მათი იდეოლოგიზება და განუწყვეტელი კვება.

ამდენად, მეხსიერების გაწმენდა — აი, თანამედროვე ცივილიზაციის რეალური საშველი. ჩვენი რეალური გადარჩენა მეხსიერების სრული წაშლის ცენტრების დაფუძნებაშია. წარმოიდგინეთ, მიდის (ან მიყავთ) ასეთ ცენტრში ჩვენი დადარდიანებული თანამემამულე, და ორ საათში გამოდის უნიკალური პერსონაჟი — მას შია, იქვე მიართმევენ ჰამბურგერს, იგი ჭამს McDonalds-ს და არ განიცდის სამყარო სევდას fast food[2]-ის მოხმარების გამო... შემდეგ გამოდის ქუჩაში, მან არ იცის, რომ თანამედროვე ცივილიზაცია ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე დგას, იგი ჯდება მანქანაში და მისი სინდისი უმწიკვლოა... იგი მიჰყავთ თავისნაირებთან, რომელთაც უკვე ჩაურეცხეს მეხსიერება და მათთან იწყებს იგი ურთიერთობას, მეგობრობას... კაცები წვებიან ქალებთან ან კაცებთან, და ქალები — კაცებთან ან ქალებთან (ვისაც როგორც უნდა), უბრალოდ წვებიან, რომ დაიკმაყოფილონ სიყვარულის მოთხოვნილება, რომ არ იგრძნონ თავი მარტოდ და მიუსაფრად, და არა იმისათვის, რომ განახორციელონ თავიანთი კულტურულ-სოციალური ჰეტერო — ან ჰომოსექსუალური მისია... ისინი კითხულობენ წიგნებს (ანბანი უნდა ვასწავლოთ), უყურებენ ფილმებს, დადიან გამოფენებზე და მოსწონთ ის,

რაც მათ ამ წუთიერ ემოციას ესადაგება, ისინი ვერ ატარებენ დეკონსტრუქციას, მათ არ იციან, რომ გაუცხოებულნი არიან ხელოვნებისგან, ისინი არ აღიქვამენ ნაწარმოებებს რთული და გაუგებარი ინტელექტუალური კონცეფტებით, უბრალოდ არ იციან ამის შესახებ – ან მოსწონთ, ან არ მოსწონთ ის, რაც მოსწონთ ან არ მოსწონთ... ისინი ეძებენ მიზეზებს და ახსნებს წვიმისა და ჭექა-ქუხილისათვის, ისინი პოულობენ ღმერთებს და კარგავენ მათ ისე, რომ არც კი იციან, რომ ღმერთი აი, უკვე ერთი საუკუნეა, მოკვდა ევროპაში... ისინი თავიანთ თავს უწოდებენ „ახლებს" და არ აწუხებთ რაიმე მისია... და როდესაც კვდებიან, დაიტირებენ ერთმანეთს იმიტომ, რომ ველარასოდეს, ველარასოდეს შეხვდებიან ერთმანეთს ამ მშვენიერ აწმყოში.

აი, ასეთი იქნებოდა ცხოვრება იმის არსებობის გარეშე, რაც არ არსებობს, ასეთი იქნებოდა ცხოვრება, ერთი წამით რომ გამოირთოს ინტერნეტის კომპიუტერები. იქნებოდა სიყვარული და სიძულვილი, მარტოობა და პოვნა, სიხარული და მწუხარება, შიმშილი და დაოკება... და ყველაფერი ეს რეალურად იარსებებდა იმ არარეალური რეალობის მაგივრად, რომელმაც ასე დაიკავა ჩვენი ტვინები. „ახლები" იპოვნიდნენ ჩვენს ცივილიზაციას და ბევრ რამეს მალე გაიგებდნენ. აითვისებდნენ ტექნიკას და აამუშავებდნენ საწარმოებს. მაგრამ ერთი რამ, რასაც ისინი ვერაფრით ვერ ახსნიდნენ და რისი დანიშნულების შესახებაც იმტვრევდნენ თავს, იქნებოდა უამრავი მართკუთხედი, მწვანე, სწორად დაჭრილი ქაღალდი, ზევიდან დაბეჭდილი მკაფიო რიცხვებითა და უცნაური წარწერით: "IN GOD WE TRUST".[3]

გიორგი მარგველაშვილი

[1] ერზაც – გერმანული სიტყვიდან: Ersatz – აქ: შემცვლელი, სანაცვლო, სუროგატი (ზმნიდან: ersetzen: შენელება, ჩანაცვლება).

[2] "სწრაფი კვება" (ინგ.)

[3] "ჩვენ გვჯერა ღმერთის" (ინგ.)



# კულტურა,
# ხალხი,
# ბედისწერა

ბოროტების ტოტალურმა ორგანიზებამ ბოლშევიზმისა და ფაშიზმის სისტემებად განსაზღვრა XX საუკუნის არსებითი ნიშნები და ბედისწერა. ძალმომრეობის არნახულმა მასშტაბებმა, მილიონობით ადამიანთა განადგურებამ უბიძგა მოაზროვნე გონებებს კრიტიკულად გადაეხედათ და გაეანალიზებინათ ის გზა, რაც ევროპულმა კულტურამ, აზროვნებამ და რელიგიამ გამოიარა. თომას მანი იძლევა ამ პრობლემის, კერძოდ, გერმანიის ტრაგედიის სულიერ მიზეზთა ყველაზე ღრმა და თანმიმდევრულ ანალიზს. („კულტურა და სოციალიზმი", „ხელოვნება და საზოგადოება", „გერმანია და გერმანელები" და სხვ.). მისი აზრით, ამ ტრაგედიაში მთავარი როლი შეასრულა სულიერი ელიტის, კულტურის მატარებელი საზოგადოების ქედმაღლობამ და სნობიზმმა, – საზოგადოებისა, რომელმაც თავისი ღირსებისათვის „შეუფერებლად" ჩათვალა პოლიტიკაში „გარევა" და, ნაცვლად იმისა, რომ ჰუმანიზმის, კულტურის ტოტალობის შემადგენელ ნაწილად ექცია პოლიტიკა, გარიყა იგი კულტურის სფეროდან და დამნაშავეთა ხელებს მიანება, რითაც გამანადგურებელ ანტიადამიანურ, ანტისულიერ, ანტიკულტურულ ტოტალობად აქცია.



კულტურისა და პოლიტიკის ურთიერთმიმართება დღემდე დილემად რჩება და სულ უფრო გადაუდებელი ხდება მათი არსის ხელახლა განსაზღვრა-დაზუსტება. და როგორც ჩვენთან და ჩვენს ირგვლივ ვხედავთ, არც ქსენოფობია გამქრალა და არც ადამიანურ აგრესიას დაუკარგავს სურვილი: კვლავ იქცეს ძალადობის ტოტალურ სისტემად.

მთარგმნელი

თომას მანი

## კულტურა და პოლიტიკა

დემოკრატიის ჩემეული, პიროვნული აღიარება გამომდინარეობს შეხედულებიდან, რომელიც მე მოსაპოვებელი მქონდა და რომელიც ჩემი გერმანულ-სულიერი წარმომავლობისა და აღზრდისათვის თავდაპირველად უცხო იყო: ეს არის შეხედულება, რომლის თანახმადაც პოლიტიკური და სოციალური სფეროები ადამიანური სფეროს შემადგენელი ნაწილებია; რომ ისინი ჰუმანური პრობლემის ტოტალობას განეკუთვნებიან; რომ ისინი სულმა უნდა ჩართოს ამ ტოტალობაში და რომ ეს ტოტალობა საშიშ, კულტურისათვის საზიანო ხარვეზს შეიცავს, როდესაც მას პოლიტიკური, სოციალური ელემენტი აკლია.

შეიძლება უცნაურადაც ჟღერს, რომ მე დემოკრატიას უბრალოდ ვაიგივებ პოლიტიკასთან, როცა მას განვსაზღვრავ როგორც სულიერის პოლიტიკურ მხარეს, როგორც სულის მზადყოფნას პოლიტიკისათვის. მაგრამ მე ეს ჯერ კიდევ ოცი წლის წინ გავაკეთე, ერთ სამძიმო და ვრცელ წიგნში სახელწოდებით "აპოლიტიკური კაცის დაკვირვებანი", სადაც ამ განსაზღვრებას საბრძოლო-ნეგატიური ნიშანი მივანიჭე და იმას, რასაც მე "დემოკრატიას" ვუწოდებდი, კერძოდ, სულის პოლიტიზაციას, – მთელი ძალით აღვუდექი წინ კულტურისა და თვით თავისუფლების სახელით. რადგან, ჩემი აზროვნების წყობის შესაბამისად, თავისუფლებაში ზნეობრივ თავისუფლებას ვგულისხმობდი, რომლის მიმართებაზე მოქალაქეობრივი თავისუფლებისადმი ცოტა რამ ვიცოდი და ცოტა რამ მინდოდა მცოდნოდა. ომის წლებში დაწერილი ეს წიგნი იყო ვნებიანი სამუშაო, მიზნად ჩემივე თავის გამოკვლევასა და ჩემი საფუძვლების რევიზიას რომ ისახავდა, რევიზიას ჩემი ერთიანი ტრადიციისა, რომელიც წარმოადგენდა პოლიტიკისადმი მტრულად განწყობილი გერმანულ-ბიურგერული სულიერების, კულტურის ცნების ტრადიციას. ამ ცნების ჩამოყალიბებაში გაერთიანდა მუსიკა, მეტაფიზი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კა, ფსიქოლოგია, პესიმისტური ეთიკა, ინდივიდუალისტური აღზრდის იდეალიზმი. მაგრამ ეს ცნება გამორიცხავდა პოლიტიკურ ელემენტს როგორც ნაკლებად მნიშვნელოვანს.

თვითგამოკვლევა კი, თუკი ის საკმაოდ საფუძვლიანად ხორციელდება, უმეტესად, უკვე პირველი ნაბიჯია ხოლმე გარდაქმნისაკენ. და მე დავადგინე, რომ ის, ვინც თავის თავს აცნობიერებს, არასოდეს რჩება მთლიანად იგივე, რაც იყო. ეს წიგნი, გამომდინარე თავისი სწრაფვიდან – ყველა საგანზე ერთბაშად ელაპარაკა, თავისთავად კრიზისის ნაყოფი გახლდათ, გახლდათ პროდუქტი სიღრმიდან ამოზვირთებული, გარეგანი მოვლენებით გამოწვეული ვითარებისა. ჰუმანობის პრობლემა იდგა მის მთლიანობაში და თან ისეთი მომთხოვნელობით სულიერი სინდისის წინაშე, როგორც არასდროს, და იდგა აღიარება იმისა, რომ შეუძლებელია სულისა და პოლიტიკის წმინდად გამიჯვნა ერთმანეთისაგან; რომ ეს იყო გერმანული ბიურგერობის შეცდომა: – რწმენა, თითქოს შეიძლება იყო აპოლიტიკური კულტურ-ადამიანი; რომ კულტურას უმძიმესი საფრთხე ემუქრება, თუკი მას აკლია პოლიტიკური ინსტიქტი და ნება. მოკლედ, – დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი აღსარება ეხლებოდა ენის წვერს და, აპოლიტიკური ტრადიციის მიერ დახვედრებული ყველა დაბრკოლების მიუხედავად, სურდა გამოთქმულიყო, და მადლობას ვწირავ ჩემს კეთილ გენიას, რომ სათქმელი უკან არ ჩავიბრუნე, რადგან სად ვიქნებოდი მე დღეს, რომელ მხარეს აღმოვჩნდებოდი, ჩემი კონსერვატიზმი გერმანულობაში რომ გაჩევებულიყო, გერმანულობაში, რომელიც მთელმა მისმა სულიერობამ და მისმა მუსიკამ ვერ დაიცვა ძალმომრეობის უმდაბლესი განდიდებისა და იმ ბარბაროსობაში შთავარდნისაგან, დასავლეთის ზნეობრიობის საფუძველ-საძირკველს აღმოფხვრით რომ დაემუქრა!

თუ რა ძლიერაა დაკავშირებული ისტორიის ბედუკუღმართობა და მისი გზა ნაციონალ-სოციალიზმის კულტურ-კატასტროფისაკენ ბიურგერული სულის აპოლიტიკურობასთან გერმანიაში, – იმასთან, რომ ეს სული თავისი ანტიდემოკრატიულობის შესაბამისად სპირიტუალურისა და "განათლების" სიმაღლიდან მედიდურად გადმოჰყურებდა პოლიტიკურ-სოციალურ სფეროს, – ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, როდესაც ამას წინათ განვაახლე შინაგანი ურთიერთობა დიდ გერმანელ მოაზროვნესთან და პირველი რანგის მწერალთან – არტურ შოპენჰაუერთან, რომელმაც ჩემს ახალგაზრდობაზე ძლევამოსილი გავლენა იქონია.

ეს სრულიად განსაკუთრებული გონება, ნიცშეს წინამორბედი და მასწავლებელი ანტი-ინტელექტუალიზმში, რევოლუციური რეაქციონერი, რომელმაც გონება მისი ტახტიდან ჩამოაგდო და ის "ნების", ბნელი ინსტინქტის ქმნილებად და მომსახურე ხელსაწყოდ აქცია, – უმძაფრესი მოწინააღმდეგე გახლდათ ჰეგელისა და უდიდეს ფილისტერობად აცხადებდა პოლიტიკის მისეულ აპოთეოზს, მის მოძღვრებას სკის შესახებ, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო ყველა სწრაფვის მწვერვალს წარმოადგენს. თავის მხრივ იგი მსჯელობდა სახელმწიფოზე როგორც აუცილებელ ბოროტებაზე და თავის უკრიტიკო და ქედმაღლურ ჩაურევლობას აღუთქვამდა იმათ, რომელთაც აკისრიათ უმადური ამოცანა: მართონ ადამიანები, – ფრიად ძნელი რამ სამართავი მოდგმა; დაიცვან მათ შორის კანონი, წესრიგი და სიმშვიდე, და დაიცვან ის ადამიანები, რომელნიც რაღაც საკუთრებას ფლობენ, უთვალავი იმ ურიცხვ უქონელთაგან, რომელთაც სხვა არა გააჩნიათ რა ფიზიკური ძალ-ღონის გარდა. და ცხადია, ვიცნობთ იმ დოქტრინის ანტიადამიანურ საშინელებებს, რომლის მიხედვითაც ადამიანის დანიშნულება – სახელმწიფოში ჩაკარგვაა, და კარგად გვესმის სახელმწიფოს გააბსოლუტების წინააღმდეგ მიმართული ყოველი შეგონების აზრი, რადგან ეს გააბსოლუტებაა სწორედ, შოპენჰაუერის სიტყვებით რომ ვთქვათ, "ჩვენი დედამიწაზე ყოფნის უმაღლეს მიზანს რომ გვიჩქმალავს". მაგრამ განა ფილისტერობავე არ ჰკვებავს, ოღონდ სხვა მხრიდან, სახელმწიფოს იმ გაგებასაც, რომლის მიხედვითაც

იგი საკუთრების დამცველი დაწესებულებაა, ისევე როგორც იგი ჰკვებავს სახელმწიფოს ჰეგელისეულ გაღმერთებას? და განა ფილოსოფოს-წვრილკაპიტალისტის მიერ ნათქვამი უარი ყოველგვარ ჩარევაზე პოლიტიკურ სფეროში, განა სულის მიერ ყოველგვარ პოლიტიკურ ვნებათა უარყოფა – ადამიანურად მართალი და ცხოვრებისათვის ხარგო რამაა? შოპენჰაუერის საყვარელი ანდაზა იყო საყოველთაოდ ცნობილი: "ყოველ ცისმარე მადლობას ვწირავ უფალს, რომ არ მჭირდება რომის საღმრთო იმპერიისთვის ზრუნვა", – ანდაზა, რომელიც, რაკი იგი სახელმწიფოსაც მიესადაგება, – ნამდვილი ფილისტერობა, სილაჩრე და დეზერტირობაა და არის დევიზი, რომელიც, სრულიად აუხსნელია, როგორ შეიძლებოდა შოპენჰაუერისებრ სულიერ მებრძოლს თავისად ექცია.

სულის ეს უარი სწორედაც რომ შეცდომაა და თავის მოტყუება; ამით პოლიტიკას ვერ გაექცევი, ამით მხოლოდ არასწორ მხარეს ამოჰყოფ თავს – და თანაც მხურვალედ. აპოლიტიკა ეს უბრალოდ იგივეა, რაც ანტიდემოკრატია, და თუ ეს რას ნიშნავს და რა თვითმკვლელლურად უპირისპირდება ამით სული ყოველგვარ სულიერს – უაღრესად მკვეთრად მჟღავნდება ხოლმე ზოგ მძაფრ სიტუაციაში. შოპენჰაუერის საქციელი 1848 წელს პირქუში ლაზღანდარობითა და ტრაგიკომიკურობით იყო აღბეჭდილი. ოდნავადაც არ იხრებოდა მისი გული იმათკენ, რომელნიც საკმაოდ დიდი მეოცნებენი იყვნენ და გერმანული საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის იმ მიმართულების მიცემას იმედოვნებდნენ, მთელი ევროპის ისტორია ჩვენი დღეების ჩათვლით უფრო ბედნიერი რომ უნდა გაეხადა. და ეს ხომ წესით ყოველი სულიერი ადამიანის ინტერესებში უნდა იყოს! – დემოკრატიულ მიმართულებაზეა ლაპარაკი. შოპენჰაუერი ხალხს სხვა არაფერს არქმევდა, თუ არა "სუვერენულ არამზადას", და ოფიცერს, რომელიც მისი სახლის წინ ბარიკადებზე ასულ კაცებს ზვერავდა, დემონსტრატიულად მიაწოდა თავისი საოპერო ჭოგრიტი, რათა მას ზუსტად ესროლინებინა ჯარისკაცებისათვის. ეს არის პოლიტიკაზე ამაღლება? ეს უბრალოდ რეაქციული ვნებაა, რომლის სულიერი საფუძვლებიც ჩვენთვის გარკვეულია. მეტისმეტად შორს წაგვიყვანდა იმაზე კამათი, თუ შოპენჰაუერის ანტირევოლუციონიზმი ლოგიკურ-აზრობრივად რამდენადაა ფესვგადგმული მის მსოფლხატში. ის ამას განწყობილებისდა მიხედვით აკეთებდა. მაგრამ ეს მისი ძირეული შეგნებაა, მის ეთიკურ პესიმიზმს რომ განეკუთვნება – "ჯვრის, სიკვდილისა და აკლდამის" იმ განწყობილებას, რომელიც რიტორიკის ფსიქოლოგიური აუცილებლობით მტრულ მიმართებაშია თავისუფლების პათოსთან და კაცობრიობის კულტთან. ამ მოაზროვნეს პოლიტიკურად ანტი-რევოლუციურად ხდის ცხოვრების მიმართ მისი კრიტიკული შავნაღვლიანობა, ტანჯვის განდიდება, მისი სიძულვილი პროგრესის დემაგოგიური მოძღვრების "უზნეო ოპტიმიზმისადმი". – და ასე, ეს ყველაფერი ყველაფერში იყო ჰაერი მის ირგვლივ, რაღაც ეგზემპლარულად; იყო ჰაერი მეტისმეტად ძვირფასი, მშობლიური გერმანული სულიერი ბიურგერობისათვის, რომელიც სწორედაც რომ გერმანულია, რადგან სულიერია და რადგან მისი შინაგანობა, მისი კონსერვატული რადიკალიზმი, მისი აბსოლუტური სიუცხოვე ყოველგვარი დემოკრატიული პრაგმატიზმის მიმართ, მისი "წმინდა გენიალობა", მისი საბედისწერო უმწიფარობა, მისი ღრმა აპოლიტიკურობა – სპეციფიურად გერმანული შესაძლებლობა, კანონზომიერება და საფრთხეა.

გერმანული კულტურის ცნების უნებისყოფობამ, მისმა ნაკლულოვანმა დემოკრატიულობამ საშინლად იძია შური: გერმანული სული სახელმწიფო ტოტალობის მსხვერპლად აქცია, ტოტალობისა, რომელმაც იგი ისევე განძარცვა ზნეობრივი თავისუფლებისაგან, როგორც მოქალაქეობრივისაგან; თუკი დემოკრატია იმას ნიშნავს, რომ ვაღიაროთ პოლიტიკურისა და სოციალურის მიკუთვნებულობა ჰუმანური ტოტალობისადმი და დავიცვათ ზნეობრივი თავისუფლება, როდესაც მოქალაქეობრივს ვიცავთ, – მაშინ მისი საწინააღმდეგო რამ ის გახლავთ, რადაც დიალექ-

ტიკურად გადაიქცევა სულის ანტიდემოკრატიული ქედმაღლობა; კერძოდ, ეს არის ის თეორია და ერთიანად ანტიადამიანური პრაქტიკა, რომელიც ადამიანური სფეროს ერთ შემადგენელ ნაწილს, სახელდობრ, პოლიტიკას, თავად აქცევს ტოტალობად და რომელსაც სხვა არაფერი გაეგება სახელმწიფოსა და ძალაუფლების გარდა; იგი ამ უკანასკნელთ მსხვერპლად სწირავს ადამიანსა და ყველაფერ ადამიანურს და ასამარებს ყველანაირ თავისუფლებას. ამ პროცესს უმოწყალო და ტრაგიკული თანმიმდევრულობა ახასიათებს. სულის პოლიტიკურმა ვაკუუმმა გერმანიაში, კულტურ-მოქალაქის ამპარტავნულმა პოზიციამ დემოკრატიისადმი, მის მიერ თავისუფლების დაუფასებლობამ, რაშიც იგი ვერაფერს ხედავდა დასავლური რიტორიკის ერთი ფრაზის გარდა, – გადააქცია ეს მოქალაქე სახელმწიფოსა და ძალაუფლების მონად, ტოტალური პოლიტიკის ცარიელ ფუნქციად და იმგვარ დამცირებაში შთააგდო, რომ კაცს კითხვა ებადება: როგორღა შესძლებს იგი მხოფლიო სულის წინაშე ხელახლა თვალის ახელას?

თუკი დავუშვებთ, რომ კულტურის ადამიანი ამ თავზარდამცემ გამოცდილებას საერთოდ ცოცხალი დააღწევს თავს; თუკი დავუშვებთ, რომ გერმანულ სულს (გოეთეს თუ დავუჯერებთ – "საიდან მოვიდოდა უმშვენიერესი ეს განათლება, ბიურგერისაგან რომ არ მოსულიყო?") სხვაგვარად მართლაც ვერ წარმოვიდგენთ თუ არა როგორც ბიურგერულს; თუკი დავუშვებთ, რომ ის გაუძლებს იმ ტოტალურ ულირსობას, რასაც ნაციონალ-სოციალიზმს ვეძახით, – მაშინ შეიძლებოდა იმედი გვქონოდა: მისი სიბრმავის ეს უკიდურესი შედეგი მკაცრი, მაგრამ ჭკუისსასწავლი და განმკურნებელი სკოლა გახდება ჰუმანურობისათვის. მე ხშირად მითქვამს: ვიდრე გერმანიაში უკეთესობისაკენ წავა საქმე, ჯერ იქითკენ უნდა წავიდეს, რომ გერმანელებს სიტყვა "თავისუფლების" ხსენებაზე ცრემლები წასკდეთ. ისინი, როგორც ჩანს, არც ისე შორს არიან აქედან. გესტაპოს სახელმწიფოს ექვსწლიანი რეჟიმის შემდეგ გერმანელმა მოქალაქემ ეტყობა დაიწყო იმის გაგება, რასაც, მიუხედავად ყველაფრისა, მაინც ნიშნავს თავისუფლება, უფლება, ადამიანური ღირსება და სინდისის ხელშეუხებლობა; გაგება იმისა, რომ ეს ყველაფერი გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე ზედაპირული რევოლუციონიზმის ჰუმანიტარული ფრაზები. მაგრამ ზოგი საგანი უფრო ადვილად იკარგება, ვიდრე ხელახლა მოიპოვება, და ისმის იქვნეული კითხვა, რომელზედაც პასუხის გაცემა იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენ ხანს გასტანს დღევანდელი კატასტროფა, როგორი იქნება მისი ბუნება – დარჩება იგი რაღაც ინტერვალად თუ მთელ ეპოქად გადაიქცევა. ჯერჯერობით კი ბედისწერა თავისი გზით მიექანება და გერმანული სულის დაცემის პარადოქსი, სულისა, პოლიტიკისაგან თავისუფალი რომ სურდა ყოფილიყო, პოლიტიკის ტერორქვეშ აღმოცენებულ შემზარავ ფენომენში გვირგვინდება. ის – ანტირევოლუციონერი, რომელმაც რევოლუციები მხოლოდ სულსა და რელიგიაში იცოდა, პოლიტიკაში კი სძულდა და აბუჩად იგდებდა; დაიწნეხა სანკიულოტურ[1] მატარებლად ისეთი უსაშველო რევოლუციისა, როგორიც კი ოდესმე უნახავს კაცობრიობას, – რევოლუციისა, რომელსაც ძნელად თუ ვინმე მოისურვებს უწოდოს სულიერი, ადამიანური, რადგანაც იგი ყოველივე იმის წინააღმდეგაა მიმართული, რასაც ჩვენ, დასავლეთის ისტორიის მიერ აღზრდილნი, – სულსა და ადამიანურობას ვუწოდებდით. ის გახდა მატარებელი ყოველგვარ ზნეობრივ საფუძველთა წამშლელი გამანადგურებელი რევოლუციისა, შიშველი პოლიტიკური ძალაუფლების იდეას რომ ემსახურება.

თვით იმათთვისაც კი, ვინც გერმანიაში თუ მის საზღვრებს გარეთ ფიქრობდა, რომ უფლება ჰქონდა "ნაციონალ-სოციალიზმი" რაღაც წესრიგის, თუნდაც მხოლოდ კაპიტალისტური ეკონომიკური წესრიგის დამცველ ბასტიონად მიეჩნია, თანდათან ნათელი გახდა: ეს რევოლუცია, თავისთავს გერმანულს რომ უწოდებს, არავითარ სულიერ-მორალურ, ადამიანურ მოვალეობასა და საზღვრებს არ

სცნობს ძალაუფლებისა და დამონების შემლილი, მიშველი ნების გარდა. ნათელი გახდა, რომ ყოველგვარი "იდეა", "მსოფლმხედველობა", დოქტრინა, რწმენა ამ რევოლუციას მხოლოდ და მხოლოდ კულისად, საბაბად, მოტყუების საშუალებად ემსახურება ყველანაირი ზნეობრივი შინაარსისაგან დაცლილი ძალაუფლების მისაღწევად. და კიდევ უფრო მეტი რამ დაიღუპება ამ "რევოლუციაში", თუ დასავლეთის თვითშეგრძნება კვლავ გააგრძელებს მის წინაშე უკანდახევას. სასაცილოა ფიქრი, თითქოს კაპიტალისტურ ეკონომიკურ წესრიგს შეეძლოს ამ რევოლუციის შეკავება, – რევოლუციისა, რომელიც სრულყოფილი ცინიზმით ამჟღავნებს მზადყოფნას აიტაცოს ნებისმიერი ლოზუნგი ძალაუფლების მოპოვება-გავრცელების მისაღწევად, პირველ რიგში კი, როგორც დღეს ამაზე უკვე მრავალი რამ მიგვანიშნებს, – იმის ასატაცებლადაა მზად, რისგან დაცვასაც პირდებოდა მთელ ბურჟუაზიულ მსოფლიოს: ბოლშევიკური ლოზუნგის.

ევროპული, დიახ, მსოფლიო ბურჟუაზია ამ ერთიანად "ცრურწმენებისაგან თავისუფალი", სულიერის თვალსაზრისით – ულირსი და ტაქტიკური თვალსაზრისით – ოპორტუნისტული მოძრაობის ანკესზე წამოეგო. აქამდა, იგი ბოლშევიზმის საფრთხისაგან დაგვიცავსო, ეს ბურჟუაზია ჯერაც ისევ ამ ანკესზე ფართხალებს, და ეს იმ დროს, როდესაც შეცდომის გაცნობიერება პრაქტიკულად, ალბათ, დაგვიანებულიცაა. უპატიებელი შეცდომაა, რადგან არცერთ ელემენტარულად ჯანმრთელ ინსტინქტს არ უნდა გამოპარვოდა, რომ არარასკენ მიმართული ეს მოძრაობა, რომელიც ყველანაირად შენიღბული გამოვიდა არენაზე, – პრიმიტიული გულითადობიდან დაწყებული, წვრილბიურგერობის კულტურულ-კონსერვატული ნიღბით დამთავრებული – სწორედ ის არის, რასაც ბურჟუაზიულ ფანტაზიას ბოლშევიზმის მითიური სახელი უფრიალებს თვალწინ; ყველაფერი, რაც კი მან შეიძლება ამ აპოკალიფსური სახელის გაგონებაზე წარმოიდგინოს: ძალადობა, ანარქია, სისხლი, ცეცხლი და ბნელი ფენების ბატონობა, რწმენის დევნა, ბინძური საშინელებანი, ყველა ცნების გაუკუღმართება, სამართლისა და გონების ჩაწიხვლა, ურცხვი, სასაცილოდ ინფერნალური დამახინჯება ჭეშმარიტებისა, წაქეზება უმდაბლესთა, განხეთქილების შეტანა, გარყვნა, სახელმწიფო წესრიგის წაშლა – ყოველივე ეს გატანილი და გავრცობილი ქვეყნებზე და ზღვებზე. და აი, მსოფლიოს ბოლო კუნჭულიც ინაღმება ფულით, ქრთამით, გამაბრუებელი ყოყლოჩინობით, გაუთავებელი აგიტაციით, იქამდე, ვიდრე ყველგან შეწყდება წინააღმდეგობა, წესრიგი საბოლოოდ დაემხობა და დედამიწა თავისუფლების ერთხახროვან სასაფლაოდ გადაიქცევა, რომლის თავზედაც ჩლუნგი მონობის დროშა იფრიალებს – ნაციონალ-სოციალიზმი! აი, სწორედ იგია ეს ბოლშევიზმი! და თუ ოცდაათწლიან ომზე უფრო ბარბაროსული და გამანადგურებელი ომები აბობოქრდებიან ევროპის თავზე, ატომურ ძალას შეიძენენ და საუკუნეებით უკან გასტყორცნიან ევროპას, – ამის ჩამდენი მხოლოდ ის იქნება: კაცობრიობის მტერი.

კაცობრიობის მტერი. ასე მოვედით აქამდე – პოლიტიკის, როგორც ასეთის, აბუჩად აგდებით, გერმანული სულის კულტურული ამპარტავნობით ნაკვები ანტი-დემოკრატიზმით, – რომ ეს საზარი და საგინებელი სიტყვა, სიტყვა წყევლისა და შეჩვენებისა ამ სულის შემადგენელ ნაწილად იქცა. იგი ამას სიზმარში ნახვას უკრძალავდა საკუთარ თავს, და ახლა ჰგონია, რომ ესიზმრება, როდესაც ეს სიზმარი უკვე აცხადდა. და მაინც, ეს სინამდვილეა. იმან, რომ გერმანულმა სულმა დააყოვნა პოლიტიკის ცნობა ჰუმანური ამოცანის საგნად, – განაპირობა პოლიტიკური საშინელებები, დამმონებელი ხელისუფლება, ტოტალური სახელმწიფო. მისი ესთეტიზებული კულტურ-ბიურგერობის ნაყოფი არის აზრთა წყობის, მიზნისა და საშუალების ისეთი ბარბაროსულობა, როგორიც მსოფლიოს არასდროს უნახავს. თავის მედიდურობა-გაბღენძილობას ყოველგვარი გამანთავისუფლებელი რევოლუციის მიმართ უნდა უმადლოდეს გერმანული სული, რომ იგი თავად იქცა

ხელსაწყოდ ამოკის სირბილისებრი დამხობისა, დასავლური აღზრდისა და ზნეობრიობის საფუძველთა შემარყეველი, ტოტალური რევოლუციისა, რომელთან შედარებითაც სრულიად ფერმკრთალდებიან თვით ჰუნთა ოდინდელი ლაშქრობანი.

გერმანული სული ანტი-დემოკრატიულად იქცეოდა, რადგან მან არ იცოდა, რომ დემოკრატია ამ მორალურ საფუძველ-საყრდენთა იდენტურია; რომ ის სხვა არაფერია თუ არა პოლიტიკური გამოხატულება დასავლეთის ქრისტიანობისა; და თავად პოლიტიკაც სხვა არაფერია თუ არა სულის მორალურობა, ურომლისოდაც ყოველ პოლიტიკას წახდენა უწერია. ეტყობა, როდესაც ხალხთა გარეგან ცხოვრებაში ცივილიზაციის უკუქცევის ეპოქა დგება, შეთანხმებისთვის აუცილებელ ღირსებათა გაქრობის, უკანონობის გაბატონების, ერთგულებისა და რწმენის დაცემის ეპოქა, მაშინ სული მორალურ ხანაში შეაბიჯებს. ეს არის უბრალოების შეძენის, სიკეთისა და ბოროტების არაქედმაღლური გარჩევის ხანა. ეს ბარბაროსობისაგან სულის თვითგანწმენდისა და თვითგაქაბუკების საკუთარი წესია. დიახ, ჩვენ ისევ ვიცით, რა არის სიკეთე და ბოროტება. ბოროტება შიშვლად და ბანალურად გამოგვეცხადა და ამით თვალი აგვიხილა სიკეთის ღირსებასა და სადა სილამაზეზე. და ჩვენ გაბედულნი გავხდით და მის აღიარებას არ ვთვლით ჩვენი დახვეწილობის შელახვად. ჩვენ ისევ ვბედავთ წარმოვთქვათ ისეთი სიტყვები, როგორიცაა: თავისუფლება, ჭეშმარიტება და სამართალი. მეტისმეტმა სიმდაბლემ და დაცემამ გაგვათავისუფლა სკეპტიკური გაუბედაობისაგანამ სიტყვების წინაშე. ამ ცნებებს წინ აღვუმართავთ კაცობრიობის მტერს, ისევე როგორც ოდესღაც მავანი ბერი აღუმართავდა წინ ჯვარცმას ვნებისა და ზიანის მომტან სატანას. და ყველა განსაცდელს, რასაც ჟამი გვარგუნებს, გადასწონის სულის ნორჩი ბედნიერება, გამოწვეული საკუთარი თავის კვლავ აღმოჩენით მისთვის განკუთვნილ როლში: დავითის როლში, გოლიათს რომ შერკინებია; წმინდა გიორგის როლში, სიცრუისა და ძალადობის ურჩხულს რომ ებრძვის.

გერმანულიდან თარგმნა
ნაირა გელაშვილმა

**(Thomas Mann, Gesammelte Werke, 1956, Berlin)**

[1] "Sans culot" (ფრანგ.) – უშარვლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურამ ლებანიძე

# რა შეუძლია კულტურას?

კაცობრიობის სულიერ ცხოვრებაში, მის თვითშემეცნებაში XX საუკუნის დასასრული აღინიშნა ახალი ეტაპის დადგომით: აზრმა ადამიანურობის კრიზისის შესახებ, ანთროპოლოგიურმა კრიზისმა, ადგილი დაუთმო აზრს ა ნ თ რ ო პ ო ლ ო გ ი უ რ ი  კ ა ტ ა ს ტ რ ო ფ ი ს შესახებ. ტერმინ "კრიზისის" მნიშვნელობა საკმაოდ ტევადი და დრამატული ჩანდა იმისათვის, რომ თავის თავში მოეცვა "თანამედროვეობის კულტურული თვითშეგნება..., სახელდობრ კი თვითშეგნება ეპოქისა, რომელიც აღბეჭდილია "სიკვდილების", "მზის ჩასვლების", "ბინდის" და "დასასრულების" რეგისტრაციით (რ. გალცევა). კიდევ მეტიც, სულ ცოტა ხნის წინ ამ ტერმინის აზრობრივი პოტენცია შესაძლოა არც კი მოგვჩვენებოდა ბოლომდე ამოწურულად: "ფილოსოფიაში მუდმივი მოქალაქეობის უფლებას – წერდა ა. იაკიმოვიჩი 1991 წელს – ათასწლეულის ბოლოს იძენს ანთროპოლოგიური კრიზისის პრობლემა. დასავლური საზოგადოების – მოხმარების, ინფორმაციისა და მოცლილობის საზოგადოების შესწავლამ გვიჩვენა, რომ ადამიანის ხარისხი ამ საზოგადოებაში კი არ მაღლდება, არამედ დაბლდება. დაუღალავი მშრომელი და დამოუკიდებელი ინდივიდი ტოვებს საზოგადოებრივ სარბიელს და იმარჯვებს ერთგანზომილებიანი ადამიანი და კონფორმისტი" (ა. იაკიმოვიჩი).

გამოთქმა "ანთროპოლოგიური კრიზისი" სწორედ ეპოქის კრიზისული თვითშეგნების განზოგადების ცდას წარმოადგენს: "რადგან სამყაროში ხდება ადამიანის კრიზისი – არა მხოლოდ კრიზისი ადამიანში, არამედ თვით ადამიანის კრიზისი, ადამიანის შემდგომი არსებობა პრობლემატური ხდება"(ნ. ბერდიაევი).

მაგრამ ანთროპოლოგიური კატასტროფის კონცეფცია, რომელიც მ. მამარდაშვილს ეკუთვნის, არა მარტო აღრმავებს (ან ამწვავებს) ეპოქის კრიზისულ თვითშეგნებას, არამედ რადიკალურად გარდაქმნის მას: თუ კრიზისის – რაოდენ მნიშვნელოვანიც არ უნდა იყოს იგი – დაძლევა არსებითად შესაძლებელია, კატასტროფა უკვე დასასრულია. თუ კრიზისის კონცეფცია ვარაუდობს, "რომ ადამიანის შემდგომი არსებობა პრობლემატური ხდება," (ბერდიაევი), მაშინ კატასტროფა შეიძლება ნიშნავდეს (მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს სიტყვა მთელი შესაძლო სერიოზულობითაა წარმოთქმული) მხოლოდ ერთს: ადამიანი აღარ არსებობს (ან წყვეტს არსებობას). ამიტომ ნებისმიერი მცდელობა, ნაჩვენები იქნას ადამიანის გადარჩენის გზა, შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ შემდეგიდილემის სახით: ეს მცდელობა ან საბედისწეროდაა განწირული დასამარცხებლად, ან უნდა ნიშნავდეს სრულ განახლებას და ეს განახლება ერთნაირად უნდა შეეხოს როგორც ადამიანის წვდომის არსს, ასევე ამ წვდომის გზებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამგვარი ცდა უნდა მოწმობდეს იმას, რომ იბადება ახალი მსოფლმხედველობითი პარადიგმა – იმ პარადოქსული შინაარსით სავსე პარადიგმა, რომლის თანახმადაც თვით კატასტროფა გაგებული უნდა იქნას როგორც მოვლენა, რომელიც სიღრმისეულად და სიმბოლურად მოგვიანებით გადარჩენის შესაძლებლობაზე მიგვანიშნებს. მაგრამ განა შესაძლებელია კატასტროფის ასეთი წვდომა ამგვარი აზროვნების ფარგლებში, რომლის თვალსაზრისითაც პიროვნება (და ე.ი. საბოლოო ჯამში – ადამიანი) – არის "ბუნების დიდი ნააზრევი" (მ. მამარდაშვილი), და არა "შემოქმედის ხატი" (ნ. ბერდიაევი)? ასეთია კითხვა, რომელიც ერთნაირად ეხება როგორც თანამედროვე ანთროპოლოგიის საფუძვლებს, ასევე მასთან სიღრმისეულად დაკავშირებულ კულტუროლოგიას.

მ. მამარდაშვილისთვის ანთროპოლოგიური კატასტროფა  ეს ის თემაა, რომელიც უკავშირდება "თანამედროვე სიტუაციის შეგ-

რძნებას", და "არის ის, რაც თვით ადამიანს ემართება" – მოვლენა, რომელსაც იგი "შიშის ზარისა და ცნობისმოყვარე გაოცების შერეული გრძნობით" ადევნებს თვალს (მ. მამარდაშვილი). "ცივილიზაცია – ამბობს იგი – მეტად ნაზი ყვავილი, ფაქიზი ნაგებობაა და სრულიად აშკარაა, რომ XX საუკუნეში ამ ყვავილს, ამ ნაგებობას, რომელსაც ყველგან გაუჩნდა ბზარები, დაღუპვა ემუქრება. ცივილიზაციის საფუძვლების რღვევა კი რაღაცას მართებს ადამიანურ ელემენტსაც, სიცოცხლის ადამიანურ მატერიას და გამოიხატება ანთროპოლოგიურ კატასტროფაში, რომელიც, შესაძლებელია, ნებისმიერი სხვა შესაძლო გლობალური კატასტროფების პროტოტიპს წარმოადგენს. ის შეიძლება მოხდეს და ნაწილობრივ უკვე ხდება იმ კანონთა დარღვევის მიზეზით, რომელთა მიხედვითაცაა აწყობილი ადამიანის ცნობიერება და მასთან დაკავშირებული, ცივილიზაციად წოდებული "მინაშენი" (იქვე). დაკვირვების საგნად იქცევიან "ზომბი" – სიტუაციები, სავსებით ადამიანური სიტუაციების მსგავსნი; მაგრამ სინამდვილეში ადამიანური არსის მიღმამყოფნი, რომლებიც ახდენენ იმის იმიტაციას, რაც ფაქტიურად მკვდარია (ზომბი – გაცოცხლებული მიცვალებული, მოჩვენება, მაქცია). ამ სიტუაციათა პროდუქტი, განსხვავებით Homo sapiens-ისაგან ანუ ბოროტისა და კეთილის მცოდნისაგან არის "ადამიანი უცნაური", "ადამიანი წარმოუდგენელი"(მ. მამარდაშვილი).

არსებითად, სწორედ ამ "წარმოუდგენელ ადამიანს" ესადაგება პოსტმოდერნისტული ადამიანის სახე, ანუ სახე XX საუკუნის დასასრულის ადამიანისა, რომელსაც გვიხატავს ა. იაკიმოვიჩი: "აქამდე – ამბობს იგი – ადამიანი ორიენტაციას ახდენდა რეალობაში (ბუნებრივ; ისტორიულსა და სოციალურში) და მასში თავის მდგომარეობას განსაზღვრავდა იმის ხარჯზე, რომ ერთმანეთს უპირისპირებდა საპირისპიროდ მიჩნეულ ცნებებს (სხვაგვარად რომ ვთქვათ, შეეძლო ეარსება როგორც Homo sapiens-ს იმ მნიშვნელობით, რომელსაც ამ ტერმინს მ. მამარდაშვილი ანიჭებს. – გ.ლ.), პირველყოფილი მითის სტადიიდან ფილოსოფიური სტრუქტურალიზმის სტადიამდე ადამიანისთვის ამოსავალი იყო ის, რომ ერთმანეთს უპირისპირებდა ისეთ სუბსტანციებს, როგორიცაა ცა და დედამიწა, მამაკაცი და ქალი, სიცოცხლე და სიკვდილი, სიკეთე და ბოროტება, ჭეშმარიტება და სიცრუე, რეალური და არარეალური, აზრი და უაზრობა. მეტისმეტად ძნელია ისეთი ცნობიერების ჰიპოთეტური წარმოდგენაც კი, რომელშიც ეს დაპირისპირებულობანი ბათილი იქნებოდა. შეიძლება კი ეს ცნობიერება ადამიანურ და მიწიერ ცნობიერებად ჩაითვალოს? მიუხედავად ამისა, XX საუკუნის დასასრულს – იმ ეპოქაში, რომელშიც ყველაზე წარმოუდგენელი ამბები რეალობად იქცნენ, – ფილოსოფიური აზრი იწყებს ისეთი პარადოქსული სიტუაციის სერიოზულ განხილვას, როდესაც ცნობიერებაში ირღვევა და ქრება სიმბოლურ შეპირისპირებათა სისტემა, როდესაც ძალა ეკარგება ოპოზიციის თვით პრინციპს და გამორიცხული მ ე ს ა მ ი ს კანონს. და ეს არა უბრალოდ გონების თამაშია, არამედ მწვავედ აქტუალური ცხოვრებისეული პრობლემა" (ა. იაკიმოვიჩი). მაგრამ სწორედ მ. მამარდაშვილი აღმოჩნდა ის პირველი ფილოსოფოსი, რომელიც მიხვდა (და რომელმაც ფაქტობრივად თქვა), რომ "ზომბი-სიტუაცია" ვერ თავსდება ანალიზური აზრისათვის უკვე ბანალურად ქცეული კრიზისის ცნების ყველა ჩვენგანისათვის ჩვეულ ჩარჩოებში. არა სევდისმომგვრელი და შეშფოთების მომტანი "ანთროპოლოგიური კრიზისი", არამედ უკვე თავზარდამცემი ანთროპოლოგიური კატასტროფა გვევლინება იმ სიღრმისეულ და ყოვლისმომცველ მოვლენად XX საუკუნის (და ათასწლეულის) დასასრულისა, რომელიც წარმოგვიდგენს თანამედროვეობის ჭეშმარიტ სახეს.

ყურადღება გავამახვილოთ სამ მომენტზე, რომლებიც, ჩვენის აზრით, ხაზს უსვამენ მ. მამარდაშვილისეულ "ანთროპოლოგიური კატასტროფის" მსოფლმხედველობრივ მნიშვნელობას.

საპირისპიროდ თავისი საკუთარი ტენდენ-

ციისა სიღრმისეულად დაუკავშიროს ცნობიერების პრობლემა ცივილიზაციის პრობლემას, იგი ამბობს, რომ "სწორედ ცივილიზაციის ნგრევით რაღაცა ემართება ადამიანურ ელემენტსაც და ეს გამოიხატება ანთროპოლოგიურ კატასტროფაში". მ. მამარდაშვილი ხაზს უსვამს Homo sapiens-ის ცნობიერებაში კეთილისა და ბოროტის განსხვავების უნარს, რითიც ანთროპოლოგიურ კატასტროფას არა სოციალურ, არამედ პირველ რიგში და არსებითად ეთიკურ მნიშვნელობას ანიჭებს (შევუდაროთ ამ თვალსაზრისით ადამიანური ცნობიერების მამარდაშვილისეული ხედვა ამავე ცნობიერების ა. იაკიმოვიჩისეულ გაგებას, სადაც კეთილისა და ბოროტის განსხვავება არანაირად არ გამოიყოფა და ფაქტიურად იძირება "სიმბოლურ შეპირისპირებათა" გრძელ ნუსხაში). სწორედ ამით ხდება ადამიანის ცნობიერებისათვის ეთიკის ფუძემდებლური სუვერენული მნიშვნელობის აღიარება, რადგან, როგორც ნ. ბერდიაევი ამბობს, "თავის სიღრმეში ზნეობრივი არ არის დამოკიდებული სოციალურზე" (მაგრამ ცივილიზაცია ხომ უდავოდ სოციალური მოვლენაა – გ.ლ.). წმინდა ზნეობრივი ფენომენი არაა დამოკიდებული საზოგადოებაზე ან დამოკიდებულია იმდენად, რამდენადაც თავად საზოგადოება გვევლინება ზნეობრივ ფენომენად. ზნეობრივი ცხოვრება სულიერ სამყაროშია ჩანერგილი და საზოგადოების ცხოვრებაში მისი მხოლოდ პროეცირება ხდება, ეთიკურიდან უნდა იქნას გაგებული საზოგადოებრივი და არა საზოგადოებრივიდან ეთიკური" (6,35). აქედან გამომდინარე, ანთროპოლოგიური კატასტროფა სინამდვილეში სულიერ სამყაროში ხდება – იგი მხოლოდ პროეცირდება სოციალურ სამყაროში, ცივილიზაციის სამყაროში (და არ არის ამ სამყაროს მიერ წარმოშობილი).

ეფუძნება რა "ზომბი-სიტუაციის" ცნებას, ანთროპოლოგიური კატასტროფის კონცეფცია ბუნებრივად მოიცავს იმ კრიზისულ მოვლენათა სხვა ცნებების მნიშვნელობას, რომლებიც თანამედროვე ადამიანის ცნობიერებისთვისაა დამახასიათებელი – ისეთების, როგორიცაა "საზრისის დაკარგვის შეგრძნება", "ეგზისტენციალური ვაკუუმი" (ვ.ფრანკლი) და "ნეკროფილობა".

"ნეკროფილი" – ბიოფილის ანტიპოდია. იგი დაუოკებლად ელტვის ყოველივეს, რაც არ იზრდება, არ იცვლება, ყოველივე მექანიკურს... მას აქვს ყველა სასიცოცხლო პროცესების, გრძნობების, ზრახვების გასაგნების, ნივთებად გადაქცევის სურვილი"(პ. გურევიჩი).

ანთროპოლოგიური კატასტროფის ცნებისათვის (თუ იდეისათვის?) დამახასიათებელი აზრობრივი სისრულე შესაძლებლობას გვაძლევს მოვახდინოთ კონცენტრაცია არა მხოლოდ თანამედროვე ეპოქის არსზე, არამედ (სწორედ ამ კონცენტრირებულობის წყალობით) დიდ დროშიც გავიჭრათ და შევიცნოთ ეს არსი დიდი გამოცდილების საფუძველზე (გავიხსენოთ ამ ცნებათა მ. ბახტინისეული გაგება: "მცირე დრო – თანამედროვეობა, უახლოესი წარსული, განჭვრეტილი (სასურველი) მომავალი და დიდი დრო – უსასრულო და დაუმთავრებელი დიალოგი, რომელშიც არც ერთი საზრისი არ კვდება" (მ. ბახტინი). "დიდი გამოცდილება დაინტერესებულია დიდ ეპოქათა მონაცვლეობაში (დიდ ქმნადობაში), მარადიულობის უძრაობაში, მცირე გამოცდილებას კი აინტერესებს ცვლილებები ეპოქის ფარგლებში ("მცირე ქმნადობა... მცირე გამოცდილება განზრახ დავიწყებასა და განზრახ დაუსრულებლობაზეა დამყარებული" (მ. ბახტინი). ყურადღებით დავაკვირდეთ ანთროპოლოგიური კატასტროფის აზრობრივ სტრუქტურას, რათა შევძლოთ, თანამედროვეობაზე კონცენტრირებულობისა და დიდ დროში გაჭრის იგივეობის მტკიცება: ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი სიტყვა "კატასტროფის" უკიდურესად უარყოფით ("თავზარდამცემ") მნიშვნელობაზე მოცემულ კონტექსტში. მნიშვნელობის არანაკლები უკიდურესობით ხასიათდება კატასტროფის განმსაზღვრელი სიტყვა – "ანთროპოლოგიური": იგი მიმართებაშია ადამიანური სინამდვილის არა რომელიმე ასპექტთან, არამედ მთლიანად ამ სინამდვილესთან (შევადაროთ ეს ყოვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლისმომცველი მნიშვნელობა ისეთ გამოთქმათა ფრაგმენტულ მნიშვნელობას, როგორიცაა "მორალური კრიზისი", "ესთეტიკური კრიზისი" და ა. შ.). აქედან გამომდინარე, უნდა ვიფიქროთ, რომ ანთროპოლოგიური კატასტროფა მოიცავს მთელ ადამიანურ სინამდვილეს და ნიშნავს ამ სინამდვილის ნგრევას.

ცხადია, რომ ამ გზამ "კრიზისთა" მთელ რიგზე გაიარა, მაგრამ საიდან იწყება იგი და რაშია მისი სათავე? აი, ის კითხვა, რომელსაც გვერდს ვერ ავუვლით, თუ გავაფართოვებთ იმ "ცნობისმოყვარე გაოცების" მნიშვნელობას, რომლითაც თვით მ. მამარდაშვილი უდგებოდა მის მიერვე აღწერილ ფენომენს. მაგრამ ანთროპოლოგიური კატასტროფის აზრობრივ სტრუქტურაში – მის გენეტიკურ სიღრმეში – სახეზეა მესამე მომენტი – კეთილისა და ბოროტის განუსხვავებლობა, რომელიც ეთიკისაკენ მიგვმართავს, მაგრამ ჩვენ უკვე ვიცით, რომ "ეთიკა არ არის დამოკიდებული საზოგადოებაზე": "ადამიანს ძალუძს შეფასება, შეუძლია ჭეშმარიტების, სიკეთის, მშვენიერების ხედვა, მხოლოდ როგორც იმ არსებას, რომელიც ბუნებრივ-ისტორიული და სულიერი ცხოვრების ნაკადზე მაღლა დგას" (ნ. ბერდიაევი). მაგრამ ცხოვრების ნაკადზე ამაღლება ნიშნავს ეზიარო მარადიულობას, ხოლო აქედან გამომდინარეობს ის, რომ ობიექტურად (ე.ი. კონცეფციის ავტორის სუბიექტური განზრახვისაგან დამოუკიდებლად), ანთროპოლოგიური კატასტროფის ცნება მიგვმართავს მარადიულობისაკენ (და, შესაძლოა, პირველ რიგში, სწორედ მარადიულობისაკენ), მიგვითითებს რა იმაზე, რომ მას შემდეგ რაც მარადიულობის სახე ადამიანის თვალში გაბუნდოვანდება და აიმღვრევა (სწორედ ამ ამღვრევას შეესატყვისება ანთროპოლოგიური კრიზისის ცნება), - დგება მისი სრული გაუჩინარების, ე.ი. კატასტროფის მომენტი. აქედან გამომდინარე, დიდი დრო – ეს არის მსოფლმხედველობითი მოძრაობა, რომლის საწყის ეტაპსაც ადამიანის ცნობიერებაში წარმოადგენს მარადიულობის სახის არეკლვის სიკაშკაშე და სისრულე, ხოლო ბოლო ეტაპს – საფეხური, როდესაც ქრება ამ არეკლვის უკანასკნელი კვალი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პირველი ეტაპი – ეს ადამიანის ყოფის ის პოლუსია, როდესაც ცნობიერება იქმნება ზეცნობიერით ანუ ადამიანის "დგომით" წმინდა საიდუმლოს წინაშე. სწორედ ამ წინდგომაზე ამბობს ი. ილინი: "უპირველესი, რაც სჭირდება ყოველ ადამიანს, რომელსაც კულტურის შექმნა სურს, ეს არის თავისი წინდგომის, მოწოდებულობისა და პასუხისმგებლობის გრძნობა" (ი. ილინი). ისეთ ადამიანზე ლაპარაკისას, რომელთა ყოფასაც ასეთი ცნობიერება მართავს, ი. ილინი შემდგომ ამბობს: "წინდგომისა და მოწოდებულობის გრძნობა ერთბაშად ამშვიდებს და აშფოთებს კიდევაც მათ: ამშვიდებს, რადგან ანიჭებს მათ "ზეხილულობის", შემოქმედებითი საფუძვლის, ცხოვრების საზრისისა და საკუთარი ღირსების შეგრძნებას (სრულიად საპირისპიროს იმისას, რასაც ანთროპოლოგიური კატასტროფა ეწოდება – გ.ლ.). აშფოთებს, რადგან აღვიძებს მათში სულიერი ამოცანის, უმაღლესი პასუხისმგებლობისა და საკუთარი არასრულყოფილების გრძნობას" (ი. ილინი). და ერთგვარი დასკვნის სახით: "ჩვენ, თანამედროვე ეპოქის ადამიანებს არც უფლება გვაქვს და არც უნდა გავბედოთ, რომ ილუზიებს ავყვეთ: კრიზისი, რომელსაც ჩვენ განვიცდით (და მითუმეტეს კატასტროფა, რომელსაც ჩვენ განვიცდით – გ. ლ.), არ არის მხოლოდ პოლიტიკური ან სამეურნეო კრიზისი, მისი არსი სულიერი ბუნებისაა, მისი ფესვები ჩვენი ყოფის სიღრმეშია; ის გვისვამს უკანასკნელ კითხვებს და წმინდა სფეროში მიგვიძღვის წინ" (ი. ილინი) ე. ი. სწორედ წმინდა სფეროში, რომელსაც ეთიკის მარადიულობა ქმნის, და არა ცივილიზაციის სფეროში, როგორც შეიძლება მოეჩვენოს სეკულარიზებულ, საკრალურობას განდგომილ აზროვნებას. ხსენებული მოძრაობის ბოლო ეტაპი კი – ადამიანის არსებობის (თუ უკვე არარსებობის?) ის პოლუსია, როდესაც ცნობიერება უკვე არანაირად კი არ იქმნება ზეცნობიერების მიერ (რადგან ზეცნობიერება საერთოდ ქრება!), არამედ ხდება ქვეცნობიერების მიერ მისი შთანთქმა და დამონება.

ამ თვალსაზრისით სიმპტომატურია ვ. ფრანკლის სიტყვები: "როგორც ცნობილია, არსებობს ეგრეთწოდებული – რომელიც ასე უწოდებს თავის თავს – "სიღრმისეული ფსიქოლოგია". მაშინ სადღა არის "მწვერვალისეული ფსიქოლოგია", რომელიც მხედველობის არეში აზრისაკენ (მნიშვნელობისაკენ) სწრაფვას მოაქცევს?" (ვ. ფრანკლი). მაგრამ როგორ შეიძლება არსებობდეს "მწვერვალისეული ფსიქოლოგია", ე.ი. ზეცნობიერების ფსიქოლოგია, მოზეიმე კატასტროფის პირობებში "მწვერვალისეული" მსოფლმხედველობის არარსებობის დროს? ამ თვალსაზრისით შევადაროთ ორი ეპოქა – შუა საუკუნეები და ახალი დრო: შუა საუკუნეებში "გამოცხადება მიუჩენს ადამიანს ადგილს, სადაც მას შეუძლია მყარად დგომა, საიდანაც შეუძლია გადმოხედვა ისე, რომ ამაღლდეს თავისი უშუალო ყოფის დონეზე" (რ.გვარდინი). ახალ დროში კი (და სწორედ ამით აღინიშნება მისი დადგომა) "ადამიანი კარგავს ობიექტურ საყრდენ წერტილს, რომელიც მას ჰქონდა წინა სამყაროში და ჩნდება მიტოვებულობის გრძნობა, მუქარისაც კი... ადამიანი იძენს სამოძრაო სივრცეს, მაგრამ სამაგიეროდ უსახლკარო ხდება" (რ. გვარდინი). დაახლოებით ასევე ესმის აღორძინება – ე.ი. ახალი დროის დასაწყისი – პ. ფლორენსკის: "აღორძინების მსოფლშეგრძნება – ამბობს იგი – ადამიანს ონტოლოგიურ სიცარიელეში ათავსებს" (პ. ფლორენსკი). "მიტოვებულობის გრძნობა", "უსახლკარობა", "ონტოლოგიური სიცარიელე" – ეს იმის აღმნიშვნელი სინონიმებია, რასაც საბოლოო ჯამში მივყავართ ანთროპოლოგიურ კატასტროფამდე: ეს ზრის დაკარგვა მარადიულობისა, რომლის საზრისობრივი სიღრმე აძლევს ადამიანს უნარს განასხვავოს "სიმბოლური დაპირისპირებულობანი" და, უპირველეს ყოვლისა – უნარს, განასხვავოს სიკეთე და ბოროტება. ამიტომ პ. ფლორენსკის შეუძლია თქვას: "სწორედ ამის გამო აღორძინების მსოფლშეგრძნებამ პასიურობაზე გაწირა იგი (ადამიანი – გ.ლ.) – ამ პასიურობაში ირღვევა და ცამტვერდება სამყაროს ხატი ისევე, როგორც თვით ადამიანი... შეცდომა იქნებოდა, მთელის ასეთი რღვევა მხოლოდ თეორიულ საფრთხედ ჩაგვეთვალა... საფრთხე, რომელიც ოდესღაც განუსაზღვრელად შორს გვეჩვენებოდა, უკვე მჭიდროდ მოუახლოვდა კულტურას".

ყოველივე ზემოთქმული არ წარმოადგენს სტატიის სათაურში დასმული კითხვისათვის ("რა შეუძლია კულტურას?") თავის არიდებას. პირიქით, ეს არის მცდელობა ამ კითხვისათვის მთელი იმ სერიოზულობის მინიჭებისა, რომელსაც გვკარნახობს XX საუკუნის დასასრულის სიტუაცია – "შიშის ზარის მომგვრელი" ანთროპოლოგიური კატასტროფის სიტუაცია, რა შეუძლია კულტურას დღეს, როდესაც ადამიანსაც და სამყაროსაც შემოადგა ეს კატასტროფა – ყველა სხვა კატასტროფათა პროტოტიპი? შეუძლია მას გახდეს – შესაძლოა პარადოქსულად – მხსნელი განახლებისაკენ მიმავალი გზა? თავის დროზე ა. ბელიმ თქვა: "კულტურის საბოლოო მიზანია ადამიანის ხელახლა შექმნა" (ა. ბელი). მაგრამ კულტურის მიზნის ამგვარი გაგება გამოხატავს არა მხოლოდ მისი ყოვლისშემძლეობის რწმენას, არამედ რაღაც უფრო პრინციპულსა და თავისი ისტორიული მნიშვნელობით ყოვლისმომცველს – რწმენას იმისა, რომ ადამიანურ სამყაროში შეიძლება არსებობდეს ძალა, რომელსაც ღვთის რწმენისა და ღვთაებრივი გამოცხადების გარეშე შესწევს უნარი ხელახლა შექმნას კაცობრიობა. ასეთი რწმენა, საბოლოო ჯამში, სხვა არაფერია, თუ არა ახალი დროისათვის ტიპური კერპთაყვანისმცემლობა. "ადამიანი ისეა მოწყობილი, რომ სიცოცხლე შეუძლია ან ღვთის რწმენით, ან იდეალებისა და კერპების რწმენით... ღვთის რწმენისაგან მოწყვეტისას იგი ეძლევა იდოლატრიას" (ე.ი. კერპთაყვანისმცემლობას – გ.ლ.) (რ. გვარდინი). რა არის XX საუკუნის ცხოვრება (და მთელი ახალი დროისაც, რომლის საწყისიც "ონტოლოგიურ სიცარიელეშია"), თუ არა იმ კერპების მონაცვლეობის განუწყვეტელი პროცესი, რომელთაც თაყვანს სცემს ადამიანი. ადამიანი, რომელიც ამ გულმხურვალე თაყვანისცემას ისეთი გულმოდგინებით ეძლე-

ვა, რომ ცდილობს არ შეამჩნიოს და არ გააცნობიეროს "უსახლკარობასა" და "მიტოვებულობაში" დასადგურებული თავისი სულიერი უნიადაგობა. და რას წარმოადგენს ანთროპოლოგიური კატასტროფა თავის არსობრივ-შემაჯამებელი აზრით, თუ არა ცნობიერების ახალ თვისებრიობას, რომელიც აუცილებლად დადგება კერპთაყვანისმცემლობის სტიქიაში ხანგრძლივი ყოფნის შემდეგ?

და თუმცა კერპი მრავალი იყო, XX საუკუნის დასასრულისათვის მათგან განსაკუთრებით სამი აღინიშნება: გონების კერპი; "რამეთუ ადამიანის აზროვნებისადმი განუსაზღვრელი რწმენა კერპთაყვანისმცემლობის ერთერთი ფორმაა" (ი. შრეიდერი); იდეის კერპი ("უტოპია – ეს იდეის თაყვანისცემაა... იდეის თაყვანისმცემელთა შორის ადამიანი და ბუნება მხოლოდ იქცევიან საშუალებად, რომელთაც ამ იდეის ქურუმები განაგებენ... იდეის თაყვანისცემა – ეს არის იდეის გადაქცევა კერპად, რომლის ქურუმებმა ყველაზე უკეთ უწყიან, თუ როგორ უნდა მისი თაყვანისცემა და მსახურება"; ტექნიკის კერპი ("თანამედროვე ადამიანი ოპტიმისტია და რწმენითაა სავსე, მას ჰყავს კერპი, რომელსაც მსხვერპლად ეწირება ყოველივე... თანამედროვე ადამიანს სწამს ტექნიკის ძლევამოსილება" (ნ. ბერდიაევი). მაგრამ XX საუკუნის დასასრული – ეს უკვე სამი დასახელებული კერპისათვის შარავანდის მოცილების მომენტია, "უტოპიურ ენერგიათა ამოწურულობის" მომენტი, "სუვერენული გონების დისკრედიტირებულობისა" (ა. იაკიმოვიჩი), იმისი რწმენის მომენტი, რომ "ტექნოგენური ცივილიზაციის ნაცვლად ... მოდის ახალი ცივილიზაცია, რომელსაც შეიძლება ანთროპოგენური ეწოდოს" (გ. დილიგენსკი). მაგრამ ნიშნავს კი ხსენებულ კერპთა შარავანდშემოცლილობა სხვა კერპთა გამოჩენის პრინციპულ შეუძლებლობას? ხომ არ იმალება ამ თვალსაზრისით რაიმე ახლის შესაძლებლობა ანთროპოლოგიური კატასტროფის მოვლენაში – ანუ კერპთაყვანისმცემლობის ახალი "შემაჯამებელი" ეტაპის დადგომის შესაძლებლობა? და ხომ არ იქცევა კულტურის თაყვანისმცემლობა სწორედ ამ ახალ ეტაპად? რასაკვირველია, კულტურა წინადაც ფიგურირებდა XX საუკუნისათვის დამახასიათებელ კერპთა შორის,(ს. ფრანკი), მაგრამ სხვა კერპთა გვერდით და მათთან ერთად, თუმცა ხომ არ მივყავართ კერპთა შარავანდის მოცილების სიტუაციას იქამდე, რომ თავად კერპთაყვანისმცემლობა, როგორც ფენომენი, მხოლოდ და მხოლოდ კულტურის თაყვანისმცემლობაში პოულობს თავშესაფარს? ასეთ შემთხვევაში პირველი (მაგრამ არა ერთადერთი, როგორც ქვემოთ ვნახავთ) და გარდუვალი პასუხი კითხვაზე "რა შეუძლია კულტურას?" შემდეგი იქნება: კულტურა შეიძლება გახდეს კერპთაყვანისმცემლობის უკანასკნელი (ახალი დროის ფარგლებში) თავშესაფარი, XX საუკუნის უკანასკნელი კერპი, რომელიც, შესაძლოა, თავის თავში მოიკრებს ადამიანის მიერ ჯერ დაუხარჯავ კერპთაყვანისმცემლური ენერგიის მთელ დარჩენილ ნაწილს.

სეკულარიზებულ აზროვნებაში, სადაც არ არის არც მარადიულობის წინაშე "დგომა" და არც მისი მოპოვების მცდელობა, პიროვნება გაგებულია, როგორც "ბუნების დიდი ნააზრევი", რომელიც, საწყისიერად, ეთიკური ზეცნობიერების ფუძემდებლური როლის გარეშე ხორციელდება კულტურაში. "მისი (პიროვნების – გ.ლ.) გამოვლენათა თვითგანწყობა – ამბობს მ. მამარდაშვილი – არ არის დამოკიდებული ყოვლისმცოდნეობასა და რაიმე მაღალ ორიენტირებაზე. საქმე სწორედ ესაა – როგორ განვსაზღვროთ კულტურა, რომელიც განისაზღვრება როგორც "ადამიანის უნარი და ძალისხმევა "იყოს", გამუდმებით და უწყვეტლივ ფლობდეს ცოცხალ განსხვავებებს" (მ. მამარდაშვილი). მაგრამ ასეთ შემთხვევაში კულტურა წარხოცავს ეთიკას (იმას, რაც ზემოთ გაგებული იყო როგორც წინდგომის, მოწოდებულობისა და პასუხიმგებლობის ერთიანობა) და სწორედ "პიროვნული კულტურისაგან უნდა ველოდოთ "ზომბი-სიტუაციების" (კატასტროფის) მიმართ წინააღმდეგობას, ე.ი. სახეზეა "შეუძლებლის შესაძლებლობის" მოლოდინი". "შესაძლოა, გაგება იწყება იმ მომენტიდან, როცა იწყება

"შეუძლებლის ერთგვარი შესაძლებლობის" ნათელი გაცნობიერება ანუ აცნობიერებ "იმას, რაც ჯერ არს," ადამიანისათვის "შესაფერისს" და სწორედ ამ შესაძლებლობის შეუძლებლობას! საიდანაც შენ მოგეთხოვება შეუძლებლის გამბედაობა"(მ. მამარდაშვილი).

სწორედ როგორც ამ ამოცანის, ანუ შეუძლებლის გამბედაობის ქონის ამოცანის გაგრძელებად და შეჯამებად გაგებულია ის, რაც მ. მამარდაშვილის აზრით უნდა დაუპირისპირდეს ანთროპოლოგიურ კატასტროფას: – "ჩვენს წინაშე ფაქტიურად დგას ისტორიული შემოქმედების ამოცანა, ჩვენ ჯერ უნდა გადავაქციოთ ჩვენი უპასუხისმგებლო სამყარო პასუხისმგებლობის სამყაროდ, ანუ სამყაროდ, სადაც შეიძლება დავასახელოთ სიკეთე და ბოროტება და რომელშიც აზრი ექნებოდა ცნებებს "სასჯელი" და "მონანიება", "ცოდვა" და "ღირსება", რომელშიც ეს ცნებები იარსებებენ... უნდა შევქმნათ სიტუაცია, რომელშიც შესაძლებელი იქნებოდა ყოველივე ამის განსხვავება, აღწერა და განსაზღვრა" (მ. მამარდაშვილი). მაგრამ როგორ მოვიპოვოთ ის, "რაც ჯერ არს" და როგორ ავაგოთ "პასუხისმგებლობის სამყარო" "უმაღლესი ორიენტირების" გარეშე, ე.ი. "უსახლკარობის, მიტოვებულობისა და ონტოლოგიური სიცარიელის" სიტუაციაში? სწორედ ამ სიცარიელის პირობებში, როგორც პლანეტარული მნიშვნელობის მქონე სიტუაციაში, კულტურას უხდება თავის თავზე აიღოს მისთვის იმთავითვე დაუძლეველი ამოცანის, ანუ კაცობრიობის "ხელახლა შექმნის" ამოცანის შესრულება. ასე იქცევა კულტუროლოგია კერპთაქმნის კიდევ ერთ ეტაპად.

კულტურას, მაშასადამე, შეუძლია გახდეს (და, როგორც ჩანს, ხდება) თანამედროვეობის ერთ ერთი კერპი, მაგრამ კულტურის იდეა შეიცავს კიდევ ერთ პერსპექტივას – შესაძლებლობას, დავინახოთ კულტურაში გზა (სწორედ გზა და არა რაიმე თავისთავად ღირებული განძი) რეალური და არა უტოპიური ისტორიული შემოქმედებისაკენ – იმ შემოქმედებისაკენ, რომელიც ერთდროულად განხორციელდება როგორც საუკუნის დასასრულს, ასევე დიდ დროშიც, როგორც ადამიანის სამყაროში, ასევე მარადიულობის წინაშე. ასეთი შემოქმედების მიზანი და შედეგი, უპირველესად ყოვლისა, იქნება ადამიანისათვის ონტოლოგიური (ყოფიერებითი) სისავსის აღდგენა; მარადიულობის, ზეცნობიერების და კეთილისა და ბოროტის განსხვავების დაბრუნება... მაგრამ კულტურის მნიშვნელობისა და დანიშნულების ასეთი გაგება (კულტურის, როგორც გზისა, მითითებული მნიშვნელობით) – არის არა მოცემულობა, არამედ ამოცანა და ის შეიძლება იყოს მხოლოდ იმ კულტუროლოგიური არჩევის გაკეთების შედეგი, რომლის არსიც ჩანერგილია უფრო მაღალი მსოფლმხედველობითი დონის არჩევანში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჩვენს წინაშეა ამოცანა, ვუპასუხოთ სამ ურთიერთდაკავშირებულ კითხვას და ყოველ მათგანზე პასუხი ვარაუდობს მსოფლმხედველობითი ხასიათის არჩევანს: როგორ გავიგოთ თანამედროვეობა? როგორ გავიგოთ ისტორიული შემოქმედება? როგორ გავიგოთ კულტურა (მისი აზრი, დანიშნულება და შესაძლებლობები)?

ანთროპოლოგიური კატასტროფის კონცეფცია აღწერს თანამედროვეობის ცენტრალურ მოვლენას. შეიძლება ისიც კი ითქვას, რომ იგი წარმოადგენს XX საუკუნისა და ათასწლეულის დასასრულის ფუნდამენტურ ფენომენოლოგიას. მაგრამ აღწერა ჯერ არ ნიშნავს წვდომას, რადგანაც წვდომა შესაძლებელია მხოლოდ დროის სრული სისავსის მეშვეობით და, უპირველესად ყოვლისა, მომავლის, როგორც აწმყოს შესაძლო საზრისის მეშვეობით. მაგრამ ანთროპოლოგიური კატასტროფის საზრისობრივ სტრუქტურაში არ არის (და არც შეიძლება იყოს) მომავალი. როგორც უკვე დავინახეთ, დიდი დრო ამ სტრუქტურაში მოცემულია ფრაგმენტულად, მხოლოდ როგორც წარსული: სიტყვა "კატასტროფის" ზღვრული აზრი, რომელზედაც ზემოთ იყო ლაპარაკი, შესაძლებელი და ნამდვილია იმდენად, რამდენადაც მომავლის ნგრევასა და განადგურებას ნიშნავს (და ამით

ნიშნავს დიდი დროის, როგორც ისტორიული მთლიანობის, ნგრევასა და განადგურებას). მაგრამ არის კი შესაძლებელი პარადოქსი – ანთროპოლოგიური კატასტროფის აზრობრივ სტრუქტურაში მომავლის გაუქმების პარადოქსი – რაც სწორედ "შეუძლებლის შესაძლებლობის" აღნიშვნა იქნებოდა, თუ მ. მამარდაშვილის სიტყვებით ვისარგებლებთ? "შემოქმედება ადამიანში ხომ ღვთის ხატის ნიშანთაგანია"... ხოლო "ღვთის ხატი შეუძლებელია წაიშალოს"... (ს. ბულგაკოვი). მაგრამ ამის თქმა ნიშნავს, ფუნდამენტურ წინააღმდეგობაში აღმოჩნდე ანთროპოლოგიური კატასტროფის კონცეფციის ავტორთან, რომლისთვისაც პიროვნება (ადამიანი) – ღვთის ხატი კი არ არის, არამედ "ბუნების ნააზრევია". და ეს არჩევანის გაკეთებასაც ნიშნავს – არჩევანისა ისტორიოლოგიასა და ისტორიოსოფიას შორის: თუ ისტორიოლოგია დიდი დროის დინებაში ადგენს კანონზომიერებებს, ისტორიოსოფია ამ დინებასა და ამ კანონზომიერებებში ხედავს ღვთიური გამოცხადების მონაწილეობას. თანამედროვე ისტორიოსოფია გვაძლევს თანამედროვეობის ორ განსხვავებულ, თუმცა ურთიერთდაკავშირებულ განმარტებას მომავლის საშუალებით, რომელიც მის წიაღში მწიფდება და მისი საშუალებით იქმნება. პირველი თვალსაზრისის თანახმად თანამედროვეობა არის "რაღაც ახლის დადგომა, სრულიად ახლისა, რაც უკვე იყო ძველი"(პ. ფლორენსკი). შევადაროთ პ. ფლორენსკის ეს სიტყვები იმას, რასაც ამბობს ა. ბელი: "ჩვენ ნამდვილად შევიგრძნობთ რაღაც ახალს, მაგრამ შევიგრძნობთ მას ძველში" (ა. ბელი). ეს "ძველი" ა. ფლორენსკის ესმის როგორც შუა საუკუნეები, აქედან გამომდინარე, მომავალი, რომელიც აწმყოში მწიფდება – ეს ერთგვარად "ახალი შუა საუკუნეებია" (ნ. ბერდიაევი): "ცხოვრების მომავლისეულ გაგებას რომ ჩავწვდეთ, უნდა მივმართოთ მის ფესვებს, შუასაუკუნეებისეულ ცხოვრების აღწერას" (პ.ფლორენსკი). მაგრამ თანამედროვეობის ასეთ განმარტებაში უგულვებელყოფილია მისი ერთ-ერთი ძირითადი ნიშანი – "კულტურათა პლანეტარული ურთიერთქმედება" (ი. შრეიდერი) და მისი მნიშვნელობა მომავლის გაგებისათვის. ლაპარაკია, პირველ ყოვლისა, "კულტურათა ... დიალოგურ შეხვედრაზე", როდესაც ისინი არ შეირწყმებიან და არ აღირევიან, თითოეული ინარჩუნებს თავის ერთიანობასა და ღია მთლიანობას, მაგრამ ისინი ურთიერთს ამდიდრებენ" (მ. ბახტინი). თანამედროვეობის სწორედ ამ თვისებას აძლევს ღრმა ისტორიოსოფიურ განმარტებას მ. ბუბერი, როდესაც ამბობს: "თვით სიტუაცია შეიცვალა სამყაროში..., უფრო ზუსტად, შეიცვალა დამოკიდებულება ღმერთსა და ადამიანს შორის". და ამ ცვლილების არსი ვერ იქნება გაგებული, თუკი ჩვენ ვიფიქრებთ მხოლოდ უზენაესი ნათელის ჩვენთვის ესოდენ ჩვეულ დაბნელებაზე, გამოცხადების გარეშე დარჩენილი ჩვენი ყოფის ღამეზე. ეს მოლოდინის ღამეა, არა ბუნდოვანი იმედისა, არამედ მოლოდინისა. "ჩვენ ღვთის გამოცხადებას ველით და მხოლოდ ის ადგილი ვიცით, სადაც ეს მოხდება, და ეს ადგილი ერთიანობაა" (გ. პომერანცი). თანამედროვეობის, როგორც "მოლოდინის ღამის" გააზრება, ჩვენის აზრით, საშუალებას იძლევა შესაძლებელი გახდეს ზემოთ ხსენებული პარადოქსი – ვიხილოთ სახე (მართალია ბუნდოვანი, მაგრამ მაინც სახე) მომავლისა ანთროპოლოგიური კატასტროფის სტრუქტურაში, "მარადიული სიმშვიდის იმ საფრთხეში, რომელიც არის "შესაძლებლობა იმ მდგომარეობისა, რომელიც არც კეთილია და არც ბოროტი, არც ყოფნაა და არც არყოფნა" (მ. მამარდაშვილი). რასაკვირველია, მართალია, რომ ღამის სახე აქ უფრო მკაფიოდ გამოსჭვივის, ვიდრე მოლოდინისა, მაგრამ ისიც ხომ მართალია, რომ "ღვთის ხატი ვერ წაიშლება" ადამიანში. ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ ანთროპოლოგიური კატასტროფის მღვრიე სიღრმეში თვლემს მოლოდინის ბუნდოვანი მსგავსება, ამ სიტყვის ბუბერისეული გაგებით?

მაგრამ მოლოდინი უნდა იქცეს ქმნად, – ქმნად სწორედ იმ ერთიანობისა, რომელიც იქნება ღვთის მოსალოდნელი გამოცხადების ადგილი. ამიტომაც ისტორიული შემოქმედება ("პასუხისმგებლობის სამყაროს" აგება) შე-

იძლება გააზრებული იქნას მხოლოდ როგორც პლანეტარული "სობორულობა". გავიხსენოთ, თუ როგორ განსაზღვრავს "სობორულობას" ვიაჩესლავ ივანოვი: "სობორულობა არის ... ისეთი შეერთება, სადაც პიროვნებები, რომლებიც ერთიანდებიან, აღწევენ სრულყოფილ გახსნას და თავისი ერთადერთი, განუმეორებელი და თვითმყოფადი არსის განსაზღვრას... სობორულობა – ამოცანაა და არა მოცემულობა; ის ჯერ არასოდეს განხორციელებულა დედამიწაზე სრულად და მყარად..."(ვიაჩ. ივანოვი). მაშასადამე, სწორედ სობორულობის, როგორც პიროვნებათა და კულტურათა დიალოგური შეხვედრა-გაერთიანების რეალიზაციას შეუძლია იყოს იმის გარანტია, რომ კაცობრიობა მზად იქნება მიიღოს და აღიქვას ღვთის მოსალოდნელი გამოცხადება.

ზემოთ მოხაზულ მსოფლმხედველობით პოზიციას (გაგება ადამიანის, როგორც შემოქმედის, ხატის, "მსგავსებისა", ხოლო თანამედროვეობისა, როგორც ღვთის ახალი გამოცხადების მოლოდინისა) მივყავართ კულტუროლოგიური არჩევანის აუცილებლობასთან და ეს პოზიცია ასაბუთებს კიდეც მას. თანამედროვე აზროვნება სულ უფრო მეტად მიაპყრობს ყურადღებას კულტურას, ისიც კი შეიძლება ითქვას, რომ იგი კულტუროლოგიად გადაიქცევა. როგორც ვ. ბიბლერი ამბობს: "XX საუკუნის ადამიანის აზროვნება შეიძლება გააზრებული იქნას განსაკუთრებული ტიპის ანუ კულტურის ფილოსოფიური ლოგიკის ცნებებით" (ბ. ბიბლერი). მით უფრო აუცილებელია არჩევანი, რომელზედაც ლაპარაკი გვქონდა. ეს არჩევანი გარდუვალად უნდა შეიცავდეს როგორც ნეგატიურ, ისე პოზიტიურ მომენტებს, ე.ი. უნდა წარმოადგენდეს უარყოფათა და მტკიცებათა ორგანულ ერთიანობას. ყოველი ჩვენი მტკიცებათაგანი უნდა ერთგვარად პასუხიც იყოს კითხვაზე: "რა შეუძლია კულტურას?"

კულტურა არ არის ადამიანის "უნარი და ძალისხმევა "იყოს", არ არის "ცოცხალ განსხვავებულობათა ფლობა". ეს უნარი ეფუძნება "წინდგომის", მოწოდებულობისა და პასუხისმგებლობის" ერთიანობას, ე.ი. რწმენისა და სინდისის ერთიანობას. კულტურის მიერ რწმენისა და სინდისის შთანთქმა (ხოლო ეთიკისა – კულტუროლოგიის მიერ) წარმავალი ეპოქის ერთ-ერთი უკანასკნელი ცდაა დაადასტუროს თავისი აშკარა განდგომილობა რწმენისაგან და ფარული, მაგრამ არც თუ ყოველთვის გაცნობიერებული ერთგულება კერპთშემოქმედებისადმი. მაშასადამე, ათასწლეულის დასასრულს (და ეპოქის დასასრულს) კულტურის მხოლოდ იმ კონცეფციას შეუძლია იყოს პერსპექტიული და ნაყოფიერი, რომელიც არა მხოლოდ შეუთავსდება რელიგიურ რწმენას, არამედ რომელიც ამოსავალსაც იღებს მასში. სწორედ ასეთია რუსულ რელიგიურ ფილოსოფიაში განვითარებული კულტურის კონცეფცია. როგორც ნ. ბერდიაევი ამბობს, "კულტურა დაკავშირებულია კულტთან. იგი ვითარდება რელიგიური კულტიდან, იგი კულტის დიფერენციაციის, მისი შინაარსის სხვადასხვა მიმართულებით გაშლის შედეგია. ფილოსოფიური აზრი, მეცნიერული წვდომა, არქიტექტურა, ფერწერა, ქანდაკება, მუსიკა, პოეზია, მორალი – ყველაფერი ეს ორგანული მთლიანობის სახით გაერთიანებულია რელიგიურ კულტში, ჯერ გაუშლელი და არადიფერენცირებული ფორმით" (ნ. ბერდიაევი). იგივეს ამბობს პ. ფლორენსკი: "რწმენა განსაზღვრავს კულტს, ხოლო კულტი – მსოფლმხედველობას, რომლიდანაც შემდგომ ამოდის კულტურა". შეკუმშულად, მაგრამ ტევადადაა გამოხატული იგივე კულტუროლოგიური ქეშმარიტება ს. ბულგაკოვის თეზისში "კულტი არის კულტურის სულიერი ბირთვი".

კულტურისა და კულტის უმჭიდროესი ურთიერთკავშირის ხედვა იმდენად ორგანულია რუსული ფილოსოფიისათვის, რომ შესაძლებელს ხდის შემადგენლობით რთული, მაგრამ ერთი მთლიანი აზრის გამომხატველი "კულტი-კულტურა" ტერმინის არსებობას" (ს. ბულგაკოვი). კულტურის ასეთი გაგება ხედავს და ცნობს მის მაღალ დანიშნულებას, მაგრამ მიუჩენს მას ორგანულ და შესაფერის ადგილს ტრიადის : "ღმერთი – სამ-

ყარო – ადამიანი" ფარგლებში: "კულტურის ამოცანაა – ღმერთადამიანობის საქმე, ანუ სამყაროს გაადამიანება და ადამიანის გაღვთიურება; ამ მნიშვნელობით კულტურის ამოცანა სრულიად უსაზღვროა" (მ. ბახტინი). მაგრამ ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, ისმება კითხვა: რა ემართება კულტურას, როდესაც სუსტდება რწმენა ("ბნელდება უზენაესი ნათელი" და დაისადგურებს "ღამე – გამოცხადების გარეშე დარჩენილი ჩვენი ყოფა") და ინგრევა კულტი? სხვაგვარად რომ ვთქვათ, რა ემართება კულტურას (როგორ არსებობს კულტურა) მთელი ახალი დროის განმავლობაში? პასუხი ერთია: "მთავრდება კულტურა და იწყება ცივილიზაცია" (ნ. ბერდიაევი). კულტურისა და ცივილიზაციის ურთიერთდაპირისპირება – რუსული რელიგიურ-ფილოსოფიური კულტუროლოგიის კიდევ ერთი ნიშანია. ეს დაპირისპირება არ არის "ადამიანის შემოქმედების ორი შესაძლებლობის არევა: ერთის მხრივ, ადამიანი, რომელიც ემორჩილება სამყაროს სტიქიებს, ცხოვრობს ამ სტიქიების ცხოვრებით, მეორეს მხრივ, ადამიანი, რომელიც ებრძვის სტიქიებს და თავის თავში განახორციელებს ღვთის ხატს. ასე ჩნდება ორი გზა ადამიანის შემოქმედებითი უნარის განხორციელებისა: ცივილიზაციის გზა და შემოქმედების (კულტურის) გზა; ცივილიზაცია არის ბუნებრივი ცხოვრების პირობებთან შეგუება, კულტურა – ადამიანის შემოქმედებითი დამოკიდებულება სამყაროსა და საკუთარ თავთან, როდესაც ადამიანი სამყაროში თავის შრომას საკუთარი სულის ბეჭედს ასვამს" (ს. ბულგაკოვი). ჩვენ, რასაკვირველია, არა გვაქვს შესაძლებლობა (თუმცა არსებობს ამის საჭიროება) თვალი გავადევნოთ კულტურისა და ცივილიზაციის ურთიერთმიმართების დინამიკას ახალი დროის ფარგლებში. ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანია შემდეგის აღნიშვნა: ანთროპოლოგიური კატასტროფა, როგორც ათასწლეულის დასრულის მოვლენა, იმაზე მეტყველებს, რომ გაუჩინარებას იწყებს კულტურის წარმომქმნელი სამი სულიერი ფენომენის – რწმენის, კულტისა და (რელიგიური) მსოფლმხედველობის უკანასკნელი კონტურები. ჩვენ უკვე ვიცით ისიც, რომ ანთროპოლოგიური კატასტროფის ეპოქა – არის, აგრეთვე, ღვთის გამოცხადების მოლოდინის ეპოქა, როდესაც აუცილებელია პლანეტარული სობორულობის საწყისებზე განხორციელებული ისტორიული შემოქმედება. ისტორიის ასეთ მომენტში კულტურის აზრი და დანიშნულება მჭიდროდაა გადაჯაჭვული კულტუროლოგიის აზრსა და დანიშნულებასთან, თუ კულტუროლოგიას გავიგებთ, როგორც კულტურის თვითშემეცნებას. დღეს, კატასტროფის მომენტში, შეუძლებელია ფიქრი ისტორიულ შემოქმედებაზე, როგორც წმინდა ადამიანურ ქმედებაზე. ისტორიული შემოქმედება ჭეშმარიტი – რეალური (და არა უტოპიური) მნიშვნელობით ჯერ კიდევ წინაა, უკვე მოახლოებული მომავლის სიღრმეში და ის იქნება (უნდა იყოს) ღმერთ – ადამიანური ქმედების შედეგი, ადამიანის ღმერთთან ახალი შეხვედრის შინაგანი აზრი და შინაარსი, ღმერთის ახალი გამოცხადება (და ღვთიური გამოცხადება), რომელიც ხდება პლანეტარულ-სობორული ერთიანობის წიაღში.

კულტურას (ზღვრული მნიშვნელობით გაგებულს, როგორც კულტუროლოგიას) შეუძლია ჩვენს მიერ ასეთი მომავლის მოლოდინი გადააქციოს მისთვის აქტიურ, კონცენტრირებულ მზადებად, რაც უკვე იმაზე მიგვანიშნებდა, რომ კეთდება პირველი ნაბიჯი ისტორიული შემოქმედების მიმართულებით. კულტურის ფაქტთან ნებისმიერი შეხვედრა შეიძლება ნიშნავდეს (მითუმეტეს, თუ ამ შეხვედრას ახლავს შეცნობის ნათელი, რომელიც არჩევანგაკეთებული კულტუროლოგიიდან მოდის) შეხვედრასაც რწმენასთან, რომელიც მას საფუძველში უდევს და შეხვედრას კულტთან, რომელიც შინაგან ფორმას ანიჭებს მას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, იგი შეიძლება გახდეს ზეცნობიერებისკენ ჩვენი აღმასვლის მომენტი; მომენტი ჩვენი მოძრაობისა "არა არაცნობიერის სიღრმეში (როგორც ამტკიცებს ე.წ. "სიღრმისეული ფსიქოლოგია" – გ. ლ.), არამედ ცნობიერების სიღრმე-სიგანეში" (მ. ბახტინი). ხომ არ ნიშნავს ეს, რომ სწო-

რედ ამით კეთდება ნაბიჯი ეთიკისაკენ, ნაბიჯი, რომელიც თუნდაც ერთი წამით ან შესაძლოა, დიდი ხნით გვაშორებს კატასტროფას? მაგრამ პლანეტარული ერთიანობის ნიშნის ქვეშ კულტურათა შეხვედრა და დიალოგი შეიძლება ნიშნავდეს რაღაც ახალსა და განუზომლად მეტსაც – დიალოგიურ აღმასვლას რწმენისა და კულტის იმ ორერთიანობისაკენ, რომელმაც ეს კულტურები წარმოშვა წარსულის სიღრმეში.

კულტურას შეუძლია გახდეს ერთიანი ღმერთის გამოცხადებების, შეხვედრისა და დიალოგის "ადგილი", რომლებიც აზრობრივად ერთმანეთს არ ემთხვევიან, მაგრამ ერთნაირად აუცილებელნი არიან მომავალი ერთიანობის შექმნისათვის. მაშასადამე, კულტურა შეიძლება გახდეს ზეპიროვნული, სობორულ-პლანეტარული ზეცნობიერებისაკენ აღმასვლის გზა.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. Р. Гальцева – "Западноевропейская культур-философия между мифом и игрой". Вступительная статья к сб. "Самосознание европейской культуры XX века", М. 1991, (8).
2. А. Якимович – "Утраченная Аркадия и разорванный Орфей". "Иностранная литера-тура", N8, 1991, (233; 231-232; 231)
3. Н. Бердяев – "Судьба человека в современном мире". "Новый мир", N1, 1990, (222; 216; 222; 217)
4. М. Мамардашвили – "Осмелиться быть...". "Наше наследие", N3, 1988, (23; 26;26; 27; 26)
5. М. Мамардашвили – "Как я понимаю фило-софию". М., 1992, (107; 111)
6. Н. Бердяев – "О назначении человека". М., 1993, (36)
7. В. Франкл – "Человек в поисках смысла". М., 1990, (31)
8. П. Гуревич – Вступительная статья к книге Э. Фрома "Анатомия человеческой деструктивности". М., 1994, (12)
9. М. Бахтин – "Эстетика словестного творчества". М., 1979, (372;335; 642; 313).
10. М. Бахтин – "Литературно-критические статьи". М., 1986, (519)
11. И. Ильин – "Путь к очевидности". М., 1993, (300; 301; 402)
12. В. Франкл – "Человек в поисках смысла". М., 1990, (27)
13. Р. Гвардини – "Конец нового времени". "Воп-росы философии", N4, 1990, (132; 137; 217)
14. П. Флоренский – "Ближе к жизни мира". "Советская культура", 3 ноября, 1988, (6; 6; 6)
15. А. Белый – "Символизм как миропонимание". М., 1994, (23; 26)
16. Ю. Шрейдер – "Утопия и устроительство". Сб. "Глобальные проблемы и общечеловеческие ценности". М., 1990, (15; 21; 12)
17. Г. Дилигенский – "Конец истории и смена цивилизации?". "Вопросы философии". N3, 1991, (38)
18. С. Франк – "Крушение кумиров". Сочинения. М., 1990, (132-144)
19. С. Булгаков – Сочинения в двух томах, том 2. М., 1993, (638;641; 638)
20. Цитируется по вступительной статье Г. Поме-ранца к книге М. Бубера "Два образа веры". М., 1995, (8)
21. Вяч. Иванов – "Родное и вселенское". М., 1994 (100)
22. В. Библер – "От наукоучения к логике куль-туры". М., 1991, (3)
23. Н. Бердяев – "Смысл истории". М., 1990, (166;167)
24. Цитируется по статье игумена Андроника и П. В. Флоренского – "Павел Александрович Флоренский". "Литературная газета", N48, 1988, (5)

გიორგი მაისურაძე

# "ქართლის დედა" და დედის კომპლექსი

დასაწყისისათვის გავიხსენოთ თბილისში მდგარი ორი ქანდაკება: "ქართლის დედა" (მოქანდაკე ე. ამაშუკელი) და შელიქიშვილის ქუჩაზე მდებარე ქალის ფიგურა (მოქანდაკე გ. ოჩიაური). წინამდებარე ნარკვევი ამ ორ ქანდაკებაზე აგებული ვარიაციაა, და აქ წარმოდგენილ საკითხზე მსჯელობა სწორედ ამ ქანდაკებებზე დაკვირვებითაა პროვოცირებული.

დავიწყოთ "ქართლის დედით", რომელიც უკვე რამდენიმე ათეული წელია თბილისს გადმოჰყურებს და მთელი საქართველოსი თუ არა, მისი დედაქალაქის სიმბოლოდ მაინცაა ქცეული. მასზე, როგორც ხელოვნების ნაწარმოებზე, ლაპარაკი აქ არ გვექნება (თუმცა, უნდა ითქვას, მისი ხელოვნების ნიმუშად წარმოდგენა საკმაოდ ძნელი ამოცანაა, რისთვისაც მე არც ინტელექტი და არც ესთეტიკური მომზადება არ მეყოფა). ჩემთვის იგი საინტერესოა, როგორც ფაქტი, როგორც მრავლისმთქმელი ნიშანი, რომლის გაჩენაც არ შეიძლება მხოლოდ საბჭოთა საქართველოს იდეოლოგიურ სამსახურებს ან ქართულ სოცარტს დავუკავშიროთ.

ნებისმიერ, თუნდაც სრულიად კონკრეტულ იდეოლოგიურ სიმბოლოს ან ნიშანს თავისი ეთნო-კულტურული და ფსიქოლოგიური საფუძვლები აქვს და მისი გაჩენა მხოლოდ გარკვეულ ისტორიულ ვითარებითა თუ სოციალურ-პოლიტიკური ფორმაციით როდია განპირობებული. ამდენად, "ქართლის დედაზე", როგორც სიმბოლოზე საუბრისას აუცილებლად დაგვჭირდება "სიღრმის ფსიქოლოგიის" (ფსიქოანალიზი, ანალიტიკური ფსიქოლოგია) ცნობილი თეორიების გამოყენება, რადგანაც; თუ ფსიქოლოგიის ამ მიმართულებას დავუჯერებთ, ნებისმიერი ქმედების, მითუმეტეს, შემოქმედებითი აქტის მოტივაცია არაცნობიერ ფსიქიკაში ძევს და ადამიანის გარკვეულ ფსიქოლოგიურ კომპლექსებსა თუ არქეტიპებს უკავშირდება. ერთ-ერთი ასეთი კომპლექსი, რომელიც 1908 წელს ფსიქოანალიზის ფუძემდებელმა ზ. ფროიდმა აღმოაჩინა, არის "კასტრაციის კომპლექსი". "კასტრაციის კომპლექსს" ფსიქოანალიზი უწოდებს ბავშვის ფანტაზიას, როდესაც იგი სქესთა შორის ბიოლოგიურ განსხვავებას აღმოაჩენს, კერძოდ, მდედრობით სქესში პენისის არ არსებობას. პატარა ბიჭში ეს იწვევს შიშს, რომ საკუთარი სქესობრივი აქტიურობის გამო არ დაკარგოს საკუთარი პენისი. გოგოში კი ეს "პენისის შურის" სახით ვლინდება, რაც გამოიხატება იმაში, რომ მასაც სურს პენისის ქონა ან ბიჭად ყოფნა, რადგანაც იგი თავის უპენისობას უსამართლობად და ბიჭების პრივილეგირებულობად აღიქვამს.

ზოგიერთი ფსიქოანალიტიკოსის, მაგ., ჟ. ლაკანის აზრით, დედა ბავშვის სარკეა, ანუ პირველი თვითიდენტიფიკაციის სუბიექტი და ამდენად ბავშვებს (განსაკუთრებით ბიჭებს) უჩნდებათ ფანტაზმა, რომ მათ დედას ერთ დროს ჰქონდა პენისი, ახლა კი იგი კასტრირებულია (კასტრაციის კომპლექსის თემას მოგვიანებით კიდევ დავუბრუნდებით). "ქართლის დედის" შემხედვარე ბავშვი მას კასტრირებულად ძნელად თუ წარმოიდგენს. პირიქით, ეს ქანდაკება მას შეიძლება ერთ დროს პენისიანი ქალის ნიმუშად უფრო მოეჩვენოს, მიუხედავად იმისა, რომ ის ქანდაკება საკუთარი გენიტალიის (სასქესო ორგანოს) დემონსტრირებას არ ახდენს, მასში ფალიკური სიმბოლიკა მაინც აშკარად ფიგურირებს. პირველ რიგში თვალში საცემია მარჯვენა ხელით მოღერებული ხმალი, რაც მის მფლობელს აშკარად საბრძოლო მზადყოფნის იერს აძლევს (ამ შემთხვევაში არანაირი მნიშვნელობა არა აქვს ოფიციალურ კონცეფციას თუ იდეურ ჩანაფიქრს). "სიღრმის ფსიქოლოგიაში" ყოველგვარი მოგრძო, გამოზნექილი საგანი, პირველ რიგში კი საბრძოლო იარაღი, ფალიკური, მამაკაცური სიმბოლოა. იგი უკავშირდება როგორც ფალოსის არაცნობიერ ხატს, ასევე მამაკაცის ფუნქციურ ატრიბუტს (ომი, საბრძო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლო იარაღის ხმარება, როგორც ტრადიციული მამაკაცური ხელობა). ამდენად, იხატება შეიარაღებული, მეომარი ქალის ხატი, რომელსაც მამაკაცის ფუნქციები აქვს შეთავსებული. თუმცა შეგვიძლია კულტურის ისტორიიდან ანალოგიური მაგალითების მოტანაც. გავიხსენოთ თუნდაც ბერძნული მითოლოგიიდან სიბრძნისა და სამართლიანი ომის ქალღმერთი ათენა. აქვე შეიძლება პირველი განმასხვავებელი ნიშნის პოვნაც საერთოდ მეომარ ქალებსა და "ქართლის დედას" შორის: ეს არის მეომარი ქალების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი თვისება – ქალწულობა (თვითონ ათენას მთავარი ატრიბუტი "პართენონი" ბერძნულად ქალწულს ნიშნავს), მათი ასექსუალური ბუნება, ანუ უარის თქმა ქალის პირველად დანიშნულებაზე, რითიც ისინი მამაკაცურ ბუნებას და ფუნქციებს იძენენ. ამის გასარკვევად პატარა ექსკურსი დაგვჭირდება. მანამდე კი უნდა აღინიშნოს, რომ ქალი არის ღია, გახსნილი პოზიციის არსება. იგი თავისი ფიზიონომიითაც და ფსიქიკითაც პასიური ბუნებისაა (პირველ რიგში სექსუალური თვალსაზრისით). ქალურ ბუნებას, გამომდინარე ისევ და ისევ სექსუალური პრინციპიდან, გამთლიანებისთვის სჭირდება გარედან მიღება, განსხვავებით მამაკაცურისაგან, რომელსაც აქტიური როლი აქვს, ანუ გასცემს... ამდენად ქალური (სექსუალური) ბუნების მთავარი დამახასიათებელი ნიშანი მიზიდვა, ცდუნება, საპირისპირო სქესში ვნების აღძვრაა. აქედან გამომდინარე, მისი კონსტრუქცია მუდამ ღიაა, ამ პრინციპების გათვალისწინებით "ქართლის დედის" ფიგურა შეუსაბამობათა კომპლექსია, ეს არის არა ქალწული, არამედ დედა (ასე რომ, მისი შედარება მეომარ ქალთა ტიპაჟებთან არასწორია), რომელიც თავისი ფალიკური ატრიბუტებით ქმნის დახურულ პოზიციას ანუ იგერიებს და არ იკარებს იმას, ვისთან შეხვედრაც მისი დანიშნულებაა (აქ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმის თქმას, რომ მისი ხმალი მტრისთვისაა გამზადებული: ხმალმოღერებულ ქალს ვერც მოყვარე ვერ მიეკარება, რაოდენ ტკბილ ღვინოსაც არ უნდა სთავაზობდეს მისი ფიალა). ამდენად, "ქართლის დედა" გარეგნობით უფრო ანდროგენულ (ორსქესიან), ჰერმაფროდიტ არსებას წააგავს. მაგრამ ზედაპირული დასკვნებისაგან თავი რომ დავიზღვიოთ, დაპირებისამებრ, პატარა მითოლოგიური თუ კულტუროლოგიური ექსკურსი ჩავატაროთ, რომელსაც კოსმოგონიამდე, ანუ სამყაროს შესაქმემდე მივყევართ. ძველ ადამიანთა წარმოდგენით სამყარო წარმოიშვა ორი დაპირისპირებული ძალის – ქაოსის, უფორმო სტიქიის, უწესრიგობის და სიმყარის, წესრიგის (კოსმოსის) ბრძოლის შედეგად, რაც პირველზე მეორის გამარჯვებითა და მისი დამორჩილებით მოხდა.

მსოფლიოს ყველა ხალხის მითოლოგიებში ქაოსის ყველაზე გავრცელებული სიმბოლოა წყალი, წყლის სტიქია, რომელიც ყოველთვის მდედრობითი სქესისაა. მას უპირისპირდება მამრობითი სქესის ღმერთი (ხშირად მისივე შთამომავალი), რომელიც ზოგან მთა ან ხეა, და ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ამარცხებს და განკვეთს მას, მაგრამ, ვინაიდან ღვთაებრივი არსების სიკვდილი შეუძლებელია, სამყაროს შემოქმედი ღმერთი ანუ დემიურგი იმორჩილებს მას და ყველა ღონეს ხმარობს, რათა თავისი შექმნილი სამყარო დაიცვას ქაოსური ღვთაების "გაცოცხლებისაგან". ამისათვის იგი აწესებს კანონებს, სამართალს, რომლის მთავარი ფუნქციაც სწორედ სამყაროს, კოსმოსის დაცვაა. ნებისმიერი უძველესი საკანონმდებლო აქტი, კანონი – საკრალური, რიტუალური ხასიათისაა. კანონის დამრღვევი ადამიანი არქაულ საზოგადოებებში ვნებს არა უბრალოდ რომელიმე სხვა ადამიანს, არამედ ქაოტურ, ბოროტ ძალებს უკავშირდება და საფრთხეს უქმნის მთელ კოსმოსს. ასე წარმოიშვა ადამიანის ცნობიერებაში პირველი ოპოზიციები: ქაოსი – კოსმოსი, უფორმობა – ფორმა, სტიქიურობა – თანამიმდევრულობა, გრძნობადობა – მკაცრი გონება და ა.შ.

მოკლედ რომ ვთქვათ, თანამედროვე ცივილიზაცია, როგორც ძველი ცივილიზაციების მემკვიდრე, პატრიარქალური (მამრობითის საწყისისადმი უპირატესობის

შემნიჭებელი) საზოგადოების პრინციპებიდან აღმოცენდა, სადაც წამყვანი ხაზი მამრობითია, ანუ ფალოცენტრულია. მითოლოგიურ (მოგვიანებით კი ალქიმიურ) სიმბოლიკაში სამყაროს ღერძი ყველა თავისი სულიერი თუ მატერიალური გამოვლინებებით, ფალოსთანაა გაიგივებული (ეს სიმბოლო-ნიშნები, რომლებშიც კაცობრიობის კულტურული გამოცდილებაა ჩადებული, სხვადასხვა სახით ადამიანთა ფსიქიკაში ვლინდება, რასაც ანალიტიკური ფსიქოლოგიის ფუძემდებელი კ. გ. იუნგი არქეტიპებს უწოდებს. დაწვრილებით იხილეთ მისი "ლიბიდოს მეტამორფოზები და სიმბოლოები"), ამ პრინციპზე აიგება სახელმწიფოს, ოჯახის, როგორც მიკროსამყაროს სტრუქტურებიც, სადაც წამყვანი როლი უფროს მამაკაცს ენიჭება. ოჯახის მეთაური მამაკაცი მისი დემიურგი და მისი მონარქია და რაც ჩვენი თემისათვის მეტად მნიშვნელოვანია, არის ოჯახის დიასახლისის მფლობელი, იზიარებს მის სარეცელს. ერთი შეხედვით ეს სრულიად ნორმალური და თავისთავად ცხადი მოვლენაა, რომელზედაც ყურადღების შეჩერება საჭირო არც კი უნდა იყოს. მაგრამ სწორედ აქ ჩნდება პრობლემა; რომელიც XX ს. აზროვნების ერთ-ერთ ქვაკუთხედად იქცა. ესაა ბერძნული მითი მეფე ოიდიპოსის შესახებ, რომელიც ბერძნულ მითოლოგიაში არის ერთდროულად ყველაზე დიდი დამნაშავე და ცოდვილი და ამავე დროს, ბრძენი და ღვთაებრივ არსს მიახლებული. ოიდიპოსმა მოკლა საკუთარი მამა – თებეს მეფე ლაიოსი და ცოლად შეირთო საკუთარი დედა – დედოფალი იოკასტა, თუმცა მან არ იცოდა, რომ ისინი მისი მშობლები იყვნენ.

ფსიქოანალიზის ფუძემდებელმა ზ. ფროიდმა ეს სიუჟეტი დაუდო საფუძვლად თავისი მოძღვრების ერთ-ერთ უმთავრეს პოსტულატს – ოიდიპოსის კომპლექსს, რომლის თანახმადაც ყველა ადამიანში (ბავშვში) არის ჩადებული არაცნობიერი სექსუალური ლტოლვა განსხვავებული სქესის მშობლის მიმართ და საკუთარი სქესის მშობლის, როგორც კონკურენტის მიმართ აგრესიული დამოკიდებულება. ფროიდი ასეთ სქემას "პოზიტიურ" ოიდიპოსის კომპლექსს უწოდებს, რაც არის ადამიანის ჰეტეროსექსუალური განვითარების პირობა. მისივე აზრით, არსებობს შებრუნებული სქემაც – ლტოლვა საკუთარი სქესის მშობლისა და უარყოფითი დამოკიდებულება საპირისპირო სქესის მშობლის მიმართ, რომელსაც იგი "ნეგატიურ" ოიდიპოსის კომპლექსს უწოდებს, რაც შემდგომში სექსუალური და ფსიქიკური დარღვევების საფუძველი ხდება. ფროიდის ამ დებულებამ თანამედროვე ფსიქოლოგიასა და ფილოსოფიაში სხვადასხვანაირი განვითარება განიცადა. ოიდიპოსის სიმბოლოში შეგვიძლია ერთი მნიშვნელოვანი მომენტის დანახვა: ესაა ყოველ ახალ თაობაში ძველის ახლებურად გადააზრების ან მისი დანგრევის და მისგან ახლის შექმნის სურვილი, რაც საბოლოო ჯამში, საზოგადოებისა და კულტურის მუდმივ დინამიკას, მუდმივ განახლებასა და სიცოცხლისუნარიანობას განაპირობებს, რაზედაცაა დაფუძნებული მთელი დასავლური ცივილიზაცია, რომელსაც პირობითად ოიდიპალური ცივილიზაციაც შეიძლება ეწოდოს. მისი ყველაზე აშკარა გამოვლენაა, ერთი მხრივ სოციალურ-პოლიტიკურ პერიოდთა, მეორე მხრივ კი, ესთეტიკურ ფორმათა და სტილთა მუდმივი და შეუქცევადი მონაცვლეობა, რომელიც "ოიდიპალურ" პრინციპზე აგებული დასავლური ცივილიზაციის კუთვნილებაა, რაც ფალიკურის პრიმატითაა განსაზღვრული თავისი შესაბამისი გამოვლინებებით, როგორიცაა რაციონალიზმი, სამართალი, ლოგოცენტრიზმი (ეს უკანასკნელი ფალოცენტრიზმის იდენტური ცნებაა). აქვე აღსანიშნავია, რომ დასავლური ცივილიზაციის ისტორიაში პერიოდულად ჩნდება "დეკადენტური" ეპოქები, რომელსაც ისტორიკოსები და სოციოლოგები დამანგრეველი მოვლენების სიჭარბით ახასიათებენ. ასეთ პერიოდებში ხდება ირაციონალურ, ემოციურ საწყისთა გააქტიურება, რასაც შესაბამისად დიდი პოლიტიკური კატაკლიზმებიც მოჰყვება. ფსიქოლოგია ასეთ პერიოდებს ფალოცენტრიზმის კრიზისს უწოდებს. ჩვენი თანამედროვე ეპოქაც, რომელიც პირობითად პოსტმოდერნის სახე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლით მოიხსენიება, სწორედ ასეთი ნიშნების სიმრავლით ხასიათდება.

ამ ექსკურსის შემდეგ დავუბრუნდეთ ისევ "ქართლის დედას" და მასთან დაკავშირებულ პრობლემებს. როგორც უკვე ითქვა, "ქართლის დედა" არ არის მხოლოდ იდეოლოგიური სიმბოლო, რომლის ფესვები ქართულ კულტურასა და ეთნიკურ ფსიქოლოგიაშია საძიებელი, ჩემი ზრით, იგი არქეტიპული სიმბოლოა, ქართულ სოციალურ-კულტურულ სივრცეში ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს რომ ასრულებს. რას ნიშნავს მისი არქეტიპულობა? კ. გ. იუნგის მიხედვით არქეტიპი (ბერძნ. "არქე" – "პირველდელი", "ტიპი" – "ხატი", "სახე") არის კოლექტიურ არაცნობიერში მდებარე თანდაყოლილი ფსიქიკური სტრუქტურა, რომელიც ყოველგვარი სიმბოლიკის საფუძველი ხდება და მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ადამიანის ფსიქიკის ჩამოყალიბებას. ამდენად, ამა თუ იმ სიმბოლოს გახსნა საშუალებას გვაძლევს გავიგოთ თანდაყოლილი ფსიქიკური მექანიზმების ბუნება, რომლებიც მის მატარებელ ადამიანთა ჯგუფის ფსიქოლოგიასა და მსოფლმხედველობას დაგვანახებენ. ასე რომ, ის, რასაც "ქართლის დედა" გვიხატავს, დამახასიათებელია მთელი ქართული კულტურისათვის და სხვადასხვა ფორმით ვლინდება ჩვენს საზოგადოებრივ ურთიერთობებსა და ყოფაში.

როგორც დასაწყისში ვთქვი, "ქართლის დედა" თავისი ფალიკური ნიშნებით წარმოადგენს დახურულ და, ამდენად, სტატიკურ პოზიციას. თუ მისი ღვინიანი ფიალა იზიდავს იმას, ვისი მიზიდვაც ქალის პრეროგატივაა, მოღერებული ხმალი, პირიქით, განიზიდავს და იგერიებს მას. ამით ის უკვე მიუთითებს საკუთარ უნაყოფობასა და საერთოდ, განაყოფიერების პერსპექტივის უქონლობაზე. ამის საწინააღმდეგოდ შეგვიძლია გავიხსენოთ ქალის, როგორც ნაყოფიერების სიმბოლოს უძველესი გამოსახულებები, სადაც მისი ფიგურა აუცილებლად ღიაა. ზოგჯერ ქალის არქაულ ფიგურაში წინა პლანზეა წამოწეული მისი მკერდი და ვაგინა. ხშირად, მაგ., კერის გამოსახულებებში, ვაგინიდან ამოზრდილია

ხე, რითაც ხაზი ესმება მისი ნაყოფიერების ფუნქციას. "ქართლის დედის" უნაყოფობის ერთ-ერთი მთავარი ნიშანი სწორედ ისაა, რომ მას შეთავსებული აქვს მისი გამანაყოფიერებლის ფუნქციები. მე მგონი, თვითგანაყოფიე-



რების შეუძლებლობაზე ლაპარაკის გაგრძელება საჭირო არ უნდა იყოს (მით უმეტეს, რომ ფსიქოანალიზში ცნობილია "თვითჩასახვის აკვიატებული ილუზია", რომელიც ჰომოსექსუალური ნიადაგის მქონე ისტერიულ ფანტაზიებს მიეკუთვნება), ასეთი სახის ფსიქიკური სტრუქტურა მიუთითებს მისი მატარებელი სოციუმის სტატიკურობასა და ერთხაზოვნებაზე. აქ, პირველ რიგში, გამორიცხულია დინამიურობის ფსიქოლოგიური მექანიზმი – ოიდიპალურობა, თუნდაც იმიტომ, რომ ქართველი ოიდიპოსის მამა ლაიოსი საერთოდ არ ჩანს, არ ფიგურირებს და მისი ფუნქციები დედამისს – იოკასტეს აქვს ჩანაცვლებული. ამდენად, ოიდიპოსის სცენარის გათამაშება

თითქმის შეუძლებელი ხდება, რადგანაც ოიდიპოსის ორივე მშობელი (თაყვანსცემისაც და ხასიყვარულით ლტოლვის ობიექტები) ერთ პერსონაში – დედაშია მოცემული. ტრადიციულ ფსიქოანალიზს თუ მივყვებით, ასეთი სიტუაცია წააგავს "ნეგატიურ" ოიდიპოსის კომპლექსს, მაგრამ საკითხში უფრო ნათლად გარკვევისათვის მივმართოდ კ. გ. იუნგის ცნობილ ნაშრომს "დედის არქეტიპს".

იუნგის მიხედვით, დედის არქეტიპი ამბივალენტურია (ორბუნებოვანია). მას უამრავი სხვადასხვა ფორმის გამოვლინება აქვს. მისი მოქმედება უკავშირდება როგორც კონკრეტულ ქალთა (დედა, დეიდა, ძიძა და ა.შ.) პერსონებს, ასევე მითოლოგიურ თუ სრულიად აბსტრაქტულ მოვლენებს, როგორიცაა: ხსნა, სამოთხე, ეკლესია, სამშობლო, ზღვა, წყალი, ბაღი. აგრეთვე შეზნექილი ფორმის საგნებს. ამავე დროს გამომდინარე ამ არქეტიპის ამბივალენტურობიდან, მისი "ნეგატიური" სიმბოლოები შეიძლება იყოს: ბედისწერა, სიკვდილი, მოჩვენება, საფლავი, თვითნებობა, დამანგრეველი ემოციები და ა.შ. დედის არქეტიპი არაა დაკავშირებული კონკრეტულ დედასთან, არამედ არის კოლექტიური გამოცდილების ნაყოფი, რომელიც ცალკეულ ინდივიდში, განსაკუთრებით ბავშვებში, ვლინდება ფობიებისა და სხვადასხვა ნევროტული მოვლენების სახით. იგი, როგორც ნევროზის საფუძველი, ადამიანის ფობიურ ფანტაზიებში ვლინდება კაციჭამიის, მტაცებელი მხეცის, ქაჯის, ჰერმაფროდიტის სახით და ეს მოვლენა ძირითადად საერთო კულტურული ტრადიციითა და ზღაპრულ-მითოლოგიური საფუძვლებითაა განპირობებული. დედის არქეტიპი არის აგრეთვე ე.წ. დედის კომპლექსის საფუძველი. იგი სხვადასხვა სახით ვლინდება გოგოსა და ბიჭში. ბიჭში იგი ძირითადად სამი ფორმით ჩნდება, რომელიც, იუნგის მიხედვით, ერთი საერთო ბუნების მოვლენებია. ესენია: დონ-ჟუანობა, ჰომოსექსუალიზმი და იმპოტენცია. ასეთი ტიპის დედაშვილური ურთიერთობა, როგორიცაა კიბელა და ატისი (ძლიერი დედა და ამისგან გამომდინარე სუსტი და განაზებული ვაჟიშვილი) ვაჟიშვილში იწვევს სიმბოლურ თვითკასტრაციას (ფობიურ იმპოტენციას), სიგიჟეს ან ნაადრევ სიკვდილს. მოკლედ რომ შევაჯამოთ, ვაჟიშვილში დედის კომპლექსის გამოვლინებებია, ერთი მხრივ, საკუთარი არასრულფასოვნების განცდა, იდეაფიქსამდე მისული საკუთარი სქესის რეალიზება (დონ-ჟუანობა), რომელიც შეიძლება ქართულ "ქალის კულტსაც" დავუკავშიროთ, რაც სხვა არაფერია, თუ არა ქალისადმი განსაკუთრებული ყურადღება, ფობიური მორჩილება, საკუთარი მამაკაცობის (შესაბამისად სექსუალური აღმატებულობისა და მამრობითი პოტენციის) აქცენტირება; მეორე მხრივ, მისთვის დამახასიათებელია თვითნებობა, უკანონობის კარგ ტონად მიჩნევა, რეალობის გრძნობის დაკარგვა, იმპულსურობა.

ახლა დავუბრუნდეთ ისევ "ქართლის დედას", რომელიც ყველა თავისი ნიშნით ჰერმაფროდიტულ-მონსტრუალური სახისაა, რომლის გაჩენაც, იუნგიანურ პრინციპთა გათვალისწინებით, ფობიურ-ნევროტულ ფანტაზიებს უკავშირდება და რომლის საფუძვლებიც ქართულ კულტურაში დევს. ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითი ქართული ზღაპარი "ჩიტი-ჩიორა", სადაც დედა-ჩიტი თავის ბარტყებს მელას აჭმევს და რომ არა სრულიად შემთხვევით გამოჩენა კეთილი მონადირისა, რომელიც კლავს მელას, მათი დაღუპვა გარდაუვალი იქნებოდა. ეს ზღაპარი, ერთი მხრივ, ბავშვში აჩენს არაცნობიერ შიშს, რომ საფრთხის შემთხვევაში იგი შეიძლება საკუთარმა დედამ გაწიროს. მე მგონი, ეს ადგილი დამატებით კომენტარს არ საჭიროებს. აქვე მეტად მნიშვნელოვანია თოფმომარჯვებული (N.B.) მონადირის პერსონაც. უმამო ბავშვების სახსნელად მოდის უცხო, ძლიერი მამაკაცი. ესეც ერთობ ნიშანდობლივი ფანტაზმაა, რომელიც განსაკუთრებული სიმძაფრით ამ ბოლო წლებში გამოჩნდა და რომლის მომსწრეც ყოველი ჩვენგანია: იმპერიალისტური ურჩხულისაგან მხსნელი ხან ევროპა, ხან ამერიკა, ხან NATO ჩნდებოდა. ესეც სრულიად არახალი მოვლენაა. ამაზე საქართველოს ისტორიის უამრავი მაგალითი მეტყველებს. ასე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თები იყო ხან რომის იმპერია თუ ბიზანტია, ხან რუსეთი და არა მხოლოდ ერთმორწმუნეები, არამედ ზოგჯერ ირანი და თვით ჩინგიზხანიც (გავიხსენოთ, რომ "ჟამთააღმწერელი" ჩინგიზ-ხანს მესიას ადარებს). ამ მოვლენის ხასიათურობისა და არქეტიპულობის მაგალითია, ერთი მხრივ, უცოდინარი, იმპულსური სწრაფვა ყოველივე უცხო, უცნობი და ამდენად იდუმალებით მოცულისაკენ, სადღაც სხვა მითოლოგიზებული უცხოეთიდან რომ შემოდის, რომელმაც ბიძგი უნდა მისცეს მთელ ხოციუმს, აამოძრაოს კულტურა. თუმცა ეს თვისებაც საკმაოდ ზედაპირულია; ანუ უცხო კულტურებიდან საოცარი სისწრაფით ხდება გარეგანი ნიშნების გაუაზრებელი და გაუცნობიერებელი მიღება, რომელიც ზოგჯერ ამა თუ იმ ცნობილი მოვლენისა თუ კულტურული ფენომენის სრულ პროფანაციას, გაუფასურებასა და დამახინჯებას იწვევს. ამისთვის მხოლოდ ახლო მაგალითები ავიღოთ: საქართველოს რუსეთთან შეერთებისთანავე ქართული ლიტერატურის სრული რომანტიზაცია, ქართველ არისტოკრატთა სახლების სალონებად ქცევა. თუმცა იშვიათი გამონაკლისების გარდა (მაგ: ნ. ბარათაშვილი), ქართული რომანტიზმის ნაძალადევობა და სქემატურობაც აშკარაა. ასეთივე ბედი ეწია ევროპულ სიმბოლიზმს XX საუკუნის დამდეგის საქართველოში, რომელიც ქართულ "ცისფერყანწელობაში" ხშირად გაუგებარ და აზრისგან დაცლილ სიტყვათა თამაშად იქცევა. და ბოლოს, თანამედროვე დასავლური კულტურა (ე.წ. პოსტმოდერნი), რომელიც საქართველოში საკმაოდ ასაკგადაცდენილი "თინეიჯერების" სახით შემოდის. ამის მიზეზი შეიძლება ისიც იყოს, რომ "ქართლის დედის" ღვინიან ფიალას მისი მოღერებული ხმალიც თან მოსდევს, რომლითაც იგი საკუთარ "უმანკოებას" იცავს.

აქვე გასახსენებელია "უცხოულ მხსნელთან" დაკავშირებული ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი. ესაა XI ს.-ში ლეონტი მროველის მიერ გაფორმებული ქართული სახელმწიფოებრიობის წარმოშობის კონცეფცია. საერთოდ, სახელმწიფოს შექმნის კონცეფციებისათვის დამახასიათებელი მოვლენაა ამა თუ იმ ხალხის ისტორიის საწყისის რომელიღაც მითოლოგიურ ან დიდ ისტორიულ მოვლენასთან ან პიროვნებასთან დაკავშირება: ასე მაგალითად, ვირგილიუსი რომაელებს ტროელთა შთამომავლად აცხადებს. ინგლისის სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი მთავარი ატრიბუტი მეფე ართურსა და გრაალის თასის რაინდებს უკავშირდება. სომხური სახელმწიფოს შემქმნელებად არტაგი და ზარიადრე, სელევკიდი სარდლები, ანუ ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის შთამომავლები ცხადდებიან. ახლა დავაკვირდეთ "ქართლის ცხოვრების" კონცეფციას. მითუმეტეს, რომ ეს უბრალო ისტორიული თხზულება კი არა, ქართველ ბაგრატიონთა ოფიციალური სახელმწიფო იდეოლოგიაა. წინა პირობად ლეონტი მროველი აღწერს იმ მძიმე და საშინელ სიტუაციას, რომელშიც "ნათესავნი ქართლოსიანნი" აღმოჩნდნენ: ესაა ხაზართა გამოსვლა, ჩრდილო კავკასიის ტომებთან ბრძოლები, თურქთა შემოსევა. ამის შემდეგ საქართველოში შემოდის ალექსანდრე მაკედონელი, "დიდი მეფე" და იპყრობს ქართლს. ქართლის იმდროინდელი მდგომარეობა, ლეონტის მიხედვით, ტიპური აპოკალიფტურია: ალექსანდრემ, "...პოვნა ყოველნი ქართველნი უბოროტეს ყოველთა ნათესავთა სჯულითა, რამეთუ ცოლ-ქმრობისა და სიძვისათვის არა უჩნდა ნათესაობა, ყოველსა სულიერსა ჭამდეს, ვითარცა მხეცნი და პირუტყუნი, რომელთა ქცვისა წარმოთქმა უხმ არს", ალექსანდრე იპყრობს საქართველოს, ანადგურებს უხამსობას და შემოსულ უცხო "ნათესავებს" (ბუნ თურქებს), უდებს ქართველებს რჯულს. "რათა პატივს სცემდნენ მზესა და მთოვარესა და ვარსკულავთა ხუთთა, და მსახურებდნენ ღმერთსა უხილავსა, დამბადებელსა ყოვლისასა". ამდენად, ალექსანდრე არა უბრალოდ დამპყრობელია, არამედ, ფაქტიურად, ქვეყნის განმათავისუფლებელი ბოროტებისაგან და რჯულმდებელი მოძღვარიც. აჯანყება, რომელსაც სათავეში ფარნავაზი უდგება, გამოწვეული იყო იმითაც, რომ ალექსანდრეს მიერ ქართლის მმართველად დანიშნულმა

აზომ დაარღვია მისი ანდერძი, "ამან აზონ დაუტევა სჯული ალექსანდრეს მოცემული".

გარდა იმისა, რომ ალექსანდრეს მიერ ქართლის დაპყრობა-გაკეთილშობილება პირწმინდად ლეონტისეული ფანტაზიაა, ჩვენთვის სხვა ისტორიულ რეალიებსაც ნაკლები მნიშვნელობა აქვს. შევეცადოთ ამ ლეგენდის ფსიქოლოგიურ ინტერპრეტაციას, ლეგენდისა, რომელიც ძალიან ჰგავს აგრეთვე დემიურგი ღმერთის მიერ ბოროტი, ქაოტური ძალების დამარცხებას და კოსმოგონიას, პოზიცია, რომელშიც საქართველო იმყოფება, არის პასიური, მიმღები და ამდენად ალექსანდრე ტიპური ფალოსური სიმბოლოა. აქ ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ სახელმწიფო, როგორც ასეთი, არის მამრობითი ბუნების, როგორც ერთგვარი ძალადობის მექანიზმი, ზღვრების დამდები და აკრძალვების შემომტანი. სახელმწიფოებრიობის პრეცენდენტები საქართველოში ყოველთვის რთული, მტკივნეული და არამყარი მომენტებია. ამის სამაგალითოდ დავით აღმაშენებლის გახსენებაც შეიძლება, სრულიად უანალოგიო და უპრეცენდენტო მოვლენა საქართველოს ისტორიაში. ადამიანი, რომელიც ახერხებს რეალურ, რაციონალურ პრინციპებზე აგებული სახელმწიფოს შექმნას ყველა თავისი თანმხლები ატრიბუტით (სახელმწიფო ბიუროკრატია, სასამართლო, მკაცრად ორგანიზებული საგადასახადო და საკონტროლო აპარატი, რეგულარული და სუბორდინირებული ჯარი, სადაზვერო სამსახურები და პოლიციური რეჟიმი, საგანმანათლებლო სისტემა, სახელმწიფო სტრატეგია), რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ მისივე მემკვიდრეების ხელში სრულ დისკრედიტაციას განიცდის და საბოლოოდ მთავრდება თამარის მმართველობით, რომელიც ბოლოს უღებს დასავლური ტიპის დავით აღმაშენებლის შექმნილ სახელმწიფოს, სახელმწიფო ბიუროკრატიას ზრდის და ფაქტიურად საპატიო-საკარისკაცო ტიტულებად აქცევს; სახელმწიფოებრიობის მთავარ ფუნდამენტად შეუზღუდავ და ირაციონალურ მილიტარიზმს ტოვებს; ამის შედეგად თვითნებობაზე დამყარებული სამხედრო მანქანა ყოველგვარ ქმედითუნარიანობას კარგავს და მალე ნადგურდება. ანუ მკაცრ რაციონალიზმზე ისევ თვითნებობა და უფორმობა იმარჯვებს.

მაგრამ აქ ყურადღებიდან არ უნდა გამოგვეპაროს ერთი მნიშვნელოვანი მომენტი; "ქართლის დედის" მოღერებული მახვილის დამლევა და მისი დაუფლება მხოლოდ ხარიზმატული პიროვნებების პრეროგატივაა (ანუ მათი პერსონა და ბიოგრაფია აუცილებლად რაღაც ზღაპრულ-ფანტასტიური ფერებით უნდა იყოს გაფორმებული), რომლებიც, როგორც ალექსანდრე მაკედონელი, ძლიერ ფალიკურ სიმბოლოებად აღიქმებიან. ამის საილუსტრაციოდ საქართველოს უახლესი ისტორია გავიხსენოთ. პირველ რიგში, ეს უკავშირდება საქართველოს პირველ პრეზიდენტს ზვიად გამსახურდიას, რომელიც იმდროინდელ ქართულ საზოგადოებრივ ცნობიერება-



ეროვნული ბიბლიოთეკა

ში წარმოდგენილია არა უბრალოდ, რეალურად არსებულ ადამიანად, არამედ ნახევრად მითოსურ პერსონად. მომხრეების მხრიდან იგი შედარებულია მესიასთან, მოსესთან, წმინდა გიორგისთან. ჰიპერპოლიზირებულია მისი დისიდენტური წარსული (შესაბამისად, მოწინააღმდეგეების მხრიდან იგი ლამის აპოკალიფტურ მხეცადაა აღქმული). ამ შემთხვევაში სრულიად უადგილო და არაფრისმთქმელი არგუმენტი იქნებოდა ყველაფრის გამსახურდიას ამპარტავნული ბუნებისათვის გადაბრალება. აქ თვითონ ხალხში, საზოგადოებაში მომუშავე ხარიზმატული გმირის ("მაგრამ, ქართველნო, სად არის გმირი...") პოვნის აუცილებლობა მუშაობს. გამსახურდიას ოპოზიცია ასევე ხარიზმატულ ლიდერს ეძებს მასთან დასაპირისპირებლად. თავდაპირველად ესაა ვალერიან ადვაძე, რომლის გმირული ბრძოლები მითოსურ ჯოჯოხეთში – კრემლში მიმდინარეობდა და რომლის ხელისუფლებაში მოსვლა სულ ცოტა ეკონომიკურ სასწაულს უდრის (განათლებულ ოპოზიციას ახსოვს ეკონომიკის დოქტორ, პროფესორ ლუდვიგ ერჰარდის კანცლერობა გფრ-ში). ამ ხარიზმატის მარცხის შემდეგ ოპოზიციის ლიდერი ხდება ასევე არა ოპოზიციური მასიდან გამოსული ადამიანი, არამედ თვით ყველაზე საშინელ ძალასთან შებრძოლებული და მის წინააღმდეგ ამხედრებული თენგიზ სიგუა. 1992 წ. იანვრის გადატრიალების შემდეგ ხელისუფლებაში მოსული ოპოზიცია ცდილობს თენგიზ კიტოვანისა და ჯაბა იოსელიანის გახარიზმატებას, თუმცა უშედეგოდ (წარსული მაინც თავისას შვება). სწორედ ამ დროს საქართველოში ბრუნდება ყველაზე დიდი ხარიზმის მქონე პიროვნება – ედუარდ შევარდნაძე, რომელიც მის მხარდამჭერ ქართულ საზოგადოებაში თითქმის სასწაულმოქმედად აღიქმება (ევროპის განმათავისუფლებელი, ბოროტების იმპერიის დამანგრეველი, ახალი აზროვნების ფუძემდებელი). მისი ხამშობლოში დაბრუნების დღეს თბილისის თავზე ვერტმფრენები დაფრინავენ, ცენტრალური მაგისტრალები გადაკეტილია, ეკლესიის ზარები რეკავენ, კათალიკოს პატრიარქის რეზიდენციაში საზეიმო ლიტურგია მიმდინარეობს, პირდაპირ ეთერში თბილისის აეროდრომია, ციდან ეშვება თვითმფრინავი... შევარდნაძის ხარიზმა და მითოლოგემა თავისი ბრწყინვალებითა და მრავალფეროვნებით თვით გამსახურდიას ხარიზმასაც ჩრდილავს. ამის სამგალითოდ გამოდგება სამი პროფესიონალი ფილოსოფოსის – გ. ბარამიძის, ი. ბრაჭულისა და თ. ფიფიას წიგნი – ედუარდ შევარდნაძე – გონების მოქცევა საქართველოში", რომელიც თავისი კომპოზიციითაც და შინაარსითაც ტიპური, მხოლოდ თანამედროვე, ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებია (ჯერ მარტო სათაურში ორი ჰაგიოგრაფიულ-მითოლოგიური სიმბოლოა ჩადებული: 1."გონება", ტიპური ფალიკური სიმბოლო; რელიგიურ სიმბოლიკაში დაკავშირებულია სინათლესთან, ღვთაებრივ შუქთან, გამონათებასთან (ჰერაკლიტეს "ლოგოსის ემანაცია"), კოსმოგონიასთან (ბერძენი ფილოსოფოსის თალესის მიხედვით ღმერთის გონება წყლისაგან (ქაოსისაგან) ქმნის სამყაროს; 2. "მოქცევა" – ღრმად ქრისტიანული ტერმინი ("მოქცევა ქართლისა ") ასევე კოსმოგონიური შინაარსის სიტყვაა, ჭეშმარიტების გზაზე დადგომის სიმბოლო).

საერთოდ განმათავისუფლებლისა და მხსნელის ხარიზმატული სიმბოლო ერთობ ნიშანდობლივია ქართული კულტურული სივრცისათვის. ამის ყველაზე ცნობილი მითოლოგიური არქეტიპი წმინდა გიორგის სახეა, – რაინდი, რომელიც ურჩხულისაგან ათავისუფლებს ქალს(!) და ალბათ არააშემთხვევითი წმინდა გიორგის ასეთი პოპულარობა საქართველოში. ყოველივე ზემოთქმულის შესაჯამებლად უნდა ითქვას, რომ გარედან მომავალი ფალიკურის ლოდინი ქართულ კულტურულ სივრცეში ფალიკურის არაავტონომიურობით ან დეფიციტით შეიძლება აიხსნას, რომლის კომპენსაციაც აუცილებლად გარედან უნდა მოხდეს. ასეთ მდგომარეობაზე შეიძლება ითქვას, რომ "კოსმოგონია" საქართველოში არშემდგარი, დაუსრულებელი, დაუფიქსირებული აქტია. ამიტომაც უწყვეტია დემიურგის გამოჩენის მოლოდინი. ეს მოვ-

ლენა ფსიქოზური ნიშნებით თავს ორი სახით იჩენს – პირველ რიგში, მამაკაცებში. პირველია ქართველი მამაკაცის დამოკიდებულება ქალთან, რომელსაც არანაირი კავშირი "ქალის კულტთან", როგორც სიყვარულისა და თაყვანისცემის ობიექტთან არა აქვს, თუმცა თანამედროვე ქართული ჰუმანიტარული აზროვნება ერთხმად თხზავს ამ მითს. ამ საკითხში გასარკვევად გავიხსენოთ "სვეტიცხოვლის საკითხავი", რომლის ავტორიც, XII საუკუნის ქართველი მწერალი, საქართველოს კათალიკოზი ნიკოლოზი, საქართველოს ღვთისმშობლის წილხვედრობის იდეის ავტორი, ასე ხსნის იმ მიზეზს, თუ რატომ ერგო წილად საქართველოს მოქცევა ქალს, "...ყოველთა ნათესავთა უმძვინვარესნი და უველურესნი იყუნეს ესე ნათესავნი (ქართველები – გ.მ.). ამისათვისცა დედაკაცი წარმოავლინა ... ამისათვისცა უძლურესისა ბუნებისა დედაკაცისა მიერ მოალბო ქედფიცხელობაი ულმობელთა მათ ...". თუ ამ არგუმენტს ფსიქოლოგიური პრიზმით განვიხილავთ, ერთი შეხედვით, ესაა თითქოს შებრუნებული სქემა – კაცის ველურ ან უფორმო ბუნებას თოკავს და იმორჩილებს ქალი. აქვე შეგვიძლია "თეთრი მანდილის" ინსტიტუტის გახსენებაც: მოქიშპე მამაკაცებს აშველებს ქალი, რომელსაც ნებისმიერ პატრიარქალურ საზოგადოებაში მამაკაცთა საქმეებში ჩარევის არანაირი უფლება არა აქვს. აქ საქმე გვაქვს ქალის, როგორც მამაკაცის მამაკაცურობის (მამრობითი სქესის) მანიფესტთან (მსგავსი მოტივია "გილგამეშის" ეპოსშიც, სადაც ველური, ნახევრად ცხოველი ენქიდუ გაადამიანებას ქალთან სექსუალური შეხების შემდეგ იწყებს), მხოლოდ საკმაოდ ჰიპერტროფირებული (გაზრდილი, გადაჭარბებული) სახით. ეს მოვლენა, ყოფით დონეზეც კი საკმაოდ ნიშანდობლივია საქართველოში. ესაა, შეიძლება ითქვას, საკუთარ სქესის ფსიქოზური ხაზგასმა. ამისთვის ფალიკური ნიშნების იდეოლოგიური დემონსტრირება: წვერ-ულვაშის, როგორც სქესის პრეზენტის ჩვენება (ზოგჯერ უბრალოდ წვერგაუპარსაობა, როგორც მამაკაცური ტონის მაჩვენებელი); საბრძოლო იარაღების განსაკუთრებული და უადგილო სიყვარული; საუბრისას ხმის დაბოხება ან აგრესიული ტონალობის მიცემა; ისტორიის, როგორც მხოლოდ გმირული წარსულის, ომების ქრონიკის იდეალიზაცია, რაც ქართული ისტორიოგრაფიის უმთავრესი და წამყვანი თემაა (სამაგალითოდ ლ. სანიკიძის ცნობილი ისტორიულ-ბელეტრისტული ბესტსელერი – "უქარქაშო ხმლებიც" გამოდგება. წიგნი, რომელიც ფსიქოლოგიური კუთხით მთლიანად მამრობითი სქესის მანიფესტაციაა, ხოლო მისი სათაური, "უქარქაშო ხმლები" ფსიქოლოგიურ ენაზე რომ ვთარგმნოთ, სხვა არაფერია, თუ არა მუდამ მზად მყოფი ფალოსები). ანუ ესაა გაორმაგებული ხაზგასმა საკუთარ სქესზე ანუ სქესის რეპრეზენტაცია. ასეთი მოვლენები, ფსიქოანალიზს თუ მოვიშველიებთ, შეიძლება "კასტრაციის კომპლექსით" აიხსნას, რომელიც მამაკაცში მამაკაცურის დაქვეითებით ან საკუთარ მამაკაცობაზე ფსიქოზური ხაზგასმითაც ვლინდება. ქალებში კი ხშირად "ქალწულობის კომპლექსით" ჩნდება (ტაბუ საკუთარ ქალწულობაზე), რასაც ფსიქოანალიზი პათოლოგიურ მოვლენას უწოდებს. ასეთი მოვლენების საფუძველი ხშირად ოჯახში დედის წამყვანი როლი და განსაკუთრებით, ბავშვებისადმი გადაჭარბებული მზრუნველობაა, რომელიც უკვე სრულიად არანორმალურ სახეს იღებს, როდესაც მშობელი, უმეტეს შემთხვევაში დედა, ცდილობს მაქსიმალურად ჩაერიოს შვილის პირად ცხოვრებაში, აკონტროლოს იგი, საკუთარ თავზე აიღოს ყველა მისი პრობლემის მოგვარება, რადგან მან უკეთ იცის, რა არის საჭირო შვილისათვის და ამას იგი თავისი მზრუნველობითა და სიყვარულით ხსნის. სინამდვილეში კი ეს შვილისათვის ყოველგვარი საკუთარი ინიციატივის წართმევას, მისი შემოქმედებითი თავისუფლების შეზღუდვას ან მოსპობას, მის დაუძლურებას და კასტრაციას, მის მორალურ და ინდივიდუალურ კვდომას იწვევს: ასეთი სიყვარულის სიმბოლოა ინდური ქალღმერთი კალი (Kali), მოსიყვარულე დედა, რომელიც მერე მოჭარბებული სიყვარულით აღვსილი ჭამს საკუთარ შვილებს.

როგორც კ. გ. იუნგი აღნიშნავს, სწორედ მოჭარბებულად მზრუნველი დედების ბავშვებს საკუთარი დედა ურჩხულის ან ბოროტი ძალის სახით ესიზმრებათ, რაც უკვე მათი ფსიქიკის რღვევასა და ტრავმულ განვითარებაზე მიანიშნებს. ასეთი მოვლენები ტიპურია ქართული საზოგადოებისათვის, რომლის ფსიქოზური ფანტაზიის ნაყოფიცაა "ქართლის დედის" მონუმენტი. ამ ძეგლის კულტურულ-ფსიქოლოგიური საფუძვლებიც დამთრგუნველად და ფობისტურად მოქმედებს ადამიანთა ფსიქიკაზე.

ზემოთ უკვე ითქვა, რომ ქართულ საზოგადოებაში ოიდიპალური სცენარი არ თამაშდება. ამ სცენარის სირთულე, ერთი მხრივ, არის ლაიოსის (მამის) არ არსებობა ან არაავტოქტონიურობა. შეიძლება სწორედ ამიტომაც ერთობ გავრცელებული ფანტაზმაა დამნაშავე აგრესიის ობიექტის ხადღაც სხვაგან, გარეთ ძიება. მეორე მხრივ, ოიდიპალური სცენარის გასათამაშებლად საჭიროა თავდასხმის ობიექტი იოკასტა (დედა) გახდეს. თუმცა, ჩემი აზრით, ამის არაცნობიერი გამოვლენაა საქართველოში საკმაოდ გავრცელებული საგინებელი ფორმულა – "ჩემი დედა...". ესაა ერთდროულად "პოზიციური" ოიდიპოსის კომპლექსის გამონაყოფი, თანაც დედის, როგორც აგრესიისა და განადგურების ობიექტის წარმოჩენა.

ახლა კი გავიხსენოთ მოქანდაკე გიორგი ოჩიაურის ქალის ფიგურა, თანამედროვე ქართული სკულპტურის საკმაოდ საინტერესო ნიმუში: არა მხოლოდ წმინდა ესთეტიკური, არამედ ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც. ესაა დანაწევრებული და დაჩეხილი ქალის ფიგურა, რომელზედაც ასეთ შემზარავ აგრესიას თავად ავტორი ახდენს (რა თქმა უნდა, ისევ და ისევ არაცნობიერი ფსიქიკით). ესაა ერთგვარი ორესტეს სინდრომი (მამის მკვლელობისათვის დედაზე შურის ძიება), რომელიც დედის კომპლექსის, დედის შიშის ესთეტიკურ გადალახვას უნდა ნიშნავდეს. ესაა ტიპური ხულიერი კათარზისი მხატვრული შემოქმედების საშუალებით, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ნებისმიერი შემოქმედებითი აქტი ქართულ კულტურულ სივრცეში საკმაოდ რთული, უკიდურესად დაძაბული და ტკივილიანია, მაგრამ ნებისმიერი ფასეულობა დიდი ტკივილის საშუალებით იბადება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## „მოწიწება სიცოცხლის წინაშე“

ამ სიტყვებით გამოხატა გერმანელმა ჰუმანისტმა, თეოლოგმა, მუსიკათმცოდნემ, კულტურის ფილოსოფოსმა და ექიმმა, მშვიდობის ნობელის პრემიის ლაურეატმა (1952), ალბერტ შვაიცერმა (1875-1965), თავისი ადამიანური, ზნეობრივი და ფილოსოფიური კრედო ჩვენი საუკუნის დამდეგს.

ალბერტ შვაიცერმა დატოვა უზრუნველყოფილი ცხოვრება ცივილიზებულ ევროპაში და მეუღლესთან, ელენე ბრესლაუსთან ერთად ტანჯვა-ვაებით აღვსილ აფრიკაში დასახლდა, რათა იქ თავის მიერ დაარსებულ ჰოსპიტალში მთელი ცხოვრება ავადმყოფი ზანგების მოვლა-მკურნალობისათვის შეეწირა. მან პირველმა განსაზღვრა ახალი საუკუნისა და ახალი ადამიანის ეთიკური კოდექსი: „მოწიწება სიცოცხლის წინაშე“. მან არსებითი ნაკლი დაინახა ყველა კულტურაში, ტრადიციასა და რელიგიურ სისტემაში, რომლებიც არ მოუწოდებენ ადამიანს პატივი სცეს, აღიაროს და გაუფრთხილდეს არა მხოლოდ მეორე ადამიანის, არამედ ყველა უენო არსების, სულიერი და უსულო ქმნილების სიცოცხლეს, ყოფნას, სიცოცხლის წყურვილსა და უფლებას ჩვენს საერთო სამშობლოში – დედამიწაზე. „მოწიწება სიცოცხლის წინაშე“ – ეს სიტყვები იქცა ჩვენი საუკუნის იმ მსოფლმხედველობისა და საზოგადოებრივი მოძრაობის დევიზად, რომელმაც ამოცანად დაისახა ემხილებინა ადამიანის მიერ სიცოცხლის განადგურება მთელს დედამიწაზე და, შეძლებისდაგვარად, დაემუხრუჭებინა გაბგვარების ეს სულ უფრო მზარდი პროცესი.

ჩვენთან, საქართველოში, ევროპასთან შედარებით, ცხადია, ძალიან გვიან (მაგრამ „გარდაქმნად“ წოდებული ახალი პოლიტიკური ჟამის დადგომისთანავე, კერძოდ, 1989 წელს) დაიწყო ეკოლოგიური ცნობიერების ფორმირება. ეს მისია თავის თავზე აიღო რუსთაველის საზოგადოების ეკოლოგიურმა სექციამ, რომელსაც სათავეში ედგა ზურაბ ჟვანია. მაგრამ შემდეგ, უკვე მწვანეთა მოძრაობად და პარტიად ქცეული ეკოლოგიური ენთუზიაზმი, მთლიანად შეერწყა რა პოლიტიკასა და ხელისუფლებას, სრულიად დადამბლავდა და ჩაკვდა. ასევე შეწყდა მცდელობანი – ქართული და ევროპული სულიერების ერთიან კონტექსტში მოაზრებულიყო ეკოლოგიური მოძრაობის იდეურ- მსოფლმხედველობრივი საფუძველი (ნ. გელაშვილი, „ტექნოკრატია, ეკოლოგია, პოეზია“, 1989 წ., გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“).

დღევანდელ საქართველოში, სადაც განუხრელად გრძელდება სასიცოცხლო სივრცის განადგურება, „მოწიწებით სიცოცხლის წინაშე“ ცალკეული პიროვნებანი თუ არიან აღვსილნი. მაგრამ ვერც ცალკეული პიროვნებანი, ვერც ცალკეული ეკოლოგიური აქტივობები, ვერც 1994 წლის გაზაფხულზე დაფუძნებული „ცხოველთა დაცვის საზოგადოების“ გულწრფელი მცდელობანი ვერ ახდენენ გავლენას ულმობელ დამოკიდებულებაზე მცენარეთა და ცხოველთა მიმართ.

თუმცა ვაცნობიერებთ, რომ გაცილებით ადვილია ახალი იდეის დანერგვა, ვიდრე დისკრედიტირებულის რეანიმაცია მაინც გვსურს ჩვენი წვლილი შევიტანოთ ეკოლოგიური ცნობიერების ანუ ადამიანის ახალი ზნეობრივი კოდექსის დამკვიდრებაში, ურომლისოდაც გზას გადავუკეტავთ ჩვენს იხედაც ბუნდოვან მომავალს.

ჟურნალი შეეცდება მუდამ გააშუქოს სიცოცხლის გლობალური ხელყოფის პრობლემა მთელს დედამიწაზე და, კერძოდ, საქართველოში; გააშუქოს იმ ადამიანთა კეთილშობილური მოღვაწეობა, რომლებიც ცდილობენ წინ აღუდგენ ადამიანის მიერ უენო ქმნილებათა სულ უფრო მზარდ ჩაგვრას.

ამჯერად კი, უბრალოდ, მოგაწვდით ცნობებს მსოფლიოს ეკოლოგიური ატლასებიდან.

ელენე ჩერქეზიშვილი

## ეკოლოგიური ატლასებიდან

საიდუმლოს აღარ წარმოადგენს ის, რომ ადამიანი სასიცოცხლო გარემოს საბოლოო განადგურების გზას ადგას ("ტყის სიკვდილი", "სათბურის ეფექტი", "ოზონის ხვრელი" და ა.შ.). ამიტომ ბუნებრივია, სულ უფრო მატულობს მცდელობა – დამუხრუჭდეს საზიანო ზემოქმედებანი ბუნებაზე ("გარემოს დაცვა").

სასიცოცხლო გარემოს გადასარჩენად საჭიროა ცოდნა იმისა, თუ როგორ არის იგი აგებული. ეკოლოგია სწორედ მის ახსნასა და აღწერას ცდილობს (ეკოლოგია – ბერძნულად "ოიკოს", – ნიშნავს საცხოვრისს, სამყოფელს).

ეკოლოგიას, როგორც ბიოლოგიის ერთ-ერთ განხრას, საფუძველი ჩაუყარა ბიოლოგმა ერნსტ ჰეკელმა (1834–1919) წინა საუკუნეში, კერძოდ, 1866 წელს. იგი მას განმარტავდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც "მეცნიერებას გარემომცველ სამყაროსთან ორგანიზმის კავშირების შესახებ". დროთა ვითარებაში ამ საგნიდან განვითარდა ბიოლოგიას, გეოგრაფიასა და სოციოლოგიას შორის გაჩენილი და მათი დამაკავშირებელი დამოუკიდებელი დისციპლინა. იგი იკვლევს მცენარეების, ცხოველებისა და ადამიანების ზეგავლენას მათ გარემომცველ არაორგანულ ბუნებასა და ერთმანეთზე, ასევე გარემოს გავლენას მათზე: შეისწავლის როგორც ცალკეულ არსებებს, ასევე მათ გვარებსა და სახეობებს და მათ ერთობლივ ცხოვრებას ("ბიოტოპი", "ეკოსისტემა").

## დედამიწა — დიდი სათბური

ზოგიერთი გაზი, როგორიცაა ნახშირბადი, მეთანი, $FCKW_s$ და სხვ. ახლა გაცილებით სწრაფად აღწევს ატმოსფეროს ყველაზე მაღალ ფენებს, ვიდრე უწინ. "სათბურის ეფექტის თეორიის" დამცველები გვაფრთხილებენ, რომ ეს ნარევი ისეთ ფენას შექმნის ატმოსფეროში, რომელიც ხელს შეუშლის დედამიწის სითბოს კოსმოსში გასვლას, ეს კი დედამიწაზე ტემპერატურის საგრძნობ მატებას გამოიწვევს. წინასწარმეტყველებენ ზღვის დონის აწევას, მიქცევა–მოქცევათა, სულ უფრო მძვინვარე ქარიშხლების გახშირებას. მათი აზრით, ასეთი ცვლილებები გამოიწვევს მტკნარი წყლების გამლაშებას, მოუსავლიანობას, მცენარეული სამყაროს ნგრევას, უდაბნოების გაფართოებასა და კუნძულების მთლიანად დატბორვას. განსაკუთრებით დაზიანდებიან ის ქვეყნები, რომლებიც მდებარეობით ლამის ზღვის დონეს უსწორდებიან. მაგალითად, ბანგლადეში, ჰოლანდია და მრავალი მცირე კუნძულ–სახელმწიფო ატლანტიკის ოკეანეში. მსოფლიოს უმეტესი მეტროპოლია, მათ შორის მრავალი დედაქალაქი, სანაპიროზეა განლაგებული. ზღვის დონის მცირედი აწევაც კი მათ წყალდიდობების საშიშროების წინაშე დააყენებს. კლიმატის სულ უფრო მეტი ცვლილებები და სოფლის მეურნეობის მოშლა კატასტროფულ შედეგებს მოუტანს არა მარტო დაზარალებულ ერთეულ ჯგუფებს, არამედ სხვადასხვა ხალხებს.

გარემოს მკვლევარნი წლების მანძილზე ზრუნავენ სათბურის ეფექტის შემცირების სტრატეგიის შემუშავებაზე. ყურადღების ცენტრში დგას ბუნებრივი საწვავისა და $FCKW_s$ ხარჯვის შემცირება. ასევე აუცილებელია, შეჩერდეს ჩვენი პლანეტის ტყეების შემდგომი გაჩეხვა. ასეთი მოთხოვნილებები ძალზედ მკვეთრ ცვლილებებს გულისხმობს. მათი განხორციელება ინდუსტრიული ქვეყნებისა და იქაური ცხოვრების სტილის სრულ შეცვლას ნიშნავს, კიდევ უფრო მეტად დაზარალდებიან ღარიბი ქვეყნები და მათი ეკონომიკური ზრდის გეგმები. ამ აუცილებლად გადასადგმელ ნაბიჯთა უსაზღვრო მასშტაბები ახლანდელ პოლიტიკურ და ეკონომიკურ საქმიანობას დადამბლავებას უქადის და მეცნიერთა შორის მწვავე დისკუსიებს იწვევს. მაგრამ რადგანაც ეკონომიკასა და პოლიტიკაში კვლავაც მოკლევადიანი აზროვნება ჭარბობს, ამჯობინებენ, სათბურის ეფექტის რეალობაში შეიტანონ ეჭვი, ვიდრე მის აღმოსაფხვრელად იმოქმედონ.

## გავმრავლდეთ თუ არა?

აფრიკისა და ევროპის მოსახლეობის რაოდენობა 1985 წლისათვის დაახლოებით თანაბარი იყო. მაგრამ ვარაუდობენ, რომ 2025 წლისათვის აფრიკის მოსახლეობის რიცხვი ევროპისას ოთხჯერ[1] გადააჭარბებს. მხოლოდ ნიგერიის მცხოვრებთა რაოდენობა, რომელიც 1985 წელს ამერიკის მოსახლეობის ნახევარს თუ შეადგენდა, დროის ამ მონაკვეთში სრულიად ადვილად გაუსწრებს აშშ-ისას. ოთხმოციან წლებში ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები მსოფლიო მასშტაბის მოსახლეობის ზრდის ყველაზე დიდი პროცენტით ხასიათდებოდნენ. პირველ ათეულში შედიოდნენ ომანი, ლიბია, არაბეთის გაერთიანებული ემირატები, საუდის არაბეთი, ქუვეითი, ბაჰრეინი

და ირანი.

მოსახლეობისა და სასიცოცხლო გარემოს ურთიერთდამოკიდებულება სრულიადაც არ არის მარტივი. ხშირად გამოთქვამენ აზრს, რომ ეკოლოგიური პრობლემების ზრდა პირდაპირ კავშირშია მსოფლიოს მოსახლეობის მატებასთან. მრავალი ეკოლოგი-ექსპერტი იზიარებს ამ მოსაზრებას. ფაქტებით კი საწინააღმდეგო მტკიცდება. თუკი დღეს მოსახლეობის ზრდა მესამე სამყაროსთვის დამახასიათებელი ფენომენია, გლობალური ეკოლოგიური კრიზისი, რომლის წინაშეც ვდგავართ, მთლიანად ინდუსტრიული საზოგადოების ცხოვრების სტილის შედეგს წარმოადგენს, – საზოგადოებისა, რომელიც თავის ხარბ მოთხოვნილებას ნედლეულზე ვერა და ვერ იკმაყოფილებს. ადამიანის მიერ დედამიწის ატმოსფეროს დაბინძურება ციფრებით რომ გამოიხატოს, ასეთ შედეგს მივიღებთ: ამ დაბინძურებაში აშშ-ის ერთი მოქალაქის "წვლილი" 16-ჯერ მეტი იქნება განვითარებადი სამყაროს ერთ მცხოვრებთან შედარებით. დასავლეთევროპელისა კი 5-ჯერ მეტი. განვითარებული ქვეყნის მაცხოვრებელი საშუალოდ ათჯერ მეტ ენერგიას, ფოლადს, თხუთმეტჯერ მეტ ქაღალდსა და ერთნახევარჯერ მეტ საკვებ პროდუქტს გამოიყენებს, ვიდრე განვითარებადი ქვეყნის მოქალაქე.

თუ თვალს გადავავლებთ მსოფლიო მასშტაბის უმძიმეს ეკოლოგიურ პრობლემებს, როგორიცაა, მაგალითად, ბუნებრივი საწვავის გამოყენების შედეგად წარმოქმნილი გამონაბოლქვი, ოზონის დამაზიანებელი ნივთიერებების წარმოება და გამოყენება, ნავთობის ნედლეულის მოხმარება, და მისგან გამომდინარე, გარემოს გაჭუჭყიანება, მჟავე წვიმები, საყოფაცხოვრებო და მომწამვლელი სამრეწველო ნაგვის გორები, ეგზოტიკური ცხოველებით გაქრობა და ტყეების გაჩეხვა, – მაშინ ნათელი გახდება, რომ ყველაფრის მიზეზია არა დედამიწის ულარიბესი ქვეყნების მზარდი მოსახლეობა, არამედ მდიდარი ქვეყნებიდან მომდინარე ზეწოლა-დათრგუნვა.

ეს იმას არ ნიშნავს, რომ მოსახლეობის ზრდა ბუნებრივ ეკოლოგიურ სისტემას საერთოდ არ აწევს ტვირთად. ცხოველთა ბუნებრივი საცხოვრებელი გარემოს განადგურება და ტყეების გაკაფვა მიწების სამეურნეო გამოყენების მიზნით, წყლის ხარისხის გაუარესება ქალაქებში, – ეს მხოლოდ რამდენიმე მაგალითია, რომელიც ცხადყოფს გარემოზე ადამიანის განუსაზღვრელ გავლენას. მაგრამ, საბოლოოდ, ყველა ეს პრობლემა სიღარიბისა და მცდარი პრიორიტეტების შედეგია და ჭარბი მოსახლეობისა.

სამხედრო შეიარაღება უდიდესი ხელისშემშლელი პირობაა ეკოლოგიურ პრობლემათა გადაწყვეტის თვალსაზრისით. მაგალითად, ის თანხები, რასაც ბრიტანული ფირმა British Aerospace ხარჯავს Hawk ტიპის თვითმფრინავების ასაგებად, მესამე სამყაროს 1.5 მილიონ ადამიანს უზრუნველყოფდა სასმელი წყლით მთელი დარჩენილი ცხოვრების მანძილზე. ეთიოპიაში უდაბნოს ტიპის რეგიონების ათვისების შემოთავაზებულ პროგრამათა წლიური ხარჯები ამ ღარიბი ქვეყნის ორი თვის სამხედრო ხარჯებს უტოლდება.

მეორეს მხრივ, სოციალური უთანასწორობის სამყაროში ეკოლოგიური პრობლემები თავად იქცევა მოსახლეობის ზრდის საფუძვლად. იმ ქვეყნებში, სადაც ჩვილი ბავშვები, სუფთა წყლის ნაკლებობის გამო კუჭნაწლავის დაავადებით იხოცებიან, უფრო მეტი ბავშვი იბადება. განსაცვიფრებელი მაგალითია!

შეიძლება მოსახლეობის ზრდა მართლაც წარმოადგენს პრობლემას, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, არა ისეთს, როგორადაც წარმოგვიჩენენ. ეკოლოგიური პრობლემების მთლად გადაჭრა შეუძლებელია. იგი ვერც შობადობის შემცირებით გადაწყდება. შეიძლება ყველაფერი სწორედ პირიქით იყოს.

## ცხოველთა სამყაროს შემცირება და შემჭიდროვება

ცხოველთა ჭარბად მოხმარება, მათი ბუნებრივი საცხოვრებელი არეალების შემცირება (განსაკუთრებით ტყის გაკაფვის გამო), ნადირობა და გარეული ცხოველებით ვაჭრობა, — აი, ძირითადი მიზეზები ცხოველთა სახეობების სულ უფრო სწრაფი გადაშენებისა. 2000 წლისთვის შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ყოველწლიურად 40 000 – 50 000 სახეობა სამუდამოდ გაქრება ჩვენი პლანეტიდან.

ცხოველთა სამყაროს ცოდნა სხვადასხვაგვარია ყველა ქვეყანაში. ისევე როგორც მცენარეთა სახეობების შემთხვევაში, აქაც უმთავრესი ინფორმაცია ძირითადად მდიდარი, ინდუსტრიული ქვეყნების შესახებ არსებობს. ყველა სხვა სახელმწიფოს, მათ შორის მდიდარი ფლორისა და ფაუნის მქონე ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა, მაგალითად, ბრაზილია ან ზაირი, თითქმის არ გააჩნია მეცნიერული დაკვირვებისთვის საჭირო ტექნიკური მოწყობილობა. გარდა ამისა, რიცხობრივი მონაცემებიც სულ სხვადასხვაგვარია. დიდი ძუძუმწოვრებისა და პრიმატების შესასწავლად უფრო იოლად გასცემენ თანხებს (შესაძლოა, მათი ადამიანთან ნათესაობისა და ჩვენთვის მათი "სარგებლიანობის" გამო), მაშინ როცა ნაკლებად მიმზიდველი ძუძუმწოვრები, ფრინველები, თევზები, ან სულაც მწერები ძალზე ნაკლებ ყურადღებას იპყრობენ. თევზების გადაშენების შესახებ მხოლოდ ბუნდოვანი ვარაუდები არსებობს, და როცა მწერთა ბევრი სახეობა საერთოდ ქრება, მათი რაოდენობის შესახებ კიდევ უფრო ნაკლებად სერიოზულ შეფასებაც შეხვდებით.

განსაკუთრებით ფრინველები დგანან გადაშენების საფრთხის წინაშე, რადგან ისინი დიდ მანძილზე მოგზაურობენ და ვრცელ ტერიტორიაზე არიან გაფანტულნი. მათ დასაცავად საერთაშორისო თანამშრომლობაა საჭირო, რაც საკმაოდ იშვიათად ხორციელდება. მილიონობით მომღერალი ჩიტის ყოველწლიური განადგურების ფაქტი ხმელთაშუა ზღვის არეალში, მათი გადაფრენის მარშრუტების გაყოლებაზე, დიდად გახმაურდა და ევროგაერთიანების პროტესტიც კი გამოიწვია, მაგრამ ეს დანაშაული დღემდე ვერაფრით შეაჩერეს. ევროპული ფრინველების სახეობათა მესამედი გადაშენების საფრთხის წინაშე დგას, ძირითადი მიზეზი ნადირობაა, რასაც თან სდევს საცხოვრებელი არეალის განადგურებაც. დაახლოებით 300 მილიონი გადამფრენი ფრინველი ხდება ყოველწლიურად მონადირეთა მსხვერპლი. ისინი ამ ხოცვა-ჟლეტას იმით ამართლებენ, რომ საქმე მამაკაცურ რიტუალს ეხება, რასაც ათასწლეულოვანი კულტურული ტრადიცია აქვს.

გარემოს ცნობილი დამცველი ნორმან მაირსი ასეთ მწარე ფრაზებს წერდა იმ უფსკრულის შესახებ, რომელსაც ჩვენ ვუახლოვდებით: "უმეტესად იხე, რომ არ გვსურს, ვანადგურებთ ბუნების მრავალფეროვნებას მთელ მსოფლიოში. მუჯლუგუნებით ვერეკებით ცოცხალ არსებათა მთელ სახეობებს პლანეტიდან, სივრცეს ვტაცებთ მათ ბუნებრივ თანაცხოვრებას, დედამიწას ჩვენს ქვეშევრდომად ვაქცევთ. სულ უფრო მზარდი ენთუზიაზმითა და მდიდარი გამომგონებლობით ვაჭარბებთ ჩვენსავე თავს და ვიქცევით ცხოველთა სამყაროს ბატონებად... და ბოლოს შეიძლება იმასაც მივაღწიოთ, რომ ჩვენს ჭარბდასახლებულ პლანეტაზე საცხოვრებელი არეალის გულისთვის გავანადგურებთ ყველა კონკურენტს. და როცა უკანასკნელ სულდგმულსაც მოვიშორებთ თავიდან, გავხდებით ღვთის ქმნილების ერთადერთი ბატონ-პატრონები, მაშინ შეგვიძლია მიმოვიხედოთ და დავასკვნათ, რომ, ბოლოს და ბოლოს, მხოლოდ ჩვენ

დავრჩით. როგორც იქნა, მარტონი ვართ."

### მწვანე საფარი საფრთხეში

სიცოცხლე ჩვენს პლანეტაზე უშუალოდაა დამოკიდებული მცენარეებზე. მიუხედავად ამისა, მწვანე საფარი შემაშფოთებელი სისწრაფით ნადგურდება. თუ ეს პროცესი ასე გაგრძელდა, უახლოეს ხუთ წელიწადში 40 000 – 60 000-მდე მცენარეს დაემუქრება გაქრობის საფრთხე.

ზუსტი ინფორმაციის მიღება მცენარეთა განადგურების თაობაზე საკმაოდ ძნელია. ასეთი ინფორმაციის ერთადერთი შემგროვებელია ინგლისის ბუნების დაცვის საერთაშორისო გაერთიანების (IUCN) გადაშენების პირას მისული მცენარეების განყოფილება. ისინი აქვეყნებენ ე. წ. წითელ სიებს. დღემდე ასეთი სია შედგენილია 70 ქვეყნისა და კუნძულისათვის. ჩრდილოეთის უმეტესი ქვეყნების ზომიერი სარტყლის ვეგეტაცია IUCN-ის მიერ კარგადაა გამოკვლეული. სამაგიეროდ, ძალზე მწირეა ცნობები სამხრეთის ქვეყნების ტროპიკული ვეგეტაციის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ დედამიწაზე არსებულ მცენარეთა სახეობის უმრავლესობა სწორედ ამ ქვეყნებში ხარობს, ისეთი მნიშვნელოვანი ქვეყნებისათვის, როგორიცაა ბრაზილია, ცენტრალური ამერიკის მხარე და აფრიკის დიდი ნაწილი, თითქმის საერთოდ არ არსებობს არავითარი ინფორმაცია და გამოკვლევები. მცენარეების დაცვისათვის იმას უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, რაც ცნობილი არაა, ვიდრე იმას, რაც ცნობილია. სავარაუდოა, რომ მცენარეთა გადაშენების დაბალი პროცენტი ინფორმაციის ნაკლებობას უფრო ასახავს, ვიდრე რეალობას.

მცენარეების გადაშენება საშიშროებას უქმნის ჩვენს საკვები პროდუქტით მომარაგებას და ხელს უშლის მედიცინის წინსვლას. იკარგება მცენარეთა სახეობები, რომლებიც აუცილებელია სოფლის მეურნეობაში. ჩვენი საკვების ოთხმოცი პროცენტი ამ მცენარეებისაგან შედგება.

(გაგრძელება შემდეგ ნომრებში)

გერმანულიდან თარგმნა
თეა კეჭაღმაძემ

წიგნებიდან: "Der Oecko-Atlas", "Atlas zu Oeckologie", 1990, dtv, Muenchen;

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# კავკასია

გიორგი კორნაპელი

## ძმათა ომი*

ზიზღით დაგრეხილ სახეებით
უფსკრულს შთაინთქეთ!
ჩაგშავებიათ სიძულვილით
თვალები შუშის,
აჰა, ჩაგყარეს ჯოჯოხეთის დუჟიან კუპრში,
ცეცხლის ისრები გამოჩრიათ
ყინულის ლოდებს,
საგოდებელში:
ჰგოდებთ,
ჰგოდებთ,
ჰგოდებთ
და ჰგოდებთ,
ეხურებიან ვარსკვლავები ქალაქს ტიარით,
ამაოებას შემომკვნესის ქარი ტიალი.
არავინ არვის აღარ უსმენს,
არცა უსმენდა,
გასივდა: სევდა,
სევდა,
სევდა,
სევდა
და სევდა,
ბინძური მტვერი შთაინთქავდა ელვის ირისებს,
ყარს ღამე: მქისე,
მქისე,
მქისე,
მქისე
და მქისე.
ვერ გხედავ, სიონ!
მოცული ხარ სატანა-გველით,
ყოველ ნაბიჯზე:
მკვლელი,
მკვლელი,
მკვლელი და მკვლელი.

და მკვლელი.
კივიხარ: ვინ ხარ!
ვინ ხარ,
ვინ ხარ,
ვინ ხარ,
შენ ვინ ხარ?
ბნელში ფაჩუნობს და ნებივრობს
მძორებზე ვირთხა.
ისმის გუგუნი:
ის აღსდგება!
ის უნდა აღსდგეს!..
ჩამქრალ ლამპრებზე შეხმობიათ
ხელები ლანდებს...
ო, ყველაფერი მომხდარიყო
ნეტავ თეატრში!
გადაიარეს შემოდგომის ფოთლებმა მარშით
და ჩურჩულებენ, ჩურჩულებენ ქარბორბალათი
და ჩურჩულებენ!
მარადის და აწდა მარადის:
იქნები მხოლოდ ბედნიერი გიჟის ხალათით....

ბოროტ ლაშებზე აკივლდება
სისხლი შემხმარი,
ბნელზე ბნელიდან უბნელესში
გადარბის მკვდარი,
ქარი აზავებს ნაღველსა და ბენზინის ნახველს,
ძვლების ფოსფორი პარპაშებდა
საღამოს თალხზე...
სად არს სამანი?
თუ უსაზღვრო არის დაცემა?
ჩონჩხების მტვერი მთვარეებში დნება და დნება,
იფრინ-იქროლეთ აჩრდილებო!
იფრინ-იქროლეთ;
დაემშვიდობეთ ჯოჯოხეთის საზარელ როლებს.
რატომ აღზევდით?
რომ ძმათ ღვიძლი გეწვათ შამფურზე?
ჩაქრებოდე, მზევ, შენც ეშვები,
თავქვე შთახდები!
სადღაც ქვემეხი დაიქუხებს დაფლეთილ გულზე
და ჩაიქცევა შიგნეული
ბოროტ სახლების.

შესვარ-შებილწეს სისპეტაკე
ნათელ ოლარის,
და-ძმათა სისხლით იჩხრიალეს
ოქრო-დოლარი...
ძვლებს ვერ გაიტან ამ საშინელ მგლების ხროვაში,
ყველგან ყმუილი სისხლიანი,
ყველგან მყეფარი,
გაშავდ-გასივდა ღრუბელი ძმარით.
განგმირულ გვერდში ერჭობა ქარი.
ვერ დაუტევე ეს უდაბნო? ვერ დაუტევე?
ასუდარებდა, აჩონჩხავდა ზამთარი ტყე-ველს.
ო, იანვარი, იანუსი,
ო, იანუსი
ხეებს ჰკიდია ვარსკვლავების გაყინულ პულსით.

*დასაწყისი პოემისა „ქრონოსი და იანუსი"

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გაუცხოების დასაწყისი: აფხაზეთი, 1917-1920

ამ წერილის ავტორი ჩვენთვის უცნობია. როგორც ტექსტიდან ჩანს, იგი საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი ყოფილა და კარგად სცოდნია აფხაზეთის ცოცხალი ყოფა, აფხაზი ხალხის სულიერი მდგომარეობა. წერილი პირველად 1931 წელს დაბეჭდილა გერმანიაში ქართველ ემიგრანტთა ორგანიზაციის „თეთრი გიორგის" გაზეთში, ფსევდონიმით „მეგობარი". როგორც წერილის შინაარსი გვიჩვენებს, ავტორი ორივე ხალხის, აფხაზებისა და ქართველების მეგობრად სთვლის თავს და ცდილობს ობიექტურად აღწეროს ქართველ-აფხაზთა გაუცხოების დასაწყისი და მიზეზები.

ავტორის მიერ ხაზგასმულია საქართველოს პოლიტიკური და სამხედრო წრეების მიერ აფხაზთა მიმართ დაშვებული სამი ძირითადი შეცდომა: 1. ფსიქოლოგიური (აფხაზების გამოცხადება ქართველებად, მათი ეროვნული ღირსების შელახვა); 2. პოლიტიკურ-ეკონომიკური (მენშევიკური მთავრობის მიერ აფხაზეთის მიმართ გატარებული უპასუხისმგებლო ეკონომიკური პოლიტიკა); 3. სამხედრო (გენერალ ჯუღელის მიერ აფხაზთა შეიარაღებულ ძალებთან კავშირის უარყოფა, მისი გვარდიის აფხაზეთში შესვლა, იქ გაჩაღებული ძარცვა-გლეჯვა და ძალადობა).

არ ასრულდა ავტორის ნატვრა: მომავალში აღარ განმეორებულიყო ეს მძიმე შეცდომები და დანაშაულებანი. შეცდომები ზუსტად განმეორდა და გაცილებით უფრო დიდი უბედურებით – აფხაზ-ქართველთა ნამდვილი ომით დაგვირგვინდა.

ჩვენი უახლოესი ისტორიის, კერძოდ, აქ აღწერილი პერიოდის ცოდნა მეტ შესაძლებლობას მოგვცემდა პრობლემა სწორად გაგვეაზრებინა და მისი გადაჭრისათვის აგვერჩია არა ომი, არამედ გონებისმიერი გზა. თუმცა, ზნეობრივ-გონებრივი მარცხის გაკვეთილად გადაქცევა, რაც ჯერ არც დაგვიწყია, სრულიად აუცილებელია, იმ ჩიხიდან გამოსახვლელად, რომლის მხოლოდ ერთ ნაწილს შეადგენს აფხაზეთის პრობლემა.

(წერილის სტილი და ორთოგრაფია შენარჩუნებულია)

არა მაქვს განზრახვა ვრცელი ისტორიუ-ლი და პოლიტიკური მიმოხილვისა, მხოლოდ მსურს აღვწერო ის, რაც საკუთარი თვალით მინახავს ან სარწმუნო პირთაგან გამიგონია. აფხაზეთის უკანასკნელი ხანის ცხოვრებისა და მომხდარ ამბავთა მიზეზების შესწავლა და აწონ-დაწონვა საშუალებას მისცემს ახალ თაობას მომავალში მაინც თავიდან აიცი-ლოს ის შეცდომები, რომლებმაც ღრმად დაჰკოდა ჩვენი ერის სხეული და გაბზარა საუკუ-ნეთა განმავლობაში არსებული ერთობა მის ტომთა შორის. იძულებული ვარ შორიდან დავიწყო, რათა უფრო ნათლად წარმოსად-გენი იქმნეს მიზეზები ამ მოვლენისა.

აფხაზეთის უკანასკნელ მთავარს, მიხეილ შარვაშიძეს, რუსებმა ვაჭრობა დაუწყეს. დასავლეთ საქართველოს მმართველად მაშინ იყო თავადი სვიატოპოლკ-მირსკი, რომელსაც ადიუტანტად ჰყავდა გვარდიის კავალერგარდის რაზმის ოფიცერი ოტია დადიანი. ოტია დადიანი იყო მთავრის სიძის ნიკოლოზ დადიანის ძმა. ამ მოყვრული განწყობილებით უნდოდა ესარგებლნა თავ. მირსკის და მოლაპარაკებას აწარმოებდა მთავართან ოტია დადიანის საშუალებით, (რომლისგანაც მე პირადად მაქვს გაგონილი ბევრი რამ). იგი უწუნებდა მთავარს ქინიანობას, გულზვიადობას და წინდაუხედაობას. მთავარს რუსები აძლევდნენ: ქ. ქუთაისში საზამთრო სასახლეს, აჯამეთის მამულს სანადიროდ, რაჭაში საზაფხულო სასახლეს და ორ მილიონ მანეთს თანხად, რომლის სარგებელი წლიურად მას პენსიად ექმნებოდა. მთავარი ასეთს წინადადებას უარყოფდა და ამბობდა: რას მევაჭრებიან? რა უნდა გავყიდო, რაც არა მიყიდია რა? ეგ მოხუცლეების ხრიკებია, თორემ რუსეთის იმპერატორი მეტად კეთილად არის ჩემთან განწყობილი, რაის დამამტკიცებელიც არის მეფის წყალობისა და ალერსის წერილები ჩემდამი. მაგრამ მთავარს იმედი არ გაუმართლდა და სასტიკად მოსტყუვდა. იგი რუსეთის მეფემ მიიპატიჟა ყირიმში, ვითომც სანადი-

როდ და ის გაემგზავრა კიდეც თავისი ამალით, ბაზიერებით, კურძვალებით, მწყაზარი ქორით და სანაქებო მწევრებით. მოსცილდა ნაპირს გემი და შუა ზღვაში მას გამოუცხადეს, რომ იგი გადასახლებულია რუსეთში და ყირიმის მაგივრად ვორონეჟში გააგზავნეს. მთავრის ორიოდე ერთგული კაცის და საყვარელი მწევრის მეტი ყველანი უკანვე გამოისტუმრეს. მისი უფროსი ვაჟი – ექვსი წლის გიორგი – მაშინდელმა მთავარმართებელმა, დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ თავისთან დასტოვა ადიუტანტად, ხოლო ორი მცირეწლოვანი, მიხეილი და ბარბალე, რუსეთში გაგზავნეს. მთელი უძრავი ქონება მთავრისა სახელმწიფოდ იქმნა გამოცხადებული და მოძრავი კი საჯარო ვაჭრობით გაიყიდა სულ იაფად. თითქმის ყველაფერი, რაც კარგი იყო, თითონ დიდმა მთავარმა „იყიდა". ასეთს მუხანათობას და ვერაგობას აფხაზები ადვილად ვერ შეურიგდებოდნენ და მთელი რიგი აჯანყებათა მოჰყვა ამ უსამართლობას. აჯანყებანი ჩვეულებრივი ველურობით და სიმხეცით ჩააქრეს რუსებმა. გადასწვეს და გადაბუგეს ქვეყანა, აფხაზები აიკლეს და დიდი ნაწილი კი ოსმალეთში გადაესახლა. აქეთგან იწყება რუსების შავრაზმული ძალების დენა შავი ზღვის ნაპირებისაკენ, რაც უკანასკნელ ხანამდე გრძელდებოდა. თუ იყო „რუსული საქმე კავკასიაში", კიდე იყო განსაკუთრებული „რუსული საქმე შავი ზღვის ნაპირებზედ". შავი ზღვის ნაპირები, წინად ჩერქეზებით დასახლებული, დაცარიელებული იყო, რადგან ჩერქეზები რუსებმა მთლად აჰყარეს და ოსმალეთში გადახვეწეს. რუსეთის მთავრობის მიზანი იყო გადახვეწილთა მაგიერად ამ მიწებზედ რუსები დაესახლებინა და ამ საქმის შესრულებას გულმოდგინედ შეუდგა იგი. დიდძალი მამულები უფასოდ დაურიგა რუსის მოხელეებს და რუსეთის ერთგულთ. მთავრობა სულ იაფად ყიდდა ამ სხვის მიწებს; განსაკუთრებით რუსები იყვნენ მყიდველები, რადგან ამით სხვა და სხვა შეღავათები ჰქონდათ. სულ მცირე ხნის განმავლობაში რუსები ბლომად მოედვნენ შავი ზღვის ნაპირებს, დაბინავდნენ იქ, მოიკიდეს მაგრად ფეხი და აწარმოებდნენ რუსულ, შავრაზმულ პოლიტიკას, რომლის სულის ჩამდგმელი იყო „ჩერნომორსკი ვესტნიკის" რედაქტორი პალმი. თუ რა სულისკვეთების იყო პალმი და მისი მრევლი, ადვილად წარმოსადგენია, თუ გავიხსენებთ პალმის მიერ „ჩერნომორსკი ვესტნიკის" ფურცლებზედ გამოთქმულს აზრს: მეგრელები და აფხაზები ქურდებია, იმერლები მიკიტნები და ქართლ-კახელები მეღორეები; სწორედ გითხრათ, კარგი ერია, ასე ახასიათებდა ეს რუსის ხულიგანი ქართველს ერს.

თვით აფხაზებს არ შესწევდათ ძალა ებრძოლათ ამ ძლიერი რუსული ტალღისა და რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ, ქართულ მოწინავე საზოგადოებას კი არ ეცალა ამ კუთხისათვის, და რუსობაც მეტად გაძლიერდა. გახსნეს რუსული სასწავლებლები, დაწესებულებებში, რასაკვირველია, ყველგან რუსული იყო გამეფებული, წირვა-ლოცვა რუსულ ენაზედ სწარმოებდა და თვით მღვდელთმთავარი რუსი ინიშნებოდა. ეწეოდნენ ძლიერ პროპაგანდას, რომ აფხაზებს არაფერი საერთო აქვთ ქართველებთან და სულ სხვა ერია. შეუთხზეს მათ საკუთარი ანბანი, რომელიც რუსულისაგან არ განირჩეოდა, მხოლოდ ზოგიერთს ასოს რაღაც კუდები მიუმატეს, თუმცა ამ ანბანმა ვერ იხეირა და აფხაზურად წირვა-ლოცვის შემოღებაც სრულებით ვერ მოხერხდა. საერთოდ კი „რუსული საქმე შავი ზღვის ნაპირებზედ" დაუბრკოლებრივ ყვაოდა და ძლევამოსილი წარემართებოდა აფხაზთა გადასაგვარებლად და აფხაზეთის საქართველოსაგან ჩამოსაშორებლად. ამნაირად აფხაზეთსაც დიდად ავნეს რუსებმა, როგორც საქართველოს ყველა კუთხეს, მაგრამ აფხაზის სრული გადაგვარება ძნელია, რათგან ის მაგრად ებღაუჭება აფხაზობას და სავსებით გრძნობს მას. რუსეთის პოლიტიკამაც აფხაზეთში მხოლოდ ჩვენთვის საზიანო და სამწუხარო ნაყოფი გამოიღო, თვით აფხაზს კი აფხაზობაზედ ხელი ვერ აალებინა, ვერ გაარუსა, ვერც რუსი შეაყვარა, ვერც ქართველი შეაძულა, თუმცა ამას მეტად სცდილობდნენ და ზოგჯერ ამ

მიზნით აფხაზების ნაციონალიზმსაც ხელს უწყობდნენ, რათა ეს ქართველების წინააღმდეგ მიმართულიყო.

ცხრაასიან წლებში ქართულმა პატრიოტულად განწყობილმა ნაწილმა საზოგადოებისა მიაქცია ყურადღება აფხაზეთს. რუსეთის გავლენის წინააღმდეგ სამოქმედოდ აფხაზეთში საკმაო ძალები იყო. მთელი ვაჭრობა-მრეწველობა ქართველთა ხელში იყო, ინტელიგენტმა მიაშურა ამ კუთხეს. დიდი ბრძოლა სწარმოებდა რუსულ ელემენტებთან და რუსები თან და თან მარცხდებოდნენ. მაგრამ ზოგიერთი ქართველის საქმიანობას დიდი ნაკლი ჰქონდა. თუ რუსები აფხაზებს არწმუნებდნენ, ქართველები სხვა ხალხია, თქვენი შეჭმა უნდათო და სხვ., თვით ქართველები ჩააცივდნენ აფხაზებს, გინდათ თუ არა, თქვენ ქართველები ხართ, რას ჰქვია აფხაზი, უნდა „დაგვემორჩილოთ“ და ხმაც არ უნდა ამოიღოთ, რომ აფხაზები ხართ, მორჩა და გათავდაო! იქამდეც კი მივიდნენ, რომ დასცინოდნენ აფხაზებს, თქვენი საქმე ცხენის ჭენებააო; ენასაც კი დასცინოდნენ, „სტვენის პარლამენტი“ გახსენითო და სხვ. ცხადია ვერც რუსები და ვერც ქართველები ვერ აკმაყოფილებდნენ აფხაზის გულს, ვერც საწყალმა ხალხმა აუღო ალღო ამ მოვლენებს, ვერაფერი გაიგო და დაიბნა. საქმეს იმთავითვე დიდადავნო ქართველების ცუდმა მიდგომამ, რომლითაც რუსები სარგებლობდნენ. განსაკუთრებით დიდი ვნება მოჰქონდათ სხვა და სხვა სოციალისტურ პარტიებში შემძვრალთ, ცხვრის ტყავში გამოხვეულ მგლებს, რუსის შავრაზმელ ხულიგნებს.

მიუხედავად ბევრნაირი ხლართისა, აფხაზები მაინც მხარს უჭერდნენ ქართველებს რუსებთან ბრძოლაში; ხელში ჩაიგდეს სოხუმის ქალაქის თვითმართველობა, გაიხსნა იქ წმ. ნინოს სახელობის საქალებო სკოლა, დაარსდა სამკითხველო, იმართებოდა წარმოდგენები, სალამოები, და ამგვარად გაიშალა კულტურული მუშაობა, რომელსაც დიდს ყურადღებას აქცევდნენ ადგილობრივი მკვიდრნი და რომელსაც შეეძლო დიდი ნაყოფი გამოეღო.

მაგრამ დადგა 1905 წელი. აფხაზეთს მოედვნენ ყოვლად უნიჭო და უვიცი პროპაგანდისტები მარქსის იდეებისა. არავითარი ნიადაგი ამისთვის იქ არ არსებობდა. აფხაზეთში დარჩენილი იყო ძველი პატრიარქალური წესი ცხოვრებისა, დაცულნი იყვნენ ძველნი ზნე-ჩვეულებანი, განსაკუთრებით უფროს-უმცროსობა. თავად-აზნაურობას, ეროვნულ ტრადიციათა მიხედვით, ძლიერ მცირე უფლებები ჰქონდა, რადგან ბატონყმობა („კრეპოსტნოე პრავო“) იქ აროდეს ყოფილა და დარჩენილი იყო ძველებური პატრონყმური განწყობაც, რადგან აზრადაც კი არ მოუვიდოდა არავის ამისი აღკრძალვა. აფხაზეთში თუთუნის თესვა-მოყვანა ძლიერ გავრცელებულია და აქედგან კარგი შემოსავალიც არის. მიწის მუშაობას აფხაზი არ ეტანება და ხუმრობს კიდეც: „ამისთვის ღმერთმა მეგრელები გააჩინაო“. აგრეთვე გავრცელებულია მესაქონლეობა და უკანასკნელ ხანებში მანდარინის კულტურაც. თავად-აზნაურთა და გლეხთა შორის სადავო არაფერი იყო, რათგან მიწები ყველას მიჩენილი და გამიჯნული ჰქონდა და გლეხებსა და თავად-აზნაურებს შუა არსებობდა მეტად მეგობრული და მოყვრული განწყობილება. განსაკუთრებით გამზრდელობა არის უწმინდესი და უდიდესი ჩვეულება ერთგვარი ნათესაობის დამყარებისათვის, რომელიც დაცულია მეტად მტკიცედ და ღვიძლ ძმობად ითვლება, თუ არა მეტად.

აი, ასეთ ქვეყანაში შემოვიდნენ არამკითხე მოძღვრები მარქსის სოციალიზმით, კლასთა ანტაგონიზმის და ბრძოლის ქადაგებით. აფხაზები არ მიემხრნენ ასეთ უნიადაგო პროპაგანდისტებს, მაგრამ არააფხაზური ელემენტები, მეგრელები, მიწების ხელში ჩაგდების იმედით, მიეკედლნენ სოც. დემოკრატებს. გურულები კი, როგორც ყოველგან საქართველოში, აქაც ამ იდეების გამავრცელებელნი იყვნენ. ამით აფხაზებსა და მეგრელებსა და სხვათა შორის დაიბადა უთანხმოება, რომელსაც მოჰყვა ბოიკოტი, შევიწროება და ტერორიც. ამით ძლიერ ისარგებლეს რუსებმა და უთანხმოების გაღრმავებაჰ შეეცადნენ ყოველგვარი საშუა-

ლებით. არა სოციალ-დემოკრატი ქართველები ამ პროპაგანდისტებმა აბუჩად აიგდეს, გალანძღეს, გაათრიეს, დაამცირეს და მათი გავლენაცა და პრესტიჟიც სრულიად დასცეს. მათ მიერ მოხვეჭილი დიდი ხნის შრომით მოხვეჭილი ნდობა აფხაზებისა გაანიავეს, მაგრამ სოც-დემ-მა აფხაზების გული მაინც ვერ მოიგეს, პირიქით, თავი მოაბეზრეს და შეაძულეს მათ. რუსებმა კი ამით ისარგებლეს და უფრო ადვილად სთესავდნენ შურსა და მტრობას ძმათა შორის და ამწვავებდნენ მდგომარეობას.

რუსების დაგებულ მახეში ადვილად გაება ალექსანდრე შარვაშიძე. მამა მისი, გრიგოლ შარვაშიძე თავის დროზე დიდი კაცი იყო. აფხაზებს დიდად არ უყვარდათ ეს ოჯახი, რადგან გრიგოლი მთავრის ღალატისათვის და რუსების დიდი მომხრეობისათვის ღენერლობით და მენდლებით იყო დაჯილდოებული; მაგრამ ალექსანდრეს ერთგვარი პატივისცემა მაინც ჰქონდა, აფხაზებზედ გავლენა კი გაცილებით უფრო სუსტი, ვიდრე რუსებში და ადმინისტრაციაში; ამასაც ჰქონდა მნიშვნელობა, რადგან მთავრობასთან განწყობილებით, თუმცა ბევრი არ შეეძლო რა, მაგრამ იარაღის ტარების ნებართვის აღება, თავდებობა და სხ. ასეთი წვრილმანი რამე მაინც შეეძლო და ამისათვის პატივსა სცემდნენ. მას თავზედ ხელს უსვამდა პრინცი ოლდენბურგი, რომელმაც გაგრაში აგარაკი მოაწყო და უღირალ ფასების გაცემით მთელი არე-მარე ხელში ჩაიგდო. ესეც რუსული საქმე იყო. ალექსანდრე შარვაშიძე მცირე რათიმე კმაყოფილდებოდა და ფართი-ფურთობდა, რაღაც ეგონა თავისი თავი, ქართველებიც მოეფერენ, სოხუმის ქალაქის-თავად აირჩიეს. მაგრამ არაფერს არ აკეთებდა, არც ავსა და არც კარგს, რათგან ამისთვის არც ცოდნა და არც უნარი არ ჰქონდა. რუსოფილი იყო, რადგან 1905 წლის რევოლუცია და საზოგადოდ რევოლუცია, სოციალიზმი და სხვა ასეთები ქართველების გამოგონილი და მოწყობილი ეგონა.

მე ძლიერ კარგა ვიცნობდი ალექსანდრე შარვაშიძეს. სრულიად უვიცი კაცი იყო და ძალზედ დამახინჯებული: არც აფხაზი, არც რუსი, არც ქართველი, თანაც ბევრს ჩემულობდა და არაფერი გამოსდიოდა, რადგან თვითონაც არ იცოდა, რა სწადდა, რა უნდოდა. 1917 წელს მან მოისურვა ბატონ მიხეილ წერეთელთან ბაასი. ბ. წერეთელმა ჰკითხა რა გნებავსთო, ბატონო, აფხაზებს, გვიბრძანეთო. გაიწურა ოფლში, რას არ მოედვა, და ბოლოს სთქვა, მეჩეთი მინდა ავაშენო სოხუმშიო! ბ-მა წერეთელმა უპასუხა: კარგი და კეთილი, ვინ გიშლითო? ამან განცვიფრებაში მოიყვანა და მერე სულ ამბობდა, კარგი კაცი ყოფილა ის წერეთელი, მაგრამ იმისთანებს არარას ჰკითხავენ და აბა რა უნდა ჰქმნაო! ერთი სიტყვით, ამ კაცს უნდოდა როლის თამაში, ისე როგორც, სამწუხაროდ, ჩვენში ბევრს უყვარს, თუნდაც ისეთისა, როგორიც რუსების დროს ჰქონდა, მაგრამ არ იცოდა, როგორ მოეხერხებინა ეს. ხან აქ ეცა, ხან იქ და ბევრი ვნება მოუტანა აფხაზეთსაც და საქართველოსაც. მას ძალიან ცოტა მომხრეები ჰყავდა — სულ ორიოდე კაცი, მაგრამ მაინც შეიტანა თავისი ცუდი წვლილი ქართველ-აფხაზთა ურთიერთობაში. იყო სხვა ხალხიც, სხვა აფხაზები, რომელთაც მიუხედავად ქართველებით უკმაყოფილებისა, რუსები მაინც არ უნდოდათ. ასეთ პირთა შორის საჭიროა ვახსენოთ ტატაში მარშანია. მე მას ძლიერ კარგად ვიცნობდი. ჩემი პირადი მეგობარიც იყო და გადაჭრით შემიძლია ვსთქვა, რომ იგი იყო დიდი კეთილის მოსურნე საქართველოსი და აფხაზეთის (ეგ უნდა გვახსოვდეს), სულით და გულით საქართველოსთან ერთობისა და მჭიდრო კავშირის მომხრე, თანაც დიდი მოძულე რუსებისა. ეს კარგად იცოდა თვით რუსების მთავრობამ და განზედ უყურებდა. მას დიდი გავლენა ჰქონდა აფხაზეთში და ამიტომ მისი რიდი ჰქონდათ. მას სწამდა საქართველო და უყვარდა აფხაზეთი. სურდა აფხაზების რუსებისაგან განთავისუფლება საქართველოს საშუალებით. ის აფხაზეთის ხსნას საქართველოთგან მოელოდა. მას უნდოდა საქართველოს თავისუფლებასთან ერთად დამტკბარიყო მისი საყვარელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

აფხაზეთის თავისუფლებით, მაგრამ როდესაც ხხნისა და შველის მაგიერად საქართველოთგან მოევლინა რუსებზედ უფრო შემაწუხებელი მდევნელი ძალა, დაჰკარგა წონასწორობა გრძნობისა, გონებით კი ძნელი იყო მისთვის მარქსიზმის გაგება და ამ უცნაური მცნებისათვის მისთვის ძვირფასი აფხაზეთის შეწირვა. ის მაინც საქართველოს მომხრე იყო და თანამოზიარეებიც ბევრი ჰყავდა, აგრეთვე გავლენით და მოქმედებით იყო ალექსანდრე შარვაშიძეზედ უძლიერესი, და ამისთვის ის კაცი იყო ჩვენთვის საჭირო და სასარგებლო, მაგრამ სამწუხაროდ მას ხელი ვკარით და გადავჩეხეთ უფსკრულში. ალექსანდრე შარვაშიძის ფართი-ფურთს ის ყურადღებას არ აქცევდა; პირიქით, იგი უყვავებდა მას, არ ებრძოდა და წინააღმდეგობას აშკარად არ უწევდა. არც იყო ეს საჭირო, მან კარგად იცოდა, რა ჟამს რა უნდა ექმნა, იგი კარგ განწყობილებაში იყო მთავართან.

ღრმად განათლებული კაცი იყო, კარგი მცოდნე ევროპიული ენებისა. მისი პოემები და შვენიერი ლექსები მეტად გავრცელებული იყვნენ მის თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში. საერთოდ კი ვერ გავრცელდენ, რათგან გამოქვეყნება არ ეღირსათ. მთელი მისი ნაწერები ბოლშევიკების შემოსევის გამო დაეკარგა, სხვა ქონებასთან ერთად, მის ერთ მეზობელ- ნათესავს.

აფხაზებს მეტად უყვარდათ გიორგი შარვაშიძე და მეფურ პატივსა სცემდენ მას, თუმცა მას უკანასკნელ ხანამდე უფლება არ ჰქონდა აფხაზეთში ცხოვრებისა. მხოლოდ ხან და ხან მოკლე დროით ჩადიოდა. მთელი აფხაზეთი გაჰყვებოდა, სადაც იგი მოისურვებდა და ურჩევდა, მაგრამ მას მშვენივრად ესმოდა, თუ რა მავნებელი იყო სამოქალაქო ომი, რაზომ შეუწყნარებელი, და ისე, როგორც მთელი პატრიოტული საქართველო, უკეთესი მომავლის მოლოდინში თან სდევდა დროს.

1917 წლის რევოლუცია დატრიალდა! რუსეთი დაინგრა! ომი წაგებულია. და იგი დაიშლება, დაინგრევა. იმას, რასაც ვოცნებობდი სიჭაბუკითგან, რასაც ვნატრობდი, ვეღირსე, მოვესწარი. ახლა კი ეშველება საქართველოს, განთავისუფლდება იგი ამ მონობისაგან... მაგრამ... განთავისუფლდება კი? ვინ, ან როგორ იზრუნებს ამაზედ? დამოუკიდებლობის კომიტეტი საზღვარ-გარეთ? თავისუფლება გარეთგან შემოიჭრება; თუ საქართველო იზრუნებს თავის თავზედ? რა გზას დაადგება სოც. დემოკრატიული პარტია, ბატონ-პატრონი მდგომარეობისა, ყველაფერი ამაზედაა დამოკიდებული, შესცვლის გეზს თუ განაგრძობს საქართველოს უარყოფას? ტბილისს უნდა მივაშურო, იქ არის ყველაფერი, იქ გაიგებ ყველაფერს. იქნებ იქ დავიმშვიდო აფორიაქებული გონება...

ამ აზრებით და ათასი სხვა მწარე და მწვავე ფიქრებით მივდიოდი აფხაზეთში, სადაც გადაუდებელი საქმე მქონდა და თანაც იქნებ რამე გამეგო იქაური და ტბილისში ჩამეტანა ამ კუთხის ამბავი. მივდიოდი ცხენით. რევოლუციის პირველი დღეები იყო და მიუხედავად ამისა, ყველგან სიჩუმე და მყუდროება მეფობდა, ყველაფერი რიგზედ იყო, თითქოს არაფერი მომხდარიყოს. მზე გადახრაზედ იყო. გზის პირს სოფლის სამმართველოს წინ რამოდენიმე კაცს მოეყარა თავი. აივანზედ წამომჯდარიყო ჩემი კარგი ნაცნობი, ადგილობრივი მკვიდრი, თავადი მ.გ. – განათლებული კაცი, პატივცემული აფხაზეთში. დამინახა იმანაც, მიცნო და კიბისკენ წამოვიდა. მივხვდი, ჩემის მიზეზით დაიძრა, და მეც დავაყენე ცხენი, ჩამოვხდი, მომეგება; მივესალმეთ ურთი-ერთს და შემდგომად ასეთს შემთხვევაში ჩვეულებრივის მოკითხვისა, დავიწყეთ ბაასი. მე ძალიან მინდოდა მისი აზრები გამეგო, რადგან კარგად ვიცოდი, რომ ის ძალიან დატანჯული ჰყავდათ პროპაგანდისტებს, რეაქციონერად, შავრაზმელად და ჯაშუშად გამოცხადებული. ჯაშუშად ყველას, ვინც ოდნავ წინააღმდეგობას გაუწევდა სოც. დემ-ებს, იმას გამოაცხადებენ ხოლმე და ის უკვე განწირული იყო მოსაკლავად, მაგრამ ამ პირს მოკვლა ვერ გაუბედეს, თითონაც ძლიერ ყოჩაღი კაცი იყო – ერთი პროპაგანდისტი კიდეც გაასილაქა; და თანაც შვილები ჰყავდა ლომივით ვაჟკაცები. ძალიან ფრთხილად იყო და არც რუსო-ფი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებს ვკედლებოდა და არც სხვა არავის. იყო მყუდროდ და თავს უფრთხილდებოდა.

— მოგეხსენება, შენი ნახვა ყოველთვის სასიამოვნოა, მაგრამ ახლა ძლიერ მეამა, რადგანაც ამბები გეცოდინება. მართლა დაიწყო რევოლუცია? მეფე ჩამოაგდეს? მართლა დაიქცა ქვეყანა და დავიღუპეთ? მკითხა დაბალის ხმით, თითქოს ვიღაცას უმალავდა ჩვენს საუბარს.

— დიახ, ბატონო, მეფე გადადგა, რევოლუციაა, მაგრამ რად ეძახით ამას უბედურებას და რად გგონიათ რომ დავიღუპეთ? პირიქით, თუ გვეშველება, ახლა გვეშველება და განვთავისუფლდებით რუსეთის კლანჭებითგან-მეთქი, — ვუპასუხე. შევატყვე, არ ეამა, მაგრამ თავაზიანი აფხაზი ცდილობდა უკმაყოფილება შეეჩერებინა.

— ვინ განთავისუფლდება? — განაგრძო მან — შენ ჯვარი გწერია და ჩვენ კი ამოგვწყვეტენ, დაგვხოცავენ. ამას ქადაგობენ აგერ ოცი წელიწადია და ახლა ვინ არის დამშლელი? დაგვხოცავენ, ამოგვწყვეტენ!

— არა, ბატონო, თქვენში ეს არა მგონია ვინმემ ჩაიდინოს და არც ჩვენში. იქნებ აგერ-ეგერ, როგორც რევოლუციას სჩვევია, მოხდეს რამე, მაგრამ ეგ ზომ საერთო მოვლენა არ იქნება. ჩვენც უნდა შევიგნოთ მდგომარეობა. მივყვეთ მას და საერთო ძალებით უკეთ მოვუვლით საქმეს. საქართველო განთავისუფლდება და ამოვისუნთქავთ. განა ვერ შევძლებთ ჩვენი თავის მოვლასა, — ვუპასუხე მე.

— თქვენშიო, რომ მიბრძანე, აბა აფხაზი როგორ დამიშავებს რამეს. მაგრამ ჩვენ ვინ რას გვკითხავს, კაცი კრინტს დაგვაძვრევინებს და თქვენებური ბიჭ-ბუჭები გაგვჟლეტენ... თანაც საქართველოზედ არავინ ზრუნავს და სანამ რასმე მოვესწრებოდე, მოგახსენებ, დაგვხოცავენ მეთქი! ღმერთს ექმნას, მაგრამ კარგი საქმე არ მოგვივა, თუ ვინმე არ აღმოჩდენ სხვა კაცები, სხვა აზრებით და სხვა საქმით, — ნაღვლიანად სთქვა, ხელი ჩაიქნია, ჩამოდგა და მთხოვა, ღამე მასთან გამეთია, მაგრამ ბევრი ხვეწნა მისი უარვყავი, არ ხერხდებოდა დარჩენა. დავშორდით ერთიერთს, გულს რაღაც მატლი, ჭია მიღრნიდა, ყოველს საიმედო აზრს მიწამლავდა რაღაც ბოროტი ეჭვი: ვაი, თუ ბევრი სიმართლეა ამ ადამიანის აზრში, ვაი, თუ სოც-დემ-ები დარჩენ ძველ პოზიციებზედ, საქართველოს უარყოფაზედ?... — არა, ეგ არ მოხდება, საქართველო ახლა უნდა განთავისუფლდეს, ახლა სულ მალე უნდა მოხდეს ეს. საქმე. გული ძგერდა სიამით, იჭვით, იმედით და ისევ იჭვით.

ჩავედი სოხუმში. მეორე დღეს ვეახლე ბ. გიორგი შარვაშიძეს. ძალიან ეამა ჩემი, ახალი ამბებით დატვირთული კაცის ნახვა, კითხვა ზედ მომაყარა, და თანაც მამცნო, რომ მეორე დღეს აფხაზთა ყრილობა იყო მოწვეული.

— რამდენად ძლიერია შენი ეროვნ. დემოკრ. პარტია? — მკითხა მოხუცმა.

მე გულახდილად მოვახსენე რომ ჯერჯერობით სუსტია და დღითიდღე კი იზრდება და მაგრდება-მეთქი.

ჩაფიქრდა... ცოტა ხნის შემდეგ ისევ განაგრძო:

— ძალიან სამწუხაროა.., სოც. დემოკრატებს არ სწამთ საქართველო... სხვა აღარავინ არის შესაფერისად მომზადებული ამ მომენტისათვის... ცუდად არის საქმე... დაიღუპება საქართველო და ასეთი დრო ვინ იცის კიდევ როდის დაუდგება მას. აქაც ცუდადაა საქმეები. მდგომარეობა მწვავდება, ალექსანდრე (შარვაშიძე) გაგიჟდება. აფხაზეთის ავტონომია რუსეთის ფარგლებში უნდა. შავრაზმელი რუსეთის წინააღმდეგ სოც. დემოკრატებიც ამხედრებული არიან და ესეც კარგია. საერთოდ ძნელია რისამე თქმა... ვნახოთ! ეგ კია, რომ ვინც ჩვენი სამშობლო დაანგრია, იმის დანგრევას მოვესწარი, ღმერთმა მიაგო მაგიერი, მე ამ მოხუცებულობის დროს ესეც მეყოფა სანუგეშოდ და მომავლის შექმნა ყმაწვილების საქმეაო...

ცოტა არ იყოს გული გამიკეთდა. ვიცოდი ბ. გიორგის გავლენა ტატაშიზედ და საზოგადოდ აფხაზებზედ, მაგრამ შევეკითხე:

— კონფლიქტი რომ მოხდეს ალექსანდრესთან?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შეიძლება, — მივიღე პასუხად— მაგრამ ალექსანდრე უჯერებს ხანდახან ჯოტოს და ასტამურს, და ან დააშოშმინებენ მას, ანდა ბრძოლა ბრძოლაა და მე დარწმუნებული ვარ, ალექსანდრე დამარცხდება. ახლა იბადება საკითხი, რომლის პასუხი მე არა მაქვს. ალექსანდრეს დამარცხების შემდეგ სოც. დემოკრატებმა რომ მოისურვონ, ხომ ამ მეორე ძალასაც დაამარცხებენ და მაშინ ბურთი და მოედანი მტრებს დარჩება — რუსეთის სოც. დემ. პარტიას.

ამით გათავდა ჩვენი baასი, გამოვემშვიდობე და წამოვედი. შევხვდი ჯოტოს და ასტამურს. მათაც იგივე მითხრეს, რასაც თითქმის ყველა ამბობდა და გრძნობდა. უნდა ითქვას, რომ ჯოტო შარვაშიძემ და განსვენებულმა ასტამურ ინალიფამ (დახვრიტეს ბოლშევიკებმა) დიდი ღვაწლი დასდვეს და დიდი სამსახური გაუწიეს ქართველთა და აფხაზთა შორის არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებას.

კრების დღეა. ქ.სოხუმის ქუჩები გაჭედილია ხალხით. სამწუხაროდ, ჩემი კალამი სუსტია იმ სურათის აღსაწერად, რომელიც სასაცილოც იყო და სატირალიც, — აფხაზების ყრილობებზედ თავად-აზნაურობა და გლეხობა ერთად იყრის თავს და ერთად ბჭობენ, თანაც ყოველი წევრი თანასწორუფლებიანია, თუმცა ძალიან ახალგაზრდების თამამი და ბრტყელი ლაპარაკი არ არის მიღებული.

ამ ყრილობაზედ მოდიოდნენ ჯგუფჯგუფად ცხენოსნები (აფხაზს ქვეითად სიარული სირცხვილად მიაჩნია), წინ რომელიმე უბნის თავი კაცი მოუძღოდა, ან თავადი, ან აზნაური, ან გლეხი. თვალებდაჭყეტილი აქეთ-იქით იყურებოდენ, გაკვირვებით უცქეროდენ ქუჩებზედ გაკრულ თეთრ ტილოებზედ წითელი ასოებით წარწერებს („გაუმარჯოს რევოლუციას!", „პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა — შეერთდით!"), წითელ დროშებს, უამრავ წითელ დროშებს.

დიდძალი ხალხი მოგროვდა. კრების დარბაზში შემობრძანდა მთავრის ძე გიორგი შარვაშიძე, რომლის შემოსვლაზედ ყველა ფეხზედ ადგა. ზოგს სოც. დემოკრატს, არაფრად ეპიტნავებოდა ასეთი პატივისცემა „ფეოდალისა"; მიუხედავად იმისა, რომ მას ერთი კვალი მიწაც არ დაუტოვეს რუსებმა აფხაზეთში. მაგრამ სხვა გზა არ იყო და „ძირს თავადის" დაძახება აქ ცოტა უხერხული იყო. ბატონმა გიორგიმ აფხაზურ ენაზე მიმართა დამსწრე საზოგადოებას, აუხსნა რუსეთის მდგომარეობა, მიულოცა თავისუფლების მოახლოება და დაასკვნა:

— თქვენ თქვენს უფროს ძმებს მიჰყევით, მათთან ერთად იმოქმედეთ და იბრძოლეთ თავისუფლების მოსაპოვებლათ და შესანარჩუნებლად. ვიცი, ზოგიერთებს არ მოეწონებათ ჩემი ასეთი აზრი, რადგანაც ისინი მოსკოვისაკენ იყურებიან, მე კი თბილისისაკენ! სხვა გზა არ არის და არც ყოფილა აროდეს აფხაზეთისთვის, გარდა საქართველოსთან მჭიდრო კავშირისა და მასთან ყოფნისა განუყრელად ჭირში და ლხინში.

ეს იყო დიდი მათრახი რუსოფილებისათვის. გაათავა სიტყვა გიორგიმ და გამობრძანდა დარბაზითგან. წესისამებრ რამოდენიმე კაცი გამოჰყვა. წამსვე წამოსკუპდა თავმჯდომარის ადგილზედ ვიღაც პროპაგანდისტი, გაშალა ფრთა და ილაპარაკა ცის, ბარის, მთელ ორ საათს. წარუდგინა კრებას გაშანშალებული რეზოლუცია რუსეთის დროებით მთავრობასთან წარსადგენი, წინა დღით სოც. დემ. პარტიაში უკვე შემუშავებული, სადაც ათასი უცხო სიტყვა იყო ჩართული: ზავი უკონტრიბუციო, უანექსიო და სხვ.

აფხაზები პირში ჩალა გამოვლებული დარჩენ. კაცს სიტყვა, კრინტი არ დაუძრავს არც აფხაზეთზედ, არც საქართველოზედ და არც სხვა ათასს საჭირბოროტო საკითხზედ, რომელიც ასეთ დიდ წამში იყო ცხოვრების მიერ აღძრული. აფხაზებმა ვერაფერი გაიგეს და დაიშალენ უკმაყოფილონი. საღამოს აშკარად გაისმოდა ქალაქში უკმაყოფილება: მოუყრიათ თავი ქართველებს, სომხებს, რუსებს, ბერძნებს, თათრებს, ვინ იცის კიდევ ვის და აქ, ჩვენ ქვეყანაში, გვბატონობენ; არც

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარგს გვკითხავენ და არც ავსო; ქართველების მეგობრები ძალიან დალონებულები იყვნენ და არ იცოდნენ ეს უტაქტობა სოც. დემ-ების (იმავე ქართველებისა) აფხაზების თვალში როგორ გამოესწორებინათ და რა გზას დადგომოდნენ. რა თქმა უნდა, ამ უკმაყოფილებით რუსები თავისებურად სარგებლობდნენ.

შემდეგ ბოლშევიკები მოადგნენ აფხაზეთს. გასწია განსვენებულმა ვალიკო ჯუღელმა, თავისი გვარდიით, მათ წინააღმდეგ საბრძოლველად. კოდორზედ მას დახვდა ტატაში მარშანია (თუ სხვა მარშანია, აღარ მახსოვს) ხუთასი შეიარაღებული აფხაზით და მოახსენა:

— ჩვენ ყოველთვის გვქონდა იმედი, რომ გაჭირვების დროს მოგვეშველებოდით, მაგრამ სირცხვილია ჩვენთვის ჩვენ მიწა-წყალზედ თქვენ სისხლი ღვაროთ და ჩვენ კი გულზედ ხელდაკრეფილებმა ვუყუროთ სეირს. პირველ რიგში ჩვენ გაგვიშვით, და თუ ვერას გავხდით, მაშინ მოგვეშველეთო.

ამის პასუხად მას უდიერად და მუქარით მოსდგა ჯუღელი და დატუქსა: თქვენ შავრაზმელები ხართ, ბოლშევიკები ხართ, მე სწორედ თქვენ წინააღმდეგ საბრძოლველად მოვედიო!

ასე გაბრაზებული გაისტუმრა ბატონმა ჯუღელმა ხუთასი კაცი, საკუთარი იარაღით და ცხენით მოსული საერთგულოდ. უნდა იცოდეს ადამიანმა აფხაზის ხულიერი ვითარება, რომ გაიგოს, თუ რა სირცხვილეული დარჩებოდენ ის თავი კაცები, რომლებმაც ამ ხუთას კაცს თავი მოუყარეს, რომლების ხათრით და გავლენით იყო ეს ხუთასი კაცი შეყრილი და მეთაურებზედ დანდობილი. ეს მეთაურნი მათ ამყოლთ კაცებად მიაჩნდათ და ბატონმა ჯუღელმა კი ასე უპატივოდ მიიღო და არარად ჩააგდო იგინი. ამ საქციელით ჯუღელმა ყველას გულზედ ხელი ჰკრა და მძიმედ აწყენია; თითონ კი სოხუმში შევიდა თეთრი ცხენით და დიდი თაიგულით ხელში.

ცნობილი ტატაში მარშანია გამოსავალს ეძებდა მდგომარეობითგან, მაგრამ ერთმა შემთხვევამ ის მთლად უფსკრულში გადაჩეხა და დაჰკარგა საქართველოსათვის.

რაღაც ოჯახური საქმის გამო, რადგანაც ტატაში მარშანია არ იყო სახლში, მისი მეუღლე დადეშქელიანის ასული მხლებლებით (მარქსიზმის ქადაგებამ არ გასჭრა. მას კიდევ ოციოდე კაცი ახლდა, ახლო-მახლო მცხოვრებნი თუ საკუთარი გამზრდელები და შინაყმები) წავიდა კომისართან. კომისარი მეგრელი სოც. დემ. იყო, იგი გააბრაზა იმ გარემოებამ, რომ ამ „ფეოდალის“ ცოლს კიდევ ვერ მოეშალა ძველი „ბატონ-ყმური“ წესი და ამალით დაბრძანდებოდა. დილითგან საღამომდე წვიმაში გააჩერა, — სახლში არ შემოუშვა, თავი შეეფარებინა წვიმისაგან, და გვიან საღამოს გამოუცხადა: ახლა სახლში მივდივარ, თქვენთვის არა მცალია და ხვალ „მოდი-ო“.

ქალბატონს ზვიადის სვანის, დადეშ-კელიანის ქალს, გული მოუვიდა ასეთ ბრიყვობაზედ, მაგრამ რას გახდებოდა. სახლში დაბრუნდა და მეორე დღეს ავად გახდა, — თურმე გაცივებულიყო, და ოთხ-ხუთ დღეში გარდაიცვალა. სიკვდილის წინ ქმარს უთხრა: ჩემი მკვლელი არის ესა და ეს კაციო (კომისარი). ეს სიტყვები გასაგები იყო აფხაზისათვის. რამოდენიმე ხნის შემდეგ მარშანია თავისი შინა-ყმებით მიადგა სამმართველოს, გამოიხმო ის მეგრელი და დაახალა დამბაჩა. რა თქმა უნდა, ამისთანა თავგასულობას მას არ აპატიებდა რევოლუციონური მთავრობა, დაეცნენ ოჯახს და სახლ-კარიან ამობუგეს. ამის ნაცვლად იმ დღეებშივე მარშანია მივიდა ერთ-ერთ მიტინგზედ და მაგიდაზედ მდგომს პროპაგანდისტს, რომლის ბრძანებითაც იყო გადამწვარი მისი სახლ-კარი, ტყვიით გული გაუგმირა. გააგიჟეს კაცი და ყველა ამის შემდეგ, ცხადია, მას სოც. დემ.-თა საბ-რძანებელში არ დაედგომებოდა და ეს ქართველებისადმი მეგობრულად განწყობილი კაცი ხიძულებული იყო თავი შეეფარებინა დენიკინთან.

ამ ხანებში ალექსანდრე შარვაშიძემ მოინდომა განეხორციელებინა რუსების მიერ ოსმალეთში გადასახლებული აფხაზების განზრახვა სამშობლოში დაბრუნებისა. მაგრამ აქაც ყოვლად უთაოდ იმოქმედა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სრულიად სამართლიანია სურვილი ადამიანისა, სამშობლოთგან უსამართლოდ გაძევებულისა, უკან დაბრუნდეს. საჭიროა ვიცოდეთ, რომ აფხაზი თავისი ოჯახის მიცვალებულ წევრს მარხავს იმ ადგილზედ, რომელიც უყვარდა მიცვალებულს, — ან თვით ეზოში, ან ეზოს ახლო-მახლო. ასე რომ,, ბევრს წინაპრების საფლავები ეგულებოდა იქ, სადაც წინათ ცხოვრობდენ და საითგანაც აჰყარეს რუსებმა. და აი, ამ ადგილებზედ უნდოდათ მათ ხელახლა დაბინავებულიყვნენ. ეს სრულიად კანონიერი და საფუძვლიანი სურვილია, მაგრამ ამის მოწყობა ლეგალურად შეიძლებოდა მთავრობასთან შეთანხმებით. იყო ამის ცდაც. მაგრამ მთავრობის პასუხი იყო ასეთი: გადამთიელები კი არა, ჩვენები გვყავს უმიწა-წყლოთ. დენსანტის სახით აფხაზეთის ნაპირებზედ გადმოვიდა რვა ასამდე გადახვეწილი აფხაზი. ამას კი მოჰყვა დამსჯელი რაზმის გაგზავნა აფხაზეთში. დესანტის დიდი ნაწილი დაჰხოცეს, საშინელი დაუზოგველობით დაძარცვეს მცხოვრებნი, რამოდენიმე ოჯახი გადასწვეს. ბალღებს გულზედ ჯვრები დაატრიტეს, აკვანზედ დაკიდებული მძივები მოჰგლიჯეს, ერთმა ჩემმა მეზობელმა გვარდიელმა, მაშა რა არის, ისიც კი მოიტანა აფხაზეთიდან სამეგრელოში. ნიშნობის ბეჭდები, საკერავი მანქანები, ცხენის უნაგირი, საჭურველი, ქამარი, ხანჯალი, ერთი სიტყვით, რაც ერთ ადამიანს შეეძლო წამოეღო, არ დაუტოვებიათ: საბნები, ლეიბები, საცვლები, ქალებისაც კი, თან წამოიღეს. ასე უკუღმართად დამთავრდა ეს ადვილად მოსაწყობი, კეთილი, საჭირო და სასარგებლო საქმე.

ალექსანდრე შარვაშიძე მთიულებთან წავიდა მოსალაპარკებლად შეერთებაზედ, მაგრამ მთიელებს იმ დროს მაგის თავი არ ჰქონდათ, რათგან თვითონ იყვნენ განუწყვეტელ ბრძოლებში ხან წითელ და ხან თეთრ რუსებთან. აფხაზეთში მომხდარი ამბების შემდეგ მას იქ არ ედგომებოდა და სადღაც მიიმალა. შავრაზმელი რუსებიც მიიფანტმოიფანტენ, ხოლო რამოდენიმე მათი აგენტი მაინც დარჩა სოციალისტურ პარტიებში და აქეთგან თუ შესძლებდენ არევ-დარევას, ხომ კარგი, თუ არა და სხვა გზა არ იყო. აფხაზეთში უკვე საქართველოს მთავრობის მიერ დანიშნული იყო ბობოლა სოციალდემოკრატი „ღენერალ- ღუბერნატორად“ და ისიც, მიუხედავად ასეთი მყვირალა ხარისხისა, უბრალოდ პროპაგანდისტისებურად განახორციელებდა „მონაპოვარს რევოლუციისა“ და „აღრმავებდა“ მას. სისტემა მართვაგამგეობისა ნამდვილი „დერჟიმორდული“ იყო. მეტად გაიბერა ბ. ღენერალ — ღუბერნატორი: თუ ვინმე მივიდოდა მასთან საქმეზედ, ფეხ-ფეხზედ გადადებული, წამოჭიმული და ყოველს თავაზიანობას და ზრდილობას მოკლებული ბაასით უმასპინძლდებოდა. ეტყობოდა, რომ სავსებით იზიარებდა რუსის მოხელეების აზრს, აღმოსავლეთის ხალხს, როგორც მონებს, ისე უნდა მოეპყრაო. როდესაც ქუჩაში გაივლიდა, ყავახანისა და დუქნის წინ მჯდომნი უნდა ამდგარიყვნენ და სალამი მიეცათ. ამას ისედაც, თავიანთი ჩვეულებისამებრ შვრებოდენ ადგილობრივნი მკვიდრნი. საპატიო კაცს უდგებიან ხოლმე და, აბა, „ღუბერნატორი“ ხომ საპატიო იყო და საშიშარიც. ხოლო ასეთი ყოყლოჩინობა რამდენად შეეფერებოდა უაღრეს დემოკრატსა და პროლეტარიატის წარმომადგენელს, თვით განსაჯეთ.

ერთხელ ეს ღუბერნატორი შევიდა ყავახანაში; სადღაც ყოფილიყო (უთუოდ მიტინგზედ) და გამოთვრა „ბლუზით“, თოფით ხელში, სავაზნე გადაკიდებული.

ყავახანაში ერთი ხნიერი აფხაზი იჯდა. ღუბერნატორმა არც აცივა, არც აცხელა, თოფით ხელში, სავაზნე გადაკიდებული, დაადგა თავზედ და დასჭყივლა:

— რას დამჯდარხარ? განა არ იცი, ვინცა ვარო? — რუსულად, რა თქმა უნდა, რათგან აფხაზებმა, აფხაზურ-მეგრულს გარდა, რუსულიც იციან — რუსული სკოლების გამო.

იმანაც, გაკვირვებულმა შეხედა და დამჯდარმავე უპასუხა:

— არ ვიცი, ვინ ბრძანდებით!

— მე ღენერალ — ღუბერნატორი ვარ, არ იცით?

— სწორე გითხრა, მე ყაჩაღი მეგონეთ, რადგან ბერდანით ხელში და „ფალასკით“ (სავაზნე) ღუბერნატორი აროდეს, არსად არ მინახავსო, — მიიღო პასუხად ჩვენმა „ღენერალ ღუბერნატორმა“. საქმე ცუდად გათავდებოდა, რომ თითონ ღუბერნატორსაც არ ეგრძნო უხერხულობა და ვიღაც არ ჩარეოდა და არ დაეწყნარებინა საქმე.

ერთს წარჩინებულს კაცს უბრალო ბაზრის კომისარმა იარადი აჰყარა, მოწმობა არ გაქვსო. რას განიცდიდა ხნიერი კაცი, როდესაც ამდენ ხალხში ვიღაც ბიჭი მას სახლშივე ასე ექცეოდა და რა შეურაცხყოფაა აფხაზისათვის იარაღის აყრა! მერე რადა? მშვიდი, ხნიერი კაცი, ყველასაგან ცნობილი და პატივცემული კაცი იყო. მეტად შესწუხდა, ფერმაც კი გადაჰკრა, მაგრამ თავი შეიკავა და დაემორჩილა. ერთ საათში აიღო მოწმობა, იარაღიც დაიბრუნა, მაგრამ გულში კი შეურაცხყოფა და დამცირება მაინც უთუოდ ღრმად ჩარჩა.

გაბოლშევიკებული რუსის მეზღვაურები ორი ჯავშნოსანით მოადგენ ქ. სოხუმს იმავე ღუბერნატორის დროს. ჩამოვიდენ გემიდან მეზღვაურები და ჩვეულებისამებრ დათვრენ, ფული არსად მისცეს და მთელი ქალაქი აიკლეს. შეხვდათ ქუჩაში ოფიცერი ემუხვარი — აფხაზთა ასეულისა, ეგრედ წოდებული „ტუზემნი დივიზიისა“, რომელსაც პატივისცემისათვის მეტსახელად „ველური“ დაარქვეს რუსებმა. ამ ოფიცერს ძველი ეპოლეტები ეკერა მხრებზედ და ამის დანახვამ, როგორც ხარი წითელმა ფერმა, ისე გააბრაზა მეზღვაურები. მათ ჩვეულებრივი გინებით შეუტიეს ოფიცერს, უნდოდათ ეპოლეტები ჩამოეგლიჯათ, მაგრამ ემუხვარმა იძრო რევოლვერი და ოთხი რუსი მეზღვაური იქვე გააგორა. დანარჩენები გაიქცენ გემზედ, მოაბრუნეს ზარბაზნები ქალაქისაკენ და მოითხოვეს, ან მკვლელი მოგვეცით ან თხუთმეტი ათასი მანეთი კონტრიბუციაო. ემუხვარი მეგობარ-ნაცნობებმა მყისვე დამალეს, თუმცა გაძალიანდა საწყალი — იქნებ ქალაქს ავნონ რამე, ხალხი დასწყვიტონ და მე, სჯობია, აქ ვიყო, რათა ასეთს შემთხვევაში მე თითონ მივიდეო. მეტად რაინდულად უნდოდა მოქცეულიყო საწყალი. უთხრეს, დარდი ნუ გაქვს, ფულს ხელად მოვაგროვებთო, და დამალეს. „ღენერალ - ღუბერნატორმა“ საქმის ხეირიანად გაგებაც ვერ მოახერხა და გასცა ბრანება, ემუხვარი დაეჭირათ, და თითონ გაქუსლა ხოფლებისაკენ.

დანიშნულ საათზედ ვაჭრების მიერ ფული მოგროვილი იყო, მაგრამ ემუხვარი მილიციონრებმა დაჭერილი მოიყვანეს და გადასცეს რუსებს. საზარელი რამ მოხდა! ემუხვარს თან დაედევნა მისი ძმისშვილი. თუმცა, ბევრი უშალა ემუხვარმა, გაუჯავრდა კიდეც: გიჟი ხომ არა ხარ, ხომ იცი სად მივდივართო, მაგრამ ძმისშვილმა მიუგო: სწორედ რომ ვიცი და ამიტომაც მინდა შენთან ვიყოო. რუსებმა არ აცალეს დავის გადაწყვეტა, მოუხვეს ხელი ორივეს და გემზედ აიყვანეს. ემუხვარს ჩოხის სახელოში პატარა დამბაჩა ჩუმად თან ჰქონდა. გაბრაზებულნი მეზღვაურნი მისცვივდნენ, მაგრამ მან ერთი მეზღვაური იქვე გააგორა, და მეტი ვერ მოასწრო. ემუხვარი და მისი ძმისშვილი რუსებმა გემის მილში ჩააგდეს და ცოცხლად მოხარშეს.

რამდენად გასჭრიდა კლასთა ბრძოლის პროპაგანდა იმ ხალხში, სადაც გლეხი თავადს სასიკვდილოდ სრულიად შეგნებულად მიჰყვება, ადვილი წარმოსადგენია. გემები მოსცილდენ სოხუმს ამით დაკმაყოფილებული და ამითვე კმაყოფილი, საქმე კარგად გათავდაო, დაბრუნდა შინ ღუბერნატორიც.

მქონდა შემთხვევა კიდევ ერთს ყრილობას დავსწრებოდი სოხუმშივე. ეს უკვე აფხაზ გლეხთა ყრილობა იყო. დიდძალი ხალხი დაესწრო. კრებას თავმჯდომარეობდა გურული სოც. დემოკრატი. გრძელი სიტყვაც წარმოსთქვა რევოლუციაზედ და პროლეტარიატზეც. აგრეთვე ბევრი ილაპარაკეს სოც. ფედ-მა, სოც. რევ.-მა მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს წევრებმა. ლაპარაკი რუსულ ენაზედ იყო და სთარგმნიდენ აფხაზურად. გაიმართა ცხარე კამათი მიწის სა-

კითხზედ, სოციალიზაციაზედ, პროლეტარიზაციაზედ, კონცენტრაციაზედ, მომენტზედ და ტაქტიკაზედ, რევოლუციის გაღრმავებაზედ და სხვა, და სხვა.

აფხაზებს არა ესმოდათ – რა და ჩუმად იყვნენ. ბოლოს ითხოვა სიტყვა ერთმა გლეხმა. ამ გლეხს ბრძენს ეძახდნენ აფხაზეთში და მართლაც განთქმული იყო ჭკუითა და მჭერმეტყველობით. საზოგადოდ გამიგონია ძველი კაცებისაგან, რომ აფხაზები ძლიერ ნიჭიერი მოლაპარაკე ხალხიაო; კარგად მახსოვს მისი სიტყვები და უნდა გამოვტყდე, რომ გულს მხვდებოდა, მეჭაშნიკა, ცხადად ვხედავდი განსხვავებას მის გონიერ აზრებსა და გატლეკილ ინტელიგენტთა აბდა-უბდას შორის.

– ბატონებო, – დაიწყო მოხუცმა, – თქვენ აქ სულ სხვა და სხვა აზრისანი ბრძანდებით და სხვა და სხვა გზებზედ გვითითებთ. ნუ მოგვთხოვთ, უეიცთ, უბრალო სოფლის ხალხს ყველა ამაებში გარკვევას. მე დარწმუნებული ვარ, თქვენ კუთხეშიაც ასეა. მოილაპარაკეთ ერთმანეთში, შეთანხმდით, ერთ აზრს დაადექით და ჩვენც გვასწავლეთ და გვიწინამძღვრეთ. რუსეთი დაინგრა, მადლობა უფალს; თავისუფლება მოგვენიჭა, მაგრამ რაღა ეგ თავისუფლება მარტო თქვენთვისაა და ჩვენ კი არ გვაძლევთ საშუალებას მისი განცდისას. რუსებს ჩვენ შეძლებისადა გვარად ვებრძოლეთ, ვეწინააღმდეგეთ. მაგრამ თუ მიიხედ-მოიხედავთ, თქვენ მამათა ან ბიძათა შორის ბევრს ნახავთ მენდლებით მკერდ დამშვენებულს აფხაზეთის დამორჩილებისათვის. ისიც მოგეხსენებათ, რომ რუსები დარიალის ხეობით შემოვიდენ ჩვენში (იგულისხმება საქართველო). თქვენ დაიმსახურეთ რუსეთის ნდობა და ჩვენ კი დღემდე „არაკეთილ-საიმედო“ ერად ვიყავით გამოცხადებული. ჩვენ თავისუფლებისადმი სიყვარულს ვერავინ გვასწავლის. აფხაზეთი ჩვენი კუთხეა და ჩვენი საქმის მოგვარების უფლება განა არა გვაქვს, არ შეგვიძლია ჩვენ ჭირ-ვარამზედ ჩვენც ვიმსჯელოთ ისე, როგორც ჩვენი კუთხისთვის არის საჭირო? არც ჩვენ ვიზამთ რასმე უთქვენოდ, სწავლული და მცოდნე ხალხის უკითხავად. აქ ბევრი ილაპარაკეთ, ჩვენ კი გულახდილად მოგახსენებთ, ვერა გავიგეთ რა. უმიწაწყლო, დაკარგული ჩვენ არავინ გვეგულება. აბა, აფხაზეთში ერთი მათხოვარი გვაჩვენეთ (არ არსებობს მართლაც). მიწის მუშას რომ მიწა უნდა ჰქონდეს, რასაკვირველია. ჩვენში მიწა ბევრია, ღვთით, და აფხაზთა გარდა სხვებიც არიან ამ მიწაზედ მოწყობილნი. ბატონი ბრძანდებოდეთ. ჩვენ მოხარული ვართ და ვიქნებით კარგი მეზობლების ყოლითა. მაგრამ ცოტაოდენი განსხვავება არის მათშიც: ისინი, რომელნიც დიდი ხნითგან აქ დასახლებულნი არიან და თავიანთ კუთხეს მოშორებულნი სამუდამოდ, ესენი ჩვენ ძმებად მიგვაჩნია და იმავე უფლებებით სარგებლობენ, როგორც ჩვენ, და აქ უნდა დარჩენ, ჩვენთან. არიან კიდევ დროებით სამუშაოდ მოსულნი, რომელნიც მოიწევენ მოსავალს თუ არა, სახლში ბრუნდებიან. თუ ისევ აქ უნდათ მუშაობა, მობრძანდენ და ჩვენც გავუწევთ ძმობასა და მეზობლობას ისე, როგორც დღემდე ვუწევდით. და თუ ვინმე არის ჩვენი მათდამი დამოკიდებულებით უკმაყოფილო, გვაჩვენეთ თუნდაც ერთი მაგალითი. პირიქით, რითაც შეგვიძლია, პატივსა ვსცემთ და აროდეს დაგვიშავებია რა მათთვის. რაც შეეხება მემამულეების მიწების ჩამორთმევას, ეგ ჩვენი საქმეა, ჩვენ ვიცით და იმათ, თუ საჭირო დარჩა, ამასაც ვნახავთ. უცხოელებს კი, რომელთაც ჩვენი ქვეყნის დიდი ნაწილი დაუპყრიათ და ძალით დასახლებულან, ვეტყვით: საითგან მოსულხართ, იქ წაბრძანდით, თქვენი ქვეყანა რუსეთი ჩვენსაზედ დიდია ბევრადაო.

აი, რა სთქვა მოხუცმა გლეხმა. ასეთმა განცხადებამ გამოიწვია დიდი უკმაყოფილება ჯარის კაცთა და მუშათა დელეგატებისა: ეგ ავტონომიაა, რას მიქვიან, ვინა ხართ, რას ამბობთ, ეს დარღვევაა საერთო რევოლუციონური ფრონტისაო! ბლომად იყვნენ უქამრო, გულგაღელილი ჯარისკაცები, ასტეხეს ერთი აურზაური, რომელიც ძლივს დააწყნარა თავმჯდომარემ. გამართა მიტინგი, გამოიტანეს რეზოლუცია, გამოვიდენ გარედ, გაშალეს წითელი დროშა, წაიმძღვარეს წინ

მარქსის სურათი და მარსელიეზის სიმღერით შემოიარეს ქალაქი. აფხაზები კი წავიდ-წამოვიდენ თავთავიანთ სახლებში, გულნატკენნი და შეურაცხყოფილნი.

ასე დამთავრდა ეს „აფხაზ გლეხთა“ ყრილობა. ყველა ასეთი ამბებით მარჯვედ ისარგებლეს ბოლშევიკებმა, მოიმხრეს აფხაზი ლაკობა. ლაკობა მიუხვდა აფხაზებს გულისტკივილს და დაიმსახურა მათი სიყვარული დანდობა. მას ეგონა, რომ ბოლშევიკები გაანთავისუფლებდენ ჩაგვრისაგან აფხაზებს, თითონაც მიენდო ბოლშევიკებს და თან ბევრიც გაიყოლა. ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად მიაშურეს აფხაზეთს ნაც. დემ-ტებმა. კარგი შთაბეჭდილება მოახდინა განსაკუთრებით სპ. კედიამ თავაზიანობით, დარბაისლობით. მან აუღო მდგომარეობას ალღო, სწორად მიუდგა საკითხს, მაგრამ გვიანღა იყო. საქართველოს ბოიკოტი გამოცხადებული ჰქონდა აფხაზების მიერ და ამით უკვე გაიჭრა უფსკრული საქართველოსა და აფხაზებს შუა. წინადაც, სულ პირველად გაგზავნილნი იყვნენ ყველა პარტიათა წარმომადგენელნი, მაგრამ აფხაზებმა განუცხადეს: ვინ არიან ეგ ვაჟბატონები, ჩვენ არ ვიცით და არც აროდეს გაგვიგონია მათი გვარებიო. ნუ თუ გაწყდა საქართველოში ცნობილი ხალხიო. იქნებ ამათ გულსაწვავი, სახლ-კარი, ოჯახი, ცოლ-შვილი არ გააჩნიათ და „მიშველი თავის“ მეტი არა აქვსთ-რა და აბა რა ენაღვლებათ, რას ჰკარგავენ, თითონაც სისულელე ჩაიდინონ და ჩვენც ჩაგვადენინონო. ისეთი კაცი მოვიდეს, ჩვენც ვიცოდეთ მისი ვინაობა და ანგარიშიც გაუწიოთო.

შემდეგ კი გაგზავნეს დენ. გაბაშვილი, დავით ნიჟარაძე, დავით მიქელაძე, მაგრამ გვიან-ღა იყო. არევ-დარევა უკვე მომხდარიყო და საქმის გამოსწორება მხოლოდ სოც. დემოკრატებს შეეძლოთ, მაგრამ აბა ამათ რა მოარჯულებდა და თავიანთ პარტიულ გზას რა გადაახვევინებდა. ყოვლად უეჭველია, რომ არც ლაკობა და არც სხვა აფხაზი თავდაპირველად არ იყო კომუნისტი; ახლა შეიძლება გადავარდენ სავსებით კომუნიზმში, რათგან უკან დასახევი გზა ძნელი მოსაძებნიც არის და ძნელიც გასავლელიც. პირველად ლაკობა იყო აფხაზი, რომელმაც თავისი პატრიოტიზმი ვერ ჩააყენა სახარგებლო და თანაც ბუნებრივ კალაპოტში, ვერ შესძლო გადაწყვეტა საკითხისა და ბოლშევიკების საშუალებით მოინდომა თავისი ქვეყნის მოწყობა სასურველად, მაგრამ შესცდა და დიდ განსაცდელში ჩააგდო თავისი ქვეყანა.

თუ როგორი იყო აფხაზეთში ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოს მთავრობისა, ამაზედ სიტყვას არ გავაგრძელებ. ვიტყვი მხოლოდ, რომ ის ბანდიტური სისტემა ძარცვა-გლეჯისა, რომლითაც ხერხმძღვანელობდა საქართველოს მენშევიკური მთავრობა ამ კუთხეში უვიც და მხუნაგ მოხელეთა წყალობით, კიდევ უფრო საზიზღარი იყო. განუწყვეტელმა კონფისკაციამ, რეკვიზიციამ გადააბიჯა ყოველ საზღვარს. ცხენებისა და საქონლის რეკვიზიცია დაუსრულებრივ ხდებოდა ხან გვარდიის, ხან მილიციის საჭიროების დასაკმაყოფილებლად. როდესაც თეთრები ბოლშევიკებმა შავი ზღვის ნაპირებზედ მიიმწყვდიეს და სოჭისა და მის მიდამოებში სიმშილით ხოცავდენ ადამიანებსა და ცხენებს, სოხუმითგან რამდენიმე კაცი წავიდა ცხენების საყიდლად. საქართველოს საზღვარზედ დაბრუნებულებს დახვდათ რაღაც კომისია, რომელმაც ცხენები და მათი პატრონები აღწერეს. ერთი თვის შემდეგ, მოიკვდეს თუ არა გალახულმა ცხენებმა, ყველას ჩამოართვეს. ამის ნაცვლად მათ გვარდიის უფროსმა ქვითრები დაურიგა, თავის დროზე ფულს მიიღებთო. მეც, თქვენმა უმორჩილესმა მონამ, ერთი ჩერქეზისაგან სოხუმში ვიყიდე ცხენი და წართმევა მომინდომეს; ახტამურ ინალიშვილის სტუმარი ვიყავი და გაძარცვისაგან გადამარჩინა, ეგ უცხო კაცია და თუ საჭირო იქმნა, იქ ჩამოართმევენ, სადაც ეგ ცხენი ეყოლებაო, აქ კი ასეთი საქციელი სირცხვილიაო და სხვა. თუთუნი და სიმინდი ხომ არავის შეარჩინეს. დაადვეს დადგენილი ფასები, გინდა თუ არა, ეს ფასი ღირს, ღმერთი არ გაგიწყრესთ, მეტად არ გაბედოთ გაყიდვაო, და ასე ართმევდენ. თვითონ მთავრობა კი ათჯერ უფრო ძვირად ჰყიდიდა.

ამას მოჰყვა თუთუნისა და სიმინდის მოყვანის შემცირება, გადამალვა მოსავლისა და დიდი ნაწილის ჩუმად ოსმალეთში გადაზიდვა. მაშინ, როდესაც, მაგალითად, ქუთაისში 600 მანეთი ღირდა ფუთი სიმინდი, დიდი ნაწილი აფხაზეთის სიმინდისა ოსმალეთში გაიტანეს ხანდლებით. საქართველოთგან კი აფხაზეთში არც ერთი გირვანქა პური, არც ერთი ადლი ჩითი არ ჩაუტანიათ და ჯოტო შარვაშიძის მეთაურობით გრიგოლ ბერიძეს „კოსმოსის" განყოფილება რომ არ გაეხსნა სოხუმში, ხალხი შიმშილი დარჩებოდა. აფხაზები აქაც გვისაყვედურებდენ: კარგი ძმობა იცით, თუ რამე გაგვაჩნდა, წაგვართვით და შიმშილ-ტიტველნი დაგვტოვეთო. ასეთ ძმებს უცხო მტერი გვირჩევნია, გვეცოდინება მაინც რომ მტერია და ვეცდებით რამეს მის წინააღმდეგო, თქვენ კი ძმობას გვეფიცებით და თან კი გაგვაწყალეთო. ამას ამბობდენ აფხაზები აშკარად და დაუფარავად.

აი, ზოგიერთი ნიმუში ჩვენი კეთილმორწმუნე მარქსისტული მთავრობის მოღვაწეობისა აფხაზეთში. ასეთივე იყო სოციალისტური მთავრობის პოლიტიკა და საქმიანობა საქართველოსა და ყველა სხვა კუთხეებში, რამაც როგორც აფხაზეთის, ისე სამცხეს და ერთობ სამუსლიმანო საქართველოს გაუტეხა გული და ომის ასპარეზად გახადა ქართველისათვის ღვიძლ ძმათა მიწა-წყალი.

დიდი შესწავლა ყველა ჩვენ კუთხეთა ცხოვრებისა, დიდი დაკვირვება და დიდი შრომაა საჭირო მომავალში, რომ ასეთი უბედურება კვლავ არ განმეორდეს.

არ შეიძლება მათრახით და თოფებით მართვა ქვეყნისა და ისიც მარქსის პროგრამით. საჭიროა გათვალისწინება ადგილობრივ პირობათა, ხალხის ზნე-ჩვეულებათა და სულისკვეთებისა, საჭიროა დაკმაყოფილება მის ეკონომიკურ მოთხოვნილებათა შეძლებისა და გვარად, შეფარდებულად მთელი ეროვნული სხეულის ინტერესებთან. საჭიროა მისი ნდობის დამსახურება, მასთან კარგი განწყობილების მოპოვება ნამდვილი ზრუნვითა. სერიოზული ზომებით მისი ცხოვრების გაუმჯობესებისათვის.

უპირველეს ყოვლისა აფხაზეთს უნდა მიენიჭოს თავისუფლება, როგორც ავტონომიურ ერთეულს საქართველოს კავშირში, — არა სიტყვით, არა ქაღალდზედ, არამედ ნამდვილად. ქართველები მას უნდა დაეხმარონ გულწრფელად და მართლა ძმურად, ნდობით უნდა მოეკიდონ მას.

მეგობარი

„თეთრი გიორგი", №42, 43,44,
1931 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვიპოვოთ გამოსავალი!

მიმდინარე წლის 14 აგვისტოს სრულდება ხუთი წელი ქართულ-აფხაზური ომის დაწყებიდან. ფართომასშტაბიანი შეიარაღებული ბრძოლა აღარ წარმოებს, მაგრამ არც მშვიდობაა დამყარებული. მატულობს კონფლიქტის მსხვერპლთა რიცხვი, გაურკვეველია ასობით ათასი ადამიანის მომავალი, რომლებსაც დღეს არ შეუძლიათ დამშვიდებით ცხოვრება, შრომა, შვილების გაზრდა. სამშვიდობო პროცესი ჩიხშია შესული. პერსპექტივა ძნელი გამოსაცნობი არ არის: ან უსასრულოდ გაგრძელდება ასეთი შედარებით „ცივი ომი“ ან დაიწყება ახალი, უფრო სისხლისმღვრელი შეტაკება.

რუსეთის იმედზე ყოფნამ, როგორც მოსალოდნელი იყო, შედეგი არ გამოიღო. ასევე საფუძველს მოკლებულია იმედის დამყარება მხოლოდ გაეროზე, ეუთოზე „მეგობარ სახელმწიფოებზე“ და კიდევ რომელიმე სხვა გარეშე ძალებზე. ბოლო წლების გამოცდილება მხოლოდ ერთს გვკარნახობს: ქართულ-აფხაზური პრობლემა ქართველებმა და აფხაზებმა უნდა მოვაგვაროთ. ნებისმიერი სხვა კეთილისმყოფელი ქვეყნის როლი მხოლოდ მეორეხარისხოვანი შეიძლება იყოს.

პრობლემა კი მეტად გართულებულია. დაიღვარა ზღვა სისხლი. დაპირისპირებულ მხარეთა პოზიციები საკმაოდ პოლარულია და წინააღმდეგობრივი – ტერიტორიული მთლიანობა ან დამოუკიდებლობა. ამ პრობლემას სამხედრო გადაწყვეტა არა აქვს. არსებული ძალებით ვერც ერთი მხარე ვერ მიაღწევს ომში გადამწყვეტ გამარჯვებას, რათა დამარცხებულ მოწინააღმდეგეს თავისი პირობები უკარნახოს. ომის განახლება მოიტანს არა მარტო ახალ მსხვერპლსა და ნგრევას, რომლის შედეგებს მთელი საქართველო შეიგრძნობს, არამედ ორ ხალხს შორის უფრო გააღრმავებს ურთიერთუნდობლობას, განამტკიცებს მტრის ხატს, გაზრდის სიძულვილით შეპყრობილ ადამიანთა რიცხვს, რაც, საბოლოო ჯამში, კიდევ უფრო გააძნელებს შემდგომში კონსენსუსის მიღწევას.

მაშ, რა გამოსავალი შეიძლება მოიძებნოს შექმნილი სიტუაციიდან, თუკი აფხაზ ხალხს არ აკმაყოფილებს ავტონომია, ხოლო ქართველებს არ შეუძლიათ შეელიონ ტერიტორიულ მთლიანობას, ანუ როგორ შევუთავსოთ ერთმანეთს აფხაზეთის სახელმწიფოებრიობა და ერთიანი სახელმწიფო სივრცე?

რომ არ ყოფილიყო 1992-1993 წლების სასტიკი ომი, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ შესაძლებელი იქნებოდა საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრა. მაგრამ დღეს შექმნილი ვითარება მოითხოვს ქართველ-აფხაზთა თანაარსებობის ახალი ფორმების ძიებას. აქედან გამომდინარე, ჩვენის აზრით, სავსებით მისაღებია სახელშეკრულებო ურთიერთობის დამყარება აფხაზეთთან, თუკი ეს ურთიერთობა უზრუნველყოფს: მშვიდობას აფხაზეთში; აფხაზთა და ქართველთა საბოლოო შერიგებას; აფხაზების, ქართველებისა და აფხაზეთის ბინადარი ყველა ხალხის სამართლებრივ და რეალურ დაცულობას; აფხაზეთის ყველა მაცხოვრებლის ეროვნული და პიროვნული ღირსების ხელშეუხებლობას; აფხაზეთის ყოველმხრივი განვითარებისათვის საჭირო პოლიტიკურ და ეკონომიკურ საფუძვლებს, ანუ ყველაფერი ეს რომ შევაჯამოთ, – ნორმალურ ადამიანურ ცხოვრებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც შეეხება იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა დაბრუნების პრობლემას, იგი პოლიტიკური სტატუსის კონტექსტში უნდა გადაწყდეს. პრინციპი: ჯერ ლტოლვილთა უპირობო დაბრუნება, შემდეგ კი სტატუსის დადგენა – არარეალურია. ცივი ომის პირობებში მოსახლეობის მასობრივი დაბრუნება ვერ მოხდება და კიდევაც რომ იყოს ამის საშუალება, სად ვაგზავნით ხალხს? შესაძლო სამხედრო მოქმედებების ზონაში? პოლიტიკური სტატუსის გაურკვევლობა ხომ ყოველთვის შეიცავს ომის განახლების საშიშროებას.

ამრიგად, ჩვენ ვფიქრობთ, რომ დროა დაიწყოს პირდაპირი ქართულ-აფხაზური დიალოგი საერთო პოლიტიკური, ეკონომიკური და საინფორმაციო სივრცის ჩამოყალიბების საკითხზე, შექმნილი რეალიების გათვალისწინებით. ამასთან, ჩვენი აზრით, ქართულმა მხარემ თავისი კეთილი ნების დასტურად დსთ-ს ქვეყნებს უნდა მოსთხოვოს აფხაზეთის მოსახლეობისათვის ეკონომიკური ბლოკადის მოხსნა. მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მსგავსი ზომები ნაკლებად ეფექტურია, თუ არაფერს ვიტყვით მათ მორალურ მხარეზე. როგორც ცნობილია, ბლოკადის სიმძიმე პირველ რიგში აწვება მოსახლეობის სოციალურად ყველაზე დაუცველ ნაწილს. ბლოკადა იწვევს მხოლოდ პოლიტიკური აზრის რადიკალიზაციასა და მტრის ხატის განმტკიცებას იზოლირებულ საზოგადოებაში, რაც სამშვიდობო პროცესისათვის მხოლოდ ხელის შემშლელია.

და ბოლოს: აუცილებელია, მიეცეს აფხაზეთის ტრაგედიას ზნეობრივი შეფასება, ურომლისოდაც ვერავითარ შინაგან განწმენდასა და წინსვლას ვერ შევძლებთ და, მაშასადამე, ვერ მოვიპოვებთ ჩვენი მომავლის აშენებისთვის საჭირო სულიერ ძალებს.

პრობლემის გადაჭრის ზემოხსენებული ვარიანტი მყარ საფუძველს შეუქმნის აფხაზეთის საკითხის მშვიდობიან გადაწყვეტას, რაც უმნიშვნელოვანესი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება კავკასიის ინტეგრაციის გზაზე.

1. ანა აბრამიშვილი – კავკასიის ხალხთა სოლიდარობის ფონდის პრეზიდენტი
2. თამარ აბრამიშვილი – ქალთა განათლებისა და ინფორმაციის საერთაშორისო ცენტრის კოორდინატორი
3. ნანული აზიკური – ეთნოგრაფი
4. გიორგი ანჩაბაძე – ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი
5. ლეილა ასანიშვილი – კავკასიის ხელოვანთა გილდიის კოორდინატორი
6. დავით ბადრიძე – ექიმი
7. ციალა ბალიშვილი – პედაგოგი (ლტოლვილი)
8. მიხეილ ბეროშვილი – მთარგმნელი
9. მარიამ ბუხნიკაშვილი – პედაგოგი
10. მანანა გაბაშვილი – ნეიროფსიქოლოგი
11. მაია გაიდაროვა – ფილოლოგი
12. ნაირა გელაშვილი – მწერალი, კავკასიური სახლის დირექტორი
13. მანანა დარჯანია – ჟურნალისტი
14. მანანა ვახანია – პედაგოგი (ლტოლვილი)
15. ჰამლეტ ზუკაკაშვილი – გალერეა „სოლოლაკის" კურატორი
16. მანანა კაჭკაჭიშვილი – მხატვარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | |
|---|---|---|
| 17. ირმა კვაშილავა | — | ეთნოგრაფი, (ლტოლვილი) |
| 18. მარინა კეკელიძე | — | ფილოლოგი |
| 19. ნაზი კვარჩია-ნადირაძე | — | ინჟინერ-მშენებელი ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი |
| 20. ირინა კვირკველია | — | ფიზიკოსი ს.ტ.უ-ს მეცნიერ მუშაკი |
| 21. მანაბა მაგომედოვა | — | მხატვარი |
| 22. თენგიზ მამალაძე | — | ბიოლოგი |
| 23 მიხეილ მირზიაშვილი | — | მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი |
| 24. დალი მოწონელიძე | — | ფიზიკოსი |
| 25. გურამ ნადირაძე | — | ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, ტექნიკური უნივერსიტეტის დოცენტი |
| 26. გურამ ოთხოზორია | — | ისტორიკოსი |
| 27. ცისანა პაიჭაძე | — | მთარგმნელი |
| 28. მურმან პაპაშვილი | — | ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი |
| 29. ნინო ყვანია | — | მათემატიკოსი |
| 30. ნოდარ სარჯველაძე | — | ფსიქოლოგი, ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი |
| 31. ლეილა სიხარულიძე | — | ფილოლოგი |
| 32. ქეთევან ტაბატაძე | — | ჟურნალისტი |
| 33. იური ჩიქოვანი | — | ქართული გენეალოგიური საზოგადოების თავმჯდომარე |
| 34. გიორგი წულაძე | — | ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი |
| 35. გინა ჭელიძე | — | მთარგმნელი |
| 36. ლია ჯაყელი | — | ფილოლოგი, მთარგმნელი |
| 37. გიორგი ხუციშვილი | — | კონფლიქტოლოგიის საერთაშორისო ცენტრის დირექტორი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი |

განცხადების ტექსტი მიღებულია „კავკასიურ სახლში" 1997 წლის 10 აგვისტოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიტერ ბოდენი

## კავკასიური მითოსის რღვევა რუსულ ცნობიერებაში

რუსეთი და კავკასია - ეს გახლავთ საუკუნეთა განმავლობაში არსებული დაპირისპირებულობა, რის შესახებაც ევროპის დანარჩენ ნაწილს ერთობ ფრაგმენტული ცოდნა გააჩნია. მხოლოდ ჩეჩნეთის ომის აქტუალობამ ახადა წარსულს ფარდა და იგი სააშკარაოზე გამოიტანა. გაოცებული საზოგადოება დღეს ცდილობს გააცნობიეროს რუსეთის შეიარაღებული ძალების ექსპანსია კავკასიურ სივრცეში, მათი კრახის მიზეზი და შედეგები.

თუ რაა იმის მიზეზი, რომ კავკასიისადმი ამგვარ დამოკიდებულებას რუსული თვითშეგნების ღრმა პლასტებში აქვს ფესვი გადგმული, ეს ატლანტიკური ბლოკის მსოფლმხედველობით გამსჭვალული დასავლეთ და შუა ევროპელისათვის დღემდე საიდუმლოებითაა მოცული.

მართლაცდა, ამ შემთხვევაში საქმე ეხება იმას, რაც რუსეთისათვის გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ეს ტერიტორიულ-პოლიტიკური საკითხია. კითხვის ქვეშ დადგა აგრეთვე სულიერი და კულტურული ტრადიციის ერთი დიდი მონაკვეთი, რომელიც რუსეთის მიერ საკუთარ ეროვნულ ისტორიასთან მჭიდრო კავშირში აღიქმება. რუსეთის მიერ კავკასიის ფიზიკურ დასაკუთრებას სისხლისმღვრელი ლაშქრობებისა და დიპლომატიური მანევრების საშუალებებით, ივანე მრისხანეს ეპოქამდე რომ გვაბრუნებენ, თან ახლდა კავკასიის სულიერ-კულტურული ათვისებაც. მთავარი მედიუმი ამ მიმართულებით იყო ლიტერატურა, ხოლო მის პროტაგონისტებს ეკუთვნოდნენ ისეთი კორიფეები, როგორებიც გახლდნენ პუშკინი, ლერმონტოვი თუ ლევ ტოლსტოი.

ჩეჩნეთის ომთან დაკავშირებით გაჩნდა მწვავე კითხვაც - შერჩება კი ამ სულიერ ათვისებას მყარი საყრდენი?

როდესაც 1864 წლის 21 მაისს კავკასიის ფრონტის მთავარსარდალმა, დიდმა თავადმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ ჩეჩნეთის უკანასკნელი ამბოხების ჩახშობასთან დაკავშირებით წირვა გადაიხადა და ამით მთელი რეგიონის დამორჩილება საზეიმოდ აღნიშნა, რუსეთის კულტურულ-ისტორიულ თვითშეგნებაში კავკასიის მითოსს უკვე ღრმად ჰქონდა ფესვი გადგმული. მისი მამამთავარი გახლდათ მწერალი და დიპლომატი ალექსანდრე გრიბოედოვი (1795-1829), რომელმაც ლიტერატურაში დაიმკვიდრა ადგილი უპირველეს ყოვლისა, როგორც ავტორმა კომედიისა "ვაი ჭკუისაგან", ციტატათა დღემდე დაუშრეტელ საგანძურს რომ შეიცავს. გრიბოედოვი განასახიერებდა პოლიტიკისა და ლიტერატურის შერწყმას, რაც იმთავითვე ახასიათებდა რუსეთის კავკასიური მითოსის ჩამოყალიბებას. იგი ენერგიულად და დიდის თავგამოდებით მონაწილეობდა კავკასიის დასაპყრობად წარმოებულ ლაშქრობებში გენერალ ერმოლოვის მეთაურობით; სამშვიდობო მოლაპარაკებებზე თავი გამოიჩინა როგორც მოხერხებულმა და ენების მცოდნე დიპლომატმა, ბინა დაიდო თბილისში და აქ ცოლად შეირთო ქართველი დიდგვაროვანის ასული. შემდეგ გახდა რუსეთის საელჩოს დესპანი თეირანში, სადაც ფანატიკოსთა სისასტიკემ მოუღო ბოლო. როგორც ტრანსკავკასიის მოწყობის მემორანდუმის ავტორმა, გრიბოედოვმა რუსული კოლონიზაცია სრულიად კონკრეტული მიმართულებით წარმართა. მის დამსახურებად შეიძლება ჩაითვალოს ისიც, რომ თავისი პირველი რომანტიული ლექსებით და ქართული სინამდვილის ამსახველი ტრაგედიის ფრაგმენტით მან კავკასია რუსული ლიტერატურის საგნად აქცია. გრიბოედოვის მიერ წამოწყებული ლიტერატურული ცდები ცოტა

მოგვიანებით პუშკინისა და, უპირველეს ყოვლისა, ლერმონტოვის პოეტური შემოქმედებით, მათი პოემებითა და მოთხრობებით დაგვირგვინდა, სადაც კავკასიის დიდებული ბუნება განდიდებულია როგორც თავისუფლების ნავსაყუდელი და ამა სოფლიდან რომანტიული გაქცევის სადგური.

პოლიტიკა ამ ტრადიციას თავისი მიზნების შესაბამისად, ხშირად თავისი დიდმპყრობელურ პრეტენზიათა დასაკმაყოფილებლად იყენებდა. ისეთ ლიტერატურას როგორიც რუსულია, რომელსაც მუდამ ხაზგასმულად სოციალურ-პოლიტიკური ხასიათი ჰქონდა, ასეთი რამ არ ეუცხოებოდა. რუსული იმპერიული ტრადიციების განდიდებას თვით საბჭოურ პერიოდშიც შეეძლო, წარსულის ლიტერატურულ ნიმუშებს დაყრდნობოდა. როდესაც 1961 წელს თბილისის ერთ-ერთ ცენტრალურ ადგილას გრიბოედოვის ძეგლი იქნა აღმართული, ეს გაგებული იქნა როგორც საბჭოთა ძალაუფლების დემონსტრაცია, ჩაფიქრებული საქართველოს დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვის წინააღმდეგ. კავკასიის რომანტიკა პუშკინისა და ლერმონტოვის შემოქმედებაში, ყოველი რუსი მოსწავლისათვის დღემდე მეტად ახლობელ თემას რომ წარმოადგენს, ასევე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენდა ამ კონტექსტში. იგი ნიადაგ აფხიზლებდა შეგნებას "ჩვენს კავკასიაზე", რომელიც რუსეთმა თავისი პოეტების სისხლითაც მოიპოვა. ამ მოწამეობრივ ხაზს საფუძველს ისევ და ისევ გრიბოედოვი უყრის, ხოლო მის მიმდევრად გვევლინება ლერმონტოვი, 1842 წელს კავკასიაში დუელის დროს სასიკვდილოდ რომ დაჭრეს; ასევე ბესტუჟევ-მარლინსკი, რომელიც როგორც დეკაბრისტების მოძრაობის ყოფილი მონაწილე კავკასიაში იყო გადასახლებული და იქ 1837 წელს მთიელთა წინააღმდეგ ბრძოლაში დაიღუპა.

მეორე მხრივ, რუსეთის კავკასიური მითოსის შემოქმედთ ნაკლებად ქენჯნიდათ სინდისი იმის გამო, რომ ისინი ცარიზმისა და ორთოდოქსიის მისიონერული იდეების სამსახურში იდგნენ. აქაც ისევ და ისევ გრიბოედოვი იძლეოდა ტონს. თვითონ ლერმონტოვი, რომელიც – მისი ბიოგრაფიის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ – მკაცრად უპირისპირდებოდა რუსეთის მეფეების პოლიტიკას – ქართულ თემაზე დაწერილ პოემაში "მწირი", რუსეთის დამპყრობლურ ომებს კავკასიაში "ღვთის წყალობად" მიიჩნევს. პუშკინი კიდევ უფრო უცერემონიოდ გამოთქვამს ამგვარ შეხედულებებს. ის თავის რომანტიკულ პოემას "კავკასიის ტყვე" ამთავრებს სტრიქონებით, სადაც ხოტბას ასხამს რუსეთის სამხედრო ხელმძღვანელებს კავკასიაში, კერძოდ, ერმოლოვისა და კოტლიარევსკის სისხლიან ლაშქრობებს. პუშკინი არც თავის წერილებში მალავს აღფრთოვანებას რუსეთის კოლონიზატორული პოლიტიკის გამო. პუშკინის პოეტური პოლემიკა მათთან, ვინც გააკრიტიკა რუსეთის მიერ პოლონეთის აჯანყების ჩახშობა 1834 წელს ("რუსეთის ცილისმწამებლებს") ხანგრძლივი ზემოქმედების მაგალითია იმ სახეობის ლიტერატურისათვის, მამულის გამართლების მიზნით რომ არის გამოგონილი. რუსეთის მიერ კავკასიის ათვისება-დამორჩილების ასეთ წესზე, პუშკინისათვის მისაღები რომ აღმოჩნდა, მიუთითებს და საყვედურობს პუშკინს მისი მეგობარი და მწერალი-კოლეგა ვიაზემსკი სიტყვებით, დღესაც განსაცვიფრებლად აქტუალურად რომ ჟღერს: "სამწუხაროა, რომ პუშკინმა თავისი პოემის დასასრული სისხლით დალაქა. ერმოლოვი და კოტლიარევსკი რა გმირები არიან? ... პოეზია არ შეიძლება იყოს ჯალათების მოკავშირე. ჩვენ რომ ხალხებისათვის განათლება მიგვეცა, მაშინ შეიძლებოდა გამარჯვებას ფასი ჰქონოდა. პოეტის ჰიმნები არასოდეს უნდა ასხამდეს ხოტბას ხოცვა-ჟლეტას."

და მაინც, გვერდი არ უნდა ავუაროთ იმ ფაქტსაც, რომ რუსეთის კავკასიური მითოსი მხოლოდ თავის მართლების ლიტერატურით არ შემოიფარგლება. თავიდანვე გაისმოდა ფხიზელი ხმებიც. მათ მიეკუთვნება ზემოხსენებული ბესტუჟევ-მარლინსკის ეგზოტიკური ფერებით შემკული კავკასიური მოთხრობები, სადაც კარგად ცნაურდება რუსეთის დამპყრობლური ომის ტრაგიკული აბსურდულობა, აგრეთვე ლევ ტოლსტოის მოთხრობა "ჰა-

ჯი მურატი", რომელიც ჩეჩნეთის წინააღმდეგ ლაშქრობის ბოლო ფაზებს ეხება და რომელშიც კრიტიკული რეგისტრი სჭარბობს. ფრონტის ორივე მხარეს ტოლსტოი მხოლოდ კაცთა უაზრო კვლას ხედავს, რაშიც ის ძირითად პასუხისმგებლობას ნიკოლოზ პირველს აკისრებს, ჩეჩნეთის წინააღმდეგ მის მიერ სანქცირებული "გადამწვარ მიწად", წოდებული გამანადგურებელი სტრატეგიის გამო.

საბჭოთა ხანამაც შეიტანა წვლილი კავკასიის მითოსის მსხვრევაში. კავკასიის უცნობი კულტურების წვდომის ხიბლი და ჯადო დაუმსხვრეველი რჩებოდა, მაგრამ ახლა საბჭოური რეჟიმის მიერ ათვალწუნებული ავტორებისთვის, როგორებიც იყვნენ მანდელშტამი, პასტერნაკი და ფუტურისტი ზაბოლოცკი, იგი სიცოცხლის შენარჩუნების სტრატეგიად იქცა. 1930 წლიდან მოყოლებული პასტერნაკისეულმა ქართული პოეზიის თარგმანებმა, რომელთაც სტალინი დიდად აფასებდა, იგი დევნისაგან დაიფარა. იგივე შეიძლება ითქვას ზაბოლოცკიზეც, რომელიც ლენინგრადის ზოგიერთ ფუტურისტ მწერალთან ერთად სიკვდილს გადაურჩა.

თავის საფუძველში კულტურული გათანაბრებისაკენ სწრაფვით აღბეჭდილი საბჭოთა ეროვნული პოლიტიკა სულ უფრო აშკარად აყენებდა ეჭვქვეშ მემკვიდრეობით მიღებული კავკასიური მითოსის სიცოცხლისუნარიანობას. უკვე 1920 წელს საქართველოში მყოფი მანდელშტამი მივიდა დასკვნამდე, რომ რუსეთთან კულტურულ სიმბიოზზე ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა. რუსიფიკაციას – ადმინისტრაციული ყოფის გარკვეული ზონების გარდა – ფეხი ვერსად მოეკიდა. საქართველოს ეროვნული და პოლიტიკური თვითგამორკვევა მანდელშტამისთვის სავსებით ლოგიკური გახდა. პუშკინისა და ლერმონტოვის მიერ რუსულ ცნობიერებაში დამკვიდრებული კავკასიის ხატი მანდელშტამმა უარყო, როგორც მითოსი, რომელსაც რეალობასთან არაფერი ჰქონდა საერთო.

რა დაემართება ამ მითს ახლა, საბჭოთა კავშირის დაშლისა და ტრანსკავკასიაში სამი ახალი სახელმწიფოს შექმნის შემდეგ? ამჟამად რომანტიზმის კავკასიურ პოეზიას შეუძლია რუს ადამიანში იგივე გრძნობები აღძრას, რასაც პოლონელში აღძრავდა ლიტველების ამაღლებული ფიცი მიცკევიჩის ეროვნულ ეპოსში "პან თადეუში". ყოველ შემთხვევაში, მემკვიდრეობით მიღებული ხედვისა და ხატების კრიტიკული გადასინჯვა რუსეთში უკვე კარგა ხანია დაიწყო – და არა მხოლოდ ლიტერატურაში. კავკასიისადმი დამოკიდებულება აქ სრულიად გარკვეულ როლს თამაშობს. აი, თუნდაც სოლჟენიცინი, რომელიც გაუთავებლად ჩასძახის თავის თანამემამულეებს, რათა მათ შეიგნონ, ბოლოსდაბოლოს, რომ ტრანსკავკასია თავისი გზით უნდა წავიდეს. სოლჟენიცინმა "გულაგის არქიპელაგში" პატივით მოიხსენია ჩეჩნები. ისინი ერთადერთნი იყვნენ, რომლებსაც ბანაკების ექსტრემულ პირობებშიც კი არ დაუკარგავთ ღირსების გრძნობა და დამორჩილებულთა ფსიქოლოგია არ მორევიათ. ჩეჩნეთის ომმა კი თვალნათლივ დაგვანახა, რომ "რუსეთის ზონაში" მყოფი კავკასიის ხალხებისათვის ავტონომიის საკითხი მოგვარებული არ არის. ეროვნულ ტრადიციებთან მჭიდროდ გადახლართული კავკასიის მითოსის ხიბლი მოვლენების ამგვარ განვითარებას რუსეთისთვის მომავალშიც მტკივნეულ პროცესად აქცევს.

გერმანულიდან თარგმნა
მიხეილ ბეროშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## „კავკასიური სახლი“ როგორც ასეთი

დავიწყოთ იქიდან, თუ როგორ გაჩნდა ეს ცნება.

შემდეგ მოგითხრობთ, თუ როგორ წარ-მოიქმნა ორგანიზაცია ამ სახელწოდებით.

ეს მოხდა 1990 წლის გაზაფხულზე. საქართველოს მწვანეთა მოძრაობამ მაშინდელ მთარგმნელობით კოლეგიასთან ერთად, რომელსაც ბატონი ოთარ ნოდია ხელმძღვანელობდა, წამოიწყო საერთო კავკასიური მოძრაობა დევიზით: — „კავკასია — ჩვენი საერთო სახლი“.

მაგრამ ეს იდეა თუ მოწოდება პირველად ბაქოელმა მეცნიერმა, ცნობილმა თურქოლოგმა, აიდინ მამედოვმა ახსენა 1990 წლის თებერვალში, აზერბაიჯანისა და სომხეთის წარმომადგენელთა შეხვედრაზე, ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ რომ გამართა თბილისში.

აღსანიშნავია, რომ აიდინ მამედოვი, ბ-ნ ოთარ ნოდიას მსგავსად, აზერბაიჯანის „მთარგმნელობით ცენტრს“ ხელმძღვანელობდა. და კანონზომიერია, კავკასიური ერთიანობის იდეას თბილისშიც და ბაქოშიც სწორედ თარგმანის ციტადელი რომ ინახავდა. რადგან რა არის თარგმანი თუ არა უმოკლესი ხიდი, უღრმესი კონტაქტი ორ ხალხს შორის? გარდა ამისა, თარგმანის ცენტრი — როგორც ბაქოში, ასევე თბილისში — თავისუფალი, დემოკრატიული აზროვნების კერას წარმოადგენდა.

ქართველთა თაოსნობით გამართული სომხებისა და აზერბაიჯანელების დიალოგი ძნელად წარიმართა და უშედეგოდ დამთავრდა. მაგრამ დარჩა აიდინ მამედოვის დიდის გულისტკივილით წარმოთქმული სიტყვები: „კავკასიას საშინელ სამხედრო პოლიგონად გადააქცევენ. ჩვენ ყველანი დავიღუპებით. კავკასიის ხალხებს არა აქვთ იდეა. მათ მხოლოდ მცდარად გაგებული თავისუფლების იდეა ამოძრავებთ. მივცეთ ამ ხალხებს ახალი იდეა, რომელიც „კარგად დავიწყებული ძველია“ — იდეა კავკასიური ერთიანობისა: „კავკასია, ჩვენი საერთო სახლი“. ამ სახლის გადარჩენისათვის საჭიროა გამოცხადდეს (დროებით მაინც) მორატორიუმი ტერიტორიულ პრეტენზიებზე. უამისოდ არათუ არ გვეღირსება არავითარი დამოუკიდებლობა, ეს სახლი ზედ ჩამოგვექცევა“ (1990 წ. თებერვალი).

ამ შეხვედრიდან ერთი თვის შემდეგ „საქართველოს მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების მთავარმა სარედაქციო კოლეგიამ“ და მწვანეთა მოძრაობამ კავკასიის ყველა ხალხს მიმართა მოწოდებით (მოწოდების ტექსტი შეადგინა ნაირა გელაშვილმა და წაუკითხა პირველად საქართველოს მწვანეთა მოძრაობის დამაარსებელსა და მაშინდელ ლიდერს — ზურაბ ჟვანიას):

### კავკასიის ხალხებს!

ძვირფასო მეგობრებო, ჩვენო კავკასიელო დებო და ძმებო!

მოგმართავთ საქართველოს მწვანეთა მოძრაობის წევრები სურვილით: გაგიზიაროთ ჩვენი აზრები, ტკივილები, შეშფოთება და მომავლის გეგმები.

გავაანალიზეთ რა კავკასიის — ამ უნიკალური რეგიონის კატასტროფული ეკოლოგიური მდგომარეობა — გადაუდებელ საქმედ მივიჩნიეთ, მივმართოთ ყველა კავკასიელ ხალხს შემდეგი განცხადებით:

ჩვენ საბედისწერო და მიუტევებელ შეცდომად ვთვლით[1] ტენდენციას: მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა მიენიჭოს ეკოლოგიურ პრობლემას პოლიტიკურ-ეკონომიკურ პრობლემებთან შედარებით და მის გადაჭრაზე ზრუნვა ახლო თუ შორეულ მომავლისათვის გადაიდოს.

სომხეთის თავს დატეხილი გამანადგურებელი მიწისძვრა, ადამიანური მსხვერპ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლით აღბეჭდილი თითქმის ყოველწლიური სტიქიური უბედურებანი კავკასიის სხვადასხვა რეგიონში — ეს ყოველივე სასტიკი გაფრთხილებაა სამყაროს ძალთა მხრიდან და ჩვენ უფლება არა გვაქვს, ყური არ მივუგდოთ მათ. ჩვენ არ შეგვიძლია არ დავარისხროთ განგაშის ზარები, როდესაც ვხედავთ როგორ განუხრელად ნადგურდება სიცოცხლე კავკასიაში: იღუპებიან მდინარეები, ტბები, ზღვები, მცენარეები, ცხოველები! ნადგურდება ძველთაძველი ტრადიციები, ადათ-წესები, მორალური კანონები და საყრდენები! მოწამლული გარემო სპობს არა მხოლოდ ადამიანთა სიცოცხლეს, არამედ ხელოვნების მშვენიერ ქმნილებათაც, ჩვენი მამა-პაპის ხელით შექმნილ ძველთაძველ საგნებს!

ეროვნებათა შორის გაჩაღებული შუღლი არა მხოლოდ უსასრულოდ აბრკოლებს და აგვიანებს ჩვენი იდეალების აღსრულებას, არამედ აჩქარებს კიდევ უფრო მძაფრ პოლიტიკურ და ეკოლოგიურ კატასტროფებს; აჩქარებს ჩვენი ბავშვების სიბერესა და სიკვდილს, რომელთაც წილად ერგოთ ცხოვრება არა მარტო გამძვინვარებულ სოციალურ გარემოში, არამედ მოწამლული წყლის, ჰაერისა და მიწის დამღუპველ გარემოცვაშიც. ბუნება ერთიანია და არ სცნობს პოლიტიკურ საზღვრებს. კავკასიის სასიკვდილოდ დასნეულებული ბუნების გადასარჩენად, შემდგომ სტიქიურ უბედურებათა თავიდან ასაცილებლად, აუცილებელია კავკასიის საერთო ეკოლოგიური კონცეფციის შემუშავება და მის საფუძველზე საერთო ეკონომიკური კონცეფციის აგება მკაცრი პრინციპით: „ეკონომიკა ემორჩილება ეკოლოგიას“.

მხოლოდ კავკასიელ ხალხთა ერთიანი ინტელექტუალური და ზნეობრივ-სულიერი ძალისხმევით გახდება შესაძლებელი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მეცნიერული მუშაობისა და საერთო კავკასიური მასშტაბის ეკოლოგიურ ღონისძიებათა დაწყება; სწორედ ამ გზით ჩაეყრება საძირკველი საერთო კავკასიურ სახლს, ურომლისოდაც წარმოუდგენელია კავკასიელ ხალხთა მომავალი.

ჩვენ, კავკასიელი ხალხები, შინაგანად ვატარებთ თანაარსებობის მრავალსაუკუნოვან გამოცდილებას; სწორედ ეს გამოცდილება ღვივის მრავალი კავკასიელის — როგორც მუსულმანის, ისე ქრისტიანის — გულში და ჰბადებს მასში სურვილს იქადაგოს საერთო კავკასიური სახლის იდეა, იოცნებოს კავკასიელ ხალხთა უმჭიდროეს ადამიანურ, სულიერ, კულტურულ, ეკონომიკურ კავშირზე, როგორც ერთადერთ საწინდარზე ჩვენი გადარჩენისა.

ჩვენ ვალდებულნი ვართ ყველაფერი ვიღონოთ კავკასიაში იმ ადამიანური, ეკოლოგიურად და პოლიტიკურად უხიფათო მდგომარეობის შესაქმნელად, სადაც ჩვენი ბავშვები — დღესდღეობით მოწყვეტილნი მსოფლიო კულტურასა და ცივილიზაციას — შესძლებენ შეითვისონ მაღალი სულიერი ღირებულებანი; შეიძინონ ისეთი ეროვნული შეგნება, რომელიც განუყრელად იქნება გადაჯაჭვული საერთო კავკასიურ ცნობიერებასთან და მსოფლიო მოქალაქეობის ღირსეულ განცდასთან.

და აი, ასე გაზრდილი ჩვენი შვილები შესძლებენ ჩვენზე უკეთ, ჩვენზე ადამიანურად და ცივილიზებულად გადაჭრან ის კონფლიქტური პრობლემები, რომლებიც ჩვენ — დამოუკიდებელ ქმედებას გადაჩვეულებს — ახლა ტრაგიკულ და დამღუპველ გართულებათა ბადეში გვხვევენ.

მოდით, ძვირფასო მეგობრებო, ჩვენო დებო და ძმებო, ჩვენი ტრაგიკული წარსულის გულისთვის, ჩვენი მომავლის გულისთვის — ერთად შევუდგეთ შემოქმედებით, აღმაშენებელ მოღვაწეობას კავკასიელ ხალხთა ეროვნული თვითმყოფადობისა და კავკასიის უნიკალური ბუნების გადასარჩენად“.

მაგრამ ეს მოწოდება არც ფოსტით გვიგზავნია და არც შემთხვევითი მგზავრებისათვის გაგვიტანებია.

შეიქმნა დელეგაციები, რომელთა შემადგენლობაშიც შედიოდნენ მეცნიერები, „მთარგმნელთა კოლეგიის“ თანამშრომლები, მწვანეთა მოძრაობის წევრები: ოთარ ნოდია, ნაირა გელაშვილი, ვახუშტი კოტეტი-

შვილი, მედეა ქანთარია, ანა აბრამიშვილი, ვაჟა შენგელია, თემურ გვანცელაძე, თამარ უჯუხუ, მიხეილ ბეროშვილი, ნიკო ქავჭავაძე, იულონ გაგოშიძე და სხვები.

დელეგაციები კავკასიის დედაქალაქებისაკენ დაიძრნენ: მანქანით, ავტობუსით, მატარებლით, თვითმფრინავით სერავდნენ კავკასიის სივრცეს გიგანტური მთაგრეხილის გაღმა-გამოღმა ადამიანები, რომელთაც, ალბათ, ძალზე დაამშვენებდათ ზეთისხილის თუ პალმის რტო ხელში.

ნალჩიკი... მაიკოპი... ჩერკესკი... გროზნო... ვლადიკავკაზი... მახაჩკალა... ბაქო... ერევანი.

აქ იმართებოდა შეხვედრები ინტელიგენციასთან, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების თანამშრომლებთან, რომლებსაც მეგობრობა და მეცნიერული საქმიანობა აკავშირებდათ საქართველოსთან... აქ კითხულობდნენ მიმართვა-მოწოდებას...

1989 წლის ივლისში სოხუმში და 1989 წლის ნოემბრიდან ცხინვალში მომხდარი სისხლიანი შეტაკებების შედეგად ჩრდილო კავკასიასა და საქართველოს შორის უკვე სერიოზული დაძაბულობა შეიქმნა.

დამდგარიყო პოლიტიკური ქარტეხილების საშიში ჟამი. საქართველო კი ჩრდილო კავკასიას არავითარ ყურადღებას არ აქცევდა. მის მრავალ „გამანთავისუფლებელს“ ნაციონალურ უმცირესობათაგან საქართველოს განთავისუფლება დაესახა მიზნად და ამით იყო დაკავებული: აფხაზი ნაციონალისტები აქტიურად მუშაობდნენ და ახდენდნენ ჩრდილოკავკასიის ხალხების ცალმხრივ ინფორმირებას. ამ ხალხების წარმოსახვაში თანდათან მყარდებოდა აგრესიული მეზობლის, საშიში „მცირე იმპერიის“ ხატი, რომელიც მას შემდეგ, რაც თავის „უცხო თესლის ტომებს“ – ოსებს, აფხაზებს, მაჰმადიან ქართველებს, საერთოდ, მაჰმადიანებს – მოუვლიდა, მათთვისაც მოიცლიდა. ყოყოჩა, კავკასიელ მეზობელთა აბუჩად ამგდები, ამპარტავანი და აგრესიული საქართველოს ხატმა ნელ-ნელა შეცვალა ტრადიციული, კულტურული, საქართველოს ხატი, საქართველოსი, რომელსაც წესით უნდა ეტარებინა პასუხისმგებლობა მთელი კავკასიის ბედის წინაშე და რომლითაც ამაყობდა ჩრდილო კავკასია.

მიუხედავად ამისა, ჩრდილო კავკასიის საზოგადოების ის ფენა, რომელსაც ხვდებოდნენ საქართველოს დელეგაციები, – გულისტკივილს კი გამოთქვამდა, მაგრამ მეგობრულად და დიდი ენთუზიაზმით ეგებებოდა მათ. იყო რთული საუბრებიც აფხაზების, ოსებისა და მაჰმადიანი მესხების თაობაზე, მაგრამ ეს საუბრები იყო და არა შეხლა-შემოხლა.

ყველა ერთხმად აღნიშნავდა ამ მოძრაობისა და იდეის აქტუალობას, სასიცოცხლო აუცილებლობას. ყველა დაეთანხმა წინადადებას, სასწრაფოდ გაემართათ საერთო კავკასიური კონფერენცია დევიზით: „კავკასია – ჩვენი საერთო სახლი“.

კონფერენცია 1990 წლის ივნისისათვის დაინიშნა.

მაგრამ ცოტა ხნით ადრე ჩაშლის საფრთხე დაემუქრა: ივნისის დასაწყისში ზ. გამსახურდიას ინსპირაციით მოეწყო დაღესტნელებით დასახლებული სოფლის პიკეტირება ყვარლის რაიონში. მოხდა შეჯახება ქართველებსა და ლეკებს შორის. დაღესტანში საპროტესტო მიტინგი აზვირთდა. დაღესტანსა და საქართველოს შორის ურთიერთობა უკიდურესად დაიძაბა. საფრთხე დაემუქრა არა მხოლოდ ადამიანთა მშვიდობასა და სიცოცხლეს, არამედ ცხვარსაც: შეუძლებელი ჩანდა მრავალი ათასი ცხვრის დაღესტნის (ყიზლარის) საშემოდგომო საძოვრებზე გადარეკვა, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდებოდა ხოლმე. ქართველ მწყემსებში მღელვარება დაიწყო.

გარდა ამისა, იგივე ლიდერმა 1990 წლის მაისის ბოლოს ახმეტაში გამართულ მიტინგზე ხალხს „ურჯულო მუსულმანთა“ (ე.ი. ქისტების) წინააღმდეგ მოუწოდა... ვილას დააჯერებდი საქართველოს ტოლერანტობაში, იმაში, რომ იგი პრობლემათა მშვიდობიანი გზით მოგვარებას ეხწრაფვოდა.

კონფერენცია მაინც შედგა. მას „შეხვედ-

რა-სემინარი“ ეწოდა. კავკასიის ყველა ხალხის წარმომადგენელმა მოიყარა თავი თბილისში. დაღესტნიდან ოცდაორკაციანი დელეგაცია ჩამოვიდა („ბევრს უნდოდა წამოსვლა, ძლივს შევაკავეთო“ — გვითხრა დელეგაციის ხელმძღვანელმა, მეცნიერმა ყაზბეგ მიქაილოვმა), სულ ჩრდილო კავკასიიდან — 80 სტუმარი.

მხოლოდ აფხაზები აკლდნენ კავკასიურ ფორუმს. თუმცა ნაირა გელაშვილი და ანა აბარამიშვილი-წვინარია, მთარგმნელთა კოლეგიის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი, ეროვნებით აფხაზი, თავად იმყოფებოდნენ სოხუმში მათ მოსაწვევად (ჩანს, „აიდგილარას“ ხელმძღვანელობამ არ შეასრულა დანაპირები და არ გადასცა აფხაზ მეცნიერებს მიწვევა).

თბილისში გამართულ პირველ საერთო კავკასიურ „შეხვედრა-სემინარს“ მსჭვალავდა ურთიერთმიკუთვნებულობის განცდა და შეგნება: კავკასიის გადარჩენისათვის აუცილებელია კავკასიის ხალხთა შორის უშუალო დიალოგი, სულიერი ძალების მობილიზაცია...

მაგრამ გააქტიურდნენ საპირისპირო ძალებიც: ქართული აგრესიული ნაციონალიზმი ძალას იკრებდა. საქართველოს მწერალთა კავშირმა სწორედ სემინარის დღეებში სასამართლო მოუწყო ოთარ ნოდიას და დააპირა სისრულეში მოეყვანა დიდი ხნის განზრახვა — მოეხსნა იგი. ბრალდებად წაუყენეს წლების განმავლობაში „კოლეგიაში“ „ინტერნაციონალური პოლიტიკის“ გატარება. ოთარ ნოდიას წინააღმდეგ განხორციელებულმა რეპრესიებმა სემინარი კინაღამ ჩაშალა და მონაწილეთა აღშფოთება გამოიწვია... მათ მიიღეს საპროტესტო მიმართვის ტექსტები... ოთარ ნოდია ხომ აღიარებული ავტორიტეტი გახლდათ მთელს ჩრდილო კავკასიაში.

1990 წლის სემინარის ძირითადი პრობლემატიკა იყო:

„კავკასია. სასიცოცხლო გარემო. რესურსები და მათი გამოყენება. განვითარების პერსპექტივები. კავკასიის საერთო ეკონომიკური და ეკოლოგიური კონცეფციისათვის.

კავკასიური მითოლოგია. კავკასიური ფოლკლორი. კავკასიურ ენები. კავკასიის ხალხების ეთნოკულტურული და სამეურნეო ურთიერთობანი.

ეკოლოგიის მორალურ-ფილოსოფიური საფუძვლები. ძველ კავკასიელთა ეკოლოგიური ცოდნა — არეკლილი მათ კულტურაში, ადათ-წესებში“.

მიღებულ იქნა მიმართვა კავკასიის ხალხებისადმი, მემორანდუმი და გადაწყვეტილება კავკასიის ეკოლოგიური საბჭოს შექმნის შესახებ.

დასასრულს, რა თქმა უნდა, შედგა გამოსამშვიდობებელი ბანკეტი და მთელი სისავსით წარმოსდგა კავკასიელთა ე.წ. მულტიკულტურა: სხვადასხვანაირი და მაინც ერთნაირი ცეკვები, სიმღერები, მხიარულების სტილი... (მხიარულებისა, რომელიც, ჩვენდა საუბედუროდ თუ საბედნიეროდ, მუდამ ჩქეფს კავკასიაში, მაშინაც, როცა ამის არავითარი საფუძველი არ არსებობს).

თბილისის სემინარის შემდეგ დაიწყო რეგულარული საერთო-კავკასიური სემინარების სერია: 1990 წლის აგვისტოში ეკოლოგიური საბჭოს წევრები შეიკრიბნენ ყარაჩაი-ჩერქეზეთში. დედაქალაქიდან საკმაო მანძილით დაშორებულ მთიან ადგილას — არხიზში. ამ მთებში, იმავე შენობაში, სადაც უნდა გვეცხოვრა, იმავე წლის გაზაფხულზე გორბაჩოვი და შევარდნაძე შეხვდნენ კოლსა და გენშერს. იქ ალბათ ჯერ კიდევ საიდუმლოდ საუბრობდნენ გერმანიის გაერთიანების შესახებ და ნაკლებად ფიქრობდნენ, თუ რა ელოდა კავკასიას. ჩვენ კი იმ პატარა სასახლეში ვერ მოვხვდით, რადგან, თუმცა ჩვენს მასპინძლებს ჩერქეზებსა და ყარაჩაელ მეცნიერებს, სრული თადარიგი ჰქონდათ დაჭერილი, — სახლი დაკავებული აღმოჩნდა რუსი დამსვენებლების მიერ.

1990 წლის სექტემბერში ეკოლოგიური საბჭოს სხდომა გაიმართა გროზნოში, ოქტომბრის ბოლოს — ისევ თბილისში, 1991 წლის იანვარში — ბაქოში... და ამის შემდეგ ეს მოძრაობა შეწყდა, რადგან იგი საქართველოს

ახალი ხელისუფლების, კერძოდ, ზ. გამსახურდიას მიერ უკვე დისკრედიტებული იყო და იმ რეჟიმის პირობებში, რაც საქართველოში გაბატონდა, ამ მოძრაობას პერსპექტივა არ გააჩნდა.

მას შემდეგ კი, რაც მრავალჯერ განაქიქა „კავკასიური სახლის" იდეა და მას „მოსკოვის მიერ შემოგდებული პროვოკაცია" უწოდა (გაზეთი „ლიტერატურული საქართველო 1990 წ.", ჟურნალი „ოგონიოკი 1991 წ." და ა.შ.); მას შემდეგ, რაც ზ. გამსახურდიას საკუთარ ქვეყანაში საკმაოდ საშიში და ძლიერი ოპოზიცია გაუჩნდა, და ამავე დროს მას ზურგი შეაქცია დასავლეთმა, — იგი იძულებული გახდა პოლიტიკური საყრდენი კავკასიის ხალხებში ეძებნა. მან წამოიწყო ჩრდილო კავკასიასთან დამეგობრების პროცესი... ამან ხელისუფლებას დაპირისპირებული ნაწილი საქართველოს მოსახლეობისა მექანიკურად განაწყო ჩრდილო კავკასიისა და, კერძოდ, ჩეჩნეთის წინააღმდეგ.

1991 წლის გაზაფხულზე აიდინ მამედოვი, რომელიც ამასობაში ყველაზე მაღალი რეიტინგის მქონე ფიგურად იქცა ბაქოში და პარლამენტის ერთაშორის ურთიერთობათა კომისიას ხელმძღვანელობდა — ავტოკატასტროფაში დაიღუპა. იგი ბაქოში ბრუნდებოდა საინგილოდან, სადაც ქართველთა პრობლემების მოსაგვარებლად იყო ჩასული. საერთო აზრია, რომ ავტოკატასტროფა მოწყობილი იყო.

მწერალთა კავშირის მიერ თთარ ნოდიას დევნა-შეურაცხყოფამ თავისი ნაყოფი გამოიღო. იგი მძიმედ დაავადდა და ველარ გამოკეთდა. 1993 წლის 29 დეკემბერს თთარ ნოდია გარდაიცვალა...

ამის შემდეგ ნაირა გელაშვილი ჩაუდგა სათავეში ორგანიზაციას, რომელმაც პოლიტიკური კატაკლიზმების კვალდაკვალ სახელწოდება რამდენჯერმე შეიცვალა ისე, რომ მისი შინაარსი არ შეცვლილა. და ამ შინაარსის ადექვატურ გამოხატულებად საბოლოოდ აირჩა სახელწოდება: საქართველოს კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი — „კავკასიური სახლი". სისხლში, დევნაში გამოვლილი იდეა თავის ახალ სიცოცხლეს იწყებდა უკვე დაფლეთილ, ნახევრად განადგურებულ კავკასიაში.

ასე რომ არსებობს იდეა-ცნება „კავკასიური სახლი" და ორგანიზაცია — კულტურული ურთიერთობების ცენტრი — „კავკასიური სახლი", რომელიც მდებარეობს თბილისში, გალაკტიონის ქუჩა №20-ში.

„კავკასიური სახლის" იდეა, ისევე როგორც ნებისმიერი იდეა, სხვადასხვა ადამიანების მიერ სხვადასხვანაირად გაიგება. ჩვენ, „კავკასიური სახლის" თანამშრომლები ასე ვიაზრებთ მას:

1. ჩვენ ვიზიარებთ აზრს, რომ რეგიონალური განვითარების პრინციპი — ეს არის განვითარების ყველაზე ოპტიმალური, ჯანსაღი და მისაღები გზა, ამიტომაც ევროპული სახლის შექმნა და სხვა „სახლების" იდეები, მათ შორის იდეა „კავკასიური სახლისა" და აგრეთვე სხვა გაერთიანებებისა, როგორც, მაგალითად, შავი ზღვის აუზის ქვეყნების გაერთიანება — არის საზოგადოების გადარჩენის, ეკოლოგიური უსაფრთხოების, ე.წ. მყარი განვითარების ყველაზე ბუნებრივი გზა.

2. მომავლის ჩვენეული ვიზიონია: ცალკეული (რეგიონალური) „სახლები" ავსებენ ჩვენს საერთო სახლს — ჩვენს პლანეტას — არა როგორც ჩაკეტილი ან საერთოდ, ერთმანეთთან დაპირისპირებული ერთეულები, არამედ როგორც საერთო საცხოვრისები ღია ფანჯრებითა და კარებით, ე.ი. ისინი ხელს უწყობენ მსოფლიოს კულტურულ-ეკონომიკურ, ეკოლოგიურ და მეცნიერულ ინტეგრაციას და ამგვარად, ჩვენი სივრცის ღიაობის გაფართოებას.

3. ამასთან ერთად ამ „სახლებს", როგორც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა ნორმალურ სახლს, რომელიც ადამიანების საცხოვრებლად არის გათვალისწინებული, აქვთ კედლები, ე.ი. ისინი წარმოადგენენ არა მარტო ღია ნაგებობებს, არამედ ღიასაც და დახურულსაც ერთდროულად: ინტეგრაცია ხელს არ უნდა უწყობდეს ნიველირებას – ჩვენ არ უნდა დავკარგოთ საკუთარი სახე, ჩვენი ბუნება, ჩვენი მრავალფეროვნება, თვითმყოფადობა, ენა, კულტურა, ღრმა ტრადიციები. ჩვენ გვსურს მივუახლოვდეთ ევროპულ სახლს და ყველა დანარჩენ სახლებს – ეგრეთწოდებულ თანამეგობრობას – მაგრამ მივუახლოვდეთ არა როგორც უსახო დანამატი, არამედ როგორც თვითშემმეცნებელი ფენომენი საკუთარი იერ-სახითა და საძირკვლით.

მაგრამ, „მხოლოდ საკუთარი სიღრმიდან შეიძლება დაინახო სხვისი სიღრმე“, მხოლოდ საკუთარ თვითმყოფადობაზე დაყრდნობით შეიძლება შეაფასო და ჩასწვდე სხვის თვითმყოფადობას. ასე რომ, ჩვენი ბუნებრივი ლტოლვა დანარჩენი სამყაროსაკენ, დასავლეთის ცივილიზაციისაკენ, უნდა გულისხმობდეს აგრეთვე გარკვეული დამცავი მექანიზმების არსებობასაც, რათა ყოვლის გამანიველირებელმა ნიაღვარმა, ამ ცივილიზაციის ნეგატიურმა საწყისმა, რომელიც შეერწყა ჩვენი საზოგადოების მომხმარებლურ-მტაცებლურ მისწრაფებებს, მეტისმეტად სწრაფად არ გადაავგვაროს ის პოზიტიური და მშობლიური, რაც აქ ჯერ კიდევ შემორჩენილა როგორც ადამიანთა სულებში, ისე კავკასიის ღვთაებრივად ლამაზ ბუნებაში.

4. მაშასადამე, „კავკასიური სახლი“ მოწოდებულია შეისწავლოს და გაიაზროს კავკასია როგორც ერთიანი მთელი. ამისათვის საჭიროა არა მხოლოდ ახალი გამოკვლევების სტიმულირება, არამედ ცალკეულ მეცნიერებათა მიღწევების ათვისება და განზოგადება. მაგალითად: უკვე შესწავლილია სომხეთის, საქართველოს, დაღესტნის და ა.შ. ეკო-ლოგიური მდგომარეობა, მაგრამ არ არსებობს წიგნი „კავკასიის ეკოლოგია“, თუმცა კავკასია ერთიანი გეოგრაფიული რაიონი, ერთიანი ეკოლოგიური სისტემაა, ან კიდევ: შესწავლილია ქართული ფოლკლორი, ყაბარდოული ფოლკლორი და ა.შ., მაგრამ არ არსებობს წიგნი „კავკასიური ფოლკლორი“ ან „კავკასიური მითოლოგია“, თუმცა კავკასიის ხალხების უძველესი ზეპირსიტყვიერება, ხახვითი და საშემსრულებლო შემოქმედება, ისევე, როგორც მათი ყოფითი კულტურა, ზნე-ჩვეულებანი და ადათები ნათელს ხდის მათ დიდ ერთობას, განსაკუთრებული ხასიათის ნათესაობას და წარმოგვიდგება რაღაც დაკარგული და გაუცნობიერებელი მთელის ნაწილებად.

5. თვითშემეცნება და თვითწვდომა შეიძლება მხოლოდ „სხვისი“, „უცხოს“ ათვისების, მისი აღიარების პარალელურად. სწორედ ეს არის ჩვენთვის „კულტურული ურთიერთობა“ თუ ინტეგრაციის პროცესი.

კავკასიის ეკოლოგიური მოძრაობის (როგორც ზემოთ მოგახსენეთ, იგი გაჩნდა 1990 წლის გაზაფხულზე დევიზით – „კავკასია ჩვენი საერთო სახლია“) ინიციატორთა მოწოდება, გამოცხადებულიყო მორატორიუმი კავკასიის ხალხებს შორის ტერიტორიულ პრეტენზიებზე, დაგვიანებული აღმოჩნდა. უკვე ბობოქრობდა ყარაბახის ომი, რომელმაც 1988 წელს იფეთქა, ხოლო დაძაბულობა აფხაზებსა და ქართველებს, ოსებსა და ქართველებს, ინგუშებსა და ოსებს შორის სწრაფად იზრდებოდა... ასე რომ, დამანგრეველი, სამარცხვინო ომების „ნაყოფთა“ წინაშე – სიკვდილის, ცრემლებისა და სისხლის ზღვაში მოქცეულები, დღეს მთლიანად ვაცნობიერებთ როგორც კავკასიური ერთობის იდეის სრულ არარეალურობას და უტოპიურობას, ისე მის სასიცოცხლო აუცილებლობას. ჭეშმარიტების ნიშანი სულაც არ გახლავთ მისი განხორციელების სიხშირე, ან კიდევ მისი ემპირიული, ყოფითი „რეალობა“, ან მისი მიმდევრების რიცხვი. ჭეშმარიტებას ხომ ხშირად იდეალის სახე აქვს და არსებობს როგორც იდეა ცალკეულ ადამიანთა გულსა და გონებაში.

ამ იდეის უტოპიურობის მთავარი მიზეზი

კავკასიისა და რუსეთის მმართველი წრეების დრომოჭმული პოლიტიკური შეგნებაა.

რუსეთს ჯერ არ გააჩნია ახალი პოლიტიკური კონცეფცია კავკასიის მიმართ, ტრადიციული პოლიტიკა კი ფატალურად კარნახობს მას მოქცეული ჰყავდეს კავკასია თავის მკლავებში (ჩრდილოეთი კავკასია რუსეთის ფედერაციაში, ამიერკავკასია კი – დსთ-ში) ძალისმიერი მეთოდებით;

რუსეთს ამ ეტაპზე არ შეუძლია იქონიოს რაიმე ახალი, პროგრესული, რაციონალური პოლიტიკა კავკასიის მიმართ, რომლის დაპყრობაც მას ამდენ სისხლად, ასეთ ხანგრძლივ იდეოლოგიურ თვითშთაგონებად და გამასავათებელ თვითმოტყუებად დაუჯდა.

რაც შეეხებათ კავკასიის ხალხებს, რაღაც ყოვლად გაუგებარი ისტორიული სიბეცე არ აძლევს მათ საშუალებას გაიცნობიერონ ელემენტარული ჭეშმარიტება და გამოიტანონ თავიანთი არც ისე შორეული ისტორიიდან თუნდაც ერთადერთი გაკვეთილი, სახელდობრ ის, რომ შეუძლებელია მოატყუო რუსეთი და გამოიყენო ის კავკასიის სხვა ხალხის წინააღმდეგ საკუთარი მიზნების მისაღწევად და, ამავდროულად, არაფერი ავნო საკუთარ თავს. შეუძლებელია იარაღით ხელში დაამარცხო რუსეთი და ასე გამოიხსნა თავი მისგან, შეუძლებელია ომის მეშვეობით გააერთიანო კავკასია რუსეთის წინააღმდეგ. ხომ უნდა გავიგოთ ბოლოს და ბოლოს, რომ დასავლეთი არასოდეს შევა კონფრონტაციაში რუსეთთან კავკასიის გამო, თუ თავისი ინტერესების ობიექტად არ განიხილავს მას.

ზემოთქმულის დასტურად გამოდგება ჩვენი მწარე სინამდვილე: კავკასიის თითქმის ყველა რესპუბლიკა დასჯილია: დასჯილები არიან ქართველები, რომელთაც ვერ შესძლეს საერთო ენა გამოენახათ აფხაზებთან და ოსებთან, შეიარაღებულ კონფლიქტებში ჩაებნენ მათთან ისევ და ისევ დასავლეთის მხარდაჭერის რაღაც ბუნდოვანი იმედით; დასჯილები არიან აფხაზები და ოსები, რომელთაც რუსეთის დახმარებით გადაწყვიტეს გამოყოფოდნენ საქართველოს და ამგვარად, ისინიც, ნებით თუ უნებლიეთ, საქართველოს დაქუცმაცებას უწყობენ ხელს. დაისაჯნენ ჩეჩნებიც – იმის მაგივრად, რომ შუამავლის როლი ეკისრათ ქართველებსა და აფხაზებს შორის, ისინი დაუფიქრებლად ჩაებნენ ამ ომში აფხაზების მხარეზე ქართველების წინააღმდეგ, რის შედეგადაც გაჩნდა უფსკრული საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიას შორის: ამის შემდეგ რუსეთს უკვე გაუადვილდა გასწორებოდა ჩეჩნეთს. დასჯილები არიან სომხებიც, რომელთაც იმედი ჰქონდათ, რომ ყარაბახის პრობლემას რუსეთის საშუალებით გადაჭრიდნენ – ამგვარად, ისინი რუსეთის ნების შემსრულებლები აღმოჩნდნენ – ხელი შეუშალეს აზერბაიჯანის ჩამოყალიბებას დამოუკიდებელ რესპუბლიკად და ამიერკავკასიის რესპუბლიკების შესაძლო კონსოლიდაციას (რასაც რუსეთმა ვერ მიაღწია ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში).

ასე რომ, უკვე დროა სერიოზულად დავფიქრდეთ იმაზე, როგორ გადავირჩინოთ თავი და ვიცხოვროთ მომავალში. ჩვენ უნდა ვითანამშრომლოთ ერთმანეთთან და რუსეთისა და დასავლეთის დემოკრატიულ ძალებთან. „კავკასიური სახლის“ აშენება სულიერი, დემოკრატიული რუსეთის გარეშე შეუძლებელია, ვინაიდან მხოლოდ ამ რუსეთს ძალუძს გაიგოს, რომ ურჩევნია საქმე ჰქონდეს ძლიერ, ჯანსაღ, სიცოცხლით სავსე, განვითარებად, და არა სისხლის მორევში მცურავ კავკასიასთან, რომელიც სიძულვილით იქნება გამსჭვალული რუსეთის მიმართ.

აი, რისთვისაა აუცილებელი „კავკასიური სახლი“. და ესეც კანონზომიერია, რომ სახლზე მაშინ იწყებენ ლაპარაკს, როცა ის უკვე აღარ, ან ჯერ კიდევ არ არსებობს, ხოლო გალაქტიონის ქუჩა №20-ში მდებარე „კავკასიური სახლი“ თავის მოვალეობად თვლის დარჩეს ამ იდეის ცოცხალ კერად, იმისდა მიუხედავად, როგორი იქნება საქართველოსა და კავკასიის სხვა ქვეყნების ოფიციალური პოლიტიკა ამ საკითხში.

ჩვენ ვემსახურებით პირველ რიგში სწორედ იდეის სიცოცხლეს: სულიერ-ინტელექტუალური საფუძვლების შექმნას ამ იდე-

ის განხორციელებისათვის. სწორედ ამას ვთვლით უმთავრესად. ამიტომ აქ არ ვსაუბრობთ „კავკასიური სახლის“ სხვა: ეკონომიკურ, პოლიტიკურ, ა.შ. ასპექტებზე. ჩვენ ფუნდამენტთან ვრჩებით, რადგან სწორედ ის არის მთავარი. და, სხვათა შორის, „კავკასიური სახლის“ როგორც იდეის, ისე გალაკტიონის ქ. №20-ში მდებარე შენობის საძირკველი გვარიანად არის შერყეული. ხელისუფლებას კი საძირკვლები არ აინტერესებს.

1996 წლიდან „კავკასიური სახლის“ იდეა ბოლოს და ბოლოს გაზიარებული იქნა საქართველოს ხელისუფლების მიერ და „მშვიდობიანი კავკასია“ მის პოლიტიკურ პრეროგატივად გამოცხადდა. ცხადია, სასურველი იქნებოდა, საქართველოს ხელისუფლებას ორიოდე სიტყვით მაინც აღენიშნა „კავკასიური სახლის“ მოღვაწეობა ამ გზაზე, მაგრამ სხვათა ღვაწლის მიჩქმალვა მხოლოდ პოლიტიკოსთა ნაკლი როდია. ამას არც მივიჩნევდით აღნიშვნის ღირსად, რომ არა ერთი გარემოება: ნებისმიერ მაღალ იდეას ყველაზე დიდი საფრთხე მაშინ კი არ ემუქრება, როდესაც მას ოფიციალური ინსტიტუტები თუ მასობრივი ცნობიერება დევნის, არამედ პირიქით: როცა ის ოფიციალური პროპაგანდის საგნად იქცევა. სწორედ ახლა არსებობს საფრთხე: „კავკასიური სახლის“ იდეამ ისეთივე დისკრედიტაცია განიცადოს, როგორიც განიცადეს ეროვნულმა, რელიგიურმა თუ ეკოლოგიურმა იდეებმა.

რადგან ხელისუფლებამ მაშინ აიტაცა ეს აზრი, როდესაც ამის საჭიროება უკარნახეს გარედან: კერძოდ, როდესაც აზერბაიჯანის ნავთობის წყალობით, კავკასია დასავლეთის ფინანსური წრეების ინტერესთა ობიექტად იქცა. გარედან ნაკარნახევი იდეა კი, რომელსაც მხოლოდ ეკონომიკური იმპულსი ამოძრავებს, არ არის მყარი და მდგრადი. ის ეკონომიკური ფაქტორის შეცვლასთან ერთად გადაფასდება. ხოლო კავკასიის ერთიანობის იდეა მუდამ უნდა ცნობიერდებოდეს, როგორც სასიცოცხლო აუცილებლობა, იმისდა მიუხედავად, იქნება თუ არა კავკასიაში ნავთი, ოქრო, მანგანუმი თუ სხვ.

P.S. რაც შეეხება ღირებულებათა უსწრაფეს გადაფასებებს, რასაც პოლიტიკური „პრიორიტეტთა ცვლას“ უწოდებენ, ეს მოაზროვნე, დაკვირვებული ადამიანებისათვის ყველგან, და მათ შორის საქართველოშიც, — მწარე ღიმილის მომგვრელი სანახაობაა. გაიხსენეთ, ჩეჩნეთის ომის დროს როგორ ჰპირდებოდა საქართველოს ერთ-ერთი ძალოვანი მინისტრი რუსებს დახმარებას ჩეჩენი „ბოევიკების“ ალაგმვაში! დღეს კი ქართველი მინისტრები ერთმანეთს ასწრებენ ჩეჩენი კოლეგების გულში ჩაკვრას! ასეთია „პრიორიტეტთა ცვლის“ ტრაგიკომიკური სურათები.

საუბარს თემაზე — „კავკასიური სახლი“, როგორც ასეთი, — აქ არ ვწყვეტთ. ამ საკითხს მომავალში ხშირად დავუბრუნდებით.

„კავკასიური სახლის“ პრესცენტრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუნუ მინდაძე, გიორგი ცოცანიძე

# ხალხური მედიცინა საქართველოში

## თავის ჭრილობის მკურნალობა ხევსურეთში

კავკასია, ამიერი და იმიერი, ტერიტორია, რომელიც გეოგრაფიულად შემოფარგლულია აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან კასპიისა და შავი ზღვებით, ხოლო ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან ვოლგასა და დონს შორის გამავალი კუმა-მანიჩის ღრმულითა და სამხრეთ კავკასიონის მთიანეთით არაქსის დაბლობითურთ, ქმნის უმდიდრეს და უმრავალფეროვანს ეთნოკულტურულ პანორამას.

მარტო საქართველო აერთიანებს ოცამ-დე სუბეთნოსურ წარმონაქმნს, ეთნოკულტურული ტრადიციების უამრავი ინსტიტუტითა და მოვლენით, რომელთა შესწავლის სურვი-ლი არ უნდა იქნას გაგებული როგორც რომანტიკული და თვითმიზნური ჭვრეტა წარსულის სიღრმეში.

ვფიქრობთ დღეს უკვე ცხადია, რომ კაცობრიობის და კერძოდ, კავკასიის სულიერი კრიზისის უმთავრესი მიზეზი სწორედ იმ თავ-დაპირველი ცოდნისა და სიბრძნის დაკარგვაა, რომელიც მეტნაკლებად არეკლილი იყო ხალხურ ზნე-ჩვეულებებში, ტრადიციებში, ყოფით კულტურასა და საერთოდ, ცხოვრების წესში: იქნება ეს მიწათმოქმედება, სახლის აგება თუ ხალხური მედიცინა.

დღევანდელი ადამიანის უმწეობა ჩვენი ყოფის ყველა სფეროში თითქმის გვაიძულებს დავიწყოთ სერიოზული ათვისება, ნაწილობრივი გახსენება მაინც იმ დაკარგული ცოდნა-გამოცდილებისა და შევურწყათ იგი, თუკი შევძლებთ, ჩვენი ეპოქის პოზიტიურ სიახლეს მეცნიერებასა და ტექნიკაში.

შევეცდებით რეგულარულად მოგაწო-დოთ მასალები, სადაც წარმოვაჩენთ ძველი კავკასიის ცივილიზაციის დღემდე შემორ-ჩენილ ნაშთებს.

დღეს კი გთავაზობთ ცნობებს ხალხური მედიცინის სფეროდან და მოგითხრობთ ამბავს, რომელიც აგერ ჩვენს თვალწინ რომ არ მომხდარიყო და არ დაფიქსირებულიყო, – ჩვენც და მით უფრო ჩვენი შვილები, ალბათ, გულის გადასაყოლებლად შეთხზულ არაკად ჩავთვლიდით.

ადამიანის ორგანიზმში ურთულესი ქირურგიული ჩარევა – თავის ქალას ტრეპანაცია, როგორც ჩანს, საქართველოში ძველად ყველგან იყო გავრცელებული. ამას მოწმობს არქეოლოგიური მასალები: ტრეპანირებული თავის ქალები ბევრ ძველ სამარხშია ნაპოვნი. ცოცხალ ყოფაში კი იგი მხოლოდ ხევსურეთში შემორჩა ჩვენი საუკუნის 30-იან წლებამდის, ვიდრე პროფესიულმა ქირურგიამ არ შეავიწროვა და ბოლოს სულაც არ განდევნა იგი.

ამას თავისი მიზეზი ჰქონდა: ხევსურეთი ის კუთხეა, სადაც გვიანობამდის შემორჩა ფარხმალიანი კაცი და სადაც ისედაც აფექტური ბუნების მამაკაცთა შორის, სულ მცირე წაკინკლავების გამო, ხშირი იყო ერთიმეორის ჭრა-ჩეხვის შემთხვევები. ამას ემატებოდა მუდმივი ქიშპი და შეხლა-შემოხლა მეზობელ მთიელ ტომებთან და, ალბათ, ეს პატარა კუთხე გაუკაცრიელდებოდა, რომ არა იმავდროული „დამცავი“ ფაქტორები – ერთი მხრივ, სისხლ-მესისხლეობის უმკაცრესი და მოუსყიდველი სამართალი, რომელიც აიძულებდა ხევსურს, რომ უკიდურესი აფექტის დროსაც კი მაქსიმალურად მორიდებოდა თვისტომის მკვლელობას, ხოლო მეორე მხრივ, ჩხუბის ხალხური ეთიკა, რომლის მიხედვითაც ნაჭრევის სიღრმით განიზომებოდა ვაჟკაცის გულადობა თუ სიმხდალე – ღრმა ნაჭრევი შეშინებული კაცის გაკეთებულად ითვლებოდა. ეს ფაქტორი უდებდა მოფარიკავეთა მაჯას გარკვეულ ზღვარს და აცილებდა მათ სასიკვდილო ჭრილობებს, მაგრამ მაინც ჭრაჭრილობები იმდენი იყო, რომ მთიანეთის ერთ პატარა კუთხეს, როგორც იტყვიან, „ქირადაც ჰყოფნიდა და ლხინადაც“. აი აქ ეძლეოდა უდიდესი მნიშვნელობა ხალხურ დასტაქართა ხელოვნებას, რომელნიც არცთუ ცოტანი იყვნენ ხევსურეთში. მათი მკურნალობის სასწ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

აულებრივი შედეგების შესახებ შორს იყო გავარდნილი ხმა და მათ არცთუ იშვიათად მიმართავდნენ მეზობელი კუთხეების წარმომადგენელნიც. გუგუა ჭინჭარაული, გიგია ლიქოკელი, მგელიკა ლიქოკელი, ალეკა ოჩიაური – ეს ის სახელებია, რომელთა ხსენებაც კი იმედის სხივს ჩაუყენებდა გულში ავადმყოფსაც და მის ჭირისუფალსაც. ისინი არ ერიდებოდნენ ისეთ რთულ ოპერაციასაც კი, როგორიც იყო თავის ქალას ტრეპანაცია. დასტაქრის ხელოვნების საჯილდაო ქვად სწორედ ეს უკანასკნელი ითვლებოდა.

საველე ეთნოგრაფიული ჩანაწერები ადასტურებს, რომ თავის ქალას ტრავმების შემთხვევაში მთიელი დასტაქრების ქირურგიული ჩარევა ფრიად ეფექტური იყო, რასაც დიდად განაპირობებდა მათ მიერ დროთა განმავლობაში ემპირიული დაკვირვებით შეძენილი და მემკვიდრეობით მიღებული ცოდნა სხვადასხვა სახის ტრავმული დაზიანებების, ადამიანის ანატომიის, სამკურნალო საშუალებების შესახებ.

მკურნალობის დასაწყისშივე მკურნალს, პირველ ყოვლისა, უნდა განესაზღვრა დაზიანების ადგილი და ხასიათი. ამისთვის ხევსურები თავის ქალას შემდეგ ანატომიურ ნაწილებად ჰყოფდნენ: ძვლის სკა (თავის ქალა მთლიანად), ტვინის სკა (ტვინის მაგარი გარსი), შარის ბოძი ( ტვინის მაგარი გარსის თანაშეზრდილი ნაწილი საგიტალურ ნაკერთან), ყურების ფარდები (საფეთქლის ძვალი), კამარას ძვლები, ტილთხვაფა (კეფის ძვალი), შუბლის ძვალი და საწყობები – ქალას ქვედა ნაკერები.

თვით ძვალში, ე.ი. ძვლის სკაში არჩევდნენ სამ შემადგენელს: ზედა ძჭალი – ძვლის ზედა კომპაქტური ნაწილი, ჩხიმი – შუა ღრუბლისებრი ნივთიერება და ქვეთ ძვალი – შიდა კომპაქტური ნაწილი.

„თავის ნაჭრევის“ სახეობებში კი გამოყოფდნენ: ერთი მხრივ „ახალ ნაჭრევს“ – ახლადმიყენებულ ღია ჭრილობას და „ძველ თავს“ – მკურნალობის გარეშე შეხორცებულ ჭრილობას, ხოლო მეორე მხრივ, მსუბუქ და მძიმე ჭრილობებს. მსუბუქად ითვლებოდა ჭრილობა, თუ დაზიანებული იყო მხოლოდ „ზედ ძვალი“, მძიმე კი ის ჭრილობა იყო, თუ დაზიანება „ქვეთ ძვლამდე“ აღწევდა. თუ ქვეთ ძვალი იმდენად იყო დაზიანებული, რომ ტვინი მოჩანდა, ასეთი ჭრილობა უიმედოდ ითვლებოდა და მის მკურნალობას „აქიმი“ ხელს არ ჰკიდებდა.

ხევსური „აქიმები“ ხმარობდნენ კუსტარულად დამზადებულ ქირურგიულ იარაღებს: ხმალიკა, ხვეწი, ბორწკალი და „თავის დასაჭრელი დანა“.

ჭრილობის ხასიათის განსაზღვრის შემდეგ მკურნალობა ჭრილობის გასუფთავებით იწყებოდა. აქიმი ავადმყოფს პატარა სკამზე დასვამდა, დაზიანებულ ადგილზე თმებს მოპარსავდა და ჭრილობას თავისივე დამზადებული ხსნარით მობანდა. ხსნარი ასე მზადდებოდა: სამ ჭიქა არაყში ჩაყრიდნენ ერთ ჭიქა არყის ხის გამხმარ ფოთლებსა და დადგამდნენ ერთი დღე-ღამის განმავლობაში.

ოპერაციის წინ ქირურგები არ იყენებდნენ რაიმე ტკივილგამაყუჩებელ საშუალებას. დიდი-დიდი, არყით გაებრუებინა პაციენტი. ზოგი ქირურგი არწმუნებდა პაციენტს, ეცქირა კერის ქვისათვის, შთააგონებდა რა ამით, რომ ისიც ქვასავით გამაგრდებოდა. უმთავრესი კი მაინც ის იყო, რომ აქაც მოქმედებდა მთიელთა ეთიკის უმტკიცესი ნორმა: ტკივილის ვერატანა უდიდესი სირცხვილი იყო ვაჟკაცისათვის.

„აქიმი“ თავისი პრიმიტიული ტრეპანით გაბურღავდა თავის ქალას ზუსტად დაზიანებულ ადგილას, შემდეგ ორპირა საფხეკით – „ხოწით“ – ჭრიდა ძვალს. ერთი პირით ზემოდან ფხეკდა, ხოლო მეორე პირით უკვე ამოჭრილი ძვლის კიდეებს აბლაგვებდა, რათა ძვლის მახვილ ნაპირებს არ დაეზიანებინა მაგარი, რბილი და საცრისებრი გარსები, როდესაც ტვინი ჭრილში ფეთქვას დაიწყებდა. ბორწიკით ამოიღებდნენ ძვლის ნაცხერებსა და ანატკეჩებს. ჭრილობის ამოსუფთავებისა და სისხლდენის, აგრეთვე საკუთარი საშუალებებით შეჩერების შემდეგ იწყებდნენ მკურნალობას თვითნამზადი

მალამოებით, რომლებიც ყველას საკუთარი ჰქონდა. ერთი სახეობა მისი, მაგალითად, შეიცავდა სამ კომპონენტს: უცეცხლო თაფლს, დანაყილ ძველ დუმას და კარაქს; ასეთი მალამო აჩენს ისეთ „ბალღამს", რომელსაც ახალი ხორცი მოყავსო. იგი ტკივილსაც აყუჩებდა. ამ მალამოთი ამოავსებდნენ ჭრილობას, ზედ დაადებდნენ წმინდად გაწეწილ კანაფს, გაჩეჩილ მატყლს და სუფთა „თიკვით" უხვევდნენ. ასე ჭრილობა თანდათანობით ამოჰყავდათ სიღრმიდან ზედაპირისკენ და მხოლოდ საბოლოო ეტაპზე აძლევდნენ პირის შეკვრის საშუალებას. ამ გზით თავიდან იცილებდნენ ჭრილობის დაჩირქებას და მისგან გამომდინარე გართულებებს.

ექიმი გიორგი თედორაძე, რომელიც მიმ-დინარე საუკუნის 20-იანი წლების მეორე ნახე-ვარში ცხოვრობდა და მუშაობდა ფშავ-ხევ-სურეთში, პირადად იცნობდა ბევრ ხევსურ დასტაქარს. იგი გვიამბობს აქაური „ქირურგ-იული პრაქტიკის" ერთი ტიპური შემთხვევის შესახებ. მისთვის მიუმართავს ერთ ახალგაზ-რდა ხევსურს, რომელიც ცხენს გადმოეგდო, ქვაზე თავი დაერტყა და მიღებული ჭრილობის გარდა მოძრაობებიც შე-ზღუდვოდა. ექიმს ჭრილობა კი მოურჩენია, მაგრამ ტრავმით დაზიანებული მოტორული ცენტრებისთვის ვერაფერი მოუხერხებია და ურჩევია პაციენ-ტისთვის, ჩასულიყო თბილისში და ოპერაცია გაეკეთებინა. თურმე სანამ ავადმყოფი ექიმის მხედველობის არეში იყო, მდგომარეობა უარესდებოდა: კიდუ-რების მოძრაობასთან ერთად ეზღუდებოდა მეტყველებაც. ორიოდე თვის შემდეგ ექიმს გზად შემოჰყრია სრულიად გამოჯან-მრთელებული ყოფილი პაციენტი. მკურნალმა ჩათვალა, რომ ავადმყოფმა დაუ-ჯერა მის რჩევას და ქალაქში გაკეთებულმა ოპერაციამ შედეგი გამოიღო, მაგრამ, მისდა გასაოცრად, აღმოჩნდა, რომ ოპერაცია გაკეთდა არა თბილისში, არამედ იქვე, ხევსურეთში და გააკეთა იგი 97 წლის მოხუცმა მგელიკა ლიქოკელმა.

გაკვირვებულმა ექიმმა გამოიკითხა მკურნალობის შესახებ. მოხუცმა დასტაქარმა თავისი უტყუარი ალღოთი აღმოაჩინა ქალაზე დეფორმაცია არა იქ, სადაც ჭრილობა იყო, არამედ სხვაგან და თავის ქალას სწორედ იმ ადგილის ტრეპანაციით გაათავისუფლა მოძრაობის წარმმართველი ტვინის ნაწილი დეფორმირებული ძვლის ზეწოლისაგან. ავადმყოფი მთლიანად გა-ნიკურნა.

მდიდარი ყოფილა მთიელი მკურნალების „აფთიაქი". მგელიკა ლიქოკელის სამკურნალო საშუალებებში უამრავ მცენარეულ წამლებ-თან ერთად შედიოდა თურმე ძროხის კანჭის ძვლის ტვინი და შაქარყინულიც, რომელთა ნარევი ხელს უწყობდა მკვდარი ქსოვილების გაცოცხლებას. თვალის ნებისმიერი დაავადების სამკურნალოდ იყენებდაო იგი ქალის რძისა და კაკბის ნაღველას ნარევს. ოღონდ რძე ისეთი ქალისა უნდა ყოფილიყო, რომელსაც პირველი მშობი-არობისას გოგონა ეყოლა.

წამლების გარდა ოპერაციისა და მკურნა-ლობის წარმატებას განაპირობებდა მკურნა-ლის ეთიკის განუხრელი დაცვა. მსუბუქ ავად-მყოფებს ისინი შინ იბარებდნენ, მძიმე ავად-მყოფებთან კი თვითონ მიდიოდნენ და თავს ადგნენ საიმედოდ შემობრუნებამდე. გარდა ამისა, დიდი მნიშვნელობა ჰქონია დასტაქრის თვითდაჯერებასაც: „ლიქოკელი იმდენად დარწმუნებულია თავის მკურნალობაში, რომ თავის ტრეპანაციას სხვის დაუხმარებლად აკეთებს. ამ ოპერაციის დროს ის სრულიად არ ღელავს და მას ისე სწრაფი სიმტკიცით ასრულებს, რომ ის ნახევარ საათში მზად არის. არავითარ რყევას, არავითარ შიშს მის მოქმე-დებაში ადგილი არა აქვს", — წერს გი-ორგი თედორაძე თავის მრავალმხრივ საყურადღებო წიგნში „ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში".

მგელიკა ლიქოკელი სახალხო მკურნალ-თა თაობების იმ უკანასკნელი პლეადის წარმომადგენელია, რომელთა „პრაქტიკაც" ვერ იგუა სამკურნალო სტაციონარებმა და დიპლომიან ექიმთა მრავალრიცხოვანმა არმიამ, მაგრამ მათი ცოდნისა და გამოცდილების დაკარგვა, უეჭველია, დიდი დანაკლისი იქნება როგორც ხალხური, ისე პროფესიული მედიცინისათვის.

გაცხადებთ კონკურსს
ფრიდრიხ ნიცშეს ამ ლექსის საუკეთესო თარგმანზე,
ჩვენი არჩევანი განაპირობა არა მხოლოდ ლექსის მხატვრულმა
სრულყოფილებამ, არამედ ამ სტრიქონებმაც:

**„Wohl dem, der jetzt noch Heimat hat“**
**„Weh dem, der keine Heimat hat!“**

მაშასადამე, მახვილმა „სამშობლოსა“ და მის „ქონა-არქონაზე“

**Friedrich Nietzsche** (1844 – 1900)

## VEREINSAMT

Die Krähen schrein
Und ziehen schwirren Flugs zur Stadt:
Bald wird es schnein, –
Wohl dem, der jetzt noch – Heimat hat!

Nun stehst du starr,
Schaust rückwärts, ach! wie lange schon!
Was bist du Narr
Vor Winters in die Welt entflohn?

Die Welt – ein Tor
Zu tausend Wüsten stumm und kalt!
Wer das verlor,
Was du verlorst, macht nirgends Halt.

Nun stehst du bleich,
Zur Winter-Wanderschaft verflucht,
Dem Rauche gleich,
Der stets nach kältern Himmeln sucht.

Flieg, Vogel, schnarr
Dein Lied im Wüstenvogel-Ton! –
Versteck, du Narr,
Dein blutend Herz in Eis und Hohn!

Die Krähen schrein
Und ziehen schwirren Flugs zur Stadt:
Bald wird es schnein, –
Weh dem, der keine Heimat hat!

თარგმანების მიღება გაგრძელდება ამა წლის 20 დეკემბრამდე.
I პრემია – 100 ლარი; II პრემია – 80 ლარი.
მისამართი: თბილისი, გალაკტიონის ქ. № 20, „კავკასიური სახლი“,
„აფრა“ (კონკურსისათვის). ტელ.: 93-14-35; 99-60-22.

# ბიოგრაფიული ცნობარი

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

**რაინერ მარია რილკე** – გერმანულენოვანი მწერალი (4.12.1875, პრაღა. – 29.12.1926, ვალმონტი, შვეიცარია).

1895-96 წლებში პრაღის კარლ-ფერდინანდის სახელობის უნივერსიტეტში სწავლობს ფილოსოფიას, გერმანულ ლიტერატურასა და ხელოვნების ისტორიას, მაგრამ რადგანაც თვლის, რომ ხელი ეშლება შემოქმედებითი ჩანაფიქრის განხორციელებაში, ტოვებს პრაღას და საცხოვრებლად მიუნხენში გადადის.

პოეტური შემოქმედების გზაზე რ. მ. რ.-ს პირველ მოკრძალებულ მცდელობას წარმოადგენს ლექსების კრებულები: „ცხოვრება და სიმღერები“ (1894), „მსხვერპლი ლარებს“ (1896), „ზეიმად ჩემდა“ (1899).

1899 წელს მეგობარ ქალთან, ლუ ანდრეას სალომესთან ერთად რუსეთში მოგზაურობს. მასზე შთაბეჭდილებას ახდენს ლევ ტოლსტოისთან, ლეონიდ პასტერნაკთან, ილია რეპინთან შეხვედრები.

რ. მ. რ.-ს პირველ მოგზაურობას საფრანგეთში წინ უძღვის მწერლის დაახლოება ვორპსვედელი მხატვრების ჯგუფთან, რომელთა შორის იყვნენ ოტო მოდერზონი, პაულა ბეკერ-მოდერზონი, ჰანს ფოგელერი და კლარა ვესტ-ჰოფი, რილკეს მომავალი მეუღლე, ოგიუსტ როდენის მოწაფე. ამ პერიოდს ეკუთვნის რილკეს მონოგრაფია ვორპსვედელ მხატვრებზე: „ვორპსვედე“ (1903).

ამავე პერიოდში იქმნება ლექსთა კრებული „სურათების წიგნი“ (1902).

1902 წელს რილკე პარიზს მიემგზავრება და მუშაობას იწყებს როდენის პირად მდივნად. დიდი ფრანგი ხელოვანის ცხოვრებას და შემოქმედებას ეძღვნება რილკეს თხზულება „ოგიუსტ როდენი“ (1903). ეს პერიოდი რილკეს შემოქმედებაში მიჩნეულია თვისობრივი გარდატეხის ხანად. რილკეს ესთეტიკაში ჩნდება საგანი-ლექსის ცნება, იქმნება საგანი-ლექსი, რისი გამოხატულებაცაა ლექსთა კრებულები: „ახალი ლექსები“ (1907), „სონეტები ორფევსისადმი“ (1923).

1910 წელს იქმნება თანამედროვე ლიტერატურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რომანი – „მალტე ლაურიდს ბრიგეს ჩანაწერები“, რომელმაც რილკეს დაუმკვიდრა ახალი რომანის ერთ-ერთი ფუძემდებლის სახელი. ათწლიანი შემოქმედებითი დუმილის შემდეგ, 1923 წელს, რილკეს შემოქმედებას აგვირგვინებს ლექსების ციკლი, რომელიც „დუინოური ელეგიების“ სახელწოდებითაა ცნობილი და ახალი გერმანულენოვანი ლირიკის მწვერვალად ითვლება.

რ. მ. რ.-მ დატოვა აგრეთვე დიდი მოცულობის ეპისტოლარული მემკვიდრეობა, რომელიც უაღრესად მნიშვნელოვანია რილკეს სამყაროს გაგებისთვის. რ. მ. რ.-ს შემოქმედება გვევლინება მთელი დასავლეთევროპული პოეტური აზროვნების კვინტესენციად. აქ წამოჭრილ ადამიანური ყოფიერებისა და შემეცნების პრობლემებს უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავთ XX საუკუნის ფილოსოფიაში.

**მაისტერ ეკჰარტი** – გერმანელი რელიგიური მოაზროვნე, ღვთისმეტყველი, ქადაგი, მისტიკოსი. დაიბადა დაახლ. 1260 წ. ჰოხჰაიმში გოთასთან (თიურინგიის მხარე, ქ. ერფურტის მიდამო). სრულიად ახალგაზრდა, როგორც ვარაუდობენ, ასე 15 წლისა, აღიკვეცა ქ. ერფურტთან არსებულ დომინიკელთა მონასტერში. აქ იგი ორი მოსამზადებელი წლის შემდეგ სამი წლის განმავლობაში სწავლობდა გრამატიკას, რიტორიკასა და დიალექტიკას; (ამ კურსს ეწოდებოდა Studium logicale); ორი მომდევნო წლის მანძილზე კი ეუფლებოდა არითმეტიკას,

მათემატიკას, ასტრონომიასა და მუსიკას (Studium naturale). ამის შემდეგ კიდევ სამი წელი შეისწავლიდა თეოლოგიას, ბიბლიასა და დოგმატიკას შტრასბურგის თეოლოგიურ სკოლაში (Studium biblikum, Studium provinziale). მოწაფეთა უმეტესობა ამით ასრულებდა განათლებას და იღებდა სასულიერო წოდებას. წარჩინებულთ კი, რომელნიც ქადაგისა და მოძღვარის ნიჭს ამჟღავნებდნენ, აგზავნიდნენ დომინიკელთა ორდენის უმაღლეს სკოლაში. სულ 5 ასეთი სკოლა არსებობდა და, პარიზის სკოლის შემდეგ, კიოლნის სასწავლებელს მეორე ადგილი ეჭირა. სწორედ აქ აგრძელებს სწავლას მ. ე. 1280 წელს. ამავე წელს გარდაიცვალა იმ ეპოქის დიდი რელიგიური მოაზროვნე ალბერტ დიდი, რომელიც თავის სახელოვან მოწაფეებთან, თომა აქვინელთან და დონ სკოტთან ერთად იმხანად კიოლნში მოღვაწეობდა. მ. ე.-მა ამ ღვთისმეტყველთ ცოცხლებს ვერ მიუსწრო, მაგრამ მთლიანად შეითვისა მათი ღრმა რელიგიური ძიებებითა და აზრებით აღსავსე სულიერი ატმოსფერო. 90-იან წლებში მ. ე. უკვე ერფურტის პრიორი (მამათა მონასტრის წინამძღვარი) და თიურინგიის მხარის ვიკარია (ეპისკოპოსის თანაშემწე). აქედან მოკიდებული, მ. ე. სულ მაღალ თანამდებობაზეა. ოცდაათი წლისა უკვე ავლენს საკუთარ რელიგიურ-სპირიტუალურ კონცეფციას და მისი ცხადად, კომპაქტურად და შთამბეჭდავად გამოთქმის ოსტატობასაც. ამ პერიოდს განეკუთვნება მისი „შეგონებანი განსხვავების შესახებ", სადაც იგი სულიერ მოწაფეებს ასწავლის არსებითისა და არაარსებითის განსხვავებას რელიგიურ – მეტაფიზიკური თვალსაზრისით.

1300 წელს ორდენი მას აგზავნის პარიზის უნივერსიტეტში, სადაც იგი იკავებს კათედრას თეოლოგიის ფაკულტეტზე. 1302 წელს მ. ე. იღებს მაგისტრის (მაისტერის) წოდებას და ტოვებს პარიზს ერთი წლით ადრე დანიშნულ ვადამდე. 1302 წელს მას ნიშნავენ ახლად დაარსებული საქსონიის ორდენის პირველ მეთაურად. მისი ორდენის ხელმძღვანელობას სურდა იგი სამხრეთგერმანული პროვინციის მეთაურადაც დაენიშნა, მაგრამ ეს არ მოხერხდა საეკლესიო წრეებში გამოთქმული აზრის გამო, რომლის თანახმადაც მ. ე. საკმარისად არ აღუდგა წინ იქ გავრცელებულ ერეტიკულ მიმდინარეობებს.

განსაკუთრებული პატივის ნიშნად ორდენმა კვლავ გაგზავნა მ. ე. პარიზის უნივერსიტეტში ლექციების წასაკითხად. ორი აკადემიური წლის შემდეგ მ. ე.-ს ისევ შტრასბურგში აგზავნიან (1314), სადაც ის ვიკარის ფუნქციას ასრულებს. აქ მას დაემოწაფნენ შემდგომში ცნობილი მისტიკოსები იოჰანე ტაულერი და ჰაინრიხ ზიოზე. ამ პერიოდში უნდა იყოს შექმნილი მ. ე.-ის სახელგანთქმული „ღვთაებრივი ნუგეშის წიგნი" და „კეთილშობილ ადამიანთა შესახებ". ორივე მიეძღვნა დედოფალ აგნესა უნგრელს, რომელიც 1313 წელს მონასტერში აღიკვეცა მეუღლისა და მამის დაკარგვის შემდეგ.

1322 წ. მ. ე.-ს ისევ კიოლნში გზავნიან. ამ დროს იგი უკვე სახელგანთქმული სულიერი მოძღვარია, რომლის სახელიც გასცდა არა მხოლოდ თიურინგიის მხარეს, არამედ გერმანიის საზღვრებსაც. მისი გადამდები რელიგიური ცეცხლოვანება აღაფრთოვანებს ათასობით ღმერთისმაძიებელს.

ამავე დროს სულ უფრო აქტიურდება ინკვიზიცია. ერთიმეორის მიყოლებით სწვავენ კოცონზე განსხვავებულად მოაზროვნე მორწმუნეებს, სხვადასხვა რელიგიურ მიმდინარეობათა წარმომადგენლებს. ისინი უმეტესწილად, მაისტერ ეკჰარტის მიმდევრები და მისი იდეებით გამსჭვალულნი არიან. ეკლესიის თავები, კერძოდ, მ. ე.-ის დაუძინებელი მტერი, კიოლნის ეპისკოპოსი ჰაინრიხ ფონ ვირნებურგი, იწყებს მის დევნას. კიოლნის ეპისკოპოსს უერთდება შტრასბურგის არქიეპისკოპოსიც. მათ დასმენებს წარმატება არ მოჰყოლია, რადგან დომინიკელთა ორდენი მტკიცედ იცავს თავის დიდ წარმომადგენელს. 1327 წლის იანვარს ინკვიზიტორები აღძრავენ პროცესს მ. ე.-ის წინააღმდეგ. 13 თებერვალს,

კიოლნის დომინიკელთა ეკლესიაში ქადაგების დამთავრების შემდეგ, მ. ე. მრევლს უკითხავს ლათინურად დაწერილ თავის ახსნა-განმარტებას და თავადვე უთარგმნის გერმანულად. იგი მოიწვევს ნოტარიუსს, შეადგენს ოქმს, რომელზეც ხელს მოაწერს რამდენიმე სასულიერო პირი და ორი კიოლნელი მოქალაქე. ამ დოკუმენტით მ. ე. ჯერ წარსდგება ინკვიზიტორთა წინაშე, ამხელს მათ უღირს საქციელს (თვალთვალს, დასმენას) და იბარებს მათ ავინიონში, პაპის რეზიდენციაში, რათა ოფიციალური საინკვიზიციო კომისიის წინაშე დაასაბუთოს თავისი, როგორც ქრისტიანი მოძღვრის, უდანაშაულობა.

იგი მართლაც გაემგზავრა ავინიონში, მაგრამ იქამდე ვერ ჩააღწია. ამ გამგზავრებასთან ერთად ქრება დიდი მოძღვრის ეკჰარტის კვალი. არავინ იცის, სად და როგორ გარდაიცვალა იგი. შესაძლებლად მიიჩნევენ ეკლესიის ფანატიკოს მსახურთა მიერ მის მოკვლას. 1329 წელს კი გამოჩნდა მ. ე.-ის მტრებისთვის ესოდენ ნანატრი ბრალდება: პაპი იოანე XXII-ის ბულა „In agro dominico“, რომელშიც მ. ე.-ს 17 თეზისი მიჩნეულ იქნა მწვალებლობად, 11 – მწვალებლობაში ეჭვმიტანილად, ხოლო მ.ე.-ის მიერ შედგენილი ახსნა-განმარტების ტექსტი შეფასდა როგორც მონანიება და საკუთარ შეცდომათა უარყოფა, რაც ხსენებული ტექსტის ყალბ ინტერპრეტაციას წარმოადგენს.

**ვაშინგტონ ირვინგი** – ამერიკელი მწერალი (3. 4. 1783, ნიუ-იორკი – 28. 11. 1859, ნიუ-იორკი). სწავლობდა იურისპრუდენციას და თავის პირველ მოგზაურობამდე ევროპაში (1804–06) თანამშრომლობდა ნიუ-იორკის გაზეთებთან. 1815-32 წლებში ცხოვრობდა შოტლანდიაში, გერმანიასა და საფრანგეთში როგორც თავისუფალი მწერალი. მოგვიანებით ამერიკის დიპლომატის სტატუსით მოღვაწეობს მადრიდსა და ლონდონში.

თავდაპირველად ირვინგი წერდა ლექსებს და სატირულ ესსეებს ნიუ-იორკის საზოგადოებაზე. პირველი წარმატება მოუტანა პაროდიამ ნიუ-იორკის ისტორიაზე ჰოლანდიელთა კოლონიური ბატონობის პერიოდში, „ნიუ-იორკის იუმორისტული ისტორია“ (1809), რომელსაც იგი დიდრიხ კნიკერბოკერის ფსევდონიმით აქვეყნებს. 1819–20 წწ.-ში გამოაქვეყნა „ესკიზების წიგნი“, რომელსაც ევროპაშიც დიდი აღიარება ხვდა წილად. ეს წიგნი, ასევე ფსევდონიმით გამოქვეყნებული, პროფესიული მწერლის პირველ დიდ წარმატებად ითვლება. ვ. ი.-ის ისტორიულ-ბიოგრაფიულ ნაწარმოებებს (ვაშინგტონის, კოლუმბის, გოლდსმიტის და სხვათა შესახებ) ასეთი დიდი შეფასება არ დაუმსახურებიათ.

**რომენ როლანი** – ფრანგი მწერალი (29. 1. 1866, კლამსი /ბურგუნდია – 30. 12. 1944, ვეზელე/ შვეიცარია). 1880 წ. რ. რ. თავის პროტესტანტულ – ბიურგერულ ოჯახთან ერთად პარიზს გადასახლდა, სადაც 1886-89 წლებში სწავლობდა ისტორიას. 1889-91 წლებში იმყოფებოდა რომში, სადაც მასზე დიდი ზეგავლენა მოახდინა ნაცნობობამ ფ. ნიცშესა და რ. ვაგნერის მეგობარ ქალთან, მალვიდა ფონ მაიზერბურგთან. 1895 წ. გამოაქვეყნა ორი ნაშრომი: ერთი – ოპერის, მეორე – მხატვრობის შესახებ. 1901 წ. დააარსა მუსიკათმცოდნეობითი ჟურნალი. ხშირად იმყოფებოდა იტალიაში, გერმანიასა და შვეიცარიაში.

შემოქმედებითი მოღვაწეობის ადრეულ პერიოდში რ. რ. საშუალო ღირსების ისტორიულ დრამებს წერდა. 1904-12 წლებში გამოვიდა მისი ათტომიანი რომანი „ჟან კრისტოფი“, ამას მოჰყვა ისტორიულ-ბიოგრაფიული რომანები: „ბეთჰოვენის ცხოვრება“ (1903); „მიქელანჯელოს ცხოვრება“ (1905); „ტოლსტოის ცხოვრება“ (1911). 1915 წ. მიენიჭა ნობელის პრემია ლიტერატურის დარგში, „როგორც ნიშანი მისი პოეტური შემოქმედების მაღალი იდეალიზმის აღიარებისა“. რ. რ.-მა მთელი

თანხა წითელ ჯვარს გადასცა. პირველ მსოფლიო ომში რ. რ. გახდა მშვიდობის ნამდვილი შესიტყვე და შვეიცარიიდან მიმართავდა მთელ მსოფლიოს. მისი ტექსტი – „ბრძოლათა შესახებ“ (1915) საპროგრამო სიტყვად იქცა ყველასთვის, მის სამშობლოში კი უკმაყოფილება გამოიწვია.

1917 წ. რ. რ. მიესალმა რუსულ რევოლუციას, დაიწყო მიმოწერა მ. გორკთან. 1918 წ. გამოვიდა ომამდე დაწერილი რომანი „კოლა ბრუნიონი“. პირველი ომის შემდგომი პერიოდი ნაყოფიერი აღმოჩნდა მწერლისათვის. 1920 წ. – „ისტორია თავისუფალი სინდისისა ომში“; 1922-34 წწ.-ში – „მოჯადოებული სული“; 1925 წ. – „სიყვარულისა და სიკვდილის თამაში“.

1921 წლიდან მის ყურადღებას იპყრობს ინდური სულიერი სამყარო. დიდ გავლენას ახდენს მასზე შეხვედრები რაბინდრანად თაგორთან და ჯავაჰარლალ ნერუსთან (1889 წლიდან 1964 წლამდე). 1923 წ. გამოსცა მაჰათმა განდის ბიოგრაფია. 1930 წლიდან როლანი ააქტიურებს ურთიერთობას საბჭოთა კავშირთან, ეწვევა მ. გორკის, ხდება საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრი. 1935 წ. მიიღო სტალინმა. 30-იანი წლებიდან ენერგიულად იბრძვის ნაციონალ-სოციალიზმისა და ფაშიზმის წინაალმდეგ. 1939 წელს ჰიტლერსა და სტალინს შორის დადებული აქტის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად გამოვიდა საბჭოთა კავშირის აკადემიიდან.

ცხოვრების ბოლო წლები რ. რ. მარტოობაში ატარებს, გარიდებული ხმამაღალ ყოფას, მთლიანად დანთქმული ბიბლიის შესწავლასა და მედიტაციებში. ამ პერიოდში გამოდის ბოლო რომანი: „პეგი“, (რ. რ.-ის სიემაწვილის მეგობრის ბიოგრაფია, 1944.) და ავტობიოგრაფიული ნაწარმოები „შინაგანი მოგზაურობა“ (1942 წ). რ. რ.-ის უზარმაზარი მოცულობის ლიტერატურული და პოლიტიკურ-ფილოსოფიური შემოქმედება გვიჩვენებს უფართოესი სულის მრავალმხრივ პიროვნებას, რომელშიც ერთმანეთს შერწყმოდა ფილოსოფიური რეფლექსია და იდეალისტური რწმენა სიყვარულის, ძმობის, ადამიანობის უნივერსალური პრინციპებისადმი. ღრმად განათლებული შემოქმედი ღია იყო ძველი და ახალი მსოფლიოს სულიერი სივრცისადმი და ორგანულად იერთებდა ყველა ცალკეულ კულტურულ სამყაროს. მრავალი ენის მცოდნეს ერთნაირად შეეძლო ეწერა მუსიკის, მხატვრობის, ისტორიის, მეცნიერებისა და თეოლოგიის სპეციალურ საკითხებზე. ამ შინაგანი სიფართოვის გამო რ. რ-ს სამართლიანად მიიჩნევენ „გოეთეს უნივერსალობის გვიანდელ ექოდ“.

რენე გენონი – ფრანგი მოაზროვნე, დაიბადა საფრანგეთის ქალაქ ბლუაში 1886 წლის 15 ნოემბერს. იგი კოლეჯში განსაკუთრებული გონებამახვილობით გამოირჩეოდა და საუკეთესო მოწაფედ ითვლებოდა. ბლუაში დაამთავრა რამდენიმე სასწავლებელი, სადაც შეისწავლა რიტორიკა, ფილოსოფია, მათემატიკა. 1904 წელს სწავლის გასაგრძელებლად პარიზში გაემგზავრა.

კლასიკურმა სწავლა-განათლებამ და კათოლიკურმა ეკლესიამ რ. გენონის სულიერ-ინტელექტუალური მოთხოვნილებები ვერ დააკმაყოფილა. იგი ნეო-სპირიტუალისტურ მოძრაობაში ჩაება და საფრანგეთში არსებული ყველა „საიდუმლო“ ორგანიზაცია შემოიარა. გახდა მასონური ლოჟის წევრიც. ამ ორგანიზაციებში მან უმაღლეს ხარისხებს მიაღწია, ოკულტისტურ „საიდუმლოებებს“ გაეცნო, მათ სიყალბეში დარწმუნდა და 1909 წელს ნეო-სპირიტუალისტურ მოძრაობას საბოლოოდ ჩამოშორდა.

1910 წლიდან კი იგი უკვე ისეთი სტატიების გამოქვეყნებას იწყებს, რომლებშიც აღმოსავლურ მეტაფიზიკურ მოძღვრებათა არამწიგნობრულ, ცოცხალ ცოდნას ამჟღავნებს. აშკარაა, რომ მასში ძირეული გარდატეხაა მომხდარი. როგორც შემდგომ გაირკვა, რ. გენონის პიროვნებამ აღმოსავლური

ტრადიციების წარმომადგენელთა ყურადღება მიიპყრო. მათი უშუალო ხელმძღვანელობით რ. გენონი ინდური და ჩინური ტრადიციების სიბრძნეს ეზიარა. 1912 წელს კი ისლამური ეზოთერიზმის უდიდესმა შეიხმა Elish Abder Rahman el Kebir-მა რ. გენონს „ბარაქაჰ" გადასცა და იგი ისლამური ეზოთერიზმის ერთ-ერთი სკოლის, სუფიური საძმოს tariqa "Shadilîya"-ს წევრი გახდა. ამა თუ იმ ტრადიციის ეზოთერიზმთან ზიარება აუცილებლად ითხოვს მისი შესაბამისი ეგზოთერული ფორმის მიღებას. ამის გამო რ. გენონმა მუსლიმანობა მიიღო.

1928 წელს იგი კარგავს უძვირფასეს მეუღლეს. მალე მას შვილობილიც წაართვეს. 1930 წელს რ. გენონი ხელნაწერთა შესასწავლად კაიროში გაემგზავრა, სადაც საბოლოოდ დასახლდა. იგი ერთ შეიხს დაუახლოვდა, რომელიც იმავე ეზოთერულ სკოლას ეკუთვნოდა, და მისი ქალიშვილი შეირთო ცოლად, რომელთანაც 4 შვილი ეყოლა.

რენე გენონი გარდაიცვალა კაიროში 1951 წლის 7 იანვარს.

ალბათ ბევრს პარადოქსად მოეჩვენება ის ფაქტი, რომ აღმოსავლურ ტრადიციათა ეზოთერიზმი, მათ მეტაფიზიკურ მოძღვრებებში ჩაღრმავებამ გენონს ქრისტიანული ტრადიციის ის სიღრმეები აღმოაჩენინა, რომლებიც მისთვის მანამდე დაფარული რჩებოდა. მეტიც, თამამად შეიძლება ითქვას, რომ რ. გენონის შემოქმედების მთავარი მიზანია დასავლეთის შეგნებულ და გონიერ წარმომადგენლებს მათი საკუთარი – ქრისტიანული ტრადიციის არსობრივი სიღრმეები დაანახოს და მათში ამ სიღრმეების წვდომისა და გამომზეურების სურვილი გაუღვივოს.

რ. გენონის ნაშრომები შეიძლება ოთხი ძირითადი თემის გარშემო დავაჯგუფოთ:

1. აღმოსავლურ მეტაფიზიკურ მოძღვრებათა გადმოცემა – ამ თემატიკას ეძღვნება შემდეგი წიგნები:

„ინდურ მოძღვრებათა შესწავლის ზოგადი შესავალი", 1921.
„დიდი ტრიადა". 1946.
„ადამიანი და მისი ქმნადობა ვედანტას მიხედვით". 1925.
„ჯვრის სიმბოლიზმი". 1931.
„არსების მრავალი მდგომარეობა". 1932.
„აღმოსავლური მეტაფიზიკა". 1932.
„ნარკვევები ინიციაციაზე". 1946.
„სულიერი ინიციაცია და რეალიზაცია". 1952.
„ეტიუდები ინდუიზმზე". 1966.
„ნარკვევები ისლამურ ეზოთერიზმსა და ტაოიზმზე". 1975.
„ტრადიციული ფორმები და კოსმიური ციკლები".

2. თანამედროვე მსოფლიოს სულიერი კრიზისი :
„აღმოსავლეთი და დასავლეთი". 1924.
„თანამედროვე სამყაროს კრიზისი". 1927.
„სულიერი ხელისუფლება და საერო ძალაუფლება". 1929.
„რაოდენობრიობის გაბატონება და ჟამთა ნიშნები". 1945.

3. ნეოსპირიტუალიზმის მხილება:
„სპირიტიზმის შეცნობა". 1923.
„თეოსოფიზმი – ერთი ფსევდო-რელიგიის ისტორია". 1921.

4. ქრისტიანული ტრადიციის დაფარული ასპექტები:
„დანტეს ეზოთერიზმი“. 1925.
„სამყაროს მეფე“. 1927.
„საკრალური მეცნიერების ფუძემდებელი სიმბოლოები“. 1967.
„წმ. ბერნარი“. 1929.
„ეტიუდები მასონობასა და ამქრობაზე“. 1965.

გურამ ლებანიძე – დაიბადა 1935 წ. ქ. თბილისში. დაამთავრა უცხო ენათა ფაკულტეტი, დაიცვა დისერტიცია ენათმეცნიერებაში („რუმინული ენის გრამატიკული თავისებურებანი”). აქვს შრომები ლიტერატურისა და ფილოსოფიის სფეროში. მსახურობს უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის პრორექტორად. 1993 წლიდან ხელმძღვანელობს „კავკასიური სახლის” ევროპულ-ამერიკულ განყოფილებას. მიჰყავს კურსი „რ. მ. რილკეს დუიონური ელეგიები”. უცხო ენათა ინსტიტუტში კითხულობს ლექციებს კულტურის ფილოსოფიასა და თარგმანის თეორიაში.

მერაბ მამარდაშვილი – ქართველი ფილოსოფოსი, დაიბადა 1930 წლის 15 სექტემბერს ქ. გორში. დედა – ქსენია გარსევანიშვილი (1906 – 1995). მამა – კონსტანტინე მამარდაშვილი (1902 – 1970), პოლკოვნიკი. ოქროს მედალზე დაამთავრა თბილისის მე-14-ე საშუალო სკოლა. მ. მ. აბარებს მოსკოვის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე. 1954 წელს იგი ამთავრებს ფილოსოფიის ფაკულტეტს და სწავლას აგრძელებს ასპირანტურაში, რომელსაც ამთავრებს 1957 წელს. მ. მ. მუშაობას იწყებს ჟურნალ “Вопросы философии”-ს რედაქციაში. ამ ჟურნალში ქვეყნდება მისი პირველი სტატია „ანალიზისა და სინთეზის პრობლემები“.

1961 წლიდან მ. მ. პრაღაში გადადის და 1966 წლამდე თანამშრომლობს ჟურნალ ‘Проблемы мира и социализма”-ში. ჩეხეთიდან დაბრუნების შემდეგ მ. მ.-ს ეკრძალება საზღვარგარეთ გასვლა და ეს გრძელდება 1989 წლამდე.

1966 წლიდან მ. მ. მუშაობს მოსკოვის სამეცნიერო ინსტიტუტებში, ლექციებს კითხულობს მოსკოვის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე, კინემატოგრაფიის სახელმწიფო ინსტიტუტში, რეჟისორთა და სცენარისტთა უმაღლეს კურსებზე, ზოგადი და პედაგოგიური ფსიქოლოგიის ინსტიტუტში.ამავე წლებში იგი სალექციო მოღვაწეობას ეწევა სხვა ქალაქებშიც (რიგა, ვილნიუსი, როსტოვი). სწორედ ეს ლექციები შეადგენს მ. მ.-ის ფილოსოფიური შემოქმედების საფუძველს.

1970 წელს მ.მ. თბილისში იცავს სადოქტორო დისერტაციას, ორი წლის შემდეგ მას პროფესორის წოდება ენიჭება.

1968 – 1975 წწ.-ში მ. მ. პროფესორ ი. ტ. ფლოროვის მიწვევით მუშაობს ჟურნალ “Вопросы философии”-ს რედაქციაში, რედაქტორის მოადგილის თანამდებობაზე. 1980 წელს იგი ბრუნდება საქართველოში და, ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორის ნიკო ჭავჭავაძის მიწვევით, მუშაობას იწყებს ინსტიტუტში. აქ იგი განაგებს საბუნებისმეტყველო ფილოსოფიის განყოფილებას. იმავდროულად კითხულობს ლექციებს ჯერ თეატრალურ, შემდეგ კი, კინომცოდნე ტატა თვალჭრელიძის ინიციატივით, თსუ ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე.

1988 წლიდან როცა მის საზღვარგარეთ გასვლას ტაბუ ეხსნება, იგი ჯერ საფრანგეთში მიემგზავრება, შემდეგ გერმანიაში, ა.შ.შ., ესპანეთსა და სხვა ქვეყნებში, სადაც მონაწილეობს კონფერენციებსა და სემინარებში, კითხულობს ლექციებს. 1989 წლის გაზაფხულზე სორბონის უნივერსიტეტში იგი ატარებს ლექციებს ცნობიერების პრობლემების შესახებ.

1989 წლიდან მონაწილეობს ეროვნულ მოძრაობაში, არის სახალხო ფრონტის წევრი.

მერაბ მამარდაშვილი გარდაიცვალა 1990 წლის 25 ნოემბერს, ა.შ.შ.-იდან თბილისში დაბრუნებისას, აეროპორტში.

მის სიცოცხლეში გამოიცა მხოლოდ სამი წიგნი:

1. "Формы и содержание мышления" (М., 1968)

2. "Классический и некласический идеалы рациональности" (Тб., 1964)

3. "Как я понимаю философию" (М, 1990)

გარდაცვალების შემდეგ ლექციების ჩანაწერებიდან და სხვა აუდიო მასალებისგან გამოიცა შემდეგი შრომები:

1. "საუბრები ფილოსოფიაზე" (1992 წ. თბილისი)
2. "Картезианские размышления" (М., 1993)
3. "Лекции о Прусте" (М., 1995)
4. "Психологическая топология Пути" (Тб., 1996)
5. "Античная философия" (М., 1996)
6. "Стрела познания" (М., 1996)

**გიორგი მარგველაშვილი** – ქართველი ფილოსოფოსი, დაიბადა 1969 წელს თბილისში. 1986–92 წწ. სწავლობდა თსუ ფილოსოფიის ფაკულტეტზე. მუშაობდა რელიგიის, თეოლოგიის, ეთიკის, სოციოლოგიის საკითხებზე. 1993-96 წწ. გაიარა საასპირანტო სწავლებას საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტში. 1994 წ. გამოსცა მონოგრაფია „ფინალობის პრობლემა მითოსურ აზროვნებაში". ამჟამად მუშაობს ანთროპოლოგიის საკითხებზე.

**თომას მანი** – გერმანელი მწერალი (6. 6. 1875, ქ. ლიუბეკი – 12. 8. 1955, კილხბერგ/ციურიხი); არ მიუღია არანაირი პროფესიული განათლება; 26 წლის ახალგაზრდას დიდი სახელი მოუტანა რომანმა „ბუდენბროკები", რომელზეც 1897 წლიდან მუშაობდა. მაღალი შეფასება დაიმსახურა, აგრეთვე, მოთხრობამ „ტონიო კრიოგერი" (1903). პირველი მსოფლიო ომის დროს თ.მ., ისევე როგორც რ. მ. რილკე, გ. ჰაუპტმანი თუ რ. მუზილი, ომით არტისტულმა აღტყინებამ შეიპყრო, რაც მან მალევე დასძლია. ადრეული პოლიტიკური ნააზრევი, კერძოდ თავისი უარყოფითი დამოკიდებულება დემოკრატიის, როგორც კულტურას დაპირისპირებული ცნებისადმი, თ.მ.-მა ჩამოაყალიბა თხზულებაში „აპოლიტიკური კაცის შეხედულებანი" (1918). შემდეგში, შინაგანი ტრანსფორმაციის კვალდაკვალ თ. მ.-მა უარყო ამ წიგნში გამოთქმული აზრები და აღიარა დემოკრატიის შეუცვლელი მნიშვნელობა. 1929 წელს მიენიჭა ნობელის პრემია ლიტერატურული მოღვაწეობისათვის.

თ. მ. რადიკალურად დაუპირისპირდა გერმანულ ნაციონალ-სოციალიზმს და 1933 წელს დასტოვა სამშობლო. ემიგრაციის წლებში დაუცხრომელ იდეურ ბრძოლას ეწეოდა ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ. 1933-52 წლებში ცხოვრობდა საფრანგეთში, შვეიცარიასა და კალიფორნიაში, შემდეგ ისევ შვეიცარიაში. ომის დამთავრების შემდეგ გერმანიაში სტუმრად თუ ჩადიოდა, მაგრამ საცხოვრებლად იქ აღარ დაბრუნებულა.

თუმცა თ. მ. XIX საუკუნის უდიდესი რეალისტების (თ. ფონტანეს, გ. ფლობერის, ლ. ტოლსტოის, თ. დოსტოევსკის) მემკვიდრედ ითვლება, რეალისტური მომენტი მისი შემოქმედების ზედაპირს შეადგენს. სიღრმე მისი პროზაული ქმნილებებისა გვიჩვენებს ე. წ. ლაიტმოტივებით ნაგებ, რთულ

სისტემას. თ. მ.-ის შემოქმედება თავისი ჰუმანისტური საფუძვლით, ხევდიანი ირონიითა და რთული შინაგანი სტრუქტურით აერთიანებს ტრადიციული და ახალი პროზის ტენდენციებს, XIX და XX საუკუნის რომანს. თ. მ.-ის რომანებია: „ჯადოსნური მთა“ (1924); „იოსები და ძმანი მისნი“, ოთხ ტომად (1933, 1934, 1936, 1943); „რჩეული“ (1951); „ყალთაბანდ ფელიქს კრულის აღსარება“ (1954) და სხვ. მნიშვნელოვანი მოთხრობებია: „პატარა ბატონი ფრიდემანი“ (1897); „ტრისტანი“ (1902); „სიკვდილი ვენეციაში“ (1911); „ბატონი და ძაღლი“ (1918); „მარიო და ჯადოქარი“ (1930); „მოტყუებული“ (1953).

გარდა რომანებისა და მოთხრობებისა თ. მ.-მა დატოვა დიდი მოცულობის უაღრესად მნიშვნელოვანი კრიტიკული მემკვიდრეობა, რომელიც მოიცავს ლიტერატურის, კულტურის, პოლიტიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრების დიდ პრობლემებს. როგორც უფართოესი განათლებიდან ამოზრდილი ღრმა აზროვნება, ასევე სტილური სრულყოფილება, დახვეწილი ესთეტიზმი და სიკეთის დამამკვიდრებელი, ინტელექტუალური იუმორი განსაზღვრავს ამ წერილების მარად აქტუალობას. გერმანიის სულიერ-პოლიტიკური კატასტროფის გამო, ნაციონალურ, საკუთრივ გერმანული პრობლემა თ. მ.-ის ცენტრალურ პრობლემად იქცევა („დოქტორ ფაუსტუსი“). ამასთან დაკავშირებით დიდ მნიშვნელობას იძენს ცოდვის, დანაშაულისა და დანაშაულის გამოსყიდვის საკითხი („რჩეული“). გერმანიის ბედისწერა თ. მ.-თან სიღრმისეულად გააზრებული და „გამოტანჯულია“. და საერთოდ, თ. მ. გვევლინება თავისი ეპოქის სულიერი სივრცის, მისი კულტურისა და საზოგადოებრივი ყოფის ერთ-ერთ ყველაზე დიდ ანალიტიკოსად.

გიორგი მაისურაძე – ქართველი ფილოსოფოსი, დაიბადა 1970 წლის 18 მარტს თბილისში. 1987 წელს დაამთავრა თბილისის 170-ე საშ. სკოლა. 1993 წელს დაამთავრა თსუ ისტორიის ფაკულტეტი. 1992–93 წწ.-ში სწავლობდა ფილოსოფიასა და კულტურის ისტორიას ზაარლანდის უნივერსიტეტში (გფრ). 1993–97 წლებში მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტში. მისი სამეცნიერო და საგაზეთო სტატიები ეხება ძველი და თანამედროვე კულტურის და კულტურფილოსოფიის პრობლემებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„აფრას“ ემბლემა ყდაზე — ემირ ბურჯანაძე

დიზაინი — დათო აკრიანი

ფოტოსურათები შეარჩია — ნაირა გელაშვილმა

კომპიუტერული მომსახურება — მურმან ხაინდრავა
მერაბ ახვლედიანი
ტარიელ სახელაშვილი

ტექსტის აკრეფა — ქეთევან გოგობერიშვილი
ნანა კომლაძე

*ჟურნალის ეპიგრაფი - დანტეს „სალხინებლის“ პირველი სტრიქონები - იტალიურის პწკარედიდან თარგმნა დათო აკრიანმა.

დაკაბადონდა გამომცემლობაში „უფლება“ (გ. აბესაძის ქ. №4/6).

დაიბეჭდა საქართველოს პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ცენტრალურ ინსტიტუტში
(დავით აღმაშენებლის ქ. №178).

ჟურნალი დაფუძნებულია 1997 წლის ივლისში.

დამფუძნებლები: ნაირა გელაშვილი
დათო აკრიაში
ჰამლეტ ზუკაკიშვილი
ლია ჯაყელი
დიდიმ სტურუა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სალიტერატურო, რელიგიურ-ფილოსოფიური

და საზოგადოებრივი ჟურნალი

გამოდის ორ თვეში ერთხელ.

**Our deep gratitude for the help**
**to the Foundation STICHTING HORIZON.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

